



აღმოსავლური მწერლობის
ნიმუშები



გამოცემლობა „საპროტა საქართველო“
თბილისი — 1982

C63
8 (-11) 52
ა 819

„არმალანის“ მესამე წიგნში შეტანილია ძველი აღმოსავლეთის ლიტერატურის, ასევე არაბული, სპარსული, თურქული, ტაჯიკური, უზბეკური და ოსური მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. ეს ძეგლები საგანგებოდ ამ კრებულისთვისაა თარგმნილი და ქართულად პირველად ქვეყნდება.

შ ე მ დ გ ე ნ ე ლ ი მ ა ბ ა ლ ი თ ო ლ დ ე ა

70500—235
C-----3961-82
M 601 (06)—82

ქველი აღმოსავლეთის ღიჯაგუკა

ურქეშის ტაძრის წარწერა

უძველესი ხუროთული ტექსტი! განეკუთვნება ძვ. წ. I X I I I — X X I სს. წარწერა ამოკვეთილია თეთრ ქვაზე, რომელზედაც სპილენძის ლომია მოთავსებული. ძველი ხუროთული ენის ნიმუში.

თიშარიმ, ქალ-ქურუმმა ურქეშისა,
აღუშენა ღმერთ ფირიგგალს
ტაძარი ესე.
ღუბადაგა დაე ჰფარვიდეს
ღეთაების ტაძარს!
ვინც მას დაანგრევს,
დაანგრიოს ის ღუბადაგამ!
ვეღრებას მისას
ნუ ისმენს ანი!
ვინც მას დაამხოზს,
წყეულიმც იყოს
ათიათასჯერ, ათიათასჯერ
წინ-ნაგარის, შიმიგეს და
თეშუფისაგან!

ორი სენბენცია

თუ შენი აიღებ ღმერთისაგან აკრძალული ვერცხლის საგანსურს,
გეშინოდეს ღეთის, რისხვისა და
გადაირჩინე სხეული შენი!
მას, ვინც ქუშუხს იფიცება,

მემკვიდრე ყველა განეტევება
და ვერასოდეს ცოლი მისი
ველარ შობს შეილებს!
ოდეს არ იცის (ცოდვა თვისი),
აღამიანი მიისწრაფვის თავის ღმერთისკენ.
ცოდვის თვისის უმეცარია
და ისწრაფვის თავის ღმერთისკენ.
მისკენ მიილტვის...
ქუშუხისაკენ ხელაპყრობილი.
(მას ელის) სასჯელი,
მაგრამ იგი უმეცარია (თავისი ცოდვის)
და მიილტვის თავის ღმერთისკენ.

ე ლ ი ს ა ლ ი

ჰიმნი წარმოიქმნა ხერტიულ-ხეთური რიტუალებს შესრულების დროს. რიტუ-
ალები სხვადასხვა დანიშნულების იყო: ქალღმერთ ხეფას ტახტის კურთხევა, მსხვერპლის
შეწირვა და სხვა. ჰიმნები იწყება ფრაზით: „ნელსურნელება აღველინება“, რომელსაც
მოსდევს ღვთაების სახელი და საკუთრივ ჰიმნის ტექსტი. ჰიმნების ბოლოშია ფრაზა:
„ნელსურნელებსა და წყლის მეშვეობით შენი სული სუფივედეს სიმშვიდეში“. ჰიმნი
იწყებოდა ქურუმის მიერ კედარის ტოტის მაგიურ ჰურკელში დაწვის დროს.

ნელსურნელება აღველინება (ჰოი,) ელ!

ელ, ცისიერო, ელ, მიწიერო!

ზემო ღმერთებთან ერთად ამაღლებულხარ, ჰოი, ელ,

და ქვემო ღმერთებთან ერთად ამაღლებულხარ.

(ჰოი,) ღმერთო, რომელიც მოდიხარ.

ელ, რომელიც მოდიხარ,

ელ, მეფე, ტახტისაკენ...

რომელიც მოდიხარ,

ელ, რომელიც მთიანეთის ხარ...

აჰა, ელი, აჰა, ქუშუხი.

აჰა, ქუმარბი, აჰა, ვლლილი...

ელ-ალთქმისა, ელ-განმკითხველი...

იყავნ მშვიდად (ჰოი,) ელ,

სული შენი სიმშვიდით ნეტარებდეს!

ჰოი, მეუფე, ნელსურნელება...

შენ მიიძღენი, და ამიტომ

კეთილდღეობა და...

შენ მოგვაპაღლე!

შიტანური წერილი

მითანის მეფის თუშრათას წერილი ეგვიპტის ფარაონ ამენოტეპ III-თან. ძვ. წ. XV ს.

ნიმშურიას, ეგვიპტის მეფეს, ძმას ჩემსას, სიძეს ჩემსას, რომელიც მე მიყვარს და რომელსაც მე ვუყვარვარ. თუშრათა მეფე მითანისა, სიმამრი შენი, რომელსაც შენ უყვარხარ, ძმა შენი. მშვიდობა შენდა! სიძეს ჩემსას სალამი! ძეთა შენთა, დიდებულებს შენსას. ცხენებს შენსას, ეტლებს შენსას, მეომრებს შენსას, ქვეყანას შენსას და ყველაფერს, რაც შენ გეკუთვნის, დიდი სალამი!..

როგორც ახლა მე ჩემს ძმას ვუყვარვარ და როგორც ახლა მე ჩემი ძმა მიყვარს, ისევე შეგვიყვარონ ჩვენ ორივე თეშუფმა, შაუშქამ, ამონმა, შიმიგემ, ეაშარრიმ — ყველა ჩვენმა ღმერთმა გულით ძლიერ, ძლიერ შეგვიყვარონ სამარადისოდ! მრავალჯამიერ ვავიხაროთ ძალიან დიდი სიხარულით, როგორც ჩვენ გვსურდეს! კეთილი საქმეები ერთმანეთისათვის ორივემ ძალიან, ძალიან სწრაფად გაეკეთათ.

კელიამ, ჩემმა ელჩმა ეს სიტყვები მიიხრა: „შენმა ძმამ ნიმშურია, ეგვიპტის ქვეყნის მეფემ, დიდი საჩუქარი გააკეთა, ქალაქ იხიფეს, შიმიგეს ქალაქს მიიტანა და თავის ღმერთს, თავის მამას შიმიგეს მიუძღვნა...“

რაც რამ შესაწირავი ჩემმა ძმამ შიმიგეს, თავის ღმერთს, თავის მამას შესწირა, შიმიგე მიჰმადლებს ჩემს ძმას ყველაფერს, რაც მას გულით სწავლია...

კელია, ჩემი ელჩი, და მანე, შენი ელჩი, გავგზავნე და მივიდნენ ჩემს ძმასთან...

გავიგე: კელია და მანე მოსულან... ახლა ჩემს ძმას სიტყვას ვეტყვი და ჩემმა ძმამ ისმინოს. ჭეშმარიტად, მანე, ჩემი ძმის ელჩი, მოვიდა... და აი, მზითვეი ნამდვილად გამოგზავნე... რაც შეეხება ჩემი ძმისაგან გამოგზავნილ მოსაკითხს, იმის თაობაზე მის მომტანს, ჩემი ძმის ელჩს, მანეს გამოვკითხე ...თუ ჩემი ძმა ძღვნად ოქროს გამომიგზავნის, ეს მე გულით გამიხარდება...

მამაჩემის ასულია ჩემი და, და არის დაფა—მზითვის წიგნი. ეს ერთი დაფა. მეგრე კიდევ პაპაჩემის ასულია მამიდაჩემი და არის ერთი დაფა კიდევ — მზითვის წიგნი; ესეც მეგრე დაფა. წააკითხოს ჩემმა ძმამ თითოეული მათგანი და მოისმინოს. ჩემი მხრიდან არის კიდევ ერთი დაფა— ჩემ მიერ ბოძებული მზითვის წიგნი. წააკითხოს ჩემმა ძმამ და მოისმინოს, არის თუ არა მზითვეი დიდი, არის თუ არა ქარგი, არის თუ არა ჩემი ძმის მოსაწონი...

რაც პაპაჩემმა არათამამ მამაშენს უძღვნა, მე იმაზე ათჯერ მეტი გამოგიგზავნე და რაც მამაჩემმა შენთვის გააკეთა, მე ის გავაათმავე...

მეგრე კიდევ, მინდა ჩემს ძმას სიტყვა ვუთხრა: ავის მოლაპარაკე ბევრი.

დადის და დიდი მეუფის წინაშე ბოროტ სიტყვებს ამბობს: მთქმელმა მა-
უწყა ჩემს ძმან. მან მითხრა და მეც უმალ გავიგონე, რომ ჩემმა ძმამ
კვლავ გააკეთა ... მიწის მუშას გაუკეთა, დიდ მომთაბარეს კი — არა. ეს
რომ გავიგონე, ძალიან გამიხარდა. ჩემი ძმა რომ ასე არ მოქცეულიყო,
ჩემთვის ფრიალ სამწუხარო იქნებოდა...

... და ჭეშმარიტად, ჩემს ძმას ბოროტ სიტყვებს გამუდმებით ეუბნე-
ბა. ჰოდა, თუ ჩემს ძმას ვინმე ცუდს ეტყვის ჩემზე და ჩემს ჭვეყანაზე,
ჩემი ძმა ამ სიტყვებს ნუ ირწმუნებს, თუ მათ კელია და მანე არ ეტყვი-
ან. ის კი, რასაც კელია და მანე მოუთხრობენ ჩემზე და ჩემს ჭვეყანაზე,
ნამდვილია და სწორი და ჩემმა ძმამ ის მოისმინოს. ხოლო თუ ვინმე ამის
მსგავსს რამეს მეტყვის ჩემს ძმაზე და მის ჭვეყანაზე, მე არ მოვუსმენ, თუ
კელია და მანე არ მიაშობენ. ის კი, რასაც კელია და მანე მაუწყებენ,
ჭეშმარიტია და სწორი და მეც მოვისმენ. ახლა რაც ჩემმა ძმამ მითხრა,
რომ ნებავდა, მე ათმაგად მეტი გავაკეთე და ჩემი ძმის გული უბრალო
სიტყვითაც კი არ დამიმწუხრებია. ისეთი ქალი მივეცი ცოლად, მის გულს
რომ გაუხარდებოდა. ახლა მანე, ჩემი ძმის ელჩი, კელია, ართეშუფი და ასა-
ლი— ჩემი ელჩები, რომლებიც მე დავადგინე, ჩემს ძმასთან სასწრაფოდ
გავგზავნე და ჩემი ძმა მათ ნახავს. ჩემი ძმაც ნუ დააყოვნებს ჩემს ელ-
ჩებს, ნუ მაწყენინებს, დააჩქაროს და მალე გამოგზავნოს, რომ დროზე
მოვიდნენ და პასუხის სიტყვა მომიტანონ, რათა მოვისმინო და ჩემი ძმის
კარგად ყოფნით გავიხარო. თუ ჩემი ძმა ბრძანებს, შენ რატომღა დააგვი-
ანე ჩემი ელჩებით, მე ვუპასუხებ: არა, მე ისინი არ შემიფერებია. ჩემი
ძმის ცოლის მზითვის გამოისობით მოხდა ეს და ჩემი ძმა ნახავს მას
(მზითვეს). ჩემი ძმის ცოლის მზითვე მივა და კმაყოფილი დარჩება. ჩემი
ელჩები კი ჩემმა ძმამ დააჩქაროს, გამოგზავნოს, რომ მოვიდნენ და მანეც
გამოაყოლოს, რომ ჩემს ელჩებთან ერთად მოვიდეს. სხვას ნურავის გა-
მოგზავნის ელჩად, მანე გამოგზავნოს. მანეს ნაცვლად თუ სხვას გამოგ-
ზავნის, მე ეს არ მსურს. ეს იცოდეს ჩემმა ძმამ და მანე გამოგზავნოს...
... ჭეშმარიტად, როგორც ადამიანს მზე უყვარს, ასე გვიყვარდეს ერთ-
მანეთი ჩვენ ორივეს.

წინამდებარე თარგმანები წარმოადგენს ინდოევროპულ ხეთურ ენაზე შექმნილი ნაწარმოებების ნიმუშებს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ხეთური ენა პერსია აერთიანებდა როგორც კულტურულად, ასევე ეთნო-ლინგვისტურად ერთმანეთსთან განსხვავებულ რეგიონებს, ადვილი გასაგებია ვახდებთ, რომ ე. წ. „ხეთური ლიტერატურა“ საკუთრივ ხეთური არაა. აქ გვხვდება ხეთური მითები და შესაბამისი ტამური, ხურიტული და ქანაანური ძეგლები. განსაკუთრებით დიდია ხურიტების გავლენა.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ უცხო წარმომავლობის მითები იმოსებოდა ლიტერატურული ფორმით მაშინ, როდესაც ადგილობრივი, ანატოლიური ლიტერატურა ძირითადად რიტუალური ხასიათისა იყო.

წარმოდგენილი ძეგლები განვუთვინებთ ხევის წელთაღრიცხვამდე XVII—XIII სს.



ნესას სამოსით, ნესას სამოსით
შემმოსე, მოვედ!
ჩემი დედის სამოსით
შემმოსე, მოვედ!
ჩემი ვაჟის სამოსით
შემმოსე, მოვედ!

აგვაგი ცილან ჩამოვარდნილი მთვარისა

მთვარის ღვთაება ცილან ჩამოვარდა და მოედანზე დაეარდა, ისე რომ ვერვინ ჰკიდა მას ცაში თვალი. მაგრამ ტაროსის ღმერთმა დაცემულს თვალი შეასწრო, წვიმა მიაღვენა: ნიაღვარი მიაწია. ძრწოლამ მოიცივა იგი, შიშმა მოიცივა იგი.

ქალღმერთმა ქამრუსეფამ კი იხილა, რაც მოხდა და თქვა: „მთვარის ღვთაება ცილან ჩამოვარდა და მოედანზე დაეცა. ტაროსის ღმერთმა თვალი შეასწრო და წვიმა მიაღვენა, ნიაღვარი მიაწია. ძრწოლამ მოიცივა იგი, შიშმა მოიცივა იგი. მოვიდა ჰაფანთალი და გვერდით მიუქდა, რათა გული მოეღობო“.

მივიდა ქამრუსეფა ტაროსის ღმერთთან და ჰკითხა: რას აკეთებო? მიუგო ტაროსის ღმერთმა: მთებიდან და კლდეებიდან წვიმა მომყავსო. — „შენ სტირი?! დაე, ძრწოლა და შიში გაგერიდოს!“ — თქვა ქამრუსეფამ.

მაშინ დააბრუნა ტაროსის ღმერთმა მთვარის ღვთაება ცაზე. თუმც
ეშინოდა, მაინც გაბედა და კვლავ განათდა დედამიწა.

მეფე — თაბარნა, დაე, ცოცხლობდეს!

მეფე — თაბარნა დღეგრძელი იყოს!

ილუიანქას ვითი

ასე ამბობს ქელლა, ნერიქელი ტაროსის ღმერთის შურუმი: ცის ჭექა-
ქუხილის ღვთაების დღესასწაულის, ფურულლის, საქმეთ ასე ყვებიან:

დაე, ქვეყანა განმტკიცდეს და დღეგრძელ იყოს! დაე, ქვეყანა შექუვალ
იყოს! და თუ გაძლიერებული და მორქმული იქნება, ფურულლის დღე-
სასწაულს იზეიმებს!

როდესაც ტაროსის ღმერთი და გველეშაპი ილუიანქა ქალაქ ქისქი-
ლუსში ერთურთს შეებნენ, ილუიანქამ ტაროსის ღმერთი დაამარცხა.

ტაროსის ღმერთი შეევედრა დანარჩენ ღმერთებს: მთარველობა გამი-
წიეთ, შეწვენა მარგეთ და ქალღმერთი ინარაც სადღესასწაულოდ განემ-
ზიდოსო. ინარამ ყვლაფერი უხვად მოამზადა: ღვინო უძირო კოკით, სას-
მელი ტუჩგანიერი სურით, საღვთო სასმელი ფართო ჭურჭლით და კოკე-
ბი პირთამდე საესე: თვითონ ინარა ქალაქ ციგარათას წავიდა და მოკვდავ-
თაგანი ჰუფასია მოინახულა. ასე უთხრა ქალღმერთმა ინარამ:

— ჰუფასია, ჭეშმარიტად ამა და ამ საქმეს ვაპირებ და დამეხმარე!
მიუგო ჰუფასიამ:

— როდესაც თანაგეყოფი და საწადელს მივალწვევ, დაგეხმარები.

მაშინ მიუწვა ქალღმერთი ინარა ჰუფასიას.

შემდგომ წაიყვანა იგი ინარამ და დამალა. თვითონ მოიკაშმა და ილუ-
იანქა შინ მოიბატონა: ჭეშმარიტად, ზეიმს ვაპირებ და ნადიმად მეწვიეო!

ილუიანქა თავის შვილებთან ერთად მოვიდა და ისერეს და სვეს უზო-
მოდ. მთელი დოქი გამოცალეს და დათერნენ ისე, რომ სოროში ვეღარ
ჩაივინდნენ. ჰუფასია სამალავრიდან გამოვიდა და ილუიანქა თოკით შეკრა.

ტაროსის ღვთაება ციდან ჩამობრძანდა და ილუიანქა და მისი შვილები
განგზირა, ყველა ღმერთის თანადგომით და დანმარებით.

ქალღმერთმა ინარამ თარუქქას ქვეყანაში, მაღალ კლდეზე, სახლი, აი-
შენა, ჰუფასია წინ დასვა და ურძანა:

— როდესაც მინდვრად წავალ, სარკმელში არ გაიხედო! თუ გაიხე-
დაე, იცოდე შენს ცოლსა და შვილებს დაინახავ!

ოცმა დღემ რომ განვლო, კაცმა სარკმელი გამრადო და ცოლ-შვილი
დაინახა.

როცა ინარა მინდვრიდან დაბრუნდა, ჰუფასიამ ვედრება დაუწყო —
შინ გამიშვიო! განრისხებულმა ინარამ ასე მიუგო:

— „ველარასოდეს მოესწრები სარკმლის გაღებას“.

მოკლა იგი და დასწვა სახლთან ერთად, ტაროსის ღმერთმა კი წვიმა აწვიმა და ნახანძრალი დააღტო. პუფასია ნაცარტუტად იქცა.

ქალღმერთი ინარა ქისქილუსს დაბრუნდა... ამ დროიდან ებეიმობთ ფურულლის ღღესასწაულს.

ქალღმერთმა ინარამ მდინარეები უფრო წყალუხვი გახადა. და როდესაც ქალაქ ნერიქაზე წვიმამ იწვიმა, ნერიქადან კვერთხის მპყრობელმა ამოსული პური წაიღო. ცალინუს მთისთვის წვიმა მოითხოვა და პური წაიღო.

გველეშაპმა ილუიანქამ დაამარცხა ქექა-ქუხილის ღვთაება, გულღვიძლი ამოართვა და თვალები დასთხარა.

ტაროსის ღვთაებამ შურისძიება გადაწყვიტა და ცოლად ღარიბი კაცის ასული მოიყვანა. ქალმა ყრმა შვა. ყრმა რომ მოიწიფა, მამამ მას ილუიანქას ასული შერთო ცოლად.

ტაროსის ღვთაება ვაჟს უბრძანებს: „შენი მეუღლის სახლში რომ მიხვალ, ჩემი გულღვიძლი და თვალები სთხოვე!“

ვაჟი წავიდა და მამის გულღვიძლი სთხოვა, ქალის მშობლებმა არ დაუკავეს. შემდგომ თვალები სთხოვა და გამოუტანეს. შვილმა ისინი მამას მორთვა და ასე დაიბრუნა ტაროსის ღვთაებამ გულღვიძლი და თვალები.

როდესაც ტაროსის ღმერთმა უწინდებური იერი დაიბრუნა, ზღვის ნაპირზე ილუიანქასთან საბრძოლველად გაემართა. ტაროსის ღვთაება შეებრძოლა ილუიანქას და სძლია გველეშაპს; ტაროსის ღვთაების ძე ილუიანქას ახლდა თან და ცაში მამას შეჰლაღადა: „მე ნუ დამზოგავ!“ ტაროსის ღვთაებამ ილუიანქასა და ღვიძლ შვილს დღე მოუსწრაფა.

თელეფინუს მითი

თელეფინუ განრისხდა. გონდაკარგული მარჯვენა წულას მარცხენა ფეხზე იცმევდა და მარცხენას მარჯვენაზე... იგი წავიდა...

სარკმელები გაიმკვარტლა, კვამლმა მოიცვა სახლი. კერაში ნაღვერდალი ჩაქრა, ღმერთებს ტაძრებში სული შეეხუთათ, ბაკში ცხვრები გაიგულდნენ, გომურში საქონელი გამოიხრჩო; ცხვარმა უარყო თავისი ბატკანი, ძროხამ ხბოზე-თქვა უარი.

თელეფინუ წავიდა. წავიდა და მარცვლეული, ზრდა, სიმძლავრე ყანისა, მდგლოსი თუ ტევრისა თან გაიყოლა. წავიდა თელეფინუ და ტევრს შეეფარა. დაღლილობა მოერიდა თელეფინუს და მოხდა ასე: ქერი და ხორ-

ბალი აღარ ხარობდა, ხაქონელი, ცხვარი თუ ადამიანები ველარ ძრავლ-
დებოდნენ. მიდგომილნიც კი ველარ შობდნენ.

მთები გადახმა. ხეებს კვირტები აღარ გამოქონდა. საძოვრები გადა-
ინრუტა, წყაროები დაშრა და დედამიწაზე შიმშილი დამკვიდრდა. ადამი-
ანები და ღმერთები შიმშილით იღუპებიან. მზის ღვთაებამ, დიდმა უთუქმ,
ნადიმი გამართა და ერთი ათასი ღმერთი ისტუმრა. ჭამეს და ვერ დაძლ-
ნენ, სვეს და წყურვილი ვერ მოიკლეს.

მაშინ გაიხსენა ტაროსის ღვთაებამ თელეფინუ, საკუთარი ვაჟი: თელე-
ფინუ, შვილი ჩემი, აქ აღარაა. განრისხებულა და ყოველი სიკეთე თან
წაუღია.

ღმერთები, დიდნი თუ მცირენი, თელეფინუს ძებნას შეუდგნენ; ძლე-
ვამოსილმა ღმერთებმა მთები დაჩხრიკეს, მაგრამ ვერ ნახეს, მდინარეები
დაძებნეს, წმინდა ადგილნი მოიხილეს და ვერსად ჰპოვეს.

და, აჰა, უთუქმ ფრთამალი არწივი გაგზავნა: „წადი და მაღალი მთები
დალახე, ლურჯი ტალღები დალახე!“ გაფრინდა არწივი, დალახა მაღალი
მთები, მდინარეები დალახა და მაინც ვერ ჰპოვა. უთუქმ ამბავი მოუტა-
ნა: თელეფინუ, ღმერთი ძლიერი ვერ ვიპოვეო. ტაროსის ღმერთი ნინ-
თუს ეუბნება:

„რა ვიღონოთ? შიმშილიდ სული აღმოგვხდება“.

დიდმა ქალბატონმა, ნინთუმ მიუგო: იღონე რამე, ტაროსის ღვთა-
ებავ, წადი და თელეფინუ შენ თავად მოძებნეო.

ტაროსის ღმერთი თელეფინუს ძებნას შეუდგა: მივიდა მისი ქალაქის
კარიბჭესთან და ვერ შეძლო კარის გაღება. გატეხა საკეტი, მაგრამ თელე-
ფინუს კვალს ვერ მიაგნო. იქვე ჩამოჯდა დამაშვრალი მოსასვენებლად.
დიდმა ქალბატონმა, დედა-ღვთაებამ, ფუტკარი იხმო: წადი, შენ მოძებნე
თელეფინუ და როცა იპოვი, ფეხებსა და ხელებზე ნესტარი უჩხვლიტე და
წამოაყენე; აიღე ცვილი და თვალები და ხელები გაუწმინდე. გაწმინდე
თავად და აქ მომგვარეო.

ტაროსის ღმერთმა ჰკითხა დიდ ქალბატონს:

— დიდნი თუ მცირე ღმერთები მას ეძიებდნენ და ვერსად ჰპოვეს.
შესძლებს კია ფუტკარი პოვნას? ფრთები პატარა აქვს, თავდაც უძლუ-
რია ან ღმერთები კი მის გამარჯვებას მოითმენენ?

დიდმა ქალბატონმა მიუგო ტაროსის ღვთაებას:

— გაუშვი, წავა და იპოვის.

ფუტკარი გაფრინდა, თელეფინუს ძებნას შეუდგა. გადალახა მაღალი
მთები, დაჩხრიკა ღრმა ხეობები, წყალთა სიღრმენი, ანკარა წყარონი; შიგ-
ნეულში თაფლი გაუთავდა და ქალაქ ლიპცინას წარაფებში თელეფინუს

კიდევ მიაკვლია. ნესტრით დაჩხვლიტა მისი ხელ-ფეხი და წამოაყენა. აიღო ცვილი და თვალები და ფეხები გაუწმინდა.

მაშინ თქვა თელეფინუმ: განრიხებული აქ მოვედი, დასასვენებლად, მძინარე რად გამაღვიძე, გამძვინვარებულს სიტყვა ვით შემომბედდო?

თელეფინუს რისხვა ემატებოდა. მორაკრაკე ნაკალულები შეაჩერა და მდინარეებს მიმართულება შეუცვალა, ნაპირებზე გადმოადინა. სარკმლები დაღეწა, სახლები დააქცია, ხალხი დაღუპა, საქონელი და ცხვარი ამოწყვიტა.

და თქვეს ღმერთებმა:

— ვუხმოთ ადამიანს! დააბრუნებინოს ნათარას წყარო ამუნას მთაზე! არწივი მოფრინდეს და აამოძრაოს იგი! დაე, ადამიანებმა აღძრან სამოქმედოდ! არწივის ფრთებმა აღძრას სამოქმედოდ!

(რ ი ტ უ ა ლ ი)

აი, სასმელი წყალი. დაე, თელეფინუ, შენ გული და სული გაგიგრილოს, დაე, მეფისადმი კეთილგანწყობა დაგიბრუნოს! შეხე, აქ დევს გულის დამაცხრობელი მალამო! დაე, გული მოგინახოს! აი, სასმელი, შენი გულგვამი რომ მოაქციოს! შეხე, ნაყოფი დევს, თვალი გაგიხაროს! აჰა, აქ ლელი დევს და როგორც ლღვია ტკბილი, ო, თელეფინუ, გული შენი ასევე დატკბეს! როგორც სავსეა ზეთით ზეთისხილი, ხოლო ყურძენი — ღვინით, სიკეთით ივსებოდეს შენი სული და გული, თელეფინუ! აჰა, მალამო, თელეფინუს გული დაუამოს! როგორც ალაო და ლუდის საფუარი შეზავდებიან, შენი გულიც, თელეფინუ, კაცთა მოდგმის საქმეთ დაეზავოს! როგორც წმინდაა ხორბალი სპელტა, თელეფინუს სულიც ასევე წმინდა იყოს!

როგორც თაფლია ტკბილი, კარაქი — ლბილი, თელეფინუს სულიც ასევე ტკბილი და ლბილი იყოს!

შეხედე, თელეფინუს გზებს ძვირფასი ზეთი ვაპყურე! შენც, ო, თელეფინუ, ზეთით დანამულ გზაზე იარე! საჰისა და ჰაფურიას ტყეებმა გული გადაგიშალონ! როგორც ლერწამია ჩარიგებული, შენც, თელეფინუ, ასევე მოწესრიგდი!

თელეფინუ სწრაფად წავიდა. ჰეჰდა და ქუხდა. და ბნელით მოცულ დედამიწას ელუა აპობდა.

დაინახა თელეფინუ ქალღვთაება ქამრუსეფამ და არწივს უხმო. არწივის ფრთამ თელეფინუ მოაბრუნა, ღვარძლი მოაშორა, რისხვა და ბორბტება მოაშორა, სიშმაგე დაუცხრო.

ქამრუსეფა ღმერთებს ეუბნება:

„მოდი, ღმერთებო, იხილეთ! ქალღვთაება ჰაფანთალი უთუს

ცხვრებს აძოვებს! გამოარჩიეთ ამ ფარიდან თორმეტი ყოჩი და მე თელეფინუს შევეულოცავ. ავიღებ ფრთას და მიმოვფანტავ იმ ათას თვალს, სავერძე ბატკნებს რომ ამოვაცალე. მე თელეფინუსთვის ყველგან დავანთებ ცეცხლს. თელეფინუს გვამს ავი გამოვარიდე, ბოროტება გამოვარიდე, ღვარძლი გამოვარიდე, მრისხანება გამოვარიდე, სიშმაგე გამოვარიდე, ავგულობა გამოვარიდე.

თელეფინუ როცა მძვინვარებდა, მისი სული და გული მინავლული მუგუზალივით ხრჩოლავდა. და როგორც ნაკოდალი იწვის, თელეფინუს გულისწყრომა, რისხვა, ავგულობა, მძვინვარება ასევე დაიწვას.

როგორც ალაოა გამოფიტული და მინდორში არ მიაქვთ იგი და თესლად არ ხმარობენ, პურს არ აცხობენ, ბელელში არ ინახავენ, დაე, თელეფინუს რისხვა, ავგულობა, მძვინვარება ასევე უნაყოფო იყოს!

როდესაც თელეფინუ მძვინვარებდა, მისი გული მოგიზგიზე ცეცხლს ჰგავდა და როგორც ცეცხლი დაშრება, ასევე დაშრეს თელეფინუს რისხვაც, გულისწყრომაც და ავგულობაც!

თელეფინუ! რისხვა განაგდე, გულისწყრომა დაიცხრე, სიშმაგე დაუტევე! და ისევე, როგორც ღარში წყალი აღმა არ წავა, თელეფინუს რისხვა, გულისწყრომა, მძვინვარება ნუ მოგიბრუნდება!

ღმერთები ჰათალფემნას ხის ქვეშ შეიყრიბნენ. ყველა ღმერთი აქ იყო: ჰათაია, იშთაია, ბედისწერის ღმერთი, ნინთუ ძლიერი, მარცკლეულის მფარველი ღვთაება, მიათანციფა. თელეფინუ, მეუფე მფარველი ჰათანთალია.

მე, ადამიანმა, თელეფინუს სხეულს ბოროტება განვარიდე, რისხვა განვარიდე, წყრომა განვარიდე, ავგულობა განვარიდე, სიშმაგე განვარიდე, მის ენას სიავე მოვაშორე, ბოროტება მოვაშორე.

შენც თელეფინუს რისხვა, წყრომა, ავგულობა, სიბოროტე დააცხრე! როდესაც ტაროსის ღმერთი მრისხანებს, მის მრისხანებას ტაროსის ღმერთის მსახური აკაევებს! მღულარე ქვაბს გადმოდენისგან კოვზი აკაევებს. ამგვარადვე შეაკავოს ადამიანის სიტყვებმა თელეფინუს რისხვა, წყრომა და ავგულობა.

თელეფინუს რისხვა, წყრომა, ავგულობა, სიშმაგე განშორდეს! სახლი მისი დატოვოს, დგამი დატოვოს, სარკმელი დატოვოს, წირთხლი დატოვოს. ზღურბლი დატოვოს, კუტი კარი დატოვოს, ჭიშკარი დატოვოს! შეფის გზა დატოვოს. აყვავებულ-მინდორში, ბაღსა და ტყეში არ დაემკვიდროს! დედამიწის მზის ღმერთის გზით იაროს!

კარისკაცმა შვიდი კარი გააღო, შვიდი კარის საკეტი გააღო. ქვემოთ, ბნელ მიწაზე ქვაბუ დგას. ხუფი სპილენძისა აქვს, ყურნი—რკინისა. რაც მასში ჩავა, ის კვლავ ზევით აღარ ამოვა, შიგვე ჩარჩება, ჩაილუპება.

თელეფინუს რისხვა. წყრომა, სიშმაგე, ავგულებმა შიგ დაინთქეს და ზემოთ არ ამობრუნდეს!“

თელეფინუ დაბრუნდა და იწყო ზრუნეი ჭვეყნიერებაზე.

ბოლმა დაუტევა სარკმელი, კვამლმა დაუტევა სახლი; ღმერთთათვის სამსხვერპლოები დაიღვა, კერა დაუტევა მსრჩოლავმა. მეტუხალმა, თელეფინუმ ბაკი ცხვრებით გაავსო, ბოსელში საქონელი შეერეა.

მშობელი შვილზე ზრუნავს, ცხვარი—ბატკანზე, ძროხა—ხბოზე.

თელეფინუ მეფე-დედოფალზე, მათ მომავალ ცხოვრებასა და სიცოცხლეზე ზრუნავს.

თელეფინუზე კი მეფე ფიქრობდა.

თელეფინუს წინ მარადმწვანე ხე ეია აღიმართა. ამ ხეზე ცხვრის საწმისი ჰქიდა, იგი საწინდარია ცხვრის პოხიერების, მარცვლეულის სიუხვის, ნადირთ სიუხვის, ლენის სიუხვის, დღეგრძელობის და გამრავლების; იგი მოასწავებს ცხვრის სიცოცხლეს, ზრდა-სიმრთელეს, სიმსუქნეს; მაშინ თელეფინუ მეფეს ცხვრის ტყავს მიართმევს და ყველა სიკეთეს უხვად უბოძებს.

თელეფინუ და ოკეანის ასული

ოდესღაც დიდი ოკეანე განურისხდა ცას, დედამიწას და აღამიანთა მოდგმას და გაიტაცა მზის ციური ღმერთი.

დედამიწაზე უბედურებამ დაისადგურა, მაგრამ ოკეანეს ვერვინ სძლია. მაშინ სთხოვა ტაროსის ღვთაება თარუმ თელეფინუს, საყვარელ შვილს: წადი, ო, თელეფინუ, მიუხდი ოკეანეს და მზე, ღვთაება ჩვენი დაგვიბრუნეო.

თელეფინუ წავიდა ოკეანესთან; შიშმა სძლია ოკეანეს, მითხოვა თავისი ასული და უთუ, მზის ღვთაებაც გამოაყოლა. თელეფინუმ მზის ღვთაება და ოკეანის ასული წამოიყვანა და თავის მამას, თარუსს, მიჰგვარა.

ხანი გამოხდა და ოკეანემ თარუსს მოციქული გამოუგზავნა: თელეფინუმ, შეიღმა შენმა, ჩემი ასული ითხოვა ცოლად, სამაგიეროს რით მიზღავო. თარუ დედამერთს დაეთათბირა:

— შეხე, ოკეანემ ნაკადული მოციქულად გამომიგზავნა, ურვადსა მთხოვს. მივცემ სამაგიეროს!

მაშინ დედამერთმა უპასუხა ჭეჭა-ჭუხილის ღვთაებას:

„მიეც ურვადი, რაკი მისი ასული რძლად დასვი!“

და მისცა თარუმ ოკეანეს მისი კუთვნილი ათასი—ათასი ხარი და ათასი ცხვარი.

ქუმარბი ღა ოკეანის ასული

ოკეანეს ღვინით სავსე ყანწი მიართვეს ღა იწყო ოკეანემ საუბარი, მიმართა ქუმარბის:

„ქეშმარიტად, მე ასე ვამბობ, ღვთაებათა მშობელო ქუმარბი. შვიდი ღღე გავიღეს. შინ მეწვიე. მოგათხოვებ ასულს ჩემსას, ღვთაებათა მშობელო ქუმარბი. მოგათხოვებ ასულს ჩემსას სერთაფსურუპის. სიმალღით სამი უტევანია, სიგანით ორი უტევანია, ხის წვენივით ტკბილია იგი“.

ქუმარბიმ სერთაფსურუპი რომ იხილა, მოიხიბლა ფრიად ქუმარბი ღა ღამით თანაეყო მას.

ღიდ ოკეანეს, მძღავრ ოკეანეს ურვადს უგზავნის ქუმარბი.

მზის საგალობელი

1

დიდება შენდა, მზეო, კაცთა სულებში
იმზირები, მზეო, მალლიდან.
შენს სულში კი არვის ძალუძს მზერა;
თუ კაცი ბოროტებას ჩაიდენს,
ზემოდან ხედავ და განსჯი.
ჩემი გზა სიმართლის გზაა.
მას, ვინც მე უნდა მიმტროს,
დაე ხედავდნენ თვალი შენნი, მზეო!

2

მეუფევე ჩემო, მზის ღვთაებავ,
მოკვდავთა მწყემსო! ზღვით
აღმოხდები შენ, ციურო
მზის დიდო ღმერთო; ცად ამალღების
მზის ღვთაებავ, უფალო ჩემო,
შენ აღამიანზე, ტყის ნადირზე,
ძალსა და ღორზე
ღლეცისმარე სამართალს განსჯი, უთუ დიალო!

3

მზეო, ჰე, მზეო, სამართლიანო, უფალო ჩემო
და განმგებელო! მეუფევე ცისა და მიწის!
ქვეყანას მართავ და სიმამაცეს
ძალას შთაჰბერავ, სამართლიანო!
მზის ღვთაებავ, მარად მოწყალებო,
მარად ღოცულობ შენ!
ღმერთო მოწყალებო, სახიერო,
რარიგ მოწლე ხარ, ო, სჯულიერო!
მარტრდენ მართალს
აღამალღებ შენ, მზეო სახიერო.

დედამშობის ნინგალის ძეო,
 მიაღწიე სიმწიფეს სრულქმნილს,
 ლაქვარდისაა წვერი შენი.
 შეხე, შენ წინ მორთხმულა
 კაცი — მონა შენი და ასე ამბობს:
 „იქ, სადაც მიწა და ცაა,
 სხივნათელი, მზეო, შენა ხარ მხოლოდ!
 გმირო დიდებულო, მზეო სახიერო,
 შენ აწესრიგებ ჩვენს ქვეყანას
 დედამშობის, ნინგალის ძეო!
 მეუფევე, გმირო, სახიერო,
 შენ ერთი ბრწყინავ ღვთაებათ შორის!
 უფლებით დიდით შემოსილი ხარ.
 მეუფეო სამართლიანო,
 მამამთავარო ბნელი ქვეყნისა,
 მზის ღმერთო დიდებულო!
 მამა ენლილმა შენ ჩაგაბარა
 ოთხივე მხარე ქვეყნისა.
 სამართალს განსჯი, დაღლა არ უწყვი,
 მართლმსაჯულო დაუქანცავო!
 ღვთაებათ შორის მხოლოდ შენა ხარ
 ტახტის ღირსი გმირი, მზე სახიერი!
 შენ დააწესებ ღმერთთათვის წესებს.
 გარდასულ ღმერთთაც მხოლოდ შენ ერთი
 დაუსაზღვრავ წილს.
 ციური კოშკის კარი
 ღიაა მხოლოდ შენთვის.
 გამოდიხარ ცის სიმგრგვლიდან, ბრწყინვალევე,
 მარტოოდენ შენ!
 ცათა მეუფენი შენ წინაშე თავებს იღრეკენ
 და მიწის ღმერთნიც შენ გმონებენ;
 თუ სიტყვას ეტყვი, ჰოი, მზეო,
 ღმერთნი მუხლმოდრეკით ლოცულობენ შენზე.
 მფარველობ ობლებს, როგორც ღვიძლთ
 და მისაგებელს შენ ერთს მიაგებ
 ობოლთ, ტვირთმძიმეთ!
 თუ გამთენიას, მზეო,
 ცად აღმადღებდი,
 ზემო ქვეყნებს აცისკროვნებ,
 ქვემო ქვეყნებს აცისკროვნებ,

ქვეყანას სრულად აცისკროვნებ.

შენ ჩვენ ზემოთ ხარ, მწეო.

სამართალსა ქმნი ძალსა

თუ ღორზე, ტყის ნადირზე.

უტყვესა სჯი ცხოველს.

ბოროტის მქნელს და ღვარძლიანს

ღირს სასჯელს მიუზღავ, მწეო.

ადამიანს, მონას' შენსას

იტავ, მწეო.

პურსა და ლუდს შენს სამსხვერპლოზე

მარად შემრგვწირავს ის, მწეო.

შენი მორჩილი მონა — ადამიანი

დაიტავ შენ!

მაგ შენი ეტლის ოთხივე ცხენს

კაცმა, მონამ შენმა, მარცვალი დაუყარა.

თუკი ცხენები მარცვალს შეჭამენ,

ეს შენს სიცოცხლეს მოასწავებს!

პოი, მწეო, გესმის?!

ადამიანი — მონა შენი

ამბობს სიტყვას შენს სადიდებლად.

მას სურს გაიგოს შენი ნათქვამიც.

გმირო დიდებულო, მწეო სახიერო,

შენ შენი ეტლით მიმოივლი

დედამიწის ოთხივე კიდეც.

შენ მარცხნივ დაქრიან შიშნი,

შენ მარჯვნივ დაქრის საფრთხე.

შენ მარჯვნივ დაქრის ბუნენე —

შენი მეეტლე და მართალი მრჩეველი.

შენ მარცხნივ დაქრის მიშარუ

შემწე მართალი და მსახური შენი.

ცას შემოივლი სრულად, ჰე, მწეო!

დედამწის საბავრობელი

ო, დედამიწის ღვთაებავ, მწეო!

როს აუგს ამბობს თავის შვილზე მამა მეფისა,

ნუ უსმენ, ქალღმერთო მზისა!

თუ დედა მეფის უძრახავს რასმე,

ო, მწეო, მეფის დედას ყურს ნუ მიუგდებ!

და თუ ძმანი მეფეს ჰკიცხავენ

არც მათ უსმინო, მზეო.

და თუ დანი მეფისანი მას გაკილავენ,
ნურც დებს მოუსმენ, მზეო!

ნურც მეფის თანამოსაგრეს, ნურცა მეგობარს
მეფისას ნუ მიენდობი,

თუ ავსიტყვობენ!

თვალნი შენნი დედამიწას მიაპყა

და წარბნი შენნი მალლა აზიდე.

თვალმან შენმან მოწყალედ გადმოხედოს

და მეფეს ჩვენსას კეთილი საქმე მოუვლინოს!

ო, დედამიწის მზიურო ღვთაებავ,

მეფეს სასმენნი კეთილმიაპყარ!

ლოცვის სიტყვებს ყური დაუგდე,

მეფეს ბოროტი განარიდე

და განმტკიცდება ქვეყანა ჩვენი.

დაე, იხაროს ჩვენმა მხარემ! მოსავალი

დიდი მოისთვლას, მაშინ ღმერთებს

მსხვერპლი მრავალი შეეწირებათ.

იყავ კეთილი, მფარველო ღვთაებავ,

მიიღე მსხვერპლად პურიც და ღვინოც!

მზის ღვთაებას კი

კეთილი უთხარ მეფის შესახებ.

დედამიწის ციურ ღვთაებას

მეფისათვის წყალობა გამოთხოვე,

და თუ ვინმე — ან დედა მისი, ან მამა,

ანდა ძმანი თუ დანი, ან მეგობარი და ახლობელი

მის აუგს იტყვის — არ მოუსმინო!

კეთილი იყავ, მფარველო ღვთაებავ,

მრჩეველო მზისა.

ნება შენი

შენი სიტყვით აღსრულდეს. ჰამე და სვი!

და დედამიწის მზიურ ღვთაებას

მეფის შესახებ კეთილი უთხარ,

კეთილი იყავ, თარუ!

დედამიწის ციურ ღვთაებას

მეფისათვის წყალობა თხოვე!

და თუ ვინმე — ან დედა, ან მამა,

ანდა ძმანი თუ დანი, ან მეგობარი და ახლობელი

მის აუგს იტყვის, არ მოუსმინო!

აზგაჲი ცათა ზუზუნისა

ისმინონ ღმერთებმა, ცად რომ სუფევენ
და რომელნიც ქვესკნელს არიან.

ისმინონ ძღვევამოსილმა ღმერთებმა

ნარამ, ნაფსარამ, მინქიმ და ამმუნქიმ,

ისმინონ ამმეცალუმ და ძველდღეთა ღმერთებმა,

მამალმერთებმა და დედალმერთებმა.

ისმინოს ანუმ, ანთუმ და ისპარამ,

მამალმერთებმა და დედალმერთებმა;

ისმინოს ენლილმა, ნინლილმა და ყველამ,

ვინც მიჩნეულა იმთავითვე ძღვევამოსილ და ძლიერ ღმერთად:

ოდესღაც იყო მეუფე ცათა, ერქვა ალალუ,

და როს ალალუ ტახტზე იჯდა,

ძლიერი ანუ, ღვთაებათა შორის პირველი

მისი მწდე იყო.

თავდახრით იდგა მის ფერხთით და

საკუთარი ხელით აწვდიდა სასმისს.

რვა წელი იმეფა ალალუმ ცაზე,

და როცა მეცხრე წელი დადგა,

ანუმ ომი გამოუცხადა ალალუს

და სძლია კიდევც.

ალალუ გაექცა მას

და შორეულ ქვესკნელში ჩავიდა.

და ვიდრე ანუ ძღვევამოსილი მეუფებდა,

უკვე ქუმარბი აწვდიდა საჭმელს.

თავდახრით იდგა იმის ფერხთით

და საკუთარ ხელით აწვდიდა სასმისს.

რვა წელს იმეფა ანუმ ზეცაში

და როცა დადგა მეცხრე წელი,

ქუმარბი შეებრძოლა ანუს.

ქუმარბი, ალალუს შთამომავალი

ცაში შეებრძოლა ანუს.

ალარ ძალედვა გაძლება ქუმარბის მზერისა,

ანუ ქუმარბის ხელიდან დაუსხლტა,

ანუ ქუმარბის გაექცა და ჩიტის მსგავსად, ცაში აფრინდა.

მიეწია მაინც ქუმარბი, ფერხთ მოეკიდა და

თრევით ციდან ჩამოიყვანა,

გამეტებით უკბინა მუხლზე და

ჩაიღვარა ქუმარბის გვამში ანუს თესლი.

და როცა თესლი დაითესა ქუმარბის ტანში

როცა ქუმარბიმ შთანთქა ანუს მამრი ძალა,
გამხიარულდა ქუმარბი და გაიცინა.
ანუ მიუბრუნდა ქუმარბის და ასე უთხრა:
„მიზეზი შენი სიხარულისა ჩემში სუფევს,
რადგანაც შთანთქე შენ მამრი ძალა ჩემი არსების.
ნუ მხიარულობ შენი შიგანით,
რადგან შენში შთავეთეს მე მძიმე ტვირთი!
ჯერ ერთი ის, რომ მე გაგვლინთე ტაროსის ღმერთის სიდიადით,
მეორეც, შთაგისახე შენ სხეულში არანცაპა, მძლავრი მდინარე,
რომლის ატანას შენ ვერ შესძლებ.
გარდა ამისა, მე შთაგისახე შენ სხეულში სულდიდი ღვთაება,
თასმისუ.
სამი უძლიერესი ღმერთი შთაგისახე სხეულში!
ასე რომ, წახვალ და შენს სიცოცხლეს
ქვებზე თავის რტყმით დაასრულებ!“
ანუმ შეწყვიტა საუბარი, ცად ამალღდა და მიიმალა.
მაშინ ქუმარბიმ ამოარწყია ყველაფერი, რაც გულზე ადგა.
და მის წინ აღიმართა მთა ქანცურა,
ღმერთთა დიდი საბრძანებელი.
მიაშურა ქუმარბიმ ენლილს.
ენლილი დაუთვლის მას თვეებს,
დარჩენილთ ღვთაებათა დაბადებამდე.
აი, დადგა თვე მეშვიდე,
ღმერთები კი ქუმარბის გვამში არიან ისევ.
ღვთაება ანუ მოუწოდებს ქუმარბის მუცელში ჩასახულ ღმერთთ:
„დასტოვეთ ქუმარბის ტანი, დასტოვეთო ქუმარბის სული,
დასტოვეთო ქუმარბის გვამი!“
და ეხმიანება ანუს ქექა-ქუხილის ღვთაება
ქუმარბის გვამიდან:
„ღღმრავალმც იყავ შენ. ბრძენო, უმაღლესო მბრძანებელო!
მწადსო გამოსვლა, მაგრამ ვერ მიპოვია ადგილი გამოსასვლელი,
შენი სხეულის ნაწილი ვარ;
ღედამიწამ ძალა მიბოძა, ცამ მიბოძა მე სიმამაცე,
ვაუკაცობა ანუმ მაჩუქა, ქუმარბიმ — სიბრძნე.
ცოდნა ღმერთთა ნარამ მომანიქა,
ენლილმა — ღონე,
ღმერთებმა მიბოძეს სიბრძნე და
ყველაფერი, რაც მიბოძეს, ქუმარბიშია.“
ანუ პასუხობს: „ო, დასტოვეთო ქუმარბის გვამი!
მე ვარ ის ანუ, ვინც თქვენ სიცოცხლე მოგანიჭათ.“

გშვით თქვენ ქუმარბიმ, ვით დედაკაცმა.
შენ კი პიროდან გამოდო, ან სასმენელით გამოდო!”

ტაროსის ღმერთმა ასე მიუგო:

„როგორ მივაგნო სასურველ ადგილს,
რომ გამოვიდე ქუმარბის მუცლით?

ლერწამივით გადამამტერეეს ქუმარბი უმაღ,
როცა მიხილავს.

„როგორ დავტოვო ქუმარბის გვამი ისე, რომ არ შევირყენე?
სასმენელით გამოდო!

სასმენელით. რომ გამოვიდე. ხომ შევირყენები?!

ხომ შობს დედაკაცი! ო, როგორ ვიშობო მე?!”

და უპასუხეს მას:

„ქუმარბის ქალას ლოდი გახეთქავს

და ამ ნაპრალში შენ გამოინდები,

ქეჟა-ქუხილის მძლეო ღვთაებავ!”

გაემართა მაშინ ქუმარბი, ეას ეახლა...

მიმართა ეას:

„ეა, მაჩუქე შვილი, როცა გამიინდება...

მე შეეკვამ ბავშვს, ქალად რომ მაქცია,

მე მოვსპობ მას,

გადავთელავ, ვითარცა ბალახს!”

ეამ მიუგო: „ო, ქუმარბი,

ღმერთი უნდა შვა შენ, ქუმარბი!”

ზეიმზე იყო მიწვეული ერთხელ ქუმარბი

და დაინახა მზის ციურმა ღვთაებამ:

ქუმარბის პირში აქვს ლოდი ქუნქუნუცი,

კბილი მოიმტერია ამ ქვაზე ქუმარბიმ,

იყვირა ტყვილისგან ღმერთმა ქუმარბიმ.

შემდგომ თქვა მშვიდად: რად შემეშინდაო?

ეამ კი უთხრა: „ილოცონ ქვაზე, შენ რომ განირიდე!

ტაძარში იყოს ლოდი ქუნქუნუცი, რომელიც შენ განირიდე.

დაე, შემოგწირონ შეძლებულეებმა გმირი და ლაშქარი, ხარი და ცხვარი,

ხოლო ღარიბთა კი ფქვილი — პურის საცხობად!

დაე, განდიდებულ იქნეს ყველასგან ქუმარბის მერე ნაშობი
ლოდი.

ზემო ქვეყნებმა იზეიმონ!

ქვემო ქვეყნებმა იზეიმონ!”

მოილო მდიდარმა ხარი და ცხვარი,

უქონელმა კი — ფქვილი.

მსხვერპლს სწირავენ ქუმარბის!

და ღაბაღა მისი კეფიდან ტაროსის ღმერთი,
ღიდებული და ძლიერი.
მფარველმა ღმერთებმა აიყვანეს ყრმა
მეორედ გაჩნდა არანცაპი, მდინარე ღმერთი.
მესამედ კი — თასმისუ ძლიერი.
მფარველი ქალღმერთები თავს ევლებიან ქუმარბის.
თითქოსდა ქალი ყოფილოყოს,
შველიან ქუმარბის ღმერთთა შობაში.
ქუმარბის მიერ შობილი ღმერთები
გაეშურნენ ქანცურას მთისკენ,
ზაღალი ანუ იყო მხილველი მათი ზესვლისა.

გამოხდა ექვსი დღე-ღამე,
მეეტლე იგი თანაყო დედამიწას.
თესლი თვისი შთაუგლო გვამში
და თვით მეეტლე ცაზე დაბრუნდა:
იყო აბზუში, იქ, სადაც მეფობს ეა ბრძენთა ბრძენი.
გაიყლინთა იქ იგი სიბრძნით.
ეახლა დედამიწა აბზუში ეას.
ყოვლისმცოდნეა ეა, ბრძენთა ბრძენი.
დაუთვალა თვეები დედამიწას
თვე პირველი გადის და მეორე,
თვე მესამე გადის და მეოთხე,
თვე მეოთხე გადის და მეხუთე,
თვე მეხუთე გადის და მეექვსე,
თვე მეშვიდე გადის და მერვე.
თვე მეცხრეც გადის და მეათე თვეს
კივის დედამიწა ტკივილით ატანილი;
და როცა მოიწია ეამი დედამიწამ,
შობა მან ტყუპი.
მოვიდა მახარობელი, ამბავი მოიტანა.
ღვთაება ეა, ტახტზე ზვიადად მჯდარი
ქეთილგანწყობით მიიპყრობს ყურს,
სასურველი ამბავი მომესმა,
დედამიწამ ტყუპი გააჩინაო!
რა სცნა ამბავი სასიკეთო,
მეუფე ეამ ძღვენი მიართვა:
მან ტყუპნი სამოსელით დამოსა,
მან ტყუპებს ვერცხლი უბოძა,
მან ტყუპებს ჯადოსნური თითისტარი უბოძა.

მონალიჩი ქესის ამავე

ქესიმ ცოლად უღებსარისა და ითხოვა. ქალი იგი, სახელად სინია-
ლომენი, საოცრად ლამაზი იყო და ბრწყინვალე სამოსი ეცვა. ქესი მხო-
ლოდ თავის ცოლზე ფიქრობდა. ამიტომაც ღმერთთათვის მათი წილი ახა-
ლი პურისა და სასმელთა შეწირვა შეწყვიტა. მთავიც აღარ დადის ქესის
სანადიროდ და ეუბნება მას ღედა: „შენ მხოლოდ შენი ცოლი გიყვარს;
მთავი სანადიროდ აღარ დადინარ. ჩემთვისაც აღარაფერი მოგაქვს!“

მაშინ აიღო ქესიმ ხის პოროლი, მოუხმო თავის ძაღლს და ნათარას
მთაზე სანადიროდ წავიდა. ღმერთები განურისხდნენ ქესის, რაკი იგი
აღარ სწირავდა მათ სასმელ-საქმელს და უჩინარი გახადეს მისთვის ყველა
ნადირი.

სამი თვე დაჰყო ქესიმ მთებში — ხელმოცარული საკუთარ ქალაქში
ვერ ბრუნდებოდა... მძიმე სენმა შეიპყრო ქესი...

როცა დაბრუნდა, სიზმრები ესიზმრა ქესის (...)

... მესამე სიზმარი ესიზმრა: ნათარას მთაზე ჩიტი აეყვანა.

მეოთხე სიზმარი ესიზმრა — მძიმე ქვა ქუნქუნუცი ციდან ჩამოვარდა
და ქვეშ მოიყოლა ქალი და კაცი.

მეხუთედ ესიზმრა: ღმერთები ცეცხლს აღვივებდნენ.

მეექვსე სიზმარი ესიზმრა: ყელსაბამი ეკიდა მკერდზე, ფეხებზე კი
ქალის სამკლავე ბორკილად ედო.

მეშვიდე სიზმარი ესიზმრა: ქესი ლომებთან საბრძოლველად მიდი-
ოდა, მიიბრინა სახლის კართან და დაინახა, ზღურბლთან გველეშაპები და
ქალდემონები დაჯარულიყვნენ.

როცა გათენდა და მზის ღეთაება მთის გადაღმიდან ამოიწვერა, წამო-
დგა ქესი და დედას უამბო ლამის სიზმრები: „ღედავ, რას ნიშნავს ეს
ყოველივე, უნდა მაცნობო! კვლავ წავიდე ნათარას მთაზე და იქვე დაე-
რჩე?“

ღედამ დაიწყო სიზმრების ახსნა...

მეფე მურსილის ღოცვა შაჰისაგან თავის დასაცავად

ქალაქ ხათუსას ტაროსის ღმერთო, ჩემო მეუფევ, და თქვენ, ო,
ღმერთო, მეუფევ ჩემო! ასე ხდებოდა და ასე ხდება: ხალხი სცოდავს
ღმერთს!

მამამ ჩემმა შესცოდა ერთხელ: მან უღალატა, უფალო ჩემო, სიტყვას
შენსას; მან უღალატა ქალაქ ხათუსას ტაროსის ღმერთისთვის მიცემულ

სიტყვას! მე უბიწო ვარ. მაგრამ ასე ყოფილა: მამის ცოდვა შვილზე გადადის. და მამაჩემის ეს შეცოდებაც ჩემზე გადმოვიდა. მე ვალიარე ეს ცოდვა ჩემი მეუფის, ქალაქ ხათთუსას ტაროსის ღმერთის და სხვა ღმერთების, მეფეთა ჩემთა წინაშე: ეს ასეა და ჩვენ ასე ვქმენით. შემდგომად მისა, რაც ვალიარე მამის ცოდვა საკუთარ ცოდვად, დაე, მოუღბეს გული მეუფეს ჩემსას, ტაროსის ღმერთსა და ღმერთებს, ბატონებს ჩემსას. ო! მოიღეთ მოწყალება ჩემზე და განდევნეთ ჟამი ხეთთა ქვეყნიდან! დაე, ნუ მოკვდებიან ის ქურუმები, პურს რომ სწირავენ და ისინი, საკმეველს რომ აკმევენ!

ხომ ხედავთ! მე ტაროსის ღმერთისთვის ელოცულობ, ჟამისა გაო! მისმინე, ქალაქ ხათთუსას ტაროსის ღმერთო, მეუფევე ჩემო, დამტოვე საღად! ჩიტი გალიას როცა უბრუნდება, გალია უნარჩუნებს მას სიცოცხლეს! თუ მონას რამე შეემთხვა, ის თავის ბატონს მიმართავს თხოვნით. ბატონი მისი მას მოუსმენს და სასმენელთ მისას კეთილმიაპყრობს, — რაც მონას უმძიმს, შეუღმსუბუქებს. მაგრამ თუ მონამ შესცოდა რამე და ცოდვას მისას ბატონთან ის აღიარებს, დაე, გაუსწორდეს ბატონი მას სურვილისამებრ! მაგრამ მას შემდეგ, რაც ის ბატონთან ცოდვას აღიარებს, ბატონი იგი მონას არ დასჯის, რადგან გული მოუბრუნდება! მეც ხომ ვალიარე ცოდვა მამისა, ვით ჩემი ცოდვა. ეს ხომ ასეა!

თუ საჭიროა შურისძიება, ხომ იყო იგი: ჟამი ხომ იყო მრავალჯერადი შურისძიება... ის, რითაც გადაიხადა საზღაური ქალაქ ხათთუსამ ჟამიანობისას, იყო ორჯერადი საზღაური ჩვენი ცოდვისა! დიდი ხნიდანაა ასე. ჩემს ბატონს, ქალაქ ხათის ტაროსის ღმერთს და ღმერთებს, მეუფეთ ჩემსას, გული არ მოუბრუნდათ! თუ რაიმე საზღაური კვლავ გინდათ ჩემგან, გთხოვთ, მამცნეთ სიზმრით და მე გიზღავთ ახალ საზღაურს!

ო. მისმინე, ქალაქ ხათთუსას ტაროსის ღმერთო, მეუფევე ჩემო! განდევნილ უნდა იქნას ჟამი ხათის ქვეყნიდან!

ამბავი მურსილის დამუნჯებისა და ბანაპურებისა

ასე ამბობს მზე მურსილი, დიდი მეუფე: ქალაქ თილქინუნს მივდიოდი, იელვა უცებ, შემზარავად დაიქუნა ტაროსის ღმერთმა. შიშის ზარბ და-მეცა, პირზე სიტყვა შემამრა, ენა დამება და ერთხანს ასეთ ყოფაში ვიყავი.

შემდგომ ამისა გამოხდა ხანი და მოხდა ისე, რომ დამესიზმრა მე ჩემი ყოფა. შემახო ძილში ღვთაებამ ხელი და სამუდამოდ დამენშო ბაგე. მაშინ მივმართე წინასწარმეტყველს და გავიგე, რომ მსიზმრებია. ქალაქ მა-

ნუცციას ტაროსის ღმერთი: ტაროსის ღმერთის წინასწარმეტყველს მივ-
მართე მაშინ და შევიტყვე: რომ ღვთაებისთვის ხარი და ჩიტები უნდა შე-
მეწირა, — სამსხვერპლოზე უნდა დამეწვა, ხარზე ვკითხე და მიპასუხა:
ხარი უნდა მიიყვანო დათქმულ ალაგას, ქუმმანის მხარეს, ღმერთთა ტა-
ძარში.

მოკაზმეს ხარი და მე, მზემ, შევახე ხელი და წაიყვანეს სამსხვერპლო
ხარი ქუმმანის მხარეში. მე კი, მზემ, მუხლი მოვიყარე მის წინაშე. იმავ
დღეს, რა დღესაც მოკაზმეს ხარი, მე, მზე, განვიბანე, ხოლო წინა ღამეს
მე, მზე, განვერიდე ქალის სარეცელს და როდესაც ალიონზე განვიბანე,
მხოლოდ მას შემდეგ შევახე ხელი საზვარაკო ხარს. მას უკან, რაც საზვა-
რაკო ხარი წაიყვანეს, მე, მზე მურსილი, შეიდი დღე ვიბანებოდი წმინდა
წყალში. გამობდა შეიდი დღე, მერვე დღიდან ფრინველების დაწვას შე-
უდგნენ (...).

რა დღესაც შევახე ხელი საზვარაკო ხარს, იმავ დღეს გააგზავნეს სა-
ზეიმო სამოსი, რომელიც მეცვა ჭეჭა-ჭუხილში. სამოსს გააყოლეს
სარტყელი და სატევარი და ხამლი ჩემი. მათ მიადვენეს ცხენებშებმული
ეტლი, მშვილდებითა და ისრებით აღჭურვილი.

რომელ სუფრაზეც ენანობდი, რომელი სასმისითაც ვსვამდი, რომელ
სარეცელზეც ვიწევი, რომელი დოქითაც ხელ-პირს ვიბანდი, რომელ
დგამსაც აქამომდე ეხმარობდი — ყველაფერი ღმერთისათვის უნდა შევ-
ვეწირა. ამიტომ წაიღეს სადღესასწაულო სამოსი, ეტლი და ცხენები და
საზვარაკო ხართან ერხად დაწვეს.

დუმუზის ვენებანი

დუმუზი შემერთული მითოლოგიის ყველაზე ტრაგიკული და ამავე დროს ორქოფული ფიგურაა: იგი მერყეობს ადამიანურსა და ღვთიურს შორის. შესაძლებელია, ამაში მდგომარეობდეს მისი არსებობის ტრაგიზმი. ერთის მხრივ, იგი დიდებული ქალღმერთის, ინანას რჩეულია, შვის ღმერთის, უთუს, სიძე; მეორე მხრივ, უბირი მწყემსი, რომელიც დღენადავ უდაბნოს საძოვრებზეა, სადაც მუდამ საფრთხე ემუქრება; იგი თითქოს ინანას წყალობით ღვთაების რანგში არის ამაღლებული (თავად ამბობს: „მე უბრალო კაცი არა ვარ, მე ქალღმერთის ქმარი ვარ“), მაგრამ ამან ვერ იხსნა მოკვდავთა ბედისგან, უარესიც, ნაადრევად მოესწრაფა სიცოცხლე (ამიტომაც მთელს შუამდინარეთში დუმუზი-თამუზი უდროოდ დაღუპულის სახეა) და, რაც მთავარია, თავად ინანას წყალობით. საგულისხმოა, რომ ერთადერთი ერთგული ადამიანი, განწირული დუმუზისთვის, არის მისი თანამგარძნობელი, მისი სიზმრების ამსნელი დაი გეშფინანა; ერთგულების ფიცს სტეხს მეგობარი (ეშმაკურად ვასცემს მის ადგილსამყოფელს), მაგრამ გეშფინანა მზად არის თავი დასდოს მისთვის. მთელი სიმღერა დური სიყვარულით არც გამთხარა.

ექვს არ იწვევს ამ სიმღერის ფოლკლორული წარმოშობა (განმეორებები, მუარო ფრაზოლოგიზმები, მრავალჯერადი მოქმედებები, ლაკონიზმი, მოტივები). დუმუზი—ინანას ცეკვის სიმღერებს შორის ეს ყველაზე უფრო სრულად და დაუზიანებლად არის ჩვენამდე შემორჩენილი. სათაური „დუმუზის ვენებანი“ მთარგმნელის მიერ არის შერქმეული.

გული ცრემლით ევსება, უდაბნოში მიდის,
მოყმეს გული ცრემლით ევსება, უდაბნოში მიდის,
დუმუზის გული ცრემლით ევსება, უდაბნოში მიდის,
კომბალი მხარზე გადაუდევს, უდაბნოს შებღავის:

„უდაბნოვ, მოთქვამდე! ქაობო, გოდებდე!
კიბორჩხალებო, მდინარეში მოთქვამდეთ!
ბაყაყებო, მდინარეში გოდებდეთ!

დედაჩემი დაიძახებს,

დედაჩემი სირთქრი დაიძახებს,

დედაჩემი, „ხუთი პურიო“, დაიძახებს,

დედაჩემი, „ათი პურიო!“ — დაიძახებს.

ჩემი სიკვდილის დღეს ვერ გაიგებს.

უდაბნოვ, ჩემს შშობელ დედას შეატყობინე,

ჩემს უმცროს დასავით ცრემლი დამიღვარე!“

• ბლავილში მიეძინა, ბლავილში მიეძინა, მწყემსს ბლავილში მიეძინა;
როცა მწყემსს ბლავილში მიეძინა, სიზმრისთვის მიეძინა.

გაეღვიძა: სიზმარი ყოფილა! შეერთა: ძილი ყოფილა!
თვალეები შოიფშენიტა, შეძრწუნდა.

„მომიყვანეთ, მომიყვანეთ, დაი ჩემი აქ მომიყვანეთ!
გეშთინანა მომიყვანეთ, დაი ჩემი აქ მომიყვანეთ!
დაფების მეცნაური მომიყვანეთ, ჩემი დაი აქ მომიყვანეთ!
სიმღერათა მეცნაური მომიყვანეთ, ჩემი დაი აქ მომიყვანეთ!
სიტყვათა მეცნაური მომიყვანეთ, ჩემი დაი აქ მომიყვანეთ!
ბრძენქალღ, სიზმართა მეცნაური მომიყვანეთ, ჩემი დაი აქ მომიყვანეთ!
ჩემი სიზმარი მინდა ვაუწყო“.

„სიზმარი ვნახე, ჩემო დაო, სიზმარი! ჩემს სიზმარში
ჩემ წინ ლერწმები აღმართულიყვნენ,
ჩემ წინ ლერწმები ამოზრდილიყვნენ;
მარტოხელა ლერწამი თავს მიქნევდა,
წყვილი ლერწმიდან ერთი გამეცალა.

ტყეში ხე მაღალი აღმოფხვრილიყო,
ჩემს წმინდა ნაკვერცხალზე წყალი დაღვრილიყო,
ჩემს წმინდა სადღვებელს თავი ახდოდა,
წმინდა სასმისი, კაუჭზე რომ შეკიდა,
კაუჭიდან გადმოვარდნილიყო,
ჩემი კომბალი სადღაც გამქრალიყო.
არწივს ფარებიდან კრავი გაეტაცნა,
ქორს ლერწმის ღობიდან ბელურა გაეტაცნა.
ჩემი ვაცები ლავარდის წვერს მტვერში მიათრევდნენ,
ჩემი ერკემლები მსხვილი ჩლიქებით მიწას მითხრიდნენ.
სადღვებლები პირქვე ეყარნენ, რძე აღარ დიოდა,
სასმისები პირქვე ეყარნენ, ღუმუზი ცოცხალი აღარ იყო,
ფარები განქარებულყო!“

გეშთინანა ღუმუზის ასე უპასუხებს:
„ძმაო, ცუდია შენი სიზმარი, რა ეშველება?
ღუმუზი, ცუდია შენი სიზმარი, რა ეშველება?
შენ წინ ლერწმები რომ აღიმართნენ,
შენ წინ ლერწმები რომ ამოიზარდნენ, —
ყაჩაღები საფარიდან თავს დაგესხმიან.
მარტოხელა ლერწამი, თავს რომ გიქნევდა, —
მშობელი დედა მწუხარებით თავს დაგიქნევს.
წყვილი ლერწამი, ერთი რომ გაგცილდა, —
მე და შენა ვართ, ერთმანეთს დავცილდებით.
ტყეში ხე მაღალი რომ აღმოიფხვრა, —
შენს შემორაგულში მავნენი შეგიპყრობენ.
შენს წმინდა ნაკვერცხალზე წყალი რომ ეღვარა, —
ფარები მღუმარების სახლად გექცევა:“

შენს წმინდა სადღეებელს თავი რომ ახლოდა, —
მავნე კაცები ხელში ჩაიგდებენ.
წმინდა სასმისი, კაუჭიდან რომ გადმოგივარდა, —
შენი მშობელი დედის კალთიდან გადმოვიარდები.
შენს კომბალს, სადღაც რომ გაქრა, —
პატარა მავნე ცეცხლს წაუკიდებს.
არწივმა ფარებიდან კრავი რომ გაიტაცა, —
ავი კაცი სახეში გაგარტყამს.
ქორმა ლერწმის ღობიდან ბელურა რომ გაიტაცა, —
დიდი მავნე ღობიდან მოგეჭრება.
სადღეებლები რომ პირქვე ეყარნენ და რძე არ დიოდა,
სასმისები პირქვე რომ ეყარნენ, —
ღუმუზი ცოცხალი არ იქნება, ფარები განქარდება.
შენი ვალები ლავეარდის წვერს მტვერში რომ მიათრევდნენ, —
ჩემი თმები შენ გამო ცაში იფრიალებს.
შენი ერკემლები მსხვილი ჩლიქებით მიწას რომ გითხრიდნენ, —
შენ გამო ლაწვებს ფრჩხილებით დავიხსოვავ“.

ნათქვამი მის ბაგეს არ მოსცილებოდა, —
„დაო, მთაზე ადი, დაო, მთაზე ადი!
დაო ჩემო, როცა მთაზე ახვალ,
უდარდელი კაცივით ნუ ახვალ.
გულ-ღვიძლი გაიგლიჯე,
სამოსელი და თეძოები დაიგლიჯე.
დაო, მთაზე ადი,
დაო ჩემო, როცა მთაზე ახვალ,
მთიდან გაიხედე:
მავნენი, კაცთა საძულველნი,
მდინარის ნავით ხომ არ მოდიან?
ხუნდები ხელში ეჭირებათ,
უღელი ექნებათ, კაციშვილი რომ ვერ გადაიგდებს!“

გეშთინანა მთაზე ავიდა, გაიხედა,
გეშთინანამ კისერი წაიგრძელა.
მიწა და, ქალი გეშთინანა, რჩევას აძლევს:
„კისრის შემკვრელი კაცები მოდიან,
შენ წინააღმდეგ მოდიან!“
„ჩემო მრჩეველო და, ქალო, უკვე მოდიან?“
„დაგანახვებ კისრის შემკვრელებს!“
„ჩემო ძმაო, შენი მავნენი შენკენ მოდიან“

ბალახებში თავი ჩამალე!

დუმუზი, შენი მავნენი შენკენ მოდიან
ბალახებში თავი ჩამალე!“

„ჩემო დაო, ბალახებში თავს ჩავმალავ!
ნუ გაუმხელ ჩემს ადგილსამყოფელს!
მეჩხერ ბალახში თავს ჩავმალავ,
ნუ გაუმხელ ჩემს ადგილსამყოფელს!
ხშირ ბალახებში თავს ჩავმალავ,
ნუ გაუმხელ ჩემს ადგილსამყოფელს!
არალის არხში გადავეშვები,
ნუ გაუმხელ ჩემს ადგილსამყოფელს!“

„თუ შენი ადგილსამყოფელი გავუმხილო,
შენმა ძაღლმა შემჭამოს!

შაემა ძაღლმა, შენი სამწყსოს ძაღლმა,
შენმა ჭიშინმა ძაღლმა შემჭამოს!“

(ასე ეუბნება გეშთინანა დუმუზის):

„როცა მავნენი ძებნას დაგიწყებენ,
შენი მეგობარი ასე დაარიგე:
მეგობარო, ბალახებში თავს ჩავმალავ,
ნუ გაუმხელ ჩემს ადგილსამყოფელს!
მეჩხერ ბალახებში თავს ჩავმალავ,
ნუ გაუმხელ ჩემს ადგილსამყოფელს!
ხშირ ბალახებში თავს ჩავმალავ,
ნუ გაუმხელ ჩემს ადგილსამყოფელს!
არალის არხში გადავეშვები,
ნუ გაუმხელ ჩემს ადგილსამყოფელს!
(გითხრა, მეგობარმა):

თუ შენი ადგილსამყოფელი გავუმხილო,
შენმა ძაღლმა შემჭამოს!

შაემა ძაღლმა, შენი სამწყსოს ძაღლმა,
შენმა ჭიშინმა ძაღლმა შემჭამოს!“

მეფის წინააღმდეგ ხალხის ბრბო მოდის:
საჭმელი არ იციან, სასმელი არ იციან.
დაფრქვეულ ფქვილს პირს არ აკარებენ,
ძვირფას საბოძვარს ხელს არ აკარებენ,
ცოლს სიხარულით გულში არ იკრავენ,
საყვარელ შვილებს არ კოცნიან.
ცხარე ნიორს კბილს არ აკარებენ,

თევზს არ ჭამენ, პრასას არ ჭამენ.
ორნი ადაბელნი მეფისკენ მოდიან,
ამომშრალი წყლის ნარშავები,
დამყაყებული წყლის ძეძვები,
— ხელი მისი ტაბლაზე დევს, ენა მისი სანახლეშია.
ორნი ურუქელნი მეფისკენ მოდიან,
თავჩასაჭყლეტი ლახტი ჰკილიათ.
ორნი ურელნი მეფისკენ მოდიან,
ბრწყინვალე სამოსელი მოსავთ.
ორნი ნიპურელნი მეფისკენ მოდიან,
„ერთმანეთს მივყვით!“ — ასე იყვირეს,
ბოსელ-ფარეხისკენ გაიჭრნენ,
გეშინანა ბოსელ-ფარეხთან შეიპყრეს;
მდინარე თავის წყლიანად შესთავაზეს, არ მიიღო;
ყანა თავის ხორბლიანად შესთავაზეს, არ მიიღო.

მავნებებმა ერთმანეთში ასე ითათბირეს:

„როდის ყოფილა, დას ძმა გაეცეს?

წვივდეთ, მეგობართან მივიდეთ!“

მაშინ მის მეგობარს

მდინარე თავის წყლიანად შესთავაზეს, მიიღო;

ყანა თავის ხორბლიანად შესთავაზეს, მიიღო.

„ჩემი მეგობარი ბალახში ჩაიმალა,

ოლონდ არ ვიცი მისი სამყოფელი.“

ეძებებს ღუმუზი ბალახებში,

ვერ მოძებნეს.

„მეჩხერ ბალახებში ჩაიმალა,

ოლონდ არ ვიცი მისი სამყოფელი.“

ეძებებს, ღუმუზი მეჩხეთ ბალახებში,

ვერ მოძებნეს.

„ხშირ ბალახებში ჩაიმალა,

ოლონდ არ ვიცი მისი სამყოფელი.“

ეძებებს ღუმუზი მეჩხეთ ბალახებში,

ვერ მოძებნეს.

„არალის არხებში გადაეშვა,

ოლონდ არ ვიცი მისი სამყოფელი.“

არალის არხებში შეიპყრეს ღუმუზი.

ტირის ღუმუზი, ფერგამკრთალი:

„ქალაქში დამ გადამარჩინა,

ხოლო მეგობარმა სასიკვდილოდ გამწირა
ქუჩაში მიგდებულ ჩემს დისწულს მიეფერონ,
ქუჩაში მიგდებულ მეგობრის ბავშვს არ მიეფერონ!

გარსშემოერთყნენ, დამღვარი წყალი აღინეს,
ბაწარი დაუგრიხეს, ბადე მოუქსოვეს,
ხელებზე ხუნდები დაადეს,
მკლავები შეუბორკეს.

მოყმემ ხელი გაიწვავა მაღლა უთუხაკენ:
„უთუ, შენ ჩემი ცოლისძმა ხარ, მე შენი სიძე!
ეს მე ვარ, ენაში საზრდო რომ მომაქვს,
ეს მე ვარ, ურუქში საქორწინო ძღვენი რომ მოვიტანე,
ეს მე ვარ, წმინდა ბაგეებს რომ ვკოცნი,
ეს მე ვარ, ინანას წმინდა მუხლებზე რომ ვროკავ!
ხელებს ქურციკის ხელებად მიქცევდე!
ფეხებს ქურციკის ფეხებად მიქცევდე!
მავნეთაგან თავს დავიხსნიდი.
გამაქციე ქუბირეშ-დილდარეშში!“

უთუმ შეიწყნარა მისი ცრემლები,
შემბრალებელ კაცივით შეიბრალა.
ხელები ქურციკის ხელებად უქცია,
ფეხები ქურციკის ფეხებად უქცია.
ღუმუზი გაექცა თავის მავნეებს,
ქუბირეშ-დილდარეშს თავი შეაფარა.
ექებეს- მავნეებმა, ვერ მოძებნეს.

„წამო, ქუბირეშ-დილდარეშში წავიდეთ!“
ღუმუზი ქუბირეშ-დილდარეშში შეიპყრეს,
გარსშემოერთყნენ, დამღვარი წყალი აღინეს,
ბაწარი დაუგრიხეს, ბადე მოუქსოვეს,
ხელებზე ხუნდები დაადეს,
მკლავები შეუბორკეს.

მოყმემ ხელი გაიწვავა მაღლა უთუხაკენ:
„უთუ, შენ ჩემი ცოლისძმა ხარ, მე შენი სიძე!
ეს მე ვარ, ენაში საზრდო რომ მომაქვს,
ეს მე ვარ, ურუქში საქორწინო ძღვენი რომ მოვიტანე,
ეს მე ვარ, წმინდა ბაგეებს რომ ვკოცნი,
ეს მე ვარ, ინანას წმინდა მუხლებზე რომ ვროკავ!
ხელებს ქურციკის ხელებად მიქცევდე.“

ფეხებს ქურციკის ფეხებად მიქცევდე!
მაგნეთაგან თავს დავიხსნიდი,
ბელილის სახლში თავს შევაფარებდი!“

უთუმ შეიწყნარა მისი ცრემლები,
შემბრალებელ კაცივით შეიბრალა.
ხელები ქურციკის ხელებად უქცია,
ფეხები ქურციკის ფეხებად უქცია.
ღუმუზი გაექცა თავის მაგნეებს,
ბერდელა ბელილის სახლს შეეფარა.
ბერდელა ბელილის სახლთან რომ მივიდა
„ბერდელავ: უბრალო კაცი არა ვარ,
ქალღმერთის ქმარი ვარ!
თუ წყალს ჩამოასხამ, დამალევიან,
თუ ფქვილს ჩამოაფრქვევ, დამაპურე!“
წყალი ჩამოასხა, ფქვილი ჩამოაფრქვია,
ამ დროს სახლში იჯდა ღუმუზი.

ბერდელა ბელილი სახლიდან გავიდა.
მაგნეებმა თვალი რა ჰკიდეს,
თუ არ იცის ბერდელამ ღუმუზის სამყოფელი,
შიშნეულად რად იხედება,
შიშნეულად რად ლაპარაკობს!
„წამო, ბელილის სახლში წავიდეთ!“
ღუმუზი ბელილის სახლში შეიპყრეს,
გარსშემოერტყნენ, დამდგარი წყალი აღინეს,
ბაწარი დაუგრიხეს, ბადე მოუქსოვეს,
ხელებზე ხუნდები დაადეს,
მკლავები შეუბორკეს.

მოყემ ხელი გაიწვავდა მადლა უთუსკენ:
„უთუ, შენ ჩემი ცოლისძმა ხარ, მე შენი სიძე!
ეს მე ვარ, ეანაში საზრდო რომ მომაქვს,
ეს მე ვარ, ურუქში საქორწინო ძღვენი რომ მოვიტანე,
ეს მე ვარ, წმინდა ბაგეებს რომ ვკოცნი,
ეს მე ვარ, ინანას წმინდა მუხლებზე რომ ვროკავ!
ხელებს ქურციკის ხელებად მიქცევდე,
ფეხებს ქურციკის ფეხებად მიქცევდე!
მაგნეთაგან თავს დავიხსნიდი,
წმინდა ფარეხში, ჩემი დის ფარეხში თავს შევაფარებდი!“

უთუმ შეიწყნარა მისი ცრემლები,
 შემბრალებელ კაცივით შეიბრალა.
 ხელები ქურციკის ხელებად უქცია,
 ფეხები ქურციკის ფეხებად უქცია,
 წმინდა ფარებს, თავის დის ფარებს, თავი შეაფარა.
 წმინდა ფარებთან, თავის დის ფარებთან რომ მივიდა,
 გეშთინანამ ცას შეჰკივლა, მიწას ჩაჰკივლა,
 კივილმა ცის კიდენი სამოსივით დაფარა,
 სელის სამოსივით გადაეფინა.
 თვალნი დაიხოკა, სახე დაიხოკა,
 ყურნი დაიხოკა, მკერდი დაიხოკა.
 მუცელი დაიხოკა, თეძონი დაიხოკა.
 „ძაო, შენ გამო ქუჩა-ქუჩა ვიხეტიალებ!“

თუ არ იცის გეშთინანამ ღუმუზის სამყოფელა,
 შიშნეულად რად იხედება,
 შიშნეულად რად კივის!
 „წამო, წავიდეთ ბოსელ-ფარებში!“
 პირველმა მავნემ, ფარებში შესვლისას,
 ურდულს ცეცხლი წაუკიდა;
 მეორემ, ფარებში შესვლისას,
 მწყემსის კომბალს ცეცხლი წაუკიდა;
 მესამემ, ფარებში შესვლისას,
 წმინდა სადღეებელს თავი მოხადა;
 მეოთხემ, ფარებში შესვლისას,
 კაუჭიდან სასმისი გადმოაგდო.
 მეუხთე მავნის შემოაჯლისას
 სადღეებლები პირქვე ეყარნენ, რძე აღარ დიოლა,
 ღუმუზი ცოცხალი აღარ იყო,
 სასმისებრი პირქვე ეყარნენ,
 ფარები განქარებულნი.

განწიროული მუხამსო

ეს მცირე ნაწყვეტი ვრცელი სიმღერის ფრაგმენტია. აქ განსხვავებულად არის წარმოსახული ღუმუზის დევნა ქვესკნელის დემონების მიერ. საგულისხმოა, რომ ღუმუზი აქ იწოდება „გეშინანას ძმად“. (იხ. წინა სიმღერა); ისიც საგულისხმოა, რომ განწიროულ ღუმუზის შეიწყალებენ ღელა და დაი, მაგრამ ინანა, რომლის კალთებსაც იგი უკანსკნელად შეეფარება, გასწირავს მას...

(შუილი მღევარი შემოადგება ღუმუზის ფარებს, ექესი დაურბევს კარმიდამოს, ხოლო მეშვიდე თავზე წაადგება მძინარე მწყემსს):

ჩემო მეფე, შენთვის მოვსულვარ, ადე, წამომყევი!
ღუმუზი, სირთურის ძეგ, ადე, წამომყევი!
ინანას ქმარო, სირთურის ძეგ, ადე, წამომყევი!
გეშინანას ძმავ, თავს რომ იმძინარებ, ადე, წამომყევი!
შენი ცხვარი დაქერილია, შენი კრავები — მოტაცებული,
ადე, წამომყევი!
შენი თხები დაქერილია, შენი თიკნები — მოტაცებული,
ადე, წამომყევი!
მოიხადე წმინდა გვირგვინი, თავშიშველი წამომყევი!
ტანზე გაიხადე შესამოსელი, ტანშიშველი წამომყევი!
წმინდა კვერთხი ხელიდან გააგდე, ხელშიშველი წამომყევი!
ფეხზე გაიძვრე ფეხსამოსელი, ფეხშიშველი წამომყევი!

(ღუმუზი ვედრება მზის ღმერთს, უთუეს, და იგიც გამოაბამს მას ქურციკის ფეხებს, და ვარბის ღუმუზი; მღევრები ბჭობენ):

ხელს ვტაცებთ ღელა სირთურის კალთას შეფარებულს, —
სირთური, მოწყალე ღელა, შეიწყალეგს.
ხელს ვტაცებთ დის კალთას შეფარებულს, —
მისი მოწყალე დაი შეიწყალეგს.
ხელს ვტაცებთ მისი ცოლის, ინანას, კალთას შეფარებულს, —
ინანა, მრისხანე ქარიშხალი, რისხვით შეხედავს...

ი ო ნ ა

1. უფალმა იონა ბენ ამითაის ასე მიმართა:
2. წადი ნინვეს, უდიდეს ქალაქს, და დასძახე, რომ მეც მეუწყა სიავე მათი.
3. იონა კი თარშიშს გაეშურა,
რათა როგორმე ღმერთს გაქცეოდა.
ჩავიდა იაფოს, იპოვა გემი, თარშიშისაკენ მიმავალი,
გადაიხადა მგზავრობის ქირა, ჩაჯდა გემში
სხვებთან ერთად თარშიშისაკენ წასასვლელად.
— ღმერთს გაურბოდა.
4. მაგრამ უფალმა ზღვას აღატყინა ძლიერი ქარი.
ზღვა აღელდა, გემს დამსხვრევა ემუქრებოდა.
5. და შეეშინდათ მეზღვაურებს,
ყველამ უხმო თავ-თავიანთ ღმერთს.
ბარგი, რომელიც გემზე ჰქონდათ, ზღვაში ჩაჰყარეს
სიმსუბუქისთვის.
იონამ კი გემზე მოიკალათა, დაწვა და მყისვე ღრმად ჩაეძინა.
6. უახლოვდება მას მეზღვაურთა მეთაური და ეუბნება:
რა ღროს ძილია?!
- აღეჭ, ილოცე შენი ღმერთის წინ...
იქნებ როგორმე გადაიფიქროს და არ დაგვლუპოს!
7. მეზღვაურებმა ერთმანეთს უთხრეს: წილი ვყაროთ, გამოვიძიოთ,
გავარკვიოთ,
ვისი ბრალია, რომ ჩავეარდით ასეთ საფრთხეში.
ჰყარეს წილი და იგი იონას ჰხვდა.
8. უთხრეს: გვიამბე, გაგვაგებინე,
რაკი შენ გამო ვართ ამ ღლეში;
რას საქმიანობ, საიდან მოხვალ, რომელი ქვეყნით,
რა მოდგმისა ხარ?
9. უპასუხა: ებრაელი ვარ,
ვეთაყვანები უფალს, ცათა ღმერთს,
რომელმაც შექმნა ზღვა და ხმელეთი.
10. შეეშინდათ ძლიერი შიშით
და შეეკითხნენ შეშფოთებით: ეს რა გიქნია?!
- (როცა მისგანვე შეიტყვეს, რომ უფალს გაურბის).

11. და შეეკობხნენ: რა უნდა გიყოთ,
რომ ზღვა დაწყნარდეს?
(ზღვა კი სულ უფრო მძვინვარებდა).
12. იონამ პიუტო: ამიყვანეთ და ზღვაში მისროლეთ, —
ზღვაც დაწყნარდება,
ოადვან კაცი, რომ ჩემი ბრალია ეს დიდი ღელვა,
თავს რომ დაგატყდათ.
13. ხალხმა სცადა ხმელეთისაკენ შემობრუნება,
მაგრამ ვერ შეძლო,
ვინაიდან ზღვა უფრო და უფრო მძვინვარებდა, იმუქრებოდა.
14. უფალს უხმეს: შენ გვედრებით,
ნუ წარვწყმდებით ამის სულის წილ!
სამავიეროს ნუ გვაზღვევინებ მისი უბრალო სისხლისათვის.
შენა ხალხი ღმერთი — რასაც ინდომებ, იმას იქმ კიდევ!
15. ასწიეს იონა, ისროლეს ზღვაში.
და ზღვამ შეწყვიტა მძვინვარება.
16. ხალხი მოიკცა უფლისადმი უზომო კრძალვამ,
საღმრთო შეწირეს მის სახელზე, აღთქმები დადეს.

2

1. განაზნადა უფალმა ღმერთმა დიდი თევზი იონას შთანთქმად.
და დაჰყო იონამ თევზის მუცელში სამი დღე-ღამე.
2. ილოცა იონამ ღვთის წინაშე თევზის მუცლიდან.
3. და თქვა: დაღადეყავ უფლის მიმართ გასაჭირის უამს. (მან შეისმინა):
ქვესკნელიდან შემოგლალადებ, — გესმას ჩემი ხმა!
4. შენ ჩანაგდებ შუაგულში ზღვის მორევისა.
ვისმა ღინებამ გარემოიკცა.
შენი ყველა ზვირთი და ტალღა ჩემზე გადადის.
5. განბობ: ვიქმენ განტეიებული შენს თვალთაგან,
მაგრამ ეგებბის კვლავაც ეიხილო ტაძარი შენი სიწმინდისა.
6. წყალი სულში მწყდა:
უფსკრული არის ჩემ გარშემო,
თავი წამბნარში დამებლანდა.
7. ზღუდეებში ვარ მომწყვდეული.
დედამწამ თავის ჩიხებში მომაქცია სმარადისოდ...
ამოიყვანე ჩემი სიცოცხლე ქვესკნელიდან. უფალე ღმერთო!
მ როდესაც სული ამომდიოდა,
მოვიხსენე უფალი ჩემი.
შენო, მოვალ
ჩენი ღოცვა შენი სიწმინდის ტაძრისკენ არის მოპართული.

9. ცრუ და ამო რწმენის მიმდევართ
თვითვე მოიკლეს მოწყალება.
10. მე კი მადლობით შემოგწირავ შენ,
რაიც აღვითქვი, აღვასრულებ:
ხსნა უფალშია!
11. ებრძანა თევზს უფლისა მიერ
და აღმოიღო იონა ხმელეთს.

3

1. ისევ მიმართა ღმერთმა იონას:
2. აღეკი, წადი დიდ ქალაქს, ნინევს
და მიმართე მას მოწოდებით, რომელსაც მე შენ გიკარნახებ.
3. ადგა იონა, წავიდა ნინევს უფლის ბრძანებით:
და იყო ნინვე ქალაქი ღვთისა, დიდი, სავალი სამი დღისა.
4. დაიწყო იონამ ქალაქში სვლა, ერთ დღეს იარა,
ხალხს მოუხმობდა, ეუბნებოდა:
კიდევ ორმოცი დღე და ნინევს დანგრევა ელის!
5. ირწმუნეს ღმერთი ნინველებმა,
მარხვა დაიწყეს, ძაძა ჩაიცვა ყველამ დიდიდან პატარამდე.
6. და მიაღწია ამ ამბავმა ნინევს მეფემდე.
ტახტიდან ადგა, შემოიძარცვა მან სამეფო სამოსელი,
ძაძა ჩაიცვა, ნაცარში ჩაჯდა.
7. მოუწოდა და უბრძანა ნინევს დიდებულთ თვისი სახელით:
ადამიანი და პირუტყვი, ძროხა და ცხვარი
ნურც შექვამს რასმე, ნურც მოძოვს და ნურც წყალს დაღვეს;
8. დე, დაიბურონ ძაძით თავი პირუტყვმაც და ადამიანმაც,
ღმერთს შეჰლაღადონ გულმოდგინედ, —
9. ვინ იცის, იქნებ მოიბრუნოს უფალმა გული,
უკუაბრუნოს გულისწყრომა
და აღარ წარეწყმდეთ!
10. იხილა ღმერთმა საქმენი მათი,
ვით უკუაგდეს გზა სიავისა
და ინანა, რომ უპირებდა მათ ავის ქმნას
და აღარ უქმნა.

4

1. დამწუხრდა იონა ამის გამო,
ძლიერ ეწყინა.
2. ილოცა იონამ უფლის მიმართ და ასე უთხრა:

- პოი უფალო, განა მეც ამას არ ვამბობდი,
სანამ ვიყავი ჩემს მიწაზე!
- სწორედ ამიტომ ვისწრაფოდი თარშიშს გაქცევად,
მე ხომ ვიცოდი, რომ შენ ხარ ღმერთი
შემწყნარებელი, შემბრალე და დიდსულოვანი,
შენ ხარ აღსავსე მოწყალებით, სიბოროტეთა შემნანებელი.
3. ახლა, უძალო, გთხოვ ამომხადო სული, რადგანაც
სიკვდილი ჩემთვის სიცოცხლეზე უმჯობესია!
 4. უთხრა უფალმა: ასე რად წუხხარ?
 5. გავიდა იონა ქალაქიდან,
დაჭდა ქალაქის აღმოსავლეთით და გაიკეთა იქ ფანჩატური,
მის ჩრდილში დაჭდა,
რათა იქიდან დაენახა, თუ ქალაქში რა მოხდებოდა.
 6. აღმოაცენა უფალმა ღმერთმა იქვე აყირო.
იონას ზემოთ გადაიზარდა საჩრდილობელად,
სიუვისაგან დასაცავად და გაუხარდა იონას ძლიერ.
 7. მეორე დღეს კი, განთიადისას
უფალმა ღმერთმა აყიროს მატლი გაუჩინა,
რომელმაც იგი დახრა, გაახმო.
 8. ხოლო როდესაც მზე აღმობრწყინდა,
ღმერთმა მოჰბერა მწველი ქარი აღმოსავლეთით.
მზემ დააცხუნა იონას თავზე და გათანგა,
ამან სიკვდილი მოანატრა და თქვა იონამ:
სიკვდილი მიჯობს სიცოცხლესო!
 9. კვლავ მიმართა ღმერთმა იონას:
აყიროსათვის წუხხარ ასე?!
- უთხრა: ძალიან დამენანა, უაღრესადო.
10. მაშინ ღმერთმა იონას უთხრა ამის მასუხად:
შენ დაგენანა რაღაც აყირო,
რომელზეც შენ არ გიზრუნია, არ გაგიზრდია.
იგი იყო ერთი ღამისა და დაიღუპა ერთ ღამეშივე,
 11. მე კი არ უნდა დამენანოს დიდებული ქალაქი ნინვე,
რომელშიც არის თორმეტ აფასზე მეტი კაცი,
მარჯვენას რომ მარცხენისაგან ვერ განასხვავებს
და უამრავიც პირუტყვია?!

აკაბული ღიჯერაჯერა

არაბული ზღაპრები

წარმოდგენილი ზღაპრებით ქართველ მკითხველს შეუძლია გაეცნოს სამი არაბულ ჰევენის — ეგვიპტის (ეგვიპტური ზღაპრები), სირიის (სირიული ზღაპრები) და სულანის (სულანური ზღაპრები) არაბთა ხანამედროვე ფოლკლორის ნიმუშებს.

ეს ზღაპრები რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთსაგან ფორმისა და აგებულების მიხედვით, მაგრამ ძალიან ჰგვიანან ერთმანეთს ჰუმანურობითა და ოპტიმიზმით.

წარმოდგენილი ზღაპრების თემატიკა მრავალფეროვანია, მაგრამ მათ შორის უპირატესობს ჯილდოსნურ და ყოფით სიუჟეტებზე აგებული ხალხური თქმულებები.

ეგვიპტური ზღაპრები (არაბ. ჰადუთა) შედარებით გრძელია და ქარბად შეიცავს ფანტასტიკურ ელემენტს. სირიის ჰიქაიათების უმეტესობა ყოფითი ხასიათისაა და ძირითადად აღმზრდელით მიზნებს ემსახურება, ბევრი ცხოვრებისეული მახვილსტყეაობანი. რაც შეეხება სულანურ ზღაპრებს (არაბ. ჰაქუთა), ისინი უფრო ზუსტად ასახავენ ბედუინების ზნეობას.

არაბულ ზღაპრებში გვხვდება ნაცნობი სიუჟეტები და სახეები, მაგრამ წმინდა არაბულ ნაღდავზე გაფორმებულია.

თარგმანები შესრულებულია აბბას ხადარის მიერ კაიროში 1960 წ. გამოცემული არაბული ზღაპრების კრებულიდან, რომელშიც დაუმოყრილია გამოცემლის მიერ სხვადასხვა დიალექტზე ნაწერილი და სალიტერატურო ენაზე გამართული ზღაპრები.

სირიული ზღაპრები

სულთანო... ნონხების ოსტაბი

სულთანი ჰასანი და მისი ვეზირი ბადრ აღ-დინი გადაცემულები მოგზაურობდნენ. სულთანს წყალი მოსწყურდა. გზაზე ერთი სასლის კართან საოცრად ლამაზი ქალიშვილი დაინახა, მივიდა მასთან და სთხოვა, წყალი დამალევინეთ. ქალიშვილი სახლში შევიდა და წყალი გამოუტანა. სულთანმა დალია წყალი, ვეზირმაც დალია. მერე ორივემ გზა განაგრძო.

სულთანმა იკითხა:

— ვისია ეს ასული?

— ერთ-ერთი შენი ქვეშევრდომისაა, ჩემო ბატონო.

— მართლაც რომ მომხიბლავია...

— დიახ, ჩემო ბატონო სულთანო.

ის ღამე სულთანმა თეთრად გაათენა. გულში ამ ქალიშვილის სიყვარული ჩაუვარდა და იმაზე ფიქრობდა.

დილა რომ გათენდა, ვეზირი იხმო და უბრძანა, ამ ქალის მამასთან წადი და ქალიშვილის ხელი სთხოვეო.

ვეზირმა სულთანს ბრძანება შეასრულა. ქალის მამამ ამის თაობაზე შვილის აზრის გაგება მოინდომა და უთხრა:

— სულთანს შენი ცოლად შერთვა უნდა, ო, სით ჰუსნ ვალ-ჯამალ!

— რა ხელობის კაცია?

— რა ხელობა გინდა? იგი ხომ სულთანია?

— არა, არ გავყვები ცოლად კაცს, რომელსაც ხელობა არა აქვს.

ვეზირმა სულთანს სით ჰუსნ ვალ-ჯამალის ნათქვამი გადასცა. სულთანს გაუკვირდა და ვეზირს უბრძანა, ქალს თხოვნა გაუმეორებო, თან უძვირფასესი საჩუქრები გაუგზავნა, იქნება გული მოუღებესო.

მამამ ქალიშვილს უთხრა:

— ო, შვილო ჩემო, სულთანმა უძვირფასესი საჩუქრები გამოგიგზავნა.

— არა, არ მივიღებ. მე ხომ ვთქვი, არ გავყვები ცოლად ისეთ კაცს, რომელსაც ხელობა არ ექნება-მეთქი!

— რაში სჭირდება სულთანს ხელობა? იგი ხომ ყველაფრის მფლობელია!

მაგრამ სით ჰუსნ ვალ-ჯამალი მტკიცედ იდგა იმ გადაწყვეტილებაზე, რომ მხოლოდ ისეთ კაცს გაჰყვებოდა ცოლად, ვისაც ხელობა ექნებოდა.

სულთანი ჰასანი ეცადა დაევიწყებინა ქალი და მისი სიყვარული გულიდან აპოგედო, მაგრამ ვერ შეძლო. პირიქით, ქალის სიკერპემ სიყვარული და მისი შერთვის სურვილი გაუძლიერა.

ერთ ღამეს სულთანს არ დაეძინა. სით ჰუსნ ვალ-ჯამალზე ფიქრობდა. აღარ იცოდა, რა ექნა. მაშინ იხმო თავისი ვეზირი და უთხრა:

— ო, ვეზირო, მირჩიე რამე.

— რჩევა ალაპისაა, ო, მეფეო.

— რას ფიქრობ სით ჰუსნ ვალ-ჯამალზე?

— მე ვფიქრობ, ო, ბატონო ჩემო, სულთანო, რაიმე ხელობა უნდა ისწავლო.

— რა ხელობა ვისწავლო?

ვეზირი მცირე ხანს დაფიქრდა და მერე თქვა:

— ჭეშმარიტად, თქვენი მდგომარეობისათვის ყველაზე შესაფერისი

ხელობა ნოხების ქსოვია, რადგან ეს ფაქიზი ხელობაა და თან დიდებულ ნახელავსაც იძლევა.

სულთანს ჭკუაში დაუჭდა ვეზირის რჩევა და ნოხების ქსოვა ისწავლა. და მაშინ სით ჰუსნ ვალ-ჯამალიც დათანხმდა. მისი ცოლი გამხდარიყო.

პატარძალი საზეიმოდ მიჰკვარეს სულთანს და ქალი ქმართან ზედნიერად ცხოვრობდა.

მაგრამ ზედნიერება ამქვეყნად დიდხანს არ გრძელდება. შაითანმა სულთან ჰასანს სულში ბოროტი აზრები ჩაუნერგა. ასე უთხრა:

— როგორ ითმენ, რომ ნოხების ოსტატი გახდი... შენ ხომ სულთანი ხარ, ყოველივეს ფლობ და ისე განაგებ, როგორც მოგესურვება. როგორ დაჰყევი ქალის ნებას, შენ ხომ ყველაფრის გამგებელი ხარ. გმართებს, რომ გაავდო ეს დედაკაცი, რომელმაც დაგამცირა შენ და ხელოსნის წოდებამდე დაგიყვანა! დილაძე, ხამს, რომ დასაჯო და შური იძიო!

სულთანი ცოლს განურისხდა და სანამ ამ საქმეს გადაწყვეტდა ბრძანა, დილეგში ჩაავდეთო.

ერთ დღეს სულთანი გადაცმული მარტო მოგზაურობდა, ისე შორს წავიდა, რომ მისმა მტრებმა დაინახეს და იცნეს. მაშინვე თავს დაესხნენ და დაატყვევეს. მას ძალიან ცუდად ეპყრობოდნენ.

მაშინ შესთავაზა მათ, ნოხებს მოგიქსოვთ, ამ ნოხებს. გაყიდით და ამით სარგებელს ნახავთ, ოღონდ კარგად მომექეცითო. ისინი დაუბუღდნენ. ხანმა გაიარა. სულთანი უქსოვდა მათ ნოხებს, რომლებსაც ისინი მახლობელ ბაზრებში ყიდდნენ.

მერე სულთანს ერთი აზრი მოუვიდა... და ასე უთხრა:

— ვეზირ ბადრ ად-დინს ძალიან უყვარს იშვიათი ნოხები. მე ისეთ ნოხს მოვქსოვ, მისი მოსაწონი რომ იქნება. გაატანეთ ნოქარს, რომელიც მას ამ ნოხს აჩვენებს და ვეზირი დიდ ფასად იყიდის.

შეთანხმდნენ. სულთანმა ნოხი მოქსოვა და ვეზირ ბადრ ად-დინს წერილი მისწერა, რომლითაც აცნობებდა, სად იყო ტყვედ და როგორ ცხოვრობდა. წერილი ნაცეცში ჩაღო, ნოხი დაახვია და მაგრად შეკრა. ნოქარი დაარიგა, ნოხისათვის ხელი არ ეხლო და არ გაეხსნა, ვიღრე ბადრ ად-დინს არ მიართმევდა, რათა ვეზირი დარწმუნებულიყო, რომ ნოხი ახალი და უხმარიყო.

ბადრ ად-დინს ნოხი მიუვიდა, წერილი გახსნა და სულთნის ადგილსამყოფელი გაიგო. სასწრაფოდ აფრინა მასთან დიდძალი ლაშქარი და მტერთა ხელიდან იხსნა.

სასახლეში დაბრუნებისთანავე პირველი, რაც სულთანმა ჰასანმა გააკეთა, ის იყო, რომ მაშინვე მოაყვანინა სით ჰუსნ ვალ-ჯამალი, ბოდიში მოუხადა იმის გამო, რაც მოხდა და მადლობა უთხრა: ხომ ქალის მიზეზით ისწავლა სულთანმა ხელობა და ამით მტრებისაგან თავი იხსნა.

ამის შემდეგ ცხოვრობდნენ მხიარულობასა და სიამტკბილობაში და ზეერი გოგო-ბიჭიც დატოვეს.

ღამასკოში ერთი კუზიანი კაცი იყო. იმდენი იარა ეჭიმებთან კუზის გასასწორებლად, სანამ უსარგებლო სიარულისაგან ქანცი არ გასძვრა. ასე გაგოხელდა, ვიდრე ერთმა კაცმა არ მისწავლა აბანო, სადაც კეთილი ჯინი ცხოვრობდა, რომელსაც კუზის მოცილება შეეძლო.

კუზიანმა ჯინს მიაშურა. იფიქრა, ვთხოვ, იქნება ეს კუზი გამისწოროს, რომელსაც ვერც ეჭიმებმა და ვერც მკურნალოებამ ვერაფერი მოუხერხაო.

ჯინმა შეხედა მას, აათვალ-ჩაათვალიერა, შემდეგ ფესი გაუწოდა და უთხრა:

— ეს ფესი ფეხზე ჩამოიცივი!

კაცი დაემორჩილა და ფესი ფეხზე ჩამოიცივა. მერე ჯინმა უთხრა:

— ეს ფეხსაცმელი თავზე ჩამოიცივი!

იმანაც ჩამოიცივა. მაშინ ჯინმა კუზიანს შარვალი გაუწოდა და უთხრა:

— ეს შარვალი ხელებზე ჩამოიცივი!

კუზიანი სწრაფად ასრულებდა ყველაფერს, რასაც მისგან კეთილი ჯინი მოითხოვდა და უსარგებლო კამათზე დრო არ დაუჟარგავს.

შემდეგ ჯინმა კაცს შეხედა და უთხრა:

— ახლა წადი და ამიერიდან აღარ იქნები კუზიანი...

და მართლაც, იგბნო კაცმა, რომ ტანი გაუსწორდა. მხრებში გაიშალა, თავი მაღლა ასწია და მაღლიერი და გახარებული წავიდა.

ერთხელ ეს კაცი, ადრე კუზიანი რომ იყო, თავის ამხანაგს შეხვდა, რომელსაც ასევე კუზი ჰქონდა. ეს მეორე გაოცდა და პირველს მისი ამბავი გამოჰკითხა. შეევედრა, კუზის გასწორების საშუალება მეც მასწავლეო. იმანაც აუწერა ამხანაგს აბანო და ჯინი, იქ რომ ცხოვრობდა.

მეორე კუზიანი აბანოში წავიდა. შეხედა ამ ჯინს და სთხოვა, იქნებ ამ კუზისაგან მომარჩინო, როგორც ჩემი ამხანაგო. ჯინმა კუზიანს ფეხი გაუწოდა და უთხრა:

— ეს ფესი ფეხზე ჩამოიცივი!

— ეს როგორ იქნება! განა შეიძლება ფესის ფეხზე ჩამოცმა?! — თქვა ეს. შეხედა ფეხსაცმელს, ჯინს რომ ხელში ეჭირა და განაგრძო კამათი:

— ისლა დარჩა, რომ ეს ფეხსაცმელი თავზე ჩამომაცევა!

როცა კეთილმა ჯინმა იმედი დაკარგა, რომ ამ კუზიანთან რაიმეს ვახლებოდა, გაბრაზებულმა შეხედა მას და უთხრა:

— შენ კამათი გინდა, თუ შენი მდგომარეობის გამოსწორება?!

ჯინი პირველი კაცის კუზს დასწვდა ხელით და თქვა:

— მაშ, აიღე ეს კუზი და შენი კუზის გვერდით დაიდგი!

და კუზიანმა იგბნო, რომ წელსზემოთ კიდევ უფრო მოიხარა, მოისინჯა ზურგი და ორი კუზი აღმოაჩინა... ჯინი კი თვალს მიეფარა!

დაწვრილებული დაბრუნდა ეს კაცი ორი კუზით და ძლიერ ნანობდა თავის საქციელს.

ერთ დღეს მეფე თავისი სამფლობელოს შემოსავლელად წაიღია. არა-ვის რომ არ ეცნო, ვაჭრის სამოსი გადაიცვა. ასე დადიოდა განმარტო-ვებით, ვიდრე საოცარ სანახაობას არ წააწყდა. დაინახა კაცი, რომელიც წყლის გუბეში იღვა, ხელში საცერი ეჭირა და წყალს ცრიდა.

ამან მეფე დიდად გააკვირვა. კაცს მიუახლოვდა და ჰკითხა:

— ო, ადამიანო, რას აკეთებ?

— რალაცას ვეძებ.

— რას ეძებ ასეთი უცნაური ხერხით?

— იმას, რასაც ვეძებდი ყველგან, მაგრამ ვერსად წავაწყდი. ვეძებდი ადამიანებში, ცხოველებში, ფრინველებში, შორეულ მთებსა და ქვიშაში, მხოლოდ წყალიღა დამრჩა და აი, ხომ ხედავ, ახლა ამ გუბეში ვეძებ.

— ამდენად ძვირფასია ეს რალაცა?

— ცხოვრებაში არაფერია იმაზე უფრო ძვირფასი.

— შერედა, რატომ არ მეტყვი, იქნება მიგასწავლო, ან დაგეხმარო მის მოძებნაში.

— ეს გულითადი მეგობარია.

— გულითადი მეგობარი?

— დიახ, სანდო ამხანაგი.

მეფე ჩაფიქრდა ცოტა ხანს და უთხრა ამ კაცს:

— მისმინე, ჩემო მეგობარო, მოეშვი ამ შენს საქმეს და წავიდეთ, მე ვიქნები შენი ერთგული მეგობარი.

მაშინ ეს კაცი გუბიდან ამოვიდა, ამ გადაცმულ მეფესთან ერთად იარა, ვიდრე მეფის სასახლეს არ მიადწიეს... გამწყრივდნენ მცველები, დაუკრეს მუსიკოსებმა, ორივეს მოკრძალებითა და მოწიწებით გარს შემოეხვივნენ ამაღა და მსახურნი.

დარჩა ეს კაცი მეფესთან სტუმრად და იმ ღამეს მშვიდად ეძინა ბედნიერსა და კმაყოფილს, აღსავსეს იმედით, რომ სწორედ ეს მეფე იქნებოდა მისი ერთგული მეგობარი, რომელსაც იგი ამდენი ხანია ეძებდა.

მეორე დღეს მეფე თავის დივანში იჯდა და სამწყსოს საქმეებს განაგებდა. მარჯვნივ ვეზირი ეჯდა, მარცხნივ კი—ეს მეგობარი. ამ დროს მოვიდა ელჩი და მეფეს საჩუქრის ამბავი აუწყა, რომელიც მისთვის ერთ გამგებელს გამოეგზავნა. ეს იყო ძვირფასი თვლებით მოოკვილი სამოსი.

მეფემ შეხედა და განცვიფრდა. ვეზირს უთხრა:

— მომეცი რჩევა, ვეზირო!

— რჩევა ალაჰისაა, მეფეო.

— შეიძლება ჩავიცვა ეს ძვირფასი სამოსი?

— დიახ, ბატონო ჩემო. ეს მართლაც დიდებული სამოსია, სწორედ თქვენი მაღალი წოდების შესაფერია.

მეგობარი ღუმდა. მაშინ მეფე მიუბრუნდა მას და ჰკითხა:

— ჩაიცვა ეს ძვირფასი სამოსი, ჩემო მეგობარო?

— არა, ნუ ჩაიცვამ.

— რატომ?

— ჯერ იმ ელჩმა ჩაიცვას, რომელმაც ეს სამოსი მოიტანა.

მეფემ ელჩს ტანსაცმლის ჩაცმა უბრძანა. ელჩმა მიუგო:

— ეს, კეშმარიტად, ბატონო ჩემო, სამეფო სამოსია და როგორ შეიძლება ჩემისთანამ ჩაიცვას!

მაგრამ მეფემ დაჟინებით მოითხოვა ბრძანების შესრულება.

ელჩი წინ ვერ აღუდგა მეფის ნებას და ტანსაცმელი ჩაიცვა და აი, უცბად მისი სხეული ნაწილ-ნაწილ დაიშალა და სისხლმა დენა-დწყო. ეს დიდებული სამოსი მოწამლული აღმოჩნდა — მზაკვრობა იყო წინასწარ განზრახული მეფის მოსაკლავად. მეფემ გაიხარა მეგობრივი დამოკრიახობითა და გულწრფელობით განცვიფრებული დარჩა.

მეორე დღეს, როცა ჩვეულებისამებრ მეფის დივანში იხსდნენ, ახლა სხვა ელჩმა შემოიტანა საჩუქარი. მეფემ შეხედა თუ არა, გაოცდა და ელჩს უთხრა:

— რა არის ეს?

— ბროწეულია, ბატონო ჩემო.

— ბროწეული?.. ოქროს ბროწეული?

— კეშმარიტად, ეს ნამდვილი ბროწეულია, ოქროსკანიანი. ჩვენში მას ერთი ხე ისხამს, მხოლოდ ერთ ცალს წელიწადში. ჩვენ გვინდოდა, თქვენი უდიდებულესობისათვის მოგვერთმია იგი.

მეფე მარჯვნივ მიბრუნდა და თქვა:

— მირჩიე. ვეზირო, შეიძლება ვკამო ეს ბროწეული?

— დიახ. ჩემო ბატონო, გარეგნულად იგი მშვენიერია და რადგან ასეთი შესახედავია, უეჭველად გემოთიც ტკბილი და გემრიელი იქნება.

შემდეგ მეფე მარცხნივ მიბრუნდა და თქვა:

— ო. ძვირფასო მეგობარო, რად ღუმხარ? როგორ ფიქრობ, შეეკამო ეს ბროწეული?

— არა, ნუ იზამ ამას!

— რატომ?

— უბრძანე ამ ელჩს, პირველად მან შეეკამოს ცოტა...

ელჩმა ბროწეული მოკბიხა თუ არა, წამსვე ტკივილებისაგან დაკრუნხებული მიწაზე დაეცა. ცხადი გახდა, რომ ამ ოქროს ბროწეულში მეფის მოსწამლად შესანი იყო ჩაყოლილი. მეფეს უფრო მეტად შეუყვარდა მეგობარი და მისი ერთგულებითა და სიბრძნით გაოცებული იყო. ყოველნაირად ცდილობდა, გაეხანგრძლივებინა მისი სტუმრობა და რაც შეიძლება დიდ პატივს სცემდა.

მესამე დღეს, ჩვეულებისამებრ, დივანში იხსდნენ. მეფეს ახალი სა-

ჩუქრის ამბავი აუწყეს. ეს იყო წმინდა სისხლის არაბული ცხენი, რომელსაც მწვანე ფარჩაგამოკრული და აღმასებით მოქედელი ბაჯდლო ოქროს უნაგირი ედგა. გულზე ძვირფასი ქვებით მორთული სადავე ჰქონდა. მეფემ ცხენს შეხედა და სიხარულით ფრთები შეესხა, რადგან ცხენების ტრფილი იყო და მანამდე ამის მსგავსი არაფერი ენახა.

ვეზირს უთხრა:

— მირჩიე, ვეზირო!

— რჩევა ალაპისაა, მეფეო.

— რას ფიქრობ ამ ცხენზე?

— ჭეშმარიტად დიდებულია, ბატონო ჩემო. შე არაფერი მინახავს მისი მსგავსი.

მეგობარი ამ სიტყვებმა შეაწუხა, შეშინდა. ცხენის ძლიერი ეინით შეპყრობილი მეფე წინდაუხედავად არ მოქცეულიყო, მაგრამ თავი შეიკავა და შეიტადა, ვიდრე მეფე რჩევას ჰკითხავდა:

— ჩემო მეგობარო, რას ფიქრობ, წინააღმდეგი ხომ არ ხარ, რომ ამ ცხენზე ავმხედრდე?

— ნუ ჩქარობ, მეფეო დიდებულო... არაფერს დავკარგავთ, თუ ცოტას მოვიცდით. ჯერ ეს მოსული შეჯდეს.

— იყოს ისე, როგორც შენ ფიქრობ, სულგრძელო მეგობარო.

და რა უსაზღვრო იყო მათი გაოცება, როდესაც ეს ელჩი ცხენზე შეჯდა და ყველამ დაინახა... როგორ დაალო მიწამ პირი, შთანთქა ორივე და პირი შეიკრა.

ერთ დღეს მეფე და მისი მეგობარი სანდროდ წავიდნენ. შორეული უდაბნოსაკენ გაემართნენ. დაედევნენ ქურციკს, მისდიეს, ვიდრე ღრმად არ შევიდნენ უდაბნოში და დიდი მანძილი არ გაიარეს. მეფემ მეგობარს უთხრა:

— აბა, ჩქარა, უნდა დავებრუნდეთ, რადგან ჩემი სამეფოს საზღვარი უკვე გადავიარეთ!

— მაგრამ მანძილი, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ, დიდია და უკან დაბრუნებას რამდენიმე დღე უნდა. საკვები და წყალი, თან რაც გვქონდა, გამოილია. უკან თუ დავებრუნდით, შიმშილისა და წყურვილისაგან დავიღუპებით.

— აბა, რას მირჩევ, ჩემო მეგობარო?

— გახედე იქით, ხედავ იმ კოშკს, ცის კიდეზე რომ მოჩანს?

— კი, ვხედავ.

— რას იტყვი, იქითკენ რომ წავიდე და მის მკვდრთ ცოტა სუკრელი და წყალი ვთხოვოთ?

— მაგრამ იგი ხომ ჩემი სამფლობელოს გარეთაა!

— მე ვიცნობ იქაურებს. ისინი სულგრძელი და კეთილი ხალხია.

— მაშ, წავიდე თქარა!

როგორც კი მიუახლოვდნენ, დაუკრეს მუსიკოსებმა, გამწკრივდნენ მცველები და ყველა იქ მყოფი უდიდესი პარტივისციებით და უმდაბლესი საღმით შეხვდა მათ.

გაოცდა მეფე, მაგრამ მეგობარმა დაასწრო მას და უთხრა:

— შენ მეფე ხარ და მეც მეფე ვარ. ეს ჩემი სამფლობელოა და ეს ჩემი სასახლეა. მე შენი სტუმარი ვიყავი დიდხანს. ახლა აუცილებელია, პატივი დამლო და ჩემთან დარჩე სტუმრად, რათა კიდევ რამდენიმე დღე ერთად გავატაროთ. ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.

და დარჩა პირველი მეფე სტუმრად მეორე მეფესთან. აქაც ისევ ისხდნენ დივანში, როგორც იქ. ამ ქვეყანაში ასეთი წესი იყო: ძვირფას სტუმარს თვით მასპინძლის ცოლი ემსახურებოდა, რა წოდებისაც უნდა ყოფილიყო ქალი.

ერთ დღეს მასპინძელმა მეფემ თავის სტუმარ მეგობარ მეფეს ნებართვა სთხოვა, ერთი დღით დაგტოვებო. თავისი სამფლობელოს ერთ-ერთ მხარეში მნიშვნელოვანი საქმე უნდა გადაეწყვიტა, რაზეც ამ ქვეყნის სიკეთე იყო დამოკიდებული. ასე უთხრა:

— რამე რომ დაგპირდება, ეს კვერთხი ამ დოღს შემოჰკარი, ჩემი ცოლი მოვა და ყველა სურვილს შეგისრულებს.

— გმადლობთ, მეგობარო, წადი და მშვიდობით დაგვიბრუნდი!

სტუმარ მეფეს განბანვის წესის შესრულება მოუწია. დოღს კვერთხი შეჰმოჰკრა და მასთან მასპინძლის ცოლი გამოვიდა, საოცრად ლამაზი და ზოპხიბლავი. ძვირფასი ტანსაცმელი ამშვენებდა, დიდებული აბრეშუმის სამოსი ეცვა, რომლის გრძელი კალთა უკან მიეთრეოდა. ქალმა ტკბილი, ნაზი ხმით უთხრა:

— მზად ვარ შენდა სამსახურად.

— განბანვას ვაპირებ.

მაშინ ქალმა ბაჯაღლო ოქროს ტაშტი და სურა მოიტანა და ამ სურვილს დასრულდა დაუხსნა. როდესაც ხელის ბანას მორჩა, მეფემ მიმოიხედა, მაგრამ ხელსახოცი ვერ დაინახა, ქალმა უთხრა:

— შეიმშრალე ჩემი კაბის კალთაზე!

— მაპატიეთ, ჩემო ქალბატონო!

— ეს ჩვენი ადათია — ძვირფასი სტუმრის პატივსაცემად.

სტუმარი მეფე ქალის სილამაზემ დააბრმავა, გულში შაითანი შეუძვრა, ხელი კაბის კალთისაკენ გააპარა და ქალის წვივს შეეხო.

ქალი წამსვე გაუჩინარდა.

ძალიან ინანა მეფემ. თავისი საქციელი, სასახლიდან გავიდა და უგზო-უკვლოდ ხეტიალს მოჰყვა. ირგვლივ ვერაფერს ხედავდა. ისე რომ, ისევ იმ გუბის წინ აღმოჩნდა, სადაც თავის მეგობარს პირველად შეხვდა.

და დაინახა კაცი. ერთგულ მეგობარს რომ ეძებდა, იმავე მდგომარეობაში — წყალს ცრიადა.

იყო და არა იყო რა, უძველეს დროში... ახლა, ვიდრე დავიძინებდეთ, მოვყვებით ამბავი, ვახსენოთ მუჰამედი, — მშვიდობა მას და ლოცვა-კურთხევა!.. სირიძს ქვეყანაში ერთი ახალგაზრდა ვაჭარი ცხოვრობდა. მამამისი ვაჭართუხუცესი იყო. მისგან მემკვიდრეობით ბევრი ფული და დიდძალი საქონელი მიიღო, მაგრამ ცხოვრების ნებიერს ვაჭრობისა არა გაეგებოდა რა. საქმეს კარგად ვერ გაუძღვა. ცუდი ნათესავეებისა და გამორჩენის მაძიებელი მეგობრების რჩევა-დარიგებების წყალობით ბოლოს სულ გამოეღია ქონება და გაკოტრდა.

როდესაც თავის ქვეყანაში ძალიან გაუჭირდა, გადაწყვიტა, შორეულ ქვეყნებში წასულიყო, იქნებ იქ მაინც ვიშოვო საჩხო-საბადებელიო.

ვაჭარს ლამაზი ცოლი ჰყავდა, რომელზეც ძალიან ეყვიანობდა. ვერ იტანდა, სხვა კაცს რომ შეეხედა, მაგრამ შორეულ მგზავრობაში მისი თან წაყვანა არ შეეძლო. ამიტომ იგი შინ დატოვა და ერთგული და ღონიერი ძალი დარაჯად მიუჩინა. ძალს სახელად ქუთი ერქვა. ძალი სახლის ეზოში დააბა და ხაბაზს, ყასაბს, მემწვანილესა და მერძევეს დაუბარა, ყოველ დათქმულ დღეს მის სახლში მისულიყვნენ და სანოვავე მიეტანათ. ქუთს კი სამყოფი საკმელი დაუტოვა და ცოლს უთხრა:

— სახლიდან არაერთი საბაბით არ გამოხვიდე, ნურც შენთან დაუძახებ ნურავის, ქუთი დაგიცავს შენ და შენი ერთგული იქნება. ხაბაზო, ყასაბი, მემწვანილე და მერძევე მოვლენ შენთან და, რაც გჭირდება, ყველაფერს მოგიტანენ.

ერთ დღეს ქალი ბანზე ავიდა სარეცხის გასაფენად. ამ დროს მეფის ვაჟიშვილი სასახლის ბანზე, სუფთა ჰაერზე, გამოსულიყო. შეხედა ქალს და გულს ისეთი კაეშანი შემოაწვა, თითქოს გულმკერდის ნექნები დაემსხვრაო. გუნება გამოეცვალა, დამწუხრდა და ფერი დაკარგა. არც ხმას სცემდა ვინმეს და აღარც ჰამდა.

როდესაც დედამისმა ასეთ მდგომარეობაში ნახა, რა გჭირსო, ჰკითხა. შვილმა უპასუხა:

— არაფერი.

— შვილო ჩემო, ავად ხომ არა ხარ?

— არა.

— შეცვლილი მეჩვენები. გულახდილად მითხარი, რაზე დაღონებული ხარ?

მეფისწული დუმდა და არაფერს პასუხობდა. დედამ შვილის გასართობად მუსიკისა და სიმღერის დღესასწაული მოაწყო. მეფის ვაჟი ამას არაფერად ავადებდა. არც მუსიკა და არც სიმღერა მის გულს არ ეკარებოდა. მაშინ დედამ მას მეფის მთხრობელი და მასხარა მოჰკვარა. მასხარამ მთელი თავისი ნიჭი მოიხმარა, რა ხუმრობას არ იგონებდა, მაგრამ

მეფის ვაჟი ვერაფერმა გაამხიარულა. ბოლოს მისმა მოხუცმა გადიამ/ დაიმარტოხელა და უთხრა:

— გამიგონე... მე შენი გადია ვარ, შენთვის ძუძუ მიწოვებია და გამიზრდინხარ. გამაგებინე, რა გინდა... შეყვარებული ხომ არა ხარ? მითხარი, ვინ არის ის, ვისაც მოუცავს შენი გონება, შენი მდგომარეობა შეუტყვლია. პირობას გაძღვევ. რომ მას შენთან მოვიყვან.

მაშინ მეფის შვილმა მას ყოველივე გაანდო და აუწერა ვაჟრის ცოლის სახლი, ვინც ასე მოხიბლა და მისი გული დაატყვევა. გადიამ უთხრა:

— ნუ დარდობ, ამ საქმეს მე მოვაგვარებ.

როდესაც მეფის შვილმა და მოხუცმა ქალმა გაიგეს ძაღლის ამბავი, ვაჟრის სახლს რომ დარაჯობდა, ვაჟმა გამდელს უთხრა:

— თან წაიღე პურები და ქათამი და გადაუგდე ძაღლს.

დედაბერმა ვაჟრის სახლს მიაშურა და კარზე დააკაკუნა. ძაღლმა დაძყეფა. მოხუცმა უთხრა:

— ო, ქუთ... ქათამი და თეთრი პურები მოგიტანე. სამაგიეროდ, თავი მოიმძინარე.

ერთგულმა ძაღლმა უპასუხა:

— ქუთი არაა ვერაგი. მისმა ბატონმა მას პურიცა და ერთი თეფში საკმელიც მოუზომა.

დაბრუნდა გამდელი მეფის შვილთან და უამბო ეს ამბავი. მეფის შვილმა უთხრა:

— წადი და მიუტანე ერთი თეფში ბაქლავა.

წავიდა დედაბერი და სცადა. ძაღლი ტკბილეულით შეეცდინა, მაგრამ ქუთმა უწინდებურად გაბრაზებულმა უკან მიუგდო კალათი და დედაბერი იმედგაცრუებული დაბრუნდა.

მაშინ მეფის შვილმა გადაწყვიტა, თვითონ წასულიყო და ძაღლი დაეშინებინა. წაიღო თან მსხვილი და გრძელი კეტი და კარზე დააკაკუნა. ძაღლმა შეუყეფა.

— ო, ქუთ, მსხვილი კეტი მოგიტანე, რომ პირში ჩაგჩარო და სივრძე სიგანედ მოგიქციო.

ძაღლმა უპასუხა:

— ქუთს გრძელი, მსხვილი კეტის არ ეშინია, ფიცს არ გასტეხს, ალტქმის ერთგულია.

ვაჟრის ცოლმა ეს სიტყვები და ყველა გარგონა, მეფის შვილს შეხტდა და ქუთს უთხრა:

— ო, ქუთ... თავი გაანებე... გადმოვიდეს ჩემთან... ცოტას წავეთამაშებე შანდი-ბანდისა... ჩემს მკლავს თავქვეშ ამოვუდებ... და ვაცეკვებ როგორც ქურციკსა...

ქუთმა უპასუხა:

— რომ მცოდნოდა, შენ ასეთი მრუში იყავი, არ გავაგდებდი მას

კვირილითა და ყეფით. ჩემს პატრონს გზაზე დაგეწოდი და ყველაფერს
ლოყუყუებოდი.

თუთა... თუთა... დამთავრდა პადუთა...

კარგია თუ ცუდი...

თუ იქნება იგი კარგი, მე შენ გაქმევ ხორცის კვერსა,
და თუ იტყვი, არ ვარგაო, ჩამოგკიდებ თუთის ხესა...

მ ბ ვ ი კ ტ შ რ ი ზ ლ ა კ რ ე ბ ი

სილსილა და უმე ზაზიზა

სილსილა დედას ჰყავდა. მასავით კეთილი იყო. უყვარდა ყოველი
სულერი და უსულო. არავინ სძულდა და არც არავისი შურდა, გულით
ბოროტებას არ დაატარებდა.

სილსილას დედას ერთი ძროხა ჰყავდა, რომელიც ძალიან უყვარდა
და კარგად უვლიდა. ეს ძროხა ლამაზი და თვინიერი იყო, ადამიანს
სულში ნდობასა და სიმშვიდეს უნერგავდა.

სილსილას დედა ლოგინად ჩავარდა, სიკვდილის მოახლოება იგრძნო
და თავის ქმარს, აბუ სილსილას, ანდერძად დაუბარა: ძროხას ყურადღე-
ბას ნუ მოაკლებ და ჩვენს ქალს შეუნარჩუნეო.

მოკვდა დედა. დამწუხრდა სილსილა ისევე, როგორც მამამისი.

სილსილა ჯერ კიდევ პატარა გოგო იყო. მათ მეზობლად ერთი ქალი
ცხოვრობდა, რომელსაც სილსილა გულით ებრალებოდა. ქალმა ამ სახ-
ლში სიარულს მოუხშირა. ოჯახის საქმეებზე ზრუნვა დაიწყო. ამ კაცსა
და მის ქალიშვილს ემსახურებოდა. როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა,
იტყოდა ხოლმე, სილსილას დედა ჩემი დიდი მეგობარი იყო და რაც არ
უნდა გავაკეთო მისი ქალიშვილისა და ქმრისათვის, ჩემი მეგობრის
ხსოვნის შესაფერისი მაინც ვერ იქნებაო.

მათ სხვა მეზობელი ქალიც ჰყავდათ. — ამინა ყაჯუზი. იგი სილსილას
მამას აგულიანებდა, ცოლი შეერთო და ეუბნებოდა:

— ამ ქალზე უკეთესს, რომელიც შენ და შენს ქალიშვილს გემსა-
ხურებათ, ვერასოდეს ნახავ. იგი ყველაზე კარგია მათ შორის, ვინც
სილსილას დედის ადგილი შეიძლება დაიკავოს.

ასე რომ, ეს კაციც ყაბულს გახდა. შეერთო ის მეზობელი ქალი და
ბედნიერი იყო, მეტადრე როცა ხედავდა, რომ ეს ქალი მის საყვარელ
ასულს ზრუნვას არ აკლებდა:

გავიდა ხანი და დედინაცვალს ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც უმე
ზაზიზა დაარქვა.

დიდება შემოქმედს, რამეთუ ძალუძს შექმნას რაიმე და მისი საბი-
რისპირო... რამდენადაც სილსილა ლამაზი და მშვენიერი იყო, იმდენად
გონჯი და შეუხედავი გაჩნდა უმე ზაბიბა.

დედინაცვალი თანდათან შეიცვალა სილსილას მიმართ. — ყოველთვის,
როცა დაინახავდა, რა დიდი განსხვავება იყო სილსილასა და თავის ქა-
ლიშვილს უმე ზაბიბას შორის, რამდენად ლამაზი იყო ერთი, ხოლო
მანხინჯი — მეორე, მისი ბოროტება და სიძულვილი სილსილასადმი უფ-
რო ძლიერდებოდა.

დედინაცვალი და მისი ქალიშვილი გემრიელ საჭმელს მიირთმევდ-
ნენ, სილსილას კი გადასაყრელს და ნარჩენებს აძლევდნენ.

სილსილამ ამ კეთილი ძროხის გარდა ვერაფერს ნახა ისეთი, ვისაც
თავის გაჭირვებას შესჩივლებდა. ერთხელ წაუღო მას იმ ქათმის ძვლე-
ბი, რომლის ხორციც დედინაცვალმა და მისმა ქალიშვილმა შექამეს,
სილსილას კი მხოლოდ ეს დაუტოვეს და უთხრა:

— ო, ჩემო ძროხავ, ო, ჩემო ძროხავ, ო, ჩემი ნენას გაზრდილო,
შეხედე, რას მიძლევს დედინაცვალი.

ძროხამ უბასუხა:

— მოიტა აქ ეს ძვლები, მე ამას შევკვამ და ქათმად გადაგიქცევი!

ასე იქცეოდა ყოველთვის. აიღებდა სილსილა ამ ნარჩენებს და უფარ-
გის საჭმელს, რასაც დედინაცვალი აძლევდა და ძროხასთან მიჰქონდა,
ძროხაც შექამდა და მშვენიერ გემრიელ საჭმლად გადაუქცევდა.

გაბოროტებულმა და გაკვირვებულმა დედინაცვალმა შენიშნა, რომ
სილსილა კიდევ უფრო ჯანმრთელი და მშვენიერი ჩანდა მაშინ, როდესაც
მისი ქალიშვილი უმე ზაბიბა გამხდარი და გაყვითლებული გამოი-
ყურებოდა, მიუხედავად იმისა, რომ დედა მას საუკეთესო საჭმელს ურ-
ჩევდა.

ერთ დღეს დედინაცვალმა სილსილას ულუფად საჭმლის ნარჩენები
რომ მისცა, სილსილამ ჩვეულებისამებრ აიღო და ძროხას წაუღო. დე-
დინაცვალი ფეხაკრეფით უკან გაჰყვა, რომ ენახა, რას იზამდა სილსილა.
მან დაინახა, მოისმინა და გაიგო ყოველივე.

გაცოფდა ძროხაზე და ეს ამბავი ამინა ყაჭუზს უამბო. მანაც ურჩია:
ფეხმძიმობა მოიგონე, მიზეზიანობა დაიწყე და ქმარს უთხარი, ჩემი სუ-
ლი ამ ძროხის დვიძღვია-თქო. მაშინ ქმარი იძულებული გახდება ძროხა
დაკლასო.

სილსილამ ყველაფერი გაიგონა, ძროხა უნდა დაეკლათ. ძალზე და-
ღონდა, ძროხასთან წავიდა და ტირილით უამბო ყოველივე.

ძროხამ უთხრა:

— ნუ ტირი და ნუ წუხნარ. მას შემდეგ, რაც ჩემს ხორცს შექამენ,
ძვლები თითო-თითოდ აკრიფე და ერთად შეაგროვე. დამით ამ ხის ქვეშ
დადე და დამალე, მე მამლის სახით დაებრუნდები!

სილსილა ძროხის ხორცს სულ არ მიჰკარებია. მხოლოდ ძვლებს შეგროვებდაჲც ფაქრობდა მერე ისე მოიქცა, როგორც ძროხამ დაარიგა. დილა რომ გათენდა, სილსილამ ხის ქვეშ მშვენიერი მამალი ნახა, რომელიც მას ყვილით მიესალმა. ქუ, ქუ... ქუ, ქუ...

რაც უფრო იზრდებოდა სილსილა, ჯანით ივსებოდა და მშვენიერდებოდა, უმეზაბიბა კი პირიქით, უფრო საზიზღარი და მახინჯი ხდებოდა. ამას რომ ხედავდა, დედინაცვალი ბევრს ფიქრობდა და ბოლოს გადაწყვიტა, სილსილა თავიდან მოეშორებინა. ეს გადაწყვეტილება ამინა ყაჯუხს შეატყობინა და მანაც სილსილას თავიდან მოსაშორებლად ხერხი ასწავლა, თავი მოიავადმყოფეო.

დედინაცვალმა ლავაშები დააცხო, გამოაშრო და ლოგინში ჩაიწყო. ყოველი გადაბრუნებისას ლავაშებს ტყაცატყუცი გაჰქონდათ. ქმარს შესჩივლა:

— ოჰ, ჩემი ძვლები, ძვლები მემტვრევა. მე ნამდვილად მოკვდები, ეჭვი არაა!..

შეწუხდა ქმარი. დახმარებისათვის ამინა ყაჯუხს მიმართა და უთხრა:

— ო, ამინა ყაჯუხ, ხომ არ იცი რაიმე საშუალება, ჩემი ცოლი რომ მოაბრუნოს?

დედაბერმა ეს საშუალება ასწავლა — დედინაცვლისათვის უნდა აებოლებინათ სამი ღერი თმა ამინა ღულას თავიდან. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამინა ღულასთან სილსილა უნდა წასულიყო და მისგან სამი ღერი თმა მოეტანა. დედაბერმა სილსილას ღულას სამყოფელი მიასწავლა. იგი არც ისე შორს იყო.

მამა უარზე იდგა, მაგრამ სილსილა მაინც უნდა წასულიყო, რადგან ასეთი იყო დედაბერის რჩევა. და იგიც იმ გზას გაუდგა, დედაბერმა რომ მიასწავლა.

ცოტაც არ გაევილო, რომ გზის ნაპირას რძიანას ხე დაინახა და წამოიძახა:

— ღმერთო! რა ლამაზია ეს გრძელი რძიანას ხე!

რძიანამაც უპასუხა:

— სულო ჩემო... ალაპიმც მისცემს ჩემს სიგრძეს შენს თმებს და არა შენს სხეულს!

სილსილამ გზა განაგრძო. ახლა ვაშლის ხის ტოტზე ნაყოფი დაინახა და წამოიძახა:

— ღმერთო! რა ლამაზია ეს წითელი ვაშლები!

ვაშლმა უპასუხა:

— სულო ჩემო... ალაპიმც მისცემს ჩემს სიწითლეს შენს ლოყებს და არა შენს თვალებს!

ისევ განაგრძო გზა. ახლა თეთრი ყვავილებით გადაპენტილი უცვეთელ დაინახა და წამოიძახა:

— ღმერთო! რა ღამაზია უცვეთელას ყვავილები ახლადამოყრილ ყლორტებზე!

უცვეთელამაც უპასუხა:

— სულო ჩემო... ალაპიმც მისცემს ჩემს სითეთრეს შენს სახეს და არა შენს თმას.

და ასე იარა გახარებულმა, გული რომ კარგს უგრძნობდა.

ამ დროს სილსილა ყვავმა დაინახა და მის თავზე კამარა შეკრა. როცა ქალიშვილი გზის კიდეს მიუახლოვდებოდა, ყვავი ფრთების ქნევით მას უკან აბრუნებდა. სილსილამ წამოიძახა:

— რა მოხდენილია ეს შავი ყვავი!

ყვავმაც უპასუხა:

— სულო ჩემო... ალაპიმც მისცემს ჩემს სიშავეს. შენს თვალებსა და თმას და არა შენს სახეს!

როდესაც სილსილამ ღულას სამყოფელს მიაღწია, უთხრა მას:

— მშვიდობა შენდა, ო, ამინა ღულა!

— შენი სალამი რომ არა... აუცილებლად შევეკამდი შენს ხორცს და გადავყრიდი შენს ძვლებს. რა გინდა?

— მინდა, სალამი გითხრა და შენი ამბავი ვიკითხო.

სილსილა ღულას სახლში შევიდა. შიგ უწყესრიგობა სუფევდა, სიბინძურე და საშინელი სუნი ტრიალებდა. სილსილამ სახლი დაგავა და დააღაგა. თან ირგვლივ სიხარულსა და ბედნიერებას აფრქვევდა. ბოლოს ღულას მიუახლოვდა, ამ დროს ხუჭუჭ თმას რომ ივარცხნიდა და უთხრა:

— მომეცი, ამინა ღულა, ეს სავარცხელი, დაგვარცხნო.

სილსილა ღულას თმის ვარცხნას შეუდგა და თან ეუბნებოდა:

— ღამაზი თმა გაქვს, ო, ამინა ღულა...

— სულო ჩემო... ალაპიმც გადააქცევს შენს ყოველ სიტყვას ძვირდას ქვად.

თმის ვარცხნისას სილსილამ ღულას თავიდან სამი ღერო თმა ამოაძრო და დამალა.

შემდეგ დატოვა ღულა და უკან გამობრუნდა.

გზაზე მდინარისაკენ გადაუხვია. უნდოდა წყურვილი მოეკლა და ნაპირზე დაესვენა. უეცრად შორიდან მხედარი დაინახა, რომელიც ტაიკზე იჯდა და მონებითა და მსახურებით იყო გარშემორტყმული: სილსილა სწრაფად გაეცალა იქაურობას და ვიდრე ვინმე დაინახავდა, მდინარის პირას მდგარ ხეზე ავიდა და მის ტოტებში დაიმალა.

მხედარი თავისი ცხენის გვერდით ამ ხის ქვეშ გაჩერდა და ცხენს დაუსტივინა. წყალი დალიერ. მაგრამ ცხენმა წყალში სილსილას გამოსახულება დაინახა და უკან ისკუპა. ჰაბუკმა მხედარმა მიმოიხედა, ჩემი ცხენი რამ დააფრთხორ და სილსილას მშვენიერ და მომაჯადოებელ გა-

მონახულებას მოჰკრა თვალი. თავი მაღლა არ აუწევია, რომ სილსილას არ შეშინებოდა. მერე მისკენ მზერა გააპარა და განაცვიფრა მისმა სილამაზემ, რომლის მსგავსი არასოდეს ეხილა: გრძელი შფი თმა, ყირმიზის სახე, წითელი ღაწვები, წერწეტი ტანი, წერილი წელი.

კაბუჯი მხედარი გაეცალა იქაურობას და თავის ერთ-ერთ თანმხლებს უბრძანა, სილსილასათვის თვალი ედევნებინა, უკან გაჰყოლოდა, რომ მისი სახელი გაეგო.

ეს მხედარი უფლისწული იყო.

როცა სილსილა შინ მშვიდობით დაბრუნდა, დედინაცვალი გაოცდა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ სილსილას ღულა შექამდა. სილსილა კიდევ უფრო გალამაზებული რომ ნახა, სულ გადაირია. როცა სილსილას ლაპარაკისას პირიდან ძვირფასი ქვები გადმოსცივიდა, დედინაცვალმა გოცებისაგან კინალამ გონება დაკარგა.

მერე გამოკითხა, თუ რა შეემთხვა ღულასთან და სილსილასაც ყველაფერი უამბო.

დედინაცვალმა მოინდომა, მის ქალიშვილს უმე ზაბიბასაც იგივე გადახდომოდა თავს, რაც სილსილას გადახდა და იგი ღულასთან გაგზავნა, რომ მისი თავიდან თმის სამი ღერი მოეტანა. გაუდგა გზას უმე ზაბიბა ღულას სამყოფელისაკენ.

პირველი, რაც მან დაინახა, რძიანას ხე იყო. შეხედა მას და ზიზლით წამოიძახა:

— რა არის ეს? რძიანა? რისთვისაა ასეთი გრძელი, სრულიად უსარგებლო?

რძიანამ უპასუხა:

— სულო ჩემო... ალაჰიმეც მისცემს ჩემს სიგრძეს შენს ტანს და არა შენს თმას!

უმე ზაბიბამ გზა განაგრძო და ვაშლის ხე დაინახა, მასაც იგივე უთხრა, რაც რძიანას ხეს. მან უპასუხა:

— სულო ჩემო... ალაჰიმეც მისცემს ჩემს სიწითლეს შენს თვალებს და არა შენს ღაწვებს!

ასევე უთხრა უცვეთელასაც და იმანაც უპასუხა:

— სულო ჩემო... ალაჰიმეც მისცემს ჩემს სითეთრეს შენს თმას და არა შენს სახეს.

ხოლო როცა მას ყეავი შემოუჩინდა, დაუძახა:

— რა შემაწუხებელია შენი ფერი, ო, ფერად შავო!

ყეავმა უთხრა:

— სულო ჩემო... ალაჰიმეც მისცემს ჩემს სიშავეს შენს სახეს და არა შენს თმას!

ასე მიაღწია უმე ზაბიბამ ღულას სახლს და უთხრა მას:

— მშვიდობა შენდა, ო, ამინა ღულა!

— შენი სალამი რომ არა, აუცილებლად შევქამდი შენს ხორცს და გადავყრიდი შენს ძვლებს.

შემდეგ ამინა ღულამ უმე ზაბიბას სახლს დაგვა სთხოვა. იგი სახლში შევიდა და ცოცხი აიღო. დაიწყო დაგვა. გვიდა და თან ამბობდა: რა საშინელი სუნია, რა სჭირს ამ სახლს, თითქოსდა არასოდეს გამოზვეტილაო.

როცა უმე ზაბიბამ დაინახა, რომ ღულა თმას ივარცხნიდა, გაახსენდა, რისთვის იყო მოსული და ასე უთხრა:

— მომეცი, ო, ამინა ღულა, სავარცხელი, თმას დაგვარცხნი!

დაიწყო ვარცხნა, მაგრამ ქუქყიანი კულულების შემყურე ზიზღს ვერ ფარავდა და ამბობდა:

— რა ბინძურია შენი თმა, თითქოს არასოდეს დაბანილა. ვერა გრძნობ მკებნარებს, რომლებიც შიგ დაცოცავენ?

ღულამ უპასუხა:

— სულო ჩემო... ალაჰიმეც იზამს ისე, რომ შენი პირიდან შამი დიოდეს!

და დაბრუნდა უმე ზაბიბა დედასთან მთლად საზარელი: თმა თეთრი, სახე შავი, თვალები წითელი, ტანი გრძელი, გამხდარი. ყოველთვის, როცა ლაპარაკს იწყებდა, პირიდან გველი ან გველგესლა გამოუვარდებოდა.

დედინაცვალმა ბოღმა გულში ჩაიხშო და გაჩუმდა.

ამასობაში სილსილას მამასთან უფლისწულიც მოვიდა, სილსილას ხელი სთხოვა და იგი წყალობითა და საჩუქრებით აავსო. იმ დღეს, ქორწილი რომ იყო დანიშნული, დედინაცვალი ჩაფიქრდა და გულში გაიფლო: „უფლისწულმა ჩემი ქმრის ქალიშვილი დანიშნა. რატომ არ შეიძლება ეს ქალიშვილი უმე ზაბიბა იყოს?! განა ის მისი ქალიშვილი არაა? არა მგონია, მეფის ვაჟს ნანახი ჰყავდეს სილსილა. საპატარძლო უეჭველად უმე ზაბიბა იქნება!“ და დედინაცვალმა სილსილას უბრძანა, თონეში წასულიყო და პური გამოეცხო. თვითონ უმე ზაბიბა აიყვანა, მოკაზმა, საქორწინო ტანსაცმელი ჩააცვა და ქალებს სთხოვა, ინით შეღებეთო.

ეს ყველაფერი დაინახა მამალმა, იმ მამალმა, უწინ რომ ძროხა იყო. წავიდა საქორწინო დღესასწაულზე, სადაც უფლისწული იჯდა და დაიწყო ყვირილი: „ქუ, ქუ... ქუ, ქუ... სილსილა ზის დამალული და უმე ზაბიბა ინით შეღებილი, ქუ, ქუ... ქუ, ქუ...“

უფლისწული გაოცდა. თავის მსლებლებიანად უმალ იმ ადგილისაკენ გაემართა, სადაც პატარძალი იმყოფებოდა და... უმე ზაბიბა იხილა. იკითხა:

— სად არის სილსილა? ეს ხომ სილსილა არ არის, მე რომ მდინარის პირას ვნახე!

მაშინ მოკვარეს მას სილსილა. გაიხარა უფლისწულმა და პატარა-ლი გულზე მიიკრა. მერე ბრძანა, დედინაცვალი თონეში ჩაეგდოთ და თქვა:

— ვისაც წინასწარმეტყველი უყვარს, ცეცხლს შეშა უმატოს, ურწმუნოს ქალიშვილიც ურწმუნო ეყოლება.

მაგრამ სილსილა დედინაცვალს გამოესარჩლა და უფლისწულს მისი პატიება სთხოვა. ისიც დაეთანხმა. დედინაცვალი ცეცხლში დაწვეს გადაურჩა და მისი ამბავი არაკად იქცა.

გულწრფელი მეგობარი

მოკვდა სულთანი და დატოვა ვაჟიშვილი აბდ ას-სალამი, რომელიც ჯერ კიდევ პატარა იყო და იმ ასაკისათვის არ მიეღწია, როცა შვილი შეიძლებოდა მამის ნაცვლად სულთანად დაესვათ. აბდ ას-სალამის დედა გამჭრიახი და ჭკვიანი ქალი იყო. ერთხელ თავის ვაჟს უთხრა:

— შვილო ჩემო, შენ სულთნის ვაჟი ხარ, გაიზრდები და მამის დარად სულთანი გახდები, ამიტომ არ შეგფერის, რომ ბევრი მეგობარი გყავდეს, რადგან ზოგი დაგიმეგობრდება სიმდიდრის გამო, ზოგიც — შენი მდგომარეობის გამო და მხოლოდ ცოტანი თუ იმეგობრებენ შენთან უანგაროდ.

— დედაჩემო, როგორ მოვიქცე, რომ ნამდვილი მეგობარი გამოვიცნო?

— მეგობრად რომ ვინმეს აირჩევ, ისე ქენი, რომ შენთან პური კამოს. სამი კვერცხი მოხარშე და უყურე... თუ ერთ კვერცხს შეჭამს და ორს შენ დაგიტოვებს, ასეთ კაცს ნუ დაუმეგობრდები, ის პირმოთუ და ცბიერი იქნება... უნდა დაგანახვოს, რომ შენ უფრო უყვარხარ, ვიდრე თავისი თავი. თუ ორს შეჭამს და ერთს შენ დაგიტოვებს, ნურც იმას გაიხიდი მეგობრად, რადგანაც ის უზრდელი და ხარბია.

— მაშ, როგორღა გავიგებ გულწრფელ მეგობარს?

— გაიგებ, როცა კვერცხს გაგიყოფს...

პირველი, ვისაც აბდ ას-სალამი დაუამხანაგდა, ვეზირის შვილი იყო... აბდ ას-სალამმა იგი დაპატიჟა: — მოდი, ერთად პური გავტეხოთო და სამი კვერცხი მოიტანა... როცა თითომ თითო კვერცხი შეჭამა, ვეზირის შვილმა დაიჟინა, მესამე კვერცხი შენ შეჭამეო. ასე ფარისევლურად აჩვენებდა სიყვარულსა და გულწრფელობას.

აბდ ას-სალამმა ვეზირის ვაჟზე უარი თქვა და მეგობრად არ გაიხიდა.

მეორე ამხანაგი ყუმბას ვაჟი იყო. მასაც პურის საჭმელად დაუძახა

და სამი კვერცხი მოიტანა. როცა თითომ თითო კვერცხი შექამა და მესამელა დარჩა, ისიც ყუმდას ვაჟმა აიღო.

აბდ ას-სალამმა ყუმდას ვაჟზეც უარი თქვა და მეგობრად არ გაიხალა.

ამის შემდეგ აბდ ას-სალამმა გადაწყვიტა. რომ დიდებულთა შვილებისათვის თავი დაენებებინა და მეგობარი მდაბიოთა შვილებს შორის ეძებნა. იქნებ მათ შორის ვნახო სანდო და გულწრფელი მეგობარიო.

ამჯერად შეშის მკრელის შვილს დაუამხანაგდა, სანადიროდ რომ მიდიოდა, იგი მაშინ დაინახა. მას კონკები ეცვა და უხეში ხელები ჰქონდა. ერთმანეთს მიესალმნენ. აბდ ას-სალამმა იგი სანადიროდ მიიპატიჟა. ისიც გაჰყვა.

მერე აბდ ას-სალამი მასთან ერთად მამამისის, შეშის მკრელის ქონში წავიდა და ერთად ჰამეს პური მარილითა და ბიტნით. დროდადრო სოწინდის ტაროებს წვაფდნენ და ცხლად. გემრიელად მიირთმევდნენ.

მაშინ აბდ ას-სალამს დედის დარიგება გაახსენდა, შეშის მკრელის შვილი თავისთან მიიპატიჟა — პური ერთად ვქამოთო. სამი კვერცხი მოიტანა, თან ძალიან ლელავდა... ეშინოდა, შეშის მკრელის ვაჟიც ისე არ მოიქცეს, როგორც ვეზირის და ყუმდას ვაჟები მოიქცნენ. მაშინ ხომ ამ ამხანაგსაც დაკარგავდა, რომელიც გულწრფელად და ძმურად შეიყვარა. ასეთი გრძნობა მას იმ ორის მიმართ ხომ არა ჰქონია.

მაგრამ შეშის მკრელის ვაჟმა დანა ამოიღო, ერთი კვერცხი ორ თანაბარ ნაწილად გაჭრა და ამხანაგს უთხრა:

-- შენ ერთი და ნახევარი აიღე. მეც ერთსა და ნახევარს შევქამ!

აბდ ას-სალამს ძალიან გაუხარდა და უამბო დედას, რაც მოხდა.

დედამ უთხრა:

— სწორედ ეს არის ის მეგობარი, შენი თავი რომ უყვარს, ხელიდან წუ გაუშვებ და ამ მეგობრობას გაუფრთხილდი.

ამიერიდან შეშის მკრელის ვაჟი სულთნის ვაჟის განუყრელი მეგობარი გახდა. როდესაც აბდ ას-სალამი გაიზარდა, ასაკსრული შეიქმნა და სულთნად დაჯდა, შეშის მკრელის ვაჟი ვეზირად დაისვა. ასე ცხოვრობდნენ მეგობრულად სიყვარულსა და სიამტკბილობაში.

სამი ძმა

უძველეს ხანაში, გარდასულ დროსა და ეამს, ერთ ძველ ქონში ცხოვრობდა მამა და სამი ვაჟი: უფროსი აჰმადი, შუათანა ალი და უმცროსი მაჰმუდი. ერთი კამეჩის მეტი არაფერი ებადათ. ქონის მახლობლად პატარა სახანავ-სათესი ჰქონდათ, სადაც კამეჩისათვის სამყურა და ქერა

მოპყავდათ. კამეჩი მათ რძეს აძლევდა. რძეს ყიდდნენ და იმ ფასით ყიდულობდნენ ყველაფერს, რაც კი სჭირდებოდათ — საკმელსა და სამოსს.

ერთხელ, ჩვეულებისამებრ, აჰმადმა კამეჩი საბალახოდ სამყურას ყანაში წაიყვანა და იქ მიაბა. კამეჩს მის წინ რომ ბალახი იყო, ჭერ ის არ მოეთაყვებინა, რომ ბიჭმა პალო სხვაგან გადაუტანა, კამეჩმა ახლა სხვაგან მოძოვოსო. კამეჩმა ჭამა და გაძღა. ასე გაგრძელდა მთელ დღეს. მზე რომ ჩავიდა, აჰმადმა კამეჩი წამოიყვანა და ქოხში დაბრუნდა. მხიარული და კმაყოფილი იყო, რომ მამას მძიმე შრომაში მხარში ედგა, ლუქმაპურის მოპოვებასა და დოვლათის დაგროვებაში ეხმარებოდა.

ვიდრე შინ მობრუნდებოდნენ, აჰმადი კამეჩს შეეკითხა:

— კარგად იბალახე და გაძეხი?

კამეჩმა უპასუხა:

— ისე ამოვივსე მუცელი, რომ ამდენი საკმლისაგან სიარული მიმძიმს.

როდესაც შინ დაბრუნდნენ, მამამ შეიღს ჰკითხა:

— კამეჩი თუ გაძღა?

— დიახ, გაძღა, კითხე, თუ გინდა.

როცა მამა კამეჩს შეეკითხა, იმან თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მშვიერი და ქანცგამოლეული ყოფილიყო.

— ნუთუ შენი შვილის სიტყვებისა გჯერა, რომელმაც ამდენი ტანჯვა მომაყენა!.. მაგარი თოკით პაღმის ძირზე მიმაბა, ჯოხით მცემა და სამყურას ჭამა დამიშალა. თოკი კი ისეთი მაგარი იყო, რომ ცემას თავი ვერ დავაღწიე და კინალამ დავიხრჩვი. მერე დავებრუნდი და ახლა ფეხზე ძლივს ვდგავარ დალილობისა და ტკივილისაგან.

ფელაპი ძალიან გაბრაზდა თავის შვილზე და ისე სცემა, რომ კინალამ არ მოკლა. მერე სანხლიდან გააგდო და თან მიამახა:

— გაეთრიე ჩემი სახლიდან, ამიერიდან აღარ იქნები ჩემი შვილი და ვიდრე ცოცხალი ვარ, მე შენ არ გიცნობ!

აჰმადი თავის მართლებას მოპყევა და შეეცადა, აეხსნა მამისათვის რაში იყო საქმე, მაგრამ მამამისი სიბრაზეს ისე შეუეპყრო, რომ მის სიტყვებს ყურები კი არ ათხოვა და ბიჭს აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ სახლიდან წასულიყო. გულში გაივლო: ალაპის მიწა იმათთვისაა, ვინც ალაჰმა შექმნაო.

მეორე დღეს ფელაპმა მეორე შვილს, ალის, გაატანა კამეჩი ყანაში საბალახოდ. თან დაარიგა, რაც გუშინ ამ კამეჩს დააკლდა, დღეს აუნაზლაურეთო! ალიმ კამეჩი წაიყვანა და ისევე მოიქცა, როგორც აჰმადი. დღის ბოლოს კამეჩს იგივე ჰკითხა, რაც მისმა ძმამ და დარწმუნდა, კამეჩს ისე ჰქონდა. მუცელი გამოტეხილი, რომ იქ ადგილი აღარ დარჩენოდა არც სამყურასათვის, არც სხვა რამისათვის.

მაგრამ როდესაც მამამ კამეჩს ჰკითხა, მან ზუელი დაიწყო და თქვა:
— სადა სიბრალული? ან სადა თანაგრძნობა? მე არასოდეს აღარ
წავეყვები არც ერთ შენს შვილს. მართლაც რომ ჩემი აღსასრული მოახ-
ლოვდა, შენმა შვილმა დამაბა და ისე მცემა, ვერ გადავრჩებოდი, გზად
ერთ გამვლელს რომ არ ჩამოველო და არ შევებრალებოდი.

ფელაპი განრისხდა, აბობოქრდა, ფეხი ჩასცხო შვილს და გააგლო
ისევე, როგორც წინა დღეს მისი ძმა.

მერე მაჰმუდის ჯერი დადგა. ბიჭმა კამეჩი ყანაში წაიყვანა და ისევე
მოიქცა, როგორც მისი ორი ძმა. დღის ბოლოს დარწმუნდა, რომ კამეჩი
ისე გაძდა, როგორც არასოდეს. შინ განარებულნი და დაიმედებულნი დაბ-
რუნდა; მამამისი კმაყოფილი დარჩებოდა და მოეფერებოდა. თვალწინ
მამის გაბადრული სახე დაუდგა, როცა კამეჩი ეტყოდა, მაძლარი ვარო,
მაგრამ ეს წარმოდგენა გაუქრა და განცვიფრდა, როცა გაიგონა კამეჩის
პასუხი და ოხვრა:

— რა უბედური ვარ თქვენს ხელში!.. რაგვარი სატანჯველი განმაც-
დენინა ამ ბიჭმა!.. მიმაბა...

ფელაპმა აღარ დაამთავრებინა სიტყვა კამეჩს, ისე მოუგო:

— კი, კი, იგი ნამდვილად მისი ძმების მსგავსია, ერთი ჭილაგისანი
არიან.

მაჰმუდმა რაღაცის თქმა დააპირა:

— მამაჩემო...

— ხმა გაიწყვიტე შე ძაღლო!.. თქვენ პატივისცემისა და შეცოდებ-
ის ღირსნი არა ხართ არც ერთი. გაეთრიე ჩემი სახლიდან და ჩემმა
თვალებმა არ დავინახონ დღეიდან!

მეორე დღეს ფელაპმა იგრძნო, რომ სულ მარტო დარჩა და კამეჩის
მომწყვემსავი აღარავინ იყო მის გარდა. კამეჩი ყანაში წაიყვანა. ფეხით
რომ არ ევლო, მასზე შეჯდომა მოინდომა, რადგან მოხუცი იყო და სხე-
ული დაძაბუნებოდა. მაგრამ შეეცოდა კამეჩი, როცა გაახსენდა, როგო-
რი ტკივილი და შიმშილი გადაიტანა იმან წარსულ დღეებში. ამიტომ
მას ზრუნვა არ დააქლო. კამეჩმა უთხრა, გავძეხი და მეტი ჭამა აღარ
შემიძლიათ. შინ რომ მობრუნდნენ, კაცმა იფიქრა, კამეჩს ხომ არ მო-
შივლათ და ჰკითხა:

— ვშია თუ ისევ მაძლარი ხარ?

კამეჩმა უკმაყოფილოდ უპასუხა:

— ისეუ მაძლარი ვარ? ვანა მე ისე ვჭამე, რომ გაემძლარიყავი? ჭეშ-
მარიტად თქვენ... აღამის ძეთ, თქვენ თავი მართლები ვგონიათ, მაგრამ
ცდებით.

კაცი გაოგნდა და მიხვდა: იჩქარა, საბრალო ვაჟებს რომ განაჩენს
გამოუტანა, უსამართლოდ მოექცა მათ და სიმართლე არ გაარკვია. მე-
რე მწარედ და დაცინვით უთხრა კამეჩს:

— ფიქრობ, მეც ასევე შევცდი. ახლა არ ვიცი, რა ვქნა, მიგაბა თოკით პალმაზე და გირტყა ჯოხი, ვიდრე ცემით არ ამოგხდებდა სული... განა ეს ის სიტყვები არ არის, ჩემს ვაჟიშვილებზე რომ ამბობდი და მაქეზებდი, ისინი სახლიდან გამეგდო! შე უმადურო, სიკეთის დაუნაბავო.

ფელაპი სწრაფად გავიდა, დანა მოიტანა და კამეჩი დაკლა. სინანულით დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ ასე აჩქარდა და მკაცრად მოექცა შვილებს. მათი ნახვა ძალიან მოუნდა, იმედი ჰქონდა, რომ შვილები კვლავ დაუბრუნდებოდნენ და იგი კეთილი მოპყრობით გამოისყიდდა თავის დანაშაულს.

რაც შეეხება ვაჟებს, თითოეული მათგანი თავისი გზით წავიდა.

აჰმადმა რამდენიმე დღე-ღამე იარა მშვიტ-მწყურვალმა ისე, რომ არც კი იცოდა, საით მიდიოდა. არხის წყალს სვამდა და სადაც ძილი მოერეოდა, იქ იძინებდა. ასე იარა, ვიდრე ერთ მეუთოვეს არ შეხვდა, მეუთოვემ დაინახა, რა ცუდ დღეში იყო აჰმადი, შეეცოდა და შესთავაზა, ჩემთან იმუშავე და ხალხს ტანსაცმელი დაუუთოვეო. შადლიერი აჰმადი დაყაბულდა. მეუთოვემ ძველი ტანსაცმლის ნაცვლად სუფთა ჩაცვა. აჰმადი მეუთოვესთან ბეჯითად და გულსყურით მუშაობდა. წმენდდა და აუთოებდა ტანსაცმელს და არასოდეს არავისთვის არ დაუგვიანებია. ასე რომ, ხალხმა მათ დუქანში სიარულს მოუხშირა. ეს მეუთოვე ცნობილი გახდა; შემოსავალი მოემატა და გამდიდრდა. აჰმადმა მეუთოვესთან ორი წელი იმუშავა და დიდად კმაყოფილი იყო. ბოლოს ძალიან მოენატრა მშობელი და გულში ვაივლო, მამამ უთუოდ მაპატრა და ახლა თავის უნებურ საქციელს ნანობსო. თავის ქვეყანაში გამგზავრება გადაწყვიტა, მშობელი და ოჯახი რომ მოენახულებინა. ეს ამბავი მეუთოვეს შეატყობინა. მეუთოვემ უთხრა:

— მართლაც ძალიან მიმიძის შენთან განშორება, მაგრამ ხელს არ შეგიშლი, რომ მამასთან წახვიდე, თუ მისი მონახულება გადაგიწყვეტია. შენი მადლობელი ვარ ჩემდამი გულისხმებებებისათვის, შრომაში სიბეჯითისათვის, რამაც იმდენი ფული მომაგებინა, რასაც ვაჭრები იგებენ...

მეუთოვემ გადაწყვიტა, აჰმადისათვის საოცარი ტაბლა და სუფრა მიერთმია საჩუქრად. ასე უთხრა:

— ეს საჩუქარი მცირეა შენ მიერ ჩემთვის გაწეული სამსახურისათვის, მაგრამ საკმლის ყიდვაზე ზრუნვა არასოდეს დაგპირდება, თუ თან ეს ტაბლა და სუფრა გექნება.

— ეს როგორ?

— შენ მხოლოდ ეს ტაბლა წინ დაიდგი და რანაირ საკმელსაც ისურვებ, ის მოითხოვე. შემდეგ სუფრა გადააფარე და რაც ითხოვე, ზედ იპოვებ.

აჰმადის ძალიან გაუყვირდა. მეუთოვემ მისი გაცეცხა შენიშნა და უთხრა:

— მაშინ გამოცადოთ... აი, ტაბლა და... უთხარი მას, რასაც ინატრებდი.

— არაფერი მინდა თეეზისა და ბრინჯის გარდა. დიდი ხანია არც ერთის გემო არ მინახავს და მენატრება.

მერე აჰმადმა ტაბლას სუფრა გადააფარა და რაც ინატრა, ყველაფერი თავის წინ ნახა...

მეუთოვეს უთხრა:

— ამ ჯადოსნურ ტაბლას შენთვის რატომ არ დაიტოვებ? შენ თვითონ იხმარე და მაშინ ამ ტანსაცმლის უთოობით აღარ დაიღლები.

— შვილო ჩემო, შენი ბეჭითი შრომისა და მონღომების წყალობით მე მდიდარი გავხდი. მე აღარ მჭირდება იგი. შენ უფრო შეგფერის. რაც არ უნდა გაიზარდოს ჩემი სიმდიდრე, მე უშრომლად ვერ ვიცხოვრებ. შრომა ჩემი სიცოცხლის ლაზათი და ბედნიერებაა. ვიდრე შრომა შემიძლია, არ ვწუხვარ იმაზე, წამიყვანო ფული, თუ აღარ მექნება ტაბლა.

აჰმადმა მადლობა გადაუხადა მეუთოვეს და თავისი ქვეყნისაკენ გაემგზავრა. თან სუფრა და ტაბლა წაიღო.

ვიდრე თავის სოფელს მიაღწევდა, შემოაღამდა. ერთი პატარა ფუნდუკი დაინახა და ლამის გასათევად იქითკენ შეუხვია. ფუნდუკის პატრონმა, კეთილი იყოს შენი მობრძანებთო, — უთხრა: აჰმადმა შიმშილი იგრძნო, ტაბლა და სუფრა გაახსენდა. მერე იფიქრა, მოდი, ფუნდუკის პატრონს პატივს ვცემო და ვახშმად დაპატიყვა. ტაბლას ნაირ-ნაირი საჭმელი სთხოვა და სუფრა გადააფარა.

ფუნდუკის პატრონმა აჰმადთან ერთად ივანშმა, თან გულში ფიქრობდა: ნეტავ საიდან გააჩინა ამ ყმაწვილმა სხვადასხვანაირი საჭმელი... ქათამი, მტრედი, მწვანელი, ხილი... და თან არაფერი აქვს ტაბლისა და სუფრის გარდა. ყველაზე საოცარი კი ისაა, რომ საჭმელი ცხელია და ახალიო.

იმ ღამეს ფუნდუკის პატრონს ძილი გაუტყდა. აჰმადის დაძინებას უცდიდა. მაშინ მის ოთახში შეაპარა და ტაბლა და სუფრა აიღო ისე, რომ აჰმადს არაფერი გაუგია. ტაბლის ტრიალი და თვალიერება დაიწყო, მაგრამ ფეხების, ფიცრებისა და ლურსმნების გარდა ვერაფერი ნახა. შემდეგ წინ დაიდგა და ჩვარი გადაუხსვა ისე, როგორც ალაღინმა თავის ლამპარს, იქნება იქიდან ჯინი ამოვიდეს და თქვას: ინატრე. რაც გინდაო... მაგრამ ასე არ მოხდა და ფუნდუკის პატრონს იმედი გადაუწყდა. მერე თავისთვის ჩაილაპარაკა: ამის საიდუმლო რომ ვიცოდე, ნამდვილად მოვიტხოვდი, რაც მინდაო. ცოტა ხანს გაჩუმდა და თქვა: „შემწვარი თეეზი მინდა“ და... სასოწარკვეთილმა ტაბლაზე სუფრის გაშლა დაიწყო. თან ამბობდა:—მაგრამ აბა, საიდან. შემდეგ სუფრას დახედა და

რა დაინახა: მის წინ მაგიდაზე შემწვარი თევზი იდო. სიხარულისა და ბედნიერებისაგან კინალამ არ გაფრინდა. მერე ბაზარში წავიდა და მსგავსი ტაბლა და სუფრა იყიდა, მკვირცხლად და ფრთხილად მოიტანა და აჰმადის ოთახში დადო იმ ჯადოსნური ტაბლისა და სუფრის ადგილას.

დილით აჰმადს გაელვიდა. ეს ტაბლა და სუფრა აიღო, კაცს ფუნდუკში ღამის გასათევი ფული გადაუხადა და სოფლისაკენ გაემართა. მშობელმა გულში ჩაიკრა, გადაეკონა და მისი დაბრუნებით დიდად გაინახრა. აჰმადმა მამას თავისი თავგადასავალი უთხმო და უთხრა:

— მამაჩემო, მინდა, რომ ყველა შენს მეგობარს დაუძახო და ერთად პური ვჭამოთ.

მამამისმაც თავისი ნაცნობ-მეგობრები მოიპატიჟა და სახლი სტუმრებით აივსო... ჭამის დრო რომ დადგა, აჰმადმა მათ ხმამაღლა ჰკითხა:

— რა საჭმელს ინებებთ?

თითოეულმა მათგანმა მოითხოვა, რაც სურდა...

აჰმადიც მათ ნათქვამს იმეორებდა. მერე ტაბლას სუფრა გადააფარა, მაგრამ ზედ ვერაფერი დაინახეს. ვაჟმა თხოვნა გაიმეორა, მაგრამ უშედეგოდ.

აჰმადი და მამამისი სტუმრებმა მასხრად აიგდეს. ესენი გიყები არიანო, თქვეს, და ლანძღვითა და წყევლით იქაურობას გაეცალნენ. მამამ გადაწყვიტა: ჩემი შვილი დაღლილი და ქანცაწყვეტილიაო; ამ დაღლილობამ, უილაჯობამ და იმ ტკივილმა, რომელიც მან სიღარიბეში განიცადა, მის გონებას კვალი დაამჩნიაო. შეეცოდა შვილი და უთხრა:

— წადი, შვილო, დაწეჭი და დაიძინე; დაღლილი ხარ.

წავიდა აჰმადი, ცრემლი ღაპაღუპით სდიოდა და სირცხვილი წვავდა. შუათანამ, ალიმ. მას შემდეგ რაც მამამ სახლიდან გააგდო. უგზო-უკვლოდ იარა. სამუშაოს ძებნა დაიწყო, რომ თავი ერჩინა, მაგრამ ყველგან პასუხობდნენ:

— არა, სამწუხაროდ, ეს საქმე არ შეეფერება პატარას. ტანსაცმლის მოქსოვა თუ შეგიძლია? ვერ შესძლებ, ჩენ ხომ პატარა ხარ.

მაგრამ ალის იმედი არ დაუქარგავს, ძებნას განაგრძობდა, ვიდრე ერთმა ფელაჰმა არ შეიცოდა და შეიფარა. სანაცვლოდ ალი მას საქმეში უნდა მიხმარებოდა. ისიც დღე და ღამეს ასწორებდა და ფელაჰიც კმაყოფილი ჰყავდა. რაც დრო გადიოდა, ფელაჰის კეთილგანწყობა მისადმი სულ უფრო იზრდებოდა და ყმაწვილს გვერდიდან არ იშორებდა. განსაკუთრებით მას შემდეგ. რაც ფელაჰმა დიდი მოსავალი აიღო. ეს ხომ ალის ბეჯითი და მუყაითი შრომის წყალობით იყო.

ალის ძალიან მოუწონდა მამისა და ოჯახის მონახულება და ფელაჰს თავის ქვეყანაში გამგზავრების სურვილი გაუმჟღავნა.

ამას გული დაწყდა. ალის რომ უნდა განშორებოდა, მაგრამ გაუშვა. თან სიბეჯითისა და გულისყურისთვის ერთი ვირითა და ხის ზანდუკით

დააჩილოდა და უთხრა: როცა ფული მოგინდება. ეს ზანდუკი ვირს პირს ქვემოთ შეუდგი და დაარტყი... ზანდუკში იმდენ ფულს ნახავ, რამდენსაც მოისურვებო. ალიმ მაღლობა გადაუხადა. წამოიყვანა ვირი, ზანდუკიც გამოაყოლა და თავისი ქვეყნისაკენ გაემგზავრა. სოფელს რომ მიუახლოვდა, იმ ფუნდუკთან შემოაღამდა, სადაც მისი ძმა აჰმადი გაჩერდა და ტაბლა და სუფრა დაკარგა. ფუნდუკის კარზე დააკაკუნა, პატრონი გამოეგება და ერთ-ერთ ოთახში დააბინავა. ალიმ ფუნდუკში ცხოვრების გასამრჩელოდ მას დიდძალი ფული მისცა. ალის საქციელმა ეს კაცი გააოცა. ახალგაზრდა ფელაჰს ამდენი ფული აქვს, ფუნდუკში ერთი ღამის გათევის გასამრჩელოდ ასეთ დიდ თანხას აძლევს! ის ნამდვილად ფელაჰია, ამის დასტური ისაა, რომ ვირი ჰყავს... ეს საოცარი ამბავია! ამ ზანდუკში ხომ არ იმალება რაიმე საიდუმლო? არა, იგი ცარიელია... მაშ, ვირშია საიდუმლო? მაგრამ რა?

ფუნდუკის პატრონი ფხიზლობდა და იმ ბევრი ფულის საიდუმლოებას იკვლევდა, ალი რომ ფლობდა. ზანდუკი აიღო. შეატრიალ-შემოატრიალა, შემდეგ ვირის წინ დადო, გაჩერდა და ყურება დაუწყო. ფიქრობდა, იქნება ამ ვირში რაიმე არაჩვეულებრივი დავინახო. მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა. გაბრაზებულმა ვირს ფეხი ჩასცხო და უთხრა:

— კუქასთან ახლოს უნდა იყოს, რომ მე შენში ვიპოვი ოქროს, შე თარსო, შენა!

მაშინ ვირმა დაიყოყნა და პირიდან ზანდუკში ფული ჩამოუცვივდა. კაცი გაოცდა და სიხარულისაგან კინაღამ არ გაფრინდა. შემდეგ ეს ვირი და ზანდუკი დამალა, ბაზარში წავიდა, იქ მსგავსი ვირი და ზანდუკი იყიდა და ორივეს თავისი ადგილი მიუჩინა.

ღილით ალის გაეღვიძა. ეს შეცვლილი ვირი წამოიყვანა, ზანდუკიც თან გამოაყოლა და იმდენი იარა, ვიდრე თავის სოფელს არ მიაღწია.

მამა და ძმა, აჰმადი, გახარებულნი შეეგებნენ. მამას ალიმ ვირისა და ზანდუკის საიდუმლოება უამბო და უთხრა: მეზობლებს დაუძახე, ვირი ვაჩვენოთ, რომელსაც პირიდან ფული სცვივავო. მამამ იფიქრა, ეს შვილიც ხომ არ გამიგიჟდაო და უთხრა:

— ემარა, ერთხელ რომ დაგეცინეს და აბუჩად აგვიგდეს. ჩემი აჩქარების, დაუდევრობისა და დაუფიქრებლობის გამო დაგვემართა ეს. ადექი, შვილო, წადი და დაისვენე, ძალიან დაღლილი ხარ. მე რე კი იფიქრე იმაზე, რასაც ამბობ.

როდესაც გათენდა, ადგა ალი და მამას დაუქინა, გინდა თუ არა, მართალს ვამბობო, ვირი მოიყვანა, დაუდგა ზანდუკი, ცემდა და ეუბნებოდა, ფულები გადმოყარეო. მაგრამ ამაოდ. მამას მწარედ გაეღიმა და აღიდა ალაჰი, რომლის წყალობითაც ამჭერად მოახერხა, არ აჩქარებულყო და ყველაფერი აეწონ-დაეწონა. ალის კი კრიჭა შეეკრა, დამწუხრებული და დაღონებული იდგა.

რაც შეეხება უმცროსს, მაჰმუდს, ისიც ძმების მსგავსად გზას გაუდგა. მას შემდეგ რაც მამამ სახლიდან გააგდო, სულ სამუშაოს ძებნაში იყო, ბოლოს საქმე ერთ ფურნეში იშოვა. გულმოდგინედ ემსახურებოდა ხაბაზს. ბოლოს მშობელი მოენატრა და შინ დაბრუნება განიზრახა. უნგარო შრომის საზღაურად ფურნის პატრონმა მაჰმუდი დიდი კომბლით დაასაჩუქრა და უთხრა:

— თუ გინემმ გაწყენინა და შენ სამაგიეროს გადახდა მოგიინდა, კომბალს უთხარი: კომბალო, მევანსა და მევანს სცემე, რომელიც ასე და ასე მოიქცაო. ის ცემას დაუწყებს და მანამდე ურტყამს, ვიდრე შენ არ ეტყვი: კმარა; თავი დაანებე, უკვე ნაცემიაო.

მაჰმუდმა მადლობა უთხრა ფურნის პატრონს, აიღო კომბალი და თავისი ქვეყნისაკენ გასწია. გზად იმ ფუნდუკთან შემოაღამდა. სადაც ადრე მისი ძმები გაჩერდნენ. ისიც, იქ დარჩა ღამის გასათევად.

ფუნდუკის პატრონმა შეათვალიერა მაჰმუდი და მის ძმებს მიამსგავსა. გულში გაიფიქრა: ეს აუცილებლად იმ ორის ძმა უნდა იყოს და ამასაც უეჭველად მათსავით ბედისათვის მიუგნიაო. მის ოთახში ქურდულად შეიპარა. მაჰმუდს არ ეძინა, მაგრამ თავი მოიძინარა. კაცმა კომბალი აიღო და თან თავისთვის ჩაიბუტბუტა: ალბათ ამ კომბალშიც იმალება რაღაც საიდუმლოება ისევე, როგორც იმ ტაბლასა და ვირში იყო, ამ ბიჭის ძმებს რომ წავართვით.

მაჰმუდმა ფუნდუკის პატრონის სიტყვები გაიგონა და მიხვდა, რომ მისი ძმები აჰმადი და ალი ამ ფუნდუკში ყოფილან გაჩერებულნი და პატრონს მათთვის ტაბლა და ვირი მოუპარაეს.

ადგა მაჰმუდი, შეხედა კომბალს და უთხრა:

— ო, ჩემო კომბალო, სცემე ფუნდუკის პატრონს, რომელმაც ტაბლა და ვირი მოიპარა:

კომბალმა ფუნდუკის პატრონს ცემა დაუწყაო, იგი ყვიროდა და ემუდარებოდა მაჰმუდს. კომბალს უბრძანე, თავი დაიანებოსო.

მაგრამ მაჰმუდმა თქვა:

— ამას არ ვიზამ, სანამ იმას არ დამიბრუნებ, რაც ჩემს ძმებს წაართვი!

— კარგი, ოღონდ უბრძანე კომბალს, ჩემი ცემა შეწყვიტოს, რომ წაღებულნი ნივთების მოტანა შევძლო.

— მოეშვი, საკმარისია, ის უკვე ნაცემია... მაგრამ ნივთებს თუ არ მოიტანს, კვლავ შეუდგეი ცემას და წამებას.

მაშინ ფუნდუკის პატრონი წავიდა და ტაბლა, სუფრა, ვირი და ზანდუკი მოიტანა. მაჰმუდმა კომბალი და ეს ყველაფერი წამოიღო და თავისი სოფლისაკენ წავიდა.

მას გახარებული მამა და ძმები გამოეგებნენ. მაჰმუდმა მათ თავისი ამბავი უამბო. გაიხარეს აჰმადმა ტაბლითა და სუფრით და ალიმ ვირით და ზანდუკით.

მაგრამ მამა საგონებელში იყო ჩავარდნილი, ეშინოდა, ვაი თუ სამივე შვილი გამიგიჟდაო... უნდობლობამ და შიშმა შეიპყრო, თუმცა არ აჩქარებულა, რომ შვილებისათვის ეკვი და შიში გაემხილა. წარსულის მაგალითზე კკუა ჰქონდა ნასწავლი, ჯერ უნდა მოესმინა, რას იტყოდნენ შვილები და მერე განესაჯა ყოველივე, რომ ჭეშმარიტება დაედგინა. თითოეულ მათგანს სთხოვა, მოუფიქრებლად ნუ მოიქცევიან და ვიდრე ხალხს დაუძახებდეთ ტაბლაზე საქმელად, ფულის საცქერლად, ვირს რომ სცევიან ზანღუკში პირიდან და იმ კომბლის სანახავად, რომელიც სცემს ყველას, ვინც ცუდად იქცევა, ჯერ ჩემ წინაშე გამოსცადეთ ეს ყველაფერიო.

დიდად გაიხარა მამამ, სამივე შვილის სიმართლეში რომ დარწმუნდა. ახლობლებსა და მეგობრებს დიდ წვეულებაზე დაუძახა, რომ გემრიელი საქმელი ექამათ. ყველამ თითო პეშვი ფული წაიღო. შემდეგ მამამ და შვილებმა საქმელი და ფული სოფლის მცხოვრებთ დაურიგეს ისე, რომ აღარავინ დარჩა იქ მშვიერი და გაჭირვებული, ხოლო კომბალი კი ჩასაფრებულია და უთვალთვალებს იმათ, ვისაც ვერაფრით გააკვირვებ და, ვინც მართალსა თუ ტყუილს ენაზე ატრიალებს. ველარავინ ბედავს სიკეთის შებლაღვის ტყუილითა და მითქმა-მოთქმით, რასაც ისინი ადრე იყვნენ ნაჩვევი.

პასანი და აბდ ალ-მუინი

იყო და არა იყო რა, ბატონებო, კეთილშობილხო, არ იქნება ტკბილი ზღაპარი წინასწარმეტყველის, — მშვიდობა მას, მოუხსენიებლად.

დიდი ხნის წინათ. გარდასულ დროსა და ჟამს, იყო ერთი მოგზაური კაცი, სახელად პასანი. შორეულ ქვეყანაში მიდიოდა. თან საგზალი — საქმელი და წყალი მიჰქონდა. იმედოვნებდა, რომ მგზავრს შეხვდებოდა, რომელსაც მოგზაურობისას შეუამხანაგდებოდა, დამეგობრდებოდნენ და ერთმანეთს ჰირსა და ლხინში დაეხმარებოდნენ.

გზას რომ დაადგა, შორს წინ მიმავალი კაცი დაინახა. ფეხს აუჩქარა, რომ დასწეოდა. მიესალმა და ხელი ჩამოართვა, გამოელაპარაკა და გაიგო, რომ მისი სახელი აბდ ალ-მუინია და ისიც იმავე მხარეს მიეშურება, საითაც პასანი.

მასლაათით გაუდგნენ გზას. სიარულით რომ დაიძვებოდნენ, ხის ჩრდილს მიაშურებდნენ ხოლმე დასასვენებლად და წასახემსებლად და ყოველთვის პასანი სთავაზობდა თავის საგზალს აბდ-ალმუინს.

დასვენების შემდეგ ამხანაგები ისევ განაგრძობდნენ გზას. ასე იარეს მანამ, ვიდრე მზე დასავლეთისაკენ არ გადაიხარა და ცის კიდეს არ მიეფარა. დადგა ღამე და ყოველივე წყვილიაღმა მოიცვა. ისეთი სიჩუმე

გამეფდა. რომ მხოლოდ მათი ნაბიჯების ხმაღა ისმოდა სილაზე. სიჩუმე აბღ ალ-მუინის ხმამ დაარღვია, იგი მეგობარს ეუბნებოდა: ძალა აღარ შეემწევეს გზა განვაგრძო, რადგან მთელ ტანში მაციებსო. ჰასანმა იგი მყუდრო ადგილას დასვა, მოუარა და ტკივილები დაუამა. მერე სუსხიანმა ქარმა დაბერა და წვიმა წამოვიღა. ჰასანმა ტანსაცმელი გაიხადა და აუადმყოფ ამხანაგს დაათარა. თვითონ კი შიშველი დარჩა და სიცივისაგან კანკალებდა. როდესაც ბუნების მრისხანება მინელდა, აბღ ალ-მუინს ჩაეძინა, ჰასანი კი მის გვერდით გათოშილი ფხიზლობდა; ვიდრე არ გაილია ღამე და არ აღმობრწყინდა აღმოსავლეთიდან ამომავალი დილის მაუწყებელი მზე, რომელმაც თავისი სხივები იქაურობას მიმოაბნია. აბღ ალ-მუინს გაეღვიძა, ჰასანმა ჰკითხა, — როგორა ხარო. მან უპასუხა: არა მიშავს რა, შემიძლია გზა განვაგრძოო.

მეგობრებმა ერთხანს იარეს. ამასობაში აბღ ალ-მუინს ძალა და მხნეობა შეემატა. ჰასანი კი სისუსტეს გრძნობდა, მაგრამ თავი მხნედ ეჭირა. შინშილმაც შეაწუხა, რადგან საგზალი სულ მთლად გამოლეოდა. ჰასანის საგზალს ხომ მისი მეგობარიც ქამდა, რომელიც თავისას ინახავდა და პირს არ აკარებდა.

შუადღე რომ დადგა, ამხანაგები დასასვენებლად დასხდნენ. აბღ ალ-მუინმა თავისი საგზლის ქამა დაიწყო ისე, რომ მეგობარი არც კი მოიპატოეა და არც არაფერი შესთავაზა.

მაშინ ჰასანი იძულებული შეიქნა, მისთვის ცოტათდენი საჭმელი ეთხოვა, მაგრამ აბღ ალ-მუინმა უარი უთხრა. ჰასანს კიდევ უფრო მოშივდა, დასუსტდა, მეგობარს თხოვნა და მუდარა დაუწყო... ბოლოს აბღ ალ-მუინი დათანხმდა, რომ შას ცოტათდენ საჭმელსა და წყალს მისცემდა ერთის პირობით...

პირობა, რომელიც აბღ ალ-მუინმა მეგობარს დაუდო, სასტიკი და შესაზარი იყო — ერთი თვალი უნდა ამოეთხარა. ამაზე ჰასანმა უარი თქვა და ორივემ გზა განაგრძო. მაგრამ სიარულმა და შიმშილმა ჰასანი მთლად დაასუსტა. წინა ღამე ხომ მან უძილოდ, ტანშიშველმა სიცივესა და წვიმაში გაატარა. არაქათი სულ მთლად გამოელია, მისთვის ნათელი გახდა, რომ აუცილებლად განწირული იყო და გულში თქვა: ცალი თვალით სიცოცხლე სიკვდილს სჯობიანო. ჰასანმა პირობა მიიღო და ერთი თვალი ამოითხარა: ეს მაშინ მოხდა, როცა დღე მიილია და თანდათან უკუნი ღამე ჩამოწვა. ჰასანს ტკივილმა დარია ხელი და თავის ბედსა და მუხთალ მეგობარზე მწარედ მოთქვამდა. მთელი ღამე კვნესასა და ოხერაში გაატარა მაშინ, როცა მისი ვერაგი მეგობარი ღრმა ძილში იყო.

დილით ისევ განაგრძეს გზა. შუადღე რომ დადგა და დასასვენებლად დასხდნენ, ჰასანმა აბღ ალ-მუინს ცოტა საჭმელი და წყალი სთხოვა. იმან უარი უთხრა. ჰასანმა რომ თხოვნა გაუმეორა, უპასუხა: არა-

ფერს მოგვცემ. სანამ მეორე თვალსაც არ ამოითხრიო. პასანი დარწმუნდა, რომ წინააღმდეგობა და უარი სარგებელს არ მოუტანდა და დაყაბულდა. გულში უკვე მეორედ თქვა: სიცოცხლის მოსწრაფებას ბრმად სიცოცხლე მირჩევნიაო.

მას შემდეგ, რაც საგზალი და წყალი გამოეღია, აბდ ალ-მუინმა პასანის თავიდან მოშორება განიზრახა.

პასანი რომ დაბრმავდა და ვერაფერს ხედავდა, აბდ ალ-მუინმა იგი ერთი ხის ქვეშ დატოვა და წავიდა. აღარ ადარდებდა, რა დღეში იყო მისი მეგობარი.

იქცა პასანი ხის ქვეშ ბედს მინდობილი. არ მისცემია სასოწარკვეთილებას და არც არაფერზე ფიქრობდა. ასეთ დღეში რომ იყო, უეცრად რაღაც ხმა გაიგონა. თავის სიცოცხლეში ამაზე უფრო ნაზი და ტკბილი ხმა არ სმენოდა. უხილავი სამყაროდან მომავალ მუსიკასა ჰგავდა, თითქოს ვიღაც მის გადარჩენას უმღეროდა. მან ყური მიუვდო და ნათლად გაარჩია... ბელურა ხის კენწეროდან ეუბნებოდა:

— შექამე ამ ხის ფოთოლი და თვალის ჩინი დაგიბრუნდება.

პასანმა ამ ხის ერთი ფოთოლი შექამა და წამიც არ გასულა, რომ თვალი აეხილა და გარშემო ყველაფერი დაინახა, წამოდგა და გზას გაუდგა. მერე შორს, სვეტს მოჰკრა თვალი, ქალაქის გზას რომ მიანიშნებდა. გახარებული და ძალამოკრებილი იქითკენ გაეშურა.

პასანი ქალაქში შევიდა და ქუჩებში ხეტიალი დაიწყო. ბევრი ქუჩა გადაიარა და ვისაც ხვდებოდა, ამ ქალაქის მცხოვრებლების ამბავს ეკითხებოდა. ასე შეიტყო, რომ სულთანს ერთი საოცრად ლამაზი ქალიშვილი ჰყავდა, რომელიც უკვე დაქალბუღიყო: სილამაზით სრულქმნულს ყველაფერი მშვენიერი ჰქონდა თვალების გარდა. უსინათლო იყო, მხედველობა დაჰკარგოდა. ამის გამო სულთანი ძალიან დარდობდა. პასანმა რომ ეს ამბავი შეიტყო, სულთნის სასახლისაკენ გაემართა და შიგ შესვლა დააპირა, მაგრამ მცველებმა არ შეუშვეს. როცა უთხრა, სულთანთან შეხვედრა მინდაო, დასცინეს და გიჟად ჩათვალეს. მაგრამ პასანი სასახლის კარს არ მოშორდა და იმდენი ელაპარაკა მცველებს, ვიდრე სულთანთან არ შეუშვეს.

სულთნის წინაშე რომ წარსდგა, მან ჰკითხა:

— რა გსურს. კაცი?

— ალაჰიმე შეგმატებს ძალას, ჩემო ბატონო სულთანო! გავიგე, რომ თქვენი ასული უსინათლოა.

— მერე ამასთან შენ რა გესაქმება თავადასაველთა მაძიებელო?

— მოვედი, ჩემო ბატონო, რომ მას თვალის ჩინი დაეუბრუნო.

— შენ?.. რაებს ჩმახავ?.. ექიმი ხომ არა ხარ? ექიმი და ასეთი შესახედავი? ასეთი ჩამოძინძილი? როგორ გაბედე ჩემთან შემოსვლა!

— ნუ აჩქარდები, ბატონო ჩემო სულთანო. თუ მეფის ასულს ვერ

მოვარჩენ და თვალის ჩინს ვერ დავუბრუნებ. მაშინ მომკალი... თავი მომკვეთე.

სულთანი ჰასანის ნათქვამზე დაფიქრდა, ყოველივე აწონ-დაწონა და გუნებაში თქვა: შეიძლება სიცოცხლე ასე იოლად გაიმეტოს, თავის თავში რომ დარწმუნებული არ იყოს? იქნებ მართლა შეუძლია იმის გაკეთება. რასაც ამბობსო და უთხრა:

— ეი, შენ, კაცო, იცი თუ არა, რომ თუ მართალი არ გამოდგები, საშინელს სიკვდილი გელის?

— და თუკი მართალი გამოვდექი, ჩემო ბატონო, და შეიძელი თქვენს ასულს სინათლე დავუბრუნო. მაშინ?..

— ნაშინ ცოლად შეგერთავ.

ჰასანმა იმ ხის ერთი ფოთოლი მოიტანა და სულთნის ქალიშვილს მისცა. იმანაც შეჭამა... და თვალის ჩინი დაუბრუნდა! სულთანმა თავისი ლაპირება შეასრულა და ქალიშვილი ჰასანს მიათხოვა. მორთეს სასახლე და ქალაქი. დღე და ღამე მხიარულობდა ყველა.

დიდად გაიხარა სულთანმა ქალიშვილის განკურნებითა და ქორწინებით. ჰასანს პატივისა და ყურადღებას არ აკლებდნენ. ერთხანს ასე ცხოვრობდა, თითქოს მშვენიერ სიზმარშიყო. იმდენად ბედნიერი იყო, რომ მთლიანად აღუნაზღაურდა ის ტკივილი, რაც წინათ გადაეტანა.

გავიდა ხანი და ბედმა ამ ქალაქში აბდ ალ-მუინი მოიყვანა... აბდ ალ-მუინმა ჰასანის ამბავი შეიტყო, თავს ზაყ გადახდა და რა ბედსა და წყალობაში ჩავარდნილიყო, გულს ბოღმა დაიხვია, სულთანს ეახლა და ასე უთხრა: ის კაცი, ახლა რომ შენი ქალიშვილის ქმარია, ერთ დროს მოხეტიალე მათხოვარი იყო, საკმლის ნარჩენებს ქამდა და ნაგავივით გზაზე ეგდო. თავის სიტყვები ასე დაამთავრა:

— რატომ ხდება, რომ მათხოვრების, გაჭირვებულებისა და ნაძირალების ჩამომავლები კეთილშობილთა, წარჩინებულთა და დიდგვაროვანთა კეთილგანწყობითა და პატივით სარგებლობენ?

სულთანმა რომ ეს სიტყვები მოისმინა, გაახსენდა, რა ყოფაში იყო ჰასანი, მასთან პირველად რომ მოვიდა და იხანა, ჩემი ქალიშვილი ამ ლატაკსა და ვიგინდარას როგორ მიწვათხოვეო.

აბდ ალ-მუინი რომ მიხვდა, ჩემი სიტყვები სულთანს გულში მოხვდაო, ჰასანის თავიდან მოსაშორებლად გზების ძიება დაიწყო და თქვა:

— მოვიფიქრე, ჩემო ბატონო სულთანო. ხერხი, თქვენი კეთილშობილი ოჯახის ღირსებას რომ გადაარჩენს ამ უბადრუკი თვითმარქვიას ნათესაობისაგან... და ვერავინ მიხვდება, რომ ეს საქმე მას მოუწყვეს.

— თქვი, რასაც ფიქრობ.

— ო, ბატონო ჩემო სულთანო, უბრძანე, ღრმა ორმო ამოთხარონ და ზედ რამე გადაათარონ. ამ სახურავს შუაში ხვრელი ექნება და

ისე გამოჩნდება. თითქოს პატარა ორმო იყოს. ამ დიდი ორმოს გვერდით გზის ნაპირას მეორე პატარა ორმო ამოათხრევიან.

— მერე?

— მერე შენ გამოაცხადებ, ო. ბატონო ჩემო სულთანო, რომ გადაწყვეტილი გაქვს დოღის გამართვა. დოღზე მე და ჰასანი ცხენებზე ავმხედრდებით. შემდეგ ისე იქნება საქმე, რომ ჰასანი თავისი ცხენით ამ დიდ, გადახურულ ორმოს გადაახტება. მე ჩემი ცხენით — პატარა ორმოს.

— ეს საქმე როგორღა მოეწყობა?

— დიდი ორმო მარცხენა მხარეს იქნება. პატარა — მარჯვენა მხარეს. მე ჩემს ცხენს მარჯვნივ გავაკენებ. ჰასანს სხვა გზა არ ექნება, თავისი ცხენით მარცხნივ უნდა გადავიდეს.

— ასე იყოს.

ერთ ღამეს ჰასანი მარტო გამოვიდა და იმდენი იარა, ვიდრე არ მიადგინა იმ კურთხეულ ხეს, რომლის ფოთლებმაც იგი სიბრძავეისაგან განკურნეს. ეს ხე და ეს ადგილი ჰასანს ძალიან უყვარდა. არასოდეს ავიწყდებოდა იმ ბელურის მადლი. საამო და ნაზი ხმა რომ, ჰქონდა. ყური მიუგდო, იქნება ღმერთმა ქნას და ეს ხმა კვლავ გავიგონოო. ის ბედნიერი დღე მოაგონდა. როცა ჩიტმა ამ ხის ფოთლის შეჭმა ურჩია, თვალისჩინი რომ დაუბრუნა, რომელიც მუხთალმა აბდ ალ-მუინმა წაართვა.

დოღის წინა ღამეს ჰასანს ძალზე მოუნდა ამ ხის მონახულება, იმედოვნებდა. რომ ისევე მოკრავდა ყურს ბელურის ჯადოსნურ ხმას. იქითკენ გაეშურა. მთვარიანი ღამე იყო. ის ეღვარება. გაახსენდა, თვალის ახელისას რომ დაინახა. მადლობა შესწირა ალას იმ დიდი წყალობისათვის. რომლის შემწეობითაც მან ეს არაჩვეულებრივი სილამაზე იხილა, სულში სიმშვიდეს, ნდობასა და მშვიდობას რომ უნერგავდა.

იმ დროს, როდესაც ჰასანი ამ ხის ქვეშ იჯდა, ბედნიერ წუთებს იგონებდა და ამ მშვენიერ ადგილს უმზერდა. სადაც მთვარის ჯადოსნური სხივები ირეკლებოდა, უეცრად ტბილი, საამო ხმა ჩაესმა... ბელურის ხმა. რომელიც ხის კენწეროდან მოისმოდა და ზეციდან მომავალ ჩაგონებას ჰგავდა... ეს ხმა ეუბნებოდა:

— მარცხენა ორმოს ერიდე!..

მეტი არაფერი გაუგონია.

ამ ხმის მოსმენით გაბრუებული ჰასანი გონს რომ მოეგო. თავის თავს შეეკობა:

— რომელია ეს ორმო. ან სად არის იგი?

მაგრამ ამავე დროს სიმშვიდის გრძნობა დაეუფლა. მიხვდა. რომ მას ჯადაც იღუპალო, ზეციური ძალა მფარველობდა და ბოროტებისა და

მზაკერობისაგან იცავდა. მას უყვარდა ხალხი. სწამდა მათი სიყვითე, ავ-
კაცობასაც აპატიებდა.

ჰასანმა თავისი ბერი ალაჰს მიანდო. თუმც კი გადაწყვიტა. ფხიზ-
ლად ყოფილიყო, ეგების მუხთალი ხალხი მას რაიმე ბოროტებას უპი-
რებდა.

იმ დღეს, როცა დიდი იყო დანიშნული, ჰასანი და აბდ ალ-მუინი
თავ-თავიანთ ცხენებზე ამხედრდნენ და ჯირითი დაიწყეს. აბდ ალ-მუინ-
მა ცხენი მარჯვნივ გააგელვა და ჰასანმა გზის გვერდით თვალი მოჰკრა
ორ ორმოს. იმწამსვე ბელურის გაფრთხილება გაახსენდა. ცხენს დეზი
ჰკრა, აბდ ალ-მუინს გაუსწრო და ლაგამი მარჯვნივ გასწია. წამსვე
მარჯვენა ორმოს წინ აღმოჩნდა და მშვიდობიანად გადაეცლო ზედ. აზის
გამო იყო, რომ აბდ ალ-მუინი იძულებული შეიქნა მარცხენა მხარეს
გადაეხვია და დიდ ორმოსი ჩაეარდა.

სულთანს გააოცა მომხდარმა ამბავმა, ჰასანი იხმო და ჰკითხა: ამ კაცს
თუ იცნობო. იმანაც სულთანს თავისი თავგადასავალი უამბო. მერე სულ-
თანმა ორმოდან აბდ ალ-მუინის ამოყვანა ბრძანა. სიკვდილის პირას მი-
სული ამოიყვანეს და სულთანს მიჰგვარეს. ჰასანიც იქ იყო. მომავლადემა
აბდ ალ-მუინმა ჰასანს ხრინწიანი ხმით უთხრა.

— შემინდე, ჰასან!

მხოლოდ ეს სიტყვები წარმოთქვა და სული განუტევა.

სულთანს გოცებისაგან ენა ჩაუვარდა და გაიგონა. კეთილი გულის
ჰასანმა როგორ უთხრა თავის მეგობარს:

— ალაჰიმც შეგინდობს, ო, აბდ ალ-მუინი!..

მეშვიდე ჯიანი

დიდი ხნის წინათ, ერთი მეფე და დედოფალი ცხოვრობდა... არა
არს მეუღება თვინიერ ალაჰისა. ღმერთმა მათ შვილი არ მისცა. თუჰცა
ძალიან კი უნდოდათ მემკვიდრე, რომელიც მათ გაახარებდა. ერთ
დღეს, დედოფალი სასახლის შიგნით აუზში ბანაობდა და თან ალაჰს
ვევდრებოდა, ვაჟი ან ქალი მაჩუქეო. ვედრება არ დაემთავრებინა, რომ
უეცრად ბაყაყს მოჰკრა თვალი. ბაყაყი მის წინ დასკუბდა და ასე
უთხრა:

— ო, დედოფალო, ალაჰი შეისმენს შენს ვედრებას და ამ წლის
დამლეგამდე ქალიშვილს მოგცემს, რამეთუ ალაჰი ასრულებს ყველა
სათხოვარს.

ამის შემდეგ დედოფალი ფხვნივით შეიქნა და მშვენიერი ქალი-
შვილი ეყოლა. გაიხარა მეფემ და ქალიშვილს ზაინი დაარქვა. მისი და-

ბადების დღის აღსანიშნავად დიდი ზეიმი გამართა. მთელ ქალაქში დო-
ლის. ბუკისა და ცეკვა-თამაშის ხმა გაისმოდა, ქუჩებში ფული ცვიოდა,
აუხეები შაქარწყლით აევსოთ, რათა ხალხს ესვა.

მეფის ასული სამი წლის რომ შეიქმნა. მეფე-დედოფალმა გადაწყვი-
ტა. მისი დაბადების დღის აღსანიშნავად ლხინი გაემართათ. ამ ქალაქში
შვიდი ჯინი ცხოვრობდა. ამათგან ექვსი კეთილი იყო, მეშვიდე — ბო-
როტი. მეფემ კეთილი ჯინები დაპატიჟა ამირებს, კეთილშობილებსა და
დიდებულებთან ერთად, ბოროტ ჯინს კი არ დაუძახა. პურობის შემდეგ
ყველა სასახლეში დასხდა. მეფემ კეთილ ჯინებს სთხოვა, ჩემს ასულს
ყველამ რაიმე დაუბედეთო. პირველმა ჯინმა თქვა:

— ო. უფალო. ხანგრძლივი იყოს მეფის ასულის სიცოცხლე!

მეორემ თქვა:

— ო. უფალო, ჯანმრთელი იყოს!

და ამგვარადვე დააბედეს დანარჩენმა კეთილმა ჯინებმაც. როდესაც
მეექვსე ჯინის ჯერი დადგა. მან დაიწყო:

— ო. უფალო...

და ვიდრე დამთავრებდა, ბოროტი ჯინი შემოვიდა, დაასწრო და
თქვა:

— ო. უფალო. როცა მეფის ასული ათი წლის გახდება. ნემსი შე-
ერკოს და მაშინვე მოკვდეს!

თქვა ეს და გაუჩინარდა.

მაშინ მეექვსე ჯინმა სწრაფად დააწია ამ სიტყვებს:

— ო. უფალო, მეფის ასული ნემსმა კი არ მოკლას. არამედ ასი
წლის ძილს მიეცეს!

იზრდებოდა მეფის ასული ზაინი და წლითწლებით ემატებოდა
მშვენიერება და სილამაზე. ასე შესრულდა ათი წლის. ერთ დღეს, მეფე
და დედოფალი სანადიროდ წავიდნენ და მეფის ასული მის საკუთარ
მოახლესთან მძინარე დატოვეს. მოახლე რაღაც საქმეზე გარეთ გავიდა.
ზაინმა რომ გაიღვიძა, თავისი მოახლე ვერ იპოვა და მეფისა და დე-
დოფლის ძებნა დაიწყო. ვერც ისინი ნახა სასახლეში. ტირილი მორ-
თო. მამასა და დედას უხმობდა, მაგრამ არავინ გამოეპასუხა. მაშინ
სასახლის ეზოში ჩავიდა. იქ ერთი პატარა ოთახი დაინახა, სადაც დედა-
ბერი ტანსაცმელს კერავდა. მეფის ასულს სიცოცხლეში ნემსი არ ენა-
ხა და დედაბერს სთხოვა. ნემსი მაჩვენეო.

ზაინმა ნემსი აიღო და დედაბერის მიბაძვით, კერვა დაიწყო. ნემსი
შეერკო, მაშინვე თავბრუ დაეხვა და დაიძინა.

როცა მეფე და დედოფალი ამაღასთან ერთად ნადირობიდან დაბ-
რუნდნენ და მძინარე ზაინი დაინახეს, ყველამ დაიძინა. სასახლეში
ყველა სულიერს: ადამიანს, ცხოველსა თუ ფრინველს დაეძინა. ქალაქის
მცხოვრებლებმა დაინახეს, რომ სასახლეს ხშირი ღრუბლები გარსშემორ-

ტყმოდა. ბაღში ხეები იზრდებოდა... იზრდებოდა... ვიდრე სასახლე სულ ერთიანად არ დაიფარა.

მეზობელ ქვეყნებს მეფის სასახლის გაუჩინარების ამბავი მოედო და ხალხში სასახლის გაქრობის საიდუმლოებაზე მითქმა-მოთქმა შეიქნა. ყველა სხვადასხვა მიზეზს ამბობდა, მაგრამ სინამდვილე მაინც ვერავინ გაიგო.

თვე თვეს მისდევდა და წელიწადი წელიწადს, თაობიდან თაობაში გადადიოდა მართალი თუ ტყუილი ამბავი ამ სასახლის საოცარი გაუჩინარების თაობაზე. მეფეები და ამირები საგონებელში ჩაეარდნენ და დახმარებისათვის ბრძენთა და სწავლულთ მიმართეს. ცდილობდნენ, როგორმე აღმოეჩინათ გამქრალი სასახლე, მაგრამ ყოველივე ამო იყო, საწადელს ვერ მიაღწიეს.

სასახლის გაქრობიდან ოთხმოცდამეცხრამეტე წელს ერთმა ქაბუკმა უფლისწულმა, სახელად ჰაიდარმა, ამ სასახლის ამბავი მოხუცი ბაბუისაგან გაიგონა და დიდად დაინტერესდა. ყველას გამოჰკითხა, ვისაც კი რაიმე სმენოდა.

სასახლეზედაც იმდენი საოცრება მოისმინა. რამდენიც ზაინის სილამაზეზე. ჰაიდარი ფიქრმა მოიცვა და ძილი გაუტყდა. ფიცი დადო: სასახლეს იმდენ ხანს ვეძებ, ვიდრე არ ვიპოვიო.

უფლისწული ჰაიდარი გულადი და ღონიერი ვაჟკაცი იყო. ბედაურს მრახტა და თან ამაღა და მსახურები იახლა. სასახლის საძებნელად გაეშურნენ.

უფლისწულ ჰაიდარის მისვლა სასახლესთან ასი წლის უკანასკნელ დღეს დაემთხვა. დიდად გაიხარა, მწვანე ხეები და ლამაზად გაშლილი ყვავილები რომ იხილა. კიშკარი გააღო და ბაღში შევიდა, დაბურული ხეივანი გაიარა და პატარა ოთახს მიადგა. შეაღო კარი და შეიხედა... დაინახა, მეფის პატარა ასულს უკვე გავლიძებოდა, თვალები გაეხილა და იქაურობას ათვალიერებდა. უფლისწულმა გაუღიმა, იმანაც ღიმილით უპასუხა: და ჰკითხა:

— ვინა ხარ?

— მე უფლისწული ჰაიდარი ვარ, შენს გადასარჩენად მოვედი.

— სად არიან მამაჩემი და დედაჩემი? ალაპს გაფიცებ. წამიყვანე მათთან!

ზაინმა მეფისწულ ჰაიდარს ხელი ჩაჰკიდა და ორივე სასახლისაკენ გაემართა. ნახეს, რომ ყველას გავლიძებოდა. თვალი მოჰკრეს მეფეს, რომელიც ოქროს ტახტზე იჯდა და გვერდით დედოფალი ესვა. მეფემ და დედოფალმა თივიანთი ასული ზაინი და უფლისწული. რომ დაინახეს, აღგნენ და მათ მიაშურეს, ქალიშვილს გადაეხევივნენ.

შუქდევ მეფემ უფლისწულ ჰაიდარს მისი ამბავი და აქ ყოფნის მიზეზი გამოჰკითხა, მანაც თავისი თავგადასაყალი უამბო.

სასახლეში დიდი ზეიმი მოეწყო სასახლის გამოჩენისა და მისი მცხოვრებლების გამოღვიძების გამო. მეფემ ბევრი სტუმარი მოიპატიჟა. დაპატიებულთა შორის ექვსი კეთილი ჭინიც იყო, მეშვიდე ბოროტი ჭინი კი — არა.

უფლისწული ჰაიდარი მეფეს სტუმრად ჰყავდა და უზომო პატივით სარგებლობდა.

სასახლეში ყოფნისას უფლისწულმა ჰაიდარმა ბოროტი ჭინის ამბავი გაიგო. ამ ამბავმა ძალიან შეაწუხა. შიშს მიეცა, ბოროტმა ჭინმა ზაინი კვლავ არ დასწყევლოს და ღმერთმა მისი წყევლა არ შეისმინოსო.

ზაინის სიყვარული უფლისწულს იმ დღიდან ჩაეარდნოდა გულში, მისი თავგადასავალი რომ გაიგო. ქალი რომ ნახა, ეს სიყვარული კიდევ უფრო გაუძლიერდა. ველარასოდეს დაივიწყებდა მის ღიმილს.

უფლისწული დაფიქრდა, რა ღონე ვიხმარო, რომ სატრფო ჭინის ბოროტებისაგან დაეიხსნაო. როდესაც სასახლის გამოჩენის დღესასწაული მოეწყო, უფლისწული კიდევ უფრო დაამწუხრდა და დადარდნად...

და იმ დროს, როცა კეთილი ჭინები ზაინს ლოცავდნენ, უფლისწულს შიში გაუძლიერდა. მეშვიდე ჭინის გამოჩენას ელოდა. ხელი ხმლის ვადაზე ედო და ფიქრობდა: მოვასწრებ თუ არა ჭინის გამოჩენისთანავე ხმალი ვიშიშვლო და მოვკლაო. მაგრამ ჭინი ადამიანის მოდგმისა როდია, მკერივი სხეული რომ ჰქონდეს და ხმალმა გაკვეთოს. უფლისწულს ბრძენი ბევრისმნახველი მოხუცი ბაბუის რჩევა გაახსენდა. იმან ერთხელ უთხრა: „ხმალს, ჩემო შვილო. არ შესწევს ძალა ყოველი საქმე გადაწყვიტოს. როცა რაიმე სიძნელე შეგხვდება, რომელსაც ძალა ვერაფერს დააკლებს, მაშინ კჳუასა და გონს უხმე. ერთმა უბრალო აზრმა შეიძლება ყველაზე რთული საქმიდან გიხსნას“. და ჰაიდარმა მოიფიქრა, სისწრაფე ეხმარა. როცა მეხუთე ჭინმა დალოცვა დაამთავრა და მეექვსემ დაიწყო: „ო, უფალო“... მაშინ უფლისწულმა ანიშნა ერთი წამით გაჩერდით და ასე უთხრა:

— მეფის ასული დალოცე, რომ იგი ალაჰმა მეშვიდე ჭინის ბოროტებისაგან დაიფაროს.

მეექვსე ჭინმა ზაინი ისე დალოცა, როგორც უფლისწულმა ჰაიდარმა უთხრა და მეშვიდე ჭინიც აღარ გამოჩენილა.

ყველამ დიდად გაიხარა. განსაკუთრებით მეფემ და დედოფალმა. მეფემ უფლისწულ ჰაიდარს უთხრა:

— შენს სიკეთეს ვერასოდეს დავივიწყებ. ითხოვე, რაც გინდა.

უფლისწულმა მიუგო:

— მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს, შენი ქალიშვილი ზაინი მომათხოვე!

მეფე და დედოფალი დაყაბულდნენ და დღე ქორწილი გამართეს. ღლე და ლამე ზეიმი იყო.

შეირთო უფლისწულმა ჰაიდარმა მეფის ასული ზაინი და ცხოვრობდნენ ბედნიერებასა და სიამცკბილობაში, ბევრი ქალ-ვაჟიც ეყოლათ.

ს უ ლ ა ნ შ რ ი ზ ლ ა კ რ მ ბ ი

თავეზის შვილები

მეფე იბნ ნუმაირს ერთი ცოლი ძალიან უყვარდა და სხვა ცოლებს შორის გამორჩეული ჰყავდა. ისეთი ყურადღებით ექცეოდა. ისეთ ზრუნვას იჩენდა მის მიმართ, რომ დანარჩენმა ცოლებმა ექვიანობა დაიწყეს და მის წინააღმდეგ პირი შეკრეს. განიძრახეს ისე მოეწყოთ, რომ ქმრისთვის ქალი შეეძლებინათ.

ამ ქალებმა ქმრის საყვარელ ცოლს თავი ისე მოაჩვენეს, თითქოს მისი დიდი მეგობრები იყვნენ და ძალიან უყვარდათ. ეს ქალი თავად კეთილი გულისა იყო და ამით მოტყუვდა. ისე მიენდო მათ. რომ როცა ბავშვი გააჩინა და უთხრეს. ცოცხი გეყოლაო. დაიჭერა.

ეს ცოლები თავს ადგნენ ქალს შშობიარობის დროს. ნამდვილი შვილი დაუმალეს და ერთ მხევალს გაატანეს, ზღვაში გადააგდეს. ცოცხი მოიტანეს, შეახვიეს და მტკიცებას მოჰყვნენ, ეს არის მეფის ძვირფასი შვილიო. ეს ამბავი მათ ქმარს, მეფეს, აცნობეს. მეფე ძლიერ დამწუხრდა, მაგრამ გამაგრდა. მეფის მშვენიერმა ცოლმა მეორე შვილიც გააჩინა. იგივე უბედურება განმეორდა: ნამდვილი ბავშვი ზღვაში გადააგდეს და მის ნაცვლად დედას ახლა ქვა დაუდეს.

ამგვარ ბოროტებას ჩადიდოდნენ ეს ქალები მეფის საყვარელი ცოლის მიმართ, ისე რომ ზღვაში გადაგდებული მსხვერპლად გაღებული ბავშვების რიცხვმა ხუთს მიაღწია: აქედან ერთი გოგო იყო და ოთხი ბიჭი.

ერთ დიდ თევზს ჩვევად ჰქონდა, იმ ნაპირთან მიცურებულყო, საიდანაც ამ უმწიველო ბავშვებს ჰყრიდნენ. ამ თევზმა ყველა ბავშვი გადაგდებისთანავე გადააყლაპა, ისე რომ ხუთივე ბავშვი თავის დიდ მუცელში მოაგროვა. და ცხოვრობდნენ იქ ბავშვები ბედნიერად მზაკვართა ბოროტებასა და ვერაგთა სიმუხთლეს მოშორებულნი. იმით იკვებებოდნენ. რასაც თევზი ჰამდა და თავის მუცელში იმარაგებდა. ასე ცხოვრობდნენ ბავშვები. ვიდრე ალაჰმა არ მოისურვა. რომ დღის სინათლეზე გამოსულიყვნენ მეთევზის წყალობით. ამან ეს თევზი დაიჭირა და ქალაქში ერთ ფაკიძს მიჰყიდა. ეს ფაკიძი ლატაკი იყო, ბევრი შვილი ჰყავდა, წლებზე ფეხს იდგამდა, მათთვის საზრდო რომ

ეშოვა. ამ დიდმა თევზმა ძალიან გაახარა. უხაროდა, ჩემს შვილებს გამოვაძღვებო და, რაც მთავარია, თევზი იაფად ვიყიდევო. ფაკიპმა ეს თევზი სახლში წაიღო, ბავშვებიც ალტაცებაში მოვიდნენ, გარს შემოეხევივნენ, ხუმრობდნენ და ყვიროდნენ... ცოლმა თევზი წყლით სავსე ტაშტში ჩაღო. შემდეგ თევზს მუცელი გაუფატრეს და გაშვდნენ ბავშვების დანახაზე, რომლებიც თევზის მუცლიდან გამოვიდნენ. შეძრწუნებულმა ცოლმა წამოიყვირა:

— რა არის ეს, ო, უფალო ჩემო!

ქმარმა უპასუხა:

— ეს ალაპის წყალობაა.

— ალაპის წყალობა?! განა ჩვენი ბავშვები არ გვეყოფოდა?!

— გაჩუმდი, ო, დედაკაცო, შენღობა თხოვე ალაპს, ლუკმაპურს გაგვიჩინეს ჩვენცა და მათაც!

მართლაც, ფაკიპს თანდათან უადვილდებოდა სარჩოს შოვნა და დოვლათი ხელში უცვიოდა, საიდან იყო და საიდან არა. ბედნიერნი იყვნენ ფაკიპი და მისი ცოლი ამ ბავშვებით, რომლებმაც თან ამდენი სიკეთე მოიტანეს.

ოთხივე ბიჭი გაიზარდა, გაიზარდა გოგოც. ფაკიპმა მას ფატიმა დაარქვა. იგი მეტად ლამაზი და შშვენიერი იყო. ერთხანს ბედნიერად და მშვიდად ცხოვრობდნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთ დღეს, თამაშის დროს, უფროსი ვაჟი და ერთი მისი ამხანაგი წაიკნკლავდნენ და იმან ასე დაუძახა: „შე თევზის შვილო“!

ამის შემდეგ, ყოველთვის, როდესაც ფაკიპის შვილებს მეფის შვილების გამოჩაგრება უნდოდათ, ეუბნებოდნენ, თქვე თევზის შვილებო.

ერთ დღეს, უფროსი ვაჟი ატირებული მივიდა ფაკიპთან და სთხოვა, აეხსნა მისთვის ამ შერქმეული სახელის საიდუმლოება: ჩვენ მართლა თევზის შვილები ვართო? ფაკიპს სხვა რა დარჩენოდა, მისთვის სიმართლე უნდა ეთქვა. მაშინ ბიჭმა გადაწყვიტა: დაძმებთან ერთად შორს წასულიყო, იმათ თვალს მოეფარებოდა, ვინც მათ დასცინოდა და ამცირებდა. ამიერიდან ახალ ცხოვრებას დაიწყებდნენ.

ხუთივე ბავშვი წავიდა და იქამდე იარეს, ვიდრე ერთ დაბურულ ტყეს არ მიაღწიეს. იქ გაჩერდნენ და ხის ფოთლებისა და ტოტებისაგან ქოხი აიშენეს. ვაჟები სანადიროდ დადიოდნენ, ქალიშვილი კი ქოხში რჩებოდა, მათ საჭმელს უზაღებდა და მომინაურებულ ფრინველსა და ცხვრებს უვლიდა. სახლიდან გასვლას რომ დააპირებდა, ბერიკაცი ტანსაცმელს იცემადა. ასე გამოწყობილი ხშირად მიდიოდა ხოლმე მახლობელი მდინარის პირას, რომ ცხოველებისათვის წყალი დაეღვივებინა და კოკა წყლით აევსო. ზოგჯერ ტანსაცმელს გაიხდიდა და მდინარეში საბანაოდ ჩადიოდა. მაშინ გამოჩნდებოდა მისი განსაცვიფრებელი სიტურაჟე — მინდვრის ყვავილს ჰგავდა ნორჩი, მშვენიერი, უმწიკვლო.

ერთ დღეს იგი დაინახა სულთნის, ერთ-ერთმა მონამ. რომელიც ამ შორეულ, უღრან ტყეში ნადირობიდან ბრუნდებოდა. ქალიშვილს ბერიკაცის ტანსაცმელი გაენადა. მონა ისე მოაჯადოვა მისმა სილამაზემ, რომ გოცებისაგან ქალს სიტყვაც ვერ უთხრა. მეტე ბატონთან წავიდა და ქალიშვილის ამბავი უამბო. სულთანმა მოინდომა ნათქვამის სინამდვილეში დარწმუნებულებო და ახლა სხვა მონა გაგზავნა ქალიშვილის სანახავად. ამ მონას კარგად ლაპარაკი ისედაც არ შეეძლო და ქალიშვილის სილამაზემ მთლად დაუბა ენა. მონა რომ დაბრუნდა, სულთანმა მისგან სულ ვერაფერი გაიგო და გადაწყვიტა, თავად წასულიყო და დარწმუნებულებო იმაში, რაც პირველმა მონამ უამბო.

სულთანი ტყეში წავიდა და მდინარის ახლოს, დიდ ხეს ამოეფარა. ასე დამალული გზას თვალს არ აცილებდა. მალე მოხუცი კაცი გამოჩნდა, რომელიც მდინარისაკენ მიდიოდა. მდინარესთან რომ მივიდა, ტანსაცმელი გაიხადა და მეფისათვის ყოველივე აშკარა გახდა: ეს იყო მშვენიერი, ლამაზი ქალიშვილი ფატიმა.

ფატიმა მდინარეში შევიდა სიბანაოდ. სულთანი შორიახლოს დადგა. როცა ფატიმა წყლიდან ამოვიდა და ბერიკაცის ტანსაცმელში გამოეწყო, მაშინ მიეახლა სულთანი და მიესალმა, არკი გამოუშველავნებია, რომ მისი ამბავი იცოდა.

სულთანმა მოხუც კაცს შესთავაზა, ჩემს სასახლეში მებაღედ იმუშავეო. ისიც დაეთანხმა და უთხრა:

— მაგრამ მე, ო, მეფეო, ოჯახის პატრონი ვარ. ამ ტყეში, პატარა ქოხში ჩემი შვილები ცხოვრობენ. სადამრმდე აუცილებლად უნდა დავბრუნდე და ღამე მათთან გავათიო.

სულთანმა უპასუხა:

— ეს შენი ნებაა, ო; მოხუცო მებაღეც.

დაიწყო გადაცემულმა ფატიმამ სულთნის ბაღში მუშაობა. სულთანი ხშირად მიდიოდა მასთან, თავაზიანად ელაპარაკებოდა და უხვად ასაჩუქრებდა. ეს საჩუქრები საღამოს ფატიმას ძმებისათვის მიჰქონდა. სულთანს ფატიმას სიყვარული სწევდა, მაგრამ მალავდა ამ გრძნობას. ვიდრე ხელსაყრელი შემთხვევა არ მიეცა.

ერთხელ, შუადღისას, სულთანი სასახლის სარკმლიდან ფატიმას თვალს აღევნებდა. ფატიმამ რომ ბაღში თავი დაიმარტოხელა. იფიქრა, არაფერ მიყურებსო, ბერიკაცის სამოსი გაიხადა. მისი სილამაზე და მშვენიერება გამოჩნდა. სულთანმა გაიფიქრა: ჩავალ და მოულოდნელად თავს წავადგებო, მაგრამ მოითმინა, არ შერცხვესო.

ასე გაგრძელდა მანამ, ვიდრე სულთანს ვნება არ მოერია. ერთ დღეს გადაცემული სულთანი ქალს უკან გაჰყვა. ისე, რომ იგი მას ვერც ხედავდა და არც არაფერი იცოდა. ფატიმა თავის ქოხში ბრუნდებოდა, სადაც მას ძმები ელოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მათთან სულთანი მივიდა და

მიესალმა. მათაც საღმით უპასუხეს და პატივით მიიღეს. სულთანმა მათ თავისი ვინაობა გაუმჟღავნა, ფატიმამ კი მაშინვე იცნო იგი და ძალიან გაოცდა.

მაგრამ მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა, როცა სულთანმა უფროს ძმას ფატიმას ხელი სთხოვა.

მალე ქალაქში ხმა დაირბა — სულთანი ქალს ირთავსო. ხალხი მხიარულებამ მოიკვა. მხოლოდ ერთ სულიერს არ გახარებია ეს ამბავი: ეს თუთიყუში იყო, ამ სასახლის ერთ კუნჭულში რომ ცხოვრობდა. და ყოველთვის, როცა სულთანს დაინახავდა, ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა:

„იბნ ნუმაირს თავისი ქალიშვილის შერთვა უნდა“.

ჯერ სულთანს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ თუთიყუშმა რომ ეს სიტყვები რამდენჯერმე გაიმეორა, მაშინ რაღაც ენიშნა და დაფიქრდა. მერე თუთიყუშს შეეკითხა: ამ სიტყვებში რას გულისხმობო? თუთიყუშმა უპასუხა: შენი საცოლე სხვა არავინაა, თუ არა შენივე ქალიშვილიო.

ეს ხომ სულთანი იბნ ნუმაირი იყო, ქმარი იმ მშვენიერი, საცოდავი ქალისა, რომელსაც მისმა ცოლებმა ათასგვარი ხრიკი მოუწყვეს. ჩააგონეს, შენმა ცოლმა ცოცხი, ქვა... და სხვა ამგვარი შობაო. იმდენი ქნეს, იბნ ნუმაირს ქალი შეაძულეს, მიატოვებინეს იგი და დაავიწყეს. როცა მზაკვრობით იმას მიადწიეს. რაც სწადდათ და ქალისთვისაც ნათელი გახდა მათი ნამდვილი ბუნება. ცოლებმა მისი გამოჩაგრება იწყეს. ჯერ ცოცხის დედა უწოდეს, შემდეგ ქვის დედა და ასე შემდეგ და ასე შექმდე. ქალმა რომ ვერაფერს ნახა თანამგრძობი, ერთ ღამეს სასახლიდან წავიდა და აღარც დაბრუნებულა.

უფროსმა შვილმა რომ დედის ამბავი გაიგო. ერთი ქალი გაახსენდა. ეს ქალი მან მაშინ ნახა, ამ ტყეში უგზო-უკვლოდ რომ დაეხეტებოდა. გაიგონა, დროდადრო როგორ იმეორებდა:

— ჩემო გოგო, ცოცხო... ჩემო ბიჭო, ქვაო!

და ბიჭი მიხვდა საიდუმლოს — რატომ უყურებდა ეს ქალი მას ასე ნაზად. თვითონ რატომ იგრძნო ამ ქალისადმი სიბო და სიბრალული. საქმელიც კი მიჰქონდა მასთან და არკი იცოდა, რომ დედამისი იყო.

გაიხსენა თუ არა ეს ამბავი უფროსმა შვილმა, ტყეში დედის ძებნა დაიწყო. მოაგნო და მასთან ერთად მამამისის, იბნ ნუმაირის სასახლეში დაბრუნდა.

იბნ ნუმაირმა დიდად გაიხარა მშვენიერი ცოლის დაბრუნებით და იხანა, რომ იგი სასახლიდან გააგდო და მიატოვა.

ერთად შეიკრიბნენ ცოლ-ქმარი და შვილები. ყველა ხარობდა. თუთიყუში კი, როცა იბნ ნუმაირს დაინახავდა, დაიძახებდა:

— იბნ ნუმაირ, გმწვია ბედნიერება!

ბებია შვილიშვილებს ეუბნება: ამ ღამით გაამბობთ ზღაპარს ქასლასა და შატირ ჰასანზე. ეს ამბავი სუდანში მოხდა ძალიან დიდი ხნის წინათ...

ჯალაიას ტომს ერთი ბელადი ჰყავდა, სახელად ნუყმანი. ტომის წევრებს იგი ძალიან უყვარდათ, რადგან მათ უშიშრობასა და კეთილდღეობაზე ზრუნავდა. სხვა არაბულ ტომებთანაც ჰქონდათ კავშირი და ურთიერთობა. ჯალაიას ტომი და დანარჩენი არაბული ტომები ერთად იბრძოდნენ მტრების წინააღმდეგ.

გავიდა ხანი. მოკვდა ნუყმანი და მხოლოდ ერთი პატარა ბიჭი დარჩა. — ექვსი წლისა. ეს ბიჭი შატირ ჰასანი იყო.

ნუყმანის შემდეგ ტომის ბელადი მისი ძმა ოსმანი გახდა. ოსმანი თავის ძმას სრულებით არ ჰგავდა, სულ საწინააღმდეგო ხასიათი ჰქონდა. ცუდი ქცევისა იყო. ხალხს ჩაგრაავდა. ტომს დიდ გასაკირში აგდებდა, ხშირად გამოუყვალ მდგომარეობაში აყენებდა და სხვა ტომებთან დაეაში აბამდა.

შატირ ჰასანის საუბედუროდ. მისი აღზრდა თვითონ ბიძამისმა ოსმანმა იკისრა. მკაცრად ექცეოდა. სრულებით არ ეცოდებოდა და არ იწყალებდა. შატირ ჰასანი გონიერი, გულადი და კეთილშობილი იყო. შესანიშნავად იცოდა ცხენოსნობა. როცა სოფლის ბიჭებთან ერთად სანადიროდ მიდიოდა. ყველაზე მეტს მოინადირებდა, მიუხედავად იმისა, რომ იმათზე პატარა იყო.

შატირ ჰასანი რომ გაიზარდა და დაეაყვაცდა. ნადირობისა და ცხენოსნობის ტრფიალი შეიქნა.

ერთხელ სოფლის ყმაწვილებთან ერთად სანადიროდ წავიდა. ნადირობისას ქურციკი დაინახეს, რომელსაც ერთი რქა ოქროსი. მეორე კი ვერცხლისა ჰქონდა. ყმაწვილებმა შატირ ჰასანს ამ ქურციკზე მიუთითეს და უთხრეს, თუ შენ მართლაც მარჯვე, ხარ ნადირობაში. ეს ქურციკი დაიჭიროე.

შატირ ჰასანი თავისი ცხენით ქურციკს დაედევნა. სოფელს რომ ჩაუშარა, იფიქრა, პირდაპირ გადავჭრიო, მაგრამ ამ დროს ქალი დაინახა, რომელიც მშვენიერ ასულს ვარცხნიდა. მისმა სილამაზემ შატირ ჰასანი გააოცა. გაჩერდა და თვალთვალი დაუწყო. ქალმა შატირ ჰასანისაკენ გამჩიხედა და უთხრა: „რას უთვალთვალებ ასე? მოსცილდი ქასლას... იგი მისი ბიძაშვილის დანიშნულია. ხვალ მათი ქორწილია“.

შატირ ჰასანმა მისკენ გაიხედა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „თუ მას მისი ბიძაშვილი შეირთავს. მკლავს მოვიჭრი“. მერე ცხენს დეზი შემოჰკრა და იქაურობას გაეცალა: ქურციკი კი ქასლას გამო ხელიდან დაუსხლტა. გულში თქვა: „ქასლა, ისაა ჩემი ქურციკი, ჩემი უძვირფასესი ნა-

ნადირევი“. ის ღამე კლდეების ახლოს გაათია. დილით ადგა. სოფლის ბაზრიდან ცოტაოდენი საქმელი მოიტანა, წაიხმესა და ბინდის მოახლოებას დაელოდა...

სალამოს ცხენზე შეჯდა და სოფლისაკენ გასწია. ქორწილი უკვე გაჩაღებული იყო, სიმღერისა და დოღის ხმა გაიგონა და მალე ქასლაც დაინახა. იგი ტეკავდა და ყველა ყმაწვილს. ვინც მასთან მოვიდოდა და მიუახლოვდებოდა, ლომის ლეკვს მიუშვერდა ხოლმე. სახელდობრ, ყმაწვილისაკენ გადაიხრებოდა ისე, რომ აიძულებდა. მის თმას შეხებოდა. მერე გასწორდებოდა და ტეკვას განაგრძობდა.

შატირ ჰასანი ცხენიდან ჩამოვიდა და ქასლას მიუახლოვდა ისე, რომ ცხენს არ მოშორებია. ქასლა მისკენ გადაიხარა, რომ მისთვის ლომის ლეკვი მიეშვირა... თვალის დახამხამებაში შატირ ჰასანმა იგი აიტაცა, მასთან ერთად ცხენს ზურგზე შემოახტა და გაქუსლა... ამ სოფლის ყველა ყმაწვილი გამოედევნა. მაგრამ იგი უკვალოდ გაქრა...

შატირ ჰასანმა ქასლა შეირთო. ქასლამ მისი ვაჟაკობა და კეთილშობილება რომ დაინახა, ისევე შეიყვარა იგი, როგორც ქმარს უყვარდა. შატირ ჰასანი ცოლთან ერთად ბიძამისის, ოსმანის, სახლში ცხოვრობდა. იმ ბიძის, ბელადი რომ იყო, ბოროტი, გულქვა, შეუბრალებელი და ხარბი, რომელიც არაფერს თვლიდა სიკეთედ, თუ თვითონ ვერ ისარგებლებდა.

როგორც კი ქასლა დაინახა, მისმა სილამაზემ ისე დაატყვევა, რომ მტკიცედ გადაწყვიტა. თავიდან მოეშორებინა მისი ქმარი, შატირ ჰასანი და ჭალი ცოლად შეერთო.

ოსმანმა რამდენიმე თავისნაირი წამხდარი და ვერაგი ახალგაზრდა შეკრიბა, მათთან ერთად შატირ ჰასანის მოსაკლავად ხრიკების მოწყობა დაიწყო და უთხრა: „თუ თქვენ, რა გზითაც არ უნდა იყოს, შეძლებთ მოკლათ ან თავიდან მომაშოროთ იგი ისე, რომ ამ სოფელში ვეღარასოდეს დაბრუნდეს, იმდენ ოქროს მოგცემთ, რამდენსაც მოისურვებთ“...

ამ ახალგაზრდებმა მოილაპარაკეს, შატირ ჰასანისათვის თავი მეგობრულად მოეჩვენებინათ... ერთ დღეს სანადიროდ წავიდნენ, ღრმა ჰას ჩაუბრეს და იქ გაჩერდნენ. ერთმა გამომწვევად თქვა: „ვაჟაკი ის იქნება, ვინც ამ ჰაში ფსკერამდე ჩავა და იქიდან ამოვა“... შატირ ჰასანი იმათ გამოეყო და ჰის სიღრმეში ჩაეშვა. იმათ ჰას თავზე სწრაფად გადააფარეს აქლემის მაგარი ტყავი და ზემოდან ისეთი დიდი ქვა დაადეს, რომ ადგილიდან ვერ დაეძრა. შატირ ჰასანმა ძალისა და მოხერხებულობის წყალობით ეს ქვა გადააგდო და ზევით ამოვიდა. ყმაწვილები იქვე ახლოს იყვნენ და თვალყურს ადევნებდნენ — აბა, რას იზამსო. ჰიდან ამოსული რომ დაინახეს. მასთან მივიდნენ და ზუმრობითა და სიცილით თავი ისე მოაჩვენეს, თითქოს მისი ვაჟაკობის გამოცდა უნდოდათ და ჰის სახურავის ალებას და მის გამოყვანას აპირებდნენ, თუკი

ამას თვითონ ვერ შეძლებდა. შატირ ჰასანმაც დაუჭერა მათ, რადგან გულკეთილი და გულწრფელი იყო...

ეს ახალგაზრდები რომ დაბრუნდნენ და უმდა ოსმანს შეხვდნენ, ყველაფერი უამბეს. მან კარგად გამოთათხა ისინი, შატირ ჰასანს ჰილან ამოსვლის საშუალება რომ მისცეს. შემდეგ სხვა ხრიკი მოიფიქრეს...

მეორე დღეს შატირ ჰასანი და ეს ახალგაზრდები სანადიროდ წავიდნენ. თან მაგარი თოკი წაიღეს. უეცრად გარეული ძროხა დაინახეს და დაიჭირეს. ერთმა თქვა: ვაყკაცი ის იქნება, ვისაც ამ ძროხაზე მიაბამენ და ის კი შეძლებს თავი გაინთავისუფლოსო. შატირ ჰასანმა იმწამსვე წამოიძახა: „მე...“ იგი ძროხას მაგარი ბაწრით მიაბეს, კარგად გაკოჭეს და მიატოვეს, თან შორიდან უთვალთვალდნენ. შატირ ჰასანი ბევრს ეცადა თავი გაეთავისუფლებოდა, მაგრამ ვერ შეძლო. მათ ეს რომ დაინახეს, ჩუმად გაიპარნენ, სოფელში დაბრუნდნენ და ეს სასიხარულო ამბავი ბიძამისს, ოსმანს, შეატყობინეს: „იგი ასე დარჩება გაბაწრული, ვიდრე შიმშილითა და წყურვილით არ მოკვდება“.

ოსმანი დამშვიდდა, ქასლას შესართავად სამზადისი დაიწყო და უთხრა: „შატირ ჰასანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მისი ადგილსამყოფელი ცნობილი არაა. მე შენი შერთვა მინდა“. ქასლამ უარი უთხრა, ოსმანი თხოვნას ისევ და ისევ უმეორებდა. ქალი კი უარს ამბობდა... იგი შატირ ჰასანის დაბრუნებას ელოდა, მაგრამ ამოღ. მაშინ ქასლა სახლიდან გავიდა და ქმრის საძებნელად უგზო-უკვლოდ სიარული დაიწყო. ერთხელ, ასე რომ დაიარებოდა, ერთი დიდებული სასახლე დაინახა. რომ მიუახლოვდა, მოშორებით ერთ კუთხეში ფელაჰის ძველ ტანსაცმელს მოჰკრა თვალი. ფელაჰის ტანსაცმელში გადაცმული ამ სასახლის ბაღში შევიდა. დაინახა იგი სასახლის პატრონმა და მისი ამბავი გამოკითხა. (იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს კაცი ფელაჰი იყო). ამან უპასუხა: „მინდა, რომ გემსახურო“ და ისიც დაყაბულდა.

ქასლა სასახლის მიდამოებში ერთ გუბეში ჰურქელს რეცხავდა. როცა იქ არავინ იყო, ფელაჰის ტანსაცმელს იხდიდა და გამოჩნდებოდა თავის ნამდვილ ტანსაცმელში და ოქროებში, მის ლამაზ სხეულს რომ ამშვენებდა.

ერთ ბნელ ღამეს მას ხმა შემოესმა, მწუხარე ჰანგით რომ ამბობდა: ამობრწყინდება სურაია და ჩემს თვალებში ჩაწვდომას ცდილობს.

ო, ქასლა, არაბთა ასულო, ჩემთან ვინ მოგიყვანოს.

და მიხვდა, რომ ამ ხმის პატრონი ამას ამბობდა: „როცა ამოვა სურაიას ვარსკვლავი, ვცდილობ, თვალებს ძალა დავატანო, რომ დაინახონ, რა მოგიყვანს ჩემთან, ო, ქასლა, ო, არაბთა ასულო!“ მაშინ დარწმუნდა, რომ ამ ხმის პატრონი შატირ ჰასანი იყო. მაგრამ ხმა გაქრა:.. ამოღ ეძებდა ქასლა სიბნელეში, ვერაფერს მიაგნო...

მას შემდეგ, რაც შატირ ჰასანი ამ გარეულ ძროხას მიაკრეს, ყველ-

გან და ყოველთვის მასთან ერთად დადიოდა. თავის დაღწევა არ შეეძქ
ლო. იმ ბალახს თხრიდა. კრეფდა, რასაც ძროხა ჭამდა და წყალს იმ გუ
ბიდან სვამდა. რომელთანაც ძროხა მიდიოდა.

იმ ღამეს, ქასლამ რომ მისი ხმა გაიგონა, ჩვეულებისამებრ, როგორც
ყოველ ღამეს, ძროხამ იგი გუბესთან მიიყვანა.

ქასლამ გადაწყვიტა, მეორე ღამეს იმავე დროს გუბესთან მისული-
ყო. ღამის დადგომას მოუთმენლად ელოდა. მერე წავიდა, გუბესთან
დაჭდა. ასი თვალი გამოიბა და სმენად იქცა... ზეცაზე სურათის ვარსკვ-
ლავი ამობრწყინდა და თავის ელვარება დედამიწას მოჰფინა. ამ დროს
ქასლამ ლანდი დაინახა, გუბეს რომ უახლოვდებოდა. როცა იგი ამ
ლანდთან ახლოს აღმოჩნდა, ძროხა და მასზე მიკრული შატირ ჰასანი
გაარჩია. სწრაფად აიღო ჭურჭელი, ზომელიც გასარეცხად ჰქონდა წა-
მოდებული, იქიდან დანა ამოიღო და თოკი გაჭრა. ძროხამ წყალი და-
ლია, შატირ პასახი კი განთავისუფლებული აღმოჩნდა. იგი ფელაჰს მი-
უახლოვდა (ქასლას ჯერ არ გაეხადა/ ფელაჰის ტანსაცმელი) და მად-
ლობის თქმა მოინდომა, მაგრამ დაიბნა და აღარ იცოდა, რა ექნა,
როდესაც დაინახა, რომ ფელაჰმა ტანსაცმელი გაიხადა და იქცა ქასლად:
ეს იყო ძნის საჩუქრელი ცრლი თავის ნამდვილ ტანსაცმელში და ოქრო-
ებში, მის ღამაზე სხეულს რომ ამშვენებდა.

შატირ ჰასანი და მისი ცოლი სოფელში დაბრუნდნენ. შატირ ჰასან-
მა მისი ბოროტი და უსამართლო ბიძა მოკლა და ტომის ბელადად თვი-
თონ დაჭდა. მამის, ნუყმანის, გზით მიდიოდა, მასავით იქცეოდა. ტომის
უშიშროებასა და კეთილდღეობაზე ზრუნავდა. დანარჩენ ტომებთანაც
კეთილი ურთიერთობა განაახლა.

შატირმა ას-სამრა

ფატიმა ას-სამრა თავის ოჯახთან ერთად ერთ სოფელში ცხოვრობდა,
ნილოსს რომ გადაჰყურებდა. ამ სოფელში ყველა ფატიმას მშვენიერე-
ბასა და მომხიბვლელობაზე ლაპარაკობდა. სოფლის ყმაწვილები მისი
სილამაზით მოჩადობებული იყვნენ. მისი თანატოლი გოგოების გულებში
კი ექვისა და შურის მორიელები დაცოცავდნენ. ერთ ღამეს შეიკრიბნენ
და შეთქმულების ქსელი გააბეს, რომ ფატიმა როგორმე სოფლიდან გა-
ეტყუებინათ. სოფელი მისი ცდუნებისაგან. თავიანთი თავები კი შური-
ანობის სატანჯველისაგან ეხსნათ.

ერთ დღეს გოგოები მასთან მივიდნენ და უთხრეს:

— ფატიმა, ნილოსზე წავიდეთ, მისი წყლით ხელ-პირი დავიბანოთ
და პალმის ხეების ძირში ფინიკი შევავროვოთ...

— ძალიან მინდა თქვენთან ნილოსზე წამოვიდე. მაგრამ მამა ამის ნებას არ დამრთავს...

— წამოდი ჩვენთან, მამაშენს ნებართვას ჩვენ ვთხოვთ.

მამამისი მისი წასვლის წინააღმდეგი იყო. შურიანი თვალის ეშინოდა, ვინმემ რაიმე ცუდი არ შეგამთხვიოსო... მაგრამ გოგოები არ მოეშვნენ, სანამ ნებართვა არ მიიღეს. ფატიმამ ძალიან გაიხარა. რადგანაც სახლში ტუსადივით იყო. კალათი მოიტანა. თვლებში სიხარული უბრწყინავდა და ბაგეზე თვალისმომჭრელი ღიმილი დასთამაშებდა.

გოგოები ნილოსის ნაპირას, პალმის ხეებისაკენ გზას გაუდგნენ. პალმებს რომ მიიღწიეს, მიწაზე დაყრილი ფინიკი შეაგროვეს, დასასვენებლად დასხდნენ და იმდენი ჭამეს, ვიდრე შეგროვილი ფინიკი მთლად არ გაათავეს. მაშინ გოგოებმა ფატიმას თხოვეს: ამ მწიფე, ტკბილი ნაყოფით დახუნძლულ პალმაზე ადი, ტოტები დაარხიე, რომ ნაყოფი ჩამოცვივდესო.

ფატიმა პალმაზე აძვრა, ტოტები დაბერტყა და ფინიკი ჩამოცვივდა. გოგოებმა კალათები აივსეს, ფატიმას კალათა კი ცარიელი დატოვეს. ფატიმა ძირს ჩამოვიდა, დამპალი და გამომშრალი ნაყოფის გარდა ვერაფერი რომ ვერ ნახა, გაბრაზდა. ხეზე მეორედ აცოცდა, ტოტები დაარხია. ძირს ჩამოვიდა, ფინიკი მოაგროვა და კალათა აავსო. გოგოებმა იგი პალმებთან მიატოვეს და სწრაფად წავიდნენ, ისე, რომ ფატიმამ ისინი ვერ დაინახა და გზას ასცდა. მერე შორიდან თვალი მოჰკრა მათ, ფეხს აუჩქარა და წამოეწია.

გოგოები და ფატიმა ას-სამრა პალმის ხეების ახლოს ერთ ღრმა გუბესთან გაჩერდნენ. ერთმა მათგანმა გოგოებს მიმართა: შოდით, ჩვენი სამაჯურები ამ გუბეში გადავისროლოთ, მერე შიგ ჩავიდეთ. ვიბანაოთ, სამაჯურები შევკრიბოთ და თევზი დავიჭიროთ, რომელიც სამაჯურების დანახვაზე მოგროვდებაო. ყველა გოგომ სწრაფად გადაისროლა. რაც ხელში ჰქონდა. ფატიმამაც თავისი სამაჯური გუბის სიღრმეში ჩააგდო. დანარჩენმა გოგოებმა კი მხოლოდ ქვეები ჩაყარეს და ფატიმას დასცილნეს. იმან ტირილი მორთო... გოგოებმა ჰკითხეს: სოფლისაკენ გზას ჩვენთან ერთად განაგრძობო? ფატიმა ას-სამრამ უარი თქვა გოგოებთან ერთად სოფელში დაბრუნებულიყო: მეშინია, დედა და მამა გაიგებენ. რომ სამაჯური დავკარგეო. გუბესთან მარტო დარჩა, ტიროდა და მოთქვამდა.

ამ დღეში რომ იყო, კვამლის სქელ ღრუბელს მოჰკრა თვალი... და შეეშინდა. შიშმა იმატა, როცა დაინახა, რომ ეს ღრუბელი საშინელ ყიფრითად გადაიქცა. ყიფრითმა ხრინწიანი ხმით უთხრა:

— თუ სამაჯურს გუბიდან ამოვიღებ, ჩემი უოლი გახდები?

— არა, არა, შენ ხომ ყიფრითი ხარ.

ფატიმამ დაინახა: ყიფრითი ადგილიდან არ დაძრულა, მხოლოდ ხელი წაიგრძელა... წაიგრძელა, გუბის ფსკერს შეეხო და იქიდან სამაჯური

ამოიღო. შემდეგ ფატიმა გამოქვაბულში წაიყვანა, შორს პალმის ხეები-
დან.

სოფელში ღამე ჩამოწვა, მაგრამ ყმაწვილების მაცდუნებელი და ყვე-
ლასათვის საყვარელი ფატიმა ას-სამრას არ დაბრუნებულა. მშობლებმა
მისი ამბავი იმ გოგოებს ჰკითხეს, მასთან ერთად რომ იყვნენ. მათ უპ-
სუხეს: სოფელში ჩვენთან ერთად შემოვიდა, მერე არ ვიცით, სახლში
დაბრუნდა თუ სხვაგან წავიდა სადმეო.

მამა შეწუხდა, დედამ ტირილი მორთო. მთელი სოფელი მის საძებ-
რად გაემართა, გარდა შურიანი გოგოებისა, რომელთაც უხაროდათ მისი
გადაკარგვა და მათი შეთქმულების წარმატება, მიადწიეს საწადელს:
ფატიმა მისით მოხიბლულთა მზერას განაშორეს.

სოფელები გულმოდგინედ ეძებდნენ ფატიმა ას-სამრას ყველგან,
სადაც მის ყოფნას ვარაუდობდნენ, მაგრამ კვალსაც ვერ მიაგნეს. სო-
ფელში სასოწარკვეთამ და მწუხარებამ დაისადგურა.

ყიფრითს ჩვეულებად ჰქონდა, რომ ერთი წელი ეძინა და ერთი წელი
ფხიზლობდა. ფატიმა ას-სამრას მოტაცება იმ წლის დასაწყისს დაემთხვა,
როდესაც ყიფრითს არ ეძინა და მთელი ეს წელი ფატიმა ას-სამრას, ალბ-
ჰის განგებას მინდობილი, ყიფრითის გამოქვაბულში დარჩა. იმედოვნებ-
და, შესაფერ შემთხვევას ვიპოვი, ყიფრითის მარყუჟებს თავს დავალწევ
და ჩემს ოჯახსა და ნათესაებთან დაებრუნდებიო.

ეს ხელსაყრელი დროც დადგა. ის წელი მოვიდა, ყიფრითს რომ უნ-
და დაეძინა. მაშინ ფატიმა გამოქვაბულიდან გაიქცა, ყიფრითი მძინარე
დატოვა და სახლში გახარებული დაბრუნდა, თუმცა ყიფრითის შიში
ჰქონდა. ელოდა, რომ გაღვიძების შემდეგ რაიმე სახით მასთან მაინც
მოვიდოდა. გულში ამბობდა: ეს წელი რომ გავა, ხსნაც გამოჩნდე-
ბაო.

ფატიმა ას-სამრამ რომ სოფელს მიადწია, მთვარიანი ღამე იდგა.
ხალხმა ეს ამბავი ერთმანეთს შეატყობინა, მასთან მივიდნენ და ულოცავე-
დნენ. გახარებულები შეიკრიბნენ, საკლავი დაკლეს. დიდი ზეიმი და ნა-
დიმი მოაწყვეს. სიხარულმა მოიცივა ყველას გული, გარდა იმ გულებისა,
რომელთაც შური დაუფლებოდათ და ექვის ქია ქამდა. ეს იყო გულები
ფატიმას კბილა გოგოებისა.

ამ გოგონებმა ფატიმა ას-სამრას და ყიფრითის ამბავი რომ გაიგეს, გეს-
ლიანად ჩაიქირქილეს... სოფელში, ხმა დაყარეს. ფატიმა ყიფრითის საყვა-
რელია, ამიტომ მის მფარველობაში იმყოფება და რომელი კაციც მის შერ-
თვის იფიქრებს. სიკვდილს ყიფრითის ხელით ნახავსო.

იმ ყმაწვილებს შორის, ფატიმა გაგიჟებით რომ უყვარდათ, მისი ბიძის
შვილი ყანთარიც იყო. გულადი ვაჟკაცი, რომელსაც ფატიმას ცოლად
შერთვა ძალიან უნდოდა.

ყანთარმა რომ ყიფრითის ამბავი გაიგო, სიყვარული მოემატა, სიმამა-

ცის ალი შემოენთო და მტკიცედ გადაწყვიტა, მისი ბიძის შვილი — ყიფრითის მფარველობაში მყოფი ფატიმა შეერთო.

ყანთარმა ფატიმა ცოლად მოიყვანა. სოფელმა ამ ქორწინებით დიდად გაიხარა, მაგრამ ამ სიხარულს თან სდევდა შიში და ღელვა ყანთარსა და მის ცოლზე. ფატიმა ას-სამრახზე.

ერთ ღღეს ფატიმამ ქმარს უთხრა: ბაზარში ახალი ყელსაბამი მიყიდეო. ყანთარი ყელსაბამის საყიდლად წავიდა და ისეთ ლამაზ ყელსაბამს წააწყდა, მსგავსი არსად ენახა. სიხარულით აღტაცებულმა ცოლს მოუტანა. ფატიმამ რომ ყელსაბამი დაინახა, რაღაც არ მოეწონა. მაგრამ ქმარი რომ არ გაეწბილებინა. ცოლი ვერ გავახარეო, საჩუქარი გამოართვა. როცა ფატიმამ ყელსაბამი გაიყეთა. ქმარი გაუჩინარდა. ყელსაბამი ყიფრითად გადაიქცა... სწორედ იმ ყიფრითად...

ფატიმა ას-სამრა გაქრა. ქმარი მოვიდა და ქალი ვერ იპოვა. ეძება, მაგრამ კვალსაც ვერ მიაგნო და მაშინ მიხვდა, რომ იგი ყიფრითმა მოიტაცა. ყანთარმა გამოქვამბულის ძებნა დაიწყო, რომლის ადგილი და აღწერილობა ცოლისაგან იცოდა. გამოქვამბულთან მივიდა, შიგ შევიდა და მძინარე ფატიმას მოჰკრა თვალი. ხმალი იშიშველა და ყიფრითს შეებრძოლა. ეშმაკობაცა და ხმალიც კარგად იხმარა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია, რადგანაც ხმალი ვერ ჰკრიდა ყიფრითის სხეულს. შემდეგ ხმალი მეორედ დაარტყა და თქვა: „სახელითა ალაჰისა მოწყალისა, მწყალობელი-სა“... მაშინ ყიფრითი ფერფლად იქცა და ქარმა გაფანტა.

ფატიმა ას-სამრა ქმართან, გულად ყანთართან ერთად სახლში დაბრუნდა. შიშის მიზეზი აღარასოდეს ჰქონიათ. მოყვარული ცოლ-ქმარი სიხარულსა და სიამტკბილობაში ცხოვრობდა და ზევრი გოგო-ბიჭიც დატოვეს.

აბუ ნუვასი

გამონუნილი არაბი პოეტი (გარდაიცვალა 810 წ.), „არაბი ანაკრეონტი“, ვნებათა თავაშვებულობისა და ღვინის მებოტბე, რის გამოც მის სახელთან უამრავი ლეგენდა იქნა დაკავშირებული და ამ მხრივ იქცა „ათას ერთი ღამის“ გმირადაც. უდიდესი როლი ითამაშა არაბული პოეზიის დახვეწისა და განვითარების საქმეში.

* * *

მხოლოდ ოთხი რამე
გამიჭარვებს ნაღველს,
ხილვა მათი სულსაც.
თვალსაც. ტანსაც ალხენს:
წყალი, ღვინო, ბალი
და ლამაზი სახე.

* * *

„კიდევ თქვა უდაბნოთა ნაშთები და დაქცევა,
რომ ურჰყავ და განაგრძე მხოლოდ სუფრის აღწერა!“ —
ასე მიხმო და მიბრძანა ნანგრევების შექება,
ო. ვით მიმძიმს ამ საქმისთვის თუნდაც ხელის განძრევა.
მაგრამ გისმენ და გმორჩილებ. მორწმუნეთა ემირო,
რა ძნელ გზაზე დამავალე მძიმე ტვირთის გაწევა!

* * *

ნუ დასტრიალებ ძველის ნაშთებს. ნულარცა სტირი,
სკობია ღვინით დამისველე პერანგის პირი.
მისი პატრონნი გარდასულან, გაქრა ქალაქიც.
დრომ გაასწორა ყოველივე, ვით კბილის ჩხირი.
მხოლოდ ღვინოა ქალწული და ყველაფერია,
რაც ლამაზია, გამკვირვალე: ამო და ტყბილი,

დოქში იღვა და ძველდებოდა, სანამ აიღო
აღმაველი მზის სინათლე და სიგრილე ჩრდილის.
და მას ვფიცავარ, თუკი რამის თქმა გინდა მასზე,
მხოლოდ მასზე ღირს ლაპარაკი, შექება ხშირი.

* * *

კარგს არ მიქადს, ღვინის გამო
ვინც მე მკიცხავს, ნულა სვამო.
ძმაო, ჰქენ და ნუ გამკიცხავ
სულის ღვიძლი დისა გამო.
იმისათვის ნუ გამკიცხავ,
ვინც მაცდუნა სამუდამოდ,
ვინც მანახვა საძაგელი
არსაძაგლად და საამოდ.
ვინც ეგ იცის: ჯანით მრთელებს
გადააქცევს ავადმყოფად,
ეგეც იცის: ავადმყოფებს
გადააქმევს საღის სამოსს.
ძმაო, ხარჯი ღვინის გამო
არის ხარჯი გულუხვის და
ძუნწისაა ის შეძენა,
რის შეძენას მისგან ვლამობ.

* * *

მე რომ მკიცხავ ღვინის გამო,
ვერ მოგისმენ, ვერა!
სიბრიყვეა ჩემი კიცხვა,
ვისაც არა მჭერა.
როგორ წამლავ გაკილევისას
ღვინოს, როგორ წამლავ.
კეთილშობილ სახელს ენით
როგორ სვრი და სერავ!
მერიქიფევ! აქეთ მომე
ღვინო ათი წლისა,
რომ უყურებ და გგონია

ოქროს ზოდი ფერად,
ხოლო წყალი თუ ჩაღვარე,
ისე მოჩანს, თითქოს
მარგალიტი მარგალიტსო
ზემოთ აეკერა.

* * *

შემასმევდე, იბნ ადჰამა,
მიშვილებდე, იყავ მამა!
ღვინო მასვი, ღვინის შექმნას
ვერ დაასწრო ვერც ადამა.
მაშინ ცის და მიწის გარდა
არც კი იყო ერთი რამა,
ბედის სრბოლას მან უცქირა
თაუშიაც და ბოლო ჟამად.
წმიდა სულიც იგი არის,
რაც გამოყო სისხლ-ხორც-გვამმა:
მასვი, ერთიც კარგსპარსული
სიმღერა თქვი, რომ მამა...
არა! არ ვწერ ნანგრევებზე ?
არც გავცივი გასაწამად.

* * *

სახლთან ჩერდება მათხოვარი და იქ თხოულობს,
მე კი ვაზოულობ მხოლოდ ღვინის ღუქნის გასაღებს!
იმათ ალაპი ნუმც დაუშრობს ცრემლების დენას,
ვინც ნანგრევთა და ქვათა ზედა იხდის ალაპებს!
მეუბნებიან: „გაიხსენე ასადის ხალხი!“
მეუბნებიან: „შენი საქმე არ ჰგავს არაფერს!“
რისი ასადი. თემიმი და კაინელები?
ალაპის თვალში რა ფასი აქვთ ამ შენს, არაბებს!
ღვინოს მივხედოთ! ყვითელი და დაძველებული
წყალში და ქაფში ეხეთქება ორმხრივ ქარაფებს.
ჩამოუღვრია ქრისტიან კაცს გამოზომილად,
ხელი ქანაობს — ტოტი იძვრის, ისე გაწაფეს.
შემომხედა, რომ ველოდები, მიხვდა მაშინვე,

რომ სულ დავფლანგავ, რაც ვიშოვე და არ მახარებებს.
ისეთი ღვინო მომიტანა, ისეთი, მხოლოდ
ხელიდან ხელში თუ იძლევა, ისე აფასებს.
ძმაო, გაეცი ამისათვის, რაც გაქვს ხელებში,
ნუ შეინახავ ხვალის შიშით ღლეის ათასებს!
ეგეც მითხარი, ვინ გეჯობია ღვინისმსურველებს.
ვინც ნანგრევებზე მოთქმითა და ცრემლით აგავსებს?
ჩემო მკიცხველო, გამიგია, რაც გამოგიტყვამს,
მე ჩუმადა ვარ, შენი ენაც ნულა ქადაგებს!
რჩევა რომ იყოს შენი კიცხვა, კი მივიღებდი,
მაგრამ რის რჩევა, — მხოლოდ შური გალაპარაკებს.

* * *

მეტყვიან ხოლმე: „ჰაჯი არ გასურს?“ — ვეტყვი ამაზე:
რაო, ბაღდადი აღარ არის ისე ლამაზი?
არც კუტრაბული არ გვიბოძებს მათრობელ ღვინოს,
აღარც ფირქია ქვეყანაზე, აღარც ქალვაზი?
ან სალიპია ქართან ერთად უკვე გამქრალა —
ვერ შემიკრიბონ ამფსონების გუნდი ხალასი?
ანდა სად მიშვებ წმიდა ადგილს — ჩემი ბინაა
მაკანკლის სახლი და მედუქნის ღვინის დარბაზი!
ანდა, ჯანდაბას, ბაღდადური დავთმე გართობა,
მაგრამ, მითხარი, როგორ დავთმო ტიზანაბაზი?!

* * *

ღვინი დავახრჩვე ღვინის თასში ჩემგვარ ლოთებთან, —
რად არ მინდებო მონანება, ცოდვებში გარჯილს?
ან თუ არ ვფიქრობ, რომ განკითხვის დღე ახლოვდება?
ან თუ არ ვშიშობ, რომ ალაპი სასტიკად დამსჯის?

ცნობები საქართველოს შესახებ

ანტიოქიის პატრიარქი (1636 წლიდან ვიდრე გარდაცვალებამდე, 1672 წ.) მაკარი თავის შვილთან — მთავარდაიკან პავლე ალექსოვლთან ერთად ორჯერ იყო რუსეთში იმპერატორ ალექსი მიხეილის ძის დროს. რუსეთში მეორედ წასვლის წინ 1664—1666 წლები მამა-შვილმა საქართველოში გაატარა. 1669 წ. ისინი კვლავ საქართველოში დაბრუნდნენ. ამავე წელს თბილისში გარდაიცვალა პავლე და აქვე იქნა დაკრძალული. 1670 წ. მაკარი უკვე სამშობლოშია.

როგორც მაკარის თხზულების ავტორგრაფის ბოლო მინაწერიდან ვიკვებთ, ავტორს თავისი თხზულება (რომელსაც პირობითად „ცნობები საქართველოს შესახებ“ ვუწოდეთ) დაუწერია 1665 წ. წალენჯიხის მონასტერში ყოფნისას.

მაკარი უშუალოდ ესწრებოდა და აყვირებოდა მის მიერ აღწერილ ამბებს. ამდენად, მის „ცნობებს“ გარკვეული ისტორიული ღირებულება აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ არაიშვიათად მაკარი ერთმანეთის საწინააღმდეგო ფაქტს გეთავაზობს, ხშირად კი უმართებულო ცნობას გვაწვდის ქართველთა შესახებ. მართო ის ცნობა რად ღირს, თითქოს ქართველებისათვის უცხოა საერო სიმღერები და ლექსები და რომ ქართველები სუფრასთან და მინდვრად მუშაობისას სასულიერო საგალობლებს ასრულებენ.

მოკლე მონათხრობი, რომელშიაც ახსნილია ქართველი ხალხის მესიის სჯულზე მოქცევის მიზეზი, როგორ იყვნენ ძველად ქართველები ანტიოქიის პატრიარქის მორჩილებაში, მერე კი როგორ განუწყვეტეს მათ კათალიკოსი და დამოუკიდებელნი გახდნენ

იცოდე, რომ სულ წინათ ქართველებთან ანდრია მოციქული მივირდა და ნათელი მოჰქინა მათ მესიის სჯულითა და წმიდა ნათლისცემით. გაიარა დიდმა ხანმა და ქართველები ისევ ურწმუნოებას დაუბრუნდნენ. კიდევ განვლო დიდძალმა დრომ და ქართველებმა კვლავ ირწმუნეს მესია მათთან ტყუელ მყოფი ქრისტიანი ქალის მეშვეობით. ამ ქალს სახელად ნინო ერქვა. მან ბევრი სასწაული მოიმოქმედა ქართველებთან და მრავალი სნეული განკურნა. მათ შორის იყო ქართველთა დედოფალი³. რომელსაც მძიმე სენი შეჰყროდა. ნინომ არ მიიღო დედოფლის ნაბოძები დიდძალი ძღვენი და რჩევა მისცა. რომ მას, მის თანამეცხედრეს — მირიან მეფესა და მთელ ქართველ ხალხს ნათელი ელოთ. დედოფალი დაჰყვა ნინოს ნებას და მეფე-მეუღლეს გამოუცხადა: ცდუნების გზა დააგდე და მესია ირწმუნეო. მეფე არ დაემორჩილა დედოფალს და დაჰკარგა თვალის ჩინი⁴. მაშინ მეფე იძულებული გახდა, ეხმო წმინდა ნინო და პირობა მიეცა, რომ იგი და მისი ხალხი ირწმუნებდნენ მესიას, თუ ნინო მას მოარჩენდა.

მართლაც. ნინომ დაუბრუნა მეფეს მხედველობა და უბრძანა, ელჩები გაეგზავნა მეფე კონსტანტინე დიდთან⁵, ეცნობებინა მისთვის ქართველთა ამბავი და [ეთხოვა] გამოეგზავნა ქართველებრისათვის მღვდელმთავარი, რომელიც მონათლავდა მათ და სჯულის საფუძვლებს შეასწავლიდა.

მირიანი ასეც მოიქცა. კონსტანტინემ ფრიად გაიხარა. მან ელჩის პირით შემოუთვალა პატრიარქ ევსტატეს, ქართველებთან გაემგზავრე და მონათლე. რამეთუ ისინი შენი სამწყსოა!

ევსტატე გაემართა ქართველებისაკენ, ყველა მონათლა. აუშენა ეკლესიები, აკურთხა ისინი და დაუწესა ქართველებს ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკვნები. [ქართველთა] მეფემ უწყალობა ევსტატეს ათასი სოფელი, რომელთა ყოველწლიური შემოსავალი საღმრთო მირონის საჭიროებას მოხმარდებოდა (მირონს მხოლოდ და მხოლოდ ანტიოქიის პატრიარქი ხარშავდა და ბთელ ქვეყანას უნაწილებდა). ამის შემდეგ ევსტატე გამობრუნდა ქართველებისაგან. ხსენებული სოფლებიდან ქართველები ყოველ წელიწადს ათას დინარს უგზავნიდნენ ანტიოქიის პატრიარქს. ასე გაგრძელდა ეგვიპტის მეფის ალ-ჰაქიმ ბიამრ ალ-ლაჰის⁶ ზეობამდე. ეს იყო ჰიჯრის ოთხასზე ცოტა მეტ წელს. მაშინ [ამ ხალიფამ] ელჩი გაუგზავნა იერუსალიმის პატრიარქ ორესტოსს, წადი კონსტანტინოპოლს და ჩემსა და ბიზანტიელებს შორის სიყვარული დაამკვიდრეო!

ანტიოქიაზე გავლისას ანტიოქიის პატრიარქმა იოანემ⁷ ორესტოსს ის ნახსენები ათასი დინარი უბოძა. [ამიერიდან] იერუსალიმის პატრიარქი აიღებდა ამ თანხას ქართველებისაგან, თუმცაღა განმგებლობისა და განკარგულების უფლება [საქართველოს ეკლესიაზე] ანტიოქიის პატრიარქს რჩებოდა.

ანტიოქიის პატრიარქ ევსტატეს დროიდან მოკიდებული წესად იყო დადგენილი: თუ ქართველებს მღვდელმთავარი გარდაეცვლებოდათ, მათი მეფე და ეპისკოპოსი სხვას ამოირჩევდნენ და [საკურთხებლად] ანტიოქიის პატრიარქს უგზავნიდნენ. იგი მას აკურთხებდა და [კვლავ] ქართველებთან გზავნიდა. ეს წესი იქამდე მოქმედებდა, ვიდრე მუსლიმები ანტიოქიასა და ქვეყნის⁸ სხვა ქალაქებს არ დაეპატრონებოდნენ.

ამის შემდეგ ბევრმა წელმა გაიარა. ისლამის მიერ ანტიოქიის დაპყრობიდან ორმოცი წელი გავიდა და ანტიოქია უპატრიარქოდ რჩებოდა. შემდეგ პატრიარქად აკურთხეს ლეთისმოსავი სტეფანე⁹. მისი განსვენების შემდეგ ანტიოქიის პატრიარქი გახდა თეოფილაქტე არ-რაჰავი მღვდელი¹⁰. მის დროს აფხაზთა მეფე დავითმა¹¹ მრავალნი მიაგლინა ანტიოქიას, რათა პატრიარქს ისინი ეპისკოპოსებად ეკურთხებინა. ამათ გზაზე თავს დაესხნენ ავაზაკები, წაართვეს მთელი ძღვენი, თან რომ მიჰქონდათ, და ბევრი ამოხოცეს. ავაზაკებს [მხოლოდ] ორი კაცი გადაურჩა, რომელთაც მიაღწიეს ანტიოქიას და მის პატრიარქს — თეოფილაქტეს — აცნობეს თავიანთი ამბავი და ის უბედურებები, რაც მთელი ამ ხნის განმავლობაში

მათთან ერთად სხეებსაც თავს დაატყდათ; ისიც, რომ მათი ქვეყანა დიდ გასაკვირშია იმის გამო, რომ ეპისკოპოსის ხელთდასხმის უფლება არ გააჩნია.

ამ საქმესთან დაკავშირებით პატრიარქმა შეკრიბა მღვდელმთავართა უმრავლესობა და ამ წმინდა კრებამ დაადგინა მათთვის¹² ეკურთხებინა კათალიკოსი, რომელიც ეპისკოპოსებს ხელთდასხამდა; ამ კათალიკოსს მღვდელმსახურებისას ანტიოქიის პატრიარქი უნდა მოეხსენებინა. [საეკლესიო კრებამ] ისიც დაადგინა, რომ ყოველ წელს ანტიოქიის პატრიარქი ქართველებს გამოუგზავნიდა ეგზარხოსს მღვდელმთავართა და არქონტთა¹³ დანაშაულებრივ საქმიანობათა გამოსამიებლად, აგრეთვე სოფლებიდან შეწირულობის ასაკრეფად. ამის თაობზე ანტიოქიის პატრიარქმა ფირმანი უბოძა იმ ორ ლტოლვილს და კენჭი უყარა: ერთი მათგანი კათალიკოსად აკურთხა (მას სახელად იოანე ერქვა. ის იყო ქართველების პირველი კათალიკოსი. ტახტი აფხაზთა ქვეყანაში ედგა). მეორე კი—ეპისკოპოსად. პატრიარქმა ორივენი აქეთვე გამოაგზავნა.

ამის შემდეგ გზიარა დიდმა ხანმა, ქართველთა ქვეყანაში მწვალებელთა დვარძლმა იწყო აღმოცენება და ანტიოქიის პატრიარქმა თეოდორემ¹⁴ ქართველებს საქმეთა მოსაგვარებლად ვასილ მწერალი გამოუგზავნა. [სწორედ] მაშინ ამ პატრიარქმა ქართველთა ქვეყნის კათალიკოსს იქ, ქართველთა ქვეყანაში, მირონის კურთხევის ნება მისცა. ეს იმიტომ, რომ ბევრი მღვდელი და ბერი დიდ ფასად ყიდდა საღვთო მირონს, რომელსაც ისინი ანტიოქიიდან ღებულობდნენ. ამის გამო ქალკედონის მეოთხე კრების¹⁵ მონაწილე მამებმა სხვა პატრიარქებსაც მისცეს მირონის კურთხევის ნებართვა.

ევაგრე ეპიტაქიმწერელი¹⁶ წერს: იუსტინიანე მეფე¹⁷ იყო სწორედ ის პიროვნება, რომელმაც აფხაზთა ქვეყანაში საკათალიკოსო ეკლესია ააგო. იუსტინიანესთან სასახლეში ერთი აფხაზი კაცი ცხოვრობდა, სახელად იფრასა. იგი გამოუგზავნა [იუსტინიანე] მეფემ აფხაზებს. ამან თავი მოუყარა ბავშვებს და ისინი კონსტანტინოპოლს ჩაიყვანა, იუსტინიანემ მათ სკოლა გაუხსნა, სადაც ბავშვებს [წერა]-კითხვასა და სხვადასხვა მეცნიერებას ასწავლიდნენ.

[ადრე] წესად იყო: აფხაზთა შორის კანონის დამრღვევთ რუმთა მეფე სიკვდილით სჯიდა: ახლა კი [იუსტინიანემ] სიტყვა მისცა მათ, რომ დღეის ამას იქით არავის მოუკლავდა, რადგან აფხაზები ჰუმანიტატი სჯულის გზას დაადგნენ (ეს აფხაზებია სწორედ ისინი, რომლებიც თავს აფარებდნენ ხოლმე იუსტინიანე მეფეს). დაბოლოს, იოანე კათალიკოსმა თავისი მხრიდან კონსტანტინოპოლს მღვდლები და დიაკვნები გააგზავნა, რათა იქ დაწაფებოდნენ [ცოდნას] და მიეღოთ განათლება მეცნიერებასა და სჯულში.

ცნობები ქართველთა ქვეყნის შესახებ. მათი კარგი და
ცუდი თვისებები

იცოდენ. რომ ქართველებს წინათ მხოლოდ ერთი მეფე ჰყავდათ. რო-
მელიც განაგებდა მათ და ქვემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებს. მისი ხელისუფ-
ლება იწყებოდა შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირიდან — ტრაპიზონის სა-
ზღვრებიდან. ეს ქვეყანა ლაზთა ქვეყნად იწოდებოდა. ქართველთა ეს მე-
ფე განაგებდა [აგრეთვე] გურიის ქვეყანას, მეგრულთა და იმერულთა
ქვეყანას, თბილისის ქვეყანასა¹⁸ და მის სანახებს, კახეთის ქვეყანასა და
მის მიმდებარე მხარეს. იგი მართავდა აგრეთვე ვრცელი მთის ბინადარ
მრავალ ტომს. ეს მთა ქართველთა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით
არის. იგი იწყება შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირიდან და მიემართება
აღმოსავლეთით. ვიდრე არ მიადწევს კასპიად წოდებულ სპარსთა ზღვის
სანაპიროს.

ესაა სახელები იმ ტომებისა. რომლებიც ცხოვრობენ იალბუზად წო-
დებულ ამ ვრცელ მთაზე¹⁹: აფხაზები, ამჟამად წოდებულნი²⁰ აბაზებად,
რომლებიც ცხოვრობენ შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე; ზიქხოსები,
იგივე ჩერქეზები, რომლებიც არიან აფხაზების ახლოს და მათ ჩრდილო-
ეთით; ჯიქები, ალანები, ქაშაგთა სამეფო, სვანთა ტომი, თუშები, დვალები,
ოვსნი, ლაქთა ტომი, დიდოელთა ტომი, ფშავეები, ხევსურები, ქისტები,
ლიღვეები, ყაბარდოელები. ყალმუხები.

[ქართველთა მეფე] მართავდა აგრეთვე სპარსთა ქვეყანაში ცნობილ ვან-
ჯას, ქალაქ შემანასა და მის შემოგარენს, ქალაქ თავრიზს, მის სანახებს და
აღმოსავლეთის სხვა ქალაქებს: აგრეთვე დიდ არმენიას, მცირე არმენიას
და მათ მოსაზღვრე მხარეებს. ასეთი ორასი ქალაქი იყო. იგი მართავდა
აგრეთვე ამჟამად საფარ ფაშას²⁰ მხარედ ცნობილ ქალაქ ახალციხეს და
მის სანახებს (ეს სულ თერთმეტი სანჯაყი იყო), ქალაქ ყარსსა და მის სა-
ნახებს. არზრუმსა და მის შემოგარენს. ქალაქებს: აშქალას, თერჯანს. ქელ-
ქითს, კავასს, ბაიბურთს, ზემო ბასიანის ციხეს (რომელიც ამჟამად ქასან-
ყალადაა ცნობილი), ქვემო ბასიანს, სატახტო ქალაქ ურჯურის. სატახტო
ქალაქ ნარიმანს, თორთუმს; ერზინგანს, ქემხს. ეგინს და მათ სანახებს,
ქალაქ მალატიას ეფრატის საზღვრებამდე.

ქართველთა მეფის სამეფო ძალზე დიდი იყო. მათ ასეთი წესი ჰქონ-
დათ: თუ რომელიმე მეფე ბევრ ვაჟიშვილს ტოვებდა თავის შემდეგ, სიკე-
დილის წინ იგი ერთ-ერთ მათგანს გაამეფებდა თავის ნაცვლად. მეორეს
ვინმე თავის ახლო მეგობართან გადაძალადდა, დანარჩენებს კი თვალში
გახურებულ ვერცხლის მილს უყრიდა, აბრმავებდა და თავიანთ ქვეყანაში
არსებულ ერთ საუცხოო მონასტერში ათავსებდა. მთელ თვნიანთ სიცოცხ-
ლეს ისინი დიდ პატივში აქ ატარებდნენ. ამით ქართველთა მეფე ცნობი-
ლი იყო [სხვა] მეფეთა შორის²¹.

მესიის განკაცების 1450 წელს ქართველებს ერთი მეფე²² განაგებდა, რომელსაც ექვსი ვაჟიშვილი ჰყავდა მემკვიდრედ. სიცოცხლის აღსასრულს მან თავისი სამეფოები ექვსივე ვაჟს გაუყო. მამის სიკვდილის შემდეგ ძმები აიშალნენ. არც ერთი არ დასჯერდა მამისაგან ბოძებულ ქვეყანას და ერთმანეთს წაეკიდნენ. მათი მეზობელი მეფეები დაიძრნენ ქართველთა წინააღმდეგ, შეებრძოლნენ მათ და მრავალი ქალაქი წაართვეს. სპარსთა მეფემ მოსტაცა ქართველებს ცნობილი თაჯიზი, განჯა, შემახა, ადარბაიჯანი, მცირე არმენია, თბილისი და ამათი სანახები — [სულ] ორი თვის სავალი ქვეყანა. ოსმალებმა [ჯერ კიდევ] ადრე ქართველებს წაართვეს ქალაქები: მალატია, ეგინი, ქემხი, ერზინგანი და მათი შემოგარენი მცირე არმენიის ქვეყნიდან, [აგრეთვე] ქალაქები: აშკალა, თერჯანი, ქელქითი, კავაი, ბაიბურთი. რამდენიმე წლის შემდეგ მათვე წაართვეს ქართველებს ქალაქი თეოდოსიოპოლი, იგივე არზრუმი, ზემო ბასიანის ციხე, ამჟამად წოდებული ჰასან-ყალად. ქვემო ბასიანი, სატახტო ქალაქი ურჯური, სატახტო ქალაქი ნარიმანი და ამათი მეზობელი ურიცხვი ქალაქი.

ამის შემდეგ მესიის განკაცების 1570 წელს სულთან იენი სელიმის²³ დროს ქართველებს აუმხედრდა მუსტაფა ფაშა ლალა²⁴, გამოგზავნილი იენი სელიმის მიერ. მან ქართველებს წაართვა ქალაქი ყარსი და მისი მეზობელი მხარე საფარ ფაშას მხარესთან (ესაა ცნობილი ახალციხე) და იმასთან ერთად, რაც მას ეკვრის. ესაა [სულ] ფერთმეტი სანჯაყი.

ამჟამადაც ახალი მოწამის განსვენებული თეიმურაზ-ხანის²⁵ დატირების შემდეგ, რომელიც მოკლა სპარსეთის მეფემ²⁶, ამ უკანასკნელმა ხელი დაადო თეიმურაზ-ხანის მთელ ქვეყანას — კახეთს. იქ დასვა ქართველი ხანი²⁷, რომელსაც დაატოვებინა თავისი სჯული და [სამაგიეროდ] კახეთი უბოძა. ეს ხანი მხოლოდ სახელითაა გამუსლიმებული, თორემ მთელი მისი ქვეყანა ქრისტიანი ქართველებია.

რაც შეეხება ქართველების მეზობელ ხალხებს, ზემოთ რომ ვახსენეთ, როგორცაა აფხაზები, ჩუქუზები და სხვანი, ისინი დამოუკიდებელნი გახდნენ და თითოეულს ან ერთი მმართველი — გამგებელი გაუჩნდა ან რამდენიმე, რომელთაც ის ქვეყანა დაინაწილეს. ამჟამად ქართველთა ხელშია ხუთი ვილაეთი. ესენია: მეგრელები²⁸, რომლებიც შავი ზღვის აღმოსავლეთით ცხოვრობენ, იმერლები²⁹, გურია, თბილისი და კახეთი.

თბილისი და კახეთი ამჟამად სპარსთა მეფის გამგებლობაში არიან. თითოეულში ზის სპარსთა მეფის მიერ დანიშნული ქართველი ხანი, რომელიც მხოლოდ სახელითაა გამუსლიმებული. იგი მართავს [ქვეყანას] მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მისი სიკვდილის წინ იმ ქვეყნის ხალხი თავისიანთაგან ერთ-ერთს შეარჩევს და სპარსეთის მეფეს უგზავნის. ესეც ამ წარგზავნილს ქართველებს ხანად უნიშნავს და უკან აბრუნებს. სანამ ცოცხალია, ეს ხანი ქართველებს გამგებლობს.

რაც შეეხება იმერეთს, სამეგრელოსა და გურიას, თითოეულ ამ ქვეყანაში ზის ერთი ქართველი, თავისთავანი, რომელიც, სანამ ცოცხალია, მართავს ქვეყანას. ხოლო მის შემდეგ — მისი ძე (თუ მას ვაჟი არა ჰყავს, მაშინ მისი ოჯახის რომელიმე წევრი).

დღესდღეობით. ზემოთ ნახსენებ ამ სამ ხალხს მათივე ნებით დაუწესდა ხარაჯა. ამის მიზეზი იყო მათი ერთმანეთში პრავალი უთანხმოება და შინაური ომები: ისიც, რომ ისინი ოსმალთა ფაშებს სთხოვდნენ დახმარებას ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლებში. ზოგი მათგანი კონსტანტინოპოლშიც კი გარბოდა და ერთმანეთს აბეზღებდა. ხარაჯას ოსმალ სულთანს აძლევენ. სამ წელიწადში ერთხელ ქართველებთან მოდის ხარაჯის ამკრეფი და მიაქვს ყოველი კომლიდან ზოლებიანი სელის ქსოვილი. რომელიც ადგილზე მესამედი ყურუში ღირს. ამ ქსოვილს ხარაჯის ამკრეფი ქართველებში აგროვებს და მიაქვს გემით შავ ზღვაზე კონსტანტინოპოლს.

მეგრელები სულ ოთხმოცი ათასი კომლია. ამდენივეა ორი დანარჩენი ხალხიც, თუმცაღა გურიის მოსახლეობა [უფრო] ცოტაა.

რაც შეეხება იმ ქალაქს, სადაც ქართველთა წინანდელი მეფე იჯდა [ეს მეფე მართავდა მთელ ამ სამეფოს და ზემოხსენებულ ხალხებს]. ესაა ქალაქი ქუთათისი. იგი ახლა იმერელთა სატახტო ქალაქია. იმერლებს ამჟამად „აჩიკ-ბაშებს“ ანუ თავშიშვლებს ეძახიან. ეს იმიტომ, რომ ყველას თავზე მხოლოდ და მხოლოდ ძალზე პატარა თეთრი მაუდის ქუდი ხურავს³⁰. ამ მაუდისაგან [ჩვენში] მოსასხამს იყვარვენ.

ამ ქალაქში დღემდე არსებობს მტკიცე ციხესიმაკრე³¹. იმ ძველი მეფის ერთ-ერთი შთამომავალი ამჟამად ერთი კაცია, ქართველთა მეფე, ბაგრატი ჰქვია სახელად³². ამბობენ, რომ იგი წმინდა მოწაჟე ევსტატეს შთამომავალია. ბაგრატი ვაჟიშვილია ქართველთა ცნობილი მეფის ალექსანდრესი, რომლის მეფობას ჩვენც შევესწარით³³, ალექსანდრეს ცოლად ერთი ასული შეუერთავს. რომელთანაც შესძენია ეს ბაგრატი და ქალიშვილი, სახელად თინათინი. ეს ქალი უზოვია ქართველ თავადს მეგრელთა ქვეყნიდან და ჰყოლია მისგან სამი ვაჟიშვილი. შემდეგ მეგრელთა მთავარს ღალატით მოუყლავს თინათინის ქმარი. ამჟამად თინათინი თავის შვილებიანად ცოცხალია.

როდესაც გარდაიცვალა ხსენებული ბაგრატის დედა. მამამისმა ცოლად შეიბოთა ზემოხსენებული კახეთის გამგებლის თეიმურაზ-ხანის ასული. მას დარეჯანი ერქვა სახელად. ეს იყო ფრიად ამაყი ქალი და თავისი გერის — ბაგრატის მოძულე. ბაგრატის მამა და დიდებულები ბჭობად დასხდნენ. რაც კეთილ მიზანს ისახავდა. მათ გაურიგეს ბაგრატს დარეჯანის ძმისწული, რათა დარეჯანსა და ბაგრატს შორის სიყვარული ჩამოეგდოთ. [ამიერიდან] დარეჯანი ბაგრატს დედადაც და სიდედრადაც მოხვდებოდა.

როდესაც დარეჯანის ქმარს — ალექსანდრეს კარს სიკვდილი მოადვა. მან იხმო ქვეყნის დიდებულები და ხსენებული ბაგრატი თავის ნაცვლად მე-

ფედ დასჯ. ალექსანდრეს გარდაცვალებიდან ხანი გამოხდა³⁴ და დედინაცვალმა მოსთხოვა ზაგრატს, ჩემი ძმისწული. ცოლად რომ გყავს, დატოვე და მე შემიერთო. ზაგრატმა ეს არ ინდომა და დედინაცვალს უთხრა: — როგორ შევიერთო მამაჩემის ცოლი? — მაშინ დარეჯანი შემოსწყრა თავის გერს — მან ერთ ღამეს იხმო რამდენიმე თავისი მსახური (ეს ხდებოდა ქართველთა კათალიკოსის³⁵ თანდასწრებითა და მისივე რჩევით). ესენი დარეჯანის თვალწინ თავს დაესხნენ ზაგრატს, თვალები დასთხარეს და დააბრმავეს. დილით კი დარეჯანმა ჯვარი დაიწერა ერთ ყმაწვილზე³⁶ და გახდა მისი ცოლი.

ეს ამბავი რომ ქართველების მეზობელ ქრისტიანთა და მუსლიმთა ქვეყნებში გახმაურდა, იქიდან სასწრაფოდ გამოეშურნენ საქართველოსაკენ. ჯერ დააბრმავეს და მერე მოკლეს ის ყმაწვილი, რომელსაც დარეჯანი ცოლად გაჰყვა. ამათ კრებულში იყო არზრუმის ფაშა, ქართველი³⁷. წყეული დარეჯანი მივარდა მას, აჩუქა დიდძალი ფული და ცოლად მისცა ულამაზესი ქალიშვილი, რომელიც დარეჯანს თან ჰყავდა. ამიტომ იყო, რომ ფაშამ გადაარჩინა დარეჯანი და მის ძმისწულ ქალთან ერთად არზრუმს თან წაიყვანა. დარეჯანი დღესაც ცოცხალია. ამ ფაშებმა, აგრეთვე სპარსთა და ქართველთა მხედრობნამა ზაგრატის ქვეყანაში ძალზე ცუდი საქმეები ჩაიდინეს: გაძარცვეს ქვეყანა, მრავალი ქართველი დაატყვევეს, გაიტაცეს მეფის საგანძური და წავიდნენ. ამჟამად ზაგრატს ტახტის მოზიარე არავინა ჰყავს და ბრმა განაგებს ქვეყანას.

იცოდე, რომ ზემონახსენებ ხუთ ქართულ ვილაეთთაგან თითოეული ოსმალთა ერთი საფაშოს ოდენაა. ესენია: სამეგრელო, იმერეთი, გურია, თბილისი და კახეთი. ყველანი ერთად შეაღებენ მანძილს ალეპოლან კაირომდე.

იცოდე, რომ მეგრელთა მთელი ქვეყანა მართლმადიდებელი ქრისტიანებია. ამ ქვეყანაში ცოტანი არიან სომეხები, ასევე ებრაელებიც. ასევეა ზაგრატის ქვეყანაშიც. რომელიცაა იმერეთი. აქ ცოტაა სომეხი და ებრაელი. ყველა დანარჩენი მართლმადიდებელი ქართველია.

რაც შეეხება გურიის ქვეყანას, იგი ახლოს არის ტრაპიზონთან, ლაზებთან და ახალციხესთან. გურიის საზღვრებზეა მეგრელთა ქვეყანა, მეგრელთა აღმოსავლეთითაა იმერელთა ქვეყანა, იმერელთა აღმოსავლეთითაა თბილისის ვილაეთი, თბილისის აღმოსავლეთითაა კახეთის ქვეყანა, რადგან იგი ახლოსაა სპარსეთის ზღვასთან³⁸. კახეთის მთელი ქვეყანა ქრისტიანი ქართველებია და მხოლოდ ცოტანი არიან უცხო სჯულისა.

რაც შეეხება თბილისს, აქ არიან ყიზილბაში მუსლიმები, სპარსეთის მეფის მიერ გამოგზავნილნი. ისინი ცხოვრობენ თბილისის ციხეში, აგრეთვე გორის ციხეში. თბილისში ბევრი სომეხია. მათ აქვთ დიდებული ეკლესიები, სადაც ძელზე შემორტყმით [უხმობენ მლოცველებს]. თბილი-

სის ქვეყანაში ბევრი ადგილია, სადაც სომხები სახლობენ. ესენია: გორი, დირზი. ალი. ალში ებრაელებიც არიან. რაც შეეხება ქვეშევრდომებს, გამგებლებსა და სპას, უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. თბილისში ქართველებს რამდენიმე ეკლესია აქვთ. ერთი მათგანი კათალიკოსს ეკუთვნის, მეორე — ქალაქის მიტროპოლიტს, მესამე — ხანის ცოლს, რადგან იგი ქრისტიანი ქართველია (თბილისის ხანი ცოლად მხოლოდ ქართველ ქალს ირთავს). ამ ქალს ჰყავს [თავისი] მღვდლები და მოძღვარი. თბილისში მესიის სჯული ძალზე გავრცელებულია, უფრო მეტად ვიდრე სხვა სჯული. ეს ჩვენ საკუთარი თვალით ვიხილეთ.

იცოდეთ, რომ ჩვენ ქართველთა ქვეყნისაკენ გავემართეთ სამყაროს შექმნიდან 7172 წელს³⁹ და ჩავდით იქ. ჩვენ თვითონ შევისწავლეთ მათი მღვდმარობა — როგორ უყურებენ ისინი მესიის სჯულს. ვნახეთ, რომ ისინი ბევრ რამეში მწვალებლებს აპყობიან, რასაც ქვემოთ მოვიხსენიებთ. ეს იმის მიზეზია, რომ ქართველებს არაეინა ჰყავთ მასწავლებელი და ქვეშარიტ გზაზე დამყენებელი.

პირველ ყოვლისა, ქართველები ნიშნავენ მღვდელმთავარს არა მისი ღირსებისა და კეთილშობილების გათვალისწინებით, არამედ [შემდგენარად]: ქართველი დიდებული შეარჩევს ერთ თავის შვილს და მას დაბადებიდანვე ბერად აღკვეცას გადაუწყვეტს. მერე ცოტაოდენ წერა-კითხვასაც შეასწავლის. როცა მამას (ან რომელიმე ნათესავს) ბედი გაუღიმებს ან გავლენას მოიპოვებს იმ მხარის დიდებულებსა და გამგებელზე, იგი იყენებს თავის ძალაუფლებას: შვილს მღვდელმთავრად ნიშნავს და მას რომელიმე სამღვდელმთავრო ტახტზე სვამს. ისიც ზის ამ ტახტზე [და არავინ კითხულობს], ღირსია იგი ამისა თუ არა. ამ ეპარქიის მთელი სამწყსო მისი ყმა ხდება, თუ მოისურვებს, მიჰყიდოს თურქებს და [სხვა] ხალხს ლამაზ ვოგო-ბიჭებს, ახალგაზრდა ქალებს. ქაბუჯებსა და სხვებს. ამ საქმეში ხელის შემშლელი მას საერთოდ არაეინა ჰყავს. [ასეთი მღვდელმთავარი] ვერ ასწავლის სამწყსოს სჯულის საწყისებს და იმას. თუ რა მოეთხოვებათ ქრისტიანებს. ხშირად ასეთი კაცი. სანამ გაიზრდება და წვერი ამოუვა, დიაკვნად ინიშნება და მას საეპისკოპოსო ტახტს ჩააბარებენ ხოლმე. ისიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ. ეპისკოპოსოვით განაგებს სამწყსოს.

როცა ქართველთა მეფე ომში მიდის, მას ოან მიჰყვება ყველა მღვდელმთავარი და მღვდელ-მონაზონი თავიანთი მრევლით. ისინი ებრძვიან ქმებს — [ასეთსავე] ეპისკოპოსებს, მღვდლებსა და მეზობელ ქრისტიანებს. თუ ერთმა მხარემ მეორეს სძლია, მაშინ გამარჯვებული ეპისკოპოსებრ და მღვდლები ატყვევებენ დამარცხებულებს და არ დაგიღვევენ, ვინაა მათი ტყვე: ეპისკოპოსი, მღვდელი თუ უბრალო მრევლთაგანი. ისინი დამარცხებულებს უფრო ცუდად ექცევიან ხოლმე. ვიდრე ბარბაროსი — ქრისტიანს; თუ მოინდომებენ, ტყვეებს მიჰყიდიან თურქებს ან

სპარსელებს. განსაკუთრებით ღარიბების სახლებს არბევენ, ატყევევენ მათ და ჰყიდიან: ან არა და ყმებად იხდიან, ვიდრე ისინი დიდძალი ფულით თავს არ გამოისყიდიან.

[ქართველი] მღვდელმთავარი სანჯაყის [გამგებლის] უფლების მქონეა და ხშირად კარგად არც კი იცის წერა-კითხვა. როცა მას ძღვენს მიართმევენ ახალი დიაკვნის საკურთხებლად, იგი მაშინვე აკურთხებს მას და არც კი კითხულობს, მონათლულია იგი თუ არა. [დიაკვნობის] ღირსია თუ არა, კანონიერი ქორწინებით თუ იყო შეუღლებული ქალწულთან. ხშირად ქართველს აკურთხებენ ხოლმე დიაკვნად, როცა იგი უცოლოა და [მხოლოდ] ხელთდასხმის შემდეგ ირთავს იგი ცოლს. მას არც კი ეკითხებიან, წერა-კითხვა თუ იცის. ასე რომ, მეგრელთა ქვეყნის ბევრმა დიაკვნამ და მღვდელმა საერთოდ არ იცის წერა-კითხვა. ზეპირად უსწავლია ეთიოპური ლოცვა და იყენებს მათ წირვის, ჯვრისწერის, მიცვალებულისათვის წესის აგების და სხვა ამდაგვართა დროს. ბევრმა მღვდელმთავარმა არ იცის დიაკვნად და მღვდლად კურთხევის წესები, თავისი ხელით ვერც კი შეუდგენს [ახლად ხელთდასხმულს]. კურთხევის დამამტკიცებელ საბუთს. ქართველთა ეპისკოპოსებმა არ იციან აგრეთვე, როგორ აკურთხონ ახლად ნაგები ეკლესიები. კურთხევის წინ ეპისკოპოსი უთანხმდება ეკლესიის აღმშენებელს: — რას მომცემ ეკლესიის კურთხევისთვისო. — მხოლოდ გასამრჯელოს მიღების შემდეგ აკურთხებს ეპისკოპოსი ეკლესიას. ეპისკოპოსები ხელთდასხმისთვისაც იღებენ ქრთამს.

როცა [ქართველ] დიაკვანს ან მღვდელს ცოლი უკვდება, იგი სხვას ირთავს და სასულიერო წოდებაზე ხელს იღებს. არც ერთი ეპისკოპოსი მას ქუეას არ დაარიგებს და საქციელს არ დაუგმობს. როდესაც ქართველებთან ჩამოდიან კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ შერისხული ბერძენი მღვდელმთავრები, ქართველები მათ დიაკვნებისა და მღვდლების კურთხევის ნებას აძლევენ. ეს კიდევ არაფერი, ქართველებთან ბერძენი მღვდლები მოდიან და თავს მღვდელმთავრებად ასაღებენ. ქართველები უჩქერებენ მათ და აძლევენ წირვის, აგრეთვე დიაკვნად თუ მღვდლად ხელთდასხმის უფლებას. ეს [ყველაფერი] იმიტომ ხდება, რომ ქართველებს ნაკლებად ესმით სჯულის საკითხები. ზოგიერთ საეპისკოპოსო ტახტზე ბერს ან დიაკვანს დასვამენ ხოლმე. იგი ეპისკოპოსივით განაგებს თავისი ეპარქიის მრევლს: ვისაც მოსურვებს, თურქებს მიჰყიდის, ბღრკილს დაადებს, დააჯარიმებს. [ერთი სიტყვით] აკეთებს იმას, რაც მოეპრიანება. თუ ვინმე არ შეეპუა, იგი მაშინვე გაჰყიდის მას ცოლ-შვილთან ერთად. [ამიტომ] არც არავინ ეურჩება.

თუ ეპისკოპოსი ან მონასტრის წინამძღვარი თავისი სამწყსოს მავან გათხოვილ დედაკაცს განურისხლებს. ქმარს გაყრის და კაცს სხვა ქალს შერთავს ისე, რომ არც ღვთის შიში აქვს და არც ხალხისა რცხვენია. ხშირად ასეთი ეპისკოპოსი კაცს ეუბნება: — შენი ცოლი ერთი შავტუხა

ვინმეა, მასთან რა დაგრჩენია, გააგდე და სხვა მოიყვანე! — თუ ეს კაცი არ შეეპუა და ცოლთან დაცილება არ ინდომა, ეპისკოპოსი მას ბორკილს ადებს, ვიდრე ეს კაცი ცოლს არ გაეყრება და სხვას არ შეირთავს.

ასე მოექცა, მაგალითად, ცაგერელი [ეპისკოპოსი] გიორგი დიაკვანს, რომელსაც ცოლი და ერთი შვილი ჰყავდა. ეპისკოპოსმა მოსთხოვა მას, ცოლი დატოვე და სხვა ქალი შეირთეო. როცა გიორგი დიაკვანმა ეს არ ქნა, ეპისკოპოსმა მას ბორკილი დაადო და იქამდე ტანჯა და გვემა, სანამ ამან პირველი [ცოლი] არ დატოვა. ეპისკოპოსმა მას სხვა ქალი მისცა ცოლად. მე ორივე ქალი მინახავს. ისინი მოვიდნენ და მთხოვეს, განგესაჯეო. [ჩემი სამართალი ასეთი იყო]: გიორგი დიაკვანს პირველი ცოლი უნდა დაებრუნებინა. ისიც ასე მოიქცა და მეორე ქალი მიატოვა. ზემოხსენებული ცაგერელი [ეპისკოპოსი] კი მოკვდებოდა [ეკლესიას]. ერთიც ვნახეთ, სახელად ევსევი, იქაური ჯვრის მონასტრის წინამძღვარი. ამან ერთი მღვდელი თურქებს ტყვედ მიჰყიდა, ფული შექამა, მღვდლის ცოლი კი თავის ერთ ყმაწვილ მსახურს მისცა, იმრუშეთო. ის მღვდელი ქრისტიანებმა [ტყვეობიდან] დაიხსნეს და იგი შინ დაბრუნდა. მერე მოვიდა და თავისი ამბავი შემოგვჩივლა [მისი დატყვევებიდან უკვე ოთხი წელი გასულიყო]. მღვდლის ცოლი მთელი ეს ხანი იმ ავხორც ყმაწვილს ჰყავდა: ამ მღვდელს კი წირვის უფლება ჩამოართვეს, შეშას ჰკრიდა და მიწას ხნავდა. მე ეს წინამძღვარი გაეაროზგვინე, ბორკილი დავადე და წირვა ავუკრძალე. ასე დარჩა იგი მოკვეთილი. მღვდლის ცოლი კი გამექცა იმ ყმაწვილთან ერთად. რომელიც მასთან უგვირგვინოდ და უკუთხეველად მრუშობდა. მე ისინი დავიჭირე, დავსაჯე, ერთმანეთს დავაშორე და მონაწიების გზას დავაყენე.

იცოდე, რომ ქალ-ვაყის დაწინდვისას ქართველები არ კითხულობენ საამისოდ განკუთვნილ ლოცვებს, არამედ კაცს ან ქალს ეძლევა ბელგა. ღარიბთა უმრავლესობას, ზოგჯერ კი მდიდარსაც, ცოლი უგვირგვინოდ მოჰყავს. შვილებსაც უგვირგვინონი აჩენენ. ზოგიერთი ქართველი ტოვებს ცოლს და სხვას ირთავს [ასევე] უგვირგვინოდ ისე, რომ ღეთისა არ ეშინია და არც ხალხის კიცხვას ერიდება.

ჩვენ ვნახეთ ეპისკოპოსი, რომელმაც ერთ კაცს ცოლი და ოთხი შვილი წაართვა. ოთხივე შვილი თურქებს მიჰყიდა, ქალი კი სხვა კაცს მიატოვა. ის კაცი მოვიდა ჩვენთან და ეს ამბავი გვაუწყა. უკვე ოთხი წელი გასულიყო და მას სხვა ცოლი არ შეურთავს. ჩვენ ისიც გავიგეთ, როგორ წაართვა ამ კაცს ზემოხსენებულმა წყეულმა ეპისკოპოსმა ცოლი და, თუმცა ქალს ქმარი ცოცხალი ჰყავდა, იგი ერთ მღვდელს შერთო ცოლად (ამ მღვდელს თურმე ცოლი აფხაზებმა მოსტაცეს). ჩვენ ვნახეთ ამ ქალის ქმარი. იგი გვეახლა და შემოგვჩივლა თავისი მდგომარეობა. ასეთი ამბები ქვასაც აატირებს!

საკუთარი თვალით ნანახსა და საკუთარი ყურით მოსმენილს [მოგახ-

სენებთ]. რომ ზოგიერთი ქართველი მღვდელმთავარი ყიდის თავისი სამწყსოს ღამას ვოგო-ბიქებს. პირმშენიერ ქალიშვილებსა და ყველას, ვინც თავს მისი რისხვა დაატყდება. ტყვეებით მოვაპრენიც მას საამისოდ აქვსებენ. საჩქმე იქამდე მივიდა, რომ კაცს თვალწინ ცოლს უყიდიან, ანდა კაცს ყიდიან ცოლის თვალწინ.

ჩვენ ვნახეთ, როგორ გაყიდა მარტო ერთ წელიწადში მოქვის ეპარქიის ეპისკოპოსმა, სახელად ანდრიამ, თავისი სამწყსოს სამოცი კაცი. ოცდამამი გაყიდა ქობულეთის ნავსადგურში, გურიის ქვეყანაში რომაა, დანარჩენი კი, ყველანი ერთად. შაკი ზღვის სხვა ნავსადგურში. ეს წყუელი მოგვეთუ. გადავყენე და ეპისკოპოსად ახალი ღირსეული კაცი ვაკურთხე.

ცოცხალი ცოლის პატრონ ბევრ ქართველს სხვა ქალი მოჰყავს ხოლმე. მღვდელი მას მეორე ქალზე ადგამს გვირგვინს და არც ეკითხება: — როგორ, ცოლი ცოცხალი გყავს, მე კი სხვა ქალზე როგორ დაგწერო გვარიო? — ანდა [არ უხსნის], რომ ეს უკანონო საქციელია. იმ ეპარქიის ეპისკოპოსი არა თუ არ მოკვეთს ასეთ მღვდელს, რომელმაც [უკანონოდ] დაგვირგვინა [ქალ-ვაგი], არამედ ერთ სიტყვასაც კი არ ეტყვის [საყვედურის ნიშნად]. თუ ასეთი ორცოლიანი ავად ხდება, მას აზიარებენ; თუ მოკვდება, მღვდელი (მღვდელმთავარიც კი) წესს აუგებს და საფლავს უკურთხებს. ყოველივე ეს იმის მიზეზია, რომ ქართველები, თავიანთი თვალთ ხედავენ, მღვდელმთავართა და მონასტრის წინამძღვართა სამრახის საქციელს, თანაც ესენი არაფერს ასწავლიან თავიანთ მრევლს.

ყოველ ეპისკოპოსსა და წინამძღვარს ქრისტიანთა რამდენიმე კომლი ჰყავს. ესენი საეპისკოპოსოსა და მონასტრის საკუთრებას შეადგენენ და არაყის, მეფეააც კი, მათზე არავითარი ძალაუფლება არა აქვს. ეპისკოპოსი და წინამძღვარი იმას სჩადიან, რაც მოეპრიანებათ.

ქართველთა მეფესაც ჰყავს რამდენიმე ასეული, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი, კომლი. ისიც, რაც უნდა, იმას აკეთებს. ასევე იქცევიან დედოფალი და ამ ქვეყნის თავადები. ვისაც კი საკუთრებად კომლები ჰყავს, თავისი სურვილისამებრ ექცევა და არავინა ჰყავს ხელისშემშლელი.

ბევრი გვიჩინავს ქრისტიანებით მოვაპრენი, რომლებიც ქრისტიანებს ყიდიან. მათ მღვდლებიც კი გაუყიდათ ხოლმე. მე ვუნხმე რამოდენიმეს, რომლებიც მღვდლებს ყიდდნენ. [ტყვეებად]: ცემა და ბორკილი არ დავაკელი, სანამ ის მღვდელი არ დაიხსნეს, რომელიც უკვე გაეყიდათ. [ასე] დავისხენი ტყვეობიდან რამდენიმე მღვდელი.

რაც შეეხება ჩემგან დახსნილ ტყვეებს, ასეთები ბევრნი იყვნენ. ქალიშვილები ღირსეულ კაცებს გავაყოლე ცოლად იმიტომ, რომ საკუთარ ახულებად გავიხადე და მევე დავადგი გვირგვინი. ბიჭები მშობლებს დავუბრუნე, ტყვე დედაკაცები კი — თავიანთ ქმრებს. ყველას ავუხსენი,

რომ ადამიანის გაყიდვა დიდი უსამართლობაა. მოგუყვანე მაგალითად
ლეთის სიტყვა: „სულს სულისა წილს“ და სხვა ლეთიური ნათქვამი
ტყველდ' გაყიდვის თაობაზე. რომ მას ვერავითარი სხვა ცოდვა ვერ შეედ-
რება. ბევრი მოვკვეთე, ვინც კი ამის შემდეგ ტყვედ გაყიდვა გაბედა.
როგორც კი ყურს მოვკრავდი, მავანი და მავანი თავადი ვინმეს გაყიდვას
უპირებსო, მაშინვე შინ ჩემს ხალხს ვუგზავნიდი, [გასაყიდად გამზადე-
ბულებს] ვათავისუფლებდი, გზას ბარაქა დააყარეთ-მეთქი, ასეთ თავადს
კი შევაჩვენებდი.

ქართველთა შორის არიან ისეთი სინდისგარეცხილი ავაზაკები, რომ-
ლებიც ყაჩაღებთან შეთანხმებით მიდიან ღამით რომელიმე განაპირა სახ-
ლში, იტაცებენ რამდენიმე კაცს, დღისით ამათ გადამალავენ. ღამით კი
მიჰყავთ ერთი დიდი მდინარის ნაპირზე, შავ ზღვაში რომ ჩადის. და ტყვე-
ებით მოვაჭრეებს მიჰყიდიან. ესენი ზოგი პატარა ნავეებით არიან მოსულ-
ნი, ზოგიც დიდი გემებით.

ბევრი ქართველი ქრისტიანის გაყიდვას ისე უყურებს, როგორც ჩვენ-
ში ნიეთის გაყიდვას. ქართველი ქალებიც კი ყიდიან თავიანთ მსახურებს
და ამ გზით ნაშოვნნი ფულით საქმელ-სასმელსა და ძვირფასი აბრეშუმის
სამოსს ყიდულობენ. ყოველივე ეს იმის გამრია, რომ, როგორც ვთქვით,
ქართველები მაგალითს იღებენ მღვდელმთავრებისა და მღვდლებისაგან.

ჩვენ გვიამბეს: ორმოცი წლის წინათ ერთ თავადს ნათესავი მოკვდო-
მია. მას თავისთან მეზობელი მღვდლები დაუბარებია. სულ დაახლოებით
ორმოცდაათი მღვდელ-დიაკვანი შეკრებულა. ამათ, ამ თავადის გარდა-
ცვლილ ნათესავის სახელზე უწირავთ. ამის შემდეგ თავადს მღვდელ-დია-
კვნებისათვის უსმევ-უჭმევია, მერე კი მსახურებისთვის უბრძანებია —
ყველას ხელ-ფეხი შეუკარით, თავ-წვერი მოპარსეთ და გაყიდეთო. —
ბოლოს ეს ამბავი ქართველთა მთავარს გაუგია. მას ეს თავადი მოუკვლე-
ვინებია და მისი სახლი აუკლია.

წმიდა მთის⁴¹ ერთი მღვდელი რამდენიმე თანამგზავრთან ერთად ქარ-
თველთა ქვეყანაში იყო. იგი ღამით ჩამოვიდა და ერთ სახლში გაათია.
[თურმე] იქაურები სულ ავაზაკები ყოფილან. ამათ ამ მღვდელს თავ-
წვერი გადაპარსეს, მხლებლები ამოუხოცეს და თვით იგი აფხაზთა ქვეყა-
ნაში გაყიდეს. რამდენიმე წლის შემდეგ ეს მღვდელი გამოექცა აფხაზებს,
დიდი გაჭირვებით თავი დაიხსნა, ქართველთა ქვეყანაში მოვიდა და ყვე-
ლაფერი მთავარს შეატყობინა. მთავარმა ამ მღვდლის ყველა გამყიდველი
ამოხოცა.

ჩვენ ვნახეთ ერთი [ქართველი] კაცი. ამან თავისი ქალიშვილი ყმა-
წვილკაცს მიათხოვა. ამისმა ბატონმა გაყიდა სიძე. პატარძლის მამამ ქალი
სხვას გაატანა ცოლად. მაშინ მოვიდა ამ ყმაწვილის მეორე ბატონი და
ქალის მამას წაეჩხუბა. მამამ მოკლა ბატონი. განსაცხელად მეფეს მიმარ-
თეს. მსაჯულმა მკვლელს დააკისრა, მოკლულის ოჯახის სასარგებლოდ

ოცი ყურღში ვადაეხდა. მკვლელის⁴² ბატონმა წაიყვანა ამისი ცოლი, ორი ვაჟიშვილი. ცოლისძმა და ყველას ხელ-ფეხი შეუტრა. გასაყიდად რომ მიჰყავდა, გზად ჩვენ შევეყარეთ. ეს კაცი მაგრად ვცემეთ. ოთხივენი დავიხსენით. გაუშვით და მთავარს ყოველივე შევატყობინეთ.

ქართველ მღვდელთა უმრავლესობამ არ იცის ჩვილის მონათვლა. ე. ი. მოსანათლავს მთელი სხეული რომ სამკერ უნდა ჩააყოფინოს წყალში. ამის ნაცვლად მღვდელი მოსანათლავს მხოლოდ წყალს აკურებს, ანდა სხეულის მხოლოდ ერთ ნაწილს ჩააყოფინებს წყალში. ზოგიერთი მღვდელი თვითონ კი არა სცხებს მირონს მოსანათლავს. არამედ ამას აკეთებს საერო პირი — ნათლია. თუ ნათლიის კეთილი ნება იქნა, იგი მარჯვენა ხელს დაუჭერს მღვდელს და ეხმარება, მირონი სცხოს ჩვილს. ზოგჯერ ნათლია სხვა სჯულის აღმსარებელია.

მეგრეთა ქვეყნის მღვდლები იმდენად ბრიყვები არიან, რომ, როცა ქალი ბავშვს დაბადებს, მღვდელი მიდის მასთან და ახალშობილს მხოლოდ და მხოლოდ მირონს სცხებს შუბლზე. ნათლობის [საიდუმლოს აღსრულებას] გარეშე. ეს მირონცხებაა მათი მონათვლა. ისინი ფიქრობენ, რომ ასეთია ქეშმარიტი მონათვლა. ხშირად მღვდელი ახალშობილის დედასაც სცხებს მირონს. არაიშვიათად ყოველი ბავშვის დაბადებისას მღვდელი ქალს მირონს სცხებს. ჩვენ ავუხსენით მათ, რომ დიდ ცოდვად ითვლება, როდესაც ღვთიურ მირონს ისეთ პირს სცხებენ, რომელიც ნათლისღებით არ არის განწმენდილი. ისინი ეწინააღმდეგებიან იმას, რაც უთქვამს უფალს წმინდა სახარებაში: — „წარვედით და ნათელსვცემდით მათ“⁴³. თქვა აგრეთვე [უფალმა]: „რომელმან ნათელიღოს, ნეტარ იყოს და ცხოვრდეს“⁴⁴. რამეთუ არავისათვის არა არს ცხონება. თვინიერ ნათელღებასა. რომელ არს საძირკველი ჩვენი რწმენისა. მირონცხება მოსანათლავისა კი არს ღვთიური ბეჭედი. ჩვენ ყველანი მოვნათლეთ. ვინც მხოლოდ მირონცხებული იყო, შემდეგ კი მირონი ვცხეთ.

იყოღე აგრეთვე, რომ ქართველები არ ნათლავენ ჩვილს დაბადებიდან ორმოც დღეზე, არც ოთხმოცზე. არც მაშინ, როცა ავაღ გახდება. როცა მოქირიანებათ, მაშინ ნათლავენ. ასე იქცევიან ქართველი თავადები. საქმი: იქმდე მიდის, რომ ბევრი მათგანი ისე დაავაკაცდება და დაქალდება, ისე ქორწინდება და შვილებს აჩენს. რომ მოუნათლავი არის. ისეც ხდება, რომ მოუნათლავად ქართველს მიენიჭება ხოლმე დიაკვნის, მღვდლის და მღვდელმთავრის ხარისხი. ყოველივე ეს იმის მიზეზია, რომ ცოტაა იათო, ვინც [მათ საქმეს] გამოიძიებს. სწორ გზაზე დააყენებს, თუ [რაიმეს] ანწავლის. ჩვენ სახარების წესით ბევრი მღვდელი და დიაკვანი (მათ შორის მრავალი უკვე მოხუცი იყო) მოვნათლეთ. ბევრი ქართველი (კაცი თუ ქალი) მოუნათლავად ბერდება. ბევრიც მოუნათლავად კვდება.

ზოგიერთი ქართველი მღვდელი (განსაკუთრებით მეგრეთა ქვეყანაში) წირვა-ლოცვას ეკლესიაში კი არ ასრულებს წმინდ ტრაპეზზე, არა-

მედ ეკლესიის კარს მიღმა. ზოგი მათგანი მღვდელმსახურებისას სრულ სამღვდლო შესაბამისს კი არ იცვამს, არამედ მხოლოდ მის ნაწილს. მღვდელს ავადმყოფთან საზიარებლად რომ დაუძახებენ, თვითონ კი არ მიდის, არამედ სეფისკვერს ბარძიშში დებს, ზემოდან ზედაშეს ასხამს და ბარძიშს ბიკს ან ერისკაცს ატანს იმ ავადმყოფის საზიარებლად (ეს იმითომ, რომ მას ჰგონია, ასე თუ მოვიქცევით, ავადმყოფის სენი არ შემეყრებაო). ჰოდა, მიდის ეს ერისკაცი, ასმევს ავადმყოფს ზედაშეს, ბარძიშში რომაა, [ზიარების] არსი⁴⁵ კი ბარძიშის ფსკერზე რჩება ხელუხლებელი.

ქართველთა უმრავლესობას წმინდანთა (კაცთა თუ ქალთა) სახელი რომ დი ჰქვია, არამედ ნაირ-ნაირ უმაქნის სახელებს ირქმევს. ბევრი ქართველი ისე ქორწინდება, ისე უჩნდება შეილები და შეილთაშვილები. რომ თავად მონათლული არ არის. მხოლოდ მცირედი ნაწილია გამონაკლისი, რომელსაც ესმის [ქრისტიანული] რწმენა.

ქართველებს ბერები ცოტანი ჰყავთ. ისინი მონასტრებში კი არ ცხოვრობენ, არამედ მღვდელმთავრებთან და მღვდლებთან ერთად არიან. ან არა და ბერი გირაოდ იღებს მონასტერს, დგება მის წინამძღვრად და სამწყსოს გამგებლად — ვისაც მოისურვებს, გაყიდოს: ვისაც ინებებს. ატუსაღებს და [საერთოდ] იმას სჩადის, რასაც ისურვებს და მოეპრიანება, არც არავისი ეშინია.

ქართველი მონაზვნებიც დიდი ეკლესიების კარმიდამოზე სახლობენ, ან არადა მთავრებისა და თავადების ცოლებთან ერთად არიან და მათი საშუალებით ირჩენენ თავს. ისინი დიდის უბიწოებით გამოირჩევიან.

ქართველთა კათალიკოსი და მთავარი კურთხევის გარეშე დასვამენ ხოლმე საეპისკოპოსო ტახტზე ერისკაცს ან დიაკვნს და მათ [ამის საფასურად] ფულს ართმევენ. ესეც, ეპისკოპოსის არ იყოს, ისეთ საქმეებს სჩადის, ზემოთ რომ ვახსენეთ (კურთხევისათვის ფულს იღებს).

ქართველთა ეპისკოპოსებსა და მღვდლებს საკუთარი ლაშქარიც ჰყავთ. რომ ერთმანეთს ებრძოლონ. როცა ერთი რაზმი შეორეს ამარცხებს, [გამარჯვებული] ძარცვავს დამარცხებულს, ათასობით კაცს თავს უყრის და [მათგან] ვისაც მოისურვებს, თურქებს ან სხვა ხალხს! მიჰყიდის. საძრახისი საქმეებია! ღმერთიმც გამოუსწორებს ქართველებს, მათ მდგომარეობას! უმეტესად ჯმ ბოროტებას მღვდელმთავრები სჩადიან. ისინი ძარცვავენ ხალხს, ყიდიან და აღებული ფასით ვერცხლის ქურჭელს იძენენ მაგიდის გასაწყობად: ანდა ტყვეებში აღებულ ფულს გადაინახვენ და იგი ხშირად მტრების საკუთრება ხდება.

ქართველთა შინაურ ომებს (როცა ერთი მხარე შეორეს ამარცხებს) შედეგად ის მოჰყვება ხოლმე, რომ დამარცხებულებს ისეთ ეპისკოპოსს გადაუყენებენ, რომელიც ამას არ იმსახურებს. მის ადგილზე სხვას დასვამენ და ვინ კითხულობს, იგი ღირსია ამისა თუ არა?!

ქართველი მღვდლები აზიარებენ მრუნთილავებს და როცა ეს უკანასკნელი იხოცებიან, წესს აუგებენ ხოლმე. ასეონარიად მოვდელმთავრებიც კი სცოდავენ.

მღვდელმთავართა უმრავლესობა ისე წირავს და აკურთხებს, რომ თავად არა აქვს მიღებული [წმიდა] საიდუმლო. მიცვალებულისათვის წესის აგებისას ერთ ან ორ მღვდელსა და დიაკვანს თუ აქვს მიღებული ზიარება. დანარჩენები უზიარებლები არიან.

ქართველებს ორი კათალიკოსი ჰყავთ. ერთი მათგანი განაგებს მებგრელთა ქვეყანას. იმეზლებს და გურიას, ხოლო მეორე — თბილისს, კახეთს; ახალციხეს და მათ მოსახლგრე მხარეებს. მაგრამ ეს კათალიკოსები ერთ საყვედურსაც კი არ ეტყვიან მღვდელმთავრებს ზემონახსენები ცუდი საქციელის გამო. როცა კი გაკიცსავენ ხოლმე, მერე მათგან ქრთამს იღებენ და სრულ თავისუფლებას ანიჭებენ.

ქართველთა ეკლესიების დიდ ნაწილს არ გააჩნია საკურთხეველები. ჩვენ ვუბნებოდით მათ, რომ წმიდა სამსხვერპლო ნიშანია გოლგოთასი, რომელზედაც ჯვარს აცვეს მესია. მერე იგი ჯვრიდან იოსებმა, ნიკოდიმემ, ლეთისმშობელმა, იოანე მახარებელმა და მენელსაცხებლებმა გარდამოსწესეს, სუღარაში გაახვიეს და წმიდა საფლავს მიაბარეს. ეს საფლავი დღესაც არსებობს. მართლაც, წმიდა საკურთხეველი უფალი მესიის საფლავს ჰგავს. ჩვენ სიტყვას [ქართველები] უყერებდნენ და ჩვენც იმეკლესიებში საკურთხეველები დავდგეთ.

ბევრმა ეპისკოპმა თუ ქალმა არ იცის პირჯვარის წერა და ბოლომდე „ამათ ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინას“ თქმა. ბევრ ქართველს წესად არა აქვს, აღსარება თქვას ან ზიარება მიიღოს, როცა საღ-სალამათია. [ამას მხოლოდ] სიყვდილის წინ აკეთებს. ხშირად ავადმყოფი უაღსარებოდ და უზიარებლად კვდება. მიუხედავად ამისა, შას სულთათანასაც უკითხავენ და წესსაც უგებენ. ბევრი ქართველი მღვდელი გარდაცვლილის ოჯახს ვასამრჯელოს ართმევს. რათა მიცვალებულს წესი აუგოს; მერე მიდის ქართველთა შორის ცნობილ რომელმე ეკლესიაში, აცვამს მღვდელმსახურების სამოსელის მხოლოდ ნაწილს და ისე დგას საკურთხეველში, რომ არც ლოცვებს კითხულობს და არც არაფერს აკეთებს, რაც მღვდელთა წესია (ეს მათი საქციელი ჩვენ, საკუთარი თვალთ ვინიღეთ). [მღვდელმსახურების] დამთავრებისას იგი გამოდის საკურთხეველიდან, მიდის და ეუბნება მიცვალებულის ოჯახს, მე დღეს თქვენს მიცვალებულს წესი აუუგეთ.

ასეთი ამბები მეგრელთა ქვეყანაში იმიტომ ხდება, რომ ისინი მეტისმეტად უმეტარნი არიან და არც მოძღვარი ჰყავთ. მღვდლები ჩვენი თანდასწრებით, არ სწირავდნენ. ხოლმე, მაგრამ ჩვენ დარაჯად ვედექით და, როგორც კი მღვდელი ანაფორას ჩაიცვამდა, მოულოდნელად თავს წავა-

დგებოდით და ეუყურებდით, როგორ სრულდებოდა მსხვერპლად შეწირვა, ლიტურგია თუ სხვა საეკლესიო წესები.

მეგრელთა ქვეყნის უამრავი დიაკვანი და მღვდელი მოუნათლავია. მე ბევრი მათგანი მოგნათლევ. უმეტესობა ისე ბერდება, რომ ხეირიანად პირვეარის გადაწერაც კი არ იცის. ეს იმიტომ ხდება, რომ ქართველი ეპისკოპოსები სრულებით არ მოძღვრებენ მათ. ასევე იქცევიან სხვა ქვეყნებიდან მოსული პატრიარქები, მღვდელმთავრები და მღვდლები. ისინი არაფერს ასწავლიან მრევლს და არ განუმარტებენ რწმენის საკითხებს; მხოლოდ ფულს აგროვებენ და ისე გაეცლებიან, რომ სასარგებლოს არაფერს ეუბნებიან.

მეგრელთა ქვეყნის დიდი ეპარქიის მფლობელმა ბედიის ეპისკოპოსმა ანდრიამ მიაშობო, ჩემს ეპარქიაში სუთასამდე უკანონო ქორწინების შემთხვევათ. ზოგიერთ მამაკაცს ორი ცოლი ჰყავს. ზოგს ნათესავი ქალი შეურთავს, ზოგსაც ქალი უგვირგვინოდ მოუყვანიაო. ჩემი და ქართველი ეპისკოპოსების მხრიდან ხალხი დავაგზავნე. ამათ იქაურობას შემოუარეს და ვისაც ორი ცოლი ჰყავდა, მეორე ქალი მოაცილეს; ვისაც ნათესავი ჰყავდა, ცოლად, ისიც მოაცილეს; ვინც უგვირგვინო იყო, დაავგვირგვინეს; ვინც მოუნათლავი იყო, მოსათლეს; ვინც მრუშობდა — კაცი იყო თუ ქალი — მრუშობა ბუერძალეს. ფიცს აღკვირებდნენ და ისინიც ისანიებდნენ ცოდვებს. ქალებს ჩვილთა დახრჩობა აუერძალეს. ვინც გვეურჩებოდა, მაშინვე სახლს დაურბევდნენ, თვით მას ბორკულს დაადებდნენ, სანამ არ მოინანიებდა და ჩვენი ნათქვამის მიხედვით არ მოიქცეოდა. ბევრი მათგანი ჩვენს ნათქვამს ასრულებდა.

როდესაც მოქვის საეპისკოპოსოში ჩავედი, ჩვენი ჩამოსვლის ამბავი უტრს ესმა ერთ მდიდარ ქალს, რომელიც აქედან ახლოს, დრანდაში ცხოვრობდა. ეს ქალი შეიღებოდა ყოფილა ვათხოვილი და ქმრების უმეტესობა მისი ბიძაშვილები ყოფილან, ერთმანეთის ძმები. ჩვენი შიშით ამ ქალმა ხელი მოჰკიდა თავის მეშვიდე ქმარს და მასთან ერთად აფხაზთა ქვეყანაში გაიქცა.

როგორც ზემოთაც შეგატყობინეთ, ქართველები ამჟამად ხუთ ვილაეთს შეადგენენ. ამათგან ოთხი ვილაეთი — სამეგრელო, გურია, მერეთი და თბილისი — ოდითგანვე, აგურ უკვე ორასი წელია, ერთმანეთს მტრობს. ბევრი აქაური ერთმანეთს [ტყვედ] ყიდის და ცოტა ჰყავთ ისეთი, რომელიც მათ ჰეშმარიტი გზით წაიყვანს ან კეთილად დაარიგებს. რაც შეეხება ერთ ვილაეთს — კახეთს, იგი ქვეყანაა დიდი მოწამის — ვანსვენებულ თეიმურაზ-ხანისა. კახელები დღემდე სრულებით არ ყიდიან [ტყვედ] ქრისტიან კაცს.

მეგრელთა უმეტესობა „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინას“ ბოლომდე ვერ იტყვის. შვილებსაც არ ასწავლიან მას, არც „წმიდაო ღმერთოს“ და ამის მომდევნო [ლოცვას], არც პირვეარის წერას. როცა ეპის-

კოპოსი შემოვიღის თავის ეპარქიას, იგი არავითარ დარიგებას არ აძლევს თავის მრევლს და არ უქადაგებს. ბევრი მეგრელი დიდმარხვეში არ მარხულობს და არ ლოცულობს ქრისტიანთა წესისამებრ. ბევრი მღვდელი არ წირავს კვირაობით, შაბათობით და სხვა უქმე დღეებში. ამას მხოლოდ მაშინ აკეთებს, როცა ვინმე დაუძახებს და წირვისათვის გასამრჩელოს აძლევს. დიდი უბედურებაა, რომ ერთ ადგილზე მეგრელთა მხოლოდ ერთი კომლი სახლობს. ცოტაა ერთ ადგილზე ორი ან სამი სახლი. მეგრელები ერთმანეთისაგან შორს სახლობენ. ეკლესიები სოფლებში ბევრია, მაგრამ მღვდელი და რამდენიმე მრევლთაგანი თუ შევა იქ სალოცავად. მე აჯავს მოუყურიდი ხოლმე რომელიმე ეკლესიაში, ვისაც კი მოვიხელთებდი, ვუქადაგებდი და ვასწავლიდი, თუ რა კეთილი საქმეები უნდა ჰქმნან ქრისტიანებმა და როგორი ვალდებულებები ეკისრებათ მათ.

ქართველთა აუგი თვისება ისიცაა, რომ მათ მიატოვეს ბევრი ხელობა, რაც სხვა ხალხს ცხოვრების სახსარს აძლევს. ასეთია მეაბრეშუმეობა. მათი ქვეყანა ხომ საოცრად [ქარგი] და ნაყოფიერია. იქ ბევრია თუთის ხის ტყე. მაგრამ ცოტაა ისეთი ქართველი, ვინც რომ უვლიდეს და ბევრი აბრეშუმში მოჰყავდეს. ბევრს არ მოსწონს ეს საქმე და ამბობს, სარფიანი არააო. ისიცაა [ალსანიშნავი], რომ ზოგიერთი მათგანი თუ თესავს სელს, ისიც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სამოსელისათვის. და ეს ხდება მაშინ, როცა სელი მათთან ძალზე კარგად ხარობს. ამ საქმეს რომ ქართველებმა ბეჯითად ხელი მოჰკიდონ, როგორც სხვა ქვეყნებში სჩადიან — მოიყვანონ სელი და გაყიდონ — უთუოდ გამდიდრდებიან. ასევე კარგად ხარობს იქ კანაფის ხე. რაც შეეხება ნიორს, იგი ბროწეულის ოდენა იზრდება. კარგად მოდის აგრეთვე თუთუნი, ხახვი და სხვ. და სხვ. ქართველები რომ სხვა ხალხებივით შრომობდნენ და ყიდდნენ თავიანთი გარჯის ნაყოფს იმ გემებით, რომლებიც შემოდიან შავი ზღვითა და დიდი მდინარეებით, ისინი ნამდვილად გამდიდრდებოდნენ. ამასთანავე, ისინი არ იხდიან არც ბეგარას, არც ბაჟს, არც [შემოსავლის] მეთაედს და არც სხვა რაიმე [გადასახადს]. ქართველები ცუდ ხელობაში არიან გამრჩენი. ეს ხელობა კი ის გახლავთ, რომ ისინი ერთმანეთს ყიდნიან. დღისა უმეტეს ნაწილს ისინი უქმად ატარებენ და არც არავინ ჰყავთ ქეშმარიტ გზაზე დამყენებელი. ჩვენ დარიგება მივეცით ქართველებს, განსაკუთრებით ებისკოპოსებს და თავადებს, რომ ხელი მოეკიდათ ზემონახსენებ ხელობათათვის, განსაკუთრებით კი მეაბრეშუმეობისათვის. ბევრი მათგანი ისე მოიქცა, ჩვენ რომ ვასწავლეთ და დიდი სიკეთეც მოაპოვა.

ისიც [უნდა აღენიშნო], რომ, როცა ქართველებს ვინმე უკვდებთ, ისინი ზომანზე მეტად გამოხატავენ მწუხარებას გარდაცვლილზე (ეპისკოპოსებიცა და მღვდლებიც ასე იქცევიან): პირისახეს იხოკავენ, მამაკაცები წვერს იპარსავენ, ქალები — თავზე თმას, მთლიანად უარს ამბობენ ხორცისა და თევზის ჭამაზე, რამდენიმე წლის განმავლობაში ძამებს ატა-

რებენ. ჩვენ ავუკრძალეთ ასე მოქცევა და ავუხსენით, რომ ეს ძალიან დიდ ცოდვად ითვლება. ბევრმა მათგანმა სულ არ გაგვიწია ურჩობა: ძაძა გაიძრო, სახსნილოს ქამა დაიწყო და მხიარულებას მიეცა, რადგან ჩვენ განუუმარტეთ წმიდა სახარებისა და სხვა წმიდა საღვთო წიგნების საშუალებით, რომ მიცვალებული ცათა სასუფეველში გადასახლდა.

ზემონასხენები დიდი ცოდვების გამო, რომელსაც სჩადიან ქართველები. ღმერთმა მათ ხუთი საშინელი უბედურება დაატეხა თავს⁴⁶. პირველი ისაა, რომ ქართველთა უმეტესობა მოუნათლავი იხოცება, ვინაიდან მონათულა მადთვის აუცილებელ მოვალეობად არ ითვლება, მას კი უფალი აუცილებლად ხდის (როგორც ზემოთაც ნათლად ვთქვით, ქართველი ბავშვების უმრავლესობა უნათლავად იხოცება). მეორე უბედურება ისაა, რომ ბევრი ქართველი აღსარების გარეშე, ზემოთ ნახსენები ცოდვებით და ღვთიური ზიარების მიუღებლად იხოცება (ზიარებას როცა იღებენ, მაშინაც არ არიან ამისი ღირსნი). მესამე ისაა, რომ ბევრი ქართველი თანამოძმეს მიჰყიდის ხოლმე სხვადასხვა ხალხს. ცეცხლთაყვანისმცემლებსაც კი. მერე გაყიდულნი თავიანთ სჯულს ტოვებენ. მეოთხე უბედურება ისაა, რომ ქართველები მუდამ ერთმანეთს ეომებიან. ამ შინაომებში ურიცხვი იხოცება, ხოლო გამარჯვებულები ყიდიან დამარცხებულებს. მეხუთე ისაა, რომ მეზობელი ხალხები (ვგულისხმობ აფხაზებს, ჩერქეზებს, სვანებს, ალანებს და სხვებს) თავს ესხმიან ქართველთა ქვეყნის განაპირა სანახებს, იტაცებენ, ვისაც მოიხელთებენ, მიჰყავთ და ყიდიან. მეექვსე უბედურება, და ყველაზე დიდი, ისაა, რომ ბევრი ქართველი დედაკაცი ახრჩობს თავის ჩვილს — ბიჭი იქნება თუ გოგო. ისინი ასე ამბობენ: [ამას იმიტომ ვშვრებით], რომ, როცა გაიზრდებიან, ბატონმა ისინი სხვა ხალხებს არ მიჰყიდოს და მის სჯულზე ხელი არ ააღებინოსო: ასე მოექცნენ ჩვენი ბატონები ჩვენს პირველ შვილებსო. ჩვენ ვზრდით შვილს — ბიჭი იქნება თუ გოგო, ძალ-ღონეს არ ვიშურებთ მის გასაზრდელად და, როცა მოიზრდება, [ბატონს] მიჰყავს იგი და ყიდის. ითვლება მისი ღირსება და ბოლოს თავის სჯულზედაც ხელს იღებსო. ჯობს, შვილები პატარებივე დავახრჩოთ, სანამ გაიზრდებიან და თავიანთი დაძმის მსგავსად ჩვენი ბატონები არ გაყიდიანო. ასეთი მდგომარეობა ქვესაც კი აატირებს. მაღალი ღმერთიმც მისცემს ძლევას ჩვენს სულთანს, ჩვენ კი საფრთხეს აგვარიდებს და სამყოფლად მშობლიურ ადგილებს მოგვანიჭებს!

ქართველთა შორის ისეთებიც არიან, რომლებიც, როცა ხედავენ. ყმა გლეხს რამდენიმე შვილი ჰყავსო, ხოცავენ ბავშვების მშობლებს, ბავშვებს კი ყიდიან. ამიტომაც, რომ ქართველებში არ არიან ობლები — როგორც კი მათ მშობლები ან ერთ-ერთი მშობელი უკვდებათ, ქართველები ყიდიან ობლებს და ხშირად ქვრივ ქალებსაც. ჩვენ გვინახავს ბევრი ქართველი, [საკუთარი] ცოლი რომ გაუყიდა ან — დაძმა.

ჩვენ ერთი კაცი ვნახეთ, ვინმე ქოიავა⁴⁷. მდიდარი იყო. მან თავის

ვაჟს ცოლი შერთო. ეს ვაჟი დედამისთან სულ ჩხვებში იყო, რადგან ამან რძალი შეიჭავრა. მამამ აიღო და შვილი გაყიდა, რძალი კი სხვას მიათხოვა. რამდენიმე ხნის შემდეგ ვაჟმა ტყვეობიდან თავი დაიხსნა და საჩივრით ჩვენ გვეახლა (ბევრი ქართველი გამოიბრძნო ხოლმე ტყვეობიდან და საკუთარ ადგილზე ბრუნდება, მაგრამ დაბრუნების შემდეგ ისევ და ისევ იყიდება).

როცა ცოლიან კაცს ყიდიან, მისი ცოლი უძალვე სხვას მიჰყვება. ქმარი ტყვეობიდან ბრუნდება და ხედავს, ცოლი სხვას გაჰყოლია. [ასეთ შემთხვევაში] ზოგი იბრუნებს თავის ცოლს, ზოგი კი სხვა ქალს ირთავს. იაიცი [უნდა აღუჩინო], რომ ქალი, როცა დაქვრივდება, არ უცდის დაწესებულ ვადას (ეს კია ათი თვე და ათი დღე), რომ გათხოვდეს, არამედ მას მაშინვე სხვა მოჰყავს ქმრად გვირგვინით თუ უგვირგვინოდ.

ეს კი ქართველთა კეთილი და სანაქებო თვისებები, მათი საამაყო საქმენი

პირველი: ქართველები ხედავენ თავიანთ მღვდელმთავართა და მღვდელთა აშკარა სამარცხენო საქციელს (მისი ხსენება არა ხამს ჩვენთვის), მაგრამ არ განსჯიან მათ ამის გამო; პირიქით, ღირსებითა და პატივით ექცევიან.

მეორე: თავს დატუხილ უბედურებებისას (რბევა, ჯატყვევება, ცოლქმრის დაცილება გაყიდვის გამო, ეპისკოპოსებისა და მღვდლების მიერ ბავშვების გაყიდვა მშობლების თვალწინ თუ ერთმანეთის გაყიდვა) ქართველები მუდამ უღრტვინველად და ამბოხის გარეშე იტანენ ყოველივეს.

მესამე: ქართველები გინებით არ ახსენებენ სჯულს და არც არავის (როგორც ჩვენს ქვეყანაში იციან ხოლმე) მაშინაც კი, როცა ხედავენ, რომ ვინმე აშკარა უკეთურობასა და გასაკიცხ საქციელს სჩადის. ზოგიერთი ხომ ამას ისე აკეთებს, რომ არც ღვთისა ეშინია და არც კაცისა რცხენია.

მეოთხე: ქართველ ქალთა უმეტესობა (განსაკუთრებით თავადთა ოჯახებში) წამუსიანი, ღვთის მოშიში და საღმრთო ცნებათა ერთგულია. მდიდარი კაცის თუ მთავრის ცოლს თანა ჰყავს ერთი ან ორი მონაზონი, რაც ღირსებასა და პატივს მატებს მას. ყველა ქართველი თავადის ცოლმა, მისმა ქალიშვილებმა და მონაზვნებმა მღვდლებსა და დიაკვნებზე უკეთ იციან წერა-კითხვა. ისინი ყოველი დღის ღოცვას ურთავენ გალობას, ღვთისმშობლის სადიდებლად მეხუთე შაბათს რომ სრულდება ხოლმე.

მეხუთე: ყველა თავადის ოჯახი ნათლავს შვილებს, თავადებს ჯერისწერით მოჰყავთ ცოლი, ინანიებენ ცოდვებს, წმინდა ზეთით იკურთხებიან,

საიდუმლო ზიარებას იღებენ და ასრულებენ ქრისტიანთა სხვა წესჩვეულებებს.

მეექვსე: ქართველები წყალობის მოვარულები არიან და უხვად გაცემენ მოწყალებას; ისინი ასრულებენ წირვა-ლოცვას, პატრიუს სცემენ პატრიარქსა და მღვდელმთავარს: განსაკუთრებით უყვართ შაბათობით მიცვალებულზე შესანდობარი ლოცვის თქმა. მიცვალებულებზე ისინი აუწერლად ბევრს ხარჯავენ, განსაკუთრებით კი დიდმარხვის შაბათ დღეს. ისინი განსვენებულის სულის მოსახსენიებლად მთელ მის მიერ დატოვებულ ქონებას ხარჯავენ ისე, რომ თავიანთთვის არაფერს იტოვებენ. ამ დროს ქართველები წარმოთქვამენ შესანდობარ ლოცვებს, არიგებენ მოწყალებას, სუფრას შლიან და ბევრ საქველმოქმედო საქმეს სჩადიან. ამით ქართველები გამოირჩევიან მსოფლიოს სხვა ქრისტიანთაგან.

მეშვიდე: ქართველ ქალთა უჩეტესობა მაღალი ზნეობის, ღვთისმომოში და ჩინებული დიასახლია. განსაკუთრებით ეს თავადის ქალებზე ითქმის. მათ ძალზე უყვართ მოწყალების გაცემა, წირვა-ლოცვის შესრულება, წმიდა წიგნების კითხვა და მათი ვადაწერა.

მერვე: ყველა ქართველ თავადის ქალს ხელთა აქვს კრილოსხნია ისინი დღენიადაგ წმიდა, ძვირფასი ხატების წინ ლოცვად დგანან. როდესაც ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა უხდებათ, კმრებთან, შვილებთან და მსახურებთან ერთად, ადამიანს მიხედვით. მოვარაყებულო, ძვირფასი თვლებით მოჭედილი ხატებიც მუდამ თან დააქვთ და იმათ წინაშე მუხლმოყრილი დიდის რუდუნებით ლოცულობენ იმის შემდეგ, რაც ცვილის: სანთლებს უნტებენ. თავადის ქალთა უმრავლესობა დიდმარხვაში ერთ, ორ ან სამ დღეს მხოლოდ ერთხელ ჭამს. ბევრი მათგანი გამოისყიდის ხოლმე ტყვეებს, გამოიხსნის მათ ფულით და თავისუფლებას ანიჭებს.

მეცხრე: ქართველებს ძალზე უყვართ ზეთის კურთხევის წესი. როდესაც ერთი, ორი ან სამი ქართველი აღსარების შემდეგ პატრიარქის, მღვდელმთავრის ან მღვდლის თანდასწრებით მოისურვებს ზეთის კურთხევას. მათ ყველას — ქალი იქნება თუ კაცი — ხელთ უჭირავს თითო ხატი: სხვა დამსწრეთ კი — არა. ასეა ზეთის კურთხევის პირველი ლოცვიდან უკანასკნელამდე. პირველი სახარებისა და მისი მომდევნო ორი ლოცვის წაკითხვის შემდეგ წინამძღვარი, იქნება ეს პატრიარქი, მღვდელმთავარი თუ მღვდელი, ზეთს სცხებს მხოლოდ იმას, ვის სახელზედაც სრულდება ზეთის კურთხევა. ყოველი ლოცვის შემდეგ თითოეული დამსწრე რიგ-რიგობით ზეთს სცხებს მხოლოდ იმას, ვის სახელზედაც სრულდება ზეთის კურთხევის წესი და წვავს ფთილას. მეშვიდე ლოცვას წაკითხვისას წინამძღვარი მეორედ სცხებს ზეთს [იმ პირს, ვის სახელზედაც სრულდება ზეთის კურთხევა]. მერე იწყებს და ზეთს ყველა იქ დამსწრეს სცხებს. ამის შემდეგ უხვად ასაუტრებენ წინამძღვარსა და მას თანმხლებთ.

მეათე: ქართველთა სანაქებო თვისებათაგან: ბზობის კვირას ქართველებს მთავრად ხოლმე გამტკიცებელი ფქვილი, დებენ მურჭლით საწინგეს

შუაში და წესისამებრ ვნების კვირის ოთხი დღის განმავლობაში კითხულობენ მასზე ოთხივე სახარებას თავით ბოლომდე. ამას რომ ჩაათავებენ, დიდხუთშაბათს მოზღვდენ ამ ფქვილს და აცხობენ დიდ სეფისკვერს, რომელსაც მორწმუნენი მთელი წლისათვის იმარაგებენ. ამ დღეს, სეფისკვერს რომ აკურთხებენ, მერე მას ფეშხუმზე დებენ და შეინახავენ. მეორე დღეს — დიდ პარასკევს⁴⁸ მოაქვთ ახალი, პატარა თიხის ქოთანნი, რომელსაც გვერდს გაუხვრეტენ და ნადვერდლით ავსებენ. მერე ამ ქოთანს თავზე ზიარებიან ფეშხუმს დაადებენ და ნელა უბერავენ. მღვდელი ნაკურთხი კოვზით ხელში ზის და ურევს ზიარებას, სანამ სეფისკვერი მზად არ იქნება — დაიბრაწება და კარგად დაიფშენება. მერე მას გადმორძლებენ, სანაწილეში შეინახავენ და მთელი წლის განმავლობაში ხმარობენ. წინა წელს მორჩენილი ზიარების მარაგს ღიდხუთშაბათ დღეს წირვის დამთავრებისას ბარძიში დებენ. ასე აკეთებენ ყოველ წელს.

ქართველთა-სანაქებო თვისებებს ისიც მიეკუთვნება, რომ თავადები და მათი ცოლები, როცა კი დააპირებენ, შეზღუდნენ მღვდელმთავარს, ჯერ შორიდანვე ძირს დაემხოიან, მერე წამოდგებიან, მოწიწებით ეახლებიან და ამბორს უყოფენ ხელზე. მერე ზურგშეუქცევლად უკან-უკან იხევენ და მეორედ სცემენ თავყანს. ასე იქცევიან ქართველთა მეფეებიც და დედოფლებიც.

კიდევ ქართველი. თუ თავისზე უფროსს ელაპარაკება, მუხლზე ჩაჩოქილი დგას და ისე ლაპარაკობს ან უსმენს უფროსის სიტყვას. ასე გრძელდება საუბრის დასრულებამდე⁴⁹.

ქართველთა სანაქებო თვისებათაგან ისიც არის, რომ, როგორც კი ჩვენგან მოისმენდნენ საღმრთო საუბარს, კაციცა და ქალიც უმაღლვე ყურად იღებდნენ და სულ იმსლდა მიხედვით აქცეოდნენ, როგორც ჩვენ მათ ვეძებნებოდით. მათ ხომ არასოდეს მოუსმენიათ მისთვის, ვინც ჩვენებურად ღმერთისა და წმინდანების სიტყვებით დამოძღვრავდა მათ. ქართველებს ძალზე უკვირდათ და მოსწონდათ ჩვენი ქადაგება. გარცებას იყვანენ. როცა ისმენდნენ ჩვენს ნათქვამს წმიდა ნათლისღების, მისი ღირსებისა და მადლის შესახებ: თუ როგორ განიდევნება ნათლისღებით ეშმაკი მონათლულთაგან და როგორ ისადგურება მათ წიაღში სული წმიდა: რომ ნათლისღებით იპოვებენ ისინი უფლებას მირონცხების ღვთიური ბეჭდისა.

ამის შემდეგ ჩვენ მათ ისიც ვასწავლეთ, თუ რა ხამს ყოველ მათგანს, ვინც ეღირსა სულიერ წყალობას და ქრისტიანი გახდა, რომ აღასრულოს ქრისტიანთა შესაფერი კეთილი საქმენი, როგორიცაა: ნათლისღება, რწმენა, სიყვარული, სასოება, მარხვა, ლოცვა, უბიწოება, მორწყალება, აღსარება, ზიარება: სწრაფვა სათნოებისაკენ. განრიდება ცოდვათაგან.

როცა ქართველები ამ და ამდაგვარ დარიგებას ისმენდნენ, უმრავლესობა მშინვე ზურგს აქცევდა ზემონახსენებ საძრახის საქციელს, იჩქარო-

და. ეღიარებინა დანაშაული, მონანიებით მიმართავდა ღმერთს და დიდის სისხარულით მიდიოდა ნათლისღებაზე. ჩვენ ვნათლავდით მათ მდინარეებში იანერის სუსხშიც კი. კაცები, ბავშვები, ბეოკაცები, ქალები, ქალიშვილები, დედაბრები და ორსული ქალებიც კი მთელი გულითა და სულით, დიდი სისხარულით ჩადიოდნენ ცივ წყალში. ისინი ამას აკეთებდნენ უშიშრად, წრფელად და გულშეურავლად. ქალიშვილებიც ასე იქცეოდნენ. ჩვენ ჯერ კაცებსა და ბავშვებს მოვნათლავდით ზოლმე, გავუშვებდით, შემდეგ კი ქალებისა და ქალიშვილების მონათვლას შევუდგებოდით. ერთ დღეს დაახლოებით სამას ათი კაცი მოვნათლეთ. სხვა მღვდლებსაც ვაგზავნიდით ხალხს მოსანათლავად. უნდა გენახათ. როგორ იღებდნენ ისინი ჩვენგან და სხვათაგან ნათლისცემას! ურიცხვ ბრბოებად მოდიოდნენ და მცირედის გარდა არავინ დარჩა ამ ქვეყანაში მოუნათლავი, იმიტომ რომ ნათლისღების ხმა მთელ ქვეყანაში დაიარსა. ჩვენც ვნათლავდით და გასამრჯელოს არ ვართმევდით. ჯერ ერთ ადგილზე თავს მოვუყრიდით ყველას — კაცსა თუ ქალს — ვინც მონათვლას აპირებდა; გამოვკითხავდით სახელს. ვისაც წმინდანის სახელი ჰქონდა, ვუტოვებდით (მაგრამ ქართველთა უმეტესობა შვილებს წმინდანთა სახლებს არ არქმევს). ვისაც სხვა სახელი ერქვა, წმინდანთა სახელს ვაძლევდით. შემდეგ სათითაოდ სახეში სულს ვუბერავდით სიტყვებით: „მიიღე სული წმიდა“ და მონათლულთათვის შესაფერის დარიგებას ვაძლევდით. შემდეგ ნათლისღების ლოცვას ვასრულებდით, ვუხმობდით ნათლისღებულთ, უარეყოთ ეშმაკი, მისი დახი და ყველა მისი ქმედება. წესისამებრ ვასწავლიდით მესიის რწმენას. ნათლისღების ლოცვის შესრულების შემდეგ წმიდა ზეთს ცცხებდით, შემდეგ კი სათითაოდ მდინარის წყალში ჩაგვყავდა. მოსანათლავს მთელ სხეულს სამჯერ ჩაეყოფინებდით წყალში. პირველი ჩაყვინთვისას წარმოვთქვამდით: „ვნათლავთ მონას ღვთისას, მავანსა და მავანს. სახელითა მამისათა, ამენ!“ მეორე ჩაყვინთვისას ვამბობდით: „და ძისათა“, მესამისას: „და სულისა წმიდისათა, ამენ!“ იქ დამსწრე ქართველ ეპისკოპოსებსა და მღვდლებს ვასწავლიდი, ხალხის მონათვლა ასე უნდა-მეთქი. ყველას რომ მოვნათლავდი, მე ჩემი ხელით ცცხებდი ღვთიურ მირონს, რადგან მირონცხება ადრე უფლება იყო [მარტოდენ] პატრიარქთა და მღვდელმთავართა, ვითარცა გვაუწყია წმიდა დიონისემ — მეცნიერთა მსაჯულთ-მსაჯულმა⁵⁰. მაგრამ აუცილებლობამ მოიტანა და მღვდლებსაც მიეცათ უფლება, ბავშვის მონათვლის შემდეგ ღვთიური მირონის ბეჭდით სრულყოფნა ნათლისღება. მერე მონათლულებთან ერთად ლოცვის თქმით ლიტანიას ვუვლიდით, ვკითხულობდით სამოციქულოს, სახარებას, სამადლოპელო პარაკლისს ვუხსნიდით მონათლულებსა და მათ ნათლიმამებს. შემდეგ კვლავ ვუქადავებდით. ვუხსნიდით ყადრს, სულიწმიდის მიერ ბოძებულისა და ვუბნებოდით, რა კეთილი საქმენი უნდა დასრულონ ამიერიდან. მერე ვუბრძანებდით ერთ-ერთ ჩვენს მღვდელს, ამათთვის

ეწირა. ზიარების მიღების შემდეგ ვარიგებლით ანტიდორას⁵¹ და მშვი-
ლობით ვუშვებლით. ისინიც გახარებულები და კმაყოფილები მიდიოდნენ,
სხვებს უამბობდნენ ყოველივეს და მოსანათლავად გვიგზავნიდნენ.

ნეტა გეყურებინათ, როგორ დაგვდექდა უკან ხალხი, დას-დასად
გვთხოვდა წმიდა ნათლისღებას! ჩვენმა ამბავმა ქართველთა მეზობელ ტო-
მებამდისაც მიიღწია. ეს ტომები ვრცელ მთაზე ცხოვრობენ. ისინი ჩვენ
ზემოთ ვახსენეთ. ჩვენ გვეახლა სვანთა ტომის წინამძღოლი. ეს იყო ას ათი
წლის მოხუცი. მას ახლდა დიდი ჯამაათი, როცა ნახა ჩვენი წირვა-ლოცვა
და ჩვენი ქადაგება მოისმინა, გაოცდა, იგი და მთელი მისი ჯამაათი მოი-
ნათლა. გვთხოვა, წავეყოლოდით მის ქვეყანაში სხვა თანამეტომეთა. მოსა-
ნათლავად. ესაა რიცხვმრავალი ტომი, რომელიც დღემდე ქართველებს
ემორჩილება. სვანებს ორი ეპისკოპოსი ჰყავთ, რომლებიც ქართველთა
ქვეყანაში ცხოვრობენ და მხოლოდ სახელი აქვთ აქაური სამწყსოს
მღვდელმთავრებისა. ეს ეპისკოპოსები სულ არ მიდიან სვანებთან და არ
მოძღვრავენ მათ. ესენია ცაგერელი⁵² ეპისკოპოსი და ცაიშელი ეპისკოპო-
სი. ცაგერელმა ეპისკოპოსმა მაუწყა, რომ მის სამწყსოში — მოხსენებულ
სვანთა ქვეყანაში — სამოცზე მეტი სოფელი შედის. ყველაზე პატარა სო-
ფელში ოთხასი კომლია, ზოგიერთში ექვსასი კომლი და უფრო მეტიცაა,
მათ თორმეტი ათასი მეომრის გამოყვანა შეუძლიათ. სვანთა უმეტესობა
უნათლავია იმის გამო, რომ არავენ ჰყავთ. ვინც დამოძღვრავდა. ამ ეპის-
კოპოსმა ისიც მითხრა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში არასოდეს ვყო-
ფილვარ სვანებთან, ისინი მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანებიო. ასევე
მხოლოდ სახელით ითვლება სვანთა ეპისკოპოსად ცაიშელიც.

სვანთა ორ მესაზღვდს. იმერეთის მთავარი განაგებს, დანარჩენ ერთ მე-
სამედს კი — მეგრელთა მთავარი. სვანები მხოლოდ სახელით არიან ქრის-
ტიანები. ვინაიდან მოძღვარი არ გააჩნიათ და მომნათლავი. ჩვენ ვერ შევ-
ძელით მათთან წაესულიყავით. რათა დაგვემოძღვრა, მოგვენათლა და
სჯული გვესწავლებინა, რადგან მთელი ჩვენი არსებით ჩვენ სამწყსოსთან
ვიყავით. ვეშურებოდით. რათა მალე დავბრუნებოდით.

ჩვენთან აფხაზებიც მოვიდნენ, რიცხვით ოცდახუთი კაცი. ჩვენ ისინი
მრვნათლეთ. მათ ორი უხუცესი ახლდათ. ამათ გვთხოვეს, წავეყოლოდით
მათ ქვეყანაში და აფხაზთა მთელი ტომი მოგვენათლა. მათ გაგონილი
ჰქონიათ ჩვენი ჩამოსვლის ამბავი, როგორ ვუქადაგეთ ქართველებს და
როგორ დავმოძღვრეთ. აფხაზებს გულით სწყუროდათ, გამოჩენილიყო
ვინაე. ვინც მონათლავდა მათ და ქრისტიანულ სჯულს ასწავლიდა. აფხა-
ზები ხალხმრავალი ტომია. ამჟამად აბაზებად იწოდებიან. სულ ცოტა
ხნის წინათ ისინი ყველანი ქრისტიანები იყვნენ. კათალიკოსის ტახტი, რო-
მელიც ამჟამად იმერეთშია, წინათ მათთან იყო. დღემდე იქ არსებობს
ანდრია მოციქულის ეკლესია, ვისი ხელითაც ეს აფხაზები [ქრისტეს]
მოაწმუნენა გახდნენ. ეს ეკლესია ვეებერთელაა და დიდის პატივით სარ-

გებლობას აფხაზთა შორის. მხოლოდ ზოგმა აფხაზმა თუ იცის პირველის გადარწმუნება და მუსლმანობა, ესაა და ეს. მათ არ გააჩნიათ მღვდელი და არც არავინ. ვინც მათზე იხრუნებს ან რაიმეს სსწავლის. მე ვუყურებ მათ მოქვის ახალი ეპისკოპოსი და ვუბრახნე მას, წასულიყო აფხაზეთთან, დაემოძღვრა ისინი და მოენათლა. ჩვენ ეს ეპისკოპოსი შემონახსენებ აფხაზ უხუცესებს შევახვედრეთ.

ასეთივე მდგომარეობა აქვს დეკალთა ტომსაც, ზემოთ რომ ვახსენეთ. ესაა დიდი ტომი, რომელიც ცხოვრობს ქართველების ჩრდილოეთითა და მათ პირდაპირ ვრცელ მთაზე ხსენებულ თექვსმეტ ტომთან ერთად. დეკალთა უმრავლესობა ქრისტიანებია. დღესდღეობით ექვსას კომლამდე არიან. მათი უმეტესობა ქრისტიანებია. ისინი იცავენ ღიღმარხვას, პატივს სცემენ ეკლესიასა და ხატს. ესაა და ეს. მათ არ გააჩნიათ მღვდელი და არც არავინ, ვინც დამოძღვრავს და კემშარიტ გზაზე მოაქცევს. ასეთი დღე ადგია ზემონახსენებ ტომთა უმრავლესობას. მათ რომ ვინმე ჰყავდეთ, ვინც უქადაგებდა და ერთხანს მათთან დარჩებოდა, ყველანი მოინათლებოდნენ. ეს იმიტომ, რომ თითოეულ ტომს ჰყავს ერთი ან რამდენიმე მთავარი, რომლებიც ახლოს დგანან მესიის სჯულთან, მაგრამ არც ერთი ქართველი ეპისკოპოსი ან მღვდელი არ მიდის მათთან, რომ დამოძღვროს, რადგან ესენი ერთმანეთთან ომებით არიან გართულნი და ეს ტომები ყოველგვარი ზრუნვისა და ყურადღების გარეშე ჰყავთ მიტოვებული. მათ იმ ზომამდე უტულებელჰყვეს საკუთარი სამწყსოც ქართველებისა, რომ ეს უკანასკნელნი სრულ უმეცრებამდე მივიდნენ. ამ ეპისკოპოსებსა და მათ სამწყსოზე ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. მართო ჩვენ რა ვიღონოთ ან როგორ შემოვიაროთ ნახსენები მთები, მხარეები და იქ მცხოვრები ტომები? მთელი არსებით ჩვენ ხომ ჩვენს სამწყსოსთან ვართ და ვეშურებით მასთან დაბრუნებას. თორემ ძლიერ ადვილი საქმე იქნებოდა ღმერთის შემწეობით ამ ტომების ქრისტეს სჯულზე მოქცევა. ვაგლახ, რა ბევრი ცოცხალი არსება დაიღუპება თავისი უმეცრებითა და ცოდვებით!

ბევრი ქართველი გვინახავს, რომელთა შესახებ ხმა იყო დარბეული, მგლები და ცოდვილნი არიანო. მაგრამ როდესაც ჩვენი ქადაგება შეისმინეს და ყურად იღეს, ღმერთმა გონება გაუნათლა. მათ მოინანიეს ცოდვები და ცხვრებად იქცნენ. მათ საკუთარი თავიც დაიხსნეს და სხვაც გადაარჩინეს ნათლისღებითა და მონანიებით.

ქართველებთან ისეთი დიდებული სიძველენი და ღირსშესანიშნაობანი ვნახეთ, მთელ დუნიაზე არსად რომ არ გვინახავს. ჩვენ მათთან თაყვანსაცემი ლურსმნები ვიხილეთ, რომლებითაც მიჰვიღებოდა იქნა უფალი მესია; დიდი და პატარა ნატეხები თაყვანსაცემი ჯვარისა; ბევრი ხატი, რომელთაც უშუაში გაკეთებული ჰქონდათ წმინდანთა ნაწილებით ამოვსებული დიდი თუ პატარა უჯრედები. ხატებზე ამ წმინდანთა სახელები ეწერა. ისინი იყვნენ მოვარაყებულ-მოსევადებულნი და [პატიოსანი] თვლებით

მოოჰვილნი. [ენახეთ აგრეთვე] იოანე ნათლისმცემლის ზორხი და მისი წვერის ნაწილი. ქუთათელის ეკლესიაში ენახეთ მთლიანად ოქროს ბარძიმი, ათასი დიდი თვალ-მარგალიტით მოოჰვილი. მისი ფასი ჩვიდმეტი ათასი ყურუშია; აგრეთვე ძალიან ძვირფასი სახარება, მოვარაყებული და თვალ-მარგალიტით შემკული, ამგვარივე ბევრი საეკლესიო მოწყობილობა, ძვირადღირებული წიგნები.

საქართველოში ბევრი მეფუბი ეკლესიაა, რადგან ქართველთა განსვენებული წინანდელი მეფეები აშენებდნენ ასეთ ეკლესიებს და ისინი დღემდე შემორჩათ ქართველებს სიამაყედ და დიდებად.

ყოველ დიდ ეკლესიაში ქართველებს აქვთ ვეებერთელა გულანი, ზომით ჯორის საპალნე ფუთის ოდენა. იგი კლიროსში დიდ საწიგნეზე დევს და გადაფარებული აქვს მაუდის ან ტილოს ქსოვილი. გულანი ყველა საეკლესიო წიგნს შეიცავს, რაც კი მორწმუნეს სჭირდება და რასაც წლის ყოველ დღეს კითხულობენ. ესენია: სახარება, პრაქსი, სამოციქულოები, იადგარი და თვენი სრულად. მარხვანი, ხვედრნი, ზატიკი⁵³, წიგნი საწინააწარმეტყველოთა, ფსალმუნები, ყაშნი, სვინაქსარი, ტიბიკონი, ჰომილიები და ცხოვრებანი [წმინდანთა], რომლებიც იკითხება დიდი დღესასწაულებისას, აგრეთვე, წიგნი თეოდორე სტუდიელისა⁵⁴ და სხვა დიდებულები, შესანიშნავი წიგნები.

ჩვენ უკვე ზემოთ ვთქვით, რომ ქართველთა მთელ ქვეყანაში ორი კათალიკოსია. პირველი მართავს სამ ვილაეთს, რომლებიც დღემდე შემორჩათ [ქართველებს]: ესენია: იმერეთის ქვეყანა, მეგრელთა ქვეყანა და გურიის ქვეყანა. ამ კათალიკოსის ტახტი წინათ თვით აფხაზეთში იყო. ეს არის დღემდე ცნობილი და ძალზე დიდი ეკლესია, მაგრამ იქ ქრისტიანთა მცირე ჯგუფიღა შემორჩა.

წინათ ამ კათალიკოსს წესად ჰქონდა, შემოეარა ეს სამი ეპარქია და კიდევ სხვაც. იგი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა და ყველას მონახულებდა ხოლმე. ახლა კი მან თავისი ტახტი თვით ქალაქ ქუთათისში დადგა. ქუთათისი იმერეთის ქვეყნის სატახტო ქალაქია. ეს ქვეყანა უწინ დამოუკიდებელ საეპისკოპოსოს წარმოადგენდა. იმერეთის ქვეყანაში [კათალიკოსის გარდა] ხუთი მღვდელმთავარია. ესენია: გენათელი, მეორე — ნიკორწმინდელი, მესამე — ხონელი მთავარეპისკოპოსი, მეოთხე — საქარელი⁵⁵, მეხუთე — კაცხელი. სულ ესენია, თუ არ ჩავთვლით იქ არსებულ მონასტერთა წინამძღვრებს.

რაც შეეხება მეგრელთა ეპარქიას, იქ ექვსი ეპისკოპოსი ზის. ესენია: ჭყონდიდელი, მეორე — ხობელი (აქაურ ეკლესიაში დღემდე ინახება დვთისმშობლის კვართი. ჩვენ ის ენახეთ, [ვემთხვიეთ] და თავი დავიწყალობეთ. ზუსტად მის თარგზე გამოვიჭერით პერანგი თეთრი სელისაგან, აიხმა ვხადეთ და შიგ იმ დიდებული კვართის ნაწილი ჩავდეთ, მერე კი ეს წყალი ახალ პერანგს გადავასხით. ეს პერანგი შეეინახეთ, რათა ჩვენს

ქვეყანაში წაგველო და ღვთისმშობლისაგან ლოცვა-კუთრთხევა მიგველო). მესამე ეპისკოპოსია ცაიშელი, მეოთხე — ბედიელი, მეხუთე — მოქველი, ზეექვე — დრანდელი. სულ ესენია, თუ არ ჩავთვლით ამ ეპარქიაში არსებულ მონასტერთა წინამძღვრებს.

რაც შეეხება გურიის ქვეყანას, იქ სამი ეპისკოპოსი, ზის: პირველია შემოქმედელი, მეორე — ჭუმათელი, მესამე — ნინოწმინდელი. სულ ესენია, თუ არ ჩავთვლით იქ არსებულ მონასტერთა წინამძღვრებს. იმ კათალიკოსის სახელი, რომელიც განაგებს დღეს არსებულ ეპარქიებს, სვიმონია⁵⁶. რაც შეეხება მეორე კათალიკოსს, მას სახელად დომენტი ჰქვია⁵⁷. მისი ტახტი თბილისის ახლოსაა, ქართველებში განთქმულ დიდ მონასტერში⁵⁸, სადაც უწინ უფალი მესიის კვართი ინახებოდა. ამ კვართზე იყრიდნენ ხოლმე კენჭს წვევამდელი ჯარისკაცები. დღემდე სახელგანთქმულია ის ადგილი, სადაც ეს კვართი ინახებოდა.

ეს მეორე კათალიკოსი განაგებს სამ ეპარქიას. ესენია: თბილისი, კახეთი და ახალციხე. თბილისსა და მის ეპარქიაში ამჟამად თორმეტი მღვდელმთავარია. პირველია მთავარეპისკოპოსი, რომელსაც ეკუთვნის კათალიკოსის ეკლესიის ახლოს დიდი მონასტერი⁵⁹. მეორეა თვითონ თბილისის მიტროპოლიტი, რომელსაც თბილელს ეძახიან. მესამეა მანგლელი, მეოთხე — ბოლნელი, მეხუთე — დმანელი, მეექვსე — მროველი, მეშვიდე — წილქნელი, მერვე — ნიჭოზელი, მეცხრე — სამთავნელი, მეათე — უბნელი, მეთერთმეტე⁶⁰... — მიტროპოლიტი, მეთორმეტე — ხარქაშნელი. ესენია, თუ არ ჩავთვლით იქ არსებულ მონასტერთა წინამძღვრებს.

რაც შეეხება კახეთს, იქ ექვსი მღვდელმთავარი ზის. პირველია ალავერდელი, მეორე — ბოდბელი, მესამე — ნეკრესელი, მეოთხე — ჰერემელი, მეხუთე — სამებელი, მეექვსე — ნინოწმინდელი.

რაც შეეხება ახალციხის ეპარქიას, იქ თორმეტი მღვდელმთავარი იყო: პირველი — იშხნელი, მეორე — ანჩელი, მესამე — [მტ] ბევარი, მეოთხე — მაწყვერელი, მეხუთე — [წ] ურწყაბელი, მეექვსე — [კუ] მურდოელი, მეშვიდე — ერუშნელი, მერვე — ბანელი, მეცხრე — კარელი (ესაა ყარსი, ყარსიდან ერთი დღის სავალზე სპარსთა საზღვრებში მდებარეობს დანგრეული სატახტო ქალაქი, წოდებული ანისად. იქაა ათას ასი გუმბათიანი ეკლესია), მეათეა დადაშნელი, მეთერთმეტე — ბასიანელი (ესაა დღეს პასანყალად ცნობილი ბასიანი), მეთორმეტე⁶¹...

მესიის განკაცების 1570 წელს, სულთან იენი სელიმის ზეობის დროს, ეს ქვეყანა დაიპყრო ამ სულთნის მიერ გამოგზავნილმა მუსტაფა ფაშა ლალამ⁶². ადრე აქ აყო დიდებული ღირსშესანიშნაობები, რომელთა აღწერაც კი გაჭირდებოდა. მაგალითად: თაყვანსაცემი ჯვრის დიდი ჩამონაჭრები, წმინდანთა ნაწილები, მოვარაყებულები და პატროსანი თვლებით მოჭედილი ხატები, ძალზე ძვირფასი სახარებები და [სხვა] ჩინებული წიგნები. [ამ ქვეყანაში] დიდებული ეკლესიებიც იყო. დროთა განმავლობაში

ამ ეპარქიის ქრისტიანები ისე ძალიან დასუსტდნენ, რომ დღეს მათ მხოლოდ ერთი ზღვდელმთავარიღა შემორჩათ. შემონახსენებ ღირსშესანიშნაობათა ნაწილი ქართველთა ქვეყანაში წაიღეს და დღესაც იქ ინახება. ნაწილი ახალციხის ეპარქიაში მცხოვრებ ზოგიერთ ქრისტიანთა ხელთ დარჩა. უდიდეს ნაწილს კი, რომელიც ამ მეფურმა, დიდებულმა ეკლესიებმა, დიადმა მონასტრებმა და [კერძო] სასლებმა შემოინახა, თავი მოუყარა ქართველთა მთავარმა როსტომმა, ფაშათა ფაშამ, ეროვნებით ქართველმა, ქართველთა პირველ მეფის მემკვიდრემ და შთამომავალმა⁵⁵. მან დააძრო ნივთებს თვალ-მარგალიტი და ერთ დიდ ადგილას ცეცხლს მისცა ხატები, სახარებები, ჯვრები და საეკლესიო ჭურჭელი. ამ ნივთებიდან წყალივით მოეღინებოდა [დამდნარი] ოქრო-ვერცხლი. ბევრ მათგანს, ვინც ეს საზიზღარი საქმე ჩაიდინა, სულ ჩქარა სხვადასხვაგვარი უბედურება დაატყდა თავს. ზოგი მათგანი დაიღუპა. ამ ამბებიდან ცოტა ხნის შემდეგ დიდგზირმა ქოფრულუმ⁵⁶ კაცი გაგზავნა და როსტომ ფაშას თავი მოჰკმეთა.

როცა ლალა ფაშა ვაზირმა ეს ქვეყანა დაიპყრო, ქვეყნის გამგებელი⁵⁵ სპარსეთში გადაიხვეწა. ვაზირმა მთელი ქვეყნის გამგებლად მისი ვაჟიშვილი დანიშნა, ოღონდ მოსთხოვა, ჯერ შენს სჯულზე უარი თქვიო (თუმცა მთელი მისი ჯალაბი, ცოლი და მასთან თავშეფარებულები ქრისტიანებად რჩებოდნენ).

ეს ქვეყანა, რომელიც დიდ საფაშოს წარმოადგენს, თერთმეტ სანჯაყს შეადგენს. ლალა ფაშამ აქაურ დიდებულებს დაუტოვა თავიანთი სჯული და თანამდებობები; იმათ მამულებსაც ხელი არ ახლო და მისცა. ამ მამულების ვაჟიშვილებისათვის გადაცემის უფლება. ასე იყვნენ ქართველები ზემონახსენებ როსტომ ფაშას ზეობამდე. ამან კი უბრძანა ყველას, ვისაც კი რაიმე თანამდებობა ეკირა, სჯული დაეტოვებინა. ვინც ამას არ იზამდა, თანამდებობას ჩამოართმევდნენ. ბევრმა მამულისა და თანამდებობის გულისათვის უარი თქვა თავის სჯულზე. დანარჩენებმა კი დასთმეს ყოველივე და სჯული ამჯობინეს. ამჟამად გლეხთა უმრავლესობა ქრისტიანებია. ისინი იხდიან ხარაჯს და სხვა გადასახადებს.

ამ ეპარქიას ანდრია მრციქულის სენაქსარში სამუსატუ ჰქვია. ეს არ არის ის სამისატი, რომელიც მდებარეობს ეფრატის ახლოს და რომელსაც შამიშატსაც („შ“ ასოთი) ეძახიან (ეს იმიტომ, რომ მის პირდაპირ ჩრდილოეთით დიდი მთაა. სულ დაფარული დიდ შავი ხეებით. ესაა ბზა. რომლის ფოთლებს შავი ფერი გადაჰკრავს. ბერძნულად ამ ხეს შამიშატი ჰქვია)⁵⁶.

ქართველების კარგ თვისებად ისიც უნდა ჩაითვალოს. რომ, თუ რომელიმე მათგანი შინ მიიპატიჟებს მღვდელმთავარს ან ეპისკოპოსს, მკვიფას სტუმარს და სუფრას უშლის, იგი ფეხზე მდგარი ემსახურება მათ და კერძებს მიაართვეს. თუნდაც მასპინძელი იყოს მეფე და კათალიკოსი, მათზე დიდი

ქართველებს ხომ არავინა ჰყავთ. როცა სტუმრები შექამენ და ერთ ან ორ სასმისს დასცლიან. მაშინ მასპინძელი მოდის, თავისი ხელით უსხამს [ღვინოს] დაპატიებულსა და მის თანმხლებთ და მხოლოდ ამის შემდეგ მიდის, "ხელს იბანს და სუფრას. მიუჯდება პურის საქმელად. ყველაფერ ამაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ქართველებს უსამართლოდ არავინ ექცევა და არც არავინ ჩაგრავეს.

ღვინო ქართველთა ქვეყანაში ძალზე ბევრი და წყალსავით უხვია (მათ აქვთ საზაფხულო თუ საზამთრო ძალიან ბევრი საუცხოო ადგილი). თავყრილობების დროს ქართველები თასებით სვამენ ღვინოს და დიდხანს სხედან [ჭამა] სმაზე. ბოლოს [სუფრიდან] წამოიშლებიან საესებით დაკმაყოფილებულნი და ზრდილობის წესების დაცვით, თითოეული თავის გზას გაუდგება. ჩვენ არც ერთი ქართველი არ გვინახავს, რომ სიმთვრალეში რაიმე ბოროტება ჩაედინოს ან ჩხუბი აეტეხოს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იარაღს მუდამ თან ატარებენ. ქართველები არ ჰგვანან ზოგიერთ ჩვენებურს, სასმელად თავს რომ შეიყრიან, მუდამ ჩხუბი და აყალმაყალი აქვთ ერთმანეთში. ისე არ დასცილდებიან, სანამ ერთმანეთს ფათერაკსა და ხიფათს არ შეამთხვევენ.

სუფრასთან ქართველი თავადები და მღვდლები სიმღერებს მღერაან. ტკბილ ჰანგზე, ძალზე მაღალი ხმით ისინი გალობენ ძლისპირებს, ცისკრის ლოცვებს და სხვა საგალობლებს. ეს ის საგალობლებია, რომლებსაც ქართველები ეკლესიებში ასრულებენ. მათ არ იციან [საერო] სიმღერები, არც ლექსები და არც რაიმე ამდაგვარი. ღარიბ-ღატაკი ქართველიცა და გლეხიც ასეთსავე საგალობლებს ასრულებს მინდვრად. მუშაობისას, არის ეს თესვა, მკა, ვენახის მოვლა თუ სხვა ამდაგვარი.

იცოდე, რომ ქართველთა ანბანი ორი ხელისაა. ერთია ის, რომლითაც იწერება წმიდა წიგნები. იგი სრულყოფილია. ეს ანბანი 36 ასოს შეიცავს და „ხუტური“ ეწოდება. მეორე ხელს ქართველები იოლად მიიჩნევენ. ამ ხელით სწერენ ისინი ერთმანეთს წერილებსა და ბარათებს. ეს ანბანი 35 ასოს შეიცავს და მას „მხედრული“ ეწოდება. ქართველთა უმეტესობა, კაცია იგი თუ ქალი, იცნობს ამ ანბანს.

იცოდე ისიც, რომ ქართველები ფრიად განათლებული და ქარგი მოუბარი ხალხია, თუმც თავიანთ ქვეყანას არ ტოვებენ და სხვა ქვეყნებში არ მიდიან ხოლმე. თითოეული თავის ადგილზე ყოფნით კმაყოფილდება. ისინი არ დადიან ქვეყნიდან ქვეყანაში სავაჭროდ, არც თავისი ქვეყნის შიგნით ვაჭრობენ. მეგრელი არ მიდის სავაჭროდ იმერეთში, არც იმერელი — გურიაში, არც გურული — თბილისში. საერთოდ, ქართველებში არავინაა ვაჭარი კაცი. ყველა ვაჭარე ამ ქვეყანაში არის სომეხი, ებრაელი, ბერძენიც გვხვდება. ესენი ქართველებს შორის ცხოვრობენ და მათი ქვეშევრდომნი არიან. ეს ვაჭრები ქართველებს [თავიანთ საქონელს] ერთი ორად და ერთი სამად მიჰყიდნიან ხოლმე, მაგრამ ქართველები მაინც

მფარველობენ მათ და პატივისცემით ექცევიან. ეს ვაჭრები აძლევენ ქართველებს ფართალს. სანაცლოდ კი ადამიანები მიჰყავთ, რომლებსაც მერე ყიდიან და ერთი ორად ან ერთი სამად იგებენ. სწორედ ეს სომხები და ებრაელები არიან აქ მდიდრებიცა და წარჩინებულებიც. ქართველები (თავადები და მთავრებიც კი) სულ მათ ვალში არიან. ყოველ ვაჭარს შინა ჰყავს რამდენიმე ქართველი — მსახურად თუ მოახლედ. ვაჭარი და მისი ცოლი ამათ ისე ექცევიან, როგორც მოეპრიანებათ, არც არავინ უშლის ხელს.

ქართველებში (განსაკუთრებით გურიის ქვეყანაში) ისეთი მღვდელი და დიაკვანი გვიჩვენებს, რომელთაც ერთი ცოლი მოკვდომიათ და მეორე შეურთავთ. მიუხედავად ამისა, მათ მაინც ჰქონიათ წირვის უფლება. ერთი მღვდელი ვნახეთ. მასაც მოკვდომია ცოლი და თავისივე ძმის ქვრივი შეურთავს. ეს მღვდელი კი მაინც წირავდა ეკლესიაში. სხვაც ვნახეთ, რომელსაც სამი ცოლი დახოცვია და მაინც მღვდლობდა. მერე ეპისკოპოსის იგი მღვდელმონაზვნადაც უკუბრუნებოდა და წირვის უფლება მიუცია. ეს ყველაფერი ქრთამით კეთდება, რადგან არავინაა, ვინც ამათ დამოძღვრავს და განაჯის (მათ ხომ თავიანთი კათალიკოსის არაფერი ესმით და ანტიოქიის პატრიარქებსაც ისინი იმდენად უყურადღებოდ ჰყავდათ მიტოვებულები, რომ სრულ უმეცრებადვე მივიღნენ).

ჩვენ ხშირად ვამოწმებდით სამღვდელოების საქმიანობას. ძალით მოგვიყვანია ხოლმე ჩვენთან ეპისკოპოსები და მღვდლები. ქართველი მთავრების ბრძანებითაც ხდებოდა ხოლმე ასე. სასჯელად გაროზგვასა და დილეგში ჩაგდებას გადაუწყვეტდით, მათივე წესის თანახმად სარტყელს დაუქორდით და მთელი ხალხის წინაშე შევაჩვენებდით: ყველას მუქარით ვაფრთხილებდით. რომ ასეთისათვის მღვდელი არავის ეწოდებინა და წირვისა თუ სხვა რელიგიური წესის (როგორიცაა: ნათლობა, მიცვალებულისათვის წესის აგება და სხვ.) შესასრულებლად არ დაეძახა. ჩვენი ნათქვამი ძველსა და ახლში გაუქვდებოდათ ხოლმე ქართველ მთავრებს, დიდებულებს, მღვდელმთავრებს და, საერთოდ: ყველას. დამნაშავესაგან ქრთამი აროდეს აგვიღია: კანონიერ სასჯელს ვადებდით იმისდა მიხედვით, რასაც იმსახურებდნენ და თანამდებობასაც ვატოვებინებდით. თუ ორცოლიანი ზრისკაცი იყო, მეორე ცოლს ვაცილებდით. ასეთ კაცს შევირისხავდით. მაგრამ მალევე დავლოცავდით.

იცოდეთ, რომ, როცა ქართველს უინმე უკვდება, გარდაცვლილის იჯახი ისე გადაჭარბებულად გლოვობს მას, როგორც არავინ მთელ დუნიაზე. ეს გლოვა იმაში გამოიხატება, რომ მიცვალებულის (კაცი არის იგი თუ ქალი) ოჯახის მამაკაცები იპარსავენ წვერ-ულვაშს. იხოკავენ პირისსახეს, იგლეჯენ სამოსს და მის ნაცვლად თაღს ან ყვითელი ფერის კონკებს იცვამენ. ასე ჩაცმულნი არიან ორ ან სამ წელს. [ამ ხნის განმავლობაში] ხორცსა და თევზს არ ჭამენ. ქალებიც იპარსავენ თავზე თმას, წელამდე შიშ-

ვლდებიან, სახეს იკაწრებენ, თავ-პირში ხელებს იშენენ და გაყვირიან, ტანსაცმელს ფლასზე იცვლიან (ყმა ქალებიც ასე აქცევიან), ტოვებენ თავიანთ დიდებულ სახლებს და დიდხნობით უბადრუე ქობხახებში გადადიან, სულ არ ჰკამენ ხორცს, თევზს და ხილს. ჯერ კიდევ მიცვალებულის წესის აგებამდე მიტროპოლიტი, მღვდლები და ყველა, ვინც წესის აგებას ესწრება, უზომოდ ტირის. ქართველები ამასაც არ ჯერდებიან და შუა ეკლესიებში ხატებენ ამ გლოვის სურათებს — კაცებსა და ქალებს იმ მდგომარეობაში, ზემოთ რომ ეახსენეთ. წელამდე გაშიშვლებულ მტრულ კათალიკოსსაც კი ჩვენ შეგონებისდაგვარად ეუბრძალავდით ქართველებს ასე მოქცევას.

ქართველთა კეთილი თვისება შემდეგაცაა: გურიის ქვეყანაში [ხდება ხოლმე, როცა], ერის ხალხი — ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი — ერთმანეთის თანხმობით და ღვთისმოსიანობის განზრახვით ნებით ეყრება ერთმანეთს და მონასტერში აღიკვეცება — კაცი ბერებთან იწყებს ცხოვრებას, ცოლი კი — მონაზვნებთან. ამიტომაც, რომ გურულთა უმრავლესობა ბერი და მონაზონია.

ქართველთა კეთილი თვისება ისიცაა, რომ მდიდრები და განსაკუთრებით, მათი ცოლები, აგრეთვე მთავრები და მათი ცოლები ღვთისმოსიანი არიან. მათ უყვართ წირვის გადახდა თავიანთი და მიცვალებულების სულთა სახსნელად. განსაკუთრებით კი დიდმარხვის შაბათ დღეს. ყველა დიდებული თავისი კარის ეკლესიაში მიიწვევს რამოდენიმე მღვდელს და უხდის გასამრჯელოს თავისი შეძლებისდა მიხედვით. ეს მღვდლები მთელ დიდმარხვას ამ დიდებულის სახლში რჩებიან და წირავენ მასპინძლის სახელზე შაბათობით, ყვირაობით და დღესასწაულებზე. ნააღდგომევეს სახლის პატრონი აძლევს მათ გასამრჯელოს და უშვებს.

ისიც [ალსანიშნავია], რომ, როცა ქართველებთან მღვდელმთავრები და უცხო მღვდლები ჩამოდიან ხოლმე, მათ წირვის შესრულებას დაავალბენ, უხვ გასამრჯელოსაც აძლევენ და პატივით დაულოცავენ გზას.

ერთმა მოძღვარმა მიაბზო მონაზონ თეკლეს შესახებ. რომელსაც [პირადად] ვიცნობდი. იგი არის დადიანის დაი და გურიის გამგებლის ცოლი. თეკლე წმინდანი ქალი ყოფილა. მის მიერ გაცემულ წყალობათაგან მარტო ისიც კმარა აღენიშნო, რომ ამ ქალს თავისი სიცოცხლის განმავლობაში სულის სახსნელად ათას ხუთასზე მეტი წირვა შეუყვებოდა პატრიარქების, მღვდელმთავრებისა თუ მღვდლებისათვის. მასვე დიდძალი ტყვე გამოუხსნია, უცხო ხელიდან თავისი ფულით დაუხსნია ისინი და თავისუფლება მიუცია. ამნაირ სანაქებო და კეთილ საქმეებს ბევრი ქართველი — კაცი თუ ქალი — აკეთებს.

ქართველთა კარგი თვისება ისიცაა, რომ, როცა ისინი სუფრას უსხედან და ერთი მეორეს რაიმე კერძს სხავენაზობს, ეს მეორე, თუნდაც სუფ-

რასთან მკდომთა შორის ყველაზე დიდებული იყოს, აუცილებლად თავს დაწრის და მუხლზე დაუჩოქებს.

ენით აუწერელია. თუ რაოდენ მცირედი საქმლით კმაყოფილდებიან ქართველები. კაცი თუ ქალი. პატარა ნატეხი პური ხახვით, ნაჭერი ყველით ან რაიმე ამდაგვარით უკვე ანაყრებს მათ. ბევრი მათგანი იმითაც კმაყოფილდება, რომ საუზმედ და ვახშმად მარტო ღომს ჰკამს უშეჰამანლოდ. უმეტესად ისინი მარტო ღომს ჰკამენ და მხოლოდ და მხოლოდ ღვინოს აყოლებენ. ეს ორი რამაა მათი საკვები მთელი სიცოცხლის განმავლობაში. რაც შეეხება ღომს, ისინი მას თესავენ. იგი ჩვენებურ ფეტვსა ჰგავს. რაც შეეხება ღვინოს, ისინი მას ყურძნიდან იღებენ. ხშირფოთლოვან ხეებზე რომაა ასული, ყურძენს წურავენ. ღვინო ქართველებს იმდენი მოსდით, რომ მას ფასი არა აქვს. ღარიბობა და [საერთოდ] მოსახლეობის უმრავლესობა ძალზე იშვიათად ჰკამს ხორცეულს. თუ ჰკამს, ისიც მხოლოდ ძროხის ხორცს ან ღორისას. თევზეულსაც ღარიბები ცოტას ჰკამენ. მართალია, საქართველოში თევზი ბევრია, მაგრამ მებაღურები არიან ცოტანი. აქ ბევრი დიდი თუ მცირე მდინარეა, მაგრამ ქართველები თევზის მოყვარულები არ არიან. თავადები მსხვილ თევზს ჰკამენ. ამ თევზს იმ მდინარეებში იჭერენ, შავ ზღვას რომ უერთდება. მთელი წლის განმავლობაში ზღვიდან თევზი ამ მდინარეებში შემოდის. ბევრ მდინარეში ისეთივე თევზია, როგორც ალუპოში და ბევრად მასზე უკეთესიც. ეს, ჰეშ-მარიტად, მეფური თევზია.

იცოდე, ჩვენ რომ ალუპოდან ქართველთა ქვეყნისაკენ გამოვემგზავრეთ და აქ ჩამოვადწიეთ, გავიფიქრეთ და [საკუთარი თვალთაც] ვნახეთ, როგორ წავიდნენ იმერლები მეგრელების წინააღმდეგ საომრად. მათ დაამარცხეს მეგრელები, ბევრი დაატყვევეს და მათი ბილწი ჩვეულებისდა მიხედვით დაარბიეს ისინი და ხელთ იგდეს. მეგრელთა მთავარი ლევანნი⁶⁷, დადიანის⁶⁸ ძმისწული. იმერლებს ახლდა კათალიკოსი სვიმონი. ამან აიღო და შემოხსენებული ლევანის ცოლი⁶⁹ იმერეთის მთავარს—დაბრ-მავებულ ბაგრატს მიათხოვა: ხოლო ბაგრატის და, იმხანად ქვრივი⁷⁰, ძალით მიათხოვა ხსენებულ ლევანს, მისი ცოლის სანაცვლოდ. ამ ლევანის [ყოფილი] ცოლი თბილისის გამგებლის⁷¹ ძმისწულია, ხოლო ამ გამგებლის ცოლი მარიაში⁷² მამიდად მოხვდება: ლევანს. იგი კეთილი საქმეებითა და ქველმოქმედებით განთქმული დედოფალია. აღრე ხსენებულ ბაგრატს—იმერეთის მთავარს—ლევანის ცოლისდა⁷³ გაუურიგეს. ახლა კი ბაგრატმა მიატოვა თავისი საცოლე (რომელიც მამისეულ სახლში ქალწულად ცხოვრობს) და ცოლად შეირთო მისი და, ლევანის ცოლი [ყოფილი]. ლევანს კი თავისი და შეერთო, როგორც ზემოთ ვთქვით. ეს ყველაფერი ქართველთა ბრძოვი კათალიკოსის რჩევით მოხდა. როცა ჩვენ შევხვდით კათალიკოსს და ამ უმსგავსო საქციელისათვის (კანონის ფარგლებს რომ სცილდება) ღანძლვა-გინება არ დავაკელით, მან

მისთვის⁶ ჩვეული სიბრძნევი გვიბრძნა: — მეგონა, რომ ამ ორ [მოქიშბე] დასში დამოყვრებითა და ქორწინებით სიყვარულს ჩამოგადგებდით. — პირიქით კი მოხდა და ბოროტებამ უფრო იმძლავრა. თბილისის გამგებელი და მისი ძმა ლაშქარიანად მხად იყვნენ. ბაგრატის წინააღმდეგ საომრად წასულიყვნენ (რადგან ამან ცოლი გააშორა თავის ქმარს — ლევანს და თვითონ შეირთო), მაგრამ ჩვენი მიზეზით დაყოვნდნენ. [იმხანად] ჩვენ ბაგრატისა და ლევანის ქვეყანაში ვიმყოფებოდით და იქ შევფერხდით. ჩვენ დიდი ჯათა დაგვადგა, რომ ბაგრატსა და ლევანს შორის ზავი ჩამოგვეგდო. ლევანის [მომხრე] თავადები განრისხებულები იყვნენ, მათ მთავარს — ლევანს რომ ცოლი წაართვეს და ქალი ბაგრატს შერთეს. მაგრამ მათ ძალა არ შესწევდათ, ბაგრატს შეებოდნენ. ბოლოს სვიმონ კათალიკოსმა ინანა, რაც გააკეთა; მაგრამ რაც მოხდა, მოხდა.

იმ დროიდან მოცილებული, რაც ეს ამბები დატრიალდა, აქამდე, როცა ჩვენ ამას ვწერთ, წელიწადნახევარმა გაიარა. ამ ხნის განმავლობაში ეს ორი დასი ერთმანეთს მუქარის წერილებს სწერს და ომით იმუქრება.

ბაგრატმა რომ ეს საქმე ჩაიღინა, მან კაცი გაუგზავნა ჩილირის⁷⁴ (ესაა მისი მეზობელი ახალციხე) ფაშას და სთხოვედა მას, მუსლიმთა რაზმები გამომიგზავნეო. ესენი ბაგრატმა ქუთათისის გამაგრებულ ყალაში ჩაასახლა, რათა ეჩვენებინა, მთელი ჩემი არსებით ოსმალთა სულთანს⁷⁵ ვემორჩილები და ეს ყალაცა და ქვეყანაც სულთანს ეკუთვნისო. ეს იმისათვის იყო საჭირო, რომ თბილისის გამგებელს⁷⁶ ვერ გაეებდა ბაგრატთან ომი, თორემ ოსმალებსა და შაჰს⁷⁷ შორის შფოთი ჩამოვარდებოდა. ოთხი წლის წინათ თბილისის ეს გამგებელი გაემართა ქუთათისს, ააოხრა იგი და დაეპატრონა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ქუთათისს ამ დროს არ გააჩნდა გამგებელი. ბაგრატი დაბრმავებული ჰყავდა მის დედინაცვალს — დარეჯანს ყოფილი კათალიკოსის ზაქარიას ხელისშეწყობით. როცა ჩვენმა სულთანმა მეჭმედმა გაიგო ეს ამბავი, შაჰს კაცი გაუგზავნა და შეუთვალა: — რატომ თელავს შენი ლაშქარი ჩვენს მიწასო? — სულთანმა შაჰს რისხვა და მუქარა არ დააკლო. შაჰმა დაუყოვნებლივ კაცი აფრინა და აუკრძალა თბილისის გამგებელს, ბაგრატთან ეომა. ასე შეუთვალა: — ჩვენ არც კი გვეჯერება, რომ [ბოლოს და ბოლოს] ჩვენსა და ოსმალებს შორის ზავი ჩამოვარდა, შენ კი მისი დარღვევა დაგიბრძნობა! — შაჰმა გააფრთხილა თბილისის გამგებელი, ამიერიდან ბაგრატთან ბრძოლას მოეშვებით. ესაა იმის მიზეზი, რომ დღემდე მუსლიმი რაზმები ქუთათისის ყალაში დგანან. ბაგრატი კი ყველას ასე ეუბნება: მე რომ მდომოდა, ლევანს ომში დავამარცხებდი და მოევლავდი კიდევო (ძველთაგანვე ქართველთა ადრთი ყოფილა: როდესაც ვინმე ომში მტერზე იმარჯვებს, რასაც უნდა, იმას უშვრება), მაგრამ მე იგი დავზოგე, ცოლად ჩემი დირსეული და შევრთე, მე კი მის ცოლზე დაქორწინდით. 1

რაც შეეხება ლევანს, მას არც ძალა შესწევს და არც ბედი სწყალობს

ომებში. არც ერთ მეომარს მისი შიში არა აქვს, რადგან ლევანს არც მოხერხება გააჩნია, არც სიბრძნე და არც ენამზეობა. ამის მიზეზითაა, რომ ყოველივე მის წინააღმდეგ შეტრიალდა. მას ხომ არავითარი ძალა-უფლება ხელთ არ უპყრია! ყველაფერი თავადების ხელთაა. სწორედ ამათ ურჩიეს ლევანს, ბაგრატი ომი აუტეხეო. მაგრამ [შემდეგ] ბრძოლის დროს უღალატეს და მიატოვეს. ხოლო ლევანს იმისი ძალა არ შესწევდა, რომელიმე მათგანი სიკედილით დაესაჯა. ყველაზე უფრო ლევანს ის აბრაზებდა და არცხვენდა, რომ სხვამ ცოლი წაართვა. ჩვენ კი რა უნდა გვექნა? ჩვენი ქართველებთან ყოფნის დროს ლევანის ცოლი უკვე ბაგრატი-საგან იყო ფეხმძიმედ. ხოლო ბაგრატის და ლევანისაგან ელოდა შვილს. ბაგრატი ლევანის ცოლს ქმრობდა, ლევანი კი — ბაგრატის დას. შემდეგ ბაგრატის დამ შვა კიდევ ბიჭი, რომელიც ქართველთა კათალიკოსმა სვიმონმა მონათლა.

იცოდე ისიც, რომ ქართველებს წმინდა გიორგის დიდი რწმენა აქვთ. ამ წმინდანის სახელს ქართველთა ქვეყანაში ურიცხვი ეკლესია ატარებს. ამათაგან სამში წმ. გიორგის დღესასწაულების დროს სასწაულები ხდება ხოლმე. ეს ეკლესიები მეგრელთა ქვეყანაშია. ერთია შავი ზღვის აღმოსავლეთით და მას ილორს ეძახიან. ილორის ტაძრის დღესასწაულს ოქტომბრის ათს იხდიან, რაც ახლოა ილორის განახლების დღესასწაულთან, ამ თვეში რომ აღინიშნება. ესაა რკინისკარიანი ქვის დიდი ეკლესია. ამ დღეს აქ დიდი დღესასწაული იმართება. ამბობენ, რომ ქართველი მთავრები და თავადები საღამოს ეამს მწუხრის ლოცვის შემდეგ ჩარაზავენ ხოლმე ამ ეკლესიის კარს და დალუქავენ. დილით კი მოდიან, ბეჭედს ხსნიან, შედიან და ეკლესიის შიგნით პოულობენ დაბმულ ხარს, შესხნიან მას და გარეთ გამოიყვანენ. შემდეგ ამ ხარიანა სამჯერ უვლიან ლიტანიას ეკლესიას და ამ ხარით დაილოცებიან. ამ დროს მთელი ხალხი ერთხმად იძახის: „უფალო, შეგვიწყალო!“ ამის შემდეგ ხარი მიჰყავთ მონასტრის გადაღმა, მსხვერპლად სწირავენ, ასო-ასო, ქნიან და მთელ ხორცს საკურთხად ხალხს ურიგებენ. ხორცის ამ ნაწილს ან მაშინვე ჭამენ ან [თავიანთ] ავადმყოფებს უნახავენ (შეაჭმევენ მათ ან საკმეველივით უკმევენ, რათა ავადმყოფი განიკურნოს). ღმერთი ანიჭებს ყოველსა მისი რწმენის გვარობაზე!

რაც შეეხება მეორე ეკლესიას; იგი საეპისკოპოსო ეკლესიაა. მას სუქუნას ეძახიან. იგი ჭყონდიდელი ეპისკოპოსის ტახტია. წმინდა გიორგის დღესასწაულის წინა დამით, რომელიც 23 აპრილზე მოდის, მწუხრის ლოცვის შემდეგ ეკლესიაში მყოფნი ყველანი გარეთ გადიან. შიგ ერთი ბერიკაცი შეჰყავთ, რომელიც ეკლესიის შუაგულში ათევს ღამეს. (მას საეპისკოპოსო სამოსელს, მაგალითად, ომფორს ან სხვა რაიმეს გადაახურავენ). გამოსვლისას ხალხი ჩარაზავს ეკლესიის ყველა კარს და უხუცესნი საკეტს ლუქავენ. [ამ დროს] აქ ურიცხვი ხალხი იყრის თავს. დილით მო-

დიან, ბექედს მოხსნიან და კარს გააღებენ (ამ ეკლესიას მხოლოდ ერთი კარი აქვს⁷⁸. ჩვენ ამ კარით შევედით და ვწირეთ) კაცი, ღამე რომ შიგ გაათია, გარეთ გამოჰყავთ. იგი ეკლესიის. სახურავზე აღის და ჭდება. ხალხი სამკურ უელის ლიტანიას ეკლესიას და ყველანი გაიძახიან: „უფალო, შეგვიწყალო!“ მერე ყველა მოდის, იმ კაცის პირდაპირ დგება და დუმს. ის კაცი აღწერს, თუ როგორ გამოეცხადა გუშინ საღამოს მოწამე წმინდა გიორგი და სიტყვა დააბარა, ხალხს გადაეცო, ცოდვები მოინანიეთო; მავან და მავან თავადსა და მღვდელმთავარს უთხარი, თავი არიღოს სხვის ჩაგვრას და სამწყსოს სამართალი უყოსო, თორემ ასეთი და ასეთი უბედურება დაატყდება თავსაო! შემდეგ ეს ბერიკაცი უბრძანებს შეკრებილთ, პატივით მოექცნენ მავან და მავან ღირსეულ ადამიანებს და უამბობს მათ მის მიერ ნანახ სასწაულთა შესახებ. თავის ნათქვამს ბერიკაცი საშინელი ფიცით ამტკიცებს. [შემდეგში] ზოგიერთი [იქ დამსწრე] ამ ბერიკაცის ნათქვამის მიხედვით იქცეოდა. ასე ხდება ყოველ წელს წმინდა გიორგის დღესასწაულის დღეს.

როდესაც მე უპოვარი, ქართველებთან ვიყავი და მათ მიაჩნეს ამის შესახებ, საკვირველებად მივიჩნიე და ზემოხსენებული კაცი ვიხმე. ეს გამოდგა ერთი გულუბრყვილო ბერიკაცი, დავიმართოხნელე და გამოვკითხე, როგორ ძინავს ხოლმე იმ ღამით ეკლესიაში და რას ეუბნება ყოველ წელიწადს ხალხს. — ერთ ტყუილ სიტყვას თუ მეტყვი, შეგაჩვენებ და დაგწყევლი-მეთქი, — ვუთხარი. ბერიკაცი ხელების ქნევითა და სხვადასხვა ნიშნებით მიყვებოდა. ასეთი ნიშნებით ლაპარაკი მივამსგავსე განდიდებულ წინასწარმეტყველთა მოქმედებას, როცა მათ ზეშთაგონება გარდამოველინებათ. ამ დროს ისინი სიტყვას არ ძრავენ და ყოველივეს [შემდეგ] მწერ-ლები იწერენ. როცა დრო გადის და ხალხი ეკითხება წინასწარმეტყველს, გუშინ ან იმის წინ რას ლაპარაკობდიო, იგი პასუხობს: — არაფერი ვიცი, მაგრამ ჩემი ნალაპარაკევი წაიკითხეთ და იმისდა მიხედვით მოიქეცითო.

ამდაგვარად მელაპარაკებოდა. ეს კაციც. მე მჯეროდა მისი, იმდენად გულუბრყვილო იყო, რამეთუ „სასწაულნი ღვთისა მის წმინდანთა წიალ-შია“ და კიდევ: „ღმერთი მაღალიმც გაიხარებს თავისი ქმნილებით“. ამ კაცის ყველა სიტყვა წარმოადგენს ქადაგებას, რომ [ადამიანმა] კეთილი საქმე აკეთოს და მოინანიოს [ცოდვები]. ამ ქადაგებაში არაფერი ცუდი არ არის.

წმინდა გიორგის მესამე ეკლესიას რაც შეეხება, მას ობუჯი ჰქვია. წმ. გიორგის დღესასწაულის წინაღამეს (ეს დღესასწაული 23 აპრილზე მოდის), მწუხრის ლოცვის შემდეგ ეკლესიაში მყოფნი ყველანი გარეთ გამოდიან, კარს კეტავენ და რკინის ბოქლომებს ადებენ, მერე დალუქავენ. მეორე დღეს შეამოწმებენ. საკეტები და ბექედები თუ არის თავის რიგ-ზეო და კარებს გააღებენ. შედიან ეკლესიაში და ხედავენ, რომ მღვდელი ზის და კითხულობს, წინ ორი სანთელი უნთია. ამ ქართველი მღვდლის

შესახებ მამა იოსებ კრიტიკლმა მოწმობა, რომ, როდესაც ეს უკანასკნელი ამ ეკლესიის წინამძღვრად ყოფილა, ტაძრის დღესასწაულის წინა ღამით მას აუღია და ამ მღვდლისათვის სელ-ფენსზე რკინის ბორკილები დაუდია. მასთან ერთად ორი სხვა კაციც ვაუკოქავს. ბორკილის გასაღები თან წაუღია და წასვლა. დილით რომ მოსულა, ხედავს, მოვდელს ბორკილებიდან თავი დაუხსნია. მამა იოსები ეკლესიაში შესულა და დაუნახავს, ეს მღვდელი ზის და კითხულობს. წინ კი თბი სანთელი უნთია, ის ორი მისი ამხანაგი კი ისევ ბორკილგაყრილია. წინამძღვარმა გამოჰკითხა. ამათ, როგორ დაიხსნა თავი თქვენმა ამხანაგმაო, იმათ მიუგეს: — არ ვიცით. ამავე დროს წინამძღვარს ეკლესია ჩარაზული და დალუქული დახვდა.

იგივე მიამბო ამ წელს მამა ქრისტეფორე ბერძენმა. იგი ამ ეკლესიის დღესასწაულის წინაღამეს აქ ყოფილა. იგი და მისი ამხანაგი მამა ეფთვიმე ქართველი მამა იოსებ კრიტიკლივით მოქცეულან. მეორე დღეს იგივე მომხდარა. რაც ზემოთ ვთქვით. ეს მოვდელი გამოდის და ისეთივე სასწაულომოქმედი დარიგებებით უქადაგებს ხალხს, როგორც ზემონახსენები ბერძენი.

დაწერა ეს კლასიკმა მკაჩი პატრიარქმა თავისი სრწინადი ხელით აგვისტოს თვის ოთხს, სამყაროს შექმნიდან 7173 წელს 7^ე კანისწყალის 80 მონასტერში, როდესაც იქ ვიყავით. ეს მონასტერი მეგრელთა ქვეყანაშია, ქართველთა ქვეყნის მეზობლად. ჩვენ იქ ვიყავით. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პატივი დაგვედო ჩვენი სამწყოსათვის — ქართველებისათვის, ჩვენი ვალი მოგვეხადა მათ წინაშე და, როგორც უქმითაც ავხსენით, დაგვეყენებინა ისინი ჭეშმარიტ გზაზე; მეორეც იმიტომ, რომ ანტიოქიის საკათალიკოსო ტახტს ჩვენზე ადრე დიდძალი ვალი დაედო. ამ ვალს სარგებელიც დავმატა. ამის გამო ატყდა საჩივრები და სხვა ამდაგვარი. სწორედ ამან გვაიძულა, მივეტოვებინა ჩვენი ტახტი და სამწყსო. გადმოვხვეწილიყავით და სუარაბის სიმქაზე გვაწვინა, იქნებ ამ ვალებიდან თავი დაგვეხსნა.

ქართველთა ქვეყანაში კიდევ ერთი კაცი ვნახეთ. დედამისს ცალხელა დაუბადებია და მარჯვენაზედაც მახინჯი თითები ჰქონდა. იგი ქართველთა კათალიკოსმა მღვდელ-დაიკენად დანიშნა და წირვის უფლება მისცა. ამ კაცმა გვითხრა, რომ იგი ვერ წირავს. უღიაჯნოდ, რომელსაც ხელთ წმინდა ფეშხუმი უჭირავს. ჩვენ გაცოცხლეს ვიყავით: როგორ უჭირავს ცალ ხელში ამისთანას შუბი, ანდა როგორ მოძღვრავს ხალხს: ან კიდევ როგორ ნათლავს და სხვა ამდაგვარი საეკლესიო საქმეს აკეთებს. მას, ჩვენ ღეთის-მსახურება ავუკრძალეთ.

კიდევ უნახეთ ერთი ეპისკოპოსი. რომელსაც [საეპისკოპოსო] ტახტი უჭირა. იგი იყო თბილისად, ხელთდასხამდა და სხვა ამდაგვარ სამღვდელ-მთაგრო საქმეს აკეთებდა. ჩვენ კი გვითხრეს, რომ იგი მოუნათლავი ყოფილა, ჩვენ ეტბრძანებთ ერთ მღვდელს, იგი მოუნათლა. [ამის შემდეგ] ავლავ მივეციტ კურთხევის ნება.

სირიელი არაბი მწერალი, ჟურნალისტი, კალიგრაფი და საზოგადო მოღვაწე მისი წინაპრები — სომეხი ვაჭრები -- დიდი ხნის წინ დასახლებულან სირიაში. 1860-64 წლებში ჰასუნის ემიგრაციაში იმყოფებოდა რუსეთში, სადაც, თურქეთის სატახტო ქალაქიდან გამოქცეული, საქართველოს გავლით ჩასულა. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებით დაუწერია პოემა, მიძღვნილი ალეირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირის აბდ ელ-კადირისადმი.

მოგზაურობა კავკასიაში

გემით ფოთიდან მდინარე რიონის აუღლებით,
და მოხსენიება უფალ ამირის ბატონის ჩემის
აბდ ელ-კადირ აღ-არაბისა

რიონს მიაპობს ფოთის ჭალებში ერთი ხომალდი,
რომლითაც მე გზას დავდგომივარ,
და მისი სვლით ისე შევიქმენ,
რომ ნატობენ დიდებულებიც.
ნოტიო ჰაერს დაუცვარავს ხშირი ტყე,
შტოები იქ ოქროებით მოკაზმულან.
ამ ხეების კენწეროში, ჩიტებისთვის ფანჩატურია,
მარგალიტის მტევნები კი ყვავილებად გაიფურჩქნენ,
გეგონება, თითქოს ტოტებს გამოედო ხოშაკლები,
აღმოსავლეთის ქარს რომ მიმოუფანტავს,
ან ფთილები ააცდინა ჩვეულ გზას
მარადსამყოფ ზეცაში აზიდულმა ხეებმა.
უეჭველია, მათგანაა, რომ ეფრქვევა
საამო სურნელი გორაკებს.
ეს ტყე მთლიანად შემოსილია მოელვარე
მშვენიერი მწვანე სამოსით.
ბუნების ხელმა მადლიანმა ვრცელ მინდორ-ველში
ბარაქიანად დაარწია ხეავის აკვანი.
აქ მოიკლანება რიონი,
ხეობ-ხეობით ჩაივლის და ზღვას შთაენთქმება.

ასე მთელი დღე საღამომდე
მიყვავდით ხომალდს გულგათანგულს.
ორთქლი იფრქვევა. ისიც მიჰქრის
მარდი სვლაში. მკვირცხლი. მსწრაფველი,
და სურამიდან, ორპირის ახლოს
წარმოგვიდგნენ მწვერვალები განსაცვიფრელი;
ერთის სიტყვით მათ სილამაზეზე:
ეს ბუნება ხელუყოფელი, ნორჩი, უბიწო;
ვით ანგელოზი გახვეულა
ნაირფერად მოელვარე ყვავილთ ბიჯადში,
ჩამავალი მზე კი, გეგონება,
ყვითელი იაგუნდის გვირგვინად ადგას.
უნაბის ხე საროსავით აშოლტილა,
ღერო მისი ტლანქად იზნიქება წელში.
ვარსკვლავები — კანდელები თუ აღმასის საყურებია.
ზედ რომ დასციმციმებენ.
დაეხსენ ზულ-კურუშის სუბაირს.
ეს ხომ მეტად თვალწარმტაცია,
ვიდრე ლუტა და შუბრა.
მათ უკან კავკასიონის მთები
და ხეობები ჩამწყვირებულან.
მწვერვალებიდან წყაროები გამოხეთქავენ,
ხეობებში მოჩუხჩუხებენ,
ერთად მდინარეში ჩაიღვრებიან.
რა მოსატანია დამასკო, ბარადა
შედარებით ამ სილამაზესთან!
თვალთა და გულთ საწადელია.
მაგრამ ჰერს დათვლა ფრინველთ გუნდების
რა სრულქმნილია ის ხელოვანი,
რომელსაც ძალუძს გამოხატოს თვისი ფიქრები:
დასტრიალებს მათ, ვითარცა მსხვერპლს ხარბი არწივი,
მონადირე გაუმაძღარი,
და დააცხრება ელეის სისწრაფით,
ზარჯისი რომ ესვრის შმაგ მხედარს...
კერა ქართველთა და სომეხთა — სამშობლო ჩემიც
წინაპართა უცხოეთში გადახვეწამდე —
მშვენიერია. მათ მფარველობს ძლევამოსილი
არწივის ღრთა.
აქ ჩამოსვლამდე დიდხანს ბევრგან ვიხეტიალე,
და აა, თვეა დავაბიჯებ ამ ქალაქებში.

აქ მიწა-წყალი და პაერი საამურია,
უმჯობესია მთელს ქვეყანაზე.
ხალხი — თვალადი და ტანადი და ახოვანი,
ულამაზესი კაცთა მოდგმაში.
ვერაფერს ვნახავ მე მშვენებას თბილისისთანას,
ანდა კახური ღვინის ბადალ-გემრიელ სასმელს.
შემომათენდა ქვევრების ხლაში.

მიუხედავად დადაგული ჩემი ბედისა,
ასე განვდევნე ჩემი სევდა და კაეშანი, —
რითი გინდოდა მათი გაძლება?!
ესვი, ვიდრე დარდო არ განეიქარვე,
და გამხნეებულს თავი ხოსრო მეგონა!
ხოტბას შევასხამ ჩემს უფალს ამირს
აბდ ელ-კადირ არაბს ბრწყინვალეს,
თავისი ღროის ღირსეულთაგანს,
წარჩინებულს, გულუხვს, უმწიკვლოს.
ბულადი ყველას შეეწევა,
ვინც შეველა სთხოვა

ძღვეად ავი ბედისწერისა,
უკეთილესი უხვად გასცემს, თბოლს იფარებს,
წინ აღუდგება ავ-ბოროტებას.

ხელგაშლილობას მისას არ აქვს საზღვრები,
ღირსებები — მომხიბვლელია.

ღმერთმანი, ჩვენი ხალხი მან დაიცვა,
როს ვერაგულად იღვრებოდა
მათი სისხლი ჯალაყში.

ხომ ცნობილია, რომ კაცი ვარ,
გული შემტკივა მთელს ქვეყანაზე,
და შევისწავლე ადამიანნი.

რა ბოროტებას განიზრახვენ, თუნდ საიღუმლოდ,
და თუ ქება ვთქვი. იმიტომ. რომ

სიმაართლე ვეცი, კარგად გაგიცან.
მადლობის ნიშნად მონიჭებულ სათნოებისთვის.
მოვალე ვიყავ. ქათინაურად არ ვწერე ლექსი.
დღეგრძელიმც იყავ, ბატონო ჩემო.

ქება-დიდება მარადეამ შენს დიდბუნებობას!
მამაშვილური სიყვარულის მსგავსი გრძნობები
ჩამრჩა ხსოვნაში მე მისდამი მეგობრობისა.

გულუხვად ამკო ღირსება თქვენი
თავის ხოტბაში მეგოსანმა ქასუნ.

სამინ რეიჰანი

ლიბანელი არაბი მწერალი. დაიბადა 1876 წ. განათლება მიიღო ამერიკაში. მოიხსოვდა დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების სინთეზს. ამ იდეითაა გაყენებული მისი ლექსები და პუბლიცისტური სტატიები. გარდაიცვალა 1940 წ.

რ ე ვ ო ლ უ ც ი ა

და მისი ღლეა ავი და ძნელი,
და მისი ღამე მხნე და ნათელი,
ხოლო მის დილის ვარსკვლავს ვერ მოაცილებს თვალებს მნახველი.
საშინელია ანარქიის ხმა: ლომის ღრენა,
ბულბულის სტეენა,
ყვავის კრუსუნი,
ხმაური, გრუნუნნი,
კენესანი.

მოძალადეებს გადავაქცევთ, მაშინ ფერფლად და
ჯვარს იტვირთავენ საუკეთესონი.
ვაი, იმა ღლეს ტირანებს, ამაყებს და ნაძირალებს.
ის ერთი ღლეა მრავალი წლიდან. არა! საათი განკითხვის დღიდან.
ვაი იმა ღლეს ტირანებს!

ეს არის რევოლუცია.

მისი ღლე მკაცრი, საშინელია.

ღელავენ დროშები — ყაყაჩოები,

რაზმავენ შორსმყოფს, ჭანათლებენ, ვინც მახლობელია.

და დაფდაფები იმეორებენ გასაკვირალი სიმღერის ჰანგებს,

და საყვირები მოუწოდებენ ხმისგამცემსა და გამგებს,

და თვალებიდან ნაპერწკლებს გამოაქვს ხანძრის სვეტი,

და ცეცხლი ითხოვს: კიდევ ხომ არ არის მეტი?

და პასუხს იძლევა მახვილი მკვეთი,

და აქალარებს შიში და რეტი.

ვაი იმა დღეს ტირანებს. ვაი წამომდგარ მთხოვარეთაგან,
უფლების მოყვარეთაგან,
დაძაწვრალ მოვალეთაგან!

ვაი მათ განდიდებისათვის.
დაჰკრავს საათი ტირანებისთვის!

ეს არის რეკოლუცია.

მისი შვილები

არიან ფესშიშველები,

მისი ჭაბუკნი გახდნენ ზეიადი მამაკაცები,

მისი კაცები — მძლავრნი, ამაყნი, ხოლო ვეფხვები — მისი ღიაები,

მისი ქადაგნი და ქალქადაგნი — ენამჭევრები,

მისი ბელადნი და ქალბელადნი — ამბოხებული გულმამაკები.

ვაი, იმა დღეს ტირანებს!

აუწყე იმათ ცეცხლი, ჯაჭვები,

ჭურვების სკდომა და დღე მტანჯველი,

ოდეს ვერ ბრძანონ, ვერ აკრძალონ;

არ გაიშვან და არცა იქნეს გაქცევის საშველი.

ვაი, იმა დღეს ტირანებს!

არ გაუგიათ ამბავი, რომაელების შესახებ მთქმელი? —

იმ დღეს პორტირით რომ მოიხიბლა კეისარი¹⁾ და გაიწვდინა

კვერთხისკენ ხელი,

და აი, როგორ ეცემა — მკვდარი, დაკრილი, არაფრისმქნელი,

თავისუფლებისმსურველთ ხანჯლები გარკობილი აქვს მკრედი...

ვაი, იმა დღეს ტირანებს!

არ გვიამბია პარიზის ამბავი? —

იმ დღეს რომ მოსპევს ბასტილია და პყრობილთაგან დარჩა არავინ,

ლუდოვიკოს⁸² რომ მოჰკვეთეს თავი

და გარბოდა ყველა უფალი, ყველა მტარვალი —
პარიზის სახე მაშინ იყო გულშემზარავი.

ვაი, იმა დღეს ტირანებს!

... და ინგლისელთა ამბავი? —

იმ დღეს ხალხმა რომ შეჰფიცა მელუდეს, ეს არისო ბელადი უბადლო⁸³.
იმ დღეს, მელუქნემ ხალხი რომ იხმო, მეფეს კი ეგონა, დაცული ვარო,
უკარო,

და აი, როგორ აღზევდა უბრალო,

ხოლო კარლოსი⁸⁴ მდაბიო გახდა, უგვარო,

დიას! იხვეწება სახრჩობელაზე⁸⁵, მიხსენი, უფალო.

ვაი იმა დღეს ტირანებს — ყველა

ამბოხებული ჩაგრული ვეფხვისგან,

ვაი, იმა დღეს მბილწავეებს — წითელ

ღროშათა ცხადი გამარჯვებისგან!

... და ახალი სამყაროს ამბავი? —

ვერა ხედავენ, თონის აღში როგორ ჩაყარეს მჩაგვრელთა კრება და

როგორ იწვოდა პორფირი და რკინის თაჭები დნებოდა,
სადაც თავს იხსნიდა მონა უღირსი,

და ადამიანი ურიცხვი

იმ საცოდავი შავების გულისთვის

კედებოდა,

სადაც მდაბიო მაღალთან საომრად,

ბეჩავი უტეხ მტარვალთან საომრად

დგებოდა.

ვაი, იმა დღეს ტირანებს.

იმ დღეს მიუზღავს ღმერთი მგმინავეებს!

და განიხსნება ხალხებში ფარული სულის არსება.

დიას! მისი ცეცხლისგან ვულკანებმა იწყონ აღგზნება.

დიას! „ერთგულის სული“ —

ყველა ბელადის, მართლის და ერთგულის სული -- ტაძრებში.

აღდგება.

და მიეცემა იმ დღეს დაჩაგრულს მახვილი მისი მჩაგვრელის,

და იგი მოაწევს ყველა მბილწავზე --

ჯოჯოხეთს კი არა, აი ამ მიწაზე --

პაპანაქებას ფიცხი სასჯელისა

ვაი, იმა დღეს ტირანებს -- ყველა

ამბოხებული ჩაგრული ვეფხვისგან,

ვაი, იმა დღეს მბილწავეებს -- წითელ

დროშათა ცხადი გამარჯვებისგან!

სპარსული ლიგერაჟი

სპარსული ხალხური კოეზიიდან

ირანელი ხალხის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში საქვეყნოდ აღიარებული კლასიკური პოეზიის გვერდით დიდი ადგილი უკავია უმდიდრეს ხალხურ ზემპირსიტუიერებას. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი ნაკლებადაა შესწავლილი და პოპულარული. იგივე ითქმის ქართულ-სპარსული ფოლკლორული ურთიერთობის ისტორიაზე.

ღუბებითი ზოგან მას „სარბანი — მექარაგნული“ ეწოდება, ზოგან — „ჩარბეთი“, ან უბრალოდ — „ბეთი“, „შაირი“) ოთხსტრიქონიანი ლექსია, როგორც წესი, გართმულია პირველი, მეორე და მეთხე სტრიქონი, ზოგჯერ — ოთხივე. რითმა მარტივია, ხშირად რედიტო დამშვენებული, ენა სალიტერატუროს უფრო უახლოვდება, ვიდრე რომელმე დიალექტს. ამ მინიატურულ პოეტურ შედევრებში სრულად აისახა ხალხის ტყვილი და სიხარული, მიწიერი გრძნობა და ოცნება, სიყვარული სტრუქოსადმი, მშობლიურა კუთხისადმი...

ამჟერად ჩვენი უერადლება მიიპყრო ფირდოუსისადმი მიძღვნილი მორიგი კონგრესის მასალებში გამოქვეყნებულმა მოხსენებამ „შა-ნამეს“ გავლენის შესახებ სპარსულ ფოლკლორზე. ავტორს, ენკუ შირაზის, შენიშვნებთან ერთად მოაქვს ტექსტი მცირე მესნიეისა „დარე ჩანგე“ („ბრძოლის ხე“), რომელიც მას ჩაუწერია ლურის დიალექტზე 1970 წ. ავტორი სამართლიანად მიუთითებს ძეგლის არქაულობაზე, ავლებს ერთგვარ პარაულს საშუალო სპარსული მწერლობის ცნობილ თხზულებასთან „დრახტი ასური“ („ასურული ხე“), ურთავს ლათინურ ტრანსკრიფციას და ზუსტ შესატყვის თანამედროვე სპარსულ სალიტერატურო ენაზე. ეფიქრობთ, ამ ხალხური ძეგლის თარგმანი დაინტერესებს ქართველ მკითხველსაც. ტექსტი აღებულია ზემოდასახელებული კრებულიდან (ფირდოუსის „შა-ნამე“ — მსოფლიო ეპოსი, თეირანი, 1977).

1

განთიადისას ტოტზე ბუღბულს მოვკარი თვალი,
სატრფოს ეკვროდა, უგალობდა მას ეშხით მთვრალი,
შემშურდა მათი, ჩემთვის ჩუმად ჩავიჩურჩულე:
ვტსაც არა ჰყავს მეგობარი, ვა, მისი ბრალი!

2

მთვარიანი ღამეა და ეფარება ღრუბლებს მთვარე,
კერპებს ზურგი შეაქციე, ღმერთი ერთი აღიარე!
თუ კი იცი, რომ მიჯნური ისრით უნდა განიგმიროს,
ჰე, ურჯულოვ, რაღას მარგებს მოთმინება, მომკალ ბარემ!

3

ჩრდილი არა ჩანს, საშინლად ცხელა,
არსაიდან ხმა, გამწყდარა ყველა,
მხოლოდ ხანდახან ქოშის პაკუნნი
მაგონებს სატრფოს და გული ღელავს.

4

წუხელის დიდი მოვიდა წვიმა,
ჩემი მიჯნური ბანზე წევს, სცივა,
მივედი, ბაგეს ნაზად შევეხე,
სისხლის ცრემლები სცივი და სცივი.

5

ახლა შევყურებ სხვა მთას და სხვა წყალს,
შორს დამრჩა სახლი ყარიბს და საწყალს,
არ მინდა მოვკვდე აჰ, უთვისტომოდ,
სატრფო მოვა და ვერ იცნობს საფლავს.

ჩემი ძელისგან გაეთლი კალამს,
შევამზადებ სისხლით მელანს,
გულის ფიცარს ფურცლად ვიხმარ
და შევეთვლი სატრფოს სალამს.

7

განთიადისას მთვრალი და ხელი
სატრფოს ნაწნაეებს შევეხე ხელით,
მეორედ მოსვლის დღემდე შერჩება
ჩემს ხელებს მისი თმების სურნელი.

8

ლამეა და შენ კი სად ხარ, ნუ მაწამებ,
მოდი ჩემთან, მიმკურნალე ამ გრძელ ღამეს,
ავადმყოფმა იცის მხოლოდ ღამის სიგრძე,
ავადა ვარ, მინახულე, მითხარ რამე.

9

მე აქა ვარ და ჩემი სატრფო — ველად გაპრილი,
თვალები ცრემლით სავსე მაქვს და გული — დაპრილი,
ო, ნეტავ ციდან წამოვიდეს თქეში და ღვარი,
რომ წაიშალოს ამა ქვეყნად ჩემი აჩრდილი!

10

გაზაფხული არად მინდა ღვინით თრობის გარეშე,
მე სიცოცხლე არად მინდა შენი ტრფობის გარეშე.
მიკვირს, როცა ღმერთს შესთხოვენ:--მოგვეც დღენი ხანგრძლივი!
დღეც არ მინდა მარტოდპართოს მეგობრების გარეშე.

**ბერძნული
ბრძოლების მნახველი**

1. მეგობრებო დროისაო,
დღეთაგან დღენი,
დროთაგან დრონი
2. ყაისის მსგავსად ცხვრის ტყაპუკში გამოხვეული⁸⁶,
გზად ხეტიალში გადავწყდებ ერთ მძლავრ ბერმუხას.
3. ცად ირმის ნახტომს ეხებოდა კენწერო მისი,
ხოლო ფესვები დედამიწას გულს უგმირავდა.
4. შორს გაეწვდინა დაფოთლილი მსხვილი შტოები,
ყრმასა და მოხუცს საჩრდილობელ კარავს უშლიდა.
5. ბერმუხის ჩრდილი იყო ისე ამო და გრილი,
რომ სხვათა ხეთა, შემყურეთა, სირცხვილი კლავდათ.
6. სამოთხის ხეც⁸⁷ კი ინატრებდა მის სურნელებას,
სავალი გზები თავს იყრიდა იმ მუხის ძირში.
7. ხეს გული ჰქონდა სულ დაქრილი, სულ დაისრული,
მშვილდოსანთაგან სახსოვარი დანატოვარი,
8. ვით ბისუთუნის კლდეს აჩნია ფარჰადის ჰანგი⁸⁸,
თან ელვარებდა, ანათებდა თითქოს მზესავით.
9. მივედი ახლოს, მივეფერე ხის დაკოდილ ტანს,
დარდი მომაწვა, როგორც ნისლი დამავეანდის მთას⁸⁹.
10. ბერმუხას ხელი შემოვხვიე და მივეყრდენი,
ჩემსავით მარტოს, დაბერებულ ხეს მივეყრდენი,
11. შემდეგ შევძახე: მითხარ ერთი, მაღალო ხეო,
კაცმა თუ იცის ანგარიში შენი წლებისა?
12. ვინ იცის, ხეო, ვინ გინახავს წინაპართაგან,
ანდა ამ გზებით ვინ მოსულა და სად წასულა?

13. რამდენი წელი შრიალებენ შენი შტოები,
ვინ გაახარა ამხელა ხე ამ სანახებში?
14. ვინ დაგიყოდა ეგ გულმკერდი ასე საშინლად,
ვინ იღო კისრად შენი სისხლი ალალ-მართალი?
15. უცბად ხმა მესმა, თითქოს მუხამ ენა აიდგა,
ალაპარაკდა ხე ბებერი, ტანდაყოფრილი:
16. ზარით, ქვითინით მიპასუხა: „ჰე, უმეცარო,
რას ეხეტები უღაბნოში ჩემსავით მარტო?!
17. რას მეკითხები სულელივით ჩემს ვინაობას,
რატომ მაგონებ რისხვით სავსე წარსულთა დღეთა?!
18. რად გინდა კვალად განმიზნლდეს ძველი კრილობა,
შემოვიხიო უნდა ისევ დარდის საყელო!
19. ჩემი ტკივილის ნაწილიც რომ გაგიზიარო,
თუ რატომ აღწევს ჩემი კვნესა ზეცის თალამდე;
20. უნდა მისმინო წელიწადი და ნახევარი,
შენ კი სუსტი ხარ, ვშიშობ, გულმა რომ ვერ გაგიძლოს!
21. მაგრამ რადგანაც თავად მთხოვე, მომპაყარ ყურნი,
ისმინე ჩემი ავბედითი ეტლის⁹⁰ ამბავი.
22. უწყოდე, კაცო, რომ ოდესღაც, მრავალ წლის წინად,
ქაფუმარსის⁹¹ დროს ვიყავ ნერგი ნორჩი, ახალი.
23. პირველად ენახე ბრძოლა დევთა და სიამაქის,
ჰუმანგის რისხვა და ლაშქრობა მისთა ლაშქართა.
24. შემდეგ ვიხილე თაკმურასი, ძე ჰუმანგისა,
როგორ რაზმავდა ბრძოლის ველზე მებრძოლთა რიგებს.
25. მეფე ჭამშიდის უზრუნველი მინახავს ლხინი,
ნაზად მლიმარე მომდერლებით გარსშემორტყმული.
26. მეფე ზაჰაქის. მარდასბის ძის, ვიყავ მხილველი,
გერშასბის მკლავი და მახვილი მზერას მტაცებდა.

27. ზაქაქის მხრებზე წყვილი გველის ხილვამ შემზარა, უწმიდურ ეშმას ამბოროთ რომ ამოეზარდა.
28. თვალნათლივ ვნახე ფერიდუნი და ძენი მისნი, ამბოხებული მკედელ ქავას აღმის ფრიალი.
29. სალემი, თური და ირაჯი, მათთან ფაშანგი, ბრძოლის ჟამს ვნახე მრისხანება მანუჩარისა.
30. აფრასიების მძვინვარების ვიყავ მოწამე, ვნახე ფირანი და ჰუმანი ომის მძებნელი.
31. ნავზარ უფლისწულს ვით ეღირსა მეფობა, ვნახე, ყარანს და ქიშვადს მოვესწარი, ჰადადის ძეთა.
32. ნარიმანის ძე საამ იყო დევთა შემკვრელი, საამზე უფრო უმაღლეს კაცს ვისლა ვნახავდი.
33. ვნახე ზაალი მძიმე გურზით დამშვენებული, სიმურღზე მისი ამხედრება, მისი მხარ-ბეჭი.
34. ვნახე მეფობა ზავისა და შაჰ გერშასბისა, გოსთაჰამი და ტუსი, შურის მაძიებელი.
35. ოქროსმფრქვეველი ქაყობადი ვითარ მეფობდა, ან ვით იბრძოდა მძლე რუსთამი და მისი რახში.
36. ვიყავ მოწამე ქაქაუსის ავი ზნეობის, ზარსაშ ტუსის ძის სილამაზის ვიყავ მხილველი.
37. სამოცდათერამეტ ძეს გუდარზის აქ ჩაუვლი, ყოველ მათთაგანს სამარზბანოდ მარზი⁹² ელოდა.
38. ვნახე ჯადოსნურ ჯამით ხელში ქაბოსსროვ შაჰი, მურასა თაჯით ოქროს ტახტზე დაბრძანებული.
39. ვნახე ლოპრასბი, ქაფაშინი, მეფე გოშთასბი, თვალნათლივ ვნახე ცოდნის სიღრმე, სიბრძნე ჯამასბის.
40. რვალისტანიან ისფანდიარს ოდეს ვახსენებ, გამახსენდება თაქემთანთან შეტაკების დღე.

41. ვნახე ბაჰმანი, წმინდა რჯულის უარყოფელი,
ბარზუსთან მისი შეტაკება უსასტიკესი.
42. ჰომა, ასული ბაჰმანისა, დარა დარას ძე,
ყველამ ჩემ თვალწინ გაიარა გზა უსასრულო.
43. გარდაიარა ჩემს ტოტებზე მრავალმა წელმა,
ვნახე მეფენი მოზეიმეც, დამარცხებულიც.
44. სპასალარები ვნახე ომში შეჭახებულნი,
ღმერთს რომ შესთხოვდნენ დახმარებას და შემწეობას.
45. მოციქულები და ელჩები ბჭობდნენ ჩემს ჩრდილში,
ახალი ბრძოლის ვადებსა და პირობებს დებდნენ.
46. კვლავ ჩამესმოდა უღმობელი დოღის ბრავუნი,
საყვირის ხმები; გაშმაგებულ მხედართ ყოფინა.
47. ხმალამოწედილი ასკდებოდა ლაშქარი ლაშქარს,
ცხენთა ფლოქვთაგან მტკერი ცამდე ისევტებოდა.
48. ზვინი დგებოდა ბრძოლის ველზე დახოცილ გვამთა,
სისხლის მდინარეს თან მიჰქონდა მუზარადები.
49. მახსოვს მხედარი, თავს დაერქვა მას დევის ქალა,
და ვეფხვის ტყავი ტანს ემოსა როსტომის მსგავსად.
50. გმირს ამშვენებდა მოოქვილი ოქროს გვირგვინი,
ოქრომკედითვე კაბა იყო მკერდმოქარგული.
51. ამხედრებული ცხენის ზურგზე, როგორც საამი,
ქედანთა მოდგმის, არდაშირი ერქვა სახელად.
52. მას მობაეჭრედ მოევლინა სარდალი ვინმე.
მძლავრი, ეშმაკი, ღონეს ხერხს რომ ამჯობინებდა,
53. შელადის მსგავსად, რუსთამის მკლავს რომ გაუტრბოდა,
ფარად იფარა იმ სარდალმა ჩემი სხეული.
54. მოზიდა მშვილდი არდაშირმა და განუწონა
ისარი გრძელი, არწივის ფრთით დამშვენებული.

55. სამწვერა ისრის ამაზრზენი მესმა ზუზენი,
ვიხილე ელევა, არწივის ფრთით დამშვენებული.
56. ისარმა ტანში გამიარა, მტერიც განგმირა,
არწივის ფრთამდე სველ მიწაში დაერჭო მკვიდრად.
57. მტერი დაეცა, მე კი დავრჩი კვლავ ზეზეულად,
მას შემდეგ დამრჩა საშინელი ქრილობა გულზე.
58. ტყიდან და მთიდან გამოვიდა მხეცების გუნდი,
ლეშის მჭამელნი ძირს დაცემულს გარს შემოერტყნენ.
59. მძიმედ დაიძრა ციდან სვაეი გაუმაძლარი,
ჩემს კენწეროზე სასეიროდ ზანტად შემოჯდა.
60. ზოგჯერ ზემოდან დახედავდა ლეშს და უდაბნოს,
ზოგჯერ ნისკარტით იწიწქნიდა ფრთებსა და ბუმბულს.
61. მოლაშქრეებმა მიაშურეს თავ-თავის სადგომს,
მე კი უფეხო დავრჩი ისევ ზეზე უძრავი.
62. სხვა ვნახე კიდევ, არდაშირმა, სასანის ძემან,
ვით შეურყია შაპ არდავანს სამეფო ტახტი.
63. შემდეგ შაფურმა შაფურანმა ვით სძლია ღუშმანს,
ჰორმოზ ჰორმოზან, მაჩინი და თალჰანიც ვნახე.
64. ყობადიც ვნახე ყობადანი, სხვანი და სხვანი,
ბაპრამი, მუშტით კანჯარს სულს რომ აფრთხოვინებდა.
65. ბაპრამ ჩუბინის დარაზმული ლაშქარი ვნახე,
აღჭურვილიყვნენ გურზით, შუბით, მძიმე კომბლებით.
66. ანუშირვანი ვნახე, დიდი, სამართლიანი,
და ბოზორჯმეჭრი, უბედური ვაზირი მისი.
67. ხოსროვ ფარვიზის ხელმწიფობის ვიყავ მოწამე,
როგორ ეტრფოდა კეკლუც შირინს. შაბდიზის მხედარს.
68. გული მატკინა, რუსთამის და სოჰრაბის რკენამ,
ვით შეეჯახნენ მამა-შვილის საბრძოლო ცხენნი.

69. გივი, ზავარე, ფარიბორზი აქ იყვნენ; ჩემთან,
ცვლიდნენ ერთმანეთს ბაპრამი და გორგინ მრისხანე მ.
70. ვიდრე არ დადგა მამისმკვლელი შირუიეს ყამი,
ბოროტმა ძალით ხელში იგდო ტახტი მამისა.
71. მეფობა მისი ორ კვირას არ გაგრძელებულა,
უპატრონო ტახტს მიეძალა ყველა ქედხოდა.
72. ყველა მდაბიო დიდებულის სახელს ეძებდა,
და აირია ეს ქვეყანა თავით ბოლომდე.
73. აურზაური, შფოთი, ბრძოლა, ვით განკითხვის დღეს,
სიმშვიდე გაქრა, ყველგან სევდამ დაისადგურა.
74. მრავალმა შაჰმა ჩაიქროლა კვლავ ჩემ წინაშე,
ტომი ტომს ცვლიდა, გვარი გვარს და სახელი სახელს.
75. ბოლოს დაუდგა დრო დიდ სეფის საგვარეულოს,
ფრთხილად და ზრდილად ჩამიარეს ავაზას მსგავსად.
76. ახლა კი მეფობს ნადირ-შაჰი, ქვეყნის სულთანი,
ნადირის შიშით ბოროტება არსად ჭაჭანებს.
77. გაიქცა მტერი, ასპარეზი დაუვიწროვდა,
შაჰ-სეფის მოდგმის ბედ-იღბალი კოჭლი აღმოჩნდა.
78. ახლა ისმინე შეგონება: იშხიარულე!
თორემ სოფელი როდის იყო, ლეშით გამძლარა.
79. უმჯობესია, რომ ჩაიცვა, ჭამო, დალიო,
თორემ დარჩება ეს ქონება სულ სხვა ვილაცას.
80. წარმავალია ეს ქვეყანა, მსგავსია ქარის,
ვინც მას შეჰხარის, გონწართმეულ კაცად ჩათვალე.
81. ბევრი უნახავს საღემ-თური ამ ძველ ქვეყანას,
მაგრამ სიმდიდრე სამარეში ვის წაუღია?!
82. შიში მაქვს მხოლოდ, ვინმემ ცეცხლი არ გამიჩინოს,
და ჩემი ფერფლი ქარმა ველად არ მიმოფანტოს.
83. მაშინ გაქრება ჩემი კვალი პირისგან მიწის,
აფეთქებულ ნერგს არვინ დარგავს ჩემს ნატერფალზე.

ღარიოს I-ის ვრცელი წარწერა გეპისტუნის კლდეზე

ღარიოს I-ის წარწერები განეკუთვნება აქემენიდების დინასტიის ბატონობის ეპოქას [550—330 წწ.], როდესაც ირანში იდგა პოლიტიკური აღზევებისა და კულტურული აყვავების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხანა თავისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე. აქემენიდების (ანუ აქამანიანთა) წარწერები, შემორჩენილი სხვადასხვა ადგილებში და სხვადასხვა საგნებზე, ძველი სპარსულის თვალსაზრისით ერთადერთ ენობრივ წყაროს წარმოადგენს და მოიცავს ეპოქას ძირითადად ღარიოს I-ის გამეფებიდან ართაქსერქსე III-ის მეფობის ჩათვლით. ღარიოს I-ის, დიდად წოდებულის (521—486 წწ.), ე. წ. „ვრცელი წარწერა ბეპისტუნის კლდეზე“ (ბეპისტუნი—ძვ. სპ. ბაგასტანა, ანუ „ღმერთბეგს ადგილი“), აქამანიანთა წარწერებს შორის ყველაზე ვრცელი ძეგლია და შინაარსობრივად წარმოადგენს ისტორიულ ქრონიკებს. იგი ასახავს ღარიოსის ტახტზე ასვლის პოლიტიკურ სიტუაციას და მის მეფობაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. წარწერა ამოკვეთილია კლდეზე ლურსმული დამწერლობით და სამეწივანია—ძველ სპარსულ ტექსტს ახლავს პარალელური წარწერები ელამურსა და ბაბილონურ ენებზე. ძველ საქარავნო გზაზე აღმართულ ბეპისტუნის კლდეზე გაკეთებულ ამ ცნობილ წარწერას მასში აღწერილი ამბების საილუსტრაციოდ თან ახლავს აგრეთვე დღემდე წარუყვენლად შემორჩენილი ბარელიეფები, რომელიც იხსენიება კიდევ ტექსტში. მიეწივებული ძველსპარსული წარწერების კვლავ დაბადება ანუ აღმოჩენა მოხდა XIX საუკუნეში და იმ პირთა სია, რომელთაც დეაწლი მიუძღვით ამ საქმეში, საკმაოდ ვრცელია. ძველსპარსული წარწერების საბოლოო გაშიფრვის ამოცანა გადაწყვიტა გერმანელმა მეცნიერმა, ჰერინგენის გიმნაზიის მასწავლებელმა გეორგ ფრიდრიხ გროტეფენდმა, მაგრამ მისი ნაშრომი, შესრულებული ჯერ კიდევ 1802—1803 წლებში, მხოლოდ 1893 წელს იქნა სრულად გამოქვეყნებული. ძველსპარსული წარწერების, ლურსმული დამწერლობის წაკითხვა გროტეფენდმა განახორციელა სწორედ ღარიოს I-ის ვრცელი წარწერისა და მისი შემკვიდრის ქსერქსეს წარწერების შეპირისპირების საფუძველზე. ისტორიული თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი წინამდებარე ძველი ყურადღებას იქცევს მხატვრული ღირსებებითაც. მისი ქართული თარგმანი პირველად ქვეყნდება.

სვეტი I

1. მე ვარ ღარადავაპუ, დიდი ხელმწიფე, მეფე მეფეთა, მეფე სპარსეთისა, მეფე ქვეყანათა, ძე ვიშტასპასი, არშამას შვილიშვილი, აქამანიანი.
2. აცხადებს მეფე ღარადავაპუ: მამაჩემი იყო ვიშტასპა, ვიშტასპას მამა—არშამა, არშამას მამა იყო არიარამნა, არიარამნას მამა—ჩიშპი. მამა ჩიშპისა იყო ჰანამანი.
3. აცხადებს მეფე ღარადავაპუ: ამიტომაც გვიწოდებენ ჩვენ აქამანიანთ. ოდითგანვე ვართ ჩვენ კეთილშობილნი. დასაბამიდან მეფობდა გვარი ჩვენი.

4. ამბობს მეფე დარაჩავაჰუ: რვა მეფეს ითვლის ჩემამდე ჩვენი საგვარეულო. მე მეცხრე ვარ. და განვიყოფებით ორ სამეფო შტოდ.

5. იტყვის მეფე დარაჩავაჰუ: მე აჰურამაზდას ნებისთ ვარ მეფე. აჰურამაზდამ მე მიბოძა სამეფო.

6. ამბობს მეფე დარაჩავაჰუ: აი ქვეყნები, რომელთაც მე ვფლობ აჰურამაზდას ნებისთ, რომელთა ზედა მეფე ვარ: სპარსნი, ელამი, ბაბილონი, ასურეთი, არაბეთი, ეგვიპტე, ზღვისსიბრენი, სპარდა, იონია, მიდნი, არმენია, კატაქტუკა. პართნი, ზრანკა, პარაივა, ხვარაზმი, ბაქტრია, სოლდი, განდარა, სკვითნი, თატაგუ, პარაჰუვატი, საკა, — სულ ოცდასამი ქვეყანა.

7. ამბობს მეფე დარაჩავაჰუ: ეს ქვეყნები, რომელიც მეკუთვნიდა მე ნებისთა აჰურამაზდასი, მე მმონებდნენ, ჩემთვის ბაჟი მოჰქონდათ და, რასაც ვებრძანებდი. ღამითა თუ დღისით, მას აღასრულებდნენ.

8. აცხადებს მეფე დარაჩავაჰუ: ვინც ამ ქვეყნებში კაცი კეთილმოსურნე იყო, ჭეროვან წყალობას მივეუძღვნიდი, ხოლო ავისმოქმედს მივაგებდი მისაგებელსა. აჰურამაზდას ნებისთ ეს ქვეყნები მისდევდნენ ჩემს კანონს და ებრძანებოდნენ რაიცა ჩემგან, აღასრულებდნენ მას.

9. იტყვის მეფე დარაჩავაჰუ: აჰურამაზდამ მე მიბოძა ეს სამეფო. აჰურამაზდა მე მეოხ მეყო, რათა ამ სამეფოს დავუფლებოდი. მე ვფლობ ამ სამეფოს აჰურამაზდას ნებისთ.

10. აცხადებს მეფე დარაჩავაჰუ: აი, რა აღევსრულე მას შემდეგ, რაც მეფე გახდი. კამბუჯია სახელად, ძე კურუსი. ჩვენი გვარისა, იჯდა აქ მეფედ. იმ კამბუჯიას ჰყავდა ძმა, დედითა და მამით ერთი, სახელად ბარდია. შემდგომ კამბუჯიამ ბარდია მოკლა. ხოლო ხალხმა ბარდიას მოკვლის შესახებ არაფერი იცოდა. და წარემართა ამის შემდეგ კამბუჯია ეგვიპტეს. კამბუჯიას ეგვიპტეში გამგზავრების ეამს ძლეულ იქნა ერი ბოროტისაგან და იმრავლა ქვეყნად სიავემ. სპარსეთშიც, მიღთა შორის და სხვა ქვეყნებშიც.

11. ამბობს მეფე დარაჩავაჰუ: იყო კაცი ვინმე მოგვი, სახელად გაუმატა. და აჯანყდა ის პაიშიაჰუვადაში, არაკადრიდ წოდებული მთიდან. ვიახანას თვის 14 დღე იყო გასული, რომ წამოვიდა იგი ჩანყით. ხალხს ასე ატყუებდა: მე ბარდია ვარ, კურუს ძე. კამბუჯიას ძმაო. და აღდგა ხალხი მრავალი და განუდგა კამბუჯიას და მას მიემხრო. სპარსნიც, მიდნიც და სხვა ქვეყნებიც. დაიპყრო მან სამეფო. გარმაჰდას თვის 9 დღე იყო გასული, როცა სამეფოს დაეუფლა.

ხოლო შემდგომ კამბუჯია მოკვდა თავისი სიკვდილით.

12. აცხადებს მეფე დარაჩავაჰუ: ეს სამეფო, გაუმატა მოგვის მიერ კამბუჯიასგან მიტაცებული. ოდითგანვე ჩვენს გვარს ეკუთვნოდა. და შემდგომ წართვა ის გაუმატა მოგვმა კამბუჯიას. სპარსეთიც, მიდნიც და სხვა ქვეყნებიც. და დაიმკვიდრა ის თავის საკუთრებად. და დაჯდა იგი მეფედ.

13. ამბობს მეფე დარაავეაჰუ: არ იყო კაცი არც სპარსეთში, არც მიდთა შორის, არც ჩვენი გვარისა ვინმე, რომელიც იმ გაუმატა მოგვს სამეფოს წაართმევდა. ერს მისი ღიდი შიში ჰქონდა, რადგან ხალხი მრავალი დაეხოცა, ვინც ადრე ბარდას იცნობდა. ხოლო ის ხალხი იმცტომ დაახოცვინა, ვითუ მათ შემეცნონ, რომ არ ვარ მე ბარდა, აჲ კურუსო! ვერავინ ბედავდა, ეთქვა რამე გაუმატაზე, ვიდრე მე არ მოვედ. და შემდეგ შევევედრე მე აპურამაზდას და აპურამაზდა შემეწია.

ბაგაადას თვის ათი ღლე იყო გასული, როცა მცირედი ხალხით ის გაუმატა მოგვიც მოვკალი და მისი მთავარი მიმდევარნიც, ვინც ჰყავდა, საკააუვატად წოდებულ ციხეში, ნისაიას მხარეს, მიდთა ქვეყანაში, დაეხოცე. მე წავართვი მას სამეფო. აპურამაზდას ნებსით მე მეფე გაეხდი. აპურამაზდამ მე მიბოძა მეფობა.

14. აცხადებს მეფე დარაავეაჰუ: ეს სამეფო, ჩვენი გვარისაგან მიტაცებული, მე დავიბრუნე და აღვადგინე ძველებური სახით. კვლავ აღვაშენე წმინდა სალოცავები, გაუმატა მოგვის მიერ დაქცეული. მე დავებრუნე ხალხს საძოვრები, ჯოგები საქონელთა, ხვასტაგი, ქონება და საცხოვრებელნი დავებრუნე, რომელიც წაერთმია გაუმატა მოგვს. მე ერი დავაყენე ადგილსა თვისსა, სპარსეთშიც, მიდიაშიც, და სხვა ქვეყნებშიც. როგორც იყო დასაბამიდან, ისე დავებრუნე კვლავაც ძველ ვითარებას ყოველივე მიტაცებული. აპურამაზდას ნებსით აღვასრულე ეს საქმენი. ვიბრძოლე მანამ, ვიდრე ჩვენი სამეფო გვარი არ აღვადგინე ფუძესა თვისსა, როგორც იყო ოდითგანვე. აპურამაზდას ნებსით ვეცადე, რომ გაუმატა მოგვს ჩვენი სამეფო სახლი აღარ მიეტაცებინა.

15. აცხადებს მეფე დარაავეაჰუ: აი, რა აღვასრულე მე მას მერე, რაც მეფე გაეხდი.

16. ამბობს დარაავეაჰუ მეფე: გაუმატა მოგვის ჩემგან მოკვლის შემდეგ აჩანდა ერთი კაცი, სახელად ათრინა, უჰადარმას ძე. ასე განუცხადა მან ელამიტელებს: „ვარ მე მეფე ელამისა!“ და განმიდგა ელამიტელთა ერი და მიემხრო ათრინას. გამეფდა იგი ელამში. ხოლო კაცი ერთი ბაბილონელი, ნადიტაბაირა სახელად, აინაირას ძე, — ის აღდგა ბაბილონში. მოატყუა ხალხი ასე: „მე ნაბუყუდრაჩარა ვარ, ნაბუნაიტას ძე“. ამის შემდეგ ერი ბაბილონელთა სრულად იმ ნადიტაბაირასკენ მიიქცა. და აჩანდა ბაბილონიც. დაიპყრო მან სამეფო ბაბილონისა.

17. ამბობს მეფე დარაავეაჰუ: ამის შემდეგ გავემართე მე ელამიტელთა ქვეყანაში. ის ათრინა შეკრული მომგვარეს და დავსაჯე იგი სიკვდილით.

18. ამბობს მეფე დარაავეაჰუ: შემდგომად ამისა წარვედ ბაბილონს, იმ ნადიტაბაირას წინააღმდეგ, რომელმაც ნაბუყუდრაჩარა დაიბრუნა. ნადიტაბაირას ხალხს ტიგროსი ეპყრა და იქ იყვნენ დაბანაკებულნი. ნავებიც ჰყავდათ. ხოლო მე ნაწილი ჩემი ჯარისა ნავტიკებზე დაესხი, ზოგნი აქლე-

მებზე ავამხედრე, სხვები კი ცხენებით გავიყვანე. და შემეწია აპურამაზდა. აპურამაზდას ნებსით გადავლახეთ ტიგროსი. იქ ის ჯარი ნადიტაბაირასი დაეხოცე მრავლად. ათრიფაღიას თვის 26 დღე იყო გასული, როცა ბრძოლა გადავიხადეთ.

19. ამბობს მეფე დარააფავაჰ: შემდგომად ამ ამბებისა გავემართე ბაბილონს. ჯერ არ მიმეღწია ბაბილონამდე, რომ ქალაქ ზაზანაში, ეფერატის პირას, წამოვიდა ჯარით ის ნადიტაბაირა, რომელმაც ნაბუკუდრაჩარა დაირქვა, ჩემთან საბრძოლველად. და გადავიხადეთ ომი. მეოხ მეყო მე აპურამაზდა, აპურამაზდას ნებსით ნადიტაბაირას ჯარი შევემუსრე ფრიად. ხოლო ნაწილი მდინარეში გადაეშვა და წაიღო ისინი წყალმა. ანამაკას თვის ორი დღე იყო გასული, როცა აღესრულა ეს ბრძოლა.

ს ე ე ტ ი I I

20. ამბობს მეფე დარააფავაჰ: შემდეგ ნადიტაბაირა მცირე მხედრებითურთ ილტვოდა და ბაბილონს მიმართა. მეც გავემართე ბაბილონისკენ. აპურამაზდას ნებსით ბაბილონიც დავიპყარ და ნადიტაბაირაც შევიპყარი.

21. ამბობს მეფე დარააფავაჰ: ბაბილონში ჩემი ყოფნის უამს განდგომილ იქნენ ჩემგან ეს ქვეყნები: სპარსეთი, ელამი, მიდია, ასურეთი, ეგვიპტე, პართავა, მარგუ, თატავუ, საკა.

22. ამბობს მეფე დარააფავაჰ: იყო სპარსეთში, ქალაქში, რომელსაც ერქვა კუგანაკა, ერთი კაცი, სახელი მისი მარტია, ძე ჩინჩიხრასი. ის ამიჯანყდა ელამში. ხალხს ასე განუცხადა: „მე იმანი ვარ, მეფე ელამისა“.

23. ამბობს კვლავ მეფე დარააფავაჰ: იმ უამს მე ზავი მქონდა ელამთან. ამიტომ ელამელებს ჩემი შიში მიეცათ. შეიპყრეს ის მარტია, რომელიც მათი მეთაური იყო, და მოკლეს.

24. ამბობს მეფე დარააფავაჰ: ერთი კაცი, რომელსაც ერქვა ფრავარტი, მიდთა ტომისა,—ის აღმიდგა მიდიაში. ხალხს ასე აუწყა: „მე ხშათრიტა ვარ, უვახშტრას გვარისა!“ და მიდიელთა სამეფო სასახლის ხალხი განმიდგა და მიიქცა იმ ფრავარტისკენ. და გახდა რგი მიდიის მეფე.

25. ამბობს მეფე დარააფავაჰ: სპარსთა და მიდიელთა-ჯარი, რომელიც თან მყავდა, ფრიად მცირე იყო, მაგრამ მაინც გავგზავნე ის წინ, ხოლო მეთაურად დაუყენე მას ჩემი სპარსი მონა, სახელად ვიღარნა. ვუთხარ მას ასე: „წადი, ის ხალხი მიდიელთა, რომელიც მე არ მცნობს, დახოცე!“ და წარუძღვა ჯარს ის ვიღარნა. მიდიას რომ მიადგია, შეება მიდიელებს მიდიაში, ქალაქ მარტუში. ხოლო ვინც მიდთა შორის თავკაცები იყვნენ, იმ უამს იქ არ იმყოფებოდნენ. აპურამაზდა შემეწია. აპურამაზდას ნებსით ჩემმა ჯარმა ის აჯანყებული ჯარი დაარბია. ანამაკას თვის ოცდამეშვიდე დღე იყო, როცა მოხდა ეს ბრძოლა. შემდეგ ჩემი ჯარი მელოდა. მიდიაში,

ადგილას, რომელსაც უწოდებდნენ კანბადას, ვიდრე მიღთა ქვეყანას მივაწევდი.

26. ამბობს მეფე დარაფავაჲ: ერთი არმენიელი, სახელად დადარში, ჩემი მონა, წარგვზავნე არმენიას და ვუბრძანე ასე: „წალი, ის აჯანყებულო ხალხი, რომელიც არ მცნობს მე, დაარბიე!“ და წავიდა დადარში. არმენიას რომ მიაღწია, შეკრბნენ ამბოხებულნი და დაიძრნენ დადარშისთან შესაბმელად. და გადაიხადეს ბრძოლა ზუზას, რომელიც არის კუთხე არმენიაში. მეოხ მეყო მე აპურამაზდა. აპურამაზდას ნებისთ ჩემმა ჯარმა შეამბოხეთა ჯარს მუსრი გაავლო. თურავაპარას თვის რვა დღე იყო გასული, როდესაც ბრძოლა გადაიხადეს.

27. ამბობს მეფე დარაფავაჲ: კვლავც მეორედ შეიკრბნენ აჯანყებულნი და წამოვიდნენ დადარშისთან საომრად. და მოხდა ბრძოლა ტიგრას ციხესთან არმენიაში. და კვლავც შემეწია მე აპურამაზდა. აპურამაზდას ნებისთ ჩემმა სპამ ის ჯარი შეამბოხეთა გაწყვიტა ფრიად თურავაპარას თვის 28 დღე გასული იყო, როდესაც მოხდა ეს ბრძოლა.

28. ამბობს მეფე დარაფავაჲ: კვლავც მესამედ შეერთდნენ მეამბოხენი და გამოემართნენ დადარშისთან საბრძოლველად. და შეერკინნენ ერთურთს არმენიაში, უამბას ციხესთან. აპურამაზდა შემეწია. აპურამაზდას ნებისთ ჩემმა ჯარმა აჯანყებულთა ჯარი დახოცა მრავლად. თაიგარჩიას თვის შეცხრე დღე იყო გასული, როდესაც დასრულდა ეს ომი. ამის შემდეგ დადარში დამელოდა მე არმენიაში, ვიდრე მივიდოდი მიღთა ქვეყანამდე.

29. ამბობს მეფე დარაფავაჲ: შემდეგ ჩემი მონა, ტომით სპარსელი, სახელად ვაჰუმისა, წარემართე არმენიას და ასე ვუბრძანე: „წალი, იმ აჯანყებულთა ჯარს, რომელიც არ მცნობს მე, მუსრი გაავლე!“ და გაეშურა ვაჰუმისა. არმენიას რომ მიაღწია, შეამბოხენი შეერთდნენ და დაიძრნენ ვაჰუმისასთან შესაბმელად. იხალად წოდებულ ადგილას, არმენიაში, გადახდათ ბრძოლა. აპურამაზდამ მე მეოხება გამიწია. აპურამაზდას ნებისთ ჩემმა სპამ ის ამბოხებული ჯარი დაამარცხა ფრიად. ანამაკას თვის 15 დღე იყო გასული, როცა მათ ეს ბრძოლა გადაიხადეს.

30. კვლავც ამბობს მეფე დარაფავაჲ: მეორედ შეკრბნენ ამბოხებულნი და წამოვიდნენ ვაჰუმისასთან საომრად. არმენიაში, ადგილზე, რომელსაც უწოდებოდა აუტიმარა, შეერკინნენ ერთმანეთს. და კვლავც მომცა მეოხება აპურამაზდამ. აპურამაზდას ნებისთ ჩემმა ჯარმა შეამბოხეთა სპა დაარბია. თურავაპარას თვე მიწურული იყო, როცა დასრულდა ეს ომი. და დამელოდა შემდეგ ვაჰუმისა არმენიაში, ვიდრე მე მიდიხ მივალწევდი.

31. ამბობს შემდეგ მეფე დარაფავაჲ: ამ ამბების დასრულების შემდეგ გამოვეშურე ბაბილონიდან და ვისწრაფოდი მიღთა ქვეყნისკენ. და როცა მივალწიე ამ ქვეყანას, მიდიხის ერთი ქალაქიდან, რომელსაც ერქვა

კუნდურუ, ის ფრავარტი, თავი რომ მეფედ გამოაცხადა, დაიძრა ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად. და გადავიხადეთ ომი. აპურამაზდამ მე შეწყევნა მომცა. აპურამაზდას ნებსით ფრავარტის ჯარი მრავლად დაეხოცე. აღუკანას თვის 25 დღე გასული იყო, როცა ბრძოლა გადავიხადეთ:

32. ამბობს კვლავაც მეფე დარააფავაჰუ: ამის შემდეგ ის ფრავარტი მცირეოდენი მხედრებითურთ ლტოლვილ იქნა და მიდიას მიმართა, რაგას მხარეს. ხოლო მე ჯარი გავგზავნე და დავადექნე ფრავარტის კვალდაკვალ. და მომგვარეს იგი შებორკილი. და მოგკვეთე მას ცხვირი, ყურები და ენაც მოვაპერ, ხოლო ცალი თვალი ამოვთხარე. და ასე დაბმული მყავდა ჩემი სასახლის კარზე და მთელი ხალხი ხედავდა მას. ამის შემდეგ ჰანგმატანაში იგი ძელზე გავსვი. ხოლო მისი უპირველესი მიმდევარი მეთაურები ჰანგმატანას ციხეში ჩამოვახრჩე.

33. ამბობს შემდეგ მეფე დარააფავაჰუ: ერთმა კაცმა, სახელად ჩითრანტახმამ, ამიტეხა შფოთი. განუტეხადა ხალხს ასე: „მე მეფე ვარ ასატარტი-ისა, უჯახშტრას მოდგმისა!“. ამის შემდეგ წარვგზავნე სპარსეთის და მიდიის სპანი. ტახმასპადა სახელად, მიდი, ჩემი მონა, დავუნიშნე მათ მეთაურად. ვუბრძანე მათ ასე: „წადით, შეამზოხეთა ჯარი, რომელიც არ მცნობს, გაელიტეთ!“: და წარუძღვა ტახმასპადა სპას და ბრძოლა გადაიხადა ჩითრანტახმასთან. აპურამაზდამ მე მეოხება მიწყალობა. აპურამაზდას ნებსით ჩემმა სპამ ის აჯანყებულთა ჯარი გაწყვიტა. ხოლო ჩითრანტახმა შეკრული მოიყვანეს ჩემ წინაშე. და მოგკვეთე მას ცხვირიც, ყურებიც და ცალი თვალი ამოვუთხარე. შებორკილი იმყოფებოდა ჩემი სასახლის კარზე და მთელი ხალხი ხედავდა მას. ამის შემდეგ არბაირაში გავსვი იგი ძელზე.

34. აცხადებს მეფე დარააფავაჰუ: ესაა, რაც მე აღვასრულე მიდიასი.

35. ამბობს კვლავაც მეფე დარააფავაჰუ: პართელნი და ვარკანა განდგომილ იქნენ ჩემგან — ფრავარტის ხალხად ცნეს თავი. მამაჩემი ვიშტასპა პართიაში იმყოფებოდა. ერი მას განუდგა და აუჯანყდა. ამის შემდეგ ვიშტასპა გაემართა იმ ჯარის თანხლებით, რომელიც იყო მისი ერთგული, და პართიაში, ქალაქთან, რომელსაც ეწოდებოდა ვიშპაუზატი, შეებრძოლა პართაველებს. აპურამაზდა მეოხ მეყო. აპურამაზდას ნებსით ვიშტასპამ იმ შეთქმულთა ჯარი ამოჟლიტა. ვიახანას თვის 22 დღე იყო. გასული, როცა აღსრულდა ეს ბრძოლა.

ს ვ ე ტ ი III

36. ამბობს მეფე დარააფავაჰუ: მერე მე სპარსთა სპა გავგზავნე ვიშტასპასთან რაგადან. რომ მივიდა ის სპა ვიშტასპასთან, შემდგომ წაიყვანა იგი ვიშტასპამ და წავიდა. ქალაქ პატიგრაბანაში, პართთა ქვეყანაში, შეება მემამზოხებებს. შემეწია აპურამაზდა. აპურამაზდას ნებსით ვიშტასპამ ჯარი

აჩანებულთა ფრიად შემუსრა. გარმაპადას თვის პირველი დღე იყო გასული, როდესაც მათ ბრძოლა გადაიხადეს.

37. აცხადებს მეფე დარააგვაჰუ: ამის შემდეგ ქვეყანა ჩემი გახდა. ეს აღვასრულე მე პართავაში.

38. ამბობს კვლავაც მეფე დარააგვაჰუ: სამეფო, მარგუდ სახელდებული, მოიცივა შფოთმა ჩემ წინააღმდეგ. გაიხადეს მეთაურად ერთი კაცი, სახელად ფრიადა. და წარვგზავნე მათთან შესაბამელად ჩემი მონა, რომელსაც ერქვა დადარში, ტომით სპარსი, ბაქტრიის სატრაპი, და ვუბრძანე მას ასე: „წადი, ის ჯარი გაანადგურე, რომელიც მე არ მცნობს!“. და გაემართა დადარში ჯარით. მარგივლებთან ბრძოლა გადაიხდა. და კვლავაც შემეწია აპურამაზდა. აპურამაზდას ნებით ჩემმა ჯარმა ის ჯარი აჩანებულთა ამოეღიტა. ათრიადიას თვის 23 დღე გასული იყო, როცა მოხდა ეს ომი.

39. იტყვის კვლავაც მეფე დარააგვაჰუ: და გახდა ის ქვეყანა შემდგომად ამისა ჩემი. ეს გავაკეთე მე ბაქტრიაში.

40. ამბობს კვლავაც მეფე დარააგვაჰუ: ერთ კაცს, სახელად ვაჰაზდატას, ეპყრა ქალაქი, ტარვად წოდებული, მხარეში, რომელსაც უწოდებდნენ მაუტიას, სპარსეთში. და ატეხა მან მეორედ შფოთი სპარსთა შორის. გამოუცხადა ერს ასე: „მე ბარდია ვარ, ვაჟი კურუსი!“. და მიიქცა იმ ვაჰაზდატასკენ სპარსეთის სასახლის სპა, ერთი წარჩინებული მეთაურის ადას წინამძღოლობით. მე განმიდგა და ის ვაჰაზდატა აღიარა.

41. ამბობს მეფე დარააგვაჰუ: მაშინ წარვგზავნე ჯარი სპარსთა და მიღთა, რომელიც მე მახლდა და სარღლად დავნიშნე ჩემი მონა სპარსი, რომელსაც ერქვა ართავარდია. ხოლო დანარჩენი სპა, შემდგარი სპარსთაგან, გამომყვა მიდიაში. შემდგომ ართავარდიამ თავისი ჯარით სპარსეთს მიაშურა. როს მიაწია სპარსთა ქვეყანას, რახან წოდებულ ქალაქს, — იქ ის ვაჰაზდატა, რომელმაც ბარდია დაირქვა, გამოემართა ჯარით ართავარდიასთან საომრად. და შეერკინნენ ერთურთს. მე შემეწია აპურამაზდა. აპურამაზდას ნებისთ ჩემმა ჯარმა ის ვაჰაზდატას ჯარი გაანადგურა. თურავაშარას თვის 12 დღე იყო გასული, რის აღვასრულა ეს ბრძოლა.

42. განაგრძობს შემდეგ მეფე დარააგვაჰუ: შემდგომ ამისა ის ვაჰაზდატა მცირეოდენი მხედრებითურთ ილტვოდა და გაიქცა პაიშიმაჰუედაში. და წარმომართა იქიდან სპა და წამოვიდა კვლავაც ართავარდიასთან საბრძოლველად. პარვად სახელდებულ-მთასთან შეებნენ ერთმანეთს. აპურამაზდა მეოხ მეყო. აპურამაზდას ნებისთ ის სპანი ვაჰაზდატასი ძლეულ იქნა ჩემი ჯარისაგან. გარმაპადას თვის 5 დღე იყო გასული, როცა აღვასრულა ეს ბრძოლა.

43. ამბობს კვლავაც მეფე დარააგვაჰუ: ამის შემდეგ ის ვაჰაზდატა და მისი მიმდევარი მეთაურნი ქალაქ უედაიხადაში, სპარსეთში, ძელზე გავსვი.

44. აცხადებს მეფე დარაბავაძე: ესაა ჩემი საქმენი სპარსეთში.

45. იტყვის კვლავაც მეფე დარაბავაძე: შემდეგ, იმ ვაჰმანდატამ, ბარდიად თვითრქმევულმა, წარმართა სპა პარაპუვატიში, რომლის სატრაპი იყო ჩემი მონა, სპარსელი, სახელად ვივანა. და დაუყენა იმ სპას მეთაურად ერთი კაცი და დაარბოდა ასე: „წადით, ვივანა მოკალით და გაწყვიტეთ ჯარი, რომელიც დარაბავაძეს მეფედ ცნობს!“. და დაიძრა ის სპა, ვაჰმანდატასგან წარგზავნილი, ვივანას წინააღმდეგ საომრად. და იყო ციხე ერთი, რომელსაც ეწოდებოდა კაბიშაკანი — იქ შეებრძოლნენ ერთმანეთს. აპურამაზდამ მეოხება მომცა, აპურამაზდას ნებით ჩემმა ჯარმა ის შეამბოხეთა სპანი გაეღიბა მრავლად. ანაშაკას თვის 13 დღე იყო გასული, როდესაც აღსრულდა მათი ბრძოლა.

46. ამბობს კვლავაც მეფე დარაბავაძე: შემდგომად ამისა შეთქმულნი შეკრბნენ და წამოვიდნენ ვივანასთან საომრად და შეერკინნენ მას განდუტავად წოდებულ ადგილას. კვლავაც შემეწია აპურამაზდა. აპურამაზდას ნებისთ ჩემმა ჯარმა იმ შეამბოხეთა სპას მუსრი გაავლო. 7 დღე იყო გასული ვივანას თვისა, როცა ეს ბრძოლა გადაიხადეს.

47. განაგრძობს მეფე დარაბავაძე: შემდეგ ის კაცი, რომელიც იმ ჯარის მეთაური იყო და წარგზავნილ იქნა ვაჰმანდატასგან ვივანასთან საომრად. ილტვოდა მცირე მხედრებით და პარაპუვატიში არშადას ციხეს შეაფარა თავი. მაგრამ ვივანა დაედევნა მას ჯარით, იქ ის ტყვედ ჩაიგდო და ვინც კი იყო თავკაცი მისი მიმდევარი — ყველა დახოცა.

48. აცხადებს მეფე დარაბავაძე: დამემორჩილა ამის შემდეგ ის ქვეყანა. აი, ჩემი ნამოქმედარი პარაპუვატიში.

49. ამბობს კვლავაც მეფე დარაბავაძე: სპარსეთსა და მიდთა ქვეყანაში ჩემი ყოფნის ეამს მეორედ აღსდგა ბაბილონი ჩემ წინააღმდეგ. ერთი კაცი, სახელი მისი არხა, არმენიელი, პალდიტას ძე — ამიჯანყდა ბაბილონში. აღმიდგა იგი ადგილსამყოფელში, რომელსაც ეძახდნენ დუბალას და ატყუებდა ხალხს ასე: „მე ვარ ნაბუკუდრაჩარა, ნაბუნიტას ვაჟი“. და უარყო მაშინ ერმა ბაბილონისამ და მიემხრო იგი არხას. და დაიპყრო მან ბაბილონი და დაჯდა ბაბილონელთა მეფედ.

50. ამბობს შემდეგ მეფე დარაბავაძე: ამის შემდგომად წარემართე ჯარი ბაბილონს. ვინდაფარხა სახელად, სპარსელი, ჩემი მონა, — დაუყენე იმ ჯარს სარდლად. და ვუბრძანე ასე: „წადით, იმ ჯარს ბაბილონელთა, რომელიც მე არ მაღიარებს, მუსრი გაავლეთ!“. და გაემართა ვინდაფარხა ჯარით ბაბილონს. აპურამაზდამ შეწევნა მიბოძა. აპურამაზდას ნებით ვინდაფარხამ დაარბია ბაბილონელი და ტყვედ წამოიყვანა. ვარკახანას თვის 22 დღე იყო გასული, რომ ვინდაფარხამ ის არხა, ნაბუკუდრაჩარად თვითწოდებული, და მისი თანამდგომი თავკაცი შეიპყრო და ტყვედ ქმნა. შემდგომად ამისა დავადგინე და გავეც ბრძანება და ის არხა და ვინც კი უწინარესი მისი თანამზრახველი მეთაური იყო, ბაბილონში ძელზე გავსულა.

51. აცხადებს მეფე დარაიავაჰუ: ეს არის, რაც მოვიმოქმედე მე ბაბილონს.

52. აცხადებს მეფე დარაიავაჰუ: ესაა, რაც აღსრულებულ იქნა ჩემგან აპურამაზდას ნებსით ერთსა და იმავე წელიწადს, მას შემდეგ, ოდეს მეფედ დაგვექმნა. ცხრამეტი ბრძოლა გადავიხადე. აპურამაზდას ნებსით მოვიგე ისინი. ცხრა მეფე დავატყვევე: ერთი გაუმატა სახელად, მოგვი. მან ასე იცრუა: „მე ბარდია ვარ, ძე კურუსი“. მან სპარსეთი ააჯანყა; ერთი — სახელად ათრინა, ელამიტელი. იგი ასე ამბობდა: „ვარ მე მეფე ელამისა!“. მან ელამი ამიჯანყა. ერთი — ნადიტაბაირა სახელად, ბაბილონელი. ის სიცრუეს ამბობდა: „მე ნაბუკუდრაჩარა ვარ, ნაბუნაიტას ძე“. ააშფოთა მან ბაბილონი; ერთიც — კაცი, რომელსაც ერქვა მარტია, სპარსთა ტომისა. ისიც ცრუობდა და ამბობდა ასე: „მე იმანი ვარ, მეფე ელამში!“. მანაც ელამი აამბოხა; მეხუთე — კაცი ვინმე მიდი, მისი სახელი ფრავარტი. მან იცრუა და თქვა: „მე წმთირიტა ვარ, უევანშტრას გვარისა“. მისი სიცრუით მიღია იქნა აჯანყებული; მეექვსე — კაცი ვინმე, სახელად ჩითრანტახმა, ასაგარტიელი. იცრუა მანაც და ასე განაცხადა: „მე ვარ მეფე ასაგარტიაში, უევანშტრას მოდგმისა!“. და აამბოხა მან ასაგარტია; შემდეგ — ერთი კაცი მარგიანელი, მისი სახელი ფრადა, რომელმაც მარგუ ამიჯანყა; მერვე — ერთი კაცი სპარსელი, რომელსაც ერქვა ვაჰამაზდატა. მან ასე იცრუა: „ვარ მე ბარდია, ძე კურუსი“. და აღდგა მისით სპარსეთი; მეცხრე — ვინმე არხად წოდებული, ტომით არმენიელი, რომელმაც მოტყუებით ნაბუკუდრაჩარა დაიჩქვა, ნაბუნაიტას ვაჟად გამოაცხადა თავი. აღმდგარ იქნა მისით ბაბილონი.

53. იტყვის კვლავაც მეფე დარაიავაჰუ: აი, ეს ცხრა მეფე შევიპყარ მე ამ ბრძოლებში.

54. აცხადებს მეფე დარაიავაჰუ: ეს აჯანყებული ქვეყნები სიცრუემ ააშფოთა, რადგან ეს კაცნი ხალხს ატყუებდნენ. შემდგომად ამისა აპურამაზდამ მე მთარველობა გამიწია და გამომიწოდა ხელი შემწეობისა. ისინი ტყვედქმნილნი ჩემს ხელთ ჩაადგო და როგორიც იყო ჩემი ნება, ისე მოვექმეც მათ.

55. ამბობს მეფე დარაიავაჰუ: „ჰოა შენ, რომელიც მომავალში მეფედ დაჯდები, მოიზღუდე თავი შენი მტკიცედ სიცრუისაგან! სიცრუის მთქმელ კაცს მიუგო უნდა მისაგებელი, თუკი შენი ზრახვანი ასეთი იქნება: „დე, იდგეს ჩემი სამეფო მყარად!“.

56. აცხადებს მეფე დარაიავაჰუ: „ეს ყოველივე, რაც აღსრულებულ იქნა ჩემ მიერ, აპურამაზდას ნებსით ერთ წელიწადში აღსრულდა. ჰოა შენ, რომელიც მომავალ ეამს ამ წარწერას წაიკითხავ, ირწმუნე ჩემი საქმენი და ნუ მიმითვლი მათ სიცრუედ!“.

57. ამბობს მეფე დარაიავაჰუ: მსწრაფლ ზეშევაქცევ პირსას ჩემსას აჰურამაზდასკენ და ვფიცავ, რომ ჰეშმარიტებაა ეს და არ არის სიცრუე ჩემი ყოველი ნამოღვაწარი, აღსრულებული ჩემგან ერთი წლის მიწურვამდე.

58. იტყვის მეფე დარაიავაჰუ: აჰურამაზდას ნებსით სხვაც ბევრია ჩემი ნამოქმედარი, რომელიც ამ წარწერაში არ არის აღწერილი. ხოლო არ აღწერილა იმის გამო, რომ ვინც მომავალში ამოიკითხავს ამ წარწერას, ვაითუ, მრავლად ეჩვენოს ჩემი საქმენი და არ ირწმუნოს — სიცრუე ეგონოს.

59. აცხადებს მეფე დარაიავაჰუ: ვინც კი ამ უამამდე აქ მეფედ ყოფილა, მათ ყველას ერთად არ უმოქმედიათ იმდენი, რაოდენიც მე ერთ წელიწადში აღვასრულე.

60. ამბობს მეფე დარაიავაჰუ: ახლა ირწმუნე შენ, რაც კი აღმისრულებია და ნუ დამალავ ხალხს! თუ არ დამალავ ამ ნათქვამს და ყველა ერს აუწყებ, შემწედ გექმნას შენ აჰურამაზდა! და იმრავლოს შენმა გვარმა და დღეგრძელ იყავ!

61. ბრძანებს მეფე დარაიავაჰუ: ხოლო თუ დამალავ ამ ამბავს, ხალხს არ მოუთხრობ, მკვლელ გექმნას შენ აჰურამაზდა, და არა იყოს გვარი შენი!

62. ამბობს მეფე დარაიავაჰუ: ეს ყოველივე. რაც ექმენ მე ერთსა წელსა, აჰურამაზდას ნებსით აღვასრულე. აჰურამაზდამ მომცა მე მეოხება და სხვათა ღვთაებათა, რომელნიც სუფევენ.

63. იტყვის მეფე დარაიავაჰუ: იმიტომ მეოხ მეყო აჰურამაზდა და იმიტომ შემეწიენ მე სხვა ღმერთებიც, რომელნიც სუფევენ, რომ ავისმქმნელი არ ვყოფილვარ, არც ცრუ, არც ბოროტი ვყოფილვარ. არც მე თავად, არცა სხვა რომელიმე ჩემი გვარისა. დასაბამიდან სამართალს მივსდევდი. არც გლახაკისთვის, არცა შემძლესა მიმართ ავი არ მიქნია. სასახლის კაცთაგან ჩემს თანამზრახველებს, კაცთა, რომელნიც იღვწოდნენ ჩემი სახლისთვის, ღირსსა კეთილსა მიუუწყავდი, ხოლო ავისმოქმედს სასტიკად ვსჯიდი.

64. ამბობს მეფე დარაიავაჰუ: შენ, რომელიც იმეფებ მყოფადსა უამსა, სიცრუის მიმდევარ კაცს ნუ ექმნები მფარველად და მიუზღე მას საზღაური!

65. იტყვის მეფე დარაიავაჰუ: ჰოი შენ, რომელიც შემდგომ უამს ამ წარწერას აღმოიკითხავ. ჩემგან დაწერილს. და ამ კეთილობას აღმოიხილავ, ნუ წარყვნი მათ! ვიდრე შეგწვედეს ძალა, ძალისაებრ შენისა მცველ ექმენ!

66. ბრძანებს მეფე დარაიავაჰუ: თუ ამ წარწერას და ამ ნაკვეთ ხატთა ნახავ, და არ წარყვნი მათ. არამედ ვიდრე იარსებებს შენი მოდგმა. გადასცემ შთამომავლობას შენსას, მფარველ გექმნას შენ აჰურამაზდა და

გვარი გიმრავლოს, და იდღეგრძელე მრავალ ეაშს, და რასაც მოიმოქმედებ, დე, მოგმადლოს აპურამაზდამ მისი წარმატებით აღსრულება!

67. ბრძანებს მეფე დარააფაჰუ: ხოლო თუ იხილავ ამ წარწერას და ამ ხატთა კვეთილთა და წარყვნი მათ, და ვიდრე იქნება შენი მოდგმა, არ დაიცავ მათ, აპურამაზდა მკვლელ გექმნას შენ! და ნუ იქნები გვარი შენი! და რა საქმესაც მოიმოქმედებ, ის შენ აპურამაზდამ დაგიქციოს სრულად!

68. აცხადებს მეფე დარააფაჰუ: აი, კაცნი, მაშინ აქმყოფნი, ოდეს მე გაუმატა მოგვი მოვკალი, ვინც ბარდიას უწოდებდა თავს, კაცნი ჩემი თანამებრძოლნი და ერთგული თანამდგომნი:

ვინდაფარნა სახელად, ვაიდასპარას ძე, სპარსი.
უტანა სახელად, თუხრას ძე, სპარსი.
გაუბარუვა სახელად, მარდუნიას ძე, სპარსი.
ვიდარნა სახელად, ბაგაბიგნას ძე, სპარსი.
ბაგაბუხშა სახელად, დატუვაჰმას ძე, სპარსი.
არდუმანი სახელად, ვაჰაუქას ძე, სპარსი.

69. ამბობს მეფე დარააფაჰუ: ჰოი, შენ რომელიც მეფე იქნები შემდგომსა ეაშს, ამ კაცთა მოდგმას ჯეროვანი წყალობა მიაგე!

70. აცხადებს მეფე დარააფაჰუ: აპურამაზდას ნებსით ეს წარწერა ჯერ ცალკეულ ამბებად იქნა ჩემგან შესრულებული, სხვაგვარად, როგორც წინათ არ ყოფილა, ბოლოს, შეერთებული, არიულ ენაზე დაიწერა ტყავებზე, ხოლო სრულად ერთ ამბად ნათქვამი ამოიკვეთა ქვაზე და წამიკითხეს მე ნაწერი და დავამტკიცე იგი, რადგან მოწონებულ იქნა ჩემგან. შემდგომ, გადაწერილი ტყავებზე. ეს წარწერები გამოვაქვეყნე და დავაგზავნე ყველა ქვეყანაში და მოიწონა იგი სრულად ყველა ერმა.

ს ვ ე ტ ი V

71. ამბობს მეფე დარააფაჰუ: აი, რა აღესრულე მე მესამე წელიწადს ჩემი გამეფებისა. აღმიდგა მე ქვეყანა ელამიტელთა. კაცი ერთი, სახელად ატამიტა, გაიხადეს მთავრად. და წარვგზავნე ლაშქარი ელამიტელთა შესამუსრავად. ხოლო სარდლად დავუყენე იმ ლაშქარს ერთი კაცი, გაუბარუვად წოდებული, სპარსელი, ჩემი მონა. და გამართა გაუბარუვა ჯარით ელამის დასალაშქრავად. და ომი გადაიხადა ელამელებთან. შემდგომ გაუბარუვამ დაარბია ელამიტელნი, ხოლო ვინც მათი ბელადი იყო. ტყვედქმნა და მუ მომგვარა. და მოვკალ იგი და შემდგომად ამისა მე დამემონა ის ქვეყანა.

72. ამბობს დარააფაჰუ მეფე: ის ელამიტელნი ურჯულონი იყვნენ და აპურამაზდას არ ეთაყვანებოდნენ. ხოლო მე აპურამაზდას თაყვანი ვეც.

აპურამაზდას ნეშით, როგორც ნება ჩემი, ისე მოვეყარ. იმ
ერს.

73. აცხადებს მეფე დარააფაპუ: ვინც სცემს თაყვანს აპურამაზდას
ძალისაებრ მისისა, ცოცხალიცა და მკვდარიც ნეტარებას ეწევა, პოვებს
იგი ამ სოფლის ცხოვრების ღებნას და საუკუნო სამკვიდრებელის ბედნი-
ერებას.

74. ამბობს კვლავაც მეფე დარააფაპუ: ხოლო ამის შემდგომად გავი-
ლაშქრე მე სკვითებზე. სკვითებზე, რომელნიც წვეტიან ქულებს ატარე-
ბენ. რომ მივაწიე ზღვის ნაპირს ჯარით, ზღვა ტივებით გადავლახე. და
შევმუსრე სკვითნი ფრიად. ხოლო დანარჩენი ტყვედ ჩავიგდე. ისინი შე-
ბორკილნი მომგვარეს და დავხოცე. მათი მბრძანებელი, რომელსაც უწო-
დებდნენ სკუნხას, შეიპყრეს და ჩემ წინაშე მოიყვანეს. და სხვა კაცი და-
ვაყენე იქ განმგებლად, ნებისაებრ ჩემისა. და იქცა ამის შემდეგ ის ქვეყა-
ნა ჩემს საკუთრებად.

75. აცხადებს მეფე დარააფაპუ: ის სკვითნი ურჯულონი იყვნენ და
არ ეთაყვანებოდნენ ისინი აპურამაზდას. მე ვეცი თაყვანი აპურამაზდას.
აპურამაზდას ნებსით აღვასრულე მე ყოველივე ჩემი ნების შესაბამისად.

76. ამბობს მეფე დარააფაპუ: ვინც თაყვანს სცემს აპურამაზდას, ძა-
ლისაებრ მისისა, პოვებს იგი ღებნასა სიოცხლეშიც და სიკვდილის შემ-
დეგაც. ნეტარი იქნება იგი ამ სოფლის ცხოვრებაშიც და დაიმკვიდრებს
ნეტარებას მარადიულ სასუფეველშიც.

ცხოვრობდა XI საუკუნეში (ღაბადებისა და გარდაცვალების თარიღები უცნობია).
თქმულებების მიხედვით, იყო უსწავლელი კაცი და ეწეოდა მოხეტიალე ცხოვრებას.
მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ საფუძვლიანად იცნობდა სუფიურ მოძღვრებას. მისი ლექ-
სების ენა და სტილი ხალხურია.

დ უ ბ ე ი თ ე ბ ი

* * *

განა ვინმე მყავს ქვეყანაზე? მარტოხელი ვარ!
უთვიატომოთ და უსახლკაროთ რიცხვში ვწერივარ,
თუნდაც რომ ყველამ გამაძევოს, შენ მოგაკითხავ,
შენც რომ დამტოვო, განა სხვასთან მე წამსვლელი ვარ?!

* * *

სული და ხორცი ერთი არის, უნდა იცოდე,
სულით და ხორციით სატრფოსათვის უნდა იწვოდე;
ისიც იცოდე, ეს ტყველი ისე მწარეა,
დასაამებლად წამალს ვერვინ გამოგიწოდებს.

* * *

მე ხომ სიცოცხლის მოსწრაფების არ მეშინია!
ეს სიყვარული ჩემი გულის მგლური ყინია.
საკანშიც ჩამსვან, ბოტკილებიც დამადონ თუნდაც;
რაა მგლისათვის, მწყემსს თუ მისთვის უკიჟინია.

* * *

გულს გაუშართავს სიყვარულის დიდი ბაზარი,
რომ შეისყიდოს სატრფო იგი, სახემწყაზარი,
მისთვის მოექსოვე სამოსელი შესაფერისი
სევდის მაჭოთი, ტრფიალების ძაფის მასალით.

* * *

შენ, რომელიც ხარ უმეცარი ციურ ცნებათა,
შენ, რომელიც ხარ უმეცარი ლოთის ვნებათა,
თუ ვერ ისწავლე, გაარჩიო ავისგნ კარგი,
შითხარი, სატრფოს ძიებაში რა შეგემატა?

* * *

შენ თუ შორსა ხარ, მკერდმა გული ვით დაიტეოს,
ჩემმა გონებამ სხვა იმედი რისთვის იძიოს?
შენს სულს ვფიცავარ, სანუკვარო, შენზე უმეტეს
თუ რამე მსურდეს სააქაოს, ან საიქიოს!

* * *

შენ არ იკითხავ, რად ვარ ასე გულდაზაფრული?
ვის დარჩა ჩემი ყვაველნარი და გაზაფხული?
დიდი ხანია არ მახსენებ, არც გახსენდები,
ტრფობის ძაფებით სხვასთანა ხარ გადახლართული.

* * *

ლომკაცი ვარ-თქო! მედიღურად ამას ვამბობდი,
რადგან მძვინვარე ნადირთ მეფე ჩემგან გაბობოდა,
ის არ ვიცოდი, რომელ მტრისგან მელოდა საფრთხე —
სიკვდილს სამიზნედ გავუხდივარ და დავძიებუნდი.

* * *

მავანი კაცი მინდვრად იყო, ხნავდა და თესდა,
თვალთაგან სისხლის ცრემლსა ღვრიდა, მოთქვამდა, კვნესდა;
ჯერ უნდა ვზარდო ეს ტიტა და მერე დავტოვო?!
ეჰ, რა ვუთხარი საწუთროო, შენს განაწესთა!

* * *

ქვეყნად იმისთვის აღმოცენდა უთუოდ სული,
გამოუზარდოს ჭიანჭველებს ჩვენი სხეული,
მონათა ვალი არ მცოდნია, ახლა შევიტყვე,
საქვეყნოდ დამრჩა სარეველა ბედისგან კრული.

* * *

მე ბედისწერა გამუღმებით ამას ჩამძახის;
უკურნელია სიყვარული, განა საქრახი,
მაგრამ მუშტარი თუ არა გყავს, უნდა იცოდე,
ვერც გაასალო, ვერც იყიდო ერთი ნასახი.

* * *

ბედნიერია, მოსდებია ვის ცეცხლის ალი,
თავდავიწყებულს ვერ უგრძენია სველი და მშრალი,
ბომონს თუ საყდარს, სინაგოგას და ვერც ქაბას,
ველარ მიაგნებ, თუ არ იცი სატრფო სად არი.

* * *

ადარ დაანთოთ ველად ტიტას ხანძარი მწველი,
მებაღეებო, მის თესვაზე აიღეთ ხელი!
რადგან ვარდები ორგულობენ, მოსთხარეთ ძირში,
ყვავილის ნაცვლად მოაშენეთ ეკალი მკრელი!

* * *

სიყვარულის დარდს გავუხდივარ უდაბნოს მკვიდრი,
ბედის ტრიალმა გამიმეტა, ჩამქოლა წიხლით,
„მოთმინებთა შენითაო?“ რა მარგო თმენამ?
დამემტვრა ფრთები, ახლა თავში რა შვე ქვას ვიხლი?!

* * *

უზენაესო; დე, გადატყდეს სამყაროს ღერძი,
რადგან საკუთარ შვილებს მუსრავს, ჩაგრავს და ებრძვის!
არავინ გამცნობს, გადურჩაო საფრთხეს მავანი,
იტყვიან: ესეც აღსრულდაო, აუგეს წესი.

* * *

დალამდა ისევ, რომ დამეწვას ტანჯული სული,
თავითფეხამდე ვდგავარ ასე აღმოდებული,
ამწვანებული ფერისათვის დავშვრები, თუმცა,
ვშიშობ, მის გამო მედაგება წინაპართ რჯული.

* * *

ბედნიერია, ვისიც შენ ხარ ნატვრა და ფიქრი,
გეახლება და თაყვანსა გცემს, თავს მდაბლად გიხრის,
მე იმ სულდგმულთა სიყვარული მინთია გულში,
ვის გულშიც შენი სიყვარულის აღმური იძვრის.

* * *

ნეტარ არს, ვისაც არ უკითხავს ანი და ბანი,
არც კი უხილავს წიგნის ფერი, სიგრძე და განი,
როგორც მაჯნუნი უღაბნოში დაეხეტება,
ქურციკებს მწყემსავს, აქვს საძოვრად მაღალი მთანი.

* * *

ვინც მიყვარს, იგი სიყვარულით ვერ აღიგზნება,
ეს სატკივარი გულში მდგმურად შეიხიზნება,
შეუბნებიან: ნეტარ ძილში გყოლია სატრფო,
და ამ ძილიდან ვერასოდეს გამოფხიზლდება.

* * *

ღამემ ვარდნარში მაზიარა ხილვას ნაღვლიანს,
ვარდი წამართვეს და ეს დარდი დაღად მატყვიან,
მებაღემ ვარდის სიყვარული რომ შემამჩნია,
ეკლების ჯარი ვარდს მცველებად შემოახვია.

* * *

ბედმა მარგუნა სიღინჯეზე ხელის აღება,
ისე შემშალა, ურჯულოსაც არ ვენახვები.
სანთლის გარშემო მოფარფატე ფარვანას ხვედრი
ბედუქულმართი ჩემი ყოფის უღრის ნახევარს.

* * *

გონიერთ შორის რა ხანია აღარ ვწერივარ,
სად ვეხეტები, რად ვიცინი, რისთვის ვმღერევიარ?
რაც ჩემ მოსვლამდე რეტდასხმული ჩაბარდა მიწას,
მე უბედური, ღმერთს იმ თიხით შევეუზელივარ.

* * *

მთაზე ნაზარდი ტიტა ხარ და მთაზევე რჩები,
ია, წყაროს პირს ამოსული, უმალ რომ სკენები,
თუ მხოლოდ ერთი კვირითა ხარ ქვეყნად მოსული,
მთელი ცხოვრების იმედებად რატომღა რჩები?

* * *

რად მიწილადე, სატრფოვ, ბედის მრუდე თამაში,
შენ თუ დაგშორდი, უბედური ვიქნები მაშინ,
რად მინდა ფუქად გაგორება წყვილი კამათლის,
ღუშაშის ნაცვლად, თუ დაჯდება ფანჯი და შაში

* * *

ღამით, წყვედიადის განქარწყლებას როგორც ვინატრებ,
თვალისმომჭრელი მოლანდება გამომინათებს,
შენი ხალი და შენი სახის ნაჭი ნაკეთები
უკუნ ღამეშიც ელვარებენ, როგორც სინათლე.

* * *

მუსულმანებო, სამი სევდა ერთად მოვიდა:
მაწანწალობა, ტყვეობა და ტრფობა გლოვითა,
პირველი ორი ადვილია, გატანჯული ვარ
გულის სატრფოსგან თანაგრძნობის ვერსით პოენითა.

* * *

გასული ვიყავ სანადიროდ, ფრთამალი ქორი,
მომტეხა ფრთები შავმა ხალმა ისარის სროლით.
„წყაროსთან ნუ სძოვ უდარდელად, თორემ დაგჭირან!“ —
ეს გაფრთხილება, მეგობრებო, ყოფილა სწორი.

* * *

სადაც ვარდს ვრგავდი, კლდე ყოფილა თურმე ქვიანი,
არ დამიკლია არც ცრემლი, არც მზერა მზიანი,
ნაყოფს ველოდი მოუთმენლად, მებაღემ მითხრა,
სიყვარულის ხეს ნაყოფი აქვს, თურმე, გვიანი.

• * *
შენც მოიკითხე გული შენთვის ანაძგერები,
მოდი, ერთ ღამეს მანეტარე შენი ფერებით,
დაგიბნევიან ნებიერად თავზე ყვავილი,
წამიშენია მე უბედურს თავში ხელები.

• * *
სულს სუმბულის ქვეშ მოუნახავს საამო ჩრდილი,
ტანით ალვია მოხდენილი, ნორჩი და ზრდილი,
მისი ღაწვები ვარდს მაგონებს და ამის გამო
ბულბულად ვიქეც, ღამით ვგალობ, ვღუღმები დილით.

• * *
ველად გავპრიღვარ, ვეხეტები უდაბნოს მწირი.
არც ვსიცხიანობ, არც ვუჩივი არფრის ტკივილს,
თუმცა ამ ტკივილს სხვა ტკივილი რას შეედრება,
ცრემლად ვიქეცი, გამუღმებით მოვთქვამ და ვტირი.

• * *
ღმერთო, ისმინე მოწყალო, რასაც მე გამცნობ:
შენა ხარ კაცი უკაცურთა, მე ვარ უკაცოდ,
ამბობენ, თაჰერს არავინ ჰყავს, მარტოა იგი;
მხოლოდ ღმერთია ჩემი სატრფო, სხვა სატრფოს არ ვცნობ.

• * *
ხალხი სულ იმას მეუბნება: ხალხისით არ ხარ,
მაგ სატკივარის განკურნება ჰკითხეო ათარს:
დღე-ღამის სიგრძე უნდა ჰკითხოთ თურმე ავადმყოფს,
იქნებ შენც ერთხელ შემეკითხო: „მოწყენით რად ხარ?“

• * *
ღამეა. მგლები ცხვრებს ხოცავენ შორიანლოთი,
წყვილი ნაწნავი მომახვიე. მომიანლოვდი,
ბაგის კუთხეებს დამაკონე, კოცნა მაჩუქე.
იყავ მოწყალე დერვიშისთვის, ამასლა გთხოვდი.

* * *

გავხდი ყოველთა უგუნურთა ტოლი და სწორი
ჩემი ხელიდან ქვას ეხალა სინდისის ბროლი.
თუ კაცი დიდი სიყვარულის ტყვეობაშია,
მას არ სჭირდება ქედმაღალთა გული გამყოლი.

* * *

გული მაქვს მკვდარი, არ მცილდება ფლასი და შავი,
შენი ბეჭდით მაქვს დადაღული გული და თავი,
თვით სერაფიმის მოვლენამდე შენდამი ტრფობა
იქნება ჩემთვის ვით სამოთხის გრილი ნიავი.

* * *

ორმო მელირსოს ეკალნარით შემორაგული,
ქვა-თიხა ზეწრად და ბალიშად მექნეს აგური,
ფეხი ყიბლისკენ, ტანი დარჩეს ქვეწარმავალთა,
სული დაძრწოდეს უდაბნოში გადაკარგული.

* * *

ვაი იმ წუთებს, როს ჩამდებენ საფლავში ბოლოს,
საფლავს მოაყრის ქარი ნეშოს და თივის ბულულს,
აღარ მექნება მუხლში ძალა, გავექცე გველებს,
კიანქველვებთან ეს ხელები ვერ შესძლებს ბრძოლას.

* * *

გულო, შენზე ვარ მგლოვიარე, ჩავიცმევ ძაძებს.
დავუდალივარ შემოსეულ ფიქრებს და დარდებს.
დილის სითა შენი სუნთქვა, რომ მასულდგმულებს,
აღდგომის დღემდე, სერაფიმის საყვირის ხმამდე.

* * *

რად აპყოლიხარ, ჩემო გულო, ხორციელ ვნებას,
ღვთის განდგომაა ეს ვნება და ეშმას ცთუნება,
იბრუნე პირი და აჯობებ მთავარანველოზს,
გეწვევა ბედი, რომელიც არ დაიწუნება.

• * *
შენ შემოგჩივი, მომისმინე, ღმერთო, მაღალო!
იქნებ მიშველო, ჩემმა გულმა მეც გამახაროს!
როცა დრო მოვა განსჯისა და ცოდვათ განკითხვის,
უგულო გულზე საჩივართ რომ არ დაგღალო!

• * *
დაე, ვემონო გულისწადილს, შენ ნუ დამიშლი,
ისე მწყურია სატრფოს ნახვა, სულმთლად დავიშვრი,
ღვთის გულისათვის, მექარავნევ, ნელა იარე!
ჩამორჩენილი მოვჩანჩალებ და წინ გამიშვი.

• * *
უთვისტომო ვარ, უსახლკართ გადავეყარე, |
ტანჯვა-წამებას შხამიანი კლანჭით ვეკავე.
ქარმა დამბერა, ცხრამთას ბქით გადამისროლა,
როგორც უდაბნოდ დაგდებული ხმელი ეკალი.

• * *
შენი ხატება უდაბნოში მომეჩვენება,
ზღვაზეც შენ გხედავ — ვერ ველირსე მე მოსვენებას.
შენს კვალს ატარებს ყველაფერი მთასა თუ ბარში,
ჩემს ირგვლივ ყველგან აღბეჭდილა შენი მშვენება.

• * *
მოდი, სადგომი გამინათე ზენაართ ძალით,
დარდს განმიქარვებ, თუ გიხილავ საკუთარ თვალით.
მაგ მოშვილდული წყვილი წარბის თაღს გეფიცები,
სევდის წყვილი ვარ, რადგან შენგან ვშთენილვარ ცალი.

• * *
მე აქლემი ვარ, ხარვარს ვზიდავ, ყველამ იცოდეს,
საკვებად ეკალს ვიმყოფინებ იოტისოდენს,
ამ მძიმე ტვირთის ტარებისთვის მცირედი ხარჯის
განა მე ჩემი ბატონისა უნდა მრცხვენოდეს?!
158

• • •

ხელთ მაქვს ფიალა და დათრობას სულ არ ვინანი,
ჩავეული მდელოს, მფაშურებ ნაპირს მდინარის,
სიამოვნებით დავითვრები ღვინით და მერე
ისევ ყვავეილებს ჩამოვეული სახემცინარი.

• • •

მთვრალი ვარ, მთვრალი, გაოგნებულ ლოთების მსგავსი,
სატრფოს სახეა, თუკი რამე სიმშვიდით მავსებს,
არავის არ ვცნობ, არც მე მცნობენ, არც მედარდება,
იგი საყიე ქოუსარი ცივ წყაროს მასმევს.

• • •

ყურძნის წვენია დაწურული, ღვინო რომ მათრობს,
ის სატრფოს ნაცვლად რად მბრუებს და რატომ მათბობს,
ცეცხლის მაგიერ დარდს ვუზივარ, მბრმავებს კვამლით,
რატომ არა მსვამ სანატრელი შენს ცეცხლთან ახლოს?

• • •

გაოგნებული აღმა-დაღმა დავიარები,
ვინც ლოთები ვართ, ისევ შენგან თუ ვართ მთვრალეები,
მუსულმანები, ქრისტიანნი თუ კერპთმსახურნი,
ვითვრებით შენი შთაგონებით და დავალებით.

• • •

ულამაზესო, სიყვარულმა რეტი დამასხა,
ღამით თვალთაგან ცოდვის ცრემლის ნაკადებს ვასხამ,
ბრიყვია იგი, ვინც არ იჭერს ენას კბილებით
და ვინც საკუთარ საიდუმლოს გაპყიდის სხვასთან.

• • •

რად დგახარ ვგრე დამორცხვებით დაწვეშეფაკლული,
ან წამწამებზე საწამლავი რად გაქვს წასმული?
ნიკაპის ღრმულში უკვდავების წყალი გისხია
და შიგ ირწევა თვით ჰარუთის მფეთქავი გული.

• • •
განა ოდესმე ვინმე ზეცას გამოეკერა,
ან უკვდავების ნიშანწყალი შუბლზე ეწერა?
ამქვეყნიური ნეტარება შეცოდებაა,
ვნებათაღელვას შემოავლეთ კრძალვა მესერად.

• • •
განძი ქვეყნისა დასაწვევად გამიმეტნია,
თვალთ სიმდიდრის დანახვა ვერ გამიბედნია,
ოლონდ ამიხდეს საიქიოს აღდგომის ნატვრა,
არ ეჩივი, აქ რომ ჩემი დარდი ვერ დაეტია.

• • •
ფუქია, რაც ხვალ მოისპობა, ან დაბერდება,
მონაპოვარი განძი ყველა გაცამტვერდება,
ამქვეყნიური ტკივილები აჰკინძე წიგნად,
საიქიოში ტვირთით მისვლას რა შეედრება?!
• • •

• • •
გიხილავ ღამით, გამიჩნდება სურვილი ერთის,
მე შენ გარშემო მოფარფატე პატარა წერტილს,
შენ უწილადე დედამიწას მარადი ბრუნვა,
დაე, თაქერმაც იტრიალოს განგებით ღმერთის.

დაიბადა 1004 წ. ადრე დაეწაფა ფილოსოფიას, რის შემდეგ გაიტაცა პოლიტიკამ, კერძოდ, იმ დროისთვის აღმოსავლეთში უკვე ფეხმოკიდებულმა ისმალიტობამ. ამის გამო იმოგზაურა კიდეც ეგვიპტეში და შექმნა სპარსული პროზის ერთ-ერთი პირველი შედევრი „საფარ-ნამე“ (მოგზაურობის წიგნი). დარჩა ფილოსოფიური თხზულებანი და ლირიკული ლექსები.

უწერია არაბულ ენაზედაც, მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწევია, გარდაიცვალა 1072 წლის შემდეგ.



უნდა შეიძლო და განასხვავო
 ერთმანეთისგან ავი და კარგი.
 დასაბამიდან ყოფილა ასე,
 რომ მეგობრობა სჯობია მტრობას.
 ხომ არ გგონია, ვისაც კი იცნობ,
 საიდუმლოთა შენახვა ძალუძს,
 ანდა წყაროდან ყოველთვის სურა
 უვნებელი და დაბრუნდეს სალი?!
 როგორც კი მტერი დაგიმეგობრდეს,
 მეგობრობაზე ნუ დასძრავ ენას.
 უმჯობესია, ძალს უერთგულო,
 ვიდრე შენდამი განწყობილს მტრულად.
 ნურც ისეთ კაცთან დაიჭერ საქმეს,
 ვინც მეგობრობის არ იცის ყადრი,
 ბალში ვარდები თუ არ ჰყვავიან,
 ველარ დასტკბები სურნელით ვარდის.
 კაცი ერთხელაც თუ გამოსცადე,
 ნულარ შეხედავ მას მერე ექვიხ.
 ერთხელ გამოცდაც საქმარისია
 გამოსაჩენად ავ-კარგის მისი.
 რაღა აზრი აქვს, ურწმუნო იყო,
 ასჯერ გასჭრა და გაზომო ასჯერ,
 არამც და არამც გაცნობა კაცის
 არ შეიძლება ბოლომდე მაინც.

არ შეიძლება, ნება-სურვილზე,
დაიყოლიო ბუნება გველის.
არ შეიძლება გველი ნახო და
არ გაუჭეკეყო მას ჯოხით თავი.
თუნდაც მეგობრად იგულგო ვინმე,
მას საიდუმლოს გაუმხელ ნულარ,
აბა, რა იცი, ის მეგობარი
ოდესმე შენი არ გახდეს მტერი.

ს ი ხ ა რ ბ ე

შენ რამდენადაც სიხარბე დაგძლევს,
შეგებოკება ხელ-ფეხი უფრო.
ბევრის ნდომისგან ხელს თუ დაიბან,
ადამიანურს იპოვი შევბას.
სიხარბესა და გაუმადლობას
კაცისთვის მხოლოდ სიმდაბლე მოაქვს
ხოლო სიმდაბლის ნაყოფი არის
მწუხარება და ტკივილი მხოლოდ.
მე დამიჯერე, სხვისკენ სიხარბით,
არ დაიჭირო არასდროს თვალი.
თორემ, რაც უნდა ძვირფასი იყო,
დაგეკარგება უმაღლე ფასი.
სიხარბეს ვნება მოაქვს კაცისთვის,
ადამიანის აყვითლებს სახეს.
განაგდე შენგან გაუმადლობა,
თუკი შენ კაცის გქვია სახელი.
თუ ცხოვრებაში მოულოდნელად,
რაიმე საფრთხემ იჩინა თავი,
სრულიად მშვიდად შეხვდი განსაცდელს
და ყველაფერი შემსუბუქდება.
და წამდაუწუმ, სიოს ქროლვაზე,
ხუ იცახცახებ, როგორც ტირიფი.
იყავი მტკიცე, იყავი მშვიდი,
ამ სამყაროში ვით მზე და მთვარე.
და თუ კაცი ხარ, იყავი კაცი,
გზაზე კაცური გადგი ნაბიჯი.

ნუ აიმოვრევი, გეჭიროს თავი,
ხამს, დაიმოკლო სიხარბის ხელი.
დასჯერდი მცირედს და საკუთარი
შენ ხმელი პური გერჩიოს სხვისას.
როგორ გგონია, ბედნიერება
სიხარბეშია ამ ქვეყნად განა?
დაიმახსოვრე, გემრიელია
ნაყოფი მხოლოდ კმაყოფილების,
ან კი ბაზარში რა უნდა იყოს
მაგაზე უფრო ტკბილი და ამო.
და თუ ხარბი ხარ, ვერაა გიშველის,
მაშინ ბინძური ძალი ხარ მხოლოდ.
მაგრამ თუ შესძელ, სიხარბე სძლიო,
მეფე გახდები საკუთარ თავის.

მეხოტბეთა გასაპიცხად

ასეა, კაცი, სულით მდაბალი,
ხოტბას აღუვლენს მასავით რეგვენს.
ეს იგივეა, რომ სახეღარი
მორთო ოქრო და ვერცხლის მძივებით
ნუთუ არასდროს დაფიქრებულხარ,
არ შეგვრცხვენია საკუთარ თავის,
ნეტა ისეთი რა გაგიჭირდა,
ყოველ ნაბიჯზე ტყუილს რომ ამბობ?
დგახარ და აღარ გელლება მუხლი
და უსასრულოდ კითხულობ ლექსებს.
გახვითქული ხარ მთელი სხეულით,
სახიდან ღვარად ჩამოგდის ოფლი.
ძნელი საქმეა, რომ სამათხოვროდ
ხელგაშვერილი ვინმეს წინ იდგე.
თუ კაცი ოდნავ გონიერია,
თავს შეიკავებს ასეთ რამისგან.
არავის არგებს სიტყვები ფუჭი,
სხვათა საქებრად ნუ დასძრავ ენას!
ნუ შეაძულე სიცოცხლე იმას,
მშვენიერებას რომელიც ეტრფის!

რა უნდა უთხრა ისეთ შემოქმედს,
რომელმაც სიტყვის არ იცის ყადრი.
ღღარ აწუხებს სინდის-ნამუსი,
დაბანილი აქვს იმისგან ხელი.
აბლაუბდაა ნათქვამი მათი,
მათში ვერ ნახავ ნატამალს აზრის.
ხოლო ხოტბები მათი ნაჩმახი
შეეფერება სახედარს მხოლოდ.
გამაგებინა, რა სურთ ნეტავი
ამ უთავბოლო ფუქსიტყვაობით,
ანდა, ასე რომ დაკარგეს კკუა,
რას მოვლიან სახედრებისგან?
ვისაც ხელში აქვს ძალაუფლება,
მას აღუვლენენ ისინი ხოტბას.
არ აპატიებს მაღალი ღმერთი,
მოანანიებს ამ ცოდვას ყველას.

* * *

გონიერ კაცთან მუსაიფობდე,
აი, რა არის ბედნიერება.
უვიცისაგან სარგებელიც კი
მხოლოდ ზიანის არის მომტანი.
ღირსეული და ნასწავლი კაცი
მუდამ ასეა, მთელ ქვეყნად ფასობს.
ასი უღირსი და უსწავლელი
გამხმარი პურის ყუად არა ღირს.
გონიერისგან არ მოგაკლდება
მოქმედება და რჩევა კეთილი,
მისი სანთელი გზას გაგინათებს
და შენს სანთელსაც ააელვარებს.
მას საუბრისას ნუ შეაჩერებ,
რადგან ბევრ რამეს ისწავლი მისგან
და შენს ენაზე მისი სიტყვები
სასიამოვნო კვალს დატოვებენ.
შენზე უკეთესს დაუმეგობრდი,
მოსიყვარულე ებიე უფრო,
რომ გადაგედოს ღირსება მისი.
კეთილშობილი გახდე მასავეთ.

მს, რაც არ იცი, უნდა ისწავლო,
აქ არას გარგებს დახევა უკან.
ჯერ არ ყოფილა, ვინმესთვის ცოდნას
რომ მოეტანოს რაიმე ვნება.
და თუ მოსწავლე მოუსმენს მოძღვარს,
მალე გახდება მოძღვარი თვითონ.
გაწვრთნილი ძალის ნანადირევი
პატრონისათვის ალალი არის.
ალარ მოეშვა, ეცადე, ვიდრე
არ დაგიგროვდეს საკმაო ცოდნა!
თუ ცხოვრებაში უეიცი დარჩი,
ისევ უეიცი მოგიღებს ბოლოს.
და რომ არ იყოს ცოდნა სათავე
ადამიანთა უშორეს გზისა, —
ადამის მოდგმას პირუტყვისაგან
მაშინ ვერაფრით განასხვავებდი.

* * *

მეფეთ მეფენი, რომლებიც რისხვით,
აზანზარებდნენ ცასა და მიწას,
წავიდნენ, გაქრნენ, მინებდნენ სიკვდილს
და სამუდამო ძილს მისცეს თავი.
თითქოსდა გუშინ ჩაბარდნენ მიწას,
თითქოსდა გუშინ მოხდა ყოველი,
მაგრამ მოასწრეს მიწად ქცევა და
უკვე მიწაშიც ალარ არიან.
აწი არასდროს არ დაბრუნდება
სულთანი თავის ურიცხვი ჯარით,
არც ამირაზე და არც მეფეზე
იქიდან არვინ მოიტანს ამბავს.
ქვეყანა ერთი დაფაა დიდი,
აქრელებული ათასი ფერით.
ჯერ არ ყოფილა, ადამის ძისთვის
მას მოეტანოს ბედნიერება.
ერთი მოვა და მეორე წავა,
ისევ სიკვდილის ჩამოჰკრავს ზარი.
ვილას რად უნდა სიმდიდრე შენი,
სიამაყე და პატივი ანდა.

სადღაა ნეტა მეფე ჯემშიდი,
ან შაკედონელს რა მოუვიდა?
ასე ყოფილა ბუნების წესი,
მიწა იყენენ და მიიქცენენ მიწად.
არარაობის ამ სასახლეში
ალარაფერი რჩება იმედად,
სულდგმულს ამქვეყნად არ უღევს ბინა,
ერთადერთია უკვდავი — ღმერთი!

დაბადების წელი უცნობია. იყო ხორასნელი, ნიშაფურიდან. მსოფლიოში ცნობილი ოსტაეპიანი ლექსის, რობაის, უბადლო ოსტატია. იყო თავისი დროის უდიდესი მათემატიკოსი. ხაიამს მიეწერება აგრეთვე პროზაული ძეგლი „ნოეზუზ-ნამე“, სადაც გარდა ძირითადი თემისა, — როგორ იქნა ნოეზუზის (ირანელი ახალი წლის) დღესასწაული შემოღებული და როგორ იხდიდნენ მას, მხატვრული ენითაა მოთხრობილი ირანული ყოფის სხვადასხვა საკითხები. ვარდაიცვალა 1132 წ. დასაფლავებულია ქ. ნიშაფურში.

რ მ ბ ა ი ე ბ ი

• • •

საზრუნავს ჩვენსას აღარ უჩანს თავი და ბოლო,
გვეცლება შვება, გვემატება ტკივილი მხოლოდ.
დიდება უფალს, არასოდეს დარდი და ურვა
არა გვექონია არავისგან ჩვენ სამათხოვრო.

• • •

ბედისწერასთან კაციშვილი ვერაფერს ვახდა,
ვერ გაძღა მიწა, საოცნებო მისი ვერ ახდა.
თავი ნუ მოგაქვს, რომ არსებობ, სულ მალე მტერი
თავს დაგადგება შესამუსრად, დარჩები სახტად.

• • •

სანამდე გინდა, წარბშეკრულმა იარო ასე,
არას გიშველის, დადიოდე ნაღველით სავესე.
ბედს რომ მიენდო, გონივრული იქნება, რადგან
აღარაფერი გეკითხება ამ ქვეყანაზე.

■ • ■
ფრინველი ვნახე წამომჯდარი ციხეზე თუსის,
ფეხქვეშ მოედო თავისქალა ქეიქაუსის,
ეუბნებოდა სინანულით: აფსუს, რა იქნა
შენი დოლის ხმა, ბუკის ხმა და განგება უფლის?

• • •
სანამ გაქვს ფეხი და სხეულში ძარღვი და ძვალი,
ბედის სახლიდან ნუ გამოხვალ, ჩარაზე კარი.
პათემ თაისაც ნურას მოსთხოვ — ძმა იყოს შენი,
თავს ნუ დაუღებ — მტერი იყოს გინდ როსტომ ზალი.

■ • ■
• არა ხამს გულში მწუხარებამ დაიდოს ბინა,
სამხიარულო შენ დაიდე წიგნები წინა.
დალიე ღვინო, აისრულე წადილი გულის,
ამქვეყნად დიდხანს არ დაგაცდის, ვინც გაგაჩინა.

• • •
• ფრთხილად იყავ, საწუთრო რახან არის მზაკვარი,
ბედისწერით, ეცადე, არ დაგებნას გზა-კვალი.
ეს საწუთრო ასეა, პირში ჰალვას ჩაგიღებს,
მაგრამ უხამში აურევს, სიტკბო მისცეს სხვაგვარი.

• • •
ამქვეყნად ვერვინ მოეფერა ვარდისლაწვიანს —
სანამ ეკალმა მწუხარება მას არ აწვნია.
ხედავ სავარცხელს? სანამ ასად არ დაისერა,
სატრფოს ზილფები მას არავენ დაავარცხნია.

• • •
• ჩემთვის ფარული არ ყოფილა არასდროს ცოდნა.
ასე შეგონა, საიდუმლო დამრჩა სულ ცოტა.
სამოცდათორმეტს მივადწიე ამ რწმენით წელს და
ბოლოსლა მივხვდი, წარმოდგენა არაფრის მქონდა.

• • •
ოი, საწუთროვ, მწუხარებამ გული დალაზვრა.
შევების პერანგი დამიფლითა, ვლირვარ არაფრად.
ქარი, რომელიც ჩემკენ ქროდა, ცეცხლად აქციე,
წყალი, რომელსაც დაეწაფე, იქცა ტალახად.

• • •
სანამ საწუთრომ არა გვაენო და შეგვწევს ძალი,
დავლით ღვინო, დაეუმშვენოთ ერთმანეთს მხარი.
თორემ სამყარო იმნაირად ტრიალებს, ძმაო,
რა იცი, სულაც ვერ დალიო ხვალ იქნებ წყალი!

• • •
საწუთრომ ვარდიც არ გახადა სიამის ღირსი,
თუ გააჩინა, მტვრად აქცია მაშინვე ისიც.
წყლის ნაცვლად ღრუბელს მიწის მტვერი რომ აეკრიფა,
გადაულებლად იწვიმებდა ლამაზთა სისხლით.

• • •
ღრო იყო, აღარ გინდოდა, აღარც საქმელი, არც ძილი.
მაგრამ მათ მდომლად რომ იქეც, ბრალია ოთხთა კავშირის.
კვლავ უკან მიაქვთ ოთხთავეს, რაც მოგანიჭეს მათ ერთ ღროს,
და როგორც ერთ ღროს იყავი, ისე იქნები დაშლილი.

• • •
რომ გამომიღვა, საწუთროა, სიკვდილის ცელით.
გაფუჭდა საქმე, არაფერი აწ აღარ შშველის.
სულმაც აიკრა წასასვლელად გუდა-ნაბადი, —
რადას ველოდო, მექცევაო როს თავზე ჰერი.

• • •
როდესაც ვინმე თავს წამოჰყოფს, იტყვის — ეს მე ვარ!
ოქრო და ვერცხლით იამაყებს, იტყვის — ეს მე ვარ!
როცა მთლიანად მისი საქმე უნდა აეწყოს,
მოვა სიკვდილი, მიამიტად იტყვის — ეს მე ვარ.

• • •
ღმერთო, სად არის ეგ შენი დიდსულოვნება, სიკეთე,
სამოთხის ბალის კარები ნეტა რად გადაგვიკეტე?!
ვინც არა სცოდავს, მითხარი, იმას რად უნდა შენდობა,
თუ მართლა მწყალობელი ხარ, ლოთებს და შფოთებს მიხედე!

• • •
ღვინოს ვსვამ, მაგრამ გეუბნები, არა ვარ მთვრალი,
ფიალის გარდა არაფერზე მიჭირავს თვალი.
მინდა ღვინოზე ვლოცულობდე შენსავეთ, რათა
აღარ ვაქციო სალოცავად მე ჩემი თავი.

• • •
ვიცი, რას ნიშნავს რაობა და არარაობა.
ვიცი ქვესკნელი და ზესკნელი, მათი სხვაობა.
და ამავე ღროს ისიც ვიცი, რომ თრობის გარდა
არის ამქვეყნად ყველაფერი საცოდაობა.

• • •
ჩემი სატრფო, ვისთვისაც გაითანგა ეს გული,
თურმე სხვაზე ყოფილა თვითონ შეგვარებული.
ვის მივმართო, რაღა ვქნა, სად ვეძებო წამალი,
როცა ჩემი მკურნალი თვითონ არის ვნებული?!

• • •
ბრძენი გამომეცხადა, ასე მითხრა მძინარეს:
„ძილში ვისთვის გაშლილა ვარდი პირმომცინარე?
აღეჭი და ღვინო სვი, ძილი ისეც მოგიწვეს,
რად გინდოდა, წინასწარ, თავი მოიმკვდინარე“.

• • •
სამყაროს რწმენა და მიზანი — ჩვენა ვართ მხოლოდ.
გონიერების წყაროს წყალი — ჩვენა ვართ მხოლოდ.
ეს წრე დიადი, სამყაროსი, ბეჭედი და.
უძვირფასესი მისი თვალი — ჩვენა ვართ მხოლოდ.

• • •

აილე დოქი, თან ფიალა, გოგო ცქრიალა,
ამ მტილოვანზე გაგვაბრუნოს შენმა ცქრიალმა.
ამ ცამ, ძვირფასო, შენისთანა, ბევრი პირშთვარე
გადააქცია უთვალავჯერ დოქად, ფიალად.

• • •

ღვინოა, ყველას, ბოროტების სენისგან გვარჩენს.
საიდუმლოთა ამოხსნაში ის არის მარჯვე.
ღვინო რომ ეშმაკს დაეღია, თუნდ ერთი წვეთი,
მუხლს მოიყრიდა ადამის წინ ასიათასჯერ.

• • •

ხაიამ, ღვინით თუ ხარ მთვრალი, ბედს ნუ ემდურის,
თუ გვერდით გიზის კოხტა ქალი, ბედს ნუ ემდურის!
წარმოიდგინე ეს რაობა არარაობად.
და, რომ არსებობ, გაიხარე, ბედს ნუ ემდურის!

• • •

სანამ გინდა ემსახურო კაცს უგვანოს, მდაბალს,
როგორც ბუზი, ნუ ეცემი, სხვის ნარჩენს და ნაგავს.
შენივ გულის სისხლი შესვი, ხელს გაიწვდი ვიდრე,
ორი ლუკმა თუ გექნება, სამათხოვრო რა გაქვს?!

• • •

აფსუსს, მარცვალი იმედისა, კალოზე დარჩა.
უჩვენოდ დარჩა ეს სასაზღე, ბალი და ბაღჩა:
თუ მეგობრებთან არ დახარჯე ოქრო და ვერცხლი,
მოშურნეს შენსას დაურჩება ის დასახარჯად.

ნოვრუზ-ნამე

„ნოვრუზ-ნამე“ (ახალი წლის წიგნი) ენციკლოპედიური ხასიათის ლიტერატურული ძეგლია. მისი ავტორი ცნობილი არ არის, ტრადიციულად მიეწერება ომარ ხაიამს (გ. 1123 წ.).

ხსენება გეგდისა და გცირა რამ უშრადსაღები მის შესახებ

ბეკედი თითისთვის უაღრესად კარგი და აუცილებელი სამკაულია. დიდებულებს უთქვამთ, თუ წარჩინებულთ ბეკედი არ უკეთიათ, ეს მათს არაკეთილშობილებაზე მეტყველებსო. ნათქვამია, წარჩინებულის თითები უბეკდოდ დროშის ტარსა ჰგავს უაღმოდო. ბეკედი თითს ისე ამშვენებს, როგორც სარტყელი — წელს — და სარტყელშემორტყმული წელი ხომ უფრო ლამაზია!

ბეკედი წარჩინებულთა თითზე ნიშანი იყო სრული კეთილშობილები-სა, ძლიერი გონებისა და ქეშმარიტი გამბედაობისა, რადგან ვინც მართლა კეთილშობილია, მას ბეკედიც აქვს, ვისაც ძლიერი გონება აქვს, გაუბედავი ვერ იქნება, ხოლო ვინც ქეშმარიტად გამბედავია, მას ბეკედიც ექნება. თუ დიდებულის წერილი დაუბეკდავია, ეს მის გაუბედაობასა და გონების უძლურებაზე მეტყველებს, დაუბეკდავი ხაზინა კი სიზარმაცისა და უღარდებობის მაჩვენებელია. სულეიქანმა, — მშვიდობა მას! — იმის გამო, რომ ბეკედი გააფუქა, მეფობა დაკარგა.

დიდებულება საბეკდავ ბეკედს ახლავს და არა თითის სამკაულს. ხოლო წინასწარმეტყველი (ალაჰიმეც აკურთხებს!). თითზე ბეკედს ატარებდა და, როცა რომელიმე ოლქში წერილს გზავნიდა, ბეკედს დაარტყამდა ხოლმე. ამიტომაც, როცა ფარვიზს მისი წერილი დაუბეკდავი მიუვიდა, საშინლად განრისხდა, წერილი წაუციოთხავად დაწია და თქვა, უბეკდო წერილი უქულო ვაჟაკსა გავს, ვაჟაკს კი საკრებულოში უქულოდ ყოფნა არ შეშვენისო!

როდესაც წერილი დაბეკდილი არ არის, ვისაც მოუხდება, ყველა შესძლებს მის წაკითხვას, ხოლო როცა ბეკედი აქვს დარტყმული, ის წაკითხვას ვისაც გაუგზავნის.

ბრქენ ხალხს უთქვამს, ხმალი და ყალამი ხელმწიფის მსახურნი არიან, — ხელმწიფის ბეკდის ბრძანების თანახმად იპყრობენ და მართა-

ვენ სახელმწიფოს, რადგან თუ ის არ ისურვებს, ხმალი და ყილაში ვერაფერს გახდებოდა.

ყველა სხვა სამკაული შეიძლება ატარო ან არ ატარო, თითის შესამკობი ბეჭდის გარეშე ყოფნა კი არასოდეს არ შეიძლება, რადგან ბეჭედი სწორედ ის მოსართავია თითისა, რომელიც მაღალი ღმერთის (დიდებულ არს სახელი მისი!) ერთადერთობას გვაჩვენებს და მის მწყალობლობაზე მიგვანიშნებს. სწორედ ისევე, როგორც მოასპარეზე, რომელიც თავს გამოიჩინს და დიდებულს მიუახლოვდება, რომ მან წყალობა უბოძოს და სხვა შემორებისაგან გამორჩევით მეტად დააჩილოვოს. დიდებული მას ან ოქროს ყელსაბამს შეაბამს კისერზე, ან ოქროს ქამარს აჩუქებს წელზე შემოსარტყმელად, რათა გაიგონ, რომ მან თავი გამოიჩინა.

მრავალგვარი ბეჭედი არსებობს, მეფეებს კი მხოლოდ ორნაირის ტარების უფლება ჰქონდათ: ერთი მათგანი — იაგუნდისთვლიანი, რომელიც მზის ნაწილად ითვლება თვალ-მარგალიტთაგან, ძვირფას ქვათა მეფეა და შესანიშნავი თვისებები აქვს — ბრწყინავს, ცეცხლის არ ეშინია და აღმასის გარდა ყველა ქვასა ჭრის, აგრეთვე წყურვილისაგან მიყენებულ ზიანს არიდებს ადამიანს. გამიგონია, რომ როცა წინასწარმეტყველი (მშვიდობა მას!) მედინაში იყო და სანგრებში განიზრახა ბრძოლა, მედინაში ქოლერა ყოფილა გავრცელებული, რჩეულს კი (მშვიდობა მას!) თან იაგუნდი ჰქონია, ორიათს დინარზე ძვირად ღირებული. მეორე, თვალი ფირუზი ყოფილა თავისი სახელის, ნატიფი შესახედაობისა და მშვენიერების გამო. მას ავი თვალისა და ძილში შიშის არიდება შეუძლია.

ბეჭდით მკითხაობა და სიზმრის ახსნაც შეიძლება. ამის შესახებ მრავალი ამბავი თქმულა.

ზოგი ბეჭედი მეფეთა მიერ ვილაიეთებისა და სამეფოების მფლობელობაზე მიუთითებს, ზოგი — ადამიანის ხელობასა და საქმიანობაზე, ზოგი — დიდებულთა წარჩინებულობაზე, ზოგი კი იბბალსე; რომლის მოტანაც მას ძალუძს.

ამბავი. ამბობენ, ვიდრე ისქანდერ რუმელი ქვეყანას შემოივლიდა, სხვადასხვანაირ სიზმრებს ხედავდა, რომლებიც მას მიანიშნებდა, რომ მსოფლიო მისი იქნებოდა. იმ სიზმართაგან ერთი ასეთი ყოფილა: მთელი ქვეყანა ერთ ბეჭდად ქცეულიყო და ისქანდერს თითზე ჰქონდა ჩამოკმული, ოღონდ ბეჭედს თვალი არა ჰქონდა. როცა ისქანდერმა არისტოტელეს ჰკითხა, ეს რას უნდა ნიშნავდესო, მან უპასუხა: მთელ მსოფლიოს დაიპყრობ, მაგრამ ამით ვერ ისარგებლებ, რადგან ბეჭედი სასულთნოა, თვალი კი — სულთანი მისიო.

ამბავი. ამბობენ, რომ თურმე ერთ დღეს იეზიდოქორდ შაჰრიარი სასახლის ბაღში მერხზე იჯდა და თითზე ფირუზისთვლიანი ბეჭედი ეკეთა.

საიდანღაც ისარი მოფრინდა, ბეჭდის თვალს მოხვდა, დაამტვრია, გზა განაგრძო და მიწაში ჩაესო. არავინ იცოდა, ის ისარი საიდან გაჩნდა. ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს. მეფე დადარდიანდა და შეფიქრიანდა, — ნეტავ ეს რას უნდა ნიშნავდესო? ბრძენთა და კარისკაცთა ცკითხა, მაგრამ ამ ამბის ახსნა ვერავინ შეძლო, ხოლო ვინც მტირედი მაინც იცოდა, თქმას ვერა ბედავდა. ამის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ იეზიდვიერდი გარდაიცვალა.

მისმა საგვარეულომ ტახტი დაკარგა.

ამბავი. ამბობენ, რომ როცა მუჰამად ამინი მართლმორწმუნეთა მბრძანებელი იყო, ერთხელ სასახლის ბაღში აუზის ნაპირას იჯდა, იაგუზდის-თვლიან ბეჭედს თითზე ატრიალებდა და ლექსად ამ ანდაზას ამბობდა:

ჩვენ ძვირფას ადამიანებს თავებს უეჩხავთ,
მაგრამ ისინი უფრო ურჩები და უსამართლონი არიან“.

მუჰამადი მამუნს გულისხმობდა, რომელიც მას ეურჩა. ამ დროს თავის მხევალს რალაყაზე განურისხდა და გაბრაზებულმა ის ბეჭედი ჩასცხო. ბეჭედიდან თვალი ამოვარდა და თვალიც და ბეჭედიც აუზში ჩაცვივდა. რამდენი არ ყვინთეს წყალში, რამდენი არ ეძებეს, აუზი დაცალეს კიდევ, მაგრამ თვალი მაინც ვერ იპოვეს. თვლის ადგილას ბეჭედში ერთი თეთრი ქვა გაქედილიყო.

მას შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ცალთვალა თავიერი მოვიდა, მუჰამად ამინს შეებრძოლა და სწორედ იმ სასახლეში მოკლა.

ესეც ბეჭდის შესახებ ითქვა.

ხსენება ჯეჯილისა და მცირე რაზმ ყუბაღსალები მასთან დაბავში ჩემით

ახლადღერილ ქერს ირანელი მეფეები ყეთლისმომასწავებელ ნიშნად თვლიდნენ, რადგან ქერი ძალიან სასარგებლო მცენარეა. საკვებ მარცვლეულთაგან ყველაზე სწრაფად ის ამოდის. ქერზე ანდაზად ამბობენ: ორმოც დღეში ბელლიდან ისევე ბედელს ებრუნდებაო. სადაც არ უნდა გადაადგო, ამოვა და ყველა მარცვლეულზე მალე გაიზრდება. ქერი წამლადაც გამოდგება და საჭმელადაც. ბრძენთა და განდეგბთ თავიანთ საკვებად სწორედ ქერი აურჩევიათ. უთქვამთ, რომ მისი ქამისაგან სისხლი არა ქუჭყიანდება, არა ფუჭდება და გულის არევის საჭიროებასაც არ იწვევს. ადამიანს სისხლისა და ნაღვლის აკადმყოფობებისაგანაც კარგად იცავს. ერაყელი ექიმები მას კურთხეულ წყალს ეძახიან.

სწორედ ქერს მოაქვს სარგებელი ოცდართხი ცნობილი სნეულებისათვის, მათგან: სიღამწერის, ფალტვების ანთების, ციებ-ცხელების, ტიფის,

ხველების, ცხელების, საერთო სისუსტის, ქლექის, ღვიძლის ქვიშის, კუ-
ქის შეკრულობისა და წყალმანქისათვის. სასარგებლოა აგრეთვე საშოს,
თავის, მკერდის, გვერდის, ღვიძლის, კუქის, მოტეხილობის, ამოვარდნი-
ლობის, ნიკრისის საფენებისთვის და კიების წინააღმდეგ.

ქერის ზეთი ყვითელ ქავილს სპობს, ხორბლის ზეთი კი შავს, ხოლო
იმისთვის, ვისაც ძვლები სუსტი აქვს და ფეხზე დგომა არ შეუძლია,
ქერის ქათო ქვაბში უნდა ჩაყარონ და კარგად წამოადუღონ, ხოლო
ვისაც ტერფის და მუხლის მეყსები ეკრუნჩხება, ფეხები ქერის წყალში
უნდა ჩადგას, რომ შეება იკრძნოს. ხორბლის ქათოს გამოყენებაც ასე-
ვე შეიძლება, ნაცადი არის.

ბაღდაღში ქერს აადულებენ, მის წვეს გაწურავენ, მერე ქუნჯუთის
ზეთთან ერთად ადულებენ, ვიდრე წყალი არ ამოქრება და ზეთი არ დარ-
ჩება. იმ ზეთს ყვითელ სიმსივნეს უსვამენ, სასარგებლოა. თუ ქალები
საშოს დაავადებისა და სიმსივნის დროს ბამბას მასში დაასველებენ და
დაიდებენ, ძალიან შველის.

ამბობენ, რომ თუ ღამე, მთვარის დაბნელებისას ქერის დათესვას
მოახერხებენ და იმის პურს სულთ ავადმყოფებს აქმევენ, შველის, ხო-
ლო როცა მთვარე ივსება და ასპიროზის პირდაპირ დგას, თუ იმ დროს
ქერს დათესავენ და მას მკლე ცხენი მოძოვს, გასუქდება.

ქერის დახმარებით წლის ავ-კარგიანობის შეტყობაც შეიძლება: რო-
მელ წელიწადსაც ქერი სწორად და თანაბრად იზრდება, ის წელიწადი
მოსავლიანი იქნება, ხოლო როცა დაღრეცილად და არათანაბრად, — იმ
წელს მოსავალი არ მოვა.

ცნობილია, რომ წინასწარმეტყველს (მშვიდობა მას!) უთქვამს: „უვე-
ლაზე საუკეთესო პური ქერის პურია და ვინც ამ პურით კმაყოფილდე-
ბა, იგი მას ანაყრებს, რადგან ქერის ხშიადი ჩემი პურია და პური სხვა
წინასწარმეტყველთა“.

გრძნეული მოხუცები ქერით მკითხაობენ და ავისა და კარგის შესა-
ხებ წინასწარმეტყველებენ, ხოლო სასწაულმოქმედი მექექს ნამგალა
მთვარის დროს ქერით შეულოცავენ, შემდეგ კი მექექს დააფარებენ,
ვიდრე ის არ მოძვრება.

ზოგი ქალი ფარვარდინის თვეში ქერს ოქროს ფრთით ასველებს და
თავისი ქალიშვილის სახელით თესავს (?). ხოლო თუ ქერს თავზე დაიდებ,
თმა გაგზრდება.

ამბავი. ერთხელ თურმე ხოსროს მამა, პორმუხი აბიბინებუი ქე-
რის ყანის მახლობლად მიდიოდა. ჭეჯილი მოერწყათ. წყალი ნათესიდან
გამოდიოდა და გზაზე იღვრებოდა. პორმუხმა იმ წყლის დალევა მოინ-
დომა და დოქის ავსება ბრძანა.

ასე თქვა: ქერის მარცვალი დალოცვილია, მისი ჭეჯილი — მადლიანი,
ხოლო წყალი, რომელიც მასში გაივლის და გარეთ გამოვა, დადლილობას

ამცირობს და კუჭის ტკივილს არჩენს და ის, ვინც ამ წყალს დალევს, წყურვილით ტანჯვისა და ავადმყოფობისაგან დაცული იქნება მომავალ წლამდე, ვიდრე ქერი კვლავ შემოვაო.

ამბავი. ერთხელ შამს ალ-მოლუქ ყაბუს ვოშმაგირს მოახსენეს, სასახლეში ერთი კაცი მოვიდა, შეუქაზმავი ცხენი მოიყვანა და ამბობს, საკუთარ ყანაში დავიჭირეო. ჰკითხა, ხორბლის ყანაში თუ ქერისაშიო? უპასუხა, ქერისაშიო. მაშინ ბრძანა ცხენის პატრონი მოეყვანათ. მწიფე ქერის ყანის საფასური გამოართვა, მიწის პატრონს მისცა და უთხრა: ამბობენ, რომ თუ გლეხებს სურთ, კარგი ქერი ამოვიდეს, ამ დროს ცხენებს უშვებენ ყანაში. ჩვენ კი ეს ჯარიმა ჰკუის სასწავლებლად გამოვართვიო, რომ ცხენების პატრონებმა თავიანთ ცხენებს მიხედონ და სხვის ყანაში არ შეუშვან, რადგან ქერი წინასწარმეტყველთა და განდევილთა საკვები არის, ხალხისა, რომლის დახმარებითაც მყარდება სარწმუნოება, და საკვები ოთხფეხთა და სასაპალნე პირუტყვთა, რომელთა მეშვეობითაც დგას ქვეყანა ფეხზეო.

ამბავი. ამბობენ, რომ ადამი (მშვიდობა მას) ხორბალს ჰკამდა. იგი სამოთხიდან გააძევეს. მაღალმა ღმერთმა საკვებად ხორბალი დაუწესა, მაგრამ რამდენიც არ უნდა ეჭამა, მაინც ვერა ნაყრდებოდა. ეს ამბავი მაღალ ღმერთს შესჩივლა, ღმერთმა ქერი გამოუგზავნა, ადამმა პური გამოაცხო, მიირთვა და დანაყრდა. მას შემდეგ, როგორც კი ნორჩსა და ამწვანებულ ქერს დაინახავდა, კეთილისმომასწავებელ ნიშნად თვლიდა.

სწორედ იმ დროიდან მოყოლებული მოითხოვენ ქერს ირანელი მეფეები ყოველი წლის ნოვრუზს, რადგან იგი სასარგებლოა და კურთხეული.

მცირე რამ მშვენიერი სახის შესახებ

მშვენიერ სახეს სწავლულები დიდ ბედნიერებად თვლიან და მისი დანახვა კეთილისმომასწავებელ ნიშნად მიაჩნიათ. ამბობენ, რომ ლამაზი გარეგნობის მაღლი ადამიანზე ისეთსავე გავლენას ახდენს, როგორც ცაზე მნათობთა კეთილსასურველი განლაგება, მსგავსად სამოსისა, რომელიც სკივრში იდო ნელსაცხებელთან ერთად, მერე კი ნელსაცხებლის გარეშეც გამოსცემს იმ სურნელებას: ან კიდევ მზის გამოსახულებისა, წყალი რომ ირეკლავს და მისი დანახვა მზის შეუხედავადაც შეგვიძლია — სახის მშვენიერება მნათობთა ბედნიერი განლაგების გავლენის შედეგია, რომელიც მაღალი ღმერთის ნებით ერგებათ ხოლმე ადამიანებს. სილამაზე ქებულია ყველა ენაზე, მოწონებულია ყველა გემოვნების

მეორე. ქვეყნად ბევრი რამ არის ღამაში, ადამიანს რომ ახარებს და ახალისებს, მაგრამ მშვენიერ სახეს ვერაფერი შეცვლის. იმიტომ. რომ ღამაში სახეს სისარული მოაქვს, ისეთი სისარული, რომელსაც ვერცერთი სიამოვნება ვერ შეცვლდება.

ამბობენ, რომ მშვენიერი სახე ამქვეყნიური ბედნიერების მიზეზია, ხოლო თუ კეთილი გარეგნობა კეთილ ხასიათს ახლავს, ბედნიერება უკიდურესობას მიაღწევსო. შინაგანად და გარეგანად ღამაში ადამიანი ღმერთს უყვარს და ადამიანთა სიყვარულსაც იმსახურებს.

მშვენიერ გარეგნობას ოთხი თვისება აქვს: ჯერ ერთი, მნახველს იღბლიან დღეს უთენებს, მეორეც, ცხოვრებით ტყობას სასიამოვნოს ხდის, მესამეც, ადამიანს ვაჟკაცობასა და გამბედაობას ანიჭებს, და მეოთხეც, ქონებასა და მდგომარეობას მატებს. თუ ადამიანს დღისით პირველად მშვენიერი სახის დანახვა გაამხიარულებს, ეს მხიარულება ბედნიერების მიზეზად ექცევა, გამარჯვების ბედნიერებისა. იმ დღეს მას მხოლოდ სისარული შეხვდება. როცა ადამიანს გვერდით ვინმე მშვენიერი უზის, ის დიდად ინეტარებს და ყოველგვარ სადარდებელს დაივიწყებს.

ღამაში ადამიანის დანახვისას ყველას, უღირსსა და სულმოკლესაც კი, ვაჟკაცობა და სულგრძელობა დაეუფლება. მშვენიერი სახის მქონეს ხალხი პატივისცემით უყურებს და ისიც საკუთარი სიამოვნებისათვის აზრის მეტად გავარჯიშებას ცდილობს.

ღამაში სახე მოხუცს აახალგაზრდადებს, ახალგაზრდას აბავშვებს, ბავშვს კი სამოთხისეულად აქცევს. მოციქულს (მშვიდობა მას!) უთქვამს: „რაც დაგჭირდეთ, პირმშვენიერო მოსთხოვეთ“.

მშვენიერი სახე ყველა გამპირიასს დაუხასიათებია და მისთვის რამე მეტსახელი უწოდებია: ზოგს „სიყვარულის მოედანი“, ზოგს — „მხიარულების ველი“, ზოგს — „ტრფობის ბაღი“, ზოგსაც — „ქმნილების სამკაული და სამოთხის ნიშანი“. ფილოსოფოსთა მეცნიერების უხუცესთ უთქვამთ, რომ იგი ნიშანია ღვთაებრივი ქმნილებისა, სიბრძნის შესწავლის წყურვილისა და ზედ შემოქმედის კვალი ატყვია, კვალი, რომელიც მისი ბუნების სიკეთეზე მიგვიტოლებს.

ბუნებისმეტყველნი თვლიან. რომ ყველაფერს სიმცირე, სიჭარბე და ზომიერება აქვს. მშვენიერება ზომიერების დარია და ყველაზე უკეთესი ის სახეა, რომელშიც ზომიერებაა დაცული და რომელიც თავის თავს ერთიანობაში წარმოგვიდგენს. ეს ქვეყანაც ხომ ზომიერების წყალობითა დგას ფეხზე და მისგანვე არის აყვავებული.

სულთა გადასახლების მოძღვრების მიმდევრები ამბობენ, რომ მშვენიერი სახე შემოქმედის წყალობაა იმ სიწმინდისა და თავშეკავების საფასურად, რაც მორჩილს გაუკეთებია და ამის გამო იგი მას თავისი სხივით აჩილდოვებს.

განსწავლულთ უთქვამთ, სიღამაზე აღია სინათლისა, რომელიც მას

ასხივოსნებსო. ზოგს კი უთქვამს; რომ იგი შარავანდელია გონებისა და წვიმაა მაღლისა, სიბრძნის ბაღს რომ. ანახლებს და სიბერის ხეს რომ აყვავებს. სხვები თვლიან, რომ სილამაზე ნიშანია ქეშმარიტებისა, რომელიც ქეშმარიტების მძებნელთ სინამდვილეს აჩვენებს, რათა ამ სინამდვილით ქეშმარიტებას დაუბრუნდნენ.

მშვენიერი გარეგნობის შესახებ ბევრი თქმულა. ყველაფერი რომ გავიხსენოთ, სიტყვა გაგვიგრძელდება. სჯობს, ისევ აბაღალა თაქერის ამბავი ვთქვათ.

ამბავი. ამბობენ, რომ ერთხელ აბაღალა თაქერმა ერთ-ერთი სამხედრო ღიღებულთაგანი შეიპყრო. მის თაობაზე ბევრს სთხოვდნენ, მაგრამ გული მაინც არ მოუბრუნდა. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ იმ კაცის განთავისუფლების იმედი ყველას გადაუწყვდა.

იმ ღიღებულს ერთი ენამკვეერი მხევალი ჰყავდა. მხევალმა არზა დაწერა და, როცა აბაღალა თაქერმა სასამართლო დაიწყო, სახე დაიფარა, ეახლა, არზა მიართვა და მოახსენა: „პოი, ემრო! ვინც ჰპოვოს; — გასცეს, და ვინც შეძლოს, — შეუხდოს“. აბაღალამ უთხრა: „მხევალო, შენი პატრონის ცრდვა ისე დიდია, რომ პატიების შესაძლებლობას აღემატება“. — „ჩემი მოსარჩლე შენ წინაშე ისე ძლიერია, რომ მისი უკუგდება შეუძლებელია!“ — უპასუხა ქალმა.

ჰკითხა: „სად არის ის მოსარჩლე. რომლის უკუგდებაც შეუძლებელია?“ — მხევალმა ხელი მოიშორა, სახე აჩვენა და უთხრა: „აი, ჩემი მოსარჩლე“.

აბაღალა თაქერმა მხეველის სახე რომ დაინახა, გაიღიმა და თქვა: „ღიღია ქომაგი, რომელიც შენ წარმომიდგინე და საპატიოა თხოვნა შენი“. ამ სიტყვის თქმა იყო და ბრძანა, ის მხედართმთავარი გაეთავისუფლებინათ, ხალათი უბოძა, პატივი სცა და სიკეთით აავსო.

ეს იმისთვის მოგახსენეთ, რომ იცოდეთ, რა დიდია ღირსება მშვენიერი სახისა და რაოდენია პატივისცემა მის მიმართ.

ამბავი. ამბობენ, რომ ერთხელ სულთანი მაჰმუდი სანახაობის საყურებლად იყო წასული და მინდვრით ბრუნდებოდა ქალაქში. იმ დროს ჯერ კიდევ ემირი იყო და მამა ცოცხალი ჰყავდა. ქალაქის კარიბჭეს რომ მიადგა, მაყურებელთა შორის ძონძებში გახვეულ თორმეტიოდე წლის ბიჭს მოჰკრა თვალი. იშვიათად ლამაზი და ტანადი ქმნილება იყო. მაჰმუდმა სადავე მოზიდა და ბრძანა, ეგ ბიჭუნა აქ მომგვარეთო! როცა მიჰგვარეს, ჰკითხა: ბიჭო, ვისი ხარ ან ვინა ხარო? ბიჭმა მიუგო: მამა აღარა მყავს, დედა კი მავან უბანში ცხოვრობსო. სულთანმა ჰკითხა, რასა სწავლობო? — ყურანს ვიზეპირებო, — უთხრა ბიჭმა. ბრძანა, ბიჭუნა სასახლეში წაეყვანათ.

როცა სულთანი სასახლეში დაბრუნდა, ბიჭუნა იხმო, ყველაფერი გამოჰკითხა და რამდენიმე საქმის გაკეთება დაავალა. ბიჭი ძალიან მარჯვე

და მოხერხებული გამოდგა. იღბალიც ხელს უწყობდა. სულთანმა ბრძანა, მისი დედა მოეყვანათ და უთხრა: „მე შენი ბიჭი შეილად მივიღე და აღვზრდი, შენ მისი დარდი ნუ გექნება“. მერე დააჯილდოვა ქალი, ბიჭს კი აბრეშუმის სამოსი ჩააცვა და აღმზრდელები მიჰგვარა, რათა წერაკითხვა, სიბრძნე, იარაღის ხმარება და ცხენზე ჯდომა ესწავლებინათ.

დაავალა, ყოველდღე, განთიადისას, ვიღრე მიღებას დაეიწყებდე, უნდა შეახლოო. და ბიჭიც ყოველ დღით თავის დროზე ცხადდებოდა ხოლმე მასთან. თავისი ოთახიდან რომ გამოდიოდა, სულთანი პირველად მის სახეს ხედავდა, მისი მიზანი კი იმის შემოწმება იყო, მართლა შეეძლო თუ არა ბიჭის ნახვას მისთვის. წარმატების მოტანა. ოთახიდან რომ გამოვიდოდა და პირველად მას დაინახავდა, იმ დღეს, რა წადილიც არ უნდა ჰქონოდა, აუცილებლად აისრულებდა. ლამაზი ტანსაცმლისაგან ამ ბიჭის სილამაზემ ერთიასად იმატა. სულთანი დღითი დღე სულ უფრო და უფრო იახლოვებდა ბიჭს და მასაც თანდათან ღირსება ემატებოდა, სულთანი კი წყალობასა და სიკეთეს არ აკლებდა, მეტად ენდობოდა და კარგადაც ეპყობოდა. ბიჭის ეშხი და დიდებულებაც სულ მატულობდა და მატულობდა. სულთანს ისე შეუყვარდა, რომ უიმიოდ ერთ საათსაც ვერა სძლებდა. ბიჭი უკვე თერამეტა წლისა გახდა და მისი მშვენიერებაც ერთიად გაიზარდა. მისი დანახვის წყალობით სულთანს ბევრ საქმესა და ლაშქრობაში ემართებოდა ხელი — დაიმორჩილა ინდოეთის რამდენიმე ვილაიეთი, ხელში ჩაიგდო ხორასნის ქალაქები და სულთანიც გახდა.

ერთ დილას ბიჭს შემთხვევით დააგვიანდა. სულთანს უიმიოდ მოსწყენოდა და როცა ბიჭი ეახლა, რისხვითა და ბრაზით შესძახა: ერთი ამას დამიხედეთ! შენს თავს ვეღარა სცნობ?! ნუთუ არ გახსოვს, საიდან ამოგათრიე, სადამდე მოგაღწევიანე და რა სიკეთითა და წყალობით აგავსე?! როგორ ვაბედე და მთელი ერთი საათის დაგვიანებით გამოცხადდიო?!!

მამუდი რომ გაჩუმდა, ბიჭმა უთხრა: სულთანო, მოსმენა ინებეთ! ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორცა ბრძანებთ. მე, უღირსი, მტვრიდან ამომიყვანეთ და ცას მიმალწვევინეთ. ერთი ლატაკი ეცაყვი, აბლა კი ღვთის წყალობით ხუთასი ათას დინარზე მეტის მფლობელი გავხდი: მამულები, პირუტყვი, მონები და ახატნი რომ არად ჩავადგოთ, ბატონის საბრძანებელში თქვენს მონა-მორჩილზე მეტი ხარისხი არავის აქვს; მეფემ ისეთი სიდიადე და ღირსება მომანიჭა, მაგრამ მე უღირსი, ყველა ამ სიკეთის, წყალობის და ხარისხის გამო, რომელიც ჩემთვის გიბოძებიათ, დამადლებასა და დაყვედრებას არ ვიმსახურებ. ეს ისევ თქვენს გულს უნდა დააბრალოთ, რადგან მე, უღირსი, თქვენი გულის გამო ამავესეთ სიკეთით. ჭერ ერთი, იმიტომ, რომ ჩემი სახე თქვენთვის კეთილისმომასწავლებელი იყო და მეორეც, იმიტომ, რომ მე, უღირსი, მეფის სამზერო, მისი გულის ბალი და ყვავილნარი ვარ, და თუ მეფე თავის სამზერს რთავს,

არავის უნდა დააყვედროს, თუმცა სამაგიეროდ, მე, უღირსი, მადლობასა და ლოცვას ვუძღვნიო.

მეფეს ბიჭის პასუხი საოცრად მოეწონა, წყალობა უბოძა და პატივი სცა.

...დიდებულთა და მართლისმეტყველთ. ბევრი რამ უთქვამთ სილამაზის მნიშვნელობის შესახებ. ასე ბევრი იმიტომ ვილაპარაკეთ, რომ იცოდეთ, ღვთის ამ მადლისა და წყალობის ღირსება რამდენად მაღალია და როგორ აფასებდნენ დიდებულები მშვენიერებას.

ეს წიგნი კეთილის წინასწარმეტყველებისათვის ლამაზი სახის ამბით დავასრულოთ, რათა დალოცვილი იყოს მწერლისთვისაც, და მკითხველისთვისაც.

ხაყანი შირვანელი

აზერბაიჯანელი პოეტი, წერდა სპარსულ ენაზე. დაიბადა 1129 წელს, ცხოვრობდა და შემოქმედებით შოღვაწეობას ეწეოდა შირვანში; თავრიზში, აგრეთვე თბილისში. ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სამეფო სახლთან და სარგებლობდა ქართველი მეფეების პატივისცემით, თავის ლექსებსა და წერილებში აქებს და სიყვარულით იხსენიებს საქართველოს. გარდაიცვალა 1199 წ. დასაფლავებულია ქ. თავრიზში.

• • •

ტოტი ქვეყნისა, ხაყანის აზრით,
ნაყოფს ისხამდეს, არა ღირს იმად.

ტკბილეულობით გაშლილი სუფრა,
ბუზს ხელს უქმევდე, არა ღირს იმად.

ხოტბას ასხამდე მბრძანებელს შენსას —
ოქრო და ვერცხლი არა ღირს იმად.

გოგონას სიკვდილზე

ჩემმა კვვიანმა, შორსმკვრეტელმა, პაწია ცირამ
ნახა, სიცოცხლე ამათა, არა ღირს ჩირად.

და საჩუქარმა, ნაბოქებმა იღუმალებით,
არ დააყოვნა, არ დაიდო სოფელში ბინა.

წმინდანად იყო მოვლენილი, ამქვეყნად, იგი
უწმინდურება მცირე ხნითაც ვერ მოითმინა.

ნახა მწუხარე, ღარიბული სადგომი ჩემი,
წავიდა ჩუმად, დათუთქული დამტოვა შინა.

ნახა დაია მან თავისი სუდარით ჩადრის,
ესეც კმარაო, გაიფიქრა, ოჯახში ჭირად.

• ცოლის სიკვდილზე

გადახმა ბალი, არეს მორთულს აწ ვერა ვხედავ,
ტანჯული სული, უსაშველომ, შეიპყრო სევდამ.

აღარ მომიწევს არასოდეს აწ შენთან ყოფნა,
აღარაფერი გულს არ ატკობს, დავდივარ ობლად.

შენი ალერსი ჩემთვის იყო სიცოცხლის წყარო;
ახლა ცეცხლი მწვავს მწუხარების, ვით გავიხარო?!

შენმა სურნელმა გამიცოცხლა სხეულში გული,
სურნელი იგი სამუდამოდ ჩანს დაკარგული.

მაცოცხლებელი იმ სურნელის გარეშე რა ვარ,
მიმართო ვილას, ჩემი სული განკურნოს რალამ?

სიმძიმის ჩემსას აღარ უჩანს ამქვეყნად ბოლო,
ღრო გადის, მაგრამ შემატება ტკივილი მხოლოდ.

ჩაყუჩებულხარ ჩემს თვალებში, ვითარცა მტრედი,
და არაფერი აღარა ჩანს, იმ მტრედის მეტი.

უგონოდ ქმნილი, ამა ქვეყნად ეული დავალ.
აღარ მინახავს მიწის პირზე შენს მეტი ალვა.

არ ვიცი ზეცას უბედურმა ეხედო რაზე,
როცა შენს მეტი არ მეგულის ამქვეყნად სხვა მზე.

რადღაც ვთესავდი ტანჯულ გულში სიამის მარცვალს,
თუკი თავთავი საოცნებო არა და არ ჩანს.

გულის სარკეში ჩაეიხედავ, გიხილო რათა,
გულის სარკეში აღარა ჩანს რამე შენს გარდა.

ვიდრე იმ ქვეყნად არ მომიწევს შეხედრა შენთან,
რამ მანუგეშოს, განმიქარვოს რაილამ სევდა?

თვალთაგან დამდის უღვეველი ცრემლების დვარი,
ვერ გამოგია, ეს ცრემლია თუ წარღვნა არის.

გულში სხვა განძი ვერა ვპოვე ფართული რაბე,
ვიდრეა შენი საიღუმლო და სინარნარე.

ოდეს დადგება სანატრელი დღე აღსასრულის,
მხოლოდ და მხოლოდ შენ იქნები ნუგეში სულის.

რად მეუბნები, დავუბრუნდე ცხოვრებას ისევ,
უშენოდ, აბა, რაღას ჰქონდეს აქ სიხალისე?!

არა, უშენოდ დამშვიდებას აწ აღარ ველი,
არამც თუ ცხადში, სიზმარშიაც გაქრა ყოველი.

რას ეკითხები, რაღასა თხოვ ხაყანის აწი,
მისებრ საბრალოს ქვეყანაზე ვერ ნახავს კაცი.

ისეთ დღეშია, საცოდავი, შთენილი ობლად,
რომ კაცი მტერსაც არ უსურვებს მის დღეში ყოფნას.

თავრიზის მიწას არ ჰქონია საფლავი დღემდის
უფრო მწუხარე, უფრო წმინდა, მომგვრელი ცრემლის.

საადგილო შირაზელი

დაბადებული უნდა იყოს 1203 — 1208 წლებს შორის. ადრე დაობლდა, მისი ხანგრძლივი სიცოცხლე (გარდაიცვალა 1292 წ.) დაემთხვა მის სამშობლოში მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის ხანას. უცხოეთში (არაბულ ქვეყნებსა და ინდოეთში) ღიღი ხნის ხეტიალს შემდეგ მოხუცებული მწერალი დაუბრუნდა მშობლიურ შირაზს და აქ შექმნა მსოფლიო ლიტერატურის შედევრები: „გოლესთანი“ და „ბუსთანი“. დარჩა მთელს ირანულ სამყაროში გახმაურებული სატრფიალო და რჩევადამრიგებლობითი ხასიათის ლექსები. დასაფლავებულია ქ. შირაზში.

რჩევა-ღარიბებანი

* * *

თუ ქვეშევრდომის ბაღში ხელმწიფემ
დაუკითხავად მოწყვეტა ვაშლი,
მისი შემყურე ლაშქარი იმ ბაღს
ძირფესვიანად ამოთხრის მაშინ.

* * *

გამიგონია, მორწმუნე კაცი
არ მიაყენებს მტერსაც კი წყენას.
ნეტა როდისღა უნდა გეშველოს,
თუ ახლა ჩხუბობ მოყვრებში შენა.

* * *

* თუ გასურს მოიგო მეგობრის გული,
გაყიდე მამის ეზო და კარი.
მეგობრის ქვების ასადუღებლად
შენი ავეჯი ალალი არის.
სრკეთე უყავ ავის მოსურნეს,
ძალღს პირს შეუკრავს პატარა ძვალი.

• • •
საჭმელი უნდა იმიტომ ჰქაძო,
რომ იარსებო ბოლოს და ბოლოს.
შენ კი გგონია, არსებობ მისთვის,
ამოიყურო მუცელი მხოლოდ.

• • •
სახლი, რომელსაც მეზობელი ჰყავს შენისთანა,
ათი ღირემი თუ იქნება იმისი ფასი.
მაგრამ იმედი ვიქონიოთ, როცა მოკვდები,
ის ეღირება უსათუოდ ასი ათასი.

• • •
სიტყვა, თუნდ იყოს საამო და დამპყრობი გულის,
იმსახურებდეს მოწონებას, ყველასგან ქებას,
ერთხელ ნათქვამი არასოდეს გაიმეორო,
ზედმეტი ჰალვა უსათუოდ მოგიტანს ვნებას.

• • •
მიცვალეული რომ გაცოცხლდეს, დაბრუნდეს სახლში,
განაწილება უნდა ნახო ქონების მაშინ.
მემკვიდრეთათვის იქნებოდა უფრო რე ძნელი
გაყოფა ფულის, ვიდრე მისი სიკვდილმ მწველი.

• • •
როცა მხევალი ტურფა არის და მშვენიერი,
ის უხეშია, პირქუშია და უკადრისი.
მაგრამ როდესაც ამოუვა სახეზე წვერი,
მაშინდა ნახეთ მეგობრობა და სითბო მისი 94.

• • •
ნუ მიხვალ კეთილ მეგობართან მწუხარე სახით,
არ გაუფუჭდეს ხასიათი მას შენი ნახვით.
კეთილმოსურნეს ეახელი ღიმილის მჩენი,
რომ გაუხარდეს მას თრწილად დანახვა შენი.

• • •
თუ შეიყვარა ბატონმა მონა,
მის სილამაზეს ის დაემონა,
მონად იქცევა ბატონი მაშინ,
ხოლო ბატონად იქცევა მონა.

• • •
ლომი, რომელმაც გაიწოდა მსხვერპლისთვის თათი,
ძაღლის ყუფაზე არ შეერთება, არა აქვს დარდი.
ლოყა ლოყაზე მიაწებე ძლიერად სატრფოს,
არად ჩააგდო, მტერმა ხელზე გიკბინოს ამ დროს.

• • •
დამახსოვრე, ძმაო, ბრძოლის დროს
არ შეურაცხყო უძლოური მტერი.
თუ გადარჩენის დაჰკარგავს იმედს,
ტვინს ანთხევიანებს ლომს იგი ხელი.

• • •
კაცი საწყალი და უქონელი
მსუბუქად მივა სიკვდილის კართან.
მაგრამ მდიდარი უნდა იხილო,
როს გაეცლება წყალობის კალთა.
მონისთვის ხუნდის აყრას ჰგავს ეს და
ემირისათვის ბორკილის დაყრას.

• • •
სიხარულისთვის დახშულია იმ სახლის კარი,
წივილ-კივილი საიდანაც მოისმის ქალის.

• • •
თუ ვინმე მოვა, ღამე ძალით ჩაგიქრობს სანთელს,
ხალხის წინაშე მოკვალ იგი, ვინც ბედავს ამდენს.
და თუ გეწვია პირმცინარი, ლამაზი სატრფო,
გულში ჩაიყარ, თვით ჩააქრე სანთელი ამ დროს.

* * *

• თუ სასახლეში არავის იცნობ,
ნუ მიადგები სასახლის კარებს.
თორემ ან ძალი, ან კარისკაცი,
საკმარისია, შეგავლებს თვალებს —
ერთი ფეხებში გეცემა, ხოლო
მეორე გისვრის კინწისკვრით გარეთ.

* * *

ენახე შუადღე: უღმობელ მტარვალს
ძილისთვის ტკბილად მიეცა თავი.
ვთქვი, რომ ეს კაცი კარგია მაშინ,
როცა მკვდარივით მძინარე არის.
ის, ვინც კარგია მძინარე მხოლოდ,
უმჯობესია, რომ იყოს მკვდარი.

* * *

ათასი ცუდი ჩაიღინოს ღერვიშმა თუნდაც,
ამის შესახებ მეგობრებში აღარა ისმის.
მაგრამ თუ მეფემ გაიხუმრა, საკმარისია,
მთელ ქვეყანაზე მიმოიბრუნს ნათქვამს მისი.

* * *

არავის უთქვამს ფარშავანზე — უშნო აქვს ბოლო,
და არც ეშმაზე, რომ სამოთხის არის ფერია.
ავი და კარგი კარგად უწყის ადამის მოღვამე,
წიგნებში იმას კითხულობენ, რაც შიგ წერია.

* * *

• შენ ჰე, რომელიც ხალხს ასწავლი, არიგებ ვითომ;
რასაც ქადაგებ, შეისმინო ის უნდა თვითონ.
თუ აღარ ძალგიძს განკუთრება საკუთარ თავის,
მაშინ სხვის ნაკლზე ხმა გაკმინდე, დახუჭე თვალი.
„სახე გიჩანსო“, მოპთასები ჰკიცხავდა მეძავს,
თვითონ კი უკან გარღვეული შარვალი ეცემა!

• • •
როდესაც უწყვი, ჩამოვარდნა აღარ ავცდება,
მაგ სიმაღლეზე წამოჯდომა, აბა, რას გარგებს?
არ გირჩევენია ნება-ნება იარო ფეხით,
ვიდრე ამხედრდე ბედაურზე და ჩამოვარდე.

* * *
ნუ მოეპყრობი კეთილად ბოროტს,
რადგან იგივე ეს ცოდვა არის.
იქ, სადაც მგლები დადიან ლალად,
ძირფესვიანად გაწყდება ცხვარი.

• • •
კაცის და ქალის გამოცნობა არ არის ძნელი,
მტრის ალყაშია მოქცეული როდესაც ჯარი.
ვაჟკაცობაა — დამალული რკინაში ცეცხლი,
არა ჩანს იგი, ქვას რკინაზე თუ არ დაახლი.

• • •
უმჯობესია, მოთმინებით დალიო სული,
ვიდრე უღირსის წყალობისკენ გეჭიროს თვალი.
უმჯობესია, ცხელ ქვიშაზე მოკვდე წყურვილით,
ვიდრე ბინძურის გამოწვდილი დალიო წყალი.

• • •
ძაღვები ნახე, როს საკმეღი არაფერი აქვთ.
რარიგ არიან, ერთმანეთი ან როგორ უყვართ.
მაგრამ უკანალს დააგლეჯენ ერთიმეორეს —
საკმარისია, გადაუგდო მათ ერთი ლუკმა.

• • •
თუ მეფემ სისხლი საკუთარი აღარ დაღვარა,
მისი სამეფო დაიცილება სისხლისგან მაშინ.
უნდა ყოველდღე ერთი მაინც მოიკლას მგელი,
რომ მის ღრიალზე დანარჩენი შეძვრეს ბუნაგში.

ისლამური აღმოსავლეთის უდიდესი პოეტი-მისტიკოსი. დაიბადა 1207 წ. ბალხში. თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა თურქეთში, კონიაში, სადაც შექმნა სუფიური ორდენი „მევლევი“. დარჩა უზარმაზარი სუფიური ლიტერატურული მემკვიდრეობა, — ლირიკული ლექსები და პოემების თავისებური ციკლი „მესნევი“. გარდაიცვალა 1270 წ. მისი საფლავი წმინდა ადგილად აქვთ მიჩნეული.



ვინ ვნახე წუხელ, მეზმანა რაი,
 დღეს მთელი დღეა მთერალი ვარ რითა?
 აღმოვხდი გონის ბორკილებიდან,
 დავეხეტები მეჯნუნივითა.
 იქნებ ღვიძილში ვიხილე რამე,
 რადგან არ ვუწყვი მე დღე და ღამე,
 იქნებ მეზმანა ხატება შენი,
 ვისთვისაც მიწყვივ ღალადეყო მინდა.
 ჰე, კერპო ჩემო, ამ გვამსა შინა
 შენა ხარ სული და გიდევს ბინა,
 მე სანუგეშოდ არ მივის ხორცი,
 არცალა ვწუხვარ მის სიმძიმითა.
 ოღეს მიბრძანე: „დახიე ფარდა!“ —
 მიველ და ფარდა დავხიე უმალ.
 ოღეს კი მარქვი: „დაფშენი ჩამი!“ —
 მყის აგისრულე რაიც მოგინდა.
 ოღეს მათუწყე: „მოშორდი მოყვასთ!“ —
 მოვშორდი ყველას და შენთან მოველ.
 მაგრამ შენს მზერას ველარ გავუძელ,
 დამტოვე ასე სახტად და რინდად.
 ო, სულბ ჩემი შენ შეიერთე,
 რომ აღტაცებით შემოგვკრა ტაშიც;
 ოი, რამდენი სამყარო მოჩანს,
 მაგ შენთა თმათა ყოველ ბეწვიდან!

გადმოაფრქვევ ზილფები შენი,
ქვეყანას ამას რომ განვეცალო,
მეშვიდე ცამდე ავლზევდი, მაგრამ
აბა, უშენოდ აქ რაღა მინდა?!

* * *

ჩემს გემოზე მოვიშვი,
ყოვლი ავრი-დავრიე.
ქვას ვანარცხე თასები,
მე დღეს ღვინო დავლიე.
შენ ურწმუნო ჩინარო,
მუღამ პირმოცინარო,
მზესავით რომ ანათებ...
მე დღეს ღვინო დავლიე.
ხუნდად მადვეს გონება
უვარგისი ქონება,
შენ ხომ გრძნეულება ხარ,
მე დღეს ღვინო დავლიე.
რას შევხედო, რა მინდა,
თვალწინ ის თუ დამიდგა.
სისხლის დამდის მდინარე,
მე დღეს ღვინო დავლიე.
მერიქიფევე, ჩქარაო,
თასი თავანკარაო,
შენებურად მომართვი,
მე დღეს ღვინო დავლიე.
ის, ვინც დარდს ემონება,
დაუკარგავს გონება,
ჩემთან რა ესაქმება,
მე დღეს ღვინო დავლიე.
შენ, ჰე, სიბრძნის ქადაგო,
თავრიზულო ბადაგო,
აწი ერთად ვიქნებით,
მე დღეს ღვინო დავლიე.

იმ ღვინისაგან, რომლის სურნელით
აბორგებულნი, ასე ვარ მთვრალი...
ჰე, შერიქიფევე, ნულარ დამზოგავ,
უწყალოდ მცემე და შემიპყარი.

მე თუ ვარ ხელი, შენა ხარ გივი,
მცემე და მცემე, არ გქონდეს შიში. |
მეც დაგიმტვრიო ღვინის სასმისი
და დაგანგრიო აქამდე მყარი.

ხედავ? სიტყვები წალკოტად შექცა,
სტყვი, რომ „სატრფო ვარ, ღვთისა ვარ მეცა“.
მოიშვი ჩემთან დაღვინო შევსებათ,
ირგვლივ ყოველი სიზმარი არის.

ო, მოდი, მოდი, მოდი დიდებით,
ო, ისევ მოსვლას ნუ შემპირდები.
ო, მალე მესმას შენი სიტყვები,
ჩემი არსებაც გავხადო წყნარი.

მინდა, რომ ღვინის შეშლილ ქარებით,
ზეცას სწვდებოდეს ცეცხლის ალები.
მინდა, რომ შენი წყლის ელვარებით
მაქციო, როგორც თიხა და ავლი.

ისევ და ისევ, ჩემი სხეული
საყვარელ სატრფოს სურნელით მათრობს.
ისევ და ისევ, საკუთარ არსთან
ჩახუტებული ვბრუვდები მარტო.
ტრფობის წალკოტში გავედი წუხელ,
ოდეს მომედო კვლავ ცეცხლის ალი,
თვალთაგან წამსკდა მდინარე ცრემლის,
უთავბოლო და უმისამართო.
ო, შენი ბაგის ყოველი ვარდი
პირმოცინარი და შლილი ტურფად
გამოქცეოდა სიკვდილის მახვილს,
თავშესაფარი ეპოვა სანდო.
ყოველი ხე და ბალახის ღერო
თავაშეებული ცეკვავდა წუხელ,

მაგრამ მდებრივთ მათი დანახვა
ვაი, რომ აღარ შეეძლოთ აქ დროს!
უცებ გამოჩნდა წალკოტში საზო.
საიდან, როგორ, არავინ უწყის,
სახტად დატოვა ყოველი ირგვლივ.
მან, ვინაც ასე უზომოდ მატკობს.
ცეცხლივით სახე, ცეცხლივით ღვინო
და ცეცხლისფერი კარგია ტრფობა,
მაგრამ რად მინდა, შენ თუ გაქრები.
ისევე, როგორც გამოჩნდი, კარგო.
ო, ამ ღვთაებრივ ერთობის არსში
აღარ ეტევა არსება მისი,
მას უთვალავი სამყარო უნებს,
ერთი სამყარო არ ყოფნის მარტო.
თუ გსურს გაიგო ნათქვამი ჩემი;
გულში ჩამხედე, გაიგებ ისე.
რა უბრალოა ნაკვთი სხეულის,
რომელსაც ღმერთი ტრფობისგან აღნობს.
შამს ედ-დინ თაბრიზ⁹⁵, ვით მეფეთ-მეფე,
ზიხარ მორჭმული ტახტრევანს ზედა,
ჩამწყვრივებულან ლექსები ჩემი
შენ წინ, ვითარცა მონები სანდო.



გავყიდე ფლასი, მაწანწალა ვარ ხარაბათის.
არა მაქვს ხემსი და სტუმარი ვარ ხარაბათის.

სახესაჩინო ჩანგოსანო, ჩამოჰკარ სიმებს,
შენ ლოცვა, მე კი სალოცავი ვარ ხარაბათის.

მე ვერ მიხილავ, ჰე, მოცულო სხეულის ნაცუით,
მე ვერ მიხილავ, ოდეს სული ვარ ხარაბათის.

არა ვარ კაცი უმადლარი, არც ვიღვწვი ჭამად,
არ მინებს სუფრა, თვითონ სუფრა ვარ ხარაბათის.

ამ ნანგრევებში სიყვარულმა მარგუნა შეება,
სვებდღნიერი ახლა მეფე ვარ ხარაბათის.

სადაც წავედი, მეინახე გავხდი იმის და
ვბრუნავ და ვბრუნავ, ბედისწერა ვარ ხარაბათის.

ირწმუნე, ამის საბუთია, უბრწყინვალესი,
არსება ჩემი, როს ჩვენება ვარ ხარაბათის.

თუმცა გამიქრა ოქრო-ვერცხლი, გამაჩნდა რაიც,
ფასდაუღები მაინც განძი ვარ ხარაბათის.

ჰე, მერიქიფევე, შენ, სანთელო, ნანგრევთა. ჩემთა,
მიხილე, თვითონ სალოცავი ვარ ხარაბათის.

სოლომონი ვარ და სულთანის თანამესაყდრე,
სრული რწმენა და სარწმენელი ვარ ხარაბათის.

ნუ ფიქრობ, ეშმამ გადამაგდო ამ ნანგრევებში,
რაა ავსული, ოდეს ეშმა ვარ ხარაბათის.

როდესაც ვდუმვარ, ხარაბათის ქვევრი ვარ სავსე,
როცა ხმას ვიღებ, გუშავი ვარ მე ხარაბათის.

დედის სიყვარული

მე ასე მაქვს გაგონილი: როცა მშობა დედამ,
შემასწავლა ძუძუს წოვა და ალერსი თბილი;

ლამლამობით ჩემს აკვანთან დიდხანს იჯდა იგი,
ის ფხიზლობდა, მე მასწავლა უშფოთველი ძილი.

მუდამ, როცა შეეხედავდი ბაგემლიმარ. დედას,
ვარდებივით იშლებოდა ჩემი ბაგის წყვილი.

სიარული შემასწავლა ნაბიჯ-ნაბიჯ მან და
დედამიწას დაეფინა კიდევ ერთი ჩრდილი.

თითო სიტყვა შემასწავლა, ამომიგსო ენა
და გავიგე, რომ პირველად „დედას“ ამბობს შვილი.

მე სიცოცხლე მან მარუჟა და ვიცოცხლებ სანამ,
მეყვარება მუდამ დედა — ძვირფასი და ტკბილი.

სამშობლო საფრთხეშია

შემოდგომა... მთლად გადასმა მდელი და ველი,
 შემფრთხალ ბელურას სიცივისგან დასდინდა ცრემლი,
 ყვაეების გუნდმა ჩააშავა წალკოტი მთელი,
 სუშბულს და სოსანს ძირს ანარცხებს სიკვდილის ცელი,
 ბულბული დაშვრა უიმედო კენესით და სტვენით...
 მამულიშვილნო, საფრთხეშია სამშობლო ჩენი!

ჰე, ირანელო, გაპარტახდა შენი სახლ-კარი,
 დაეპატრონა შენს სამუდარს უცხოთა ჯარი,
 შენ კი მიენდე და მოიქვე გლოვა და ზარი,
 შენი იმედი გაქრა ისე, როგორც ზლაპარი...
 ნურვის ენდობი, ნუ იქნები იმედის მჩენი!
 მამულიშვილნო, საფრთხეშია სამშობლო ჩენი!

ქვეყნის საქმეებს თავს არიდებს ყველა ვაზირი,
 ერის თავკაცებს დაუღუმიდათ ენა და პირი,
 ბრძენნი ეჭვობენ, მათი რჩევა გაგვიხდა ძვირი...
 ჰეი ირანო, თავს დაგატყდა ურვა და ქირი!
 ჩემო ირანო, შენს სატანჯველს ვერ ვიტყვი ენით!
 მამულიშვილნო, საფრთხეშია სამშობლო ჩენი!

საქმის კეთება აღარ უნდა ქვეყნად არავის,
 ლაყბობის გარდა, სხვა სურვილი ქვეყნად არ არის,
 თვით სწავლულსაც კი სახელი აქვს ცრუს და მპარავის,
 ბრიყვი ჩივიან, მათი საქმე აბა რა არის?!
 კენესა-ჩივილით გვემატება სნება და სენი...
 მამულიშვილნო, საფრთხეშია სამშობლო ჩენი!

სამშობლოს ჰერი მოესია გუნდად და გუნდად.
უსამართლობა იყო, რაიც დაედო ხუნდად.
სატრფო სხვას გაჰყვა, ჩვენთან ყოფნა მასაც არ უნდა.
აფსუს, ირანი! ...მთლად დაეცა, მთლად დაძაბუნდა...
მველთაძველ მწიას რად დაატყდა ტანჯვა ამდენი?!
მამულიშვილნო, საფრთხეშია სამშობლო ჩვენი!..

ჩვენ არ ვამბობდით, რომ არ გვიყვარს კაცი პირფერი?
ხომ გექონდა მიზნად, ერთიანი ვეყოლოდა ერთი?
სად გაქრა, ძმებო, ის ზრახვა და მიზანი ბერი?
ღმერთი გაგიწყრათ, თუ დაგექცათ სურვილთა ჰერი?
არავინ ამბობს, რომ ინგრევა სახლ-კარი თქვენი...
მამულიშვილნო, საფრთხეშია სამშობლო ჩვენი!

ერთიანობა და სიმტკიცე გეინდოდა ძალზე,
გესურდა, სიკეთე მოგვდგომოდა ერთიან კარზე,
არარის კენესა გაგვეცვალა რაობის ჰანჯზე.
ჩვენ კი დავდექით ორგულობით დაცემის გზაზე!
ქვეყანას ღუპავს მლიქვნელობა და ავიზნენი...
მამულიშვილნო, საფრთხეშია სამშობლო ჩვენი!

სულის გაწირვა სამშობლოსთვის არაფერია,
უსამშობლოდ არც სახლია და არც ჰერია,
უმისოდ სიტყვას ვერსად ამბობს; ვერსად მღერიან,
უმისოდ გულიც და სხეულიც მიწა-მტვერია!
უსამშობლოდ ფუჭად ქრება სიცოცხლის დღენი...
მამულიშვილნო, საფრთხეშია სამშობლო ჩვენი.

სამშობლოს დაცვას შეეწირეთ, სამშობლოს ძენო!
ჩანყი და შფოთი გაახშირეთ, ალაპის ძენო!
ღუშმანის დედა აატირეთ, ალაპის ძენო!
ხალხს მკმუნვარება განაცილეთ, ალაპის ძენო!
ძალა გვერთმევა ავადობით და ცრემლთა დენით...
მამულიშვილნო, საფრთხეშია სამშობლო ჩვენი!

ვამბობ — სამშობლოვ! — და ცრემლებით მეცება თვალი,
ველარსად ვპოვე საიმედო მე ნიშანწყალი:
მაგრამ ჩემს სხეულს სანამ ათბობს სიცოცხლის ალი,
მე კვლავაც ვიტყვი, თუბრა მითქვამს სიტყვა მრავალი:
სამშობლოვ ჩემო! ო, სამშობლოვ! შვილი ვარ შენი...
მამულიშვილნო, საფრთხეშია სამშობლო ჩვენი!

საფუთავლოვ ჩემო

ჩემო ირანო, შენ ხარ ჩემი ტკბილი მამული,
ჩემს გულს შენ გარდა არ სცოდნია სხვა სიყვარული!

სარწმუნოების დიდო ბურჯო, შენი საზღვრები
ისე ღელავენ, როგორც გული — ჩემში ჩანთქმული.

გმორდები შენ და არსად მათბობს ვარდის სურნელი,
ო, შენ ხარ ვარდი — ჩემს სურვილთა ბაღში დარგული.

ტურფა ბაღნარო, შენი სახე თუ არ მილიძის,
ვულს მიწყლულებენ ეკლები და ვარ გათანგული.

ღმერთის საბუღარს გიწოდებენ და უშენობით
ჩაესახება ჩემს ანგელოზს სატანის სული.

სანამ შენს საზღვრებს აბობოქრებს ღუშმანის ქარი,
არ უწერია ჩემს არსებას სიმშვიდე სრული.

მე ნალველისგან დავსუსტდი და თუ არ ვიკვნესე,
არავის სჯერა, რომ სხეულში მეც მიძგერს გული.

ვაი, ირანო, გაიფლანგა შენი სიმდიდრე...
სუღარისთვისაც აღარ არის ძაფი დართული.

შენს გაჭირვებას დავტიროდი, მაგრამ ვაი, რომ
გულზედ არავის დამჩნევია სნება და წყლული!

ჩემი პერანგი თუნდ გაჟლინთონ სისხლის ცრემლებმა,
არვის ატირებს ეს სიტყვები — ვაებით თქმული...

ხალხო, სიმწრისგან ვიმეორებ ყოველ ცისმარე:
სამშობლოვ ჩემო, აფსუს, შენი დიდი წარსული!

მლლის და მაწამებს ეს სიცრუე და ორპირობა,
ღმერთო, მაშორე ამ ნალველთა უნაპირობა!

ჩემს გულს და სხეულს ამ დილეგში შორდება სული,
გადამეწყვიტა არსებობის იმედი სრული.

ისე გაწამდა ბნელ ხაროში ჩემი ცხოვრება.
ღმერთთან დავიწყე მე სიკვდილის შემათხოვრება.

ვაი, რომ გაჭრა ჩემი ცოდნა, ჩემი უნარი
და ჩემი ჭკუაც — არაფისგან დასაწუნარი.

ახლა დაცინვის და დაწყევლის გავხდი სამიზნე,
გაჭრა უნარიც, ცოდნაც, ჭკუაც — ჩემი სამი მზე.

ვაჰ, ეს ცხოვრება — სივაგლახით გადანათელი!
ურწმუნოებმა ჩამიღამეს რწმენის ნათელი.

ჩემი სავალი სულ დარდის და სნების გზებია,
ამ ქვეყანაზე სიხარული არ მლირსებია.

მომავონდება ოჯახი და ჩემი შვილები
და ჩემს მზიან დღეს ეფარება ბნელი ჩრდილები.

როდის მიცხრება სივალალის ყველა საწუხი?
ხუთ შვილს რა ვუთხრა, ვით აღმოვთქვა ჩემი პასუხი?!

და მაინც ვიტყვი, მე საიდან დამატყდა ჭირი —
შაპის რისხვაა ყოველივეს ფესვი და ძირი.

ვინა ვარ განა და ვის ვერჩი, რა გრძნეული ვარ?
ჩანგის სიმღვით უსუსური და ეული ვარ.

არწივის კლანჭებს ჩავუვარდი მე, ვით ბელურა,
ჩემი ჩივილი ქვეყანაზე სრვის ეყურა.

მე არც თურქი ვარ, არც არაბი, არც ვინმე ლური,
მე არც ქურთი ვარ, არც არავის წავართვი პური;

ვინ ვარ? პოეტო... მე სიტყვებით უასილებს ვკინძავ,
ბ ა ჰ ა რ ი მქვია, სიკეთეს და სიმაართლეს ვიცავ.

ვის რა შევცოდე, რა სიწმინდეს მიუღზღე ავი,
რომ მომისაჯეს დილეგი და დღეები შავი?

რად ამიკრძალებს ნათელი მზის დანახვა ნეტა
და ღამლამობით მოციაგე ვარსკვლავთა ქვრეტა?

სარკმელს შევცქერი სხივთფენისას, თუ წვიმის ცრისას
და ვხედავ მხოლოდ რაღაც ნაგლეჯს-ლაქვარდი ცისას.

ღამით კი სარკმელს პირს უკუპრავს წყვედიადის ფარდა
და ვერრას ვხედავ მორიალე ზმანების გარდა...

ეს საკანი რომ იბინდება, ვით კურდღლის სორო,
ფიქრს ვერ ვაშორებ და სხეული ვით განვაშორო?

მე ბორკილი მაქვს, ქურდები კი დადიან ლალად,
ჰე, სამართალო, მაშ დიქეც, არსებობ რაღად?!

სადღე ჰელანიტი

XX ს. ყველაზე თვალსაჩინო ირანელი ბელეტრისტი. დაიბადა 1903 წ. მიიღო ევროპული განათლება. თავის მოთხრობებში ასახა ირანელი ხალხის დუხქირი. ყოფა და ხმა აღიმალა სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ. დიდი გავლენა იქონია სპარსული პროზის განვითარებაზე. გარდაიცვალა 1951 წ.

ალავიე ხანუმი

მეშპედის გზაზე, სასაუზმე „პურმარილის“ წინ, ქალების და მამაკაცების დიდი ჯგუფი შეგროვილიყო. ისინი ტალახში არეულ თოვლში იდგნენ და კედელზე ჩამოკიდებულ სურათს მისჩერებოდნენ. სურათის ორივე ბოლო დახვეული იყო და მაყურებლები მხოლოდ „იაზიდის თათბირს“ ხედავდნენ. წითელ ტანსაცმელში გამოწყობილი წითელჩაღმიანი იაზიდი ტახტზე იჯდა და ნარდს თამაშობდა. გვერდით ლანგარზე ღვინის სურა ედგა, ვაშლები და მსხლები ელაგა. იაზიდის წინ ქერბალას ველზე დატყვევებული მწვანეჩაღმიანი მეომრები ჩამეწყრივებინათ. ქედზე ბორკილებდადებული ტყვეები მორჩილად იდგნენ. სახეზე სევდა და წუხილი ჰქონდათ გამოხატული. ყურებზე ულვაშებგადაგრებილ სამჯარისკაცს ხმლები გაეშიშვლებინათ და ტყვეებს დარაჯობდნენ. ჯარისკაცებს ფაშფაშა შარვლები ჩექმებში ჩაეტანებინათ. ჩალმებზე ფრინველის წითელი ფრთები ჰქონდათ მიმაგრებული.

სურათის პატრონს, მწვანეჩაღმიან, წელზე შალშემორტყმულ ჰაბუქს. აქლემის ბეწვის გაქეჩილი აბა წამოესხა მხრებზე: ფეხები ხის ტალახიან ქოშებში ჰქონდა წაყოფილი. იგი ჩაცმულობით თითქმის არ განსხვავდებოდა სურათზე გამოსახული ტყვეებისაგან. შარვლიდან შიშველი ქუსლები მოუჩანდა, რომლებიც მოყინული ჰარხალივით დასწითლებოდა. ჰაბუქს სავსე მთვარესავით მრგვალსა და წითელ სახეზე საყმაწვილო მუწუკები ეყარა, ტუჩის კუთხეში. ღია იარა მოუჩანდა. ჰაბუქი თავს აქნევდა და ხაფი ხმით გაჰყვიროდა:

— აი, ის განსაცდელი და უბედურება, რომლებიც მოციქულის ოჯახს დაატყვეს თავს. (ამ სიტყვებზე მთხრობელმა რამდენჯერმე შემოირტყა შუბლზე ხელი და მსმენელებმაც მიჰპაძეს).

— ამის შერე მოხთარი მოვა და საკადრის მუქაფას მიუზღავს იმ ავკაცებს! თუ აქ მყოფ შიიტებს ამის ნახვა უნდათ, სუფრაზე დაყარეთ

ის, რაც სურათის პატრონს სჭირდება. მე ჩემთვის არაფერსა გთხოვთ —
ოთხი მშვიერი მელოდება. ახლა ოთხი მართლმორწმუნე მჭირდება, სუფ-
რაზე ფული დაყაროს, ამ სურათის თითო კუთხეში თითო ჩირალდანი
აანთოს. მერე სურათს გავშლი და გაჩვენებთ, თუ როგორ გაუსწორდა
მოხთარი ამ უჩვეულოებს. იმას, ვინც პირველად დაუნთებს ჩირალდანს
ალი აქბარს, ღმერთი ამქვეყნად ასმაგად გადაუხდის, იმ ქვეყნად კი
ათასჯერ მეტ პატივს მიაგებს. აბა, ვის უნდა ალი აქბარის რჩეული ვახ-
დეს? დიადი რეზას საფლავის დამაშვეწვანებლებო, აბა, ქალბატონო. აბა,
ოჯახის ქალებო, დედებო, დებო, განა არ გინდათ, წმინდა იმამ რეზას საფ-
ლავი მოილოცოთ? აი, ამ სურათის პატრონი ეს არის. ახლა მე მიყუ-
რეთ, პირზე ხელი მიიღეთ და რასაც მე ვიტყვი, თქვენც ისა თქვით
(ნაბიჭვრებმა ხმა არ ამოიღონ). აბა, დავიწყეთ: ო, ღირსეულთა მბრძანე-
ბელო! გაიმეორეთ. ო, დიადო წინასწარმეტყველო! ო, აბულ-ფაზლო!
ხელებზე სული შეიბერეთ და სახეზე მოისვით. ახლა, რამდენიც გე-
მეტებათ, აი, აქ დაყარეთ. ვინც ჩირალდანს აანთებს და მომცემს, ალი
გადაუხდის სიკეთეს.

სურათის წინ გაფენილ ჭუჭყიან ბაღდაღზე სპილენძისა და ვერცხლის
ფულებმა იწვიმა. ჭაბუკი დაიღუნა; ერთი ფული აიღო, ზევით ასწია, რომ
ყველას დაენახა. და თქვა:

— წადი, ყმაწვილო. შენ ეს ერთი ციკქნა ვერცხლის ნაჭერი შეს-
წირე დიდებულ იმამ რეზას, მაგრამ იცოდე, ყველა სურვილი შეგოს-
რულდება. დაე, ღმერთმა ამაღამევე ავიხდინოს, რაც კი გინატრია. შენც
წადი, დედილო, წადი, ბები. ღმერთმა გადავიხადოთ სამაგიერო, არასო-
დეს დაგტეხოდეთ თავს ჰირი და უბედურება. იმამი ამოგიდგეთ მხარში,
როცა გზას დაადგებით, დაგიფაროთ სნებისა და გაჰირვებისაგან, ზეცი-
ერმა უფალმა შეგისრულოთ ყველა სურვილი! ყმაწვილო! ღმერთია შენი
ქომაგი. ვინც მეოთხე ჩირალდანს აანთებს, ღმერთი მას სიღარიბესა და
ავადყოფობას ააცილებს!

ფაშფაშა, თმადახვეულმა, ქუთუთობდასიებულმა, ქორფლიანმა დე-
დაკაცმა მარდად წამოკრიფა ბაღდაღზე დაყრილი ფული. ქალს ვეება,
დაბლა დაშვებული მკერდი ჰქონდა, თავზე შავი დაგლეჯილი ჩადრი წა-
მოესხა, პირბადე ზურგზე გადაეგდო, თავი კი ჩითის თავსაფრით წაეკ-
რა. ქალს ტანთ გახუნებული ხიფთანი და ჰაჯი ალი აქბარის ღროინდელი
სარკის შარვალი ეცვა. შარვალზე მოკლე ქვედატანი ჩამოეცვა. ტოტყი
ფეხები ხამი ტყავის ხამლებში წაეყო. ზურგზე გადაგდებული ჩადრი
მთლად ტალახში ჰქონდა ამოთხვრილი.

ქალმა ის იყო ფულის აკრეფა დაამთავრა, რომ კოფოზე მჯდარმა მე-
ფორნემ თურქული კილოთი გადმოსძახა:

— ეჭვი, ალავეი! მორჩი მაგ წარმოდგენას, მივდივართ!

სქელი დელაკაცი წელში გაიმართა, ამრეზით გადაჰკრა თვალი მე-

ფორნეს, ფული გულმოდგინეთ გამონასკვა ცხვირსახოცის კუთხეში, იქვე მდგომი ორი წლის ბავშვი ამოიღლია, მეორეს ხელი ჩასჭიდა და სურათის პატრონს რაღაც ანიშნა. ჰაბუქმა სურათი დაახვია და ახალგაზრდა, ჩადრით პირმოხუტულ ქალთან ერთად ალავეის ჩაუღდა კვალში.

მგზავრები აფუსფუსდნენ, თავ-თავიანთ სურებს, დოქებსა და თუნუქის სამოვრებს დაავლეს ხელი და გზის შუაგულში ჩამწყრივებულ ოთხ ფორანს მიაშურეს.

ალავეე ხანუმი და მისი თანამგზავრები ყველაზე ბოლოს ავიდნენ იუზბაშის ფორანზე და მეფორანის უკან დასხდნენ. ბავშვებმა გაყინული ხელები პირთან მიიტანეს და ორთქლეა დაუწყეს გასათბობად. ფორანს ხის მოძრგვალელებული სახურავი ჰქონდა. სახურავზე ქეჩა გადაეკრათ. ფორანის შუა ნაწილი დიდი ფუთებით იყო სავსე და მგზავრებმა ზედ დაალაგეს თავიანთი ბარგი-ბარხანა. შეკრული ლოგინები და სამოვრები, სურები და სპილენძის ჭურჭელი კი ფორანს გარედან მიაკიდეს და ყველამ, ბავშვებმა, ქალებმა და მამაკაცებმა თავ-თავიანთი ადგილები დაიჭირეს. ავადმყოფი მგზავრი პირით ყიბლისაკენ დაჯდა.

ალავეე ხანუმი სურათის პატრონს, ახალგაზრდა ქალსა და ორ ბავშვს შუა იჯდა. გარეგნულად ამ ოჯახის არც ერთი წევრი არ ჰგავდა მეორეს. მარტო იმით თუ მიამსგავსებდი, რომ ყველას მოყვითალო წყლული ჰქონდა ტუჩის კუთხეში.

ალავეე ხანუმი ერთ ხანს ჩუმად იჯდა თავის ადგილზე, მერე სურათის პატრონს მიუბრუნდა და უთხრა:

— დღეს ვერაფერი ვიშოვეთ. ხეირი და ბარაქა ხელიდან მიგვდის. ხალხმა უფლის რწმენა დაკარგა. სულ სამი ყვრანი და შვიდი შაი მოგროვდა. ოთხი მკაშელი როგორ შევიწინახო ამით, რა წყალში ჩავვარდეთ?

ჰაბუქმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია ალავეის. ეტყობოდა, პატივს სცემდა და ანგარიშს უწევდა ამ ქალს.

ალავეემ ერთი მაგრად წაუთაქა თავში გვერდით მჯდომ სიცივით აკანკალებულ ბავშვს. იგი მწარედ აღრიალდა, თვალიდან ღვარად ჩამოუვიდა ცრემლები, მაგრამ ბავშვის ხმა ფორანის გარეთ ატეხილმა აურზაურმა და მეფორანის ჯაჯღანმა შთანთქა. ალავეემ ფუთად შეკრულ ლოგინში ჩაყო ხელი, ნაქერში გამოკრული პური ამოიღო, ორი ნაქერი ჩამოატეხა, ბავშვებს მისცა და თან წყევლა მიაყოლა:

— ღმერთმა ქნას, სული ამოგძრბოდეთ, კიორი და ზახრუმა თქვენა, თუ ერთი წამით დამასვენოთ!

ბავშვები ხარბად იტენოდნენ პირში პურს და ცრემლიანი თვალებით მისჩერებოდნენ მგზავრებს, რომლებიც ჯერ კიდევ წრიალებდნენ, რომ უკეთესად მოწყობილიყვნენ ფორანში.

ფორანში დიდ-პატარიანად ათი-თორმეტი სული იქნებოდა. ალავეის

ყველა პატივს სცემდა, რადგან ხვდებოდნენ, რომ ალავეისა და იუზბაშის შორის რალაც ამბავი იყო. იუზბაშიმ ხომ საუკეთესო ადგილი მიუჩინა მას ფორანში. ალავეის ოჯახის ვარშემო ნანე ჰაბიბი, ჯეირან ხანუმი, მამალი მასაუმი, ნანე გოლბეთუნი, ფანჯე ბაში და ფეზე ბაჯი მოეწყვნენ. დანარჩენმა მგზავრებმა ცოტა მოშორებით, ფორანის ბოლოში მოიკალათეს და მაგრად შემოიხვიეს ტანზე წამოსასხამები და ბამბის საბნები.

მეფორანემ რამდენჯერმე მყარალად შეიგინა რუსულად და თურქულად და შოლტი გაატკაცუნა. ფორანი შეტოკდა. მეფორანემ კვლავ თითოჯერ შეაგინა ცხენებს რუსულად და თურქულად და მერე სპარსულად დაუღრიალა, გასწით თქვე კახნებოო, შოლტი გადაუჭირა. ფორანი დაიძრა და იქაურობა ცხენების ზანზალაკების ხმამ, სპილენძის თასებისა და თუნგების რახარუნმა, თვლების ჭრიალმა, მგზავრების ლოცვამ და შეძახილებმა გააყრუა. მგზავრების ეედრება: „უფალო, წყალობა გვიყავ, ღმერთო, მშვიდობით გვამგზავრე!“ — სხვა ფორანებიდანაც ისმოდა. ისინიც რახარახით დაიძრნენ და იუზბაშის ფორანი შუაში მოიქციეს.

ალავეიმ შუბლი შეიკრა, მოტრიალდა — და სურათის პატრონს ჰკითხა:

— ალა მუჩულ! ვახშმად რა უყიდე ბავშვებს?

— არაფერი, ფული არა მქონდა. პური ხომა გაქვს ე მაგ ნაჭერში გამოკრული?

— დუქნის წინ შამფურებს ატრიალებდნენ. ბავშვებს მწვადის სუნი ეცათ და მოუნდათ. ხომ გითხარი, იყიდე-მეთქი!

— ფული არა მაქვს და როგორ მეყიდა.

— ფუჰ! რა სულ ფულს გაიძახი! ვერ მითხარი, ფაფით ხო არა გქონდა პირი გამოტენილი, შვიდი შაი არ მოგეცი, შე საპყარო. რა უყავი?

— შენ თვითონ არ მითხარი, ზინათს მკერდი უნდა დაეუზილო, თხის ქონი და სახამებელი იყიდეო. ჯეირან ხანუმს სეიდ შაჰადის საფლავის მიწა გამოვართვი, რამდენიმე კაპიკის ბადაგიც ვიყიდე ჩემთვის. დილიდან სალამომდინ ენა მაქვს გადმოგდებული, კწვალობ, ხალხს ვანათლებ და მეც ხომ მეკუთვნის რაიმე?

— ჰო, ჰო, ჰო! მომწონს, მომწონს! ვალიც გინდა დამადო! დავიდა-რაბა გინდა ატეხო? რაო, ბუზანკალი ხომ არ შეგიძვრა უკან? პირი არ დამადებინრ, თორემ!..

ალა მუჩულმა ხამლები წაიძრო, დამზრალი ფეხები დაანახვა ალავეის და უთხრა:

— აკი დამპირდი, შალის წინდებს გიყიდეო? აბა, სად არის?

ალავეიმ პასუხის ნაცვლად ზინათს მუშტი ჩასცხო თავში (ბავშვს სახე წამოსწითლებოდა და მშრალი ხველა ახრჩობდა), მერე უმისამართოდ დაიღიონა:

— ნეტა ალაჰმა ჯოჯობეთში ჩაყაროს ეს საპყრები, რომ ერთხელ მაინც ამოვიტყვა სული! აგე, ის ბავშვი შენზე ორჯერ პატარაა, შენზე ავადმყოფია და აბა, თუ ხმას იღებს? ღმერთმა მაგის დღეში ჩაგაგდოს!

ფორნის კუთხეში პირვეთელა ბავშვი მიმჯდარიყო და უხმოდ მისჩერებოდა უფროსებს. მუცელდაბერილმა და ქუთუთოებმაწითლებულმა ზინათ სადათმა და მისმა უმცროსმა დამ, თელათ სადათმა, ერთხმად მორთეს ტირილი.

— არა უშავს, დაო, მე ორი-სამი ქაბაბი ვიყიდე და ერთად შევატანოთ პურს. ღმერთი გიწყენს, რომ ამ უსოღველ ბავშვებს სჭი, — უთხრა ნანე ჰაბიბმა ალაივის. ნანე ჰაბიბი ცხენისთავა ქალი იყო. სახეზე დიდი ფორიანი ხალი ჰქონდა. ლაპარაკის დროს თითზე წამოცმულ აუციის ბეჭედს ატრიალებდა ხოლმე.

— ალაჰმა და აბულ-ფაზლმა გადაგიხადოს სიკეთე, რეზა წმინდანმა შეგისრულოს ყველა სურვილი! შარშან ამ დროს ცხონებული ნაჭაფ ყულის ფორნით მივდიოდით მეშქედში. კარგად მახსენდება ის დრო — საქმეები კარგად მიმდიოდა, ეკ, რაც წლები მიდის?! თანდათან ძნელდება ცხოვრება! სურათს რომ გავშლიდით, ექვს, შვიდ ყერანზე ნაკლები არ შემოგვდიოდა, ხან-უმ! ზოგჯერ თერთმეტი ყერანიც აგვიკრფოდა! ერთი ოფიცრის ცოლიც გვახლდა თან, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, ისეთი ყინვა იყო, ქვას ხეთქავდა. ფორანში წვიმა და ქარი შემოდინდა, სიცივისაგან კრუნჩხვები მდმდიოდა; ეს ქალი კი, იცი, როგორ მყევებოდა თან? სულ ფარვანასავით დამტრიალებდა. საკუთარი საბანი დამახურა, აგური გააცხელა და წელზე დამადო. მეუბნებოდა: ალაივი, შენი წინაპრის საფლავის მოსალოცად მიდიხარ და მომლოცველები ერთმანეთს უნდა დაეხმარონ. ქალი კი არა, მარგალიტი იყო. სადაც კი გავჩერდებოდით, სანამ მე არ დამაბინავებდა, თავის თავზე არც კი იფიქრებდა და არც მუხლს ჩახრიდა. იმას რომ არ მოველო, დღეს ცოცხლებში არ ვეწერებოდი. ღმერთმა გაანათლოს მისი სული! ზაფხულში, უკან რომ ვბრუნდებოდით, ნიშაბურში კრაზანამ უკბინა და ხართუთასავით გააშავა. ამ ნაკბენს გადაჰყვა კიდევ. იმისი დღე შენ შეგემატოს!

სანამ ალაივი ლაპარაკობდა, ჭეირან ხანუმი კრიალოსანს მარცკლავდა და თან სხაპასხუპიტ ლოკულობდა. ისე, რომ მისი პირიდან ლოცვა წყაროს წყალივით მორაკრავებდა. იგი მეტად მორწმუნე ქალი იყო. ენაზე მავალი ამოესვირინგებინა — ბედი და ილბალი ზურგს არ შემაქცევსო. როცა ალაივი შეჩერდა, ჭეირან ხანუმმა სურათის პატრონსა და ალაივის შუაში მჯდომ ახალგაზრდა ქალს მიაპყრო მზერა და ალაივის ჰკითხა:

— გახსოვს, შარშან მეც შენი ფორნით მოვდიოდი. ღმერთო, ნუთუ ეს ესმათ სადათო? რამოდენა გაზადილა შარშანს აქეთ, ღმერთმა ყველანაირი სიკეთე მისცეს!

— მაშ, წელს მეთორმეტეში გადადგა. — მიუგო ალავექი.

— ღმერთო შოწყალო, შენ გაახარე და აბედნიერე ეს გოგო!

— მეც არა ვარ დიდი ხნის, ხანუმ, ცხოვრებამ გამტეხა. ამ ზეთორმეებს რომ უყურებ, ავადმყოფობამ მიყო. ის საშინელი წელიწადი თუ გახსოვს, მუცლის სახადი რომ ჩამოვარდა? მაშინ სულ ერთი ციკქნა ბავშვი ვიყავი, კარის საგდულს ძლივს ვწვდებოდი, მაინც რა ვარსკვლავზე ვართ გაჩენილები, რომ ბედი არც მე დამყვა და არც ჩემს ქალიშვილსა. შარშან მეშპედში რომ წაიყვანე, ხომ შენი თვალით უყურებდი, რა კალმით ნახატი იყო. ვარდი უღვიოდა ლოყებზე. რა ნაწნავები ჰქონდა?! ბულულებივით ეყარა ზურგზე. რა სისხლივით ტუჩები ამშვენებდა? ჯერ აბდოლ ჰალეყის სიღე გახდა, დალაღისა. ის თრიაქს ეწეოდა და საშინელი ძუნწიცი იყო. მსუქან ქათამს კვერცხის დადება უძნელდება! ფული ბევრი ჰქონდა, ისეთი კაცი იყო, რომ წაბლს ზეთს გამოადენდა. ეგეთი რომ არ ყოფილიყო, იმდენ ქონებას ვერ დააგროვებდა. სისხამ დილას დგებოდა და მთელი დღე ცოფიანი ძალღვივით დარბოდა ფულის საშოვნელად.

ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ მეორე სიღე მოიყვანა შინ. აი, მაშინ გადავწყვიტე, ისეთ ლაფს დავასხამ თავზე, რომ ქვეყანა იმაზე ალაპარაკდეს-მეთქი! რაღა ბევრი გავავრძელოთ: სამი თვე ვათრიე სასამართლოებში, მაგრამ კაპიცი ვერ გავაგდებინე. ასეთ ხალხს ფული სულზე აქვთ გამოკერებული. აბდოლ ჰალეყმა ის ხუთი თუმანიც არ მომცა, პირობით რომ მერგებოდა: ბოლოს, როგორც იქნა, გაყრა გამოვგლიჯე, მეტი ვერაფერი მოვახერხე მე საწყალმა. რაც ფეხსაცმელი დავკვითე ამ სირბილში, იმის საფასურიც ვერ ავიღე. ბოლოს მითხრა, ერთ თუმანს მოგცემ და საქმე მოვათავოთო: ვლანძღე, ვთათხე, ვუთხარი, მაგით მაწონი იყიდე და თავზე დაისხი-მეთქი, შე უნამუსო და გარეცხილო, შენ ქალის ყადრი რა იცი, მარტო ის გინდოდა, რომ ჩემს ესმათ სადათთან გეგორავა-მეთქი!

ვხედავ, ერთი დღეც არ გასულიყო, რომ ახლა მე დამიწყო ხელების ფათური და მეუბნება, არ გინდა ჩემი სიღე გახდეო? იცოცხლე, ვეცი: კიდევ რა გნებავის-მეთქი! მკედარს საკმეველს უნთებდნენ და ის სუღარაში ისვრიდა-მეთქი. რა, ცოტა გავეცაშურე? ჯერ ჩემს შვილს რა დღე აყარე და ახლა მეც გინდა ხრამში გადამჩეხო-მეთქი? ალაჰმა მალე მაჩვენოს შენი თავი მკვდრების გასაბან ფაცარზე გამოტილა-მეთქი! ის კიდევ მეუბნება: შენს ენას ენაცვალე, ღლანძღე, ბოლოს მაინც ჩემი იქნები. ცეცხლი, როცა იქნება, ჩაქოება და ნაკრად იქცევაო. მერე მეუბნება, შენი ქალიშვილი არ ვარგოდა. სულ ძილად იყო მივარდნილი, მაგრამ შენ ისეთი ენა გაქვს, გველს ამოიყვან ხვრელიდან. შვიდი ბრმა ქალიშვილი რომ გყავდეს, სუქველას გაათხოვებო. მე ვუთხარი, ჩემი ენით ის საცოდავი ურავადიც ვერ მივიღე, რაც კანონით ეკუთვნოდა

ესმათს, აბა, რა გალაპარაკებს-მეთქი. იმ ძაღლის შეიღმავი ხარხარი დაიწყო ამ სიტყვებზე. ბევრი რომ არ გავაგონებლო, ათასი ხრიკითა და ეშმაკობით ერთი საპონი და ის დაქექილი ჩადრი გამოვვლივქე ხელიდან, ჩემი ქალიშვილი რომ ატარებდა, და გულში ვთქვი, ყვეს კაკალი-მეთქი. ვენაცვალე მეფორნეებსა და ჩალვადრებს! ისინი უფრო ხელგამლილები და კარგი გულისანი არიან. დაფიცებული მაქვს, შალაღ საზოგადოების ხალხთან საქმე აღარ დავიჭირო.

— მართალი ხარ, ფული აფუტებს ადამიანს. — ჩაუბოთო ჯეირან ხანუშმა.

იქვე ფორანში შალის წამისასხამში გახვდელი ფანჯე ბაში სახარაზო იარაღების ყუთზე იჯდა და თვლევდა. მრგვალ მოპარსულ თავზე წითელი ჩაჩი ეხურა. იგი ჩოფურა, გრძელცხვირა. მერხერწვერიანი კაცი იყო. აქამდე თავისთვის ფიქრებში წასული დაშპარული სახით იჯდა, თითქოს რაღაც დაჰკარგაო და კეცს ლეპავდა. ფეხს ყურები ცქვიტა და ლაპარაკში ჩაერია:

— მაშ, სირცხვილი არ არის, კაცმა ფულის გულსათვის სული წაიწყმიდოს? — შემდეგ კევი პირიდან გამოიღო და მაშადი მასუმს გაუწოდა. მაშადი მასუმმა სწრაფად გამოართვა და ლეკვა დაუწყო.

ესმათ სადათმა მადლობის ნიშნად შავი თვალუბი შიანათა ფანჯე ბაშის და ჩადრში უფრო მაგრად გაესვია. ქალს მოსწევანო ფერის ატლასის ზედა ტანი ეცვა და ჩადრიდან ცხვირის წვერი თოფის ლულასავით ჰქონდა. ამოყოფილი.

ალავემ კვლავ ჩაიგდო ხელში საუბრის სადავე:

— რაღა თავი შეგაწყინო, ხანუმ. სამჯერ გავათხოვე და სამჯერვე უკან დავიბრუნე. ერთი ბავში ეყოლა და მერე აღარ უჩნდება. ის ერთიც მოუკვდა, ალბათ, ვინმემ თვალი კრა.

ფეზე ბაჯიმ თავი გადაიქნია და ჩაილაპარაკა. ბედსა და იბბალს სიმურღიც ვერ შეუცვლის ადამიანსო.

ფეზე ბაჯი მოხუცი ქალი იყო, ყვრიმალეზამიწეული სახე ჰქონდა, დახეული თავსაფრიდან ბლუჯა-ბლუჯად გამოწვერიდა თეთრი თმა. შუბლზე საღებავი ესვა იმის ნიშნად, რომ დღეს ნაშაში უკვე შეესრულებინა.

— ამის შემდეგ ესმათი ავად გაზდა. — განაგრძო ალავემ; — ათოცი თუმანი ფული წამივიდა წამლებზე. რა არ გავუკეთე, მაინც თევზის ფხასავით იყო გაღეული, სული რომ შეგებერა. წაიჭეოდა. ცოტა რომ მოიხედა, თეირანში წაიყვანე, მოვუარე, თან გადაყვევი... თან ვუყუებოდი, ავადმყოფობა ყველას კარს არის, ჩვენზე კარგი ხალხი ხდება-მეთქი ავად, მერე შევალოცინე და გამოკეთდა, მთლად კარგად არც ახლა არის, მაგრამ ეშმაკის ჯიბრზე ფეხზე დადის. მადლობა ღმერთს, ჯანმრთელობის ოთხივე სვეტი სალი ჰქონია, თორემ ვერ მოშობიანდებოდა. წელს არც მინდოდა წამოსვლა, მაგრამ იუზბაში აღარ მიხეშეს და გულში ვთქვი, რადეან

ლიადი იმაში თავის საფლავთან მიბარებს, ესმათსაც წაეიყვან-მეთქი. შინ რატომ უნდა იჯდეს. მოიწყენს, ფიქრებში წავა. თანაც ახალგაზრდა ქალია — თვალის დაქერა უნდა, უკაცოდ ვერ გაძლებს. პო და, დაკადეი გზას და ეს სეილის ნაშეირიც წამოვიყვანე, რომ ქმარი მეშოვა მისთვისაც და დამებინავებინა.

ჭეირან ხანუმმა კრილოსანი ააჩხაკუნა და თქვა: — მართალს ბრძანებ, ხანუმ. ქალიშვილი უპატრონოდ არ უნდა დააგლო სახლში — დარდსა და ფიქრებს შეეჭმევინება. ქალიშვილს მიხედვა უნდა. აი, ჩემი რობაზე მეათე წელიწადში რომ გადადგა, ყველა ღონე ვიხმარე იმის ბედნიერებისათვის: მარგალიტის ზარბაზნის ქვეშ გავატარე, ებრაელთა აბანოში წაეიყვანე, რობაბეს ჩადრი ცხერის ნაწლავებში გავაძვრინე და ლოცვასა და ლოცვას შუა სურვილების ასრულების პერანგის შეკერვა მოვუწწარი. ბოლოს ეთქვი, ნათესავეები სისხლით და ხორციით ერთნი არიან, უცხოებივით მაინც არ დაჰამენ ერთმანეთს-მეთქი. შევეუწინდი, ვეჩინინე და თავის ბიძაშვილს, კალატოზ იუსეფის შვილს გავატანე. თვითონაც ქალიან მშრომელი გოგოა, მთელი დღე მუხლს არ ჩაკეცავს. მადლობა ღმერთს, ყველაფერი ეხერხება, რა არის, მისი ხელიდან არ გამოვიდეს. ისე გავზარდე, რომ არავის ეთქვა, ჭეირან ხანუმ, შენი ქალიშვილი უკან წაეიყვანეო! ახლა სამი ანგელოზივით შვილი ჰყავს, ერთი მეორეზე უკეთესი. ქმარიც ისეთი შეხვდა, უმისოდ წყალს არ დაღვს.

ალავიე უხალისოდ უსმენდა ჭეირან ხანუმის ბედნიერი ქალიშვილის ამბავს და როცა ჭეირან ხანუმში სულის ამოსათქმელად შეჩერდა, სიტყვა ჩამოართვა:

— ესმათსაც უყვარდა თავისი აბდ ოლ-სალეყი. ძალით გავაშორე. ყოველ კვირა ახალი სიღე მოჰყავდა სახლში. რომ დამეტოვებინა, სულ გაუბედურდებოდა: რომ გავაშორე, იმის მერეც ყოველ საღამოს სუფრას უწყობდა აბდ ოლ-სალეყს და საქმელ-სასმელს ულაგებდა თეფშზე. მერე თავის თავს დაუწყო ლაპარაკი. მე შემეშინდა, შვილი ხელიდან არ გამომეტალოს-მეთქი და კიდევ ორჯერ გავათხოვე. ბოლო ქმარი არ უყვარდა. შვილი რომ მოუკვდა, თვითონვე შემეხევეწა, გამაშორეო. ქმარმა სულ ხელ-ფეხი დამიკოცნა. მეკითხება, ასეთი რა ჩავიდინე, რა დანაშაული მაქვს, რომ თავიდან მომიშორაო! თვალებიდან გაზაფხულის წვიმასავით ჩამოსდიოდა ცრემლი. სულ გული და ჯიგარი მომეხრაყა.

ამ დროს გზაზე რაღაც აურზაური ატყდა. წინა ფორანი გაჩერდა და იუზბაშიც ბძულეებული გახდა ცხენები გაეჩერებინა. ალავიემ და სხვა მგზავრებმა ბუტბუტით დაიწყეს ლოცვა. ისმოდა შოლტის ტყლამუნი და ხმამაღალი შეძახილები:

— ღვედები გასქერი, ალი იყოს ივენი შემწე! ზევით ასწიე! აბა, ყო-

ჩაღად! ფორანი უკან დასწიეთ. ახლა ცოტა წინ შედით, კიდევ! აბა, ცოცხლად, გასწიე, გასწიე!..

ალა მუხულო, ფანჯე ბაში და კიდევ რამდენიმე მგზავრი ფორნებიდან ჩავიდნენ.

ერთი ცხენი დავარდნილიყო, კაცებს მოსართავეები გადაეჭრათ და ცხენი შოლტის ცემით წამოეყენებინათ თოვლიანი გზიდან. ცხენი ისე მაგრად ეცემათ, რომ ტკივილისაგან კანკალებდა. ფაფარზე, კულზე და შოლტის დანარტყამებზე, სადაც ხორცი ამოგლეჯოდა, ინა წაუსვეს. ყელზე თილისმები ჩამოჰკიდეს, ავი თვალისაგან დაიცავსო. სხვა ცხენებიც ძლივს იდგნენ ფეხზე სიგამხდრისა და დაღლილობისაგან. მარტულისაგან კისრები ჰქონდათ გადატყავებული. სხეულზე ოფლში შერეული გამლღვალი თოვლი ჩამოსდიოდათ. კვლავ ატკაცუნდა დაწნული შავი შოლტები. ცხენებს დანარტყამი ებუროცებოდათ, მაგრამ ისე ბებრები და ქანცაწყვეტილები იყვნენ, რომ ადგილიდან დაძვრის თავი აღარა ჰქონდათ. შოლტის ყოველ გადაქერაზე ტლინკებს ყრიდნენ და ერთმანეთს კბენდნენ. დახველებისას სისხლიანი ღუყი გადმოსდიოდათ პირიდან.

სუსხიანი ქარი მიწიდან თოვლს ხვეტდა და სახეში აყრიდა ხალხს. მგზავრები ფორნებში ჩასხდნენ, გაისმა ეყვნების ქლარუნი და ქეჩით მოჩარდახებული ფორნები კვლავ ტაატით დაადგნენ ოღროჩოღრო გზას. გზის ორივე მხარეს, სადამდეც თვალი გასწვდებოდა, თოვლით გადათეთრებული მიწიერი იდო. მხოლოდ შორს, ქვეყნის დასალიერზე მოჩანდა რამდენიმე ბორცვი და გორაკი. ლეგა ღრუბლით დაბურული ცა თითქმის ჩამოემხო ქვეყანას. ყინვამ უფრო მოიცა ძალა და ახლა უკვე ძვალ-რბილში ატანდა.

ცხენები საცოდავად იქნევდნენ თავებს, თითქოს შევლას თხოვლობენო. მეფორნეები ისე დაუზოგავად უტყაპუნებდნენ შოლტს, რომ გავები სულ წითლად ჰქონდათ დასერილი.

იუზბაშის თავზე კვერცხივით წაგრძელებული ქუდი ეხურა და ტყავის ზინზლიანი ქურჭი ეცვა. დროდარო სადავეებს ერთ ხელში გადაიტანდა და მუჭით ქიშმიშს იყრიდა პირში. ქუდი თოვლით ჰქონდა დაფარული, ულვაშსა და წარბ-წამწამზე ჭირხლი მოჰკიდებოდა.

ალავიემ ხმიაღის თითო ნატეხი მისცა ბავშვებს, ზინათ სადათს ერთი მაგრად ჩასცხო თავში და უთხრა:

— აჰა, გასკდი! ამ დალეულმა როგორ უნდა შემკამოს და მომინელოს? აჰამე ამ მუქთანორას, ეგ ხომ ღვთის შვილია! ცეცხლე. ჰო!

ზინათ სადათმა ღვარად გადმოყარა ცრემლები, მაგრამ პური მაგრად ჩაბლუჯა ხელში და ჰამა დაუწყო. გოგონას შეიდ წვრილ ნაწნავად დაწნული და შავი ყაითანით შეკრული თმები ზურგზე ეყარა. თვალებზე

სურმა ესვა და ახლა, ცრემლები რომ ჩამოუვცდა, სურმა ჩამოერეცხა და შავი ზოლები დაამინია ლოყებზე.

ნაოქებით სახელდარულმა მეშედი მასუმმა ისე მოპრუწა ტუჩები, თითქოს ცხარე ძმარს აჭაშნიკებსო, ერთი-ორჯერ კიდევ გადქვა ფისი და დაიწუწუნა:

— ამ დავარდნილი ცბენებით სოფელში თუ ჩავალწიეთ, საკეხანეში სანთელი უნდა დავუნთოთ ღმერთს.

ჭეირან ხანუმმა ჩადრიდან წვრილი, გაჭვალტყავებული ხელები გამოჰყო, გაასავსავა და უინედოდ ანოიკნავლა, ღმერთმა ქნას, ყველაფერი კეთილად დამთავრდესო.

— მეტი გავიარეთ, ცოტაა დაგვრჩა, — ჩაუროთო ნანე ჰაბიბმა. — დაკვირვებული ვარ, ხანუმი, სემნანში რომ მივალთ, მერე კარგი გზა იწყება.

— ღმერთმა გიშველოს, სემნანამდე სამი დღის გზაა! — თქვა ალა-ვიემ, — თანაც რა ზამთარია?! მე რა მესწავლება, ამ გზებზე დავებრდი.

ალავიეს ფანჯე ბაშიმ ჩამოართვა სიტყვა, საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა და ომხიანად ალაპარაკდა:

— თავის დროზე კარგი იაზო იყო, ახლა რომ დავარდა საწყალი! მეც ეგეთი ცხენი მყავდა ადრე. ძმაკაცს მივიყიდე, მემედ ხანს, ორმოც თუმნად! მომისმინეთ, რა უნდა გითხრათ! არაბული ჯიშისა იყო. ზედ რომ შევჯდებოდი, ხალხი სულ პირდაღებული მომჩერებოდა. მხარზე შაშხანა, უნაგირის ტახტაზე მაუზერი მეკიდა, გულზე ჯვარდინად მქონდა გადაქერილი სეაზნეები. ნიშანს არ ავაცდენდი. საუჭ ბულადში სახელგანთქმული კაცი ვიყავი. ტელეგრაფი რომ გაიყვანეს პირველად, ცხენზე შევჯექი და სულ ტყვიით დაცხრილე ბოძები. ცხენს მივაქენებდი და ისე ვარტყამდი რიგრიგობით. იცი, რატომ ავიღე ხელი ამ საქმეზე? ერთ დღეს ძმას ვესტუმრე. მითხრა, მაუზერის სროლა მასწავლეო. ორჯერ ვასროლინე, მესამედ დამავიწყდა დამცველი გამამეწია, ლულა მისკენ მქონდა მიშვერილი, უცებ გავარდა და ხელი მოსტეხა. ამის მერე დავიფიცე და ხელიც აღარ მიხლია იარაღისათვის.

ფაზე ბაჯიმ გადაიქნია-თავი და ჩაილაპარაკა:

— კაცს თოფი არ უნდა მიუშვირო, არ იცი, რომ ეშმაკის გატენილია?!

ესმათ სადათს ჩადრიდან გამოყოფილი ცხვირი ფანჯე ბაშისკენ მიეშვირა და ყურებდაცქვეტილი უსმენდა, ალავიე ბუტბუტით ლოცულობდა და სულ არ უგდებდა ყურს ფანჯე ბაშის ვაჟკაცობისა და გმირობის ამბავს.

— სოფელში რომ მივალთ, ფეხსაცმელებს დაგიკვრებ. ხედავ, სულ დაგგლეჯია! — უთხრა ფანჯე ბაშიმ ესმათ სადათს.

— ღმერთმა გიშველოს, რა კეთილი კაცი ხარ! — დალოცა ალავიემ.

ესმათ სადათმა ჩადრი აიწია და თავისი ფეხსაცმელები შეათვალი-
ერა.

ფორანი ახლა თითქმის უხმაუროდ მიდოდა თოვლში. შორიდან ძალ-
ლის ყმული ისმოდა. ნანე ჰაბიბმა ფეხსაცმელი გაიხადა, პირდაღმა
დააწყო და ლოცვა დაიწყო. ჯერან ხანუმმა და ფეხე ბაჯიმაც მიჰბაძეს
ნანე ჰაბიბს და მთქნარებ-მთქნარებით დაიწყეს ლოცვა. მეშედი მასუმმა
ჩიბუხი გატენა და სვენებ-სვენებით მოჰყვა, ორი წლის წინ, სწორედ ამ
ადგილას მგლების ხროვა დაგვეცა, ერთი ორი წლის ბალლი დაგლიჯა
და ერთი ხბო მოიტაცაო. ბოლოს თავი დაიმშვიდა, მგლებს ქრაქის შუ-
ქის ეშინიათო.

გზა ერთფეროვანი და დამლელი იყო. უკვე შელამდა. ფორნებს
მონაცვლეობით ხან გრძელი და ხან მოკლე ჩრდილები მოსდევდნენ უკან.
შორს სოფელი გამოჩნდა. დანგრეული მეჩეთითა და საკახანეთი, თოვ-
ლით გადათეთრებულ მინდორზე შავი და ცისფერი ჩრდილები ათამაშ-
და. წინა ფარნები აანთეს და თითო ფარანი შიგნითაც ჩამოჰკიდეს. მერე
კვლავ გაისმა თვლების ქრიალი და ფორნები წინ გაუძღვნენ თავიანთ
გაწეულ ჩრდილებს. ცის კიდურზე ეულად მოჩანდა ვერცხლისფერი
ნამვალა მთვარე. იგი თითქოს ცივი ღიმილით ელოდებოდა დედამიწის
მიძინებას.

ყურებმა ცოტა ხნით, სანამ ქარავანი იდგა, დაისვენა თვლების გუ-
ლისმანქრილებელი ქრიალისაგან: ახლა კი ფორნები ყურბელასავით გა-
ცქიბნენ შარაგზაზე და არეზარე კვლავ გააყრუა თვლების რახრახმა და
ქრიალმა.

ფორნის სახურავიდან წვიმა ჩამოდიოდა და ავადმყოფი ქალი დიდი
წვლებით გადასვეს სხვა ადგილზე. ნანე ჰაბიბი ამბობდა, ეგ იმდენ
წყალს სვამს, ნამდვილად წყალმანიკი აქვსო. ნანე ჰაბიბს ორი წლის წი-
ნათ თავის თვლით ენახა ერთი ფეხმძივე ქალი, რომელსაც ორი ვედრო
წყალი დაეღია და იხეწებოდა, მკავე კიტრი მაქამეთო. ხალხმა იფიქრა,
რომ არ მივცეთ, არაფერი დაემართოს და ჩვენ არ დაგვბრალდესო. მის-
ცეს და შეჭამა თუ არა, ყბა ჩამოუვარდა.

ალავიმ თავი მოიავადმყოფა, წამოწვა და ესმათ სადათს უთხრა:

— მოდი, ჩემო სიცოცხლე, ცოტათი დამიზილე ფეხები. შარშან
იმამზადე დაუღის საფლავზე რომ მივდიოდი, წაიქეცი და იმის მერე,
ცოტა რომ შემეცია ან დავიღლები, მტეხს ხოლმე.

— ჯანჯაფილი უნდა ჰქამო, ხანუმ, — უთხრა ნანე ჰაბიბმა. — ჩემს

რძალს წელი ტყუნდა, რა არ ვუწამლე და არაფერმა უშველა. პილოს
ჯანჯაფილი იხმარა და მორჩა.

ალავეიმ მკაცრი მხერა ესროლა ალა მუნიღლს და მკაცრად უთხრა.
სოფელში რომ მივალთ, მაშინვე მივიდე ჯანჯაფილით! ესმათ სადათმა
ფრთხილად გამოჰყო ხელი ჩადრიდან და უწადილოდ დაუწყო ფეხების
ზელა ალაკივს. ჩადრი გადაეწია და ფარანის შექსე ბასმით შეღებილი
დაფანჩული წარბები და დიდი პირი გამოეჩინა. ტუჩას კუთხეში დიდი
იარა უჩანდა. თალათს ეძინა, ზინათ სადათო თელემდა და დროდადრო
ახველებდა, თუმცა გულზე გოგარის ქერქზე ამოკაწრული ყვიანა ხვე-
ლას ლოცვები ეკიდა. ფორანის ბოლოში მკაცრმა ქალმა შავი, დასიებუ-
ლი ძუძუ ჩაუტემა პირში თავის გაყვირლებულ ბავშვს. ბავში წურბე-
ლასავით მოეკიდა ძუძუს და თან თითქოს ზინათ სადათს არ უნდა ჩა-
მორჩესო, ხანგამოშვებით პირს შეუშვებდა ძუძუს და ახველებდა.

— გზას ვადექით და იუზბაშიმ აღარ დანაცალა, ერთი ფინჯანი ძირ-
ტებილას ნახარში დამელევივინებინა ბავშვისათვის. — დაიჩივლა ალა-
ვეიმ.

ნანე ჰაბიბმა თავისი აყიყის ბეჭედი შეატრიალა თითზე და უჩინა:

— სახამებელი დაალევირე, ხანუმ, გულს დაუტრბილებს. ამალამ, ძილის
წინ, ხაშხაში დაალევირე. თუ თვალი აქვს ნაცემი, შელოცვილი კვერცხი
უნდა დაამტკრიოთ თავზე, რე ვეშინია, მოიკეთებს!

— ჩასკდა შავის მუცელი! — აყვირდა ალავეი. — ზომა და გარჩევა არ
იცის, რაც მოხვდება, პირში იტენის! ეუთხარო, სურათთან ეგდე, ფეხი
არ მოიცვალა-მეთქი, მაგრამ გაგიგონია? ღმერთმა ამის სიკვდილს მო-
მასწროს ადრე და მალე! ტანჯვა-წვალება მაკლია, რომ კიდევ ამან
არ გამიშროს სისხლი! მამამისს მიეწიოს! გაუშრეს რძე, ვინც შენ ძუძუ
გაწოვა! არ გარხაროს იმის ჯიშმა და ჯილაგმა! სულ თოვლში დარბის,
იუზბაშის არა სცილდება გვერდიდან, ქიშკიშს და ბასლუყს აკმევს და
იმიტომ. იუზბაშისაც ძალიან უყვარს. მითხრა, უნდა ვიშვილოო.

— იუზბაშის ძალიან უყვარს ბავშვები, — შენიშნა ნანე ჰაბიბმა, —
ხანში შესულმა კაცებმა ეგრე იციან, მით უმეტეს, თუ შეილი არა ჰყავთ.

— კაცების უმეტესობას, ბავშვის ჰკუა აქვს. — თქვა ალავეიმ, მერე
ხმას დაუწია და განაგრძო, — შარშან ცხონებული ნაჯაფ ყულას სიღე
ვიყავი. ეს გაბანჯვლული გრძელწვერა კაცი ყოველ ღამე კალთაში ჩა-
მიდებდა თავს, ატირდებოდა და ხვეწნას დამიწყებდა, ვითომ შენი შვი-
ლი ვარ, მომეფერე და ნანა მიმღერეო! თურმე პატარას. მოჰკვდომია დე-
და, სახე აღარ ახსოვდა. ხანდახან ისე დამეწვებოდა გული, რომ ავტირ-
დებოდი. ავღრილდებოდი თრთვენი, მერე გულზე მოგვეშვებოდა და
ავხარხარდებოდი. ბევრჯერ მითქვამს პირში: არა გრცხენია, ამოდნა
ვირი ხარ, ძალმა ეგ წვერები რომ მოგაჭამოს, სარეცხის თოქს შობს-
მეთქი თანაც ძალიან ჰირვეული იყო, გული გამიწვრილა. მალმერთებდა,

სულ გვერდით უნდა ვყოლოდი. რა არ გავაკეთე, რომ გავყროდი, მაგრამ არა და არ მომეშორდა. ბოლოს წავედი, სადაც მკვდრებსა ბანენ, ერთი ზანგი ქალის ნაბანი წყალი მოვიტანე შინ და დავალეინე. იქნებ შემიჯავროს-მეთქი. ღმერთმა აცხონოს, ორი თვის მერე შენი ქირი წაიღო, ხანუმ.

ნანე ჰაბიბმა კვლავ შეიტრიალა თითზე აყაყის ბეჭედი, თავი გამგებინად ჩაიქნია და ჩაილაპარაკა, ღმერთმა იმისი დღეები შენ შეგმატოსო!

ქარავანმა დიდი წვალებით მიალწია აბლოლაჰ-აბადს. მგზავრების ლოცვა-ღალღმა სოფელი გააყრუა. რამდენიმე მიწით შელესილი ქოხი პირველყოფილი ადამიანის ბინას მოაგონებდა მნახველს. შაჰ-აბასის დროინდელი ქარვასლის შესასვლელთან კრაქი ბუტავდა. ალიზით შელესილ კარბზე ქურდების დასაშინებლად ორი თავის ქალა იყო დამაგრებული. ფორნები ვიწრო ტალანით შერაზრახდნენ ოთხკუთხედ ეზოში, სადაც დიდი ფარდული იყო გამართული ბარგის დასაწყობად. თალებიანი აივნის გაყოლებზე ჩაობეზებული ვიწრო და ბნელი ოთახები ციხის საყნებს წაგავდა.

მგზავრები აფუსფუსდნენ, თავ-თავიანთი ლოგინები, თუნგები, თასები და სხვა ბარგი-ბარხანა წამოიკიდეს, ქარვასლის ოთახებს მიაშურეს. თითო ოთახში ხუთი, ექვსი კაცი მოთავსდა. ალაიემ ფანჯე ზაშის, ფაზე ბაქისა და ნანე ჰაბიბს სთხოვა, ერთად დავიჭიროთ ოთახიო და ისინიც დაეთანხმნენ. ნავთის ლამპა აანთეს და ოთახი დაათვალიერეს. იგი დათვის ბუნაგს წაგავდა. თიხით შელესილი კედლები მკვარტლს გაეშავებინა. კერზე მერცხლის ბუდე მოჩანდა. იატაკზე, ბუდის ქვეშ, ნაცარი მიეხვეტათ. კედელს ერთ ადგილას ნარწყევი მიხმობოდა. ერთ კუთხეში დუმელი იდგა. მუყაოს ნაგლეჯი, დამტვრეული მარაო და ნაგავი მეორე კუთხეში მიეყარათ.

ესმათ სადათმა ხმაამოუღებლივ აანთო მაყალი. ფეზე ბაჯიმ წყლით აავსო ორი ჭუჭყისაგან გაშავებული, დამსკდარი თიხის ჩაიდანი და მაყალზე შენოდგა. ალა მუჩულმა დაგლეჯილი ფარდაგი ჩამოკიდა კარებად — ცოტა სიცივეს დაიჭერს და ქალებს უცხო თვალისაგან დაიცავსო.

ეზოდან მეფორანების ჩხუბი და გინება, ბავშვების ტირილი და ქარის ზუზუნი ისმოდა. ლამპის შუქზე ეს თმააწეწილბ, სახეშეშუპებული და თვალებგადმოკარკულული დედაკაცი აფრიველი ზანგების სისხლისმოყვარულსა და ვნებიან კერპს დაემსგავსა. მან მუთაქააავით დასიებული ფეხები გამართა და კენესასა და ოხერას მოჰყვა. ფეზე ბაჯი მაყალთან ჩაცუტქულიყო, კრიალოსანს მაჩკვლავდა და ჩურჩულით ლოცულობდა. სახეგამკუჭული და თვალებამოწირბლული ზინათი და ესმათი მღეროდნენ:

არ მოხედე ჩვენთან სახლში, ზანგო ძია,
ჩვენს პატარძალს შენი ნახვა არ სწადია!

ბავშვები უბულოდ მღეროდნენ. ალბათ ვალდებულად მიაჩნდათ თავი, ან იქნებ ფიქრობდნენ, ფეზე ბაჩის ესიამოვნებაო.

ალავეიმ მუშტი ჩააზილა ზინათს ზურგში და მიაწყველა:

— ღმერთმა შენი სიკვდილი მაღირსოს, ენა ჩავარდნილი მენახე, შენ არ გამეზარდე, შენა! გამაგიყეს, მომსპეს, რა დღეში ვარ ამათ ხელში! მარტო ღმერთი და შენ ხედავთ, ფეზე ბაჩი, ჩემს გაკვირვებას. რა მეშველება, მოიშორებ თუ რა? რალა ესენი და რალა მეჩეთის კარი — ვერც ჩამოხსნი და ვერც დაწვავ, უნდა დადგე და უყურო. გლახაკს ზედ რომ გადაჰყვე, მაინც გლახაკად დარჩება. ღმერთო, შენ გამოტე ესენი მკვდრების გასაბან ფიცარზე. ერთი ამით ახალ კაბებს შეხედე, ფეზე ბაჩი, ნახე რას დაამსგავსეს — ძონძებოვით ჰკიდიათ ტანზე. ქაჩალს რაც გინდა დაახურო, მაინც ქაჩალია, კურტუმომონგრეულს, დაფეხვილს ფარჩის ქამარი უშველის?!

— არა უშავს, ხანუმ, ბავშვებია. გაიზრდებიან და კქუაში ჩავარდებიან. — უთხრა ფეზე ბაჩიმ.

— მოდი, თვალში ჩამხედე, რალაც ჩამივარდა, — დაწითლებული თვალის სრესით უთხრა ალავეიმ ესმათს.

ესმათ სადათი წამოდგა. თვალში ჩახედა ალავეის, მაგრამ არაფერი უთქვამს, უკან დაბრუნდა და კვლავ მაყალს მიუჯდა:

— ღვთის წყალობით, საშიში არაფერია, ხანუმ, — გაამხნევა ნანე ჰაბიბმა. — ბრინჯზე ვილოცებ და შენს ავადმყოფობას წყალს გავატან. ნახე, რა კარგად გახდეს!

ფანჯე ბაშიმ შალის თეთრი სახელოებჩაფართხუნებული ქაფანაკი ჩაიცვა. სახარაზო იარაღების ყუთს თავი ახადა და ესმათის ფეხსაცმელების შეკეთება დაიწყო. სახეგაბადრული მუშაობდა და თან ლიღინებდა.

ამ დროს კარებზე ჩამოფარებული ფარდაგი ვილაცამ გადასწია და ოთახში თოვლსა და ტალახში ამოსვრილი იუზბაში შემოვიდა. ტანთ ქუქიანი და დახეული ტყაპუკი ემოსა, ფეხზე ქალამნები ეცვა, წვეცებზე შალის ტოლულები შემოხვია, ხელები თათმანებში ჰქონდა წაყოფილი, თავზეც აბრეშუმის თავაფარშემოხვეული ტყავის მაღალი ქუდი ეხურა. იუზბაშის კარდაკრული სახე და ინით შეღებილი ბინძური წვერ-უღვაში ჰქონდა. გრძელ ცხვირზე მკამელის ნაკვალავი აჩნდა, მეჩხერი ქლალი წარბების ქვეშიდან ლურსმანივით წვრილი თვალები მოუჩანდა. მეფორნეს ულკაშებზე ყინულის ლოლოები ეკიდა, ლოყები წითლად ულაპლაპებდა ლამპის შუქზე და სახე ისე ჰქონდა დაღარული. თითქოს შორტით უცემიათო. შალის დახეული თათმანები აბანოს ქისას მიუგავდა. თათმანებიდან ცერი და ყველა თითის ფრჩხილი მოუჩანდა.

იუზბაშიმ თოვლი დაიბერტყა, გვერდულად მიუახლოვდა მაყალს და ხელები ცეცხლს მიუფიცხა. კოფოზე დიდხანს ჯდომისაგან ფეხები გაშემშობდა და ალბათ ამიტომ იყო, რომ რუსულად და თურქულად იგი-

ნებოდა, ოღონდ ვერ მიხვდებოდით, ვის აგინებდა — მგზავრებს, ცხენებს თუ ამინდს:

იუზბაშიმ ხელი ჩაიყო თავისი დაქეცილი ხიფთანის ჯიბეში, ერთი მუკა ქიშმიში ამოიღო და, მაყალთან ჩაცუცქულ, ტირილისაგან თვალმდრისივალ თალათსა და ზინათს ჩაუყარა პეშევებში.

იუზბაშის დანახვაზე ალავეიე გამოცოცხლდა და სახეგაბრწყინებული აღაპარაკდა:

— ჩვენთან დაიძინე, იუზბაში, შენთვის ადგილი მაქვს შენახული, გინდა, ქარვასლის პატრონთან წავალ და კვერცხს მოგიტან? ეი, ალა მუჩულ! ადექი! წადი, იქნებ წვნიანი კერძიც ჰქონდეს, ჯამი წაიღე და მოიტანე! მე ძვლები მტეხს.

— არ მინდა! — იუზბაშიმ, — სალმან ბეგი ავად არის. ამალამ ფორანში უნდა დავიძინო ფუთებზე.

— ქერიმ ალი გაგზავნე, შეგირდი.

— ქერიმ ალი ფორანიდან ჩამოვარდა და ფეხი იღრძო. ამალამ თავის ფორანში უნდა დაიძინოს.

— განა საბ სალთანმა ცალკე ოთახი არ დაიჭირა?

— საბ სალთანს წაეჩხუბა.

— მაშინ შენი წინდები მომეცი, ამოვეკმსავ.

— არ მინდა, დილა უთენია უნდა ავიყაროთ.

— რაჯაბ ალი სად დაიძინებს, მეფორნე?

— აი, თქვენ გვერდით რომ ოთახია, იქა.

— რა დროც იქნება, შემოვივლი.

იუზბაში ფეხების ფლატუნით გავიდა ოთახიდან. ალავეიე ნანე ჰაბიბს მიუბრუნდა და უთხრა, მოდი, ვივანშმოთო.

— კარგი ვქენი, რომ ორი-სამი ქაბაბი ვიყიდე, თორემ ეს წვნიანი კერძი წყალივით არის, — თქვა ნანე ჰაბიბმა და ზიზღით ამოურია თითო ჯანში, რომლითაც ალა მუჩულმა ხორცის ნახარში მოიტანა, სუფრა გაშალეს. ფეხე ბაჯიმ ქაბაბის თითო ნატეხი გაუწოდა მთელმარე ბავშვებს. ალავეიე რომ დანაყრდა, დაიწუნა ვახშამი, ნანე ჰაბიბმა კვერი დაუქრა:

— წყალი დაუსხამთ და ცეცხლზე მიუფიცებთ.

ვახშამი კვერცხებით და ალა მუჩულის მოტანილი წვნიანი კერძით დაამთავრეს, პურიც მთლიანად შექამეს, მერე კი ორ-ორი ფინჯანი ჩადაყოლეს. ნანე ჰაბიბმა თავსაფრის ყურე გამოხსნა, ორი პატარა აბი ხაშხაში გამოიღო და ალავეიეს გაუწოდა, ბავშვებს მიეცია. ლამპის ფთილას ჩაუწიეს, საბნებში გაეხვივნენ და დასაძინებლად მოემზადნენ. ყველა სხვადასხვა ხმაზე ახვირინდა, შეუწყობელი ორკესტრივით.

მარტო ფენჯე ბაშის არ ეძინა. იგი ესმით საღათის ფეხსაცმელებს

აკერებდა და ღლინებდა. ცოტა ხნის შემდეგ ალავეე წამოდგა, ჩადრი მოიხვია და გარეთ გავიდა. ოთახში ერთმანეთში არეულიყო ზინზლისა და ოფლის გულისამრევი სუნი.

მლოცველები ალავეეს ოჯახით ჯერ კიდევ ეივანქმში დაინტერესდნენ და ყიშლაყი, არადანი და ფადე ისე გამოიარეს, რომ სხვა სალაპარაკო არაფერი ჰქონიათ.

ჯერ ერთი, ამ ოჯახის წევრების მათხოვრობის განსაკუთრებულმა ხერხმა მიიპყრო მათი ყურადღება, მეორე, ძეხორციელი ვერა ზედებოდა, ვინ ვისი რა იყო ამ ოჯახში. თვით ზარინთაჯ ხანუმიც ვერაფერს მიხვედრილიყო, ათას ქირსა და უბედურებაში გამოვლილი, მრავალჯერ გათხოვილი ზარინთაჯი, რომელიც წელიწადი — თორმეტი თვე ხან ერთი წმინდანის საფლავის მოსალოცად მიეშურებოდა, ხან მეორესი და თავისი პატარა თვალებით დაუნახავი არაფერი რჩებოდა. ხალხს ისიც აზნევდა, რომ ალავეე, ალა მუხრული, ესმათ სადათი და ბავშვები სულ არ ჰგავდნენ ერთმანეთს. გზაში ალავეე ხან რძლად ასალებდა ესმათ სადათს, ხან ამბობდა, ჩემი ქალიშვილია, მეშქედში მიმყავს გასათხოვებლად. ასევე, ალა მუხრულს ხან შვილს ეძახდა, ხან სიძეს, ხან კი ნახევარძმას. ვერც ბავშვებზე გაიგეს რამე — ჯერა თქვა, ქუჩაში ავიყვანე და სამადლოდ ვზრდიო, მერე შვილიშვილებად მონათლა, ბოლოს კი გამოაცხადა, ჩემი შვილებიაო. საბოლოოდ ვერაჟინ დაადგინა, ეს ბავშვები ალავეეს შვილები იყვნენ, შვილიშვილები თუ ვინმე მეფორნის ნახუშრები. ხალხს ისიც აეჭვებდა, რომ ალავეე რაღაც სხვანაირად უტრიალებდა იუზბაშის. მოცლილ ქალებს სხვა სალაპარაკო აღარა ჰქონდათ.

სოღრა სულთანმა, რომელიც პირველად იუზბაშის ფორნით მოგზაურობდა, თქვა, ყიშლაყში ალავეე მთელი ღამე იუზბაშის მკლავზე იწვაო.

ამის გაგონებაზე პატიოსანმა ქალბატონებმა ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს. ყველა ქორავდა და ათრევედა ალავეეს. მხოლოდ ფეზე ბაჯიმ და ნანე ჰაბიბმა დაიცვეს. ფეზე ბაჯიმ თქვა, იმამ რეზას მომლოცველს ასეთი რამ როგორ უნდა დააბრალოთ, მკვდარს სხვის კუბოში არ აწვენენო. ნანე ჰაბიბმა დასძინა, თქვენი საქმე ისეა, ყვავმა ყვავს რომ უთხრა, შე ყრანტალაო. არ გაგივიათ, ტაშტი ვატყდა, ხმა გავარდაო? ვიცნობ ამ წმინდა ქალბატონებს, ღლედალამ რომ ლოცულობენ და ვითომ ჭიანჭველას ფეხს არ აღგამენ. ისინი სხვებზე ქორაობენ, თვითონ კი ქვეყანას აქცევენ.

აი, ამიტომ იყო, რომ ალავეემ სოღრა სულთანი თავიდან მოიშორა და ნანე ჰაბიბი და ფეზე ბაჯი იუზბაშის ფორანში გადმოიყვანა.

როგორც კი მომლოცველები დასახლებულ ადგილს მიალწევდნენ და დასასვენებლად შეჩერდებოდნენ, ალავე იუზბაშის ნებართვას სთხოვდა, ალა მუჩულს ნიშნავს მისცემდა და თავისიანებს ფეხზე წამოყრიდა. შემდეგ წმინდანის საფლავთან, დუქანთან ან ქარვასლასთან ადგილს შეარჩევდნენ და სურათს გაშლიდნენ. ალა მუჩული სურათის შინაარსს უხსნიდა მაყურებლებს. როცა რაიმე შეეშლებოდა, ალავე თვალებს დაუბრიალებდა და გაუსწორებდა. ალავე ესმათ სადათს მაყურებელთა როცხვის გასაზრდელად აყენებდა სურათთან, ბავშვები კი იმიტომ ჩამოკყავდა ფორნიდან. რომ აეტირებინა და ხალხისათვის გული აეჩუყებინა. ბავშვები ყელგადაგდებულები ისხდნენ სურათთან. ალავე დროდადრო ჩუმად უჩქმეტდა. ბავშვები აღრიალდებოდნენ და გულდათუთქული მაყურებლებიც იცრემლებოდნენ.

ამ ოჯახს რალაც იღუმალი ძაფებით აკავშირებდა ერთმანეთთან ეს სურათი. ის იყო მათი ცხოვრების აზრი, საფუძველი და სიამაყე. ვინმეს რომ წაერთმია, ხომ სხვებივით უბრალო ხალხად იქცეოდნენ და ჩვეულებრივ მიმლოცველებში აითქიფებოდნენ.

სანახაობა ყადირის ზეიმით იწყებოდა. შემდეგ მოდიოდა მსხვერპლის შეწირვა და ციდან კრავის ჩამოშვება, ალი აქბარის ბრძოლა იაზიდის ჯართან, აბოლ-ფაზლის შეტაკება მტერთან, ტყის მარწყვი, მდინარე ყამე, სირიის ბაზრობა, ტანტზე მჯდომი იაზიდი, მოხთარის მოსვლა, ოთხთვალა ძალი ჯოჯოხეთის კარიბჭესთან, ბეწვის ხიდი, ჯოჯოხეთი, სამოთხე, მართლმორწმუნეთა კრებული და სხვ...

ეს ნახატები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებლებზე. ისინი ეხმაურებოდნენ მომლოცველთა ფიქრებსა და განცდებს, იმედებსა და სურვილებს. ნახატი ნახატს მისდევდა და მთაშრ, როგორც სარკეში, ირეკლებოდა ამ უბრალო ხალხის ოცნებები და მისწრაფებანი, მათი რწმენა და მთელი სულიერი სამყარო.

ნათელი დილა გათენდა. ქათქათა თოვლი თვალისმომკრელად ბრჭყვიანულბდა მზის სხივებზე. მგზავრები აფუსფუსდნენ, გარეთ გამოეფინენ. მაშადი რაჯაბ ალი და იუზბაში თავ-თავიანთ ფორნებთან იდგნენ და თურქულად და სპარსულად იძლეოდნენ განკარგულებებს: სახედასიებუელი, გამოუძინებელი ალავე თავის ოთახში შევიდა, ალა მუჩულს ფეხი წაპკრა და დაპკივლა:

— აი, შე დათვო! ამდენ ხანს ძილი გაგონილა? ნამუსი აღარა გაქვს? აეთრიე და სურათი გაშალე, ჰა, გაინძერი, საცაა წავალთ! ეი, ესმათ! ჩქარა წამოიყვანე შენი ბავშვები, დრო აღარ არის! ფეზე ბაჯი, ნანე ჰაბიბ, ფანჯე ბაში, თქვენც წამობრძანდით და ვისაც კი დაინახავთ, წამოიყოლეთ.

ალავიემ კრუსუნით ჩაიარა კიბე და ერთ-ერთი თაღის ქვეშ თავისი ქუჭყიანი თავსაფარი დაფინა მიწაზე. ნამძინარევეა ალა მუჩულმა ომახიანად დაიწყო:

— ვინც ხმამაღლა ილოცებს, იმის ოჯახში ავადმყოფის ლოგინი არ გაიშლება.

— ღმერთმა დალოცოს მოჰამადი და მისი შთამომავლობა!

— ვინც ხმამაღლა ილოცებს, იმ ქვეყნად ალი გაუხდება შემწედ და მფარველად! ყველამ ილოცეთ, ნაბიჭვრების გარდა!

— ღმერთმა დალოცოს მოჰამადი და მისი შთამომავლობა!

— დაე, არ დაჩლუნგდეს ისლამის მახვილი, დაე, არასოდეს გაგეშვიროთ ხელი სამათხოვროდ, უსახელოდ არ წასულიყავით ამ ქვეყნიდან! აბა, ხმამაღლა ილოცეთ!

— ღმერთმა დალოცოს მოჰამადი და მისი შთამომავლობა!

სურათთან ხალხმა მოიყარა თავი და ალა მუჩულმა ხმას აუწია:

— ალი გაუხდეს მფარველად ყველას, ვინც აქ მოვიდა! ჩვენც გაჭირვებული ხალხი ვართ, ჩვენი საქმე ეს არის, პურს ამითი ვკამთ, თქვენ უნდა ჯილთოთ რამე, რომ ჩვენ ვიცოცხლოთ.

ალა მუჩულმა ოდნავ გაშალა სურათი. გამოჩნდა მეშბარზე მდგომი მოჰამადი. მას ხელი: ჩაეჭიდა ხელში ალისათვის. ირგვლივ უამრავი ხალხი შემოხვეოდათ.

— სახელითა ღვთისითა მოწყალისა და შემწყნარებლისა, — განაგრძობ ალა მუჩულმა, — თავყვანი ვცეთ უფალსა ყოვლისმცოდნესა და ყოვლისშემძლესა! ვინც განბანილი არ არის, აქაურობა დატოვოს. ეი, დეიდა, რას დასეირნობ, აქ ყადირის დღესასწაულია. ყველამ იცით. რა არის ეს დღესასწაული? ყველა მართმორწმუნეს სჭირდება იმისათვის, რომ... ამ დროს მეზობელი ოთახიდან გააღმასებული გამოვარდა ჩითის ჩადრში გახვეული ვიღაც 35—40 წლის უღვაშებიანი ქალი. დოინჯი შემოიყარა და გაცოფებით ალავიეს შეუტია:

— ეი, ალავიე, ნამუსი ალარა გაქვს?! სირცხვილი დაკარგე?! უნამუსობა ჩაყლაპე და სინდისი ამოარწყყე?! რა საქმე გქონდა წუხელ მორად ალის 'ფორანში'? ახლა გავაგებინებ ქვეყანას შენს კაი ქალობას! დამიხედეთ, დილაადრიან რომ წამომდგარა, მათხოვრის ტოლჩა დაუქერიდა და ხალხს აბრუებს! შვიდ-შვიდი ბულასავით კისერდასიებული საყვარელი გყავს და მე ერთ ქმარსაც არ მანებებ, არა? ღმერთი ალარა გწამს? რჯულს გადაუდექი? ეი, ხალხო, მოწმე იყავით, რას მიშვება ეს გარყვნილი და გათახსირებული დედაკაცი! თანაც სალოცავად რომ მიდის! აი, ზედ შუაზე გაგწყვიტოს წმინდა ალიმ!

სურათის წინ თავმოყრილი ხალხი აირ-დაირია. ალა მუჩულმა სასწრაფოდ დაახვია სურათი. ოთახეზიდან სხვა მლოცველებიც გამოვიდნენ და ალავიეს შემოეხვივნენ. აბას ყულიც კი მოვიდა — ყრუ-მუნჯი,

დიდთავა და ხეიბარი ჰაბუცი, მან ძლიერდობით გამოიარა თოვლში აზღ-
ლილი ტალახით დაფარული ეზო და ისე აღმუვლდა, თითქოს რადაცის
თქმა უნდაო. (აბას ყული მეშპედში მიჰყავდათ, იქნებ იმამ რეზამ გან-
კურნოსო). ამ დროს იუზბაშიც გამოიხნდა. იგი ფეხების ფლატუნით უახ-
ლოვდებოდა: მოხიუბრების ირგვლივ შეიკრებილ ბაბოს. თვალგადმო-
კარკლული ალავეც ღრიალებდა:

— აი, შე გაფუჭებულო, შე თიფლიზხო, შენა! რა ამბავი ამიტეხე!
ვის უნდა შენი ქმარი? რა საქმე მაქვს შენთან, თავიდან მომწყდი, შე
ძაღლო! კამეჩთან მოხიუბარ ხბოს რქები არ შერჩება! ჯერ გაიგე, ვის-
თანა გაქვს საქმე! ძაღლის ჩინკორაში ჩაგაყოფინებთ თავს შენც და მა-
მაშენსაც! ორივე ხელს მოგამტვრევ, შე გაოხრებულო! ფანჯე ბაში მოწ-
მეა, რომ ცხვირი არ გამომიყვია ოთახიდან.

— ალავეც ხანუბ, ილოცეთ! საბ სოლთან, არ არის ლამაზი ასეთი აურ-
ხაურის ატეხვა. — ჩაერთა ჩხუბში ფეზე ბაჯი.

საძებ-სოლთანმა თვალეზი დაუბრიალა ფეზე ბაჯის და შეუტია:

— ერთი ამას დამიხედეთ! რეებს მიედ-მოედება გასათხოვარი ქალი-
შვილის დედა აი, შე ბებერო ჯღანსო შენც ალავეც კუდი ხარ, შე მა-
მაძაღლო! დასეთ, რა ამბავშია ეს შავი ჯოჯო? სანამ ახალგაზრდა იყო,
ხმაჩაქმენდილი ეგდო მდიდრების სამხარეულოში და ახლა კი, სიბერე-
ში, კახას კახობა არ გაუვიდა და მაქანკლობას მიჰყო ხელი, რას ერჩე-
ბი სხვის ჩხუბში, რა შენი საქმეა?

საძებ სოლთანნი დაეჯღანა ფეზე ბაჯის და დასძინა:

— ნეხვში უნდა ჩაგაყულო თავით, შე მართლა ნეხვის ჰიავ, შენა!

— ნახე, როგორ იბერება? — აღუდუნდა ფეზე ბაჯი, — რას მიედ-
მოედება, რას ბოდავს? კაცი ვერ გაიგებს მაგის ნათქვამს, თვითონ ლაფ-
შია ამოსვრილი და სხვაზე ლაპარაკობს. ყველა შენსავით ლამაზი ხომ არ
იქნება?! სარკეში არ იხედები, შე მახინჯო! აი, მიწამ კი გიყოს პირი, შე
ასპიტო! ვინმეს რომ დაესიზმრო, გული გაუსკდება! ნეტა ვინ ოხერი დაწ-
ვება შენთან?!

— საძებ სოლთანმა პასუხის ღირსად არ ჩათვალა ფეზე ბაჯი და კვლავ
ალავეც დაუწყო ლანძღვა:

— ნეტა რას მემუქრები, შენი ვის ეშინია, შე ღმერთისა არ მემი-
ნია და შენისთანა გახრწნილი რას დამაკლებს? ფანჯე ბაში არ მომიყვ-
ნა მოწმედ?! მელას ჰკითხეს, შენი მოწმე ვინ არის და ჩემი კუდიო. რა
პირით ამბობს, არაო. ქვეყანამ იცის თქვენი ამბავი. ჩემი თვალთ დავინახე
ყველაფერი. კბილი ამტკიცდა და ზანეხანის ოთახში შევედი ხაშხაშის
მოსაწვეად. უკან რომ მოვდიოდე, მორად აღის ფორნისაკენ გაეუხვიე.
ვხედავ, აბას ყული ფორნის წინ წამოწოლილა და შენს ფეხსაცმელებს
ათამაშებს ხელში. მანიშნა, შიგ არავინ არისო; მაგრამ შემოვიხედე და
თვალი მოგვარი, მორად აღისთან ნახუბარი ვიყავი და აყალმაყალი

აღარ ატეხე. გამოვბრუნდი, შენს ოთახში შემოვედი და ვნახე, რომ იქ აღარ ეგდე. ალა მუჩუღს ელვიდა. ალა მუჩუღ, თქვი, ალავეიმ შენს ოთახში გაათია ღამე?

— ალა მუჩუღი ყურებიანად გაწითლდა, საკებ სოლთანს შეხედა, მაგრამ ხმა არ ამოიღო. ალავეიმ ახლა მას დაეტაკა:

— ენა ჩაგივარდა მუცელში, თუ პირში ფაფა გიდევს, რატომ არაფერს ამბობ?

— არ ვიცი, არაფერი დამინახავს. — ამოღერღა ალა მუჩუღმა.

— თვალები სად ჯანდაბაში გქონდა? — დაულრიალა ალავეიმ ალა მუჩუღს და მუშტი მოუღერა. — აი, შენ დანაგებრმავოს გამჩენმა, შე უმადურო! არ მოგწონთ? ჩემი გამოზრდილი თავში კეტს მარტყამს! დაგავიწყდა, რა ლაფიდან ამოგათრიე? მინდოდა კაცი გამომეყვანა შენგან, შე მიწადასაყრელო! შენ კი ასე გადამიხადე, არა? წუხელ სად ჯანდაბაში ეგდე? შენა გგონია, არ ვიცი? თქვი, თორემ საფლავში ჩაგდებ, შე უმადურო! ფენჯე ბაშიმ მითხრა, წუხელ წაეთრია და დილას შემოეთრიაო! ვიცი, რა მუცლის გვრემაცა გაქვს, კაცი გინდოდა გეშოვა და იმიტომ დაწანწალებდი! იქნებ საბ სოლთანთანაც გეძინა? ნამდვილად იმასთან იგორაეებდი! აკი არა, სურათს რომ გაშლიდი, სულ თვალებით გვამდა! მოეწონე და ახურდა! ახლა ვხედები, სად მარხია ძაღლის თავი — მაგასთან მიხვედი და ჯაშში ჩამისვარე! კაცი მეგონე და ნაკავი ყოფილხარ!

დარაჯმა, რომელსაც ქულზე წითელი ნაქერი ჰქონდა მიმაგრებულნი, თავის მოვალეობად მიიჩნია. წესრიგი დაემყარებინა და იკითხა:

— რა მოხდა, ბაჯი, რა ალიაქოთი ატეხეთ! ვინმე იფიქრებს, აბანოს სახურავი ახადესო.

— გაიარე, გაიარე! შენ უკანალს მოუარე, შე დორბლიანო! მიუწყებებია ქულზე რალაცა და ხალხს ატყაეებს. ჰგონია, მეც შემაშინებს! გამომივიდა სიმართლის მაძიებელი! შენი დაცვადა აკლია ამ აყოლებულ მძორს!

— ეგეც შენი, არ ვიცი. როგორ ეძახი, შვილი თუ სიძე! თავის პირით არა თქვა! — ჩაურთო საკებ სოლთანმა, — იქნებ ისიც თქვა, იუზბაშისთან არა ვგორაობო.

— მაშ, მე არ გინახივარ, შე ცვედანო? — მიუბრუნდა ალავეიმ ალა მუჩუღს. — ამ ქვეყნის ნათრევთან იბურღალე და ჩემზე იკორავე. ხომ! ახლა ცილსაც მწამებ! გითხარი, ესმათ სადათს მოგცემ-მეთქი და შენც დაიჯერე, არა? ქალი რა შენი საქმეა, წადი კოჭობანა ითამაშე; შე ლაწირაკო! ერთ თავვის ბაღნად არა ღირს ათასი შენისთანა მაიმუნი! იქნებ გგონია, შენი ნუშის თვალები მომწონს? რაც ფანჯე ბაშის დავუწყე ყურება, ეჭვით ლამის გადაირიე. მიწა დაგეყაროს მაგ სულელ თავზე, შენ ხომ კაცი არა ხარ! თვალები სადა გქონდა, კუთხეში არ მეძინა, შე დამკალო, ვერ დამინახე?!

— არ დამინახიხარ, არა.

— არა შენა და დარღუბალა! ვინა თქვა, მკვდარი ჰაერს არ ააყრო-
ლებსო! ნახეთ, რას მამბრალებს ეს თახსირი ქალაჩუნა? მე ვიცი, რასაც
ვეტყვი იუზბაშის. ფანჯე ბაში, შენ ხომ მოწმე ხარ, რომ ფეხი არ მო-
მიცვლია ოთახიდან, შენ ხომ მთელი ღამე არ დაგიძინია, ესმათ სადათის
ფეხსაცმელს აყერებდი.

— აბოლ-ფაზლის მოკრილ ხელებს ვფიცავ, გათენებამდე არ დამიძი-
ნია, ესმათ სადათის ფეხსაცმელებს ვაყერებდი და ალავეი ხანუმს ჩემს.
ოთახში. ეძინა. თვალები დაუბრმავდეს, ვინცა ტყუოდეს!

ალავეის გულე მოეცა. ფანჯე ბაშის სიტყვებზე და ხმას აუმაღლა:

— რას მომდექი, შე კახპა, ამ ალალ-მართალ ქალს? იმამ რეზას
საფლავის მოსალოცად მიმავალ ადამიანს ასეთ რამეს დააბრალებენ?
ბოხს ყველა ბოხი ჰგონია! ყველა შენისთანა ხომ არ არის? ყველა კაცი
დაითრიე და ახლა აღა მუჩულსაც გინდა აურიო ტვინი! შენ ჭარისკა-
ცების 50 რაზმიც ვერ გაგაძლებს! რას ეძებდი შუალამიხას ჩემს ოთახ-
ში? ჰო, თქვი, რა ენა ჩაგივარდა მუტელში? მაგასაც ჩავაწყვეტინებ ხმას,
თავისი ხელით ვაგლეჯინებ ხორცებს, მაგ კოორიკანას! დღემდე კაცი-
შვილს არ გაუბედავს ეთქვა ჩემთვის, თვალის ზევით წარბი გაქვსო და
ესენი ვინ მიგდიან?! შენი პირით არ ეუბნებოდი ნანე გოლიაბეთუნს,
არც სილედ დაუჭრდები ვინმეს და არც გავთხოვდებო, ვისაც მინდა, და-
ეუწევები და ნაღდ ფულს გამოვართმევო? ყველა ჩალვადართან დაბოზაობ
და თან ყველაზე ამბობ, სილედ ამიყვანაო. აქეთა მდებს შარს, ღვთის-
მოსავ ქალს. მთელი ღამე თეთრად გამათენებინა ფეხების ტკივილმა, გან-
ძრევს თავი არა. მქონდა და მეუბნება, მორად აღის ფორანში დაგინა-
ხეო! ჰაზრათ რეზამ გაგცეს პასუხი ჩემი წვალებისათვის. ისე გაკანკალოს
აბასმა მთელი სიცოცხლე, როგორც მე ვკანკალე ახლა!

— ჰო, მორჩი, მორჩი, თავს ნუ ისაწყლებ! კიდევ რამდენს ბედავს,
ეს სინდისიდან გარეცხილი! ვითომ არ ვიცოდე, რა შვილი ბრძანდება!
ახლავე მოვახსენებ ყველას შენს ამბებს! ქვეყანამ იცის, რომ შენ და
ესმათ სედათს უკულმართი სიყვარული გწევავთ, ალა მუჩულს კი კაცები
დაუდის! იმიტომ შეიფარე, რომ კაცები მიიტყუო, თორემ შენ დანახვა-
ზე მამალ ვიოსაც გაუსკდება გული. ეს ორი ბავშვიც ნაბიჭვარია. ერთი
ჩალვადარი აღარ დაგიტოვებია და ახლა ჩემი ქმარიც მჩინდომე! სადა
ხარ, ნანე გოლიაბეთუნ? ჰეი, ნანე! გახსოვს, რას მეუბნებოდი? მოდი აქ,
პირზე უნდა დაგაყენო!

საკებ სოლთანმა ცალი ფეხსაცმელი წაიძრო ფეხიდან და ალავეის
მოუღირა, მაგრამ ორი კაცი ეცა და გააკავეს. ნანე გოლიაბეთუნი ქარვას-
ლის აივანზე იდგა და ნანე ჰაბიბს ეფიცებოდა, შენი აყიყის ბეჭედი მე
არ მომიპარავსო!

ან დროს იუზბაშიმ ალავეისა და საკებ სოლთანის ირგვლივ შემოკ-

რებილი ბრბო გაარღვია. მეფორნეს კისერზე ძარღვები ამოჯდომოდა სიბრაზისავან, შუბლი შეეკუმუნა, ნაოქები კიდევ უფრო ჩალრმავებოდა. იგი ისე მოულოდნელად გაჩნდა მოჩხუბრების გვერდით, რომ ყველა გაყუჩდა. იუზბაში ალაივის მიახერდა თვალეში და ენის ბორძიკითა და დორბლების ყრით დაულრიალა:

— წუხელ რომ მოვედი, სად ეგდე, ჰა, ოთახში რატომ არ დამიხედი?!!

— ღმერთს გეფიცები, ფეხსადგილში გავედი, მერე ხელი დავიბანე. რა, არ გავსულიყავი?

— ხმა ჩაიწყვიტე, სოღრა სოღთანმა და საღმან ბეგმა დაგინახეს, რომ წუხელ ქერიმ ალის ფორანში იყავი.

— ძაღლის დორბლი ზღვას ვერ წაბილწავს! სოღრა სოღთანმა თავის ბინძურ ღუმებს მოუაროს! ვითომ არ ვიცნობდე, ვინ არის! ყაჯარის ქუჩაზე საროსკიბო ჰქონდა გახსნილი, ახლა საქმეები აერიხ და სალოცავად წამოვიდა. ცოდვები უნდა გამოისყიდოს. შენ თვითონ იცი, ჩემზე რომ ჰორაობდა, იმიტომ გავაგდე თ ჩემი ფორნიდან. ჩემი სისხლი უნდოდა დაელია მაგ საზიზლარს, მაგას! ეგ თურქი ვირიცი, საღმან ბეგიც კარგ დღეში იყო გუშინ ჩემი ცოდვით. ციებამ შემოუტია და სულ ხორცები აგლეჯინა წუხელ. მე რომ არ მეშველა, სული გასძვრებოდა. მოდი და ამის შემდეგ სიკეთე ქენი! ამაზე იტყვიან, ავადმყოფს ლოგინში უნდა გაუსწორო ანგარიშიო. ამ ავადმყოფი ფეხების პატრონს საღმე შემეძლო წასვლა? ძლივს მივჩანხალდი ჩემამდე. ხედავენ, რომ მე, ეს ღვთისმოსავი ტანჯული ქალი, ხმელა ჰურის ფულს ვმოულობ ამ სურათით და შურით სკდებან. ოთხი კაცი მყავს სარჩენი. ჰაერით ხომ ვერ გაუძღებ კუჭს. რა უნდათ ჩემგან, რას ვუშავებ, ჩემთვისა ვარ ხმაჩადებული. ჰკითხეთ ფეხე ბაჯის და ნანე ჰაბიბს, ამოდენა გზა გამოვიარეთ და ერთი გადაბრუნებული სიტყვა თუ ნითქვამს მაგათზე...

— მე თვითონ ორჯერ მოვედი შენთან და ვერც ერთხელ ვერა გნახე, — სიტყვა შეაწყვეტინა, იუზბაშიმ. — თვითონ ქერიმ, ალიმ მიიხრა, ჩემთან იყო. ბნელოდა და საბ. სოღთანი მეგონაო.

ალაივის ფერი წაუვიდა და ფიცისა და თავის მართლებას მოჰყვა:

— ღმერთია მოწმე, ყველა წმინდანს გეფიცები, თუ ვაკარებოდე ქერიმ ალის. წუხელ ჩაი აგიდღლე და შენთან მომქონდა. ვხედავ, სხვის ფორანს მივდგომივარ. თურმე, ქერიმ ალისა ყოფილა. შიგ აბას ყული იყო და კვნესოდა. აღამიანები ვართ, ქვა ხომ არ გვიდევს გულის მაგივრად! ვთქვი, ვუშველი-მეთქი. კაცი კაცს უნდა მიეშველოს, თორემ 50 ათასი წლის მერე განკითხვის დღე მოვა და ყველას თავისი მივლევამეთქი. ყველა შომლოცველმა ივანშმა და დაიძინა, ეს უენო და ხეიბარი ყმაწვილი ღვთის ანაბარა დაუგდიათ ამ ყინვაში და კაციშვილს ამისი დარდი არა აქვს-მეთქი. გულში ვთქვი, ვინ იცის, იქნებ ეს უმწურო და საცოდავი ღმერთს სხვებზე მეტად უღირს-მეთქი. მორწმუნეები ერთმანეთს

უნდა დაეხმაროთ, ხელი უნდა გავუწოდოთ გაჭირვებაში, ისე უნდა მოვექცეთ, როგორც შარშან ნაიბის ცოლი იქცეოდა. ვთქვი, ამისი ბედი ყოფილა-მვთქვი და ორი ფინჯანი ცხელი ჩაი დავუსხი, მერე ოთახში დავბრუნდი, ვასშმის მონაჩენი წამოვეჭრე და მივუტანე. კარგი საქმე ვქეხი, მაგრამ ვინ დაგიფასა! დილას მეშვიდი რაჯიბ ალის ვთხოვე და იმნაც ზურგზე ავიდა და აივანზე აიყვანა. ერთი ფინჯანი ჩაიც დილას მივუტანე. მაღლი ვქენი და მატლად გადამექცა! აი, აბას ყულიც აქ არის და ვკიახოთ, ასე არ იყო აბას ყული?

ყველა აივანთან მდგომ აბას ყულის მიაჩერდა, მაგრამ აბას ყულიმ, რომელიც ამ ხსუბის დაწყებდან მოყოლებული ბრბოს განაპირას იდგა, კანკალებდა და ღმუროდა, წარბები შეათამაშა და ღმუილს უმატა. ვერა-ვინ მიხვდა, ალავეს ნათქვამს ადასტურებდა თუ უარყოფდა.

ქარხალივით გაწითლებულმა იუსბაშიმ დოინჯი შემოიყარა, 'ერთი-ორჯერ თურქულად შეიგინა და აღრიალდა:

— ახია ჩემზე, მაღლი მინდოდა შექნა. ჩემი ბრალია, რას წამოგათ-რიე!

თვალეში ცრემლჩამდგარი ალავე აწუწუნდა:

— დღეს აქა ვართ, ხვალ ყველანი იმ ქვეყნად წავალთ. ტყუილი ჩემს დღეში არ მითქვანს. სვალინდელი დილა არ გამითენდეს, ჩემი ძვირფასი წინაპრის მოპამედას სახელს ვფიცავ, აი, აქვე, თვალწინ და-მეხოცოს ზინათი და თალათი, თუ ქერიმ ალის სიახლოვეს გამეველოს.

— შეხედეთ, ცრემლებიც რომ გადმოყარა! — დასცინა საპებ სოლ-თანმა. — ტყუილებიც რომ იფიცებს. მთელმა ქვეყანამ იცის ეს ამბავი. ჩემი თვალით ვნახე წუხელ აბას ყულის ხელში ამისი ქოშები. ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო. დაგავიწყდა, წელან რას ამბობდი? თურმე ქვეყანა მოგივლია და ფეხი არ მომიცვლია ოთახიდანო. ალა მუჩუელიც ხომ და-გადგა პირზე!

— ფლავსაწური ქაფქირს ეუბნებოდა, დახვრეტილი ხარო! სულ ნაკუწ-ნაკუწ დაგვლეჯ, შე ქვეყნის ნაჩიჯნო, შე შუბლის ძარღვგაწყვეტილო! ჩემი ლანძღვით უნდა ხალხს თავისი პატიოსნება დაუმტკიცოს! ყვავს უქანალი გამოკლეჯილი ქქონდა და სხვებს ექიმობდაო. მორად ალი სადღაა? სად იმალვება? ანლავე დავაყენებ პირზე ალა მუჩულს. სად წახ-ვედით გუშინდამ შენ და ალა მუჩული? ახლა ვაჩვენებ მაგას სეირს! ეი, ფანჯე ბაში, გამოართვი სურათი ალა მუჩულს! წინათ თვალის დაფახუ-ლებას ვერ ბედავდა ჩემთან. არმად შეგერგოს ჩემი ამაგი, შე დაუნა-ხავო! გეგონა, შეხი ლაშაი თვალეებისათვის შეგინახავდი? ერთ ისეთ ქიტლასს ამოგკრავ, რომ ცხრა მთას იქით გაგაფრენ! ჰა, გაინძერი, ჩქარა მიეცი სურათი ფანჯე ბაშის!

გაფთრებულმა და დამფრთხალმა ალა მუჩულმა სურათი ფანჯე ბაშის შიარლოდა და გვერდზე გადაგა.

მურად ალი არხეინად იჯდა აივანზე და დალაქს თავს აპარსვინებდა.

ალავეიე კვლავ მისდგა ალა მუჩულს:

— გასწი, დაიკარგე! შენ კი ჩაგაწვინე შევ მიწაში ადრე და მალე! არ დაიფასა თავი?! კატას უთხრეს, შენი ფინთი წამალით და მიწაში ჩაფლა. წადი, წაშაედი, შენი სახე აღარ დავინახო! მოიცა, მოვიცილი შენთვის და მიწაში ჩაგდებ, შე კაცის ტანსაცმელში გამოწყობილო დედაკაცო! შენ საბ სოლთანზე უკეთესოს ღირსი არცა ხარ. ფანჯე ბაშის სკორე იყოს მამაშენის საფლავზე! შენ ფანჯე ბაშის ფრჩხილდაც არა ღირხარ!

ალავეიმ ერთი მაგრად ამოახველა და ისე გადააფურთხა ალა მუჩულის მხარეს, თითქოს უნდა, მთელი ბოდმა ამ ფურთხის ამოაყოლოსო.

საბ სოლთანმა არ მოისურვა, ბოლო სიტყვა ალავეისი ყოფილიყო და კვლავ ალაპარაკდა:

— მე შენსავით ცბიერი და გაქნილი არ ვეგონო, მორწმუნე და პატოსანი ქალი ვარ. მეშედი ქერიმ აღიმ ღვთისა და შარიათის ყველა კანონის დაცვით ამიყვანა სიღუდ. მეშედამდე იმისი უნდა ვიყო. ეს ამბავი მთელმა ქვეყანამ იცის. მე ჩემს დღეში არავისათვის წამირთმევეია ქმარი, შენ კი რა ამბები დაატრიალე. თავლაფი დაახსი შენს კაცს, ქვეყანაში თავი მოსკერი!

— აღარ ჩაიწყვეტ ხმას? ჩემი ბრალია, ამდენს რომ ვალაპარაკებ. ღორის ტილის ამბავი გვირს. პირი გააღე თუ არა, მაშინვე უნდა ამომეგლიჯა ეგ დამპალი ენა. აბა, მითხარი, რა დავაშავე. შე ათასი კაცის ლოგინში ნაწოლო? მეშედეში წასვლა დანაშაულია? თბოლი გოგო მიმყავს გასათხოვრად, პატრონს უნდა ჩავებარო...

— გაჩუმდი, შე ძაღლის გაგდებულო! — შეაწყვეტინა იუზბაშიმ. — საფლავეიდან უნდა ამოაგდონ მამაშენი შენისთანა კახის გაკეთებისათვის. თავი რომ მოგაკრან, ენას მაინც არ გააჩერებ. ეს რა უნამუსო ქალს გადავეყარე, სხვებთან დაეთრევა და თანაც ორი წყრთა ენა აქვს გადმოვდებული! მე მივიდივარ! აღარ დაგინახო ჩემს ფორანში!

— ყიბლას გეფიცები, შენთვის არ მიოლატნია! ყველაფერი ამ მრუშმა დედაკაცმა მომიგონა! ამ ცეცხლში დასაწვევმა შეძავმა და ქალაჩუნა ალა მუჩულმა შეკრეს პირი, რომ მე, ეს სალოცავად მიიპავალი ქალი შევეძულეებინე შენთვის!

— ხმა აღარ გავიგონო შენი! — დაუღრიალა იუზბაშიმ.

— ღმერთმა თქვენი ჩიში და ჩილაგი ამოაგდოს! ახლა ვხედები, რომ ჩემი მეშედეში წაყვანისათვის არ იწუხებდი თავს. გინდოდა, იმამ რეზას წმინდა მხევალთან გეგორავა!

— მე ცოდვილი ვარ, — მიუბრუნდა იუზბაშიმ მეშედი მასუმს, — არაყის სმა შეიყვარს, ჰოდა, გადავწყვიტე, ცოდვები გამომესყიდა. ვიფიქრე,

სეილის შთამომავალს შევირთავ. შეილებიც სეილის შთამომავლები მეყო-
ლება და ღმერთი ყველაფერს მაჰატიებს-მეთქი.

— ყოველ საღამოს მოდიოდა და მეკითხებოდა, სეილი ქალი ხომ არ
გიპოვია ჩემთვისო. ერთხელაც, ღამით მოვიდა და მეუბნება, შენც სეილი
არა ხარო? ვუბნები, პირი სომხური შარდით გაყარს, თავში ჭკუა აღარა
გაქვს, ახლა წადი, გამოფხიზლდი და ზვალ მოდი-მეთქი.

— ერთხელ მივქარე და ერთი ღამე გავათეე შენთან, მერე ბირკასა-
ვით მომეწებე და აღარ მომშორდი. მე ქალი მინდოდა, ქაჯი კი არა, —
უთხრა იუზბაშიმ და მეშედი მასუმს მიუბრაუნდა, — ღამე ზვრინავს, კბი-
ლებს აკრაქუნებს, პირიდან ღორბლი გადმოსდის, თმები ეკლებივით
აქვს, სახეს მიფხაჰნის და ცუდ სიზმრებს ვხვდავ! მერე ვთხოვე, ესმათ
სადათი მომეცი-მეთქი სილედ და მითხრა, ალა მუხული ჩემი სიძეაო.

— აკი გითხარი, შე მამაცხოვნებულო, კაცს დიდი შოვლა უნდა, ყვე-
ლას არ შეუძლია, მე კი მოგიელი და წინდებსაც ამოგიკემსავე-მეთქი?

— შენ ჩემ გარდა კიდევ ბევრს უკენსავდი წინდებს.

— ღმერთმა დაგავსოს და დაგანელოს! შენ მარტო გორაობა გინდო-
და ჩემთან და ესმათ სადათთან, ხალხში კი ამბობ, კეთილი საქმე მინ-
დოდა გამეკეთებინა, სალოცავად მინდოდა წამეყვანაო! რად მინდოდა
შენი წამოყვანა! ამ გზაზე ქვისთვისაც რომ მეტყუა, სეიდების ჩამომავა-
ლი ვარ და იმამ რეზას საფლავის მოსალოცად მივდივარ-მეთქი, დაგორ-
დებოდა და მეჭმედში ჩამიყვანდა.

ალავიემ თავში მაგრად ჩააფერთხა ზინათ სადათს და განაგრძო:

— ეს უბედურები, ეს ადრე და მალე დასამიწებლები რომ არა მყო-
ლოდა, შენი შესახვეწი რა მქონდა, აქამდე ჩავიდოდი კიდევ. შენისთანა
ბილწსა და მურდალს კი არ გადავეკიდებოდი! ო, ღმერთო, ეს რა დღეში
ჩავვარდი, ყველა უბედურებამ ჩემთვის მოიციალა!

— ღმერთს ეწყინება, მომლოცველს რომ ასე ექცევი! — ხმადაბლა
უთხრა ფანჯე ბაშიმ მეფორნეს, მაგრამ იუზბაშიმ ყურიც არ შეიბერტყა
ამ სიტყვებზე და კვლავ ალავიეს მიუბრაუნდა:

— ნუ მოისაწყულე თავი, ვინც ჩემზე მეტად გასიამოვნა, იმასთან წა-
დი! ჩემს ფორანში რომ ამოხვიდე, აკუწუჯე! შენთვის ადგილი აღარა
მაქვს, უკვე ავიყვანე მგზავრები. ეი, სალათ ზოპრა, გაინძერი, მივედი-
ვართ!

— ღმერთმა არ გაგახაროს, რომ მე, მანდილოსან ქალს შუა გზაზე
მტოვებ სამი უმწურო ბავშვით მშვიერსა და მწყურვალს, უპატრონოსა და
ავადმყოფს! მევონა, კაცს გადავეყარე-მეთქი და ძალი გამოდგა! არა
უშავს, მე მიჩვეული ვარ გაკირვებას, ლუქმა პურს როგორმე ვიშოვი,
მაგრამ ღმერთი სამართლიანია, არ შეგარჩენს ჩემს დატანჯვას, ყველანი
იმისი შეილები ვართ. რასაც დასთეს, იმას მოიმკი იმ ქვეყნად! ყველას
მოგვკითხავენ ცოდვ-მადლს! ალაპი თავის შვილს მშვიერს არ დატო-

ვებს. შენისთანა ბატონი და მბრძანებელი არა მჭირდება. არც ამ მუნდის საბ სოლთანს დაეინახავ დღეიდან. წადით, წაეთრიეთ ყველა, აი, მიწამ კი გიყოთ პირი! ჩემი სახელი აღარ ახსენო დღეის დღეიდან!

— აბა, ჰა, მივდივარ! — შესძახა იუზბაშიმ, თავისი ფორანისაყენ გა-
ალაჯა, ამაყად დაჯდა კოფონზე და თურქული და რუსული ვინების შე-
რევანი ამოაფრქვია პირიდან.

ნანე ჰაბიბმა ალაგიეს აკოცა და უთხრა:

— საითაც გაიხედავ, ყველას თითო დარდი აქვს, ხანუმ. ჩემი აყიყის ბეჭედი დამეკარგა, გუშინდელს აქეთ ვეძებ და ვერ მიპოვი. ძალიან ძვირფასი არ იყო, მაგრამ ბებუის სახსოვრად მქონდა. შენ ხომ არ გინახავს?

ალაგიემ თავი გააქნია და ნანე ჰაბიბმა ფორანს მიაშურა.

იუზბაშიმ ისე გამეტებით გადაუჭირა შოლტი შურგსა და გავაზე ცხენებს, თითქოს ყველაფერი იმათი ბრალი ყოფილიყოს. საწყალმა ცხენებმა ტლინკები ყარეს და ერთმანეთს დაუწყეს კბენა.

ბოლოს ფორნები რახრახით დაიძრნენ, თოვლწყაიანი ეზოდან გავიდ-
ნენ და გზას დაადგნენ.

ალაგიემ მუშტი ჩააზილა ზინათ სადათს ფერდში და მიაყოლა:

— თქვენ გამიწყდით, არ გამომიკამეთ გულ-ღვიძლი?! რას დავემგვა-
ნე თქვენს ხელში, სახე ნაგვალავი მიწასავით მაქვს დამაშრული! თქვენ ჩაგაწვინეთ შავ მიწაში! ის ბიძათქვენიც კარგი ვინმე გამოდგა, დახე,
რა მოინდომა მაგ ბინძურმა? მეც უნდა წავემურტლე და ესმათიც!

თვეზე მეტი გავიდა. იუზბაშიმ თეირანში გამგზავრების წინ გადა-
წყვიტა, ერთხელ კიდევ მივალ იმამ რეზას საფლავთან და ვილოცებო:
აკლდამის ეზოში რომ შევიდა, მზით განათებულ კედელზე ჩამოკიდებულ
სურათს მოჰკრა თვალი. სურათის წინ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. სუ-
რათის გვერდით მდგომი კაცი ეცნაურა. დააკვირდა და თავისი მგზავრი,
ფანჯე ბაში იცნო. იგი მოუხერხებლად შლიდა დაგორვლილ სურათს და
გაჰყვიროდა:

— შეხედეთ, სიმართლემ გაიმარჯვა ბოროტებაზე, ამ არამზადამ
ღმერთობა მოინდომა და საკადრისი სასჯელი მიიღო ღვთისაგან. ეს იმ
ქალის სურათია, ვინც ცოლიან კაცთან სცოდავდა და ღმერთმა ურჩხუ-
ლის ყბაში ჩააგდო. ეი, დაო, ეი, დეიდა, ეი, დედი, ნახეთ სამოთხის ხი-
დი, თმაზე წვრილია და ხმლის პირზე ბასრი.

ამ ცხენზე ამხედრებულმა ვაჟკაცმა
ამქვეყნად მსხვერპლი შესწირა ღმერთს.

— შეხედეთ, მალექ ტატაილს რა წყალობა უყო ღმერთმა: ნახევარი ტანი ცეცხლისა აქვს, ნახევარი თოვლის და ჯოჯოხეთში დაძრწის!

ალავიემ თავით ანიშნა ფანჯე ბაშის, მოკლედ მოსქერიო. ფანჯე ბაში ფულის თხოვნაზე გადავიდა:

— ვისაც უნდა, მალე არ წავიდეს ამ ქვეყნიდან, ხმამალა უნდა ილოცოს. ხელისგულებით დაიფარეთ სახე და მე ლოცვას დავიწყებ. აბა, გაიმეორეთ: სახელითა შენითა, ვიძლევი აღთქმასა, რომ მეყვარები შენ ო, ალი, ო, ალი, ო, ალი! ახლა ხელი მოისვით სახეზე, რომ ყველა უბედურება გაგერიდოთ წყალობითა ღვთისითა. ახლა რომელიმე თქვენგანმა ლამპარი აანთოს და მომაწოდოს. იმას, ვინც რაიმეს გვიბოძებს, ალი წყალობით აავსებს. ალის ხელი, ალაპის ხელია, იმასავით უხვი და მოწყალე! უბოძეთ რაიმე სურათის პატრონს. ეი, კაბუკო, სულ წალმართ გზაზე გევლოს, არაფერი გაგჭირვებოდეს ცხოვრებაში!

ხალხი შავ ფულს ყრიდა მიწაზე გაფენილ თავსაფარზე. ფანჯე ბაში ხალხს აკულიანებდა:

— ალიმ სამათხოვროდ არ გაგიხადოთ საქმე, პატროსნად ნაშოვნი სიმდიდრე და ქონება არ მოგაკლოთ, ვისაც ლამპარი უჭირავს ხელში, ალის მშვენიერი სახე ენახოს ამაღამ სიზმარში!

მერე თავსაფარს დახედა და თქვა:

— სამასი კაცის გულუხვობამ სამი ყერანი გვაშოვნინა. ახლა ნეტა ოთხი კაცი გამოჩნდეს, რომლებიც თითო ყერანს დადებენ ალის სახელის საღიძვრლად. იასნ. ვინც ერთ ყერანს დააგდებს ამ თავსაფარზე, დაე, ალი იხილოს ძილში და დიდძალი ქონება მიიღოს მისი ხელით!

ხალხი იშლებოდა. იუზბაშიმ დარჩენილები მისწი-მოსწია და სურათს მიუახლოვდა.

ალავიე ფანჯე ბაშის ეუბნებოდა:

— სულ ცხრა ყერანი და სამი შაი მოგროვდა. ხალხმა სულ დაკარგა ღვთის რწმენა და შიში. შარშან 15—16 ყერანს ვიღებდით. რა ვუყო ამ ოთხ მკამელს, რა ქვას ვახალო თავი!

იუზბაში ალავიეს მიესალმა და უთხრა:

— იცი, შენი წყევლა მომივიდა, ორივე ცხენი დამივარდა.

ალავიემ გეზად გადახედა იუზბაშის, ჯერ დაიღრიაჯა, მერე ნაძალადევად ჩაიხითხითა და ჰკითხა:

— იუზბაში ხარ! როგორ ბრძანდები? რა საკვირველი ამბავია, წინათ მეგობარი იყავი, ახლა ნაცნობი გახდი! რასა იქმ, როგორ მიგდის საქმეები? დიდი ხანია მეშუქედში ხარ?

— ერთი კვირა იქნება. თქვენ როდის ჩამოხვედით?

— ოთხი-ხუთი დღეა. შენ რომ დაგინახე, ცა გამეხსნა. არ გეწყინოს და იმ ჯარისკაცების კასპაზე, იმ ლაშებმოხეულ დედაკაცზე ძალიან გაბრაზებული ვარ, იმას...

— კარგი, გეყოფა, — შეაწყვეტინა იუზბაშიმ. — ბავშვები კარგად არიან? ალა მუჩული სად არის?

ალავიემ ამოაბოყინა და უთხრა:

— გავაგდე ის გათახსირებული. იმასაც მარტო ჩემთან და ესმათთან გორაობა, უნდოდა. ფანჯე ბაში კარგი კაცია. საქმე უყვარს. თავისი იარაღები გაყიდა სამ ყერანად და სურათის საქმეს მოჰკიდა ზელი. დაიწვას სიყვარულის მძმგონი. ესმათ სადათი შეუყვარდა, მაგრამ ჭერ ეს საქმე არ იცის, ყველა სიტყვა უნდა ვასწავლო. ალა მუჩული რომ ყოფილიყო, მეტი მუშტარი გვეყოლებოდა. ხალხის მოზიდვა იცოდა. ახლა ეგდოს, სადაც არის. იცი, რას აკეთებს? აბანოში მუშაობს — კაცებს ატარებინებს დროს. მეტის ღირსი არც არის. მე ხელი ამიღია მასზე. ჩემს შვილად აღარა ვთვლი. მიწა დაეყაროს თავზე, კაცმა ჭკუა უნდა მოიხმაროს.

— განა სიძე არ იყო შენი?

— მეხი, კი დავაყარე! რა ღირსი იყო ჩემი სიძეობისა? მაგისგან კაცი თავის დღეში არ დადგება. ლაწირაკია და ლაწირაკად დარჩება. კარგი, შენ როდის მიდიხარ?

— ხელ ვაპირებ. შენც მოდიხარ. მარტო ხომ არ გამიშვებ?

— წამოვალ, ჩემი ხელით დაგიკემსავ წინდებს. ოღონდ, ახლაც შუა გზაზე ხომ არ დაგვტოვებ მაშინდელივით?

იუზბაშიმ ისე გადაიხარხარა, რომ ლურჯი ღრძილები და ქიანაქამი უკანა კბილები გამოუჩნდა:

ალავიემ მაგრად ჩასცხო ხელი ზინათ სადათს ფერდში და მიაწყევლა:

— აქლემის ქირმა გაგთანგოს ჩემი ცხოვრების მოწამელისათვის. სულ შენი ბრალია ამ დღეში რომ ვარ. დახე, იმ სალახანამაც რა მოინდომა?! ჩემთანაც უნდოდა ეგორავა და ესმათ სადათთანაც!

ადირ უოლი ავინი

(თანამედროვე ირანელი მწერალი)

ანდაზები და არაკამბი

ერთი ბოძიდან მეორემდე რაღაც იმედიაო

ამბობენ, თურმე ერთ უდანაშაულო კაცს მკვლელობა დააბრალეს და ქალაქის მმართველმა მას სიკვდილი მიუსაჯა. განაჩენის აღსრულების დღეს ქალაქის მოედანზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ჯალათმა საბრალო ტუსადი ბოძზე მიიბა და ის იყო ბასრი მახვილით თავი უნდა მოეკვეთა, რომ განწირული შეევედრა:

— თუ ღმერთი გწამს, მოილე მოწყალეობა. ამ ბოძიდან მომხსენი, მეორე ბოძზე მიმავი და იქ მომკვეთე თავი.

ჯალათმა უთხრა:

— ბედკრულო, ეს ერთი წუთის გაკიანტრება რა ხელს მოგცემს. ის არა სჯობია, უცბად მოგკვეთო თავი და შენც და მეც ამ სატანჯველს მალე გადავტრჩეთ?

უდანაშაულო ისევ შეევედრა:

— ეს ჩემი უკანასკნელი თხოვნაა და ნუ გამაწბილებ. სანამ შენ ამ ბოძს მომხსენი და მეორეს მიმავამ, დრო გავა. იქნებ ღმერთმა ამ დროის განმავლობაში მხსნელი გამომიგზავნოს და ამ საშინელ ღვთის რისხვას ამარიდოს.

ჯალათს შეებრალა განწირული. აუჩქარებლად ახსნა იგი ერთი ბოძიდან და მეორე ბოძთან მიიყვანა.

ამ დროს მოედანზე ჩოჩქოლი ატყდა. თურმე ნუ იტყვი, ქალაქში ამ ქვეყნის ხელმწიფე ჩამობრძანებულა და მოედანზე თავშეყრილი ხალხი რომ დაინახა, იკითხა: რაშია საქმეო.

ქალაქის მმართველმა დაწვრილებით მოუყვა მომხდარი მკვლელობის ამბავი და დამნაშავეც წარუდგინა. ხელმწიფემ დაწვრილებით გამოიძია ამ კაცის საქმე, სიმართლე დაადგინა და საბრალო ტუსადი დაუმსახურებელ სააჯელს ააცდინა.

ამ ანდაზას მაშინ იტყვიან, როცა ვინმეს დიდი უბედურება დაატყდება თავსე და ამ უბედურებისაგან თავის დაღწევის იმედი აღარა აქვს. ანდაზის დედაბაბია: მცირე დროში დიდი საქმის გაკეთებაც შეიძლება, თუ ღმერთმა ინებდეს.

ერთმა თერძმა სიზმარი ნახა, ვითომ განკითხვის დღე დამდგარიყო, მის თავზე ცეცხლოკიდებული ალამი ეკირათ და იმ ცეცხლის მხურვა-ლება ძვალსა და რბილს უდაგავდა. ზემოთ აიხედა და დაინახა, რომ ალამზე უამრავი ნაჭერი ეხვია და ყველა ეს ნაჭერი იმ ქსოვილებისა იყო. რომელსაც თერძი კერვის დროს თავის მუშტრებს ჰპარავდა. ამ საშინელმა სანახაობამ თერძი ისე შეაძრწუნა, რომ როცა გამოეღვიძა, თავის თავს პირობა მისცა, აღარასოდეს მოეპარა მუშტრისათვის ქსოვილი.

რადგან თავის იმედი არა ჰქონდა, შევირდებს უბრძანა:

— როგორც კი შექვეთილი ტანსამოსის კრას დავიწყებ, მითხარით: „ოსტატო, ალამიო!“

შევირდებმა კარგად დაიმახსოვრეს თერძის სიტყვები და ყოველი დაქვეთილი ტანსაცმლის გამოკრის წინ ახსენებდნენ: „ოსტატო ალამიო!“ თერძს მაშინვე აგონდებოდა საზარელი სიზმარი და მუშტარს ქსოვილის ნაჭერს აღარ ჰპარავდა.

ერთხელ ერთმა კაცმა თერძს ძვირფასი შალი მოუტანა და ტანსაცმელი დაუქვეთა. შალი ისეთი კარგი იყო, რომ თერძს სულმა წასძლია და გადაწყვიტა, ტანსაცმელი ზომაზე პატარა შეეკერა და ჩამორჩენილი ნაჭერი მიეთვისებინა. შალის კრა რომ დაიწყა, შევირდებმა ჩვეულებისამებრ შეახსენეს: „ოსტატო, ალამიო!“

თერძი სასტიკად გაბრაზდა, თავი აიღო და შევირდებს შეუტია:

— ხმა ჩაიწყვიტეთ, იმ ალამზე ამ ქსოვილის ნაჭერი არ იყო!

ამის შემდეგ ეს გამოთქმა ანდაზად იქცა და დღესაც, როცა ვინმეს თავის საქციელში გამონაკლისის დაშვება უნდა, ამ ანდაზას ამბობს: აქაოდა, თუმცა საერთოდ ამ საქმეს არ ვაკეთებ, მაგრამ ეს შემთხვევა გამონაკლისაო.

ეს გამოთქმა თერძებში ახლაც გავრცელებულია და როცა ოსტატი მუშტარს ნაჭერს ჰპარავს, შეახსენებენ: „ოსტატო, ალამიო!“ ის კი ამბობს: „იმ ალამზე ამ ქსოვილის ნაჭერი არ იყო“.

ჩემი აზრით, ეს სენი სხვა ქვეყნის თერძებსაც სჭირს. ესპერანტოს ენაზე დაწერილ წიგნში ასეთივე არაქია მოტანილი. იმ განახვავებით, რომ იქ თერძი ფრანგია. აი, ეს ამბავიც:

ერთმა პატივცემულმა ბარონმა მოგზაურობაში ყოფნის დროს ძვირფასი ქსოვილი შეიძინა და სამშობლოში რომ დაბრუნდა, თავისი სანახლის კარის თერძს დაწვალა:

— ამ ქსოვილისაგან ტანსაცმელი შემიკერე.

თერძმა დიდხანს ზომა ხან ქსოვილი, ხან თავისი ბარონა და პოლის უთხრა:

— სამწუხაროდ, ეს ნაჭერი ცოტაა და თქვენ ტანსაცმელი არ გამოგივათ.

ბარონი ძალიან შეწუხდა. რადგან მეტად მოსწონდა თავისი შალი, ახლა სხვა თერძი დაიბარა და სთხოვა:

— ეგება ამ ნაჭრისაგან ტანსაცმელი გამომიყვანო.

მეორე თერძმა ქსოვილი გაზომა, ბარონს ზომა აულო და თანხმობა განუცხადა: „კეთილი და პატიოსანი“.

მართლაც, დანიშნულ ვადაზე თერძმა ბარონს დაკვეთილი ტანსაცმელი ჩააბარა, რომელიც ზომაზე დიდი და გრძელი აღმოჩნდა, მაგრამ მცირე გადაკეთების მერე შესანიშნავად მოერგო ტანზე.

ჭახარებულმა ბარონმა თერძი უხვად დაასაჩუქრა და გასამრჩელოც ერთიორად აუნაზღაურა.

რამოდენიმე დღის შემდეგ საახალწლო დღესასწაული იყო და ბარონმა ქუჩაში ერთი შვიდი წლის ბიჭუნა დაინახა, რომელსაც ისეთივე ქსოვილის ტანსაცმელი ეცვა, როგორც თვითონ. ძალიან გაუკვირდა, რადგან იცოდა, რომ ამ ქალაქში ასეთი ქსოვილი მარტო მას ჰქონდა. ბარონმა ბავშვის ვინაობა გამოიკითხა და როცა გაიგო, რომ ეს ბავშვი მისი ტანსაცმლის შემკერავი თერძის შვილი იყო, ყველაფერს მიხვდა. სასწრაფოდ თერძი მოაყვანიდა და უთხრა:

— შენ ჩემი ქსოვილისაგან ნაჭერი მოგიპარავს და შენი შვილისათვის შეგიკერავს. თუ ერთ შეკითხვაზე გულწრფელად მიპასუხებ, მაშინ ქურდობისათვის არ დაგსჯი.

— შემეკითხეთ, — უთხრა თერძმა.

— მიპასუხე, როგორ მოხდა, რომ ჩემმა თერძმა, თავისი ხელობის უბადლო ოსტატმა, ამ ქსოვილისაგან ტანსაცმელი ვერ გამომიყვანა. შენ კი მეც ზომაზე დიდი შემიკერე და შენ შვილსაც ამყოფინე?

თერძს გაელიმა და უპასუხა:

— ამ გამოტანის პასუხი, მოწყალო ბარონო, ერთობ მარტივია. საქმე იმაშია, რომ ჩემი შვილი შვიდი წლისაა და თქვენი ქსოვილი ორივეს თავისუფლად გეყვით. თქვენი თერძის შვილი კი თორმეტი წლისაა და ამიტომ ეს ქსოვილი ორივეს არ გეყოფოდათ.

ჭრილობაში ძვლის ჩატოვება

ერთი კაცი დაეცა და იდაყვი გაიტეხა. ჭრილობამ ძალიან შეაწუხა და იბულებული გახდა, ექიმისათვის მიემართა. ეს ექიმი ხარბი და გაუმაძღარი კაცი იყო. ავადმყოფი გაინჩა, ჭრილობა დაუმუშავა, გაუკერა და თან დაარია:

— ხელი ცოტა ხანს კიდევ შეგაწუხებს. სრული განკურნებისათვის ჩემთან ყოველდღე უნდა იარო.

ექიმი ავადმყოფს ყოველ მისელაზე გვარაიან გასამრჯელოს ართმევდა. ავადმყოფმა კარგა ხანს იარა ექიმთან, მაგრამ ვერ იქნა და ვერა, ჭრილობა არ შეუხორცდა.

ერთ დღეს ექიმი მეზობელ სოფელში. ავადმყოფთან გამოიძახეს და მომსგვლელი ავადმყოფების მიღება თავის შვილს დაავალა.

ქირურგის შვილი კარგი ექიმი იყო და როგორც კი გასინჯა იდაყვ-გატეხილი პაციენტი. მაშინვე შენიშნა, რომ ჭრილობაში მოტეხილი ძვლის ნამსხვრევი იყო ჩარჩენილი. სასწრაფოდ ჭრილობა ხელახლა გაუჭრა, ძვლის დარჩენილი ნამსხვრევი ამოიღო და ისევ გაუყერა. ავადმყოფმა უცბად იგრძნო შეება და იდაყვს მერე აღარ შეუწუხებია.

მამა-ექიმი რომ სახლში დაბრუნდა, შვილმა მიღებული ავადმყოფების მდგომარეობა მოახსენა და სხვათაშორის იდაყვმოტეხილი ავადმყოფის ამბავიც მოუყვა.

ხარბმა ქირურგმა თავში ხელები წაიშინა და შვილს შეუტია:

— შე სულელო, განა მე კი არ ვიცოდი, ჭრილობაში რომ ძვლის ნამსხვრევი იყო. თუ გინდა იცოდე, მე ეგ ნამსხვრევი განგებ ჩავტოვე ჭრილობაში. მაგ კაცს ბევრი ფული აქვს და რაც უფრო დიდხანს ივლიდა ჩემთან, მით უფრო მეტს დავცინცლავდი. შენ კი შენი უკუუბობითა და გამოუცდელობით შემოსავლის წყარო დამისწვე.

იმ დღიდან „ჭრილობაში ძვლის ჩატოვება“ ანდაზად იქცა და როცა ვინმე პირადი გამორჩენის მიზნით განგებ ართულებს და აკიანურებს საქმეს, იმაზედ იტყვიან ხოლმე.

ამ ქვეყანაზე მეტიხარა რომ არ ყოფილიყო, ვინ გაიგებდა ხამბეღარე სად იყოო

ადრე ქალაქ ქაშანს ერთი ტირანი გამგებელი ჰყოლია, რომელსაც მეტსახელად „თავებისმკვეთელ ბატონს“ ეძახდნენ.

ზამთრის ერთ სუსხიან დილას, როცა თოვლი უხვად ბარდნიდა, „თავებისმკვეთელი ბატონი“ საძინებელი ოთახიდან მისაღებ ოთახში გამობრძანდა და ანთებულ ბუხართან მოიკალათა. უცბად სარკელიდან თოვლით დაფენილ გზაზე ძონძებში გახვეული გლეხი შენიშნა. გლეხს თავზე სპილენძის მაღალი ქვაბი დაედგა და დიდის ვაი-ვაჯლახით სასახლისაკენ მოაბოტებდა. ბატონმა ფარეშს უბრძანა:

— ეგ გლეხი თავისი ქვაბით აქ მომგვარე!

ბრძანება მაშინვე აღასრულეს. გლეხი შემოსასვლელში გაჩერდა. ბატონს თავი მდაბლად დაუქრა და მარილიანი ქაშანური დიალექტით მოახსენა:

— ბატონო, მე თქვენი ყურმიჭრილი ყმა გახლავარ. ამ ქვაბში კი

ქათმის ჰალიმია. ჩემს მამულში მოვხარშე. შუაღამისას გამოვეშურე, როცა თქვენთვის დილის საუზმეზე მომერთმია.

ბატონმა ბრძანა, ჰალიმით სავსე ქვაბი სამზარეულოში შეეტანათ, ხოლო გლეხისათვის კარგი გასამრჯელო ეწყალობებინათ, მაგრამ გლეხმა გასამრჯელოსაგან თავი შორს დაიქირა, ბატონს ხელახლა ეთაყვანა და მოახსენა:

— მე გასამრჯელოსათვის არ გხლებივარ. მე მხოლოდ ბატონის სიცოცხლე და კარგად ყოფნა მინდა. ღმერთმა ბატონი დიდხანს აცოცხლოს და თუ ერთ თხოვნას შემისრულებს, მეტი არაფერი მინდა. ყოველ წელიწადს ამ დროს საუზმეზე ქათმის ჰალიმს მოვართმევ ხოლმე.

— რა თხოვნა გაქვს? — ჰკითხა ბატონმა.

— ყამსარისა და ნიასარის მთების მიღმა ერთი სოფელია. ხამბეღარეს ეძახიან. თქვენს მოხელეებს ჯერ იმ სოფელში ხარაჯა არ აუკრეფიათ. თუ კაცს გამომაყოლებთ, ამ სოფლის გზას ვასწავლი.

მის შემდეგ აგერ ასი წელიწადია, ქაშანელები იძახიან: ამ ქვეყანაზე მეტიჩარა რომ არ ყოფილიყო, ვინ გაიგებდა ხამბეღარე სად იყო?!

ამ ანდაზას ყოველ ქალაქში თავიანთ მივარდნილ სოფელზე ამბობენ. ასე მაგალითად, ისპაანში ამბობენ: ამ ქვეყანაზე მეტიჩარა რომ არ ყოფილიყო, მეფემ რა იცოდა „ქაჩუ“ („ჰარდაგი“) სად იყო?!

ამ ანდაზას მშინ იტყვიან, როცა ვინმე მეტიჩარა თავის მატრაკეცობით საიდუმლოს გააბეჯდებებს და თავისი ენით სხვებს ზიანს მიაყენებს.

ჩემს გაჩაღებულ ცეცხლში თავადვე დავიწვიო

ერთ მინდორში მელა და ტურა ცხოვრობდნენ. ტურა მსუქანი, ძლიერი და კარგი მადის პატრონი იყო. მელა კი — მჭლე, სუსტი, მაგრამ მოხერხებული და ყოჩაღი. ტურა ზარმაცი იყო და მთელი დღე კოტრი-ალობდა. მელა კი ნადირობდა, საკბილოს შოულობდა, მაგრამ როგორც კი სადილობის დრო მოვიდოდა, დასვენებული ტურა ილაჭგამწყდარ მელას გვერდზე გასწევდა, თვითონ ნანადირევით გამოძლებოდა და საწყალ მელას მხოლოდ ნერწყვებს აყლაპინებდა. შეწუხებულმა მელამ ბოლოს და ბოლოს გადასწყვიტა თავიდან მოეშორებინა ძლიერი მუქთანორა. ამისათვის ხრიკს მიმართა.

— მეგობარო, — უთხრა ერთხელ მელამ ტურას, — ამდენი ხანია ამ მინდორში ერთმანეთის მეზობლად ვცხოვრობთ. მოდი, ბარემ დავძმობილდეთ, ფიც-ვერცხლი ვკამოთ და ერთად რომ ვიქნებით, ვერაფერი მოგვერევა.

ზარმაც ტურას ძალიანაც აძლევდა ხელს გამრჯე მელიასთან მეგობრობა. ამიტომაც უყოყმანოდ დაეთანხმა: კარგი და პატიოსანიო.

მელამ თქვა:

— ჩვენ, მელიებს, დაძმობილების ასეთი წესი გვაქვს: გავაჩაღებთ ცეცხლს წყაროს პირას, წყაროში განვიბანებით და მერე ანთებულ კოცონს თავზე გადავახტებით. ვინც ფიცის ერთგულია, ის უვნებლად გადაეღება ცეცხლსა, ხოლო ვინც მოლაღატაა, შიგ დაიწვება.

ტურა. რომელიც სულითა და გულით მომხრე იყო ასეთი ხელსაყრელი მეგობრობისა, დაეთანხმა ამ რიტუალის შესრულებაზეც.

მელამ ტურა ნავთიან წყაროსთან მიიყვანა. წყლის პირას ცეცხლი გააჩაღეს და წყაროში განსაბანად მოემზადნენ.

— მეგობარო, — უთხრა მელამ ტურას, — მე გუშინ ნადირობისას ფეხი ვიტყინე. ახლა წყალში განბანვისას რომ გამოივდეს, კარგა ხანს ველარ ვინადირებ. ამიტომ მოდი, წყაროში მარტო შენ შედი, მე კი აქ წყლის პირას თაიამუნს გვაკეთებ და ისე გადავახტეთ ცეცხლს.

დესპოტი და რეგენი ტურა ნავთიან წყაროში შევიდა და განიბანა. მელამ კი მიწას ხელები დაარტყა; თაიამუნი გააკეთა და ორივე კოცონისაკენ გაეშურა.

ჯერ მელა გადახტა. ცეცხლმა მას მხოლოდ მუცლის ბეწვები შეუტარუსა, სხვა მხრივ არაფერი ავნო. მერე ტურა გაექანა, მოექცა თუ არა კოცონს თავზე, ნავთიანმა ბეწვმა ცეცხლი აიტაცა და აღმოდებული გამწარებული კივილით მინდორზე გამოვარდა. ტურის გულშემზარავ კივილზე ტყიდან ცხოველები გამოვარდნენ. ტურა რომ ამ ყოფაში ნახეს, შესძახეს:

— რა უბედურებაა მაგ შენს თავს, რა მოგსვლია?!

ცეცხლმოდებული ტურა აქეთ-იქით აწყდებოდა. მაგრამ ვერაფერს გახდა. ცხოველებს რომ გვერდზე ჩაუქროლა, დაიწყნავლა:

— რაღა რა მომსვლია, ახია ჩემზე. ჩემს გაჩაღებულ ცეცხლში თავადვე ვიწვები.

ამ ანდაზას ასეც ამბობენ: თავის გაჩაღებულ ცეცხლში თვითონვე დაიწვით.

პირველ შემთხვევაში ეს ანდაზა მსგავსია ანდაზისა:

ეს ის პურია, მე რომ ჩემთვის გამოვაცხევო. მეორე შემთხვევაში ის უღდება ანდაზას: ცუდის მქნელი თავადვე აღმოჩნდება ცუდ მდგომარეობაში.

ცოტა-ცოტა რომ ჩამოგეკრა, ამდენი აღარ ჩამოგეთლებოდაო

იყო ერთი ვაჭარი, ნავთით ვაჭრობდა და სულ გამდიდრებაზე ოცნებობდა. ვაჭარმა თავის მსახურს უბრძანა:

— ნავთის შესყიდვის დროს საწყაოს ხელი შეამველე, რომ უფრო

შეტი ჩავიდეს. გაყიდვის დროს კი პირამდე ნუ აავსებ, ცოტა ნავთი რომ ჩამოგვრჩეს.

მსახურმა უთხრა:

— ბატონო, ეს პატარა სარგებელი ამხელა თაღლითობად არა ღირს.

— ხმა ჩაიწყვიტე! — შეუტია ვაჭარმა. — ყუყუო, განა არ იცი, რომ „ზღვა წვეთებისაგან შეიქმნა“?

მსახური ისე იქცეოდა, როგორც ვაჭარმა უბრძანა. ამ გზით ვაჭარმა დიდძალი ქონება დააგროვა და გამდიდრდა.

ერთხელ ბაქოში ხმა დაირხა, ირანში ნავთი გაძვირებულაო. ხარბი ვაჭარი მოგების ძლიერმა სურვილმა აიტანა. მთელი თავისი დანაზოგით ნავთი შეიძინა და რადგან მაშინ ნავთის შესანახად თუნუქის ჭურჭელი არ იყო, ტიკებში ჩაასხა, რომ ირანში გასაყიდად წაეღო.

ვაჭარმა და მისმა მსახურმა ტიკები გემზე აიტანეს და ენზელისაკენ გაემგზავრნენ.

— ამ ვაჭრობაში რომ კარგი მოგება ენახო, — უთხრა ვაჭარმა მსახურს, — ალებ-მიცემობას თავს დავანებებ, ჩემი წინაპრების სამშობლოში დავბრუნდები, მამულებს შევიძენ და დარჩენილ ცხოვრებას უზრუნველად გავატარებ. შენ კი ჩემს მოურავად დავნიშნავ და გასამრჯელოსაც მოგიმატებ.

ვაჭარი ასეთ გეგმებს აწყობდა, რომ უფერად ზღვაზე საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ყალყზე შემდგარი ტალღები გემს მოაწყდნენ და ყოველ წუთში ჩაძირვას უქადდნენ. შეშინებული ვაჭარი გემის სხვა მგზავრებთან ერთად ხელაპყრობილი ევედრებოდა უფალს ხსნასა და შეწყობას. ქარიშხალი არ დგებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ვაჭართან გემის კაპიტანი მივიდა და უთხრა:

— ახლა ტირილითა და ლოცვა-ვედრებით საქმეს ვერ უშველით. საქორო, შენი ტვირთი ზღვაში გადაეყაროთ, გემი განტვირთოთ. ეგება ამ გაჩეყებულ ტალღებს თავი დავაღწიოთ და ჩვენი ტკბილი სული დაღუპვისაგან ვიხსნათ.

სხვა გზა არა ჰქონდა, ვაჭარი თავისი სარჩო-საბადებლის ზღვაში გადაეყარა და თანხმდა. ის კი არა, თვითონვე ეხმარებოდა მეზღვაურებს გემის განტვირთვაში. როცა უკანასკნელი ტიკი ზღვაში გადაუძახეს, ქვეიანმა მსახურმა დრო იხელთა და თავის ბატონს უსაყვედურა:

— ცოტა-ცოტა რომ ჩამოგვეკრა, ამდენი ხომ არ ჩამოგეთლებოდა.

ამ ანდაზას მაშინ ამბობენ, როცა ადამიანი თავისი გაუმამღრობისა და სიხარბის გამო დიდ რისკზე მიდის და დიდი მოგების ნაცვლად, ხელმოცარული რჩება — რაც გააჩნია იმასაც კარგავს.

ერთი ახუნდი ნადიმზე მიიწვიეს. ახუნდს უნდოდა იქ დამსწრეთათვის თავი უმწიკვლო ღვთისმოსავად მოეჩვენებინა და ამიტომ გაუთავებლად ლაპარაკობდა თავის ლოცვებზე, ნამაზზე და სხვა საღმრთო რიტუალების აღსრულებაზე. მენადიმეებს მობეზრდათ ახუნდის გაუთავებელი ტრაბახი და, კარგად რომ შეზარხოზდნენ, ახუნდს სიტყვის ამოღების საშუალება აღარ მისცეს. ოხუნჯობდნენ და სასაცილო ამბებს ყვებოდნენ. იმისათვის, რომ ბოლომდე გაეცნო დამსწრეთათვის თავისი მართლმორწმუნეობა, ახუნდმა ხერხს მიმართა: სასმელი წყალი მოითხოვა, სულმოუთქმელად შესვა და ღმერთს მადლობა შესწირა. მერე მენადიმეებს მიუბრუნდა და უთხრა:

— საოცარია პირდაპირ, როცა შუალამის ნამაზს ვასრულებ, მერე მთელი დღე წყურვილი მკლავს.

ერთმა კვიმატმა კაცმა ჰკითხა:

— მართლმორწმუნე შეიხო, ნამაზსა და წყურვილს ერთმანეთთან რა კავშირი აქვს?

ახუნდმა უპასუხა:

— განა არ იცი, რომ შუალამის ნამაზი ისევე აწყურებს წყალს, როგორც მძიმე და ცხიმიანი კერძი.

„ღვთისმოსავ“ და „მართლმორწმუნე“ ახუნდს უნდოდა ეთქვა, რომ შუალამის ნამაზი ისევე ძნელი მოსანელებელია, როგორც მძიმე და ცხიმოვანი საკმელი, ის კი ველარ გაითვალისწინა, რომ მორწმუნეთათვის ხამაზი სიამოვნება უნდა იყოს და არა სატანჯველი.

ამ ანდაზას მაშინ იტყვიან, როცა ვინმეს უნდა ხალხს უმწიკვლო მართლმორწმუნედ მოაჩვენოს თავი და სადაც საჭიროა და არ არის საჭირო, ყველგან თავის ღვთისმოსაობაზე ლაპარაკობს. ასეთზე იტყვიან: ამ ბატონს შუალამის ნამაზისაგან წყალი მოსწყურებიაო, ან შუალამის ნამაზისაგან წყალმოწყურებულიაო.

ბნელიანი მოლა

ერთი მოლა მეჩეთში წმინდა ჭუსეინის სულის მოსახსენებლად ქადაგებდა. ქადაგების დროს როლში ისე შეიჭრებოდა ხოლმე, რომ თავი ავიწყლებოდა და ბნელიანს ემსგავსებოდა. მერე, მინბარიდან გადმოვირავდებოდა, გადმოკოტრიალდებოდა და გონებაწართმეული პირდაპირ მლოცველებში დაეცემოდა. მალე ხალხმა ყურადღება მიაქცია, რომ მოლა ყოველთვის იქით მხარეს ვარდებოდა, საითაც ქალები ისხდნენ. ოინს მიუხვდნენ, გაჰკიცხეს და ქვეყანას მოსდეს მისი სამარცხვინო საქციელი. როდესაც ვინმე საქმის განსჯის დროს სამართლის სასწორს იქით

ხრის, საიდანაც გამორჩენას მოელის, მართალ კაცს ამტყუნებს და მტყუანს ამართლებს, ხალხი ამბობს: ეს კაცი ბნელიანი მოლააო, (ყოველთვის იქით ეცემა, საითაც ქალები სხედანო).

ღარიბი და ხელმოკლე კაცი თავის საქმეს მარტო აკეთებს

ერთ დღეს ქალაქ ისპანის ამირი ცხენზე ამხედრებულიყო და მხლებლებით გარშემორტყმული სეირნობდა ქალაქის ქუჩებში. ერთ-ერთ ქუჩაზე ნაცნობი ვაჭარი შეხვდა. ვაჭარი ჯოჯუხუძე გადამჯდარიყო და თავისი მცირეწლოვანი ვაჟი წინ შემოესვა. მისალმების შემდეგ ამირმა ვაჭარს უთხრა:

— პაჯი, შენი ბიჭი ძალიან ჩამოგვავს.

სიტყვამოსწრებულმა ვაჭარმა მიუგო:

— თქვენო უდიდებულესოვავ, რა გასაკვირია, ღარიბი და ხელმოკლე კაცი თავის საქმეს მარტო აკეთებს.

ეს ოხუნჯობა ანდაზასავით გავრცელებულია უბრალო ხალხში, რომელიც თავის ბატონებზე უფრო პატიოსანი და სპეტაკია.

ამ ანდაზაში ის აზრიც არის, რომ ხელმოკლე კაცს არა აქვს საშუალება ვინმე დაიქირაოს და ამიტომ იძულებულია, თავის საქმე მარტო თვითონ გააკეთოს.

შენი ჭამა ნადირის ომსა ჰგავსო

ამბობენ, ნადირ შაჰ აფშარი ბახთიარებთან ომის დროს მცირე ლაშქრით ქვეყნის შუაგულში შეიჭრა. ბახთიარებმა ამით ისარგებლეს, ნადირის ლაშქარს ალყა შემოარტყეს და სასტიკად დაამარცხეს. ნადირი იძულებული გახდა გაქცეულიყო. დაბნეულმა და დაქანცულმა თავი ერთი გლეხი დედაბრის ქოხს შეაფარა. ცოტა სულღი რომ მოითქვა, დიასახლისს საკმელი სთხოვა. დედაკაცს პური ახალი გამომცხვარი ჰქონდა და კერაზეც დოს შექამანდი ედგა. სტუმარს მაშინვე ერთი ჯამი შექამანდი და სამიოდე პური მიართვა. ნადირი ძალიან მშვიერი იყო და ცხელი შექამანდით სავსე კოვზი სულმოუთქმელად პირში გაიქანა. პირი ძლიერ დაეწვა და თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა. დედაკაცმა ეს რომ დინახა, სტუმარს უთხრა:

— შენი ჭამა ნადირის ომსა ჰგავს.

— ეს როგორ? — გაოცდა ნადირი.

დედაკაცმა უთხრა:

— შექამანდი რომ ჯამის პირიდან ამოგქლო. პირი აღარ დაგეწვებოდა. ნადირიც ბახთიარტა სამფლობელოებში ღრმად რომ არ შეჭრილიყო, არ დამარცხდებოდა.

ამ ანდაზას მაშინ ამბობენ, როცა კაცს წყალზე გასვლა უნდა და ფონს კი არ ეძებს, ისე, პირდაპირ ვაატოპავს ძღინძარის შეაგულიაყენ. ასეთი კაცი ნამდვილად დაიბრძობა.

ვინც სპილოს ყიდულობდა, ის უკვე წავიდაო

ერთხელ ფადიშაჰი სპილოზე ამხედრებული თავისი-მწლებლებით გზაზე მისერიწობდა. გზისპირა სახლის ზედა სართულზე მთვრალი კაცი აჯდარიყო. სპილო რომ დაინახა, იქიდან ჩამოსძახა:

— ენ, სპილოს მხედარო. როგორ ჰყიდი მაგ სპილოსა?!

ფადიშაჰმა მალლა აიხედა, მთვრალი დაინახა, მაგრამ არაფერი უთხრა, ისე გააგრბელა გზა.

შეორე დღეს ფადიშაჰმა სასახლეში სპილო მოაყვანიხა, ის კაციც დაიბარა და უთხრა:

— სპილო გასაყრდად მზად არის, შენ რამდენს იძლევი?

კაცმა უპასუხა:

— თქვენო უდიდებულესობავ, მე მაგ სპილოს მუშტარი არა ვარ. ის სიტყვები ჩემმა ხიმთვრალემ სთქვა. ვინც სპილოს ყიდულობდა, ის უკვე წავიდა.

ფადიშაჰს ეს პასუხი ძალიან მოეწონა, კარგ გუნებაზე დადგა და ის კაცი უხვად დაასაჩუქრა.

ამ ანდაზას მაშინ იტყვიან, როცა ვინმეს თავისი სიტყვა უკან მიაქვს ან დანაპირებზე უარს ამბობს.

ისინი ორნი ერთად იყვნენ, ჩვენ კი ასნი ცალ-ცალკეო

ამბობენ, რომ ნასრუდინის მეფობის დროს ქაშანელების სამხედრო რაზმს დავალება მისცეს, ამბოხება ჩაექრო. რაზმი ქალაქიდან გაემგზავრა. უღელტეხილზე ორი თავზეხელაღებული ყაჩაღი შეეყარათ. ისინი თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულები იყვნენ და ისე შეთანხმებულად და უშიშრად უტევედნენ რაზმს, რომ იგი მთლიანად დაიქსაქსა. დაიბნა და წინააღმდეგობის გაუწევლად დაჰყარა იარაღი. გათამამებულმა ყაჩაღებმა რაზმის მთელი ავლაღიდება ხელთ იგდეს, რისი ტარებაც კი შეეძლოთ, წაიღეს და წავიდნენ.

როცა ეს ამბავი შავს მოახსენეს, ის სასტიკად განრიხხდა. მთელი რაზმი დაიბარა და აღშფოთებით ჰკითხა:

— როგორ მოხდა, რომ ორმა ყაჩაღმა ასი კაცი დაგამარცხათ და გაგძარცვათ?!

მაშინ რაზმის უფროსი წინ წამოდგა და მოახსენა:

— დიდებული შაჰო, ეს იმიტომ მოხდა, რომ ისინი ორნი ერთად იყვნენ, ჩვენ კი ასნი ცალ-ცალკე.

ზოგჯერ ასეც ამბობენ: ჩვენ ასნი ცალ-ცალკე ვიყავით, ისინი კი ორნი ერთად.

ამ ანდაზას ისეთ ადამიანებზე ამბობენ, რომლებიც ერთმანეთში ვერ რიგდებიან. ერთსულოვნება არა აქვთ და ამიტომ გარეშე მტერს ვერ უმკლავდებიან. ანდა ისეთ ხალხზე იტყვიან, ვისაც ერთობის ძალა და ქიშპობის ზიანი არ ესმის.

თუ ჩემთვის წყალი არ იდენს, შენთვის პური ხომ იქნებაო

ამბობენ, ცხონებულ ჰაჯი მირზა აყასის მიწის მოვლა და დამუშავება ძალიან უყვარდა და მთელი თავისი სიცოცხლე ამ საქმეს შეაღია. თურმე ერთხელ ჰაჯიმ სარწყავი არხების გამთხრელი მუშა დაიბარა და არხის გათხრა დაავალა. მუშამ საქმეს ახედ-დახედა და მოახსენა:

— ბატონო, აქედან არაფერი გამოვა.

— რატომ? — ჰკითხა ჰაჯიმ.

— იმიტომ, რომ არხში წყალი არ გადმოვა! — უპასუხა მუშამ.

— არა უშავს, თუ ჩემთვის წყალი არ იდენს, შენთვის პური ხომ გამოვა? — დაამშვიდა ჰაჯიმ.

ეს ანდაზა სხვანიარადაც ითქმება: ჩემთვის, თუ წყალი არ იქნება, შენთვის პური ხომ იქნებაო.

ამ ანდაზას მაშინ ამბობენ, როცა მეფანი მავანს რაიმე საქმის მოგვარებას დაავალებს, ეს უკანასკნელი კი უარს ამბობს, რადგან საქმე სარფიანი არ არის. დამკვეთს კი ისე უნდა ამ საქმის გაკეთება, რომ მოსალოდნელ ზარალს არაფრად აგდებს.

მე რომ აქ ვყოფილიყავი, ბიჭი შემეძინებოდაო

ისპაანში ერთი სედელი შოროელ მოგზაურობაში იყო წასული. ამასობაში მის ცოლს ქალიშვილი შეეძინა. როცა მამა შინ დაბრუნდა და ქალიანობა ახარეს, მან სთქვა:

— მე რომ აქ ვყოფილიყავი, ბიჭი შემეძინებოდა.

ეს ანდაზა იმაზეა ნათქვამი, რომ როცა ადამიანი საქმეს გულისყურით ეკიდება, როგორც იტყვიან, როცა „საქმეს თავზე ადგას“, საქმე უკეთესად მიდის.

ამ ანდაზის მსგავსია მეორე ანდაზა: პატრონის თვალს სხვა ძალა აქვსო!

პატრონის თვალს სხვა ძალა აქვსო

იყო ორი მეგობარი. ერთმანეთი ძალიან უყვარდათ და მრავალი წლის განმავლობაში ერთმანეთის ჭირსა და ღონის იზიარებდნენ. ერთხელ ერთი მათგანი სამოგზაუროდ გაემზადა. წასვლისას თავისი მეგობარი მოინახულა და სთხოვა:

— ძმაო, შენც იცი, როგორ მიყვარს ჩემი ცხენი და როგორ ვუვლი. ახლა, ჩემს არყოფნაში, არ მინდა მოჭამაგირეების ამარა დავტოვო. ძალიან გთხოვ, ჩემს ჩამოსვლამდე შენს თავლაში დააბი და უპატრონე.

მეგობარმა დიდი სიხარულით მიიღო მეგობრის თხოვნა. ცხენი მაშინვე თავის თავლაში გადაიყვანა. დღეში სამჯერ საგანგებოდ მოინახულებდა და მოვლა-პატრონობას არ აკლებდა. მეჭინბეებიც კარგი მიუჩინა, მაგრამ ცხენმა მალე მოიწყინა და დღითიღვე ჭამას უკლო. მეგობარმა თავლაში სიარულს მოუხშირა. სანამ ცხენს თავისი ხელით არ აქმევდა და არ გაასუფთავებდა, თავლიდან არ გამოდიოდა. ცხენი მაინც სულ უფრო და უფრო ხდებოდა. ბოლოს იფიქრა: ეგება რაიმე სენი ჭირსო. დაიბარა საუკეთესო ბეითალი და ცხენს უმეურნალა. არ იქნა და არა, ცხენი ვერ მოამჯობინა. საოცარი უფრო ის იყო, რომ იმავე თავლაში დაბმული სახლის პატრონის ცხენი ამ დროს სუქდებოდა და ლამაზდებოდა, თუმცა მას გაცილებით ნაკლები მოვლა და პატივი ჰქონდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ სამოგზაუროდ წასული მეგობარი სამშობლოში დაბრუნდა და მაშინვე თავისი კეთილისმყოფელი მოინახულა. მეგობრები სიყვარულით გადაეხვივნენ ერთმანეთს და დიდად გაიხარეს. ბოლოს სამშობლოში დარჩენილმა მეგობარმა დარცხვენით ჩააბარა ცხენი და თანაც მოუბოდიშა: ჩემი და ჩემი მეჭინბეების ბრალი არ არის შენი ცხენის ამ დღეში ყოფნაო. მოგზაურობიდან დაბრუნებულმა მეგობარმა გაიღიმა და უთხრა:

— ნუ დარდობ, ძმაო, განა არ იცი, პატრონის თვალს სხვა ძალა აქვს.

ალი შეაქლემე თუა, უკეთ იცის აქლემი ხად დააწვინოსო

თურმე შიიტი და სუნიტი თავიანთი რჩულების შესახებ დაობდნენ. შიიტი ამბობდა:

— განკითხვის დღეს ჩემი ბატონი ალი სამოთხეში მოსკდება. შენი ომარი კი — ჯოჯოხეთში.

სუნიტი ამბობდა:

— განკითხვის დღეს ჩემი ბატონი ომარი აქლემზე შეჯდება, ალი კი მის აქლემს სამოთხისაკენ ფეხით გაუძღვება.

მაშინ შიიტმა უთხრა:

— ალი შეაქლემე თუა, უკეთ იცის, აქლემი ხად დააწვინოს.

ამ ანდაზას მაშინ ამბობენ, როცა საქმის მცოდნეს ვინმე ჭკუას ასწავლის და მითითებას აძლევს. ოსტატს კი უნდა გააგებინოს, რომ მან უკეთ იცის თავისი ხელობის ავ-კარგი და როგორც საქმე მოითხოვს, ისე გააკეთებს.

რამდენიც გინდა იყიყინე, ფული გადამიხდია და უნდა შეგქამოო

ერთი ლური, რომელსაც ქალაქი თვალით არ ენახა, ისპაანში ჩავიდა. ბაყლის დუქნის წინ გაჩერდა და ვიტრინას თვალიერება დაუწყო. ახლადდაკრეფილი მწვანლისა და ბოსტნეულის ხასხასა. ფერებმა მაღა გაუღვია და დუქანში შევიდა. ცოტაოდენი მწვანელი იყიდა. მეგრე მეპურეს დუქანში პური გამოართვა და მეჩეთში შევიდა. იქ ერთ მყუდრო კუთხეში მოიკალათა, ნაყიდი სანოვაგე ამოალაგა და ჭამა დაიწყო. შემთხვევით მწვანლის გროვაში ბაყაყი მოხვედრილიყო. ლურმა იფიქრა: აქაურები ალბად მწვანისს ამ ცხოველს ატანენო. ბაყაყი პურში გაახვია და ჩასაკებეჩად პირში ჩაიდო. ბაყაყმა ყიყინი მოართო. ლურმა უთხრა: რამდენიც გინდა იყიყინე, ფული გადამიხდია და უნდა შეგქამოო.

ისპაანელები ამ ანდაზას მაშინ ხმარობენ, როცა რაიმე საგანი არა სკირდებათ, მაგრამ რადგან ფული აქეთ გადახდილი, მისი გადაგდება ენანებათ.

თუ ჯორებს არ დააფრთხობ, შენთან ხელი არავის ექნებაო

ერთ დამეს მოლა ნასრედინს ცოლმა ჰკითხა:
— მოლა-ჯან, იქნებ იცი საიქიოში რა ამბებია. ახლადმისულებს ჯორ-გორ ექცევიან?

მოლამ უპასუხა:

— არა, არ ვიცი, მაგრამ მალე შევიტყობ და გეტყვი.

მეორე დამეს მოლა ისპაანის ცნობილ სასაფლაოზე „თახთე ფოლაღზე“ მივიდა და ძველ, ჩანგრეულ საფლავში ჩაწვა: ეგებ აზრაილი მოვიდეს და მისგან საიქიოს ამბები შევიტყო. მოლა დადლილი იყო და მალე ჩაეძინა. გათენებისას დილის სიგრილემ და ექვნების ყდარუნმა გამოადვიდა. ახლადგამოღვიძებული ჯერ ვერ მიხვდა, სად იმყოფებოდა, თვალები მოიფშენიტა და თავი რომ სასაფლაოზე დაიგულა, შეშინებულა წამოიჭრა საფლავიდან. ამ დროს თურმე „თახთე ფოლაღზე“ ჯორების ქარავანი მიდიოდა. წინამავალმა ჯორმა საფლავიდან წამომხტარი მოლა რომ დაინახა, დაფრთხა და უკან მოკურცხლა. სხვა ჯორებიც აირი-ღანი-ივნენ, საპალნეები გადმოყარეს და აქეთ-იქით გაიფანტნენ. შემყოფებულმა მექარავნებმა ჯაჭვებს წამოავლეს ხელი და რომ დარწმუნდნენ, ჯორების დაფრთხობის მიზეზი მოლა იყო, მისდგნენ და

უწყალოდ დაუშინეს თავ-პირში. საწყალი მოლა კენესოდა, ტიროდა და პატიებას ითხოვდა. მექარავნებმა მოლას ფეხ-ბილი გაუერთიანეს, ჯორებს საპალნეები აკიდეს და თავიანთ გზას გაუდგნენ.

დაბეგვილი მოლა შინ რომ დაბრუნდა, ცოლმა ჰკითხა:

— სად იყავი, რა დაგმართვია?!

მოლამ უთხრა:

— „თახთე ფოლადზე“ ვიყავი, ერთ საფლავში ჩავწექი, მინდოდა გამეგო საიქიოს რა ამბავი იყო.

— მერე, რა გაიგე, როგორ ექცევიან ახალმისულებს?!

— დიდი არაფერი, — ამოილულულა მოლამ. — თუ ჯორებს არ დაფრთხობ, შენთან ხელი არავის ექნება.

ამ ანდაზაში დიდი სიბრძნე და მორალია ჩაქსოვილი: თუ ვინმეს უფლებებს არ ხელყოფ და ზიანს არ მიაყენებ, შენც არავინ არაფერს დაგიშავებსო.

მე კი გავუშვებ ხელს ტიკს, მაგრამ თვითონ არ მიშვებსო

რამდენიმე კაცი ზღვაში ნავით სეირნობდა. უცბად შორს რაღაც საგანი დაინახეს. დაიწყეს მსჯელობა: ნეტავ რა უნდა იყოს ეს საგანიო. ერთმა თქვა:

— ეგ შარბათით სავსე ტიკი იქნება.

მეგობრებმა არ დაუჭერეს და მასხრად აიგდეს.

— ახლავე დაგიმტკიცებთ ჩემს სიმაართლეს, — თქვა კაცმა, ტანთ გაიხადა, ზღვაში გადაეშვა და საგნისაკენ გასცურა. თურმე ეს საგანი დათვი არ ყოფილა?! ზღვაში ჩაფარდნილიყო და იხრჩობოდა. კაცი რომ დაინახა, უკანასკნელი ძალა მოიკრიფა და იმისაკენ მიცურდა. შეშინებულმა კაცმა უკან მოუსვა, მაგრამ დახეთ უბედურებას, დათვი წამოეწია და ტორებით ფეხებში მაგრა ჩაებლაუჭა. საწყალი კაცი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, უსვამდა ხელებს, მაგრამ ადგილიდან ვერ იძროდა. მაშინ მეგობრებმა ნავიდან დაუყვირეს:

— რა თავში იხლი მაგ ტიკს, ხელი გაუშვი და ნავში დაბრუნდი.

— მე კი გავუშვებ ტიკს ხელს, მაგრამ თვითონ არ მიშვებს. — გამოსძახა კაცმა.

ამ ანდაზას სხვაგვარადაც ამბობენ: ეს კაცი ჩვენთვის შარბათიანი ტიკიო. ამას მაშინ ამბობენ, როცა მავანი მავანს ძალით აეკვიატება და თავიდან ველარ იშორებს.

ლოგინში თუ ჯერ არ ჩაგისველებია, დაიცა, ღამე გრძელიაო.

ბავშვი ყოველღამე ლოგინს ასველებდა. ერთხელ შეუღამისას გაეღვიძა, ნახა, რომ ლოგინი მშრალი ჰქონდა, მაშინვე დედა გააღვიძა და ახარა:

— დედი, ნახე, ამაღამ ლოგინი არ დაძისველებია.

— ჩემო ძვირფასო, — დაამშვიდა დედამ, — ლოგინში თუ ჯერ არ ჩაგისველებია, დაიცა, ღამე გრძელია.

ამ ანღაზას მაშინ ამბობენ, როცა მავანს ცული ზნე სჭირს, ჯერ არ გამოუმჯღავნებია, მაგრამ დარჩენილ ღროში აუცილებლად გამოამქლავნებს. ან როცა მავანი თავისი ცული საქციელისათვის ჯერ არ დასჯილა, მაგრამ შემდეგში მანც დაისჯება.

ნამაზი თუ არ შემრჩება, ჩუსტები ხომ შემრჩებაო

ერთ ისპანელს ფეხზე ჩუსტები ეცვა და ისე ასრულებდა ნამაზს. გვერდზე ქურდი იდგა და ჩუმად უთვალთვალებდა. უნდოდა ისპანელისათვის ჩუსტები მოეპარა. კაცმა ნამაზი რომ დაამთავრა, ქურდი მივიდა მასთან და უთხრა:

— ძმაო, ჩუსტებით ნამაზის შესრულება დიდი ცოდვაა. თუ გინდა, ნამაზი შეგრჩეს, ჩუსტები უნდა გაიხადო.

ისპანელმა უპასუხა:

— არა უშავს, ძმაო, ნამაზი თუ არ შემრჩება, ჩუსტები ხომ შემრჩება.

ამ ანღაზას მაშინ იტყვიან, როცა კაცს წაგებასთან ერთად, მოგებაც აქვს.

წელს ერთ-ერთს შეგვრთე ცოლი, გაისად კი ჩემს უფროს ძმასაო

ერთი გლეხი და იმისი ცოლი თავიანთი ვაჟების დაქორწინებაზე თათბირობდნენ და თან გაკვირვებასა და ხელმოკლეობას უჩიოდნენ. უმცროსი ვაჟი ჩუმად მიმჭდარიყო კუთხეში და მშობლების ბაჟსს ყურს უგდებდა. ბოლოს ველარ მოითმინა, წამოდგა და მამას უთხრა:

— მამა, თუ შეძლება არა გაქვს, წელს ერთ-ერთს შეგვრთე ცოლი, გაისად კი ჩემს უფროს ძმასა.

მე ვირზე ვზივარ, ესენი კი ფეხით მოჩანჩალებენო

იყო ერთი ლური, რომელსაც ქალაქი თვალთ არ ენახა და იქაური ზნე-ჩვეულებებისა არაფერი გავგებოდა. ერთ დღეს ეს ლური ისპანში ჩავიდა. ქუჩებში ბევრი იხეტიალა და ბოლოს ერთ „ჩელოქაბაბის“ დუქანთან შეჩერდა. დაინახა, რომ დუქნის დახლზე დიდი სინით ჩელოქაბაბი იდო. ყველა თავისუფლად მიდიოდა სინთან და რამდენიც უნდოდა იმდენს ქამდა. ნუგბარი ფლავისა და ქაბაბის სასიამოვნო სუნნი ადამიანს

აბრუებდა და მაძლარსაც კი მადას უღვიძებდა. ლურმა, რომელსაც ჯიბეში გახვრეტილი შაურჩანიც არ ეგდო, თავი დაადო და დუქანში შევიდა, საქუხე ჩამოჯდა და ერთი ულუფა საკმელი მიირთვა — დიდი თეფში ფლავი და სამი შამფური ქაბაბი. ლურმა სულმოუთქმელად გადასანსლა საკმელი და მეორე ულუფაც აიღო. ჩელოქაბაბი ისე ეგემბრებოდა, რომ მესამე ულუფაც შექამა. ბოლოს მუცელი რომ კარგად ამოიყორა, ორი ულუფა ჩელოქაბაბი წელზე შემორტყმულ შალის ქამარში ჩაიყარა და წასვლა დააპირა. მედუქნემ რომ დაინახა ლური მიდისო, დაუყვირა:

— ეი, შე ოხერო, სად მიიპარები, ფულს რატომ არ იხდი?

— ფული სადა მაქვს! — გაიყვირვა ლურმა.

— უფულოდ ჩელოქაბაბის კამა სად გაგონილა?! თავი რომ დაგდიოდა მიდიხარ, სად მიდიხარ?

— ფული არა მაქვს და რაც გინდა ის მიყავით. — ამბობდა ლური.

მედუქნე დარწმუნდა, რომ ამ უპკურო და უფულო კაცთან ვერაფერს გახდებოდა. ბიჭებს უბრძანა ლური ვირზე უკუღმა შეესვათ და მთელი ქალაქი შემოეტარებინათ, რომ საქვეყნოდ შეერცხვინათ ჩელოქაბაბის მუქთად კამისათვის. მართლაც, ასე მოიქცნენ, ვირზე უკუღმა შემოსმული ლური ქალაქის ქუჩებში ჩამოატარეს. ბავშვები ხროვად უკან მიჰყვებოდნენ, დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ. ერთ უბანში ლურს თავისი თანასოფლელი შეეფეთა:

— ეს რა დაგმართნია, რა შეგემთხვა, რა დააშავე, რომ ასეთი სამარცხვინო სასჯელი დაიმსახურე? — ჰკითხა მეზობელმა.

ლურმა ამაყად გადახედა მეზობელს და უპასუხა:

— რა უნდა მომხდარიყო, ყველაფერი კარგად მოეწყო. რამდენიც მინდოდა იმდენი ვქამე, შენთვისაც კარგა ბლომად წამოვიღე. ანლუ მე ვირზე ვზივარ, ესენი კი ფეხით მოჩანჩალებენ.

ამ ანდაზას მაშინ იტყვიან, როცა ადამიანი თავისი მიზნის მისაღწევად სამარცხვინო საქციელს არ თაკილობს. მთავარი იმისთვის სარგებლობაა და არა კაცური კაცის სახელი. ან მაშინ, როცა კაცი ვინმეს წყალობით განდიდდება, თავის კეთილისმყოფელს დაივიწყებს და მის გაკიცხვასა და აუგს არაფრად აგდებს.

ეს აქლემი სხვის კარზე დააწვინეო

ერთხელ სამეფო ხაზინიდან დასაპალნებული აქლემი დაიკარგა. აქლემი ერთმა მოხერხებულმა კაცმა იპოვა, საპალნე მოხსნა და გადაამალა. აქლემი კი ღამით თავისი სახლიდან კარგა მოშორებულ უბანში წაიყვანა და იქ ერთი ღარიბი კაცის სახლის წინ დააწვინა. ანაზღად სახლის პატრონმა მოუხწრო, მიხვდა რაშიც იყო საქმე და კაცს უთხრა:

— ალა, დიდ ბოდის კი გინდი, მაგრამ, თუ შეიძლება, ეს აქლემი სხვის კაზზე დააწვინე.

ამ ანდაზას მაშინ იტყვიან, როცა მაჭანმა მევანს ფარულად სახიფათო საქმე უნდა თავს მოახვიოს, ის ყი თინს მიუხვდება და დაუძვრება. ან მაშინ, როცა ვინმეს ისეთ საქმეს დაავალებენ, რომლის შესრულებაც არ შეუძლია და ამიტომ თავიდან იცილებს.

თუ ასეთი ქარი იქროლებს, არაფერსაო

ერთი კაცი ყავითს კამდა. უცბად ძლიერი ქარი ამოვარდა და ყავითი გაუფანტა.

გზაზე ერთი კაცი შეხვდა და ჰკითხა:

— რასა სკამ?

— თუ ასეთი ქარი იქროლებს, არაფერს,— უპასუხა კაცმა.

ამ ანდაზას მაშინ იტყვიან, როცა რაიმე საქმეზე შექნაილი მდგომარეობის გამო ხელი მოეცარებათ.

უფრო მამალიაო

ერთმა კაცმა სხვისი აქლემი მოისაკუთრა. აქლემის პატრონმა ყადისთან უჩივლა. ყადიმ ჰკითხა მიმთვისებელს:

— ეს აქლემი თუ მართლა შენია, მითხარი, მამალია თუ დედალი?

მიმთვისებელმა დანამდვილებით არ იცოდა აქლემი რა სქესისა იყო, ამიტომ ორქოფულად უპასუხა:

— უფრო მამალია

ამ ანდაზას მაშინ იტყვიან, როცა ვინმე უსამართლოდ მოისაკუთრებს რამეს.

შენ რომ ჩემს ადგილას ყოფილიყავი, სულაც ჩაისვრიდიო

ერთი ტუტია ლური რამაზანის თვის 21 რიცხვში ისპანში ჩავიდა და ჰეიდან შაჰზე ალი-ყაფუს სასახლესთან შეჯგუფულ ხალხში გაერია.

— რა ამბავია, ამდენი ხალხი აქ რისთვის შეყრილა? — იკითხა ლურმა.

უთხრეს:

— დღეს „მკვლელობის დღეა“. რამაზანის თვის 21 რიცხვში სასიკვდილოდ დაქრილი ალი გარდაიცვალა და ქალაქის მცხოვრებნი ამ დღეს გლოვობენ, ფქვილით, შირათი და ერბოთი ჰალვას აკეთებენ და ნაცნობ-

მეგობრებს ურიგებენ. თუ ღმერთთან რაიმე სათხოვარი გაქვს, შენც ასე მოიქეცი და ხელი მოგემაართება.

ლურმა, რომელსაც უამრავი სათხოვარი ჰქონდა უფლისადმი, სასწრაფოდ შეაგროვა. პალვისათვის საჭირო მასალა და კარგა ბლომად პალვაც გააკეთა. მაგრამ სხვებისათვის ვერ გაიმეტა და სულ თვითონ შეუკამა. შემდეგ მეჩეთის კედელთან მუხლებზე დაეცა და გულმხურვალედ შეავედრა უფალს თავისი სათხოვარი.

— ეი, უფალო, ეი, უფალო! — გამყივანი ხმით გაჰკიოდა ლური.

თურმე მეჩეთში იმ დღეს ქერიმ ფეშა ყოფილიყო, ჯამათის ნამაზი მიელო და შემდეგ გასაგრილებლად თუ მოსასვენებლად ალი-ყაფუს ზედა სართულზე ასულიყო და ჩაეთვლიმა. ლურის გამყივანმა ძახილმა ქერიმ ფეშას ძილი დაუფრთხო, ქონგურიდან გადმოიხედა და კედელთან მოღრიალე მლოცველი რომ დაინახა, თავზე თავისი აბა წამოიხურა და ისევ ჩასთვლიმა. მაგრამ ვერ იქნა და ველარ დაიძინა. ლურის ხმაშაღალი „ეი, უფალო, ეი, უფალო!“ მოსვენებას არ აძლევდა. შეწუხებულმა ქერიმ ფეშამ ლურს ზემოდან ჩამოსძახა:

— ჩემო მხევალო, შევისმინე შენი ლოცვა-ვედრება, გეყოფა: კმარა! გულუბრყვილო ლურს ეგონა, ღმერთმა მართლაც მოიცალა ჩემთვისო და უფლისათვის თავისი ხმა რომ კარგად მიეწვდინა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აღრიალდა: „ეი, უფალო! ეი, უფალო!“

მოთმინებრიდან გამოსულმა ქერიმმა ჩასძახა:

— ეი, ჩემო მხევალო, მითხარი, რა ოხრობა გინდა?!

ლურმა შესძახა:

— ჩემი თხები მაკედ არიან და შენთვის პალვა მოვხარშე, რომ ტყუპ-ტყუპად მოიგონ.

— კარგი, — უბრძანა ქერიმმა, — წადი, ერთი თავი შექარი და ცოტაოდენი ხილი მომიტანე და შენი თხოვნა შეწყნარებული იქნება.

სალამო ეყამს ლურმა შექარი და ხილი მოიტანა მეიდან შაჰზე და მუხლ-მოდრეკილმა კვლავ შელაღადა ღმერთს: „ეი, უფალო, ეი, უფალო!“

ქერიმ ფეშა უკვე გამოძინებული იყო და ოხუნჯობის ხასიათზე დამდგარიყო. წინასწარ გამზადებული კალათა მეჩეთის კედელზე ჩამოეშვა და თან იღუშალი ხმით ლურს უბრძანა:

— რაც დაგავალე, თუ მოიტანე, ჩადე ამ კალათაში და მაღლა ამომიგზავნე.

ლურმა კალათა შექრითა და ხილით გაავსო და თავისი ჰკუთით ღმერთს გაუგზავნა. ქერიმმა ცარიელი კალათა ხელმეორედ ჩამოეშვა და ლურს უბრძანა:

— ახლა შენ თვითონ ჩაქეცი ამ კალათაში და ჩემთან ამოდი.

გახარებული ლური კალათაში ჩაქდა. ქერიმმა კარგა სიმაღლეზე რომ ასწია კალათა, თოკი დანით გადაჭრა და პალვით გაბეყილმა ლურმა

მიწაზე გაადინა ზღართან. თან ისეთი სიძლიერით გააქარა. რომ ქერიმმა მალა გაიგო იმისი ხმა და „სუწნელება“.

— ჩემო მხვეალო, — ჩამოსაბახა ზემოდან ხარხარით, — ასეთი სუსტი უკანა ნაწილით როგორ გაბედე ჩემთან გამომგზავრება?

მიწაზე გართხმული ლური ტყვილებსაგან ვიშვიშებდა და კვნესოდა.

— ეე, უფალო! — შესაბახა „უფალს“, — შენ რომ ჩემოდენა პალვა გეჭამა, სულაც ჩაისვრიდი!

როცა ვინმეს რაიმე საქმეში „კოვზი ნაცარში ჩაუვარდება“ და ხელი მოეცარება, ისპანელები დაკინებით ეტყვიან, ამ სუსტი ხელ-ფეხითა და უკანა ტანიტ როგორ ეკიდებოდი ასეთ ძნელ საქმესო. დამარცხებული კი იტყვის: — თქვენ რომ ჩემს მდგრადობაში ყოფილიყავით, უარესი დაგემართებოდათო. — ჩემს ადგილას რომ ყოფილიყავი, სულაც ჩაისვრიდიო.

ახალო სახელო, კამე ფლავიო

ერთხელ ბოძლული მეჯლისში შეეცა, სადაც იმ დროისათვის ცნობილი მოძღვარი რელიგიურ და ფილოსოფიურ თემებზე ლექციას კითხულობდა. რადგან ტანზე დაკონილი სამოსი ემოსა, ბოძლულს ზემოდან გადმოხედეს და იოტისოდენა ყურადღებაც არ მიაქციეს. ლექციის შემდეგ ცხარე კამათი გაიმართა. იქ დამსწრენი სათითაოდ გამოთქვამდნენ აზრს დასმული საკითხის ირგვლივ და გულმხურვალედ იცავდნენ თავიანთ შეხედულებას. კამათი რამდენიმე საათს გაგრძელდა. ბოლოს სიტყვით ბოძლული გამოვიდა. მან ზედმიწევნით ნათლად გააშუქა აღნიშნული საკითხი და შესაფერისი განმარტება მისცა. მეჯლისის მსმენელებმა არაფრად ჩააგდეს ბოძლულის განცხადება. პირიქით, დასცინეს და სიტყვა გაუტრიზავეს: როგორა ბედავ ამ დიდებული კრებულის წინაშე შენი არსებობის გამომქლავნებას და აზრის გამოთქმასო. ბოძლული მიხვდა, რაშიცაიყო საქმე და გაჩუმდა.

მეორე დღეს ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი და მორთულ-მოკაზმული ბოძლული იმავე მეჯლისში მივიდა. მეჯლისის მსმენელებმა მდიდრულად ჩაცმული სტუმარი მაშინვე საპატიო ადგილას დასვეს და ყურადღებით გაანებებურეს. შემდეგ ისევე წინადაღის თემას მიუბრუნდნენ და რამოდენიმე საათის განმავლობაში ისევე უშედეგოდ ისაუბრეს და იმსჯელეს. ბოლოს სიტყვით ბოძლული გამოვიდა. მან მალაღფარდოვანი ფრაზებით უსაფუძვლო განცხადებები გააკეთა აღნიშნული საკითხის ირგვლივ და, საგნის ნამდვილ აზრს არც კი შეხებია. ისე ჩამოვიდა კათედრიდან. დამსწრენი მკუხარე ოვაციით შეხვდნენ ბოძლულის გამოსვლას. მის განსწავლულობასა და ცოდნას ერთხმად ქება-დიდება შეასხეს, ხოლო ცნობილმა მოძღვარმა ბოძლულის პატივსაცემად ვახშამი გამართა.

მთელი კრებული რომ სუფრას შემოუსხდა და ჭამას შეუდგა, ბოჰლულმა აიღო გამზადებული კერძი და თავისი მდიდრული ტანსაცმლის სახელოში ჩაიყარა. ბოჰლულის ირგვლივ მჯდომმა სტუმრებმა გაოცებისაგან პირი დააღეს და რაკი სწავლული სტუმარი ამ საქციელს ისევ და ისევ იმეორებდა, ჩუმ-ჩუმად დაცინვა დაუწყეს.

ბოლოს ბოჰლულმა თქვა:

— ბატონებო, თქვენ რომ ამ ჩემს საქციელს დასცინით, იცოდეთ, თქვენს თავს დასცინით, რადგან ჩემი ასეთი საქციელი თქვენი საქციელისაგან გამომდინარეობს.

სუფრის წევრები გაოცდნენ:

— მოძღვარო, განა ჩვენ ისეთი რა მოვიმოქმედეთ, რომ თქვენი ასეთი უცნაური ქცევა გამოგვეწვია?

ბოჰლულმა უპასუხა:

— გუშინ მე რომ მეჯლისში თქვენთვის საინტერესო საკითხი ძირფესვიანად გავაშუქე, თქვენ ყურიც არ მათხოვეთ. რადგან უხვირო ტანსაცმელი მეცვა. დღეს კი ათასი აზღაუბდი ვილაპარაკე. მარტო მაღალფარდოვან სიტყვებს ვისროდი და შინაარსს კი არ შევხებოდი. თქვენ ჩემს გამოსვლას დიდი შეფასება მიეცით და ჩემს პატივსაცემად ნადმიც კი გამართეთ. მაშასადამე, ეს პატივი მე კი არა, ჩემს ახალ სახელოს ეკუთვნის და ეს სადილიც ამან მიირთვას.

ამ არაკს მეორენაირადაც ჰყევიან. მისი შინაარსი ასეთია:

ერთ დღეს ერთი დიდებული შეიხი ქორწილში იყო დაბატყებული. ქორწილში რომ მივიდა, ნეფის მსახურმა კარში არ შეუშვა, რადგან ძვირფასი ტანისამოსი არ ეცვა. შეიხი მიხვდა რამიც იყო საქმე. მაშინვე სახლში გამობრუნდა, ძვირფასად გამოეწყო და ისევ ქორწილში მივიდა. მსახურმა მდიდრულად მორთული სტუმარი თავახიანად მიიღო და საპატიო ადგილისაყენ წაუძღვა. როცა სუფრა გაშალეს და ჭამა დაიწყეს, შეიხმა საჭმელი აიღო და სახელოში ჩაიყარა. მექორწილეებმა სიცილი დააყარეს და ასეთი საქციელის მიზეზი ჰკითხეს. შეიხმა უამბო მათ მსახურთან მომხდარი ამბავი და იგივე უპასუხა, რაც ბოჰლულმა მეჯლისის მსმენელთ:

ბოჰლულისა და დიდებული შეიხის ამბავი „ბუსთანის“ მეორე კარში გადმოცემული ამბის მსგავსია და რადგან ეს ამბავი ძალიან ვრცელია, აქ აღარ მოყვებით. მკთხველებს კი ვურჩევთ, განსაკუთრებული ყურადღებით წაიკითხონ იგი.

ასეთსავე ამბავს მოლას შესახებაც ჰყევიან:

მოლა ნასრედინი სტუმრად იყო ერთ ნადიმზე. რადგან ცუდად ეცვა, მოლა საღდაც სუფრის ბოლოში მიაგდეს, ხოლო მის შემდეგ შემოსულ სტუმრებს საპატიო ადგილას იწვევდნენ. მოლამ არაფერი შეიმჩნია. ის ნადიმი მეორე დღესაც გაგრძელდა. ამჯერად წვეულებისათვის მოლა სა-

განგებოდ გამოეწყო, ხელში კრიალოსანი და მოვარაყებელი ხელჯოხი დაიჭირა და ისე შევიდა ნადიმზე. კარში შესვლისთანავე მოლას ოვაციებით შეეგებნენ: კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო. მოლას უნდოდა თავის წინააღმდეგედ აღგილზე დამჯდარიყო, მაგრამ, როგორ გეკადრებათო, უთხრეს და სუფრის თავში დააბრძანეს. როცა მენადიმეები ჰამას შეუდგნენ, მოლამ თავისი მდიდრული ტანისამოსის სახელო ფლავით საუსე სინში ჩასდო და უთხრა: „ახლო სახელო, ჰამე ფლავი! რადგან მე იგივე ვარ, რაც გუშინ ვიყავი, ეს პატივი ნამდვილად შენ გეკუთვნის“.

(თანამედროვე ირანელი მწერალი)

ა რ ა რ ა ო გ ა

ადამიანების სიკეთისათვის ეზრუნავდი. მათი სამსახურისათვის თავს არ ეზოგავდი. მეგონა, ჩემს ამაგს დაინახავდნენ... მაგრამ დღეს, როდესაც ავადმყოფობის სარეცელზე მიჯაჭვული ჩემს თვალთაგან გადმონადენ ცრემლებივით უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულ დღეებს ვითვლი, მეშინია...

მეშინია, რომ იმ დღეს, როდესაც სიკვდილი ჩემზე გამარჯვებას იზეიმებს, ერთი კაციც არ გამოჩნდება, რომ საფლავს ცრემლი აკუროს. მეშინია, რომ ჩემს საფლავზე ობოლი ვარდიც არ გაიშლება. რათა მიღამოს სურნელი აფრქვიოს!

ეჰ! თითქოს არც კი ვყოფილვარ ამქვეყნად.

ჩის ხმელი ტოტი ვარ, საცოდავად მიყუჩული მთის ცივი მდინარის პირას. სიჩუმეს მხოლოდ მდინარის მონოტონური რაკრაკი და ხმელი ტოტების მსხვრევა არღვევს. ტოტები მდინარეში ცვივა, წყლის დინებას მიჰყვება და თვალთაგან უჩინარდება. მე კი ისევ იქა ვარ...

ხოლო როცა მზის კაშკაშა დისკო თოვლით გადაპენტილ ლამაზ მთის წვერზე კაშკაშით ამობრწყინდება, მთელი ჩემი შეგრძნებით მის სანახერლად ვემზადები. ვცდილობ, რომ მარტოობის განსაცდელისაგან თავი ვიხსნა, მაგრამ ეს გოლიათი ხე გზას მილობავს და მზის დანახვის საშუალებას მისპობს. ამ მთიანეთში შემთხვევით თუ ვინმე გაავლის. მინდა, მასთან ვისაუბრო, გულის კარი გაუფხსნა და შინაგანი სევდა ვავუზიარო. მაგრამ იგი ცივად ფეხს მაბიჯებს და დაუზოგავად მთელავს. მთელ განვლილ სევდა-წუხილს მიახლებს.

მწუხარებას ღრუბლების ცრემლებიც კი ვერ მინელებს, რომლებიც შემოდგომის დღეებივით უკან დარჩნენ. ვერ ვშევიდგები, რადგან დიდი და უხეში ქვა ყოველგვარ სიამოვნებას მისპობს. საკუთარ გულს მწუხარებით თვალყურს ვადევნებ. მდინარე კი თითქოს წალეკვას მიპირებს, მაგრამ მე ხომ უკვე არაფრად გამოვდგები. მთელი ცხოვრება უკან დარჩა. არა, არა, იმ დღემდე უნდა ვიცოცხლო, ვიდრე ყველა ცული დავიწყებას არ მიეცემა, ვიდრე ჩემი არსება რაღაც ახალს არ იპოვის, ვიდრე ჩემს ნიჭსა და უნარს არ გამოვამყდავენებ.

სოჭრატ ხოზბინი

(თანამედროვე ირანელი მწერალი)

უ ე მ ო დ გ ო მ ა

მღუმარე ნარგიზი სევდა-ნაღველს მოეცვა. აღარ ისმოდა ბულბულის სტვენა. დამკვნარ ნარგიზს ბულბულისა და ფარვანას სიშორე ველარ აეტანა და ცდილობდა, ამ დარდისაგან თავი დაეღწია.

ნარგიზს ხომ მხოლოდ ბულბული და ფარვანა უწევდნენ მეგობრობას. დილით, როდესაც მიწიდან თავს წამოჰყოფდა და ლამაზ მიდამოს თვალს გადაავლებდა, ცხოვრებას მისთვის სხვა იერი ეძლეოდა. მწვანე მდელი ვარდის სურნელს აფრქვევდა, ბულბული ტკბილად უგალობდა, დრო-დადრო ფარვანაც ფრთას გაჰკრავდა და ეალერსებოდა, ქვეყანაც დიდ ბედნიერებას უქადდა.

ახლა კი მარტო იყო. მისი ცხოვრების შემოდგომა მოსულიყო. მას აღარც ბულბული უგალობდა, აღარც ფარვანა ეალერსებოდა... სასომიხდელი ნარგიზი ნელ-ნელა მიწისკენ იხრებოდა, თითქოს აპირებდა მას გულში ჩაჰკეროდა.

ერთბაშად, შემოდგომის ქარმა ძლიერად დაჰბერა. საბრალო ნარგიზი ადგილიდან მოგლიჯა და მიწას ჩაახვია.

სიხვარულის საფარო

ტკბილ სიხვარში ვიყავი...

სასთუმალთან ანგელოზი გამომეცხადა...

— რა გინდა? — შევეკითხე.

— არაფერი. მინდა შენი სული ცაში ავაფრინო, — მიპასუხა.

თვალთ დამიბნელდა და შიშისაგან აცახცახებულმა შევეყვირე:

— შენ გინდა, სული ამომსადო და საიქიოს გამისტუმრო?!

ანგელოზმა წყნარად დასძინა:

— დამშვიდდი.

ვუთხარი:

--- არა, ჭერ არ მსურს სიკვდილის უფსკრულში გადავიჩეხო, მომ-
შორდი, მომშორდი!..

ანგელოზმა გაიკვირვა:

— კი მაგრამ, ვინ გითხრა, რომ მე შენი მკვლეელი ვარ? მე სიყვარუ-
ლის ფერია ვარ და მსურს, შენი სული მალა, სიყვარულის სამყარო-
ში ავიყვანო...

ეს თქვა და გაუჩინარდა.

სამყარომ ახალი იერი მიიღო. უკუნეთი დღემ შეცვალა. ჩემმა აულ-
მა სხვა სამყაროში, სიყვარულის სამყაროში შეაბიჯა...

ს ა ს ო ე ბ ა

ო, სასოებავ! შენ რომ არა, ცხოვრება
ძნელი იქნებოდა.

მხოლოდ შენა ხარ ჩემი ცხოვრების ბიძგის მომცემი.

მხოლოდ შენა ხარ მძიმე და ბედუეულმართი საწუთროს
შუქის მომფენი.

მხოლოდ შენა ხარ მომავალი დღის დამატკბობელი.

მხოლოდ შენა ხარ ხვალინდელი დღის რწმენის მომცემი.

შენ რომ არა, ცხოვრება უიმედო იქნებოდა.

შენ რომ არა, ცხოვრება უაზრო იქნებოდა.

შენ რომ არა, ცხოვრების შხამიანი წუთები

კიდევ უფრო გამწარდებოდა.

შენ რომ არა, სიტკბოს სიმწარე მოერეოდა.

შენ რომ არა, თვით ცხოვრება კი იქნებოდა?!.

უღივლამო კვირა ღლეები

ტაქსიდან გარეთ იყურებოდა. იყო თოვლი და ღამე. ღამე და თოვლი. ყველაფერი გადათეთრებული; ყველაფერი თეთრი და სუფთა, წმინდა და მოლიპული. სიწმინდეში შიში ძნელად ეუფლება ადამიანს.

მან მანქანის სარკეში ჩაიხედა და ვაილია. სურდა სახლში წასულიყო და თოვლის სითეთრე და ღამის სიბნელე წიგნების ცივი და მღუმარე ფურცლების კითხვით შეეცვალა. თავის თავს ჰკითხა:

— რატომ წავიდე სახლში? რატომ ვაქციო მე თვითონ ჩემი თავი ტყვედ? წიგნები მკვდარია, ისინი ბიბლიოთეკების სიწყნარესა და სიმშვიდეში ელოდებიან უბედურს, რათა მას წვეთ-წვეთად გამოსწოვონ სისხლი. წიგნები ობობები, პარაზიტები, სანაგვე ყუთებია. ბიბლიოთეკა სასაფლაოა. წიგნის გადაშლა კი საფლავის გათხრაა. ჩემი სახლი ცივია და მღუმარე. იქ სიმშვიდეა, მაგრამ არ არის სიცოცხლე! სახლის კედლები ქვიშაა. იქვე, ფანჯარასთან დგას ფიჭვის ხე, რომლის სიმაღლემაც დაფარა ლურჯი ცა.

მალღოს უთხრა:

— აქ ჩამოვალ.

ტაქსიდან გადმოვიდა. ერთი დუქნის წინ დადგა. მინის მეორე მხარეს ადამიანის გაღიმებული სახე გამოჩნდა. მოჩვენებითი ღიმილით დუქნის ზღურბლს გადააბიჯა. გამყიდველს მიესალმა და ჯანმრთელობა გამოჰკითხა. გამყიდველმა უთხრა:

— ბევრი ახალი საქონელი მოვიტანეთ. თუ გსურთ, გიჩვენებთ.

— ქალის თუ გაქვთ რაიმე?

— ქალისა?!

— დიახ.

— რა გსურთ?

— უნდა ვნახო, რსე ძნელია თქმა.

— შეაკეტი, პალტო. ბლუზი, პერანგი, ფეხსაცმელი, წინდა. ჩანთა. სამკაულები. რა გსურთ?

— ხომ გითხარით, არ ვიცი. რაც გინდათ, მომეცი, სულ ერთია.

— ქალის პალტოები ძალიან კარგია, ესპანეთიდან ჩამოვიტანეთ. ნბოს ტყავისაა.

— მიჩვენეთ.

— რა ზომის იყოს?

— ზომას მნიშვნელობა არა აქვს.

— გვაქვს ქალის ლამაზი პერანგები, პარიზში შეკერილი.

— რომელია, აბა, ვნახოთ.

საგალანტერიო ნივთების თაროს ვიაპყრო მზერა. ერთ პატარა ყუთზე წაიკითხა წარწერა: „ჩარლი“.

გამყიდველმა უთხრა:

— ფრანგულია. ახალია.

— მიბოძეთ, ვნახო.

— სამი ზომის გვაქვს. დიდი, საშუალო და პატარა.

— დიდი მიბოძეთ.

გამყიდველმა რამდენიმე პერანგი და პალტო გამოიტანა. მან გაშალა და სათითაოდ მიიზომა. ერთზე თქვა, პატარააო! მეორეზე — დიდიაო! მესამეზე — ფერი არ მომწონსო. მეოთხე მოდელის გამო დაიწუნა. თუმცა ამ საქონლის უმრავლესობა ლამაზი და მოხდენილი იყო...

მას ეჩვენებოდა, რომ დუქანი ტრიალებდა. თითქოს გაცრეცილი და გაუფერულებული იყო ყოველივე. ყველაფერი ერთმანეთში აჩეულიყო და ერთად გაბობდნენ. დუქანი ცარიელდებოდა. გამყიდველმა პერანგი გაშალა და მის მკერდთან მიიტანა:

— ნახეთ, ეს მშვენიერია!

თავისდაუნებურად სიცილი აუფარდა. მის წინ იდგა სარკე, რომელშიც დაინახა თავისი გადაღლილი სახე, უძინარი თვალები. ნეტავ ვინმე ჰყავდეს, რომ უყიდოს ეს ყველაფერი. ამ პერანგებს ჩააცმევდა იმ ქალს. რომელმაც იგი რამდენიმე დღის წინ დატოვა. ცივმა ოფლმა დაასხა მთელ ტანზე. მან აიღო მუქი და ღია ყავისფერწინწკლებიანი პალტო. პერანგებიდან ის ფერები გადაარჩია, როგორებიც იმ ქალს ეცვა ხოლმე და გამყიდველს უთხრა:

— ესენი შემოხვიეთ.

— საჩუქრებივით შევახვიო?

— არა.

გამყიდველმა ყველაფერი შეახვია. მან შეხვეული ნივთები აიღო და კარისაკენ გაემართა. უკან დაბრუნდა და რამდენიმე ბოთლი ლაქი, ორი ცალი პუდრი და რამდენიმე ფერის პომადაც იყიდა. შემდეგ დუქანიდან გამოვიდა. ციოდა. თეთრ თოვლზე ძლივს მიდიოდა წელი ნაპიჯით. თავი უბრუოდა. თვალები უხურდა. წინა ღამის უძინარე იყო. როგორც კი ჩაეძინებოდა, ეჩვენებოდა, რომ სახლის სახურავს ცეცხლის ალი

ედებოდა. ცეცხლის ალი ოთხივე მხრიდან მიიწევდა მისკენ. იგი სასწრაფოდ მივარდებოდა მისადგმელ კიბეს. მისადგმელი კიბე სისხლიანი იყო. კიბეს შუა საფეხურები არ ჰქონდა. თევზები ურჩხულებად ეპყვნებოდა. ისინი პირიდან ცეცხლს ყრიდნენ. თევზები ის საფეხურები იყო. რომლებიც კიბეს მომკვრალი ჰქონდა. კიბე ხის იყო, ხე ვაშლის. ვაშლები კი წითელი, დამწიფებული. რამდენიმე საფეხური ძირს ჩამოწეულიყო. კიბე წამომდგარიყო. ხე გაზრდილიყო, მაღალი გამხდარიყო, ღრუბლებს გასცდნოდა. მისადგმელი კიბე შარჯენივ იღვავ: იგი უცბად იყვირებდა ხოლმე და გამოელვძებოდა.

ღერფთანში დაინახეს ერთმანეთი. წავიდნენ და საფეხურების წინ შედგნენ. ქალი მას ეუბნებოდა: საჭიროა ერთმანეთს დავშორდეთ. ქალი გაოცებული თვალებით იყურებოდა, მაგრამ სიმშვიდეს არ კარგავდა. ქალს ხელები საფეხურებისათვის ჩაეჭრდა და ზევით მიდიოდა. იგი კი ქვევით ჩამორბოდა...

იგი მხიარულ ღღეებს დაუბრუნდა, როცა ბედნიერნი და ვახარებულნი იყვნენ და მისი აფორიაქებული ფიქრები სიგარის ბოლში იყარებოდა... იგი ქალს ეუბნებოდა:

— როცა შენთან ერთად ვარ, ციურ წმინდა სამლოცველოში ღმერთს მადლობას ვუძღვნი.

შეხედავდა და ქალი მშვიდი ღიმილით ეტყოდა მას:

— შენ დიდი აქტიორი ხარ, რომელიც უბედურ ხელოვანთა როლს თამაშობს. შენ კარგად ახერხებ უბედობის დემონსტრირებას. მაგრამ უბედური არა ხარ! შენი გამარჯვება იმაშია, რომ უბედურ და, მეოცნებე კაცად ითვლები. თუ შენ ცოტათი მაინც გაიგებ, რა არის მარცხი, შესაძლებელია, უკეთესად შეიცნო შენი თავი.

ამის შემდეგ აღარაფერი უთქვამს და საფეხურებს მაღლა აუყვია. იგი კი ქვევით ჩამოდიოდა. ჯერ კიდევ მიდიოდა...

შეხვეული ნივთები დამძიმებულიყო. ფეხები აღარ ემორჩილებოდა...

სიბნელემ და სიმარტოვემ მიაცილეს სახლამდე. მან ამოალაგა ნაყიდი ნივთები. სარკის წინ დადგა, ტუჩები შეიღება, პირსახე გაილამაზა, ფრჩხილებზე ლაქი წაისვა, ერთ-ერთი პერანგი ჩაიცვა, სარკეში ჩაიხედა და ხმამაღლა, ძლიერ ხმამაღლა დაიწყო სიცილი...

ღილით პირი დაბანეს და ქალის პერანგი ძლივძლივობით გახადეს, რათა ცირკის მასხარას არ დამსგავსებოდა.

ბიძაჩემი ყველა ზღაპრის უძლეველი გმირი იყო. ჩემს ცნობიერებაში არსებული ზღაპრული გმირები ეკიდებოდნენ ხოლმე ბიძაჩემს, მაგრამ ბიძაჩემი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ხშირად გამიელვებდა გონებაში საღდაც სულის კუნჭულში მიმალული იღუმალი ნატვრა: ნეტავი ბიძაჩემი მამაჩემი იყოს-მეთქი! ამაზე მეტი ბედნიერება რა იქნებოდა ჩემთვის. სკოლაში ჩემს პატარა ამხანაგებს ვუყუებოდი ბიძაჩემის ამბებს. ბავშვებს არასდროს ენახათ ბიძაჩემი, მაგრამ რაღაც-რაღაცები სმენოდათ მისი გმირობის შესახებ. ერთ დღეს მითხრეს: ბიძაშენის ნახვა გვსურს და დღეს აუცილებლად უნდა გვაჩვენო. მე ვუპასუხე: ბიძაჩემი აქ არ არის-მეთქი. მაშინ სასაცილოდ ამიგდეს: ბიძაშენი თვალთ არავის უნახავს, ალბათ გვატყუებ, ბიძა სულაც არა გყავსო! ღმერთსა ვფიცავ, ტყუილს არ ვამბობ-მეთქი, ვარწმუნებდი მათ. როცა ღმერთს ვახსენებდი, ბიძაჩემი წარმომიდგებოდა თვალწინ. მაგრამ ვიცოდი, რომ ბიძაჩემს ღმერთის ძალა არ ჰქონდა. მას რომ ღმერთის ძალა ჰქონოდა, ქვეყნად ამდენი ბოროტება და სილატაკე არ იქნებოდა.

ღეღას ვკითხე:

— ბიძაჩემი როდის მოვა ჩვენთან?

— არ ვიცი!—მიპასუხა.

მე ვუთხარი:

— ბავშვები ამბობენ, ბიძაშენის ნახვა გვინდა, უნდა გვაჩვენო.

ღელამ დამტუქსა:

— ბავშვებს რა საქმე აქვთ ბიძაშენთან?! მაგათ რა უყრს უკლებ!

ჩვენ ბაბუაჩემის სახლში ვცხოვრობდით. სახლი ისე დიდი იყო, რომ მის გასაზომად ჩემი და ბებიაჩემის გადადგმულ ნაბიჯებს თვლა არ ჰქონდა. ბაბუაჩემის გარდაცვალების შემდეგ ამბობდნენ, რომ ბიძაჩემი მოვიდოდა და ჩვენს სახლს გაჰყიდდა. მამაჩემი შეწუხებული იყო, მაგრამ არაფერს იმჩნევდა. მხოლოდ ამბობდა:

— დავიქანცე ამ სახლის მოვლა-პატრონობით. ყოველდღე რაღაც ფუქცდება. ერთი კაცი მუდამ მზად უნდა იყოს და მუშაობდეს ხან შავ მუშად, ხან ქვის მთლელად, ხან კიდევ შებაღედ. უნდა იცოდეს გაჭით ლესვა, კირზე და სილაზე მუშაობა, სასუქის გამოყენება.

მამაჩემი სახლის საძებნელად დადიოდა ხოლმე. ზოგჯერ მეც დავყვებოდი მას. ხშირად ვიღაც უცნობი კაცი მოდიოდა ხოლმე ჩვენთან ერთად. იგი აღებდა კარებს და გვათვალთვლებინებდა სახლებს. მათი უმეტესობა პატარები იყო. სახლებს არ ჰქონდა დიდი აუზი, არ იყო ეზოში გომბეშოები და არც ბელურის ბუდეები. ყოველივე ეს ცუდად მოქმედებდა ჩემზე. ერთ დღეს, როცა ჩვენ ერთ-ერთი სახლი დავათვალთვრეთ, ეზოში გავედით. მამაჩემი აუზთან შეჩერდა, ერთი ფეხი აუზის კიდე დააღდა და მკითხა:

- მოგწონს ეს სახლი?
- მე ჩემი სახლი მომწონს.
- ის სახლი ხომ ჩვენი არ არის?
- მაშ, ვისია?!
- ის სახლი პაპაშენმა ბიძაშენს მისცა.
- რატომ შენ არ მოგცა?
- მე სხვა რაღაცები მომცა.
- პაპაჩემი როდის დაბრუნდება?
- არ ვიცი, შესაძლოა წელს, შესაძლოა. რამდენიმე წლის შექდეგ!
- როცა მოვა, ვეტყვი, რომ ბიძაჩემს შენი სახლის გაყიდვა უნდოდა, ამიტომ სახლს ნულარ მისცემ-მეთქი.
- არც ეს სახლია ცუდი, რატომ არ მოგწონს?
- იქ მე ვცურაობ, ველოსიპედს დავაქროლებ, მყავს შველი და ბტრედები. იყიდე რა ჩვენი სახლი ბიძაჩემსაგან!
- ის სახლი ძალიან ძვირია. ამდენი ფული არა მაქვს.
- მე მაქვს ფული. თუ გინდა, მე გადავიხდი იმ სახლის ფასს. მამამ ალერსით მითხრა:
- შენი ფულების შესახებ სულ დამავიწყდა.
- ახლა ხომ არაფერი გიშლის ხელს, იყიდი?
- ვნახოთ.
- რა უნდა ნახო?
- ვნახავ, მეყოფა თუ არა შენი ფული იმ სახლის საყიდლად.
- ველოსიპედს და შველს მივცემ.
- ეს სხვა საქმეა. მაშინ შეიძლება რაიმე გამოვიდეს.

როცა გაზაფხული მოვიდოდა და ყველაფერი აყვავდებოდა, მალალი ალვის თეთრი ხეები ქარისა და მზისაგან იცავდნენ ჩვენს სახლს. ხეების ქვეშ გლერტი ბალახი ამოდიოდა. ჩემს დანახვაზე ბელურის. ბარტყები გარბოდნენ და ბალახებში იმალებოდნენ. მოფრინდებოდა მათი დედა, გაკიოდა და აურზაურით ხან ერთ ტოტზე შემოჯდებოდა და ხან მეორეზე. ერთ მშვენიერ დღეს, როცა გარგარი უკვე ჩაყვითლებული იყო, მოვიდნენ ზორბა მამაკაცები. მათ გოლიათის ფეხები ჰქონდათ. ხის ტახტი სარდაფიდან გამოიტანეს, სასტუმრო ოთახის ქვეშ გაატარეს და დიდი წვალეებით აუზს დაადგეს. ტახტს გარშემო დურგლის მიერ ჩინებულად დამზადებული დაბალი რიკულები ჰქონდა შემოვლებული. რიკულები ისე იყო გაკეთებული, რომ თუ კაცი მოისურვებდა, მისი დატრიალება შეიძლებოდა. საღამოობით ტახტზე ვიყავი ხოლმე ჩამომჯდარი და პურის ნამცეცებს ვუყრიდი თევზებს აუზში. წითელი თევზები წყლის ზედაპირზე ამოდიოდნენ, პურის ნამცეცებს იტაცებდნენ და აუზის ერთი მხრიდან მეორისაკენ დაცურავდნენ. ზოგჯერ თევზები სწრაფად შემოტრიალდებოდნენ ხოლმე წყალში, აშხეფებული წყალი აუზში მოთავსე-

ბულ ამოხურცულ ნაწილს, რომელსაც თების დასაბანად იყენებდნენ, ესტეტიკობა და გარეთ ისმეპობდა.

ყოველ საღამოს, როცა ტახტს ჩრდილი მოეფინებოდა, ტახტზე საფენს აგებდნენ. ბაბუაჩემი ლეიბზე იჯდა და ბალიშზე იყო მიყრდნობილი. ფათიმა მოდიოდა ფინჯნებითა და ლამბაქებით საცხე სინით. აიღებდა გრძელ თეთრ ხელსახოცს, რომელიც ალაგ-ალაგ ყავისფერი ლაქებით იყო დაფარული და ბებიაჩემის გვერდზე გაშლიდა. სამოვრის ქვეშ დასადებ სინს დასდებდა ამ ხელსახოცზე. შემდეგ წავიდოდა და სამოვარს შემოიტანდა. მუქი ფერის სამოვარი დუღდა და ორთქლს უშვებდა. მე სამოვრის გვერდით ვჯდებოდი და ჩემს სახეს, რომელიც გაწელილი ცომივით მქონდა დაჭიმული, სამოვრის მოელვარე მუცელსა და მის ამოხურცულ ნაწილებში ვხედავდი. ვუყურებდი ჩემს თავს და გამუდმებით ვიმანჭებოდი. სამოვრის ონკანის ქვეშ მშვენიერი მელქიორის ფიალა იდო, რომელსაც ჩაის კოვხის დარტყმით ვსინჯავდი. ფიალა აძიგძიგდებოდა, ახმაურდებოდა და დიდხანს არ ჩერდებოდა. ბტრედები აღუღუნდებოდნენ და ეზოს ერთი მხრიდან მეორისაკენ გაფრინდებოდნენ ხოლმე. ხეები შრიალებდნენ, ისმოდა ტკბილი. მელოდები, ყველგან ვარდების სურნელი მიმოფრქვეულიყო...

გაზაფხულის ერთ დღეს, გამთენიის უამს, ბაბუაჩემი გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ გავიგე, რომ ბიძაჩემს სახლის გაყიდვა უნდოდა. იმ დღიდან მოუსვენრობა დამჩემდა. ჩემს თვალში აღარაფერი იყო მყარი, ყველაფერი ცვალებადი და წარმავალი მეჩვენებოდა, თითქოს რაღაც დამეკარგოს. თუ ოჯახში სიტყვა სახლზე ჩამოვარდებოდა, გავიტრუნებოდი ხოლმე. შინაგანი სიცარიელე მეუფლებოდა და განცვიფრების გრძობა მიპყრობდა. მიუხედავად იმისა, რომ ცნობისმოყვარეობა მაწუნებდა და მსურდა შემეტყო, როგორ იყო ბოლოსდაბოლოს სახლის გაყიდვის საქმე, მაინც არაფერს ვიმჩნევდი და ამბის გასაგებად ინტერესს არ ვამყდებავ. დავებოდი და ვთამაშობდი. ხან კარებებს და ხან კედლებს ვავლებდი ხელს და ხმამაღლა ვავკიოდი. არ შემემძლო დამეჩვიებინა, რომ ბიძაჩემი, ამაღელვებელი ზღაპრების გმირი, რომელიც მე ყოველთვის მახარებდა და ჩემს მეგობრებს აოცებდა, ერთ დღეს მოვიდოდა და მთელ ჩემს სიხარულს და სიყვარულს ერთბაშად წამართმევდა. რამდენს არ ვფიქრობდი, მაგრამ არ შემემძლო შევრიგებოდი იმ აზრს, რომ ოდესმე ჩვენ იმ სახლიდან სხვაგან გადავიდოდით საცხოვრებლად. როდესაც მე, დედაჩემი და ბებიაჩემი სახლების დასათვალიერებლად დავდიოდით, ვხედავდი, რომ სამივენი ცივად ვუყურებდით ამ სახლებს და გაუნძრევლად ვიდევით ხოლმე. ერთ დამეს გამახსენდა ჩვენი დიდი ტახტი. გამოვარკვავე, რომ იგი არც ერთ ჩვენ მიერ ნახულ სახლში არ დაეტეოდა. ავღელდი. წამოვვარდი ლოგინიდან, წყალი მოვსვი და ჩემთვის ვთქვი: ჩვენ აქედან არასდროს ან წავალთ! გავმხიარულდი,

გავმხიარულდი იმიტომ, რომ დიდი ტახტი არც ერთ სახლში არ დაეტეოლა...

ერთ დღეს მამაჩემმა შეშის მკრელი მოიყვანა და ეს ვეება ტახტი დააჩეხინა. ტახტი, რომლის რიკულებიც სიხმარში თეთრ პატარა თევზებად მეჩვენებოდა. თევზების ქერეცი ვერცხლის ბზინვარე ფირფიტებად მესახებოდა. ეს რიკულები ზოგჯერ კატის თვალებად ასდა კიდეც მტრედის მკრედის ბუმბულებად წარმოამიღვებოდა. ზოგჯერ ტახტი ცხენად წარმოქმნახებოდა, ზოგჯერ ხარად, ზოგჯერ კი აკვნად. მისი ფიცრების ნაწიბურებიდან ვარსკვლავები ცვივოდა ზღვაში. რამდენი საღამო ვამიტარებია ამ ტახტზე. ბებიაჩემი ბიძაჩემს ამ ტახტზე ესაუბრებოდა. ამ ტახტზე მაძინებდა იგი მეც. ბევრჯერ ჩამოვკიდებოვარ ტახტის რიკულებს, მასზე მქადაგებლადაც შეემდვარვარ და ფათიმასთვის და ბებიაჩემისათვის როჟზე წაპიკითხავს. ტახტის დაჩეხვის შემდეგ მშფოთვარე ძილი დამჩემდა. ტახტი გრძელდებოდა, კვნესოდა. ალვის ხეები მას თავიანთი ტოტებით სცემდნენ. გველები ცეცხლის ალივით გამომეკიდებოდნენ, შემოქმნებოდნენ და ფეხებს მაჭრიდნენ. ტახტის ფეხები იმტვრეოდა. დიდი კიანკველები მას ნაკუწებად აქცევდნენ. და თავიანთ ბუდეებში მიჰქონდათ. მათი ბუდეები ტახტზე იყო გაკეთებული. ზემოდან მარცვლის გორა გადაფარებოდა, ხოლო გარშემო მიწა ჰქონდა შემოვლებული. ტახტი იმტვრეოდა, ცეცხლი ეღებოდა. დევები და ქურდები მისი ფეხებიდან გამოდიოდნენ და სიჭუმს ჰკლავდნენ. მე გაერბოდი. ბაბუაჩემი გვერდში იყო დაჭრილი. კრილობას პირი გახსნილი ჰქონდა. ერთი პატარა ნაფი ბნელი, შავი სამყაროსაკენ, ბაბუაჩემის კრილობისაკენ მიმაქანებდა. ტახტი იმტვრეოდა და მე თავდაყირა ვემვებოდი ძირს. წყალქვეშ მივდიოდი. ამოვიკვნესებდი და გამომეღვიძებოდა.

ტახტი დაჩეხეს. რკინის საკეტები და დიდი ლურსმნები შეაგროვეს და თუთის ხის ძირში დასყარეს. ყველა მათგანი ზარის ხმას გამოსცემდა. ყველაფერი ყავისფერი იყო. ყველაფერს ზემოდან შავი ფერი გადაჰკვროდა. ყოველივე ზემოაღნიშნული თავიდან ბოლომდე ტახტის გრანდიოზულობაზე მიგვეითებდა. ბებიაჩემის ოთახისაკენ გავიქეცი და მას ვუთხარი, მამაჩემი ტახტს ამტვრევს-მეთქი. ბებიაჩემი შეშინებული გამოვარდა ეზოში. ორი შეშის მკრელი ერთმანეთის პირისპირ იჯდა. ბირდაბირი ხერხი მათ შორის გადი-გამოდიოდა და ტახტს ფეხებს აჭრიდა. მესამე შეშის მკრელი ფეხზე იღვა და ნაჯახით აპობდა მოხერხილ ფეხებს. ბებიაჩემი მათთან ახლოს მივიდა, შეშის მკრელები მას პიესალმნენ და უთხრეს:

— გეთაყვა, ცოტა შორს დადექით, ღმერთმა ნუ ქნას, შეშის ნატეხი ასხლტეს და თავში ან სახეში მოგხვდეთ.

მამაჩემმა შეცვლილი ხმით მითხრა:

— უკან დაიწი!

იმ დღეს ბებიაჩემი დუმდა. იგი დაბრუნდა თავის ოთახში და სიტყვა არ დაუძრავს. მაგრამ მეორე დღეს მამაჩემს ჰკითხა:

— რისთვის დაჩეხე ტახტი, კიახომ არ შეჰპარვია?

— დაჩეხე იმიტომ, რომ ზამთარში ცუცსლი დავანთო და სახლი გავაბოთ.

— აფსუსს! აფსუსი არ არის?

— რა გაწუხებს? ამ ტახტის სიცოცხლე მამაჩემის სიცოცხლესთან ერთად დამთავრდა. იგი არც ერთ თანამედროვე სახლში არ დაეტევა.

— არ უნდა დაგეჩხა.

— ზედმეტი იყო, ვერაფერში გამოვიყენებდით.

— არა, ზედმეტი არ იყო. მეტად ძვირფასი იყო. ჩვენ დავებრდით, თქვენ დაიზარდენით. ძვირფასი რამ იყო, ჩემი და მამაშენის ახალგაზრდობის მოსაგონებელი ნივთი. ძალიან თუ გინდოდა, მოვეკედებოდი და შემდეგ დაგეჩხა. ამგვარი ნივთი სახლის სახეა, ოჯახის პატივია. იგი გვიჩვენებს, რომ ჩვენ აღამიანები ვიყავით, სახლ-კარი და ოჯახი გვექონდა, პაერზე არ გავჩენილვართ, ფესვები გვექონდა, წარსული გვექონდა...

— ეს ძველი ხარახურა არაფერზე მიუთითებს: ჩემი ისტორია მე თვითონ ვარ. დღეს, ვისაც კი შარვალი აცვია და ღარიბ-ღატაკია, ამგვარი ხარახურით ცდილობს თავი გამოიჩინოს, წარსულით მოიწონოს თავი. მე კი ის, რაც იყო და რაც ისტორიად იქცა, მეზიზღება. რაც კი არის სახლში ამ ტახტის მსგავსი დიდი რამ, რასაც ისტორიულს ვეძახით, ყველაფერი ძველმანი და ხარახურაა. არ არის საჭირო ამდენი ფიქრი ასეთ ხარახურაზე. გატეხილ ძველ თიხის დოქს წლიდან წლამდე ვინახავთ და ვამბობთ: იყოს, ოდესმე გამოგვადგება. ახლა საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ შენ სახლი გინდა გამოიყენო ამ დიდი რაღაც ტახტისათვის. ჩვენ კი ჩვენთვის არა გვაქვს ადგილი! ყველაფერი სავსეა ამ ხარახურით. ელოდებიან ხოლმე მეორედ მოსვლის დღეს, რომელიც არასდროს მოვა. ამასობაში კი ყოველივე მიწის ქვეშ ექცევა.

ბებიაჩემმა აკანკალებული ხმით თქვა:

— ის ნივთები, რომლებიც, შენი აზრით, ძველმანი და ხარახურაა, უძვირფასესია და მისი ფასი უფრო მეტია, ვიდრე ახლანდელი ოჯახის სახლი და ეზო. აღამიანები, რომლებმაც ეს ძველი ნივთები შექმნეს, წავიდნენ ამ ქვეყნიდან და მიწად იქცნენ. ახლა რომ მოისურვო ამ ნივთის ერთი ნატეხი შეიძინო, დიდი თანხა უნდა გადაიხადო. აბა, ერთი საბნის მკერავს ჰკითხე, რამდენს აიღებს ერთი ქორსის გადასაფარებელი საბნის შეკერვაში? ახალი საბნები, რომლებსაც დღე ვხმარობთ. განა შეედრება ძველს? ახლა საბანს ერთს თავში ამოჰკრავენ ძაფს, მეორეს კი დევ — ბოლოში...

აღშფოთებულმა მამაჩემმა თქვა:

— ქორსიც და ქორსის გადასაფარებელი საბანიც კარგი იყო იმ

დროისათვის და იმ დროის სახლებსათვის. ამ პატარა სახლებში კი, სადაც ორმა თავგმა რომ წაიჩხუბოს, ერთი აუცილებლად უნდა მოკვდეს. როგორ გინდა ეს ძველი ნივთები დაღა? ადგილი, რომელიც საკუროს თითოეული ამ ძველი ნივთისათვის, ასჯერ, ზოგჯერ კიდევ ათასჯერ მეტი ღირს, ვიდრე თვით ამ ნივთის ღირებულება.

ბებიჩემმა ამოიოხრა და ამის შემდეგ აღარაფერი უთქვამს.

თანდათან გამოდიოდა სახლიდან ბარგი-ბარხანა და ეზოს კარებთან მდებარე დიდ სარდაფში იყრიდა თავს.

ქორსი, ქორსის გადასაფარებელი საბანი, ლეიბი, ქეჩის გადასაფარებელი, ფარდაგი, ზანდუკი, წამლების შესანახი ყუთი, მაღალფეხიანი ლამფა, ტაშტი, მრგვალი სინი, თუნგი, შეშის ღუმელი, ნავთქურა, ნახშირის უთო, ქვის ქოთანნი, მაგიდა, სკამები და სარკე, „შაპ-ნამე“ და „პოსეინ ქურთი“, „ამირ არსლანი“...

ბებიჩემი ხშირად მიდიოდა სარდაფში და ათვალიერებდა მათ. სარკის ორივე მხარეს ორი შანდალი იდო: ზოგჯერ მათ აანთებდა ხოლმე. საათობით იჯდა ამ სარკის წინ; თავის თავს და მტვრით დაფარულ ნივთებს ხედავდა სარკეში და ჩუმად ონრავდა.

გაზაფხულის ერთ დღეს, ნაშუადღევს ბიძაჩემი ჩამოვიდა. საღამოს ერთად გავიარეთ ეზოში; ჩემი შველი ვუჩვენე. მან დაათვალიერა ჩვენი ფრინველები, ხელში აიყვანა ჩემი კაკაკი და ფერება დაუწყო. ჩემი მტრედების ამბები მოუყუევია. მთელი გულისყურით მომისმინა. რამდენიმე მტრედი ხელში აიყვანა, აკოცა და ჰაერში გაუშვა. ბიძაჩემმა მითხრა:

— ყოჩაღ! რა კარგი და ლამაზი მეგობრები გყოლია! მე რომ ეს მცოდნობა, დიდი ხნის წინ მოვიდოდი შენთან.

მოველოდი, შეტყობდა: შვილო ჩემო, გაკვეთილი ისწავლე, თამაშით არაფერი გამოვა. ეს შენი საქმიანობა ვერ გაქმევს პურსო. მაგრამ მან ილღიებში შემეიყარა ხელები, მალა ამწია და ლოყები დამიკოცნა. მეც ვაკოცე. ჩემი შველი ჩვენ გარშემო დახტოდა, ჩემთან მოდიოდა, ლოყას ხელებზე მისვამდა. მოვეფერე და ბიძაჩემს ვუთხარი:

— გინდა, ჩემი შველი მრგცე?

— როგორ, შენ იგი არ გრყვარს?

— როგორ არა, მაგრამ მე არ შემეძლია მისი მოვლა. შენ თუ წაიყვან, მე შექნება საშუალება, ვნახო ხოლმე იგი.

— მას შენ უყვარხარ, მე რად მინდა იგი. სჯობს აქ იყოს, შენთან ერთად.

— მამაჩემი ამბობს, ჩვენ ადგილი არა გვაქვსო.

ბიძაჩემს სიხარული ჩაუდგა თვალებში და მითხრა:

— ასეთი დიდი სახლია და როგორ თუ აუღილი არა გაქვთ?

ვუპასუხე:

— როგორ, შენ ხომ ამ ადგილის ვაყიდვა გინდა.

მომიგო:

— სრულიადაც არა, არც კი მიფიქრია. მაგრამ თუ ვსურს, შეგიძლია იყიდო. შენ რატომ არ ყიდულობ?

ადგილზე შევხტი, ბიძაჩემს მოვეხვეი და ვუთხარი:

— მართალს ამბობ?

— დიახ, ახლა წადი და შენი ფული მომიტანე, ვნახოთ ერთი, რამდენი გაქვს.

გავიქეცი, სწრაფად ავირბინე კიბე, ჩემი ყულაბა ავიღე და გახარებულმა მას გადავეცი. ბიძაჩემმა ყულაბა გახსნა, ფული მიწაზე დაყარა და დაითვალა. შემდეგ გაიცინა და მითხრა:

— ძალიან კარგი, ეს ფული ჩემი იყოს, სახლი კი შენი.

რა კარგად მოვიქეცი, რომ ზღაპრებში ყოველთვის მის მხარეზე ვიყავი. იგი ყველა ზღაპრის ყველაზე დიდი გმირი იყო.

ბიძაჩემი მიუხედავად...

წინათ, როცა ახალგაზრდა კაცი იყო, ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ მარტოდმარტო იყო. საღამოები სულ უფრო მეტად უფერული და უაზრო ხდებოდა. გამთეხიისას, როდესაც პატარა ტბა იღვიძებდა, იგი მის ნაპირზე მიდიოდა და თავის ორეულს უყურებდა წყალში. ერთ საღამოს თქვა: რომ შემეძლოს, ჩემს ლანდს წყლის ნაზი მკერდიდან ამოვიყვანდი და მარტო აღარ ვიქნებოდიო. იმ ღამეს სიხარულისაგან აღარ დასძინებია. როცა ტბას გარიყრავი მოეფინა, კაცმა თავისი მოლიმარი სახე მიაპყრო წყალს. მისმა ორეულმა გაიღიმა და ნაზად შეხვდა კაცს. მან ხელეები გაიშვირა. კაცმაც გაუწოდა ხელი! როცა კაცმა მოისურვა ხელი მოეციდა მისთვის, წყალი და მისი ორეული შეირხა! კაცი შეწუხდა, მაგრამ ვერაფერი იღონა. მან აიღო ცული და დაჰკრა უშველებულ ქვას. მალე კაცმა მშვენიერი ფიგურა გამოკვეთა ქვისაგან, მაგრამ მას სული არ ედგა. იგი ცივი და მიუკარებელი იყო. უშედევოდ ცდილობდა კაცი, მოეცილებინა მისგან სიცივე და გამოეყვანა გაქვავებული მდგომარეობიდან. კაცს თანდათან იმედი ეკარგებოდა და ღონდებოდა. ბოლოს ცულს თავი ანება, მწუხარება გულიდან გადაიგდო და გამოკვეთილი ქვის სხეულს დაუწყო ფერება დიდი სიყვარულით. სხეული თანდათან გათბა. კაცმა იგი გულში ჩაიკრა, თავისი მკერდი მის მკერდს მიაწება. ქვის სხეულის გული ამუშავდა, გაცხელდა. მან თავისი მკლავები მისი შემქმნელის წელს შემოაჭდო და მადლიერი მზერა მიაპყრო კაცის დაქანცულ სახეს. სხეულს სული ჩასდგომოდა! მაგრამ კაცი სანახევროდ

დაბერებულყო. მათ ერთმანეთს ჩასკიდეს ხელი და თავშესაფრის საძებნელად გაიქცნენ ტყისკენ...

ერთ ღღეს სხულმა დაიწყო კითხვების დასმა. იგი დადგა კაცის წინ და ჰკითხა:

— გიყვარვარ?

კაცმა უპასუხა:

— გაღმერთებ.

— გეკითხები, გიყვარვარ?

კაცმა კვლავ უპასუხა:

— გაღმერთებ.

ქანდაკება გაფითრდა.

კაცმა უთხრა:

— გაღმერთება სიყვარულზე მეტია!

— გაღმერთება არ მინდა. მხოლოდ ჩემი სიყვარული გქონდეს.

კაცმა უპასუხა:

— მიყვარხარ.

თოვლი დადნა. მერცხლები მოფრინდნენ. გვრიტები აღულუნდნენ, გაზაფხულდა.

კაცმა ჰკითხა:

— გიყვარვარ?

ქანდაკებამ უპასუხა:

— მიყვარხარ, მაგრამ არც ისე ძლიერ.

კაცი დარჩენილი ცხოვრების კიდევ ერთი ნახევრით დაბერდა!..

კაცმა და ქანდაკებამ იარეს, იარეს და მიაღდგნენ იმ მშვიდ პატარა ტბას. კაცმა თავისი თავი დაინახა წყალში...

თავისი თავის შეეშინდა! თავისი თავის იმედი დაჰკარგა! მაგრამ ქანდაკების სიმშვენიერემ და ახალგაზრდობამ გაამხნევა, გული მიეცა. ქანდაკებამ ჰკითხა კაცს:

— იმ ღღოს, როცა მარტო იყავი, რას აკეთებდი?

კაცმა უპასუხა:

— ტბის ნაპირზე დავდიოდი და წყალში ჩემს ორეულს ვუმზერდი.

ქანდაკება აენტო, განრისხდა და თქვა:

— რისთვის გამომიყვანე ქვის მკერდიდან?!

კაცმა უპასუხა:

— შენ იმ ღღოს არ იყავი. ახლა კი, როცა შენ უკვე არსებობ, შენ გიყურებ.

ქანდაკება უფრო მეტად განრისხდა და აყვირა:

— შენ კვლავ წყალში იყურები.

კაცმა უპასუხა:

— წყალში შენც ჩანხარ.

— მე შენ გვერდით ვარ, წყალში არა ვარ.

— წყალში ჩაიხედე და შენი თავი დაინახე.

ქანდაკებამ წყალში ჩაიხედა. თავისი თავი დაინახა, მაგრამ ვერ იცნო. სწრაფად მოსწყდა ტბის ნაპირს. კაცი არაქათვამოცილილი ძლივძლივობით ეწეოდა მას. ქანდაკება გაჰკიოდა:

— თუ უფრო ახლოს მოხვალ, მოგვლავ! რატომ უყურებ სხვას?

კაცმა უპასუხა:

— სხვისთვის არ შემიხედავს, დამერწმუნე!

— მე თვითონ დაეინახე წყალში იგი, ვისაც უყურებდი!

— შენ შენს სახეს ვერა სცნობ. შენ რომ მას სცნობდე, გეცოდინებოდა, რომ საკუთარ თავს უყურებდი.

ქანდაკება მობრუნდა. ჩაიხედა წყალში. დაინახა საკუთარი თავი. იგი შეძრწუნებული მოსცილდა ტბის ნაპირს. კაცი გაოგნებული იდგა. მან უთხრა ქალს:

— მე შენ მიყვარხარ.

ქანდაკება ატირდა. ატირდა და თქვა:

— ისიც და მეც? არა, შენ არ გაქვს უფლება, ჩვენ ორივე გყავდეთ, ერთი უნდა აირჩიო, ან მე, ან ის. მაგრამ არა, მე შენთან აღარ დავრჩები!

კაცმა ამოიოხრა და თქვა:

— მხოლოდ შენ ხარ ჩემი საყვარელი პიროვნება, მაგრამ რა ვქნა, რომ საკუთარ თავს ვერ ცნობ! მოდი, კიდევ შეხედე შენს თავს, იქნებ წყალში იცნო და შეურიგდე შენს საკუთარ თავს!

ქანდაკებამ უპასუხა:

— არ შემიძლია, კვლავ შევხედო მას. მის მიმართ შურითა ვარ აღვსილი. მე იგი მძულს. შენც მძულხარ; რადგან მას უყურებ.

— იგი არ არსებობს, მხოლოდ შენ ხარ!

— ვიყო! მაინც მძულს იგი! შენ მე არ მიცნობ. შენ არ იცი, რომ მე ჩემ გარდა არაფრის და არავის დანახვა არ შემიძლია! ახლა გაიგე, რისთვის მძულხარ?

კაცმა ამოიკვნესა და თქვა:

— მე უშენოდ თავს არ ვიცოცხლებ.

ქანდაკებამ გაიცინა და მიუღო:

— მე შენთან არ დავრჩები...

და მან ტყეს მისცა თავი. იდგა კაცი გაუბედურებული. მას არ ჰქონდა ძალა დაღევნებოდა ქანდაკებას... იგი ტბის ნაპირზე ჩამოჯდა და აღარ წამომდგარა. გადიოდა დრო. კაცი კვლავ იმ ადგილზე იჯდა და ტყეს გაჰყურებდა...

ბიძაჩემმა თქვა:

იმ კაცმა შეცდომა დაუშვა. ამდენი ლაპარაკის ნაცვლად რომ ეკოცნა მისთვის, მისი საქმე ასე არ წავიდოდა.

ბიჭვანთ მალეჲ ქიანი

(თანამედროვე ჩრანელ მწერალი)

ჰეი, ბაბა! ჰეი, ბაბა!

ზაბოლს ეძინა, არ ეძინა ჰამუნს. ყოფილი მდინარის კალაპოტში შედედებული სითხის მსგავსი, ბადაგივით მოელვარე წყლის ვიწრო ზოლი გაწოლილა. წყლის ამ სქელი ზოლის ნაპირები ქვიანი და გაშიშვლებული იყო. ჰამუნის ბოლოში ვიდექი და გავსცქეროდი მას. რაოდენ დიდი გაურკვევლობა და სიბნელე სუფევდა ჩემ გარშემო! ნახევარი საათის წინ, როცა გამომეღვიძა, დავინახე, რომ მარდომი, როგორც ყოველთვის, ახლაც არ იყო ჩემ გვერდით. მისი ქვეშაგები არეული იყო. ვიცოდი, სადაც იქნებოდა. დაახლოებით ერთი წლის წინ დასჩემდა ჩვეულება: შუალამისას, როცა ყველას ეძინა, ლოგინიდან დგებოდა და სახლიდან გადიოდა. უკვე ვიცოდი, რომ ახლაც იგი, ჰამუნის განაპირას იჯდა და თავის გასაჭირს მას უამბობდა. თუ ოდნავ დავძაბავდი ყურადღებას, მის ხმას უშეველად გავიგონებდი. გავიგონებდი, როგორ ესაუბრებოდა იგი ბაბას მთას და როგორ წყევლა-კრულვას უთვლიდა მას. ლოგინიდან წამოვდექი. თვალი გადავაველე ჩემს ბავშვებს, რომლებსაც მშვიდად ეძინათ. ერთი მათგანი ზოგჯერ ძილში ლაპარაკობდა და ხელ-ფეხს აქეთ-იქით იქნევდა... ვიცოდი, მარდომი იქ იქნებოდა, სხვაგან არ წავიდოდა. მისი ხმა შორიდანვე მესმოდა. მიწაზე დაჯექი და ჰამუნს გავხედე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ იმ წუთში მომეჩვენა, რომ ჰამუნს სული. ჰქონდა ჩადგმული. რომ იგი მოძრაობდა, რაღაცას გრძნობდა, ფიქრობდა, შესაძლოა, წვიმასა და სუფთა წყალზე, იხვებსა და ლერწამზე ფიქრობდა. გული დამეწვა იხვებისა და პატარა თევზების დანახვაზე. საწყლები დასალევი წყლის უქონლობით დახოცილიყვნენ. გზა გავაგრძელე. მარდომი უნდა მომეძებნა და სახლში დამებრუნებინა. იგი ხმამაღლა წყევლიდა ბაბას მთას:

— ჰეი, ბაბა! ჰეი, ბაბა! ბაბა! ჩემი ხელებით დაგთხრი თვალებს, არ მოგცემ უფლებას, მწუხარება მიაყენო ჩემს ჰამუნს; არ მოგცემ უფლებას, მწყურვალე მიწის წყალი გადაუშვა ყელში; შენს სხეულს ჩემი ხელებით ვაქცევ ნაფლეთებად; შენი ქვის გულს ჩემი კბილებით დავგლეჯ; მდინარე ჰირმენდს გამოგტაცებ კლანჭებიდან და დავაშრობ, შენს გა-

მოზრდილ ლამაზ ქალიშვილს განოგვლეჯ ხელიდან: მის ნაწნავებს ხელზე დავიხვევ!

მარდომი ხნამაღლა ტიროდა. ქვიშაზე დავინახე მისი გამხდარი და გამოფიტული სხეული. იგი კანკალებდა, ცრემლებს ხელის გულზე აგროვებდა, ჰამუნს აწვეთებდა და ამბობდა:

— ჰა, ჰამუნო! ეს ახლადდაღვრილი ცრემლები შენთვის მომშიძღვნია. შესაძლოა, ჩემმა ცრემლებმა, ამ შტორე წვეთებმა, შენ აავსოს. ბოლოსდაბოლოს შენ ამის უფლება გაქვს. ჩვენ შენი მადლიერნი უნდა ვიყოთ. შენ ჩვენთვის ძალიან დიდი იყავი. შენ ჩვენთვის დედა იყავი, რძე იყავი. როგორ მოხდა, რომ ერთბაშად გაგიშრა რძე, დედა მოგვიყვლი... და ჩვენ, შენი შვილები, დავჩაჩანაკდით? იცი თუ არა შენ, რომ ყველაფერ ამას საიდუმლოდ გეუბნები! დიდი ხანია, ჩემს ცოლს თონე არ გაუჩაღებია, პური არ გამოუცხვია, ბავშვებს ახალი პური აღარა აქვთ. ჩვენი რძის ქურქელი დაცარიელდა, გულაში კარაქი და სუფრაზე მაწონი აღარა გვაქვს. ჰეი, ჰამუნო! საცოდავი იხვეები, ყველანი დაიხოცენ: მათ უყვარდათ შლამის სუნი; ახლა ისინი ჩაწითლებული და ჩაშაებული უსულო სხეულები არიან. პატარა თევზებიც კი დაიღუპნენ. ჰეი, ჰამუნო, ჰამუნო!

მისი კვნესისა და მოთქმის ხმა თანდათან მატულობდა. მიეუახლოვდი. დავინახე, რომ ხელი რაღაცისათვის ჩაეჭიდა და მიათრევდა. აზოგჯერ თავს მაღლა ასწევდა, თვალს ცას მიაპყრობდა, ხელებს მთისაკენ გაიშვევრდა და კვლავ ბაბას ეძახდა:

— ჰეი, ბაბა, იცი შენ, რომ ჩვენი ძროხები დაიხოცნენ, ჩვენი სახნავ-სათესი მიწები გადაიწვა? რა გინდა, ღრუბლების რძე დალიო? შენი პირმენდი გინდა აავსო და ჩემი ჰამუნი ასე უსიცოცხლო დასტოვო? არა, არა, ჩემი ჰამუნი უდაბნოდ არ გადაიქცევა, ჩემი ხელებით ავაგებ მას წყლით, მის იხვეებსა და თევზებს გავაცოცხლებ, არავის მივცემ უფლებას, რომ ჩემი ჰამუნი ჩემ თვალწინ გაახრიოკოს და გადაახმოს.

მარდომის გაძვალტყავებულ ზურგს ხელი დავადე და ვუთხარი:

— წამოდექი, კაცო, წადი, დაიძინე. ბაბას ხომ ჩვენი არ ესმის! მას ყურები ქვისა აქვს. მას რომ შეეძლოს ჩვენი ლაპარაკის გაგება, მაშინ შექველად აქამდეც იფიქრებდა ჩვენზე!

მან ნახევრადღასუქული გაწითლებული თვალები მომაპყრო და ისე შემომხედა, თითქოს ვერ მიცნო, თითქოს ვიღაც უცნობ ქალს უყურებდა. წამოვაყენე, სახლში წავიყვანე და ლოგინში ჩავაწვინე. მე კი ვიჩქეჩი და ვერ გამეგო, რატომ არ მეკარებოდა ძილი. წამოდექი, გარეთ გამოვედი. ჩემ წინ თიხის სახლები მოჩანდა. მიწა დახეთქილი და გამხმარი იყო. რამდენიმე წლის წინათ, წლის ამ დროს, ეს ადგილები პურის ზარცვლის თავთავებით იყო დაფარული. მთელ დამეს შრომაში ვატარებ-

დით. არ ვიცი, რისთვის მოვიგონე ძველი დრო, როდესაც ჰამუნი წყლით იყო სავსე და მისი მიწა ასე გადამხმარი და გახრიოკებული არ იყო. როცა დაღამდებოდა, მთელ ამ მხარეში სიციცხლე დუღდა. ზოგი წყალში ბანაობდა, ზოგი თევზაობდა, ზოგიერთები კიდეც აქეთ-იქით დასეირნობდნენ. კეთილი იყოს იმ დროის გახსენება, რა მშვენიერი დრო იყო! ყველაფერი გადამწვანებული, აყვავებული იყო. ნარგისების თაიგულს ლარნაქში ჩავდებდი ხოლმე და ყველგან ამ მშვენიერი ყვავილის სუნ იდგა. ძროხები და ცხვრები ბევრ ბალახს სძოვდნენ და ბევრ რძეს იძლეოდნენ, ვედროებს ვავსებდით. კარაქს ვაკეთებდით. ოჰ, რა ყვითელი და მშვენიერი კარაქი იყო! კარაქს გულში ჩავდებდი და მივცემდი მარდომს, რათა გასაყიდად წაეღო: ჩემს სუფრაზე ყოველთვის იყო მაწონი და დული. დილით, როცა ოთახს გამოვკვიდი და სახლის საქმეს მოვრჩებოდი, მივდიოდი თონეში და პურს ვაცხობდი. ოჰ, რა პური ცხვებოდა! ფუმფულა, გარედან წითელი და შიგნიდან თეთრი. პურს დილით და საღამოს ვაცხობდი. ყოველთვის ახალი პური გვქონდა. ჩემი ბავშვები თონეს გარშემო მოიყრიდნენ ხოლმე თავს. პურს ჰამდნენ და თონეს სიმხურვალე ლოყებს უწითლებდათ. ოჰ, რა პური იყო, რა პური!

ამ ფიქრებში ვიუჯი ვართული, რომ ჰამუნის ბოლოს მოვალწიე; ჩამოვჩექი და თავსაფარი შევისწორე. სწორედ გასულ წელს გადავიდა ჰკუიდან მარდომი. მანამდე იგი ჯანმრთელი იყო. დღისით სახნავ-სათესად მიდიოდა. პურის ძალიან დიდი მოსავალი გვქონდა. გვქონდა ერთი პატარა ბალიც. სადაც ქარვისფერი ყურძენი მოდიოდა. ამ ბალში იყო ქათამიც, ძროხაც და ცხვარიც. ჩვენი საქმე კარგად მიდიოდა; მწუხარება რა იყო, არ ვიცოდით. მანამ, სანამ ჰამუნზე წყალი იყო, ბედნიერად ვცხოვრობდით, მაგრამ ჰამუნი გაშრა და ჩვენი საქმეც წავიდა. პური აღარ მოდიოდა, ბალი აღარ ირწყვებოდა, ძროხა და ცხვარი ქალაღს ჰამდნენ და თანდათან გაძვალტყავდნენ. რამდენს წუხდა და დარდობდა მაშინ მარდომი. მთელი მისი ფიქრი ჰამუნისაკენ იყო მიპყრობილი. დაბოლოს, იძულებული შევიქენით ვაგვეყიდა ჩვენი მიწის ნაკვეთი, ძროხა და ცხვარი. გვირდოდა დაგვეტოვებინა ზაბოლი და ჰამუნი, აყვრილიყვით და წაფსულიყვით. მაგრამ სდ? ჩვენ თვითონ არ ვიცოდით. ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა ერთი ადგილი, სადაც შეიძლებოდა თავი შეგვეფარებინა და ლუქმა პური გვეშოვა. არასოდეს ამოვა ჩემი მესხიერებიდან ის დილა, როცა უკვე საბოლოოდ გადაწყდა, რომ მიწა და პირუტყვი უნდა ვაგვეყიდა. დილით ადრე ავდექი და ჩაი მოვამზადე, მაგრამ მარდომმა ჩაი არ დალია. იგი გარეთ გავიდა, რათა პირუტყვისათვის დაეხედა. მარდომმა საქონელი წაიყვანა და წავიდა. მე და ბავშვები მას ვაყვით. საქონელი ისმაილ მეხორცისათვის უნდა მიგვეყიდა. ისმაილ მეხორცე თავისი სახლის წინ გველოდებოდა. თითქოს ტკებოდა ჩვენთან შორიგებით. ძლიერ კმაყოფილი და ბედნიერი ჩანდა, ჩვენ რომ დაგვი-

ნახა, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე დაიწყო საუბარი მიწისა და საქონლის ღირებულების შესახებ. მან მოკრით გვითხრა თავისი ფასი. ივირფასი ძროხები და შესანიშნავი მიწის ნაკვეთი ნახევარ ფასში იყიდა, ფული მარდომს გადასცა. მარდომმაც ფული აიღო და ძირს დაგდებული ხის გრძელი სკამის გვერდით მიწაზე დასდო. იგი კვლავ ისმაილ მეხორცეს ესაუბრებოდა და ევაჭრებოდა. ჩვენც მათ გარშემო ვიდექით და პირდაღებული ვუცქეროდით. მე შევედი ისმაილ მეხორცის სახლში, რათა მის ცოლს გამოვმშვიდობებოდი. უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ მეორე დღეს გზას დავადგებოდით, ზაბოლიდან წავიდოდით. როდესაც სახლიდან გამოვედი, დავინახე, რომ ისმაილ მეხორცის სახლის წინ ჩოჩქოლი ატეხილიყო, მარდომი მიწაზე იჯდა და ხელებს თავში იტემა. მისკენ წასვლა დავაპირე, მაგრამ არ გამიშვეს. მივხვდი, რაც მომხდარიყო. ძროხები ისმაილ მეხორცის მიერ მარდომისათვის მიცემულ ქონიანი ქაღალდის ფულს ჰამდნენ. ისინი ხომ მშვიერები იყვნენ. პირუტყვი ჰამდა მთელს ჩვენს ქონებას. ამ დღიდან ჩემი ქმარი კვიუდან გადავიდა. ჩვენ აქვე დავრჩით, დავრჩით ჰამუნში ერთი დღით. ვიფიქრეთ, შესაძლოა, ერთი დღის შემდეგ ჰამუნი კვლავ გაცოცხლდეს-თქო. ახლა მარდომი ყოველ ღამე მიდის ჰამუნის ბოლოს, ჩამოჯდება იქ და მას ესაუბრება. ბაბას მთას წყევლის და ემუჭრება.

გამოვბრუნდი სახლისაკენ. ღამის სიბნელეში ვხედავდი ჩვენს სახლს; თითქოს მისი, სახურავი ვილაცას გადაეჭრა, ქერი დაედაბლებინა, ხოლო კედლები ალიზით იყო ნაგები. ცოტა მოშორებით ისმაილ მეხორცის სახლი იდგა. მისი მდიდრული კარ-ფანჯარა ბრწყინავდა. ამ ხანებში დიდად გამდიდრდა ისმაილ მეხორცე. ყველა ზაბოლეშა მოსახლემ თავისი პირუტყვი მას მიჰყიდა, თვითონ კი ათუარნენ და წავიდნენ. ისმაილ მეხორცეს ნაყიდი ძროხები და ცხვრები ხან ერთ ქალაქში მიჰყავდა გასაყიდად და ხან მეორეში -- ხორცით ვაჭრობდა. როცა ჰამუნი ჯერ კიდევ არ იყო დამშრალი, იგი გაჭირვებით ცხოვრობდა, ერთი გოჯა მიწაც კი არ გააჩნდა. ხელები და ტანსაცმელი ყოველთვის საქონლის ან ცხვრის სისხლით ჰქონდა მოთხვრილი, მაგრამ ახლა მისი ცოლი და შვილი გამაყებულნი არიან და ჩვენ დავგციიან, ჩვენ, რომლებიც მიწისმფლობელნი ვიყავით. მათ ახალი ტანსაცმელი და ფეხსაცმელები აცვიათ. მათი აბგუშთის ქოთანს მუდამ დულს და გადმოდულს. ოი, ჩემო საწყალო, გულუბრყვილო, ზეგუნურო ადამიანო, რა იცოდი, როგორია სამყარო! რომ გცოდნოდა, შენც დილიდან საღამომდე არ დაღვრიდი ოფლს ერთ მტკაველ მიწაზე და წელში არ გაწყდებოდი ამდენი საქონლისა და ცხვრის მოშენებით. მაგრამ რა უნდა გვექნა?! ასეთია ქვეყანა, მას ზედა და ქვედა საფეხურები აქვს.

ოი, ნეტავ შუალამე არ იყოს, წავიდოდი ნენა სარგანთან, ყალიონს გავტენიდი და გვაეპოლებდი....

გაქიპური ღიჴიაჴუა

გუღარჴისა და ფირანის ბრძოლა

ირანული ნაციონალური ეპოსი

(X—XI სს.)

ამბავი ღასაჴისი

არც სიავეა ქვეყნად მყარი
და არც სიკეთე,
ასეთი არის ამ ცხოვრების
წესი და რიგი.

გულის სიხარბე კაცს როღესაც
აგიჴოლიებს,
აგეწეწება ეს უხანო
წუთისოფელი.

დიდებას სდიო უნდა კვალში,
დიდება იგი
თუნდაც ურჩხულის ყბაში იყოს
გამომწყვდეული!

ღვარძლის დამთესი და სიხარბის
კერძი კაცის ძე
ამ ქვეყანაზე
არაეისგან ჴერ არ ქებულა.

თუ ღროებით ვართ მასში,
მაშინ რა ბედენაა,
ეს ძველი სახლი ვიწრო არის
თუ განიერად

როდესაც წელში მოიხრება
წეიწეტა სარო,
მას შეტად ვეღარ უაღერსებს
ჩირალის შუქი.

ტოტი უქკნება, უსუსტდება
თანდათან ფესვი
და ტანი მისი წასაქცევად
მიიწურება.

• რაც აღმოცენდა მიწით,
მიწად იქცევა ისევ
და ყოველ სულდგმულს გულს უქანებს
სიკვდილის შიში.

• ზნეშენახულის საფიქრალი
ეს არის კაცის,
არ მიაყენოს სხვას ზიანი
და სატანჯველი.

• ამ ქვეყანაზე ყოფნა დიდხანს
თუ დაგიყოვნდა,
სიკვდილს ინატრებ, იმნაირად
დაუძლურდები.

ღრმა და უძირო ზღვას მაგონებს
საწუთრო ჩვენი
და ხვაშიადის მისის კლიტე
ვერ გვიპოვნია.

რაც მეტს მიიღებ, უფრო მეტი
მოგეკითხება:
რაც მეტი ჰამე, ერთ დღეს უნდა
წამოანთხიო.

• სამი რამეა, უსათუოდ
კაცს რომ სჭირდება
(მოტომაც არის ალალი და
უყვედრებელი):

საქმელი არის ეს, საწოლი
და ტანსაცმელი.
ესენი თუ გვაქვს, სხვა რამეზე
კრინტსაც ნუ დაძრავ!

და თუ ინდომებ ამაზე მეტს,
ხარბი ხარ, ხოლო
რა გაკირვებას მრუკლიხარ,
და რა სიხარბეს!

როდესაც იცი, ეს ცხოვრება
რომ არ შეგჩრება,
რატომ იტანჯავ სულსა და გულს
სიხარბით შენით?!

ქამე ის, რაც გაქვს, და რაც არ გაქვს,
იმას ნუ ეძებ,
რადგან სიხარბით ილახება
ღირსება ღირსთა!

**ჰაინოხრომი გუდარს აბჯანის
თურანელეთან საოგრაღ**

ამბავი ამცნეს ძღვეამოსილ
ირანის მეფეს:
„თურანელების ჯარი ირანს
შემოესია.

იმ ზნეწამხდარს და მტარვალს,
თურქთა თავს, აფრასიაბს,
ბოლმისგან ძილიც დაუკარგავს
და მოსვენებაც.

ჩვენთან ბრძოლაში რაც სიბრძნეილი
ქამა, იმისგან.
ჰსურს გამოვიდეს და ყოველმხრივ
ჯარი მოუსხამს.

შუბის წვერს თურმე საწანღაეში
ავლებს უნასი,
ირანისაკენ რომ მოუშვას
ჰუნეს აღვირი.

მოპყავს მხედარი თან სამასი
ათასი კაცი
და ჭეიქუნის გადმოლახვა
აქვს განზრახული.

ისეთს ამბობენ იმ მხედრობას,
ომში რომ შევა,
ჭეიქუნისგან ცის თალამდე
ბუღს აადენსო!

აფრასიაბის სასახლეში
თურმე ისეთი
ისმის ბუკის ხმა, რომ ვაჟკაცებს
ლამეც არ სძინავთ.

შეიფუროს და ზარის ცემა
ულგათ იმგვარი,
მსმენელს რომ გული საგულეში
არ უჩერდება.

თუ ჯარი იგი ჩვენს ქვეყანას
შემოესია,
თურქების შიშით ლომიც
თავს ვერ გამოჰყოფს გარეთ.

ირანისაკენ თურმე გვირი
ფირანი მოდის,
უკან მოპყვება მძიმე ჯარი
აბჯარასხმული.

ხორეზმისკენაც სხვა
ორმოცდაათი ათასი
მებრძოლი კიდევ, საბრძოლველად
გამზადებული,

შიდეს მოპყვება, თურქთა მეფის
ძეს, ვისაც ძალუძს
მანვილით თვისით თვითონ ფიცხი
ცეცხლიც გატეხოს.

მთავრალთა სპელოთა ჯარი მოდის,
მეფევე, ისეთი,
მთას რომ ეძგეროს, მთას მიწასთან
გაასწორებსო!“

ქაინოსროვმა რომ საქმეში
ჩახედულ კაცთა
ასეთი ცნობა მოიხმინა,
მძიმედ ჩაფიქრდა.

შემდეგ კი ბრძანა ქველმა მეფემ:
„დარბაისელნო,
მობედებისგან ასეთი რამ
მახსოვს ნათქვამი:

თურქების მთვარემ თუ გაბედა
ცაზე ამოსვლა,
ირანის მზისგან მთვარე იგი
დაივსებაო.

გველს როცა თავის მოუხდება
თავის გაქმნევა,
გამოვა ხვრელით და თავს ჯოხთან
თვითონ მიიტანს.

თუკი ხელმწიფემ ნერგი დარგო
უსამართლობის,
მას ხელმწიფობაც შეაქცევს ზურგს
და იღბალიცო!“

ეს რომ თქვა, თვისი მობედები
მოიხმო მეფემ
და მათ უამბო, რაც მაცნისგან
თავად ესმინა.

გაინალვათეს ხელმწიფესთან
საქმის სარჩევად
ომის ხელობის კარგად მცოდნე
დიდებულებმა,

დასთან იყო ის. რუსთაში,
გუდარში, გოვი
თუ შეიდეში თუ ფარქალი
თუ მძლე როქაში.

ბიუანიც ეკდა წინ, აშქაშიც
და გოსთაქეშიც,
გორგინი, ზანგე, გუდუქეში
ძლევა მოსილი,

თუსი, ძარღეებში ვისაც ედკა
ნაეზარის სისხლი
და ფარიბორშიც, შეილი თვითონ
მეფე ქაუსის.

სხვებიც აქ იყვნენ, თუკი ვინმე
სახელოვანი
იყო ირანის სპის მშვენება
და ძლიერება.

ასე მიმართა მძლეთა მძლეველ
ფალავნებს მეფემ:
„თურქებს ყოველთვის სისხლის ღვრა და
ომი სწადიათ.

მტერი საომრად მოდის ჩვენზედ
ხმალმემართული,
ჩვენც დასახედრად გემართებს
სწრაფად მოვემზადოთო!“

ეს თქვა და ბრძანა, ჩაებერთ
საყვირისათვის,
ყვიროსტირებმა საყვირის ხმებს
აუბეს მხარი.

სრა-სასახლიდან მოედანზე
გავიდა მეფე,
სპილოზე ტურფა ტახტრევანი
დაუდგეს ხოსროეს.

ცა ვადაშავდა და ლილისფრად
იქცა ხმელეთი,
მოლაშქრეები ვეფხვებივით
მოდგნენ მეფესთან.

ხელთ გურზი ეპყრათ,
ხოლო გულში ბრაზი ემწყვდიათ,
ველზე ზღვასავით ბობოქრობდა
შეყრილი ჭარი.

გაისმა უცებ სასახლიდან:
„ეჰე ლომგულნო,
შეუდრეკელო ფალავანნო
ირანელთ ლაშქრის!“

ვისაც კი გული ერჯის მართლა
და მხედარია,
ისეთი დღეა, შინ რამ უნდა
გააჩეროსო!“

ბრძანა ხელმწიფემ: „რუმიდან და
ინდოეთიდან
მხედრები გვინდა მოგვივიდნენ
გულოვანები.“

არაბთა ქვეყნით ლომებს უხმეთ
მკრჩხალთა და მამაცთ,
ფიცხელ ბრძოლებში გამობრძმედრით
და შეუპოვართ!

სამასათას კაცს ვითხოვთ მებრძოლს
იარაღასხმულს.
შუბოსან მხედართ ველებიდან
მეომრებს ველით.

ვინც ორმოც დღეში მეფეს თვისას
არ ეახლება,
იცოდეს, თავზე მას ქოლაჯი
არ შერჩებაო!“

დაწერეს წიგნი საწვეველი
ომში და იგი
სხვადასხვა მხარეს გააქანეს
მაღემსრბოლებმა.

ლაშქრის წვევიდან ორი კვირაც
არ გასულიყო,
როდესაც იწყო ჯარმა მეფის
კარებთან მოჯრა.

მთელი ქვეყანა აივსო სპით,
ბორგავდა ჯარი,
ცას აყრუებდა ზრიალი და
ყიუნა მისი.

ხოლო როდესაც ირიყრაჟა,
მამლის ყივილზე,
გაისმა ქოსის დაგა-ღუგი
აქეთ და იქით.

ყოველი კუთხის თავნი თვისით
წამოდგნენ ლაშქრით
და დაირაზმნენ სასახლის წინ
ქაიხოსროვის.

განახვანა მეფემ ირანისამ
საგანძურთ კარნი
და მოზღვავებულ სპას დაუწყო
ღირემის ფრქვევა.

არ დარჩა კაცი, მეომარი,
განძით ყელამღე
აღსავსეს ოქროს ქოლაპი რომ
არ დაეხურა.

ბარგასთუანში და აბჯარში
ჩამჯდარი ჯარი
ისე შეიკრა, რკინის ქელი
გეგონებოდა.

როცა დამთავრდა სპის აღჭურვა
და გამზადება
და ამ საქმისგან მოცილა
ირანის მეფემ,

მოლაშქრეთგან პირველ ყოვლის
გამოარჩია
ფიცხი მხედარი, ოცდაათი
ათასი უაცი,

სპა იგი როსთამს ჩააბარა
და ასე უთხრა:
ჩემ დევგმირო, ლომგულო და
სახელოვანო,

გზას სეისთნისას დაადექი
ამ მძიმე ლაშქრით,
ხოლო იქიდან ინდოეთის
სამეფოს გადი!

ის მხარეები, ლაზნინიდან
მოკიდებულნი,
დაიპყარ და შენ მიიკუთვნე
ტახტი და თაჯი!

ხოლო, როდესაც ერთ სამეფოდ
შეკრებ ამ ქვეყნებს
და თხა და ვეფხვი წყლის სასმელად
ერთად ივლიან,

გულად ფარამორზს ჩააბარე
ტახტი და თაჯი,
რამდენი კაცი სჭირდებოდეს,
მას დაუტოვე,

შენ კი შემოჰყარ რვალის ქოსს და
ნაის ჩაპბერე. —
არ შერჩე დიდხანს ქაშმირის და
ქაბულის ქვეყნებს!

აფრასიაბთან გველის ომი,
შენც კარგად იცი,
ქამის, ძილის და დასვენების
ღრო არ გვრჩებაო!“

ალანისა და ღორჩის მხარე
ლოპრასბს არგუნა
და ასე უთხრა: „გმირთაგმირო
კეთილშობილო,

ერთი ლაშქარი შეადგინე,
შეკრული ვით მთა,
ვინც მოგივიდეს თვალში,
მიღი, ამოარჩიე!

ფიცხელ ცხენოსანთ აიყვანე
რაზმი და თურქებს
რა ღღეს დააყრი, შენ იცი და
შენმა ჯარმაო!“

ეშქაშს უბრძანა: ოცდაათი
ათასი კაცი,
სულ დარჩეული ცხენოსანი
რკინის მკვნეტელი.

ხორეზმისაკენ წარეგრაგნა
ვეება ქოსით,
და იმ ქვეყანას თავს დასხმოდნენ,
ვით ფარას — მგლები;

ქალაქის თავზე დაეტეხათ
რისხვა და მეხი
და შიდეს ლაშქარს გულუშიმრად
შეტაკებოდნენ!

მეოთხე ჯარი ჩააბარა
ხელმწიფემ გუდარზს,
უთხრა: „ფალავანთ ნაშიერო,
ლომგულო გმირო,

ირანის ქვეყნის თავკაცებს შენ
მოჰკიდე ხელი,
თან წაიყვანე გოსთაჰამი,
გორგინი, ზენგე:

ლომი ხორადი, შეიღუში,
ფარჰადი, გივი,
ქველი გორაზე და როჰამი
გმირთა გმირიო!

შემდეგ უბრძანა მეფემ დევგმირთ
ზემოთ ხსენებულთ,
აესხათ რკინა და თურანის
გზას დადგომოდნენ.

მთავარსარდალი, გმირი
გუდარზ ქეშვადიანი,
და ფალავნები და სპის მათის
წარჩინებულნი.

მეფის ბრძანებით მყისვე ჰუნეთ
მოახტნენ იქვე.
მათი სარდალი წინ დაუდგა
მხედრებს, გუდარზი.

გუდარზს დაუწყო დარიგება
ირანის მეფემ:
„აბჯარასხმული საბრძოლველად
როდესაც წახვალ,

უნდა ეცადო, არ მისდიო
უსამართლობას
და მით სრასახლი არ დაამხო
კეთილნაშენი!

ესეც იცოდე: კაცი წინ თუ
არ აღდგომია,
არ უნდა ავნო იმ კაცს
ომში გამარჯვებულმა!

არ მოგვიწონებს სიავის ქნას
ყოვლისმხილველი.
ჩვენ წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ეს დაიხსომე!

როცა თურანის თემში შეხვალ,
ძღვევამოსილი,
გაცხარებული მტერთან ომში
ნუ გაცეცხლდები!

ნუ გაფიცხდები შენც, თუსი რომ
ფიცხდება ისე
და წარამარა ხელი ხმაღზე
არ დაიჭირო!

ყოველთვის იყავ განკითხვის დროს
სამართლიანი,
ღმერთი გახსოვდეს სულ, სიკეთის
მომნიჭებელი.

შენს ამაღაში
გამოცდილი და საზრიანი
მონახე კაცი და ფირანთან
გაგზავნე იგი.

ათასნაირი დარიგებით
აღუხვენ თვალნი
და სიყვარულის რიდე პირზე
დააფარეო!"

ლაშქრის სარდალმა უბახუბა:
„ხელმწიფე ჩემო,
ბრძანება შენი უფრო მაღლა
დგას, ვიდრე მთვარე.

როგორც შენ ბრძანებ,
მოვიქცევი მე მხოლოდ ისე.
ქვეყნის პატრონი შენ ხარ, მე კი
ყმა ვარ შენით!"

ეს რომ თქვა, ლაშქარს შეუძახა
გმირმა გუდარზმა,
და საყვირის ხმამ დედამიწა
გამოაყრუა.

დაეწყო ქარი და დაიწყო
ლაშქარმა დენა
და დააბნელა ცხენთა ფლოქვის
მტვერმა ის მხარე.

სამოცი სპილო მიუძლოდა
წინ მძიმე ლაშქარს,
გაათრებულნი მთასა და ბარს
თელავდნენ ფეხით.

ნამეტურ ოთხი სპილო ჩანდა
ჩრეული მათში
მეფის საჯდომად საგანგებოდ
გამოწყობილი.

ზედ ოთხივეზე გაემართათ
სამეფო ტახტი
გვირგვინისა და ფარის მქონე
ხელმწიფისათვის.

შაჰმა მოიღო მოწყალება,
რომ აღმდგარიყო
გმირი გუდარზი მეფის ტახტით
მორთულ სპილოზე.

დაიძრა რაზმი სპილოების
და აღდგა ბული
და ბედის ვარსკვლავს მიმართა იმ
ბულში გუდარზმა:

„ვინძლო მტერს ჩვენსას, ფირას
ვადინო ბოლი,
სპილოთა კვალზე მტვერი რომ წა
მდაგვარიო!“

და ჭარი იგი გამოსული
მეფის ნებაზე
გზას მიყევაცდა და გუგუნით
მთა-ბარს იკლებდა.

**გუდარზი ფირანთან მოსიძულად
გიჰს აგზავნის**

როცა გუდარზი მიეახლა
რაიბედის თემს,
მოლაშქრეთაგან გამოიხმო
მხედართმთავრები.

ათასი კაცი შეარჩია
შუბოსანთ შორის,
ყველა მამაცი და ბრძოლაში
შეუპოვარი.

ათი მხედარი გამოიხმო
ირანელთაგან,
ხმალიც და ენაც რომ უჭრიდათ
კარვად, ისეთი.

შემდეგ კი გივი დაიბარა,
თაეისი ვაჟი,
და მას უამბო მეფისაგან
დავალებული.

უთხრა მას: „შვილო,
გონიერო და საზრდონო,
გამოჩენილო გმირთა შორის
გამოჩენილთა,

სხვადასხვა ქვეყნის თავკაცთაგან
ერთი ლაშქარი,
შენ რომ შეგფერის, იმისთანა
შეგიდგინე მე.

ფირანთან მინდა გაგაგზავნო,
სათქმელი ჩემი
მას მიუტანო და მომართვა
პასუხი მისი.

ასე უთხარი მას: ბრძანებით
ხელმწიფის ჩემის
შემოვადეჭი რაიბედის
სანახებს სპით-თქო.

შენ თვითონ იცი, რაც გოთქვამს და
გიქნია ჩვენთვის,
რა განსაცდელი განგიცდია
და რაც გიცდია.

იცი, თურანმა ვით გვიმტრო და
გვიმუხანათა,
როცა მოგვიკლა მეფე ჩვენი
სახელოვანი.

დარდი და დალი დააჭდიეთ
ფარიღუნს გულზე
და სიბერეში ტირილი და
გმინვა არგუნეთ.

ირანი გლოვის ზარს მიეცით,
მეფე — ვაებას.
ირაჯზე მტირალთ ცაზე მთვარეც
არ გვინათებდა.

გითელის ხელმწიფე: თურქთა შორის
ერთი შენა ხარ,
კაცის გატანას რომ ჩემულობ
და ჩვენს ატანას.

სულ ტყუილია ყოველი ეს, —
ჩემგან უთხარი, —
ჯერ არ მინახავს გატანილი
მე შენგან კაცი.

მაგრამ რას ვიზამ, მეფემ ჩვენმა
კდემამოსილმა
მე დამაულა, ლმობიერად
რომ მოგვეკე-თქო.

რადგან ბრძანა მან,
რომ სიკვდილში სიაუშისა
არ მიუძღვისო ფირანს მცირე
დანაშაულიც.

დიდად გიმაღლის იმის გამო,
რომ მამამისის
სისხლში არა გაქვს შენ გასვრილი
ხელი სხვებზეთ.

და სწორედ ამის შედეგია,
ყველა ცოდვაზე,
რაც შენ მიგიძღვის ირანელთა
წინაშე, ფირან,

მეფე თვალს ხუჭავს და ივიწყებს
შენს დანაშაულს
და სულ გაპატიობს შენს სიავეთ
კეთილი გულით.

არც მე ვიკადრებ, რომ მოგკითხო
ძველი ცოდვები
და ახლა გიზღო იმათ ნაცვლად
სამაგიერო,

თუ, რა თქმა უნდა, არ აუბამ
მხარს აფრასიაბს.
და საკუთარ თავს შენვე თვითონ
თუ არ წააგებ!

ასე უთხარი: ირანელი
დიდებულების
და შვილის ჩემის პირით ამას
გითვლი-თქო თვითონ:

რაც სათქმელი გაქვს, მათ უთხარი,
ხოლო ისინი
რასაც გეტყვიან, იმაზედაც
პასუხი გაეც!

თუ დაარწმუნებ ჩემს მოციქულთ
შენს სიმართლეში,
გადურჩები-თქო განსაცდელს და
სულსაც შეიარჩენ;

მამულს და ფუძეს მოიმრავლებ
და მოიშენებ,
თავსაც ააცდენ მოქნეულ ხმალს
და თვისიანთაც,

მავრამ თუ ცოდვას მიუსართავ
კიდევ შენს ცოდვებს,
იციოდე, მაშინ მეფეს ჩვენსას
ვერ გადურჩები!

არ დავისვენებ შურისგების
გზაზე; რას ვუზამ -
თქვენს მეფეს ომში, ეს მე ვიცი
და ჩემმა გურზმა.

ბევრი ლაშქარი არ სკირდება
ხელმწიფეს ჩვენსას,
რომ აფრასიაბს მოუგრიხოს
ომში კისერი.

კეთილი რჩევა შეისმინე
ჩემი; ფირანო,
და შეასრულე უყოყმანოდ,
რასაც მე გეტყვი.

პირველი, რასაც ვითხოვ შენგან,
აი, ეს არის:
ვინც იმ თავითვე დასაბამი
მისცა ჩვენს მტრობას;

ვინც სიაუშის დაანთხია
უმანკო სისხლი
და ამაზრზენი ჩაიდინა
დანაშაული,

ყველა ძალივით უპატიოდ,
გაბაწრე, ვით ტყვე,
და ჩემ წინაშე მოათრიე
პატივაყრილი,

რათა ისინი გავუვზავნო
მეფეს: ენებოს,
თავები დაჭრას და ენებოა,
ცოდვა შეუნდოს.

ვიცი, ისინი ვინც არიან
(ყველა იმათი
ჩაწერილი მაქვს ხელმწიფისგან
სახელი წიგნში).

შენ ეს ამბავი არ გსმენია,
საყოველთაოდ
ცნობილი: ლომმა, მძვინვარემ რომ
მგელს უთხრა თურმე? —

ის, ვინც მეფეთა სიცოცხლეზე
აღმართავს ხელს, მას
ბედკრულს საწუთრო ნაცარ-ტუტად
გადააქცევსო!

ახლა მეორე: რაც ქონება
გაქვს დაგროვილი
და სულის შენის კიდევ უფრო
გიბნელებს წყვილადს,

ცხენები არის ის, თუ არის
თვალ-მარგალიტი,
დინარი არის, დიბაა ის
თუ გვირგვინია,

ხმალია იგი, ზუჩია თუ
ბარჯასთლანი,
ხოფთანი არის თუ ჰინდური
ხანჯალი ბასრი,

აღჭურვილობა ლაშქრის შენის,
ოქროც და ვერცხლიც,
სუყველაფერი აქ მომართვი,
რაც გაბადა!

ის, რაც ხალხისთვის
უსამართლოდ წაგიგლეჯია
და მოგიბოქავს ავკაცობით
და ანგარებით,

გადმომილაგე ყველაფერი
აქეთ, მით ვინძლო
უშველო თავს და ტყბილი სული
შეირჩინო-თქო!

ის, რაც ხელმწიფეს ეკადრება
იმ ქონებიდან,
ძღვნად გავუგზავნი
ძღვევამოსილ ირანის მეფეს,

რაც გადარჩება, ჩვენს მხედრობას
გავუწილადებ
საზღაოდ, შენგან რაც სიმწარე
მას უწვენევია.

ხოლო მესამე ასეთია
პირობა ჩემი:
შენი რჩეული ვაჟი (ბეჭდის
და ტახტის ღირსი)

და ორი შენი ძმა, ორივე
მხედართუფროსი,
ქედს რომ მორკმით და ახოვნებით
მთვარეს უწვდენენ,

სამივე გმირი, თურქთა ქვეყნის.
სამი მშვენება,
როგორც მძევალი აქეთ უნდა
გამომიგზავნო,

რათა არ შეონდეს მოლოდინი
ლალატის შენგან
და ერთგულების ხემან შენმან
ხილი მოისხას.

კარგად იფიქრე და ორიდან
ერთი ქმენ, ფირან:
ან ჩვენს ხელმწიფეს შეეწყნარე
და შეევრდომე, ---

ადექ და შენი სახლეულით
ეახელ ხოსროვს
და ჩეროს მისას შეაფარე
მშვიდობით თავი!

ამოიკვეთე გულიდან ეგ
აფრასიაბი
ისე, რომ იგი სიზმარშიაღ,
არ მოგეჩვენოს.

და მე პირობას გაძლევ მტკიცეს;
რომ ქაიხოსროვს
შენს თავს დიდებით მზის ბურჯამდე
აღვაზევინებ.

თავადაც იცი, რომ მოწყალე
გული აქვს ჩვენს შაჰს
და სიამის მეტს რომ ვერაფერს
ვერ ნახავ მისგან.

მაგრამ მეორე გზას თუ არჩევ
და თუ თურქების
ხელმწიფის შიშით ირანის შაჰს
არ ეახლები,

მაშინ დააგდო, გიჯობს, ახლავ
თურანის ზღვარი,
ჩაჩში გახვიდე და იქ საჯის
ტახტი დაიდგა.

ხოლო თუ გულზე გექედება
აფრასიაბი,
წადი, ეახელ, მაგრამ ომში
წინ არ შემომხვდე.

თორემ, ხომ იცი, თუ ბრძოლაზე
მივარდა საქმე,
მე ლომის გული მაქვს, კეთილო,
და ვეფხვის ქანგი.

გადაგავიწყებთ თურქებს ტახტის
სახსენებელსაც
გულდარზის მშვილდი ღრუბელს ჰგავს და
სიკვდილს აწვიმებს.

თუ მეტი განსჯის და გაგების
არ შეგწევს ძალი
და თავში ომის ქინკა გიზის
მაინცდამაინც,

მაშინ შენ იცი, ჰა ბურთი და
ჰა მოედანი,
მძვინვარე ლომთან ბრძოლის თავი
თუ გაქვს, გამოდი!

მაშინ, როდესაც დაეწყობა
ჯარი პირისპირ,
იქ გამოჩნდება, ვინ მრუდია
და ვინ მართალი.

მე ჩემი გითხარ, ხოლო შენ თუ
ჩემს კეთილ რჩევას
ყურად არ იღებ, შენს საქციელს
მწარედ იხანებ.

მაგრამ ეგ შენი სინანული
რა მაქნისია,
როდესაც თავი მხრებზე აღარ
შეგბრჩება შენ-თქო!“

უთხრა გუდარზმა ეს თავის ვაჟს
და თან დასძინა:
„ეს ყველაფერი ფირანს ასე
გადაეციო!“

გივის ბავშვაპრება ფირანთან
პინეპარღვი

ადგა გუდარზის ძე და ბალხის
თემს გაეშურა.
შკვახე სიტყვები მიჰქონდა გივს
თურქთა სარდალთან.

ბალხს რომ ჩავიდა, ჩამოხდა და
კაცი ვაგზავნა
ფირანთან, როგორც დაარიგა
მამამ, გუდარზმა.

იქ გაითენა ერთი ღამე,
ხოლო დილაზე
ჯარი აჰყარა და გაუდგა
ვისეგარდის გზას.

იციოდა, ლაშქრით ვისეგარდში
იდგა ფირანი
(ირანის ტახტი ვისაც ჰსურდა
და დიაღემა).

როდესაც გივის კაცი ფირანს
ეწვია, თურქთა
სარდალმა ნახა, ირანის სპა
კარს მოდგომოდა.

გივის დესპანმა მოახსენა
ფირანს: „გმირებით
და ლომგულებით ბალხის ბქესთან
იციდის გივიო!“

ეს რომ ფირანმა მოისმინა,
ყურები ცქვიტა
და ატყდა ირგვლივ ერთი
ვაი-უშველგებელი,

ბრინჯაოს საყვირს ჩაპბერეს და
ქოსს რომ სცეს, ცხენთა
თქარუნმა მიწა აბანოზის
ფერად აქცია.

ასათი ათას მხედარს უხმო
ფირანმა მაშინ
და საბრძოლველად დაირაზმა
თურქის ლაშქარი.

იმ ლაშქრის ორი მესამედი
იქვე დატოვა.
თავად კი ჯარი
აიყვანა გამორჩეული,

ჯეიჰუნისკენ გაესწრაფა,
მიადგა წყალს და
ჯარისკაცებით ამოხერგა
მდინარის პირი.

მაგრამ ირანის ლაშქარს ყურზე
როდი ეძინა, —
გრძელი შუბებით ჯეიჰუნი
შემოესარა.

დაიწყო დესპანთ მიმოგზავნა
ორ ბანაკს შორის.
ორ კვირას ბკობდნენ, —
ავიციდინოთ იქნებ ომიო!

ირანელებმა თავისი თქვეს,
თურქებმა — თვისი.
ყველაფერს თურქებს აბრალეზდნენ
ირანელები.

მოდგნენ და მოდგნენ ფირანს
თურქთა ქცევით გამწყრალნი.
აღარ გაჩერდნენ. ერთხელ გუდას
რომ მოხსნეს თავი.

ფირანმა საქმის გადაწყვეტა
თავზე ვერ იღო,
თურქთა თავს კაცი გაუგზავნა
და შეუთვალა:

„აღზვეებული და მორკმული
ქეშვადიანი,
გუდარზი კარზე გვყავს მომდგარი
ვეება ლაშქრით.

გამომიგზავნა მოციქულად
თავისი ვაჟი,
ლომგული გივი, ფალავნებში
გამორჩეული.

გული და ყური მოპყრობილი
შენკენ მაქვს, მეფევე.
როგორ მოვიქცე, მიბრძანე და
ისე ვიზაშო“.

თურანის მეფემ ეს ამბავი
რომ მოისმინა,
ურციტები სპისგან შეადგინა
ლაშქარი ერთხ.

ფირანს შამაცი და ბრძოლაში
შეუდრეკელი
გამოუგზავნა ოცდაათი
ათასი კაცი.

შემოუთვალა: „შურისგების
იშიშვლე ხმალი
და პირისაგან მიწის,
მტერი აღვავე ჩვენის

ბრძანება ჩემი ასეთია:
ბოლო მოუღე
მტრებს: გივს, მის მამას გუდაარს,
ფარჰადს, გორგინს და როჰამს!

თელა აღარა აქვს, მოგვივიდა
იმდენი ჯარი,
ირანის ტახტის დამხობა გვსურს
და ძალაც შეგვწევს.

მინდა წავასხა ეს ურიცხვი
ლაშქარი ირანს
და მისი მიწა მათივ სისხლის
რუებით მოვრწყა.

ამ გამჟრიახი ჭკუით ჩემით
და ჩემი ლაშქრით,
გაჩვენებთ, მეფე ქაიხოსროვს
ბღღვირს ვით ვადენო!“

როცა ფირანმა მძიმე ლაშქარს
შეხედა მომდგარს
(ყოველ ჯარისკაცს, როგორც აფთარს,
სისხლი სწყუროდა),

აღივსო რისხვით მეფისაგან
გულმოცემული.
დაჰყვა მის ნებას და მიეცა
სისხლისღვრის ვნებას.

გულით კეთილ კაცს ჩაუსახლდა
სიავე გვამში
და ომისა და კაცთა ქლეტის
ცთუნებამ სძლია.

გივს უპასუხა: „ადეჰი და
იმასთან წადი,
ვინც გამოგზავნა და მას ჩემგან
ასე უთხარი:

ნუ ჰგონებს იგი, მაქნევინოს,
რაც არ შემფერის
და საკადრისი რაც არ არის,
ის მარჩვეინოს!

ჯერ ერთი ის, რომ დიდებული
მოდმენი თვისი
კაცმა მტერს ხელში რომ ჩაუგდოს,
სად გაგონილა!

მეორე, რაც კი გვაბადია:
ქონება, ჯარი,
აბჯარი, ცხენი, სახელმწიფო
ტახტი და თაჯი;

თვალთა სინათლე ჩემი:
ორი ძმა გულოვანი
და მათთან ერთად ღვიძლი შვილი
გმირი რჩეული —

როგორ იქნება, რომ გულიდან
ამოვიკვეთო
და მოსისხლე მტერს ჩავუგდო ხელთ
მუხანათივით?!

მბრძანებელი ვარ და ყურმოჭრილ
მონად გადავიქცე?
ნაზრახ სიცოცხლეს ღირსეული
სიკვდილი მიჯობს!

განა ამაზე არ იყო, რომ
ვეფხვმა უთხრა ლომს,
როდესაც თურმე ერთხელ მასთან
შებმა მოუხდა? —

თუ სახელოვნად დავეცემა
შენთან ბრძოლაში,
ეს მიჯობს, ვიდრე შერცხვენილი
ცოცხლად დავრჩეო!

ესეც არ იყოს, მომივიდა,
მეთის ბრძანება,
მიგზავნის ლაშქარს და მავალებს
თქვენთან შებმასო!“

როდესაც გივმა ეს ისმინა,
უკან გაბრუნდა
ამაღლით თვისით, გმირებრთ და
დიდებულებით.

როგორც კი გივი მიეფარა
თვალს თურქთა სპისას,
ყუენა დასცა საომარი
ფირანმა იქვე.

ქენაბედისკენ გაიყვანა
ვეება ჯარი
და იქ, მთის ძირში, ერთ მინდორზე
დაიბანაჯა.

**აიჰანი გივთან მიღის ღა თხოვს,
თურანელაგთან ვიოგოთო**

ორი ლაშქარი ერთმანეთის
პირისპირ იდგა.
სავსე საომრად ატეხილი
ჯარისკაცებით.

უკვე სამი დღე
მიიწურა და სამი ღამე,
სულგანაბლნი რომ შემზერდნენ
ერთიმეორეს.

ასე ამბობდა ირანელთა
მთავარსარდალი
გულარზი: „მე რომ იერიშზე
გადავიყვანო

ლაშქარი, მყისვე მტერი ზურგში
მომეპარება
და დამარცხება მაშინ, ვიცი,
არ ამცდებიაო!”

იღვა გუდარზი დღე და ღამე
ლაშქართან ერთად
და ცაზე მთვარეს, მზეს და ვარსკვლავს
აკვირდებოდა.

ელოდა, როდის დადგებოდა
ვარსკვლავი ისე,
რომ გამარჯვების ყოფილიყო
კეთილი მაცნე.

როდის იქნება, დაუბეროს
აქედან ქარმა
მტერმა მტერისაგან
რომ თვალეზი ვერ გაახილოს!

აი, მაშინ კი დამიდგება
საამო ჟამი
და გრიგალივით დავაცხრები
თავზე თურქებსო!”

მეორე მხრიდან კი ფირანიც
ამას ნატრობდა:
ჩნეტავ გუდარზმა ბოღმა შეტად
ველარ მოთოკოს

და იერიშზე წამოვიდეს,
რომ მაშინათვე
მის ჯარს ზურგიდან მოვუარო
და გავუუყოლო!”

მეოთხე დღეც რომ მიიწურა,
მტრის შუაგულში
მოვარდა ზურგში მდგარი გივის
ვაჟი ბიჟანი.

მიეჭრა მამას ტანზე.
სამოსშემოხეული,
ისეთი ბული დააყენა,
მტვერი ცას მისწვდა.

შესძახა მამას: „გამოცდილო
მშობელო ჩემო,
რალას უდგახარ ასე უქმად,
მითხარი ერთი?!

გავიდა ოთხი დღე და ოთხი
ღამე, რაც აგერ
ამდენი ხალხი გაუძრევლად
ცყრივართ კუნძივით.

მზეს ვერ ვაღირსეთ ხმალთა ჩვენთა
ლაპლაპის ხილვა,
ვერც ის შევძელით, აგვედინა
ველზე მტვერის ბული.

მხედრები თვლემენ ჯავშანსა და
ჩაჩქანში მსხდარნი,
ძარღვებში არვის არ უჩქროლავს; —
ვერ ხედავ? — სისხლი.

როსთამის შემდეგ მთელს ირანში
გუდარზის მსგავსი
მხედარი არვის არ უნახავს
და არც სმენია,

მაგრამ მას აქეთ, რაც ფეშანთან
წააგო ომი
და ამაზრზენი რაც იხილა
იქ ხოცვა-ჟლეტა;

ლაღენში თვალწინ რაც მოუკლეს
იმდენი შვილი
და ირანელთა თავს დამტყდარი
ღვთის რისხვა ნახა,

გული მოკლული აქვს და თავ-გზა
აბნეულია,
ალარ ჰსურს ომი, ბრძოლა აღარ
ეხალისება.

ხომ გახსენ თვალნი, — ვერ ხედავ, რომ
დაბერდა კაცი
და ბრძოლის ნაცვლად დგას და მაღლა
ცას რომ შეჰყურებს?!

მთავარსარდალი, იმის ნაცვლად,
რომ სპა აღრიცხოს,
როცა ვარსკვლავებს რიცხავს ცაზე
მთვარესთან შეყრილსა!

რად უნდა თქმა, რომ მას არ უღის
სხეულში სისხლი
და აღარა აქვს მტერთან ბრძოლის
და ომის თავი.

თავად გუდარზის საქციელი
მე არ მაკვირვებს,
რადგანაც ვიცი, აღარ არის
ამ ქვეყნად კაცი,

შენი ქცევაა, მამაჩემო,
რომ მანციფრებს მე,
შენი, რომელსაც ველარ ვიძლებს
მძვინვარე ლომიც.

ორი ლაშქარი ახლა თვალში
შენ შემოგტყერის.
მაშ, გაანძრე კარგად ტვინი,
რა გემართება?!

სანამ თბილია მიწა, სანამ
დღის სინათლეა,
სპას შეუძლია, საომარი
დასცეს ყოივნა.

მაგრამ თუ ცოტაც დააყოვნე,
ქარ-ყინვისაგან
პირი მიწისა შეიკვრება
როგორც ფოლადი.

როდესაც ხელი კაცს ზედ შუბზე
მიეყინება,
ზურგზე რომ ბუქი მოეყრება,
მკერდზე — ისარი,

რომელ მეომარს მოუნდება,
მითხარი, ერთი,
ისეთ ამინდში ბრძოლის ველზე
რომ გამოვიდეს?!

ხოლო თურქები რომ არიან
ჩასაფრებულნი
და ბუსუნნიდან, შიშობთ, ზურგში
მოგვივლანო,

ათასი კაცი მომეციო მე,
გულით მამაცი
(ოლონდ ისინი სპიდან თავად
ამარჩევინეთ)

და მე გაჩვენებთ, რა ვუყო მათ, —
თაგს დავესხმები
მტრის საბუსუნოს და ზედ ბუღს და
მტვერს ავადენო!“

თავისი ვაჟის ამ სიტყვებზე
გოვს გაეცინა,
ქება-დიდება შეასხა შვილს,
შემდეგ კი ასე

მიმართა უფალს: „მადლობელი
ვარ შენი, ღმერთო,
რომ ამისთანა ღირსეული
შვილი მაჩუქე!“

არ დააკელი მას გონება,
ძალა და რწმენა,
ბრძოლაში ძალას იჩენს, ხოლო
საქმეში — ჭკუას.

მადლობას გწირავ, რომ ძე ჩემი
მე დამამგვანავ,
ისეთი დადგა ის, ფალავნის
შვილს ვით შეკუერის.

გამიგონია, ხვადმა ლომმა,
ცოლს უთხრა თურმე:
თუ შვილი ჩემი არ გამოვა
ჩემებრ მამაცი,

მომიკვეთია მაშინ იგი
გულიდან, მამად
მდინარის წყალი ჰყავდეს, ხოლო
დედად — მიწაო!

მაგრამ შენ მაინც, შვილო ჩემო
ენამზიანო,
პაპაშენს ასე უდიერად
ნუ იხსენიებ!

გამოცდილება აქვს მას დიდი
და ამის გამო
ჭკუაც მეტი აქვს ჩვენზე,
მიტომ გვყავს უფროსადაც.

თუ ცხოვრებაში არის კაცი
გამოჭევილი,
მას წარამარა სხვისი რჩევა
ალარ სჭირდება.

შენ მართალი ხარ, ჩვენს მხედრობას
მძიმე დღე ადგას,
მაგრამ არც თურქთა ლაშქარია
დალხინებული.

პირში არიან ჩაცვივნულნი
თურანელებიც,
თვალეში ცრემლი უდგათ, ხოლო
გულეში — ბოღმა.

ჩვენს მოხუცს ერთი სურვილი აქვს
ამჟერად მხოლოდ:
უნდა, რომ თურქთა სპამ პირველმა
დაიწყოს ბრძოლა.

ჰსურს, ზურგი თურქთა სპის მოსცილდეს
მთას ერთ მანძილზე,
რომ შემდეგ ლაშქარს შეუძახოს
ერთბაშად თვისას.

მაშინ იხილავ შენ გულარზის
გუფალის ტრიალს
და გაგაოცებს კვლავ სიფიცხე
და ხაფი მისი.

ცას რომ შესცქერის, ეს მიტომ, რომ
კარგ ვარსკვლავზე ჰსურს
თურანელებთან შებმა, შვილო,
და არა ნავსზე.

როგორც კი ნახავს შესაფერის
ღროს, ეცემა და
თურქთაგან ამბის წამლებ კაცსაც
არ დატოვებსო“.

ასე მიუგო მაშინ თავის
მამას ბიყანმა:
„ჰე ფალავანო, ქვეყანაზე
სახელგანთქმულო,

რადგან პაპაჩემს ომში შესვლა
არ ეჩქარება,
აქ რისთვის ვდგავართ, რად გვაცვია
ბერძნული კაბა?

წავალ, გავიხდი ტანზე ჯავშანს,
ავიყრი რკინას
და ლაწვებს ღვინით, ვით არღავანს,
ავიღალანებ.

ხოლო როდესაც დავკირდები
გუდარზს ბრძოლაში,
აბჯარასხმული ვეახლები
მაშინათვეო!“

ჯუშანი ფირანს თხოვს,
ბრძოლის ნება მოგვაცით

ამდენი ხანი თურქის სპაში
იდგა ჰუმანიც.
გაბეზრებული მოუვარდა
ფირანს ლომივით.

„ჰე, ფალავანო გულოვანო,
აფრასიაბმა
აქეთკენ აკი ფხოქა-გლეჯით
წამოგვიყვანა!

მეხუთე დღეა, ამოდენა
მხედრობა აგერ
რკინაასხმული ველოდებით
ბრძოლის დაწყებას.

წელი აბჯარმა დაგვიგლიჯა,
ჯიგარი — ბოღმამ,
თვალები კიდევ გაგვიშტერდა
მტრის მხარეს ცქერით.

ასე პირისპირ რომ უდგახარ
მტერს, რას უდგახარ;
მითხარი მაინც, რა გაქვს გულში
ჩაფიქრებული?

თუ საბრძოლველად ხარ მოსული,
დაიწყე ბრძოლა,
ხოლო თუ უკან გაბრუნება
გინდა, რას უცდი?

ვერ ხვდები მაინც, სამარცხვინოდ
რომ ითრევე ფეხებს,
ზურგს უკან ყველა რომ დაგცინის,
ვერა გრძნობ განა?

ეს ხომ იგივე სპაა, ჩვენ რომ
წინ ვერ დაგვიდგა
და საშინელი დამარცხება
იწვინა ჩვენგან?!

მთელი ლაშქარად ამოვყუყუეთ,
ხომ გახსოვს, მაშინ
და ბრძოლის ველი მათი სისხლის
რუხებით მოვრწყუეთ.

მაშინ რომ გვეყავდა, ახლაც არ გვეყავს
ჯარი ნაკლები
და არც როსთაში იმყოფება
ირანელთ სპაში.

შენ თუ სისხლის ღვრის ხასიათზე
არა ხარ, ანდა
სურვილი არ გაქვს ირანელთა
ლაშქართან შებმის,

ამომირჩიე მაშინ ერთი
რაზმი მამაცთა,
მომეცი მე და როგორ უნდა
ომი, ნახეო!"

როცა ფირანშა მოისმინა
ჰუმანის თქმული.
ასე მიუგო: „ნუ ჩქარობ და
ნუ ცხარობ, ძმაო!

იცი თუ არა, რომ ეს კაცი,
რომელიც აგერ
პირისპირ გვიდგას ირანელთა
ვეება ლაშქრით,

გახლავს რჩეული ხოსროს ლომგულ
ფალავანთ შორის
და გმირთა მათთა თავკაცი და
თვალი ჩინია!

სხვაც გითხრა ბარემ. ერთი ის, რომ
ირანის მეფე
ხელმწიფეს ჩვენსას სახელით და
დიდებით ჯაბნის.

მეორე: შორის ფალავანთა
ქაიხოსროვის
გუდარზის მსგავსი გულოვანი
არ შეგულება

(მას რომ მოჰგავდეს ვაჟკაცობით
და ქედმაღლობით,
საზრიანობით, ქკუითა და
გონების ძალით).

მესამეც გითხრა: ჭიგარი აქვს
დამწვარი გუდარზს, —
იმდენი შვილის ერთად სიკვდილს
ვერ ხარშავს გული.

ჩვენ დავუხოცეთ ის შვილები,
გადაგავიწყდა,
მისი ვაჟების სისხლით მიწა
რომ დავარწყულეთ?

სანამდის პირში სული უდგას,
შურისძიებობს
ბოლმით გველივით იკლავნება
და ვერ ისვენებს.

მეოთხე ის, რომ ღრ ჯარს ირგვლივ
ორი მთა აკრავს
და მათ შუაა მოქცეული
მხედრობა მთელი.

ირანის ლაშქარს ვერსაიდან
ვერ მიუდგები.
შენ როგორ ფიქრობ, იოლია
მათზე თავდასხმა?

უნდა ვეცადოთ, ვაიძულოთ
სპა ირანელთა,
როგორმე იმ მთას გამოსცილდეს
ცოტაზე მაინც,

ვინძლო იქნება დაიქანცნენ
და დაუძღურდნენ,
წაძლიოთ სულმა და დაგვასწრონ
ომის დაწყება.

როგორც კი იმ მთას ჯარი მათი
გამოშორდება,
მე დროს ვიხელთებ და მაშინვე
ისრებს დავაყრი.

შემოვევლებით კედელივით
სპას ირანისას
და მუსრს გავავლებთ მათ მძვინვარე
ლომების მსგავსად.

მტერს ის მოუვა, რასაც ვნატრობთ,
ხოლო სახელი
ჩვენი მზესავით აღზევდება
დიდებისაგან.

კაცი თურანელთ სპის ზურგი ხარ,
სარდალი მეფის,
დიდებით თავი ცას გიწვდება,
რა გინდა მეტი?

სახელისათვის ვისაც ბრძოლა
აღარ სჭირდება,
იმას რად უნდა გულის ნების
აყოლა კიდევ?!

ესეც იცოდე, რომ არც ერთი
სახელის მქონე
შენსავით ვეფხვთან საბრძოლველად
აქ არ გამოვა.

ყველაზე ნაკლებ გულოვანი
ვინც არის ჯარში
და შენებრ განთქმულ გმირთან
ბრძოლა ესახელება,

მას გამოგიყვანს გუდარზი იმ
ორთაბრძოლაში.
ასეთ მეომარს ბრძოლის ველზე
თუ დაამარცხებ,

შენს სახელს ამით არათფერი
მიემატება
და არც ირანელთ დააკლდება
რაიმე ამით.

ხოლო თუ იგი გძლევს ბრძოლაში,
ვინიცობაა,
შენი დაკლებით დაკნინდება
თურანის სპაო!"

რაც თქვა ფირანმა, მოისმინა
ქაბუქმა კარგად,
მაგრამ ქუქუაში არ დაუჭდა.
მისი ნათქვამი.

ასე მიუგო ძმას ჰუმანმა:
„ირანელთ ჯარში
ვინ უნდა იყოს, რომ მან ჩემთან
ბრძოლა გაბედოს?!

თვიხიერებას და სიყვარულს
თესაე შენ გულით,
მე კი ბრძოლის და სისხლისღვრის ყინს
ვეღარ ვიოყებ.

შენ ომისა და რისხვის ნთხევის
თუ არ გაქვს თავი,
თუ ბრძოლის ცეცხლი არ გინთია
გისგიზა გულში,

მაშინ მე ვიცი, რასაც ვიზამ, —
შევჭდები ცხენზე
და უთენია ბრძოლხს ველზე
მარტო გავალო!"

კუმანი რომაის იწყვეს ბრძოლაში

თავის ბანაკში რომ დაბრუნდა,
განჩისხებულნი,
ვით გარეული ტახი, კბილებს
აღრქიალებდა.

როგორც ინათა, მაშინათვე
შეკაზმა ცხენი,
მძვინვარე ლომმა თარჯიმანი
იახლა ერთი,

ირანელების ჯართან ჯიქურ
მიიქრა, გული
აღსავესე ჰქონდა ბრძოლით, თავი
კი — შაჰის მტრობით.

ფირანს რომ უთხრეს, ბრძოლის ველზე
ჰუმანი მარტო
გაეშურაო, შეუღონდა
კინალამ გული.

ქმის საქციელმა მოუყიდა
ჯიგარზე ცეცხლი
და დარიგება მოაგონდა.
მამისეული:

„არ აჩქარდება არასოდეს
ქვეიანი კაცი
და განსაცდელში არ ამოჰყოფს
თავს თავის ნებით.

ცეტი საქმეში სულსწრაფობას
რომ გამოიჩინს,
მას საქმე იგი უკუღმართად
წარემართება.

თუ თავში ტვინი არ უღვეს კაცს,
ფასი არა აქვს,
პირით თუგინდა მარგალიტის
მარცვლებს ყრიდესო.

ჰუმანმა ომში სულსწრაფობა
გამოიჩინა
და რას მოიგებს, მე არ ვიცი,
თავისი ქცევით.

ქვეყნის შემქმნელი იყოს აწი
მისი მფარველი! —
ვეჭვობ, ღვთის გარდა
მისი შველა ვინმემ შეძლოსო!“

ამასობაში ვისეს ვაეი,
გმირი ჰუმანი
გამოუვარდა ირანელთა
გაწყობილ ლაშქარს,

რათა ბრძოლაში გამოეხმო
ვინმე გულადი.
წინ ირანელთა სპის დარაჯი
შემოეყარა.

ჰუმანს რომ ახლდა თარჯიმანი,
მასთან მივიდა
(ზედ ეტყობოდა, რომ არ ჰგავდა
სამოყვროდ მოსულს).

ჰკითხა იმ თანმხლებს მან: „რომ ასე
აუღერია
ამ კაცს თავი და ბრძოლის ველზე
რომ გამოსულა,

რისთვის მოსულა, ანდა საით
აპირებს წასვლას
აბჯარასხმული და ხელში
გურზაპურობილიო?“

ასე მიუგო თარჯიმანმა
ირანელ დარაჯს:
„გურზის, მახვილის და მშვილდის დრო
დამდგარა უკვე.“

ამ სახელგანთქმულ გმირს,
ამ ლომგულ მეომარს თქვენთან
სწყურია ბრძოლა და ამისთვის
არის მოსული.

ვისეანთ ჰქმანს უხმობენ მას,
ქარქაშში ბასრი
მახვილი უღევს, ხოლო მკერდში —
ლომის გულიო!“

ირანელებმა რომ შეხედეს
მის გურზს ვეებას,
მისი აბჯარი და მეფური
ტანი რომ ნახეს,

ხელიდან შუბი გაუვარდათ,
შეუღრკათ გული
ამ ახოვანი ყრმის და ფარის
მისის წინაშე.

ჰქმანისაგან მაშინათვე
იბრუნეს პირი,
თარჯიმანს მისას მიუბრუნდნენ
და ასე უთხრეს:

„წადი და ჰუმანს მოახსენე
თურქულ ენაზე
სუყველაფერი, რაც ჩვენ მისი
პასუხი ვითხრათ:

არ ვაპირებთ-თქო შენთან ბრძოლას
ჩვენ, ვინაიდან
გულდარზისაგან საამისო
არა გვაქვს ნება.

თუ ბრძოლა გინდა, ვინ დაგიშლის,
ოღონდ რადგანაც
ამდენს გარჯილხარ, გაისარჯე
ერთხელაც ბარემ,

გულდარზთან წადი, ჩვენი ლაშქრის
მთავარსარდალთან,
და საამისო დასტური მას
თვითონ თხოვე-თქო!“

ჯარის მათის და თვითონ ჯარის
თავის შესახებ
სუყველაფერი დაწვრილებით
მოუთხრეს ჰუმანს.

ისიც უამბეს, თუ ლაშქარში
ვინ ჰყავდათ გმირი,
სპის მარჯვენა ფრთას ვინ სარდლობდა
და ვინ — მარცხენას.

მბობით ეს ჰუმანს კი უამბეს,
მაგრამ გულდარზთან
სასწრაფოდ მაცნის გაგზავნაც არ
დავიწყებიათ:

„მოგვიხტა, როგორც ვეფხვი, თურქის
სპიდან ჰუმანი,
ბრძოლა სწყურია და თანხმობა
თქვენი უნდაო!“

ჰუმანმა ზურგი შეაქცია
ირანელთ დარაჯს
და როჰამისკენ დააღირა
პირდაპირ თავი.

მასთან რომ მოდგა, უღრიალა,
რაც კი შეეძლო:
„ჰე, ნებიერო ვაჟიშვილო
მთავარსარდლისავე,

აქეთ მოსწიე ცხენს აღვირი
ბრძოლის ველისკენ,
ორი ლაშქარი შემოგცქერის
გალმა-გამოლმა.

სპის მარცხენა ფრთას შენ ფლობ,
ლომის შენ გახსენ ჰანგნი,
სარდლობა შენ გაქვს ირანელთ სპის
და მცველიც შენ ხარ.

შენ გამოხვიდე უნდა! სადაც
გსურს, იქ ვიბრძოლოთ,
გინდა — მთის ძირში, გინდა — ველზე,
გინდა — წყლის პირად.

ხოლო თუ თვითონ ვერ გაბედავ
ჩემთან გამოსვლას,
მაშინ, გოსთაჰემს უხმე თვისი
ფარუჰელითურთ.

რითაც არ უნდა შემებრძოლო
მე მეომარი,
შუბით იქნება ეს, მახვილით
თუ მძიმე გურზით,

სულერთი არის: ვინც გამოვა
ჩემთან ბრძოლაში,
საწუთრო მიწას განუშადებს
საწოლად საწყალს.

მე რომ ხმალს ვიძრობ, ლომს შიშისგან
უსკდება გული
და შეუპოვარ ვეფხვს ეხევა
ტანზე ტყავიო!

როჰამმა ასე უბასუხა
ამაზე ჰუმანს:
„ჰოი ვაჟკაცო, გულადო და
სახელოვანო,

მეგონა, თურქთა შორის ჰკუთით
იყავ რჩეული,
მაგრამ ვცდებოდი თურმე,
როგორც ახლა შევიტყვე.

მარტოკა კაცი ბრძოლის ველზე
რომ გამოსულხარ
და ამოღენა სპას რომ ასე
უღგახარ ჯიბრში,

როგორ გგონია, შენისთანა
გულადი კაცი
ამ ქვეყანაზე სხვა არავინ
მოიძებნება?!

მამ დაატანე ჰკუთას ძალა
და გაიხსენე,
რაც ძველი დროის დიდებულებს
უთქვამთ ოდესღაც:

„ის, ვინც პირველი დაიწყებს ომს,
უნდა იცოდეს,
რომ დასახევი უკან გზა მას
მოჭრილი აქვსო!“

შენ რომ გმირები ჩამოთვალე
აქ, ყველა მათგანს
ჯანგი საომრად მომახული
აქვს, ეს იცოდე,

მაგრამ გუდარზის, მთავარსარდლის
ჩვენის, დასტური
თუ არ მიიღეს, ისე ბრძოლის
ველზე ვერ გავლენ.

თუ ჩვენს გმირებთან ბრძოლა ასე
გულით გწაღია,
წადი და თხოვნით ჩვენს ფალავანს
მიმართე თვითონ.

მისგან აიღე ჭერ ნებართვა
მის დევ-გმირებთან
ბრძოლის და ჩვენთან საბრძოლველად
მერე მოდიო!“

მაგრამ ჰუმანმა როპამს ასე
შემოუღრინა:
„რაებს ბუტუტურებს! გეშინია
და მიზეზს ეძებ.

შენ რა კაცი ხარ, შე დედალო!
შუბი კი არა,
ხელში, ვით დიაცს, თითისტარი
უნდა გეპყრასო!“

ჰუმანი ფარიბორზს იწვევს ორთაბროლაში

ჰუმანმა ეს რომ უთხრა როპამს,
მყისვე ნიშანში
სპის შუაგული ამოიღო
და იქ გასწია.

ახლა ფარიბორზს მიუვარდა
ისე, ვით სპილო,
გაცოფებული გმირი თვისი
თარჯიმანითურთ.

დაულრიალა: „ფარიბორზო,
შე უბადრუეო,
თავში ჩარტყმულო მუდამ
გმირთა გმირებისაგან,

ფლობდი სპას, ფლობდი ოჭროს ქოშს და
ფლობდი სპილოებს,
სამეფო დროშას ქაეასას ხომ
ფლობდი და ფლობდი,

მაგრამ ჩაუგდე თურქებს ხელში
ეს ყველაფერი
და დღეს ირანში კაცს
არავინ აღარ გეძახის.

პატრონი იყავ, ახლა თვითონ
საპატრონო ხარ
მონის ქამარი უნდა გერთყას,
შე გლახავ, წელზე!

შენ ხომ ღვიძლი ძმა ხარ ბრწყინვალე
სიაუშ მეფის,
ჩამომავლობით ხომ გუდაოზზე
მალლა ხარ მღგარი?!

მე ვარ თურანის მეფის,
თურის, ჩამომავალი,
ძირი და მოდგმა ხელმწიფური
მაქვს მეც შენსავით,

ამიტომ ჩემთან შერკინება
შენ გმართებს სწორედ,
ორთაბრძოლაში შენ გექუთვნის
ჩემთან გამოსვლა.

მაშ რას ვუცადოთ, ჰა ბურთი და
ჰა მოედანი,
გამოდი და სპის თვალწინ ერთურთს
შევეებათ ბარემ!

თუკი შენ ჩემთან აქ გამოსვლას
გაბედავ ახლა,
სახელი შენი აღზევდება
ქაქაქა მზემდე.

ხოლო თუ ამის გეშინია,
მაშინ ეგების
ეს მაინც მოთხრა: ზავარე სად
გყავთ ან გორაზე?

ისეთი ვინმე გამომიხმე
ოლონდ, იცოდე,
გმირის სახელი რომ უქუხდეს
მთელს ირანშიო!"

ასე მიუღო ფარიბორზმა
ამაზე ჰუმანს:
„მძვინვარე ლომთან ცუდად შებმას
არ გირჩევ, ვეუო!

ასეთი არის ბრძოლის ბოლო:
გამარჯვებული
გამოდის ერთი, მეორე კი —
დამარცხებული.

მაგრამ ხიფადის შიში მართებს.
გამარჯვებულსაც,
რადგან ცარგვალი ერთნაირად
არ ბრუნავს მუდამ.

რისხვას და წყრომას შეუძლია,
ისე აღზევდეს,
გაუვერანოს კაცს მამული,
სახლი და კარი.

კარგად მოიქცა მეფე, როცა
სამეფო დროშა
და სპილოები და სპა, ვისაც
ჰსურდა, მას მისცა.

ქაიკობადის ნაშიერი,
გვარს ქაიანთა
ვინც ემსახურა და დიდების
თაჯი თავს ირქვა;

ვინც ეს ქვეყანა ააყვავა
თავისი გარჯით, —
გუდარზი გახლავს სწორედ,
ჩენი მთავარსარდალი.

წინ მიუძღვება ირანის სპას
ბრძოლებში იგი,
მამა-პაპანიც სპათა თაენი
ჰყოლია მუდამ.

აქედან ვიცი, რასაც გეტყვი:
დადგება დღე და
გუდარზის გურზი თქვენს სპასალარს
თავს გაუხეთქავს.

ლაშქრის სახელი და სირცხვილი
მას ეკითხება,
ბრძოლის დაწყების ის იძლევა
ბრძანებას მხოლოდ.

თუ ნებას დამრთავს, შენ გამოგყვე
ორთაბრძოლაში,
სალბუნს დამადებს იარაზე
თავისი ხელით.

თავადაც ნახავ, ბრძოლის ვილზე
რომ არ ვკამ სირცხვილს
და სახელს ჩემსას აღვაზევებ
ცის თალამდეო!”

ჰუმანმა ასე უპასუხა
ფარიბორზს: „ქარგად
ვხედავ ძალიან, რომ ქაქანში
ხარ მხოლოდ მარჯვე.

ერთი ვიცოდე ნეტა, ამ ხმლით,
ზედ რომ გკილია,
თუ დაგიპირია მაინც ვინმე,
შე დაფეხვილო!

ეს უვარგისი გურზი რისთვის
გიპყრია ხელში,
მეომრის ჭავჭავანძი და ზუჩხს მითი
რას დააკლებო!“

კამანი ვულარჯისგან ითხოვნ
გამოლის ნუგარტვას

ეს რომ თქვა, ისე მოტრიალდა
და გაექანა,
გააფებულს ლომიანო,
იტყოდა კაცი.

ირანელებთან საბრძოლველად
რკინაასხმული
ქეშვადიანთა გუდარზის წინ
დაერქო ახლა.

ირანის ლაშქრის მთავარსარდალს
უყვირა მყიფედ:
„ქე დიდებულო გმირთა გმირო,
დეკთა მბოჭველო,

ვაგებულს მაქვს ის, რაც შენი
მეფისთვის გითქვამს
და ისიც, ჩვენკენ ირანის სპა.
რად წაწოასხი.

ისიც მსმენია, შაჰმა როგორ
დაგასაჩუქრა
და თირანისგან არსაქნელის
ქნას რომ ითხოვდი.

თურანში კაცი მოციქულად
გამოგვიგზავნე
(თავად შინი ძე იყო, გივი,
უბადლო გმირი).

ხოლო მას შემდეგ, რაც შენ თვითონ
ფიცი დადევნი
ხელმწიფის, ტახტის, თავის, მზის და
მთვარის სახელით

და დაიქადნე: ბრძოლის ველზე
სადმე თუ ფირანს
მოვკარი თვალი, გურზით შუა
გავუპობ თავსო,

მძვინვარე ლომთა ხროვის მსგავსი
სპა შეადგინე
და მოგვადექი ბრძოლის ვინით
აღტყენებული.

ახლა კი აგერ კლდესა და ღრეს
გულგახეთქილი
შეფარებიხარ, გმირო, მფრთხალი
ნიამორივით.

ისე იქცევი, ვით ნადირი,
რომელიც ძლივას
დაუსხლტა ხვად ლომს
მას ფეხდაფეხ გამოკიდებულს,

ვიწრო ჩიბეში, როგორც იქნა,
შემალა თავი —
ოღონდ გადარჩეს და სირცხვილს და
სახელს არ ეძებს.

რად გყავს ლაშქარი მთების კალთებს
შეფარებული,
რად არ გამოგყავს ბრძოლის ველზე
საომრად ქარი?

განა ხელმწიფეს ამისთანა
მიეცი სიტყვა,
ომში წავალ და მთაში
ჩემთვის ჩავსაფრდებიო?!”

გუდარზმა ჰუმანს უპასუხა:
„ჰკუას მოეგე
და უფრო კარგად მოიფიქრე.
სალაპარაკო!

არ იცი საქმის ვრსი, ისე
მსჭელობ ჰაერზე,
არვინ არ აგყვა და ახლა აქ
მე მედავები.

მე მეფემ ჩემმა დამავალა
თურანელებთან
ზავის შეკვრა და სამშვიდობო
ფიცის დადება.

როცა მოვედი აქ მე ჩემი
ვეება ლაშქრით
(სულ დარჩეული დევგმირები
მახლავს, ირანის),

თქვენც მოიქეცით, ვით იქცევა
ბებერი მელა,
მონადირეთა შიშით ტყეში
რომ იმალება.

სულ ხრიკებში ხართ, ფანდებსა და
მანქანებაში
ჩვენი ქამანდის, გურზისა და
ხელშუბის შიშით.

ვაუკაცობაზე ნუ დებ ჩვენთან
თავს; მოგვერიდე!
სასაცილოა, მელა გზაზე
ლომს დაუდგესო!”

რა ეს სიტყვები მოისმინა.
გმირმა პუმანმა,
ლომივით იწყობ ბრაზისაგან
ბრუნვა და დვრინვა.

გუდარს უყვირა: „ზემთან შეპმას
თავს რომ არიდებ,
იმიტომ კი არ შერები ამას,
რომ გერცხვინება

პუმანთან ბრძოლა პირდაპირი,
არამედ მიტომ,
რომ კარგად გახსოვს, იქ, ფეშანში
რა დღე გაყარეთ.

თუ როგორ ვიბრძვი მე, ლადენში
გინახავს, მგონი,
ჩემს ლომგულობას როცა თავად
ასხამდი ხოტბას!

რაც შენ მითხარი, თუ სწორია
და თუკი მართლა
შენს სიტყვებს უნდა საქცელო
ესატყვისებ

ამაირჩიე მთელს ლაშქარში
ერთი დევგმირი,
რომ გამოვიდეს და შემებას
ორთაბრძოლაში

თქვენს ფარიბორზთან და როპამთან
ვიყავი უკვე.
გამოვიწვიე სათითაოდ
ორივე ხმალში.

სულ დავიარე ჯარი შენი,
მაგრამ თქვენთაგან.
ვერაფინ ბედავს ჩემისთანა
ნიანგთან შეპმას.

ტყუოდა ყველა და ერთ მიზეზს
იმიზეზებდა:
გუდარზმა თუ არ დაგვრთო ნება,
ვერ ვიბრძოლებთო.

შენ ის არა ხარ, რომ ამბობდი,
მე რომ ვიომებ,
მთაში ტიტასაც შევეუცვლიო
წითელ ფერს ყვითლად?!

ამდენ ლაშქარში ერთ კაცს
როგორ ვერ გამოძებნი,
აილოს ხელში გურზი და მე
რომ შემებრძოლოს?!

თავადაც ბევრი ვაჟიშვილი
გყავს, გულოვანო,
ჩვენთან საომრად ასხმული აქვს
აბჯარი ყველას.

ერთი მათგანი გამოუშვი
შემებრძოლოს
თუ შენ არ ხარ, რომ
რატომ გაურბის?

მაშინ დაფიქრდა ფალავანი
გუდარზი მძიმედ:
„ვინ მყავს ისეთი, ჰუმანს ბრძოლა
რომ გაუმართოს?“

უთქვიათ. გამოვლული რომელიმე
ჩემს ლომგულთაგან
და სიკვითვის ატეხილ ამ
დევეგმირს შევაბი,

ორთაბრძოლაში რომ დაეცეს
ჰუმანი, მაშინ
თურანგულთაგან ბრძოლის ველზე
არვინ გამოვა.

დაიზაფრება ამ ზარალით
მათი სარდალი
და ჩვენთან ომზე იქნებ სულაც
ხელი აიღოს!

ქენაბედიდან არ გამოვა
ლაშქარი მისი
და ჩვენც დავრჩებით პირში
ჩალაგამოვლებული.

ხოლო ჰუმანმა თუ მომიყლა
ორთაბრძოლაში
გასული გმირი, გამიტყდება
სარდლის სახელი.

გული დაწყდებათ ჩემს მეომრებს
და მოითხოვენ,
რომ იერიშზე გადავიდეთ
დაუყოვნებლივ.

ისევე აჯობებს, არ მივუშვა
არვინ ჰუმანთან
და სხვანაირად მოვუარო
როგორმე საქმეს,

რომ ვაიძულო თურქი, მეტი
ვერ მოითმინოს,
ვიწროებიდან გამოვიდეს
და შეგვებასო!“

ჰუმანს კი ასე უბასუხა:
„წადი აქედან!
ქაქანი იცი, მაგრამ საქმე
არ გემარჯვება.

როგორც კი პირი დააღე შენ,
მაშინვე მივხვდი,
ვინც ხარ და რაც ხარ (გაიყიდე
ლაყბობით თავი).

არ გაჩენილა ჯერ თურქებში
ისეთი კაცი,
რამე გზიანი მოისაზროს
და მოიფიქროს.

არ იცი განა, რომ მძვინვარე
ლომი ბრძოლის დროს
ჰანგებს ჯაბანი მელის სისხლით
არ დაითხოვინს!

ესეც არ იყოს, აღჭურვილა
ორი ლაშქარი,
ერთი სული აქვთ გმირებს, ერთურთს
როდის ეძგერონ.

ცოდვია ჯარი, — რომ შეხედავს
ორი მეომრის
ურთიერთ ბრძოლას, მასაც ომის
ენი მოუვლის.

ჯარი ჯარს უნდა დაეტაკოს,
ასეა წესი,
ომი ომია, რკინა რკინას
უნდა ერკინოს!

“შენ ასლა წადი და დაბრუნდი
ბანაკში უკან,
შენს მთავარსარდალს წარუდექი
და მოახსენე:

ირანელთაგან ვის არ ვთხოვე
ხმალში გამოსვლა,
მაგრამ პასუხად მხოლოდ ცივი
ოხვრა გამცეს-თქო!”

რა გინდა მეტი? ამით სახელს
გაითქვამ ომში
და ფასიც მეტი მოგეცემა
სარდლის თვალშიო!”

ეს რომ ისმინა, იღრიალა
ჰუმანმა: „თქვენში
ვინ არის გმირი ან სარდალა
რამდენი მოგვყავთ?

ქვეყნის მპყრობელი მეფეთ მეფის
გამონათქვამი
მაგონდება სულ, თქვენს საქციელს
როცა შევცქერის:.

დიდების ტახტს და თაჯს ნუ ეძებ,
მაგრამ თუ ეძებ,
არ დაიხიო უკან, წინ თუნდ
ცუცხლიც შეგხვდესო!

ომის სურვილს და ბრძოლის ხალისს
არ გატყობ მე შენ,
თორემ უეკლოდ ვარდი როდის
მოუყრეფიათ!

ირანის ჯარში ვერ მონახე
ერთი ლომგული,
ჩემთან ბრძოლა და
შერკინება რომ შეძლებოდა.

ტყუილად ფიქრობ, გამაბრუნო
ხრიკებით უკან.
არსად არ წავალ! გეტყობა, შენ
მე არ მიცნობო“.

გულოვანთაგან ვინც ისმენდა
ჰუმანის ნათქვამს,
სუყველამ ერთხმად მთავარსარდალს
მიმართა თხოვნით:

„ამოარჩიე ერთი ვინმე
გმირი ჩვენ შორის
და ის ჰუმანთან შესაბამელად
გაიყვანოს!“

მაგრამ გუდარზმა არ ისმინა
მათი ვედრება:
„ღღეს არ ეგების, რომ შეეხას
ვინმე ჰუმანსო!“

თავად ჰუმანს კი როცა ყელში
ამოუვიდა
ამდენი თხოვნა, როგორც ლომი,
ისე გახელდა.

ჯერ გაიცინა, მერე გუდარზს
ზურგი აქცია
და დააღირა თავი ჭიქურ
დარაჯებისკენ.

მოიგდო მშვილდი, კაპარჭიდან
ისარი იძრო
და ოთხი კაცი გააგორა
იქვე მინდორზე

როდესაც ნახეს დარაჯებმა,
ჰუმანი მათკენ
როგორ მორბოდა
ლარზე ისარგადადებული,

უტიეს გზა გმირს და მოკურცხლეს,
როგორც შეეძლოთ,
თავს ძლივს უშველეს ველზე
თავქუდმოგლეჯილებმა.

ბოდმისგან მთვრალი თურქი ფიცხლად
ავარდა მთაზე
და ის მთა ბართან გაასწორა,
ისე იყვირა.

იდგა და მალლა იქნევდა შუბს
თავის გარშემო:
„უძლეველ ჰუმანს ვინც არ იცნობთ,
მე განლაგართო!“

მთის თავზე შუბი აღიმართა
მალლა თუ არა,
ბრძოლის ველიდან საყვირის ხმა
გაისმა მყისვე.

სიხარულისგან ცას ეწივნენ
თურანელები,
თურქი მხედრები მუზარადით
მთვარეს ხეხავდნენ.

იქით ჰუმანი ბობოქრობდა
გამარჯვებული,
აქეთ კი გუდარზს გული ბოლმით
ეგუდებოდა.

სორცხვილში იყო ჩაეარდნილი
მთაეარსარდალი,
სიბრაზისაგან არ იცოდა,
რა უნდა ექნა..

იწურებოდა ოფლში თვისი
მხედრობის თვალწინ
და რაც იქ მოხდა, მხოლოდ ზეცის
განგებთ ახსნა.

„ვარსკვლავის ნებით ეყო ასე
გადაწყვეტილი,
მისივე ძალით ავის მდომელს
ავს მიეუზღავეთ!“

შემდეგ კი მასთან მოჯრილ გმირებს
ახედ-დახედა, —
ვინ გამოეშვა მათგან თურქთან
ორთაბრძოლაში?

ზიჟანა ჯუგანის ავბავი გაიგო

ბიუანს ამბავი მიუტანეს:
„ჭუმანი როგორც
მძინვარე ლომი მოუვარდა
პაპაშენს, გუდარზს.

ლაშქრის მარცხენა ფრთაზეც მოდგა,
მარჯვენა ფრთაზეც,
ორთაბრძოლაში ჰსურდა ვინმე
გამოეწვია.

არავინ აპყვა. ჩვენგან ხმაღში
არავინ გაპყვა.
გაგვლანძლა მაგრად და წავიდა
გაშმაგებული.

მოლაშქრეთაგან ოთხი კაცი
გამოგვაცალა,
ვაგლახად ყრიან მტვერში
ისრით განგმირულიო“.

ეს რომ ისმინა, როგორც ვეფხვი,
წამოხტა ზეზე.
(საომრად ჰქონდა ალესილი
ბასრი ჰანგები).

ბრძანა ბიუანმა, შეეჯახათ
სასწრაფოდ ცხენი,
სპილოს სიმაღლე ბედაური
ქარივით მალი.

რკინის პერანგი გადაიცივა
ტანზე ბერძნული
შავს მოსართავი მოუჭირა
და ზედ მოევლო.

როგორც უხორცო გაჩნდა უცბად
მამის წინაშე
და პაპამისზე წამოუწყო
მას საუბარი.

ასე მიმართა გივს ბიუანმა:

„მე, მამაჩემო,

გულში რაც მედო, ერთხელ უკვე
ხომ მოგახსენე!

აკი გითხარი, დაუსუსტდა

გულდარზს გონება,

გამოცვლილია კაცი, განა

ვერ ხედავ-მეთქი?!

გული შიშით აქვს სავსე, ხოლო

ჯიგარი — სისხლით

მკვდარი შვილების გამო ზარის

და მოთქმისაგან.

იმდენი ვაჟი გაუუუუეს

კაცს, საშინელი

ის ხოცვა-ჟლეტაც საკუთარი

თვალით იხილა.

ახლა ხომ ხედავ, თურქი როგორ

გაგვითამამდა!

ამხელა. ლაშქარს ერთი კაცი

გვეცა, ვით ლომი.

თავად პაპაჩემს მოუვარდა

შუბშემართული

და როგორც მთვრალმა, სულ უყვირა

და უღრიალა.

ამხელა სპაში არ აღმოჩნდა

ერთი გულადი.

რომ გაჰყოლოდა იმ თავხედ თურქს

ორთაბრძოლაში,

შებმოდა ჰუმანს გულუში შრად

და წაყოეგო

იგი ზედ შუბზე, ვით შამფურზე

ქათამს აგებენ.

ჰკუთით ქებულო მამავ. ამას
გთხოვ: სიაუშის
თორი რომ გაქვს შენ, ის თორი მე
ჩამაცვი ტანზე!

ჰუმანთან ბრძოლა მე მეკუთვნის,
უნდა გავყვე მას
და უნდა დავსცე იგი
ორთაბრძოლაში მეო!“

გივმა შეილს ასე უთხრა: „ჩემო
ჰკვიანო ბიჭო,
დამიგდე ყური და ისმინე,
რასაც მე გეტყვი!

ნუ ფიცხობ-მეთქი, აკი ერთხელ
გირჩიე უკვე,
ისიც გითხარი, გუდარზის ძვირს
ნუ იტყვი-მეთქი!

ის გამოცდილი კაცი არის,
ჰირგამოვლილი,
მიტომაც მისცეს ირანის სპის
მთავარსარდლობა.

განა გულადი დევგმირები
აკლია გუდარზს
(შეხე, მძვინვარე სპილოს როგორ
გვანან ისინი),

მაგრამ არავინ არ გაუშვა
ორთაბრძოლაში.
ჯერ ჰაბუჯი ზარ და ვერ ხედები
მოხუცის სიბრძნეს.

შენ მკლავი გერჩის, ბრძოლა გინდა
და ამის გამო
მოდხარ ჩემთან და მთხოვ, ჰაბუჯს
აგება მხარი,

მაგრამ არა ვარ ამის მომხრე,
გითხარი ერთხელ,
ახლაც იმასვე გიმეორებ
და ნულარ მთხოვო“.

ბიჯანმა მამას უპასუხა:
„რადგან ჩემს წადილს
წინ აღუდექი და სახელსაც
ჩემსას არ ჩივი,

წევალ, სპასალარს ვეახლები
რკინაახსნული
და თავად მას ეთხოვ, ნება მომცეს
ორთაბრძოლისო!“

ეს რომ თქვა, ცხენი მიაბრუნა
ბიჯანმა ფიცხლავ
და გაეშურა პაპის მისის,
გუდარზისაკენ.

თაყვანი სცა მას, ხოლო შემდეგ
ჯავრიან გულზე,
სუყველაფერი უთხრა, რაც კი
სათქმელი ჰქონდა:

„ეჰე, ამ ქვეყნის მეფის დიღო
მთავარსარდალო,
ყველაფრის მცოდნეც და სამეფოს
ტახტის მშვენებავ,

ერთი რამ მიკვირს, ფალავანო,
შენი მე, თუმცა
თავად ამ ქვეყნად ბევრი რამე
არ გამეგება:

ეს ამოდენა სპა საომრად
რომ წამოასხი,
ომს რად არ იწყებ, რატომ არ გასურს
თურქებთან ბრძოლა?

მეშვიდე დღეა, რაც ამ ველზე
უსაქმოდ ვყრივართ,
უქმად ვალამებთ დღეს და ღამეს
ფუქად ვათენებთ.

მზეს ვერ ვადირსეთ ხმალია ჩვენთა
ლაპლაპის ხილვა,
ვერც ის შევძელით, აგვეშალა
ველზე მტკვრის ბული.

მაგრამ ამასაც არა უშავს,
მე ეს მანცვიფრებს:
ერთი ვილაცა ვიგინდარა
თურქი, მოგვიბტა,

თავად იზადმა,
მან კეთილისმყოფელმან ჩვენმან
ხოლო იმ თურქის მოძულემ და
აგისმლომელმან

გამოიტყუა თურანელთა
ლაშქრიდან იგი
და აქ მოგვევარა, რათა მისთვის
თავი მოგვეჭრა.

შენ კი მახეში გაბმულ კანჯარს
ვერ ეპატრონე.
ეს რატომ ჰქენი, სწორი გითხრა,
ვერ გაძიგია.

შენ ასე ფიქრობ: ჰუმანის სისხლს
თუ დავღვრით, მაშინ
ფირანი ჩვენთან საბრძოლველად
არ გამოვაო.

ტყუილად ფიქრობ ასე! მისი
სიკვდილი ფირანს
უფრო აღანთებს საომრად და
შურის საგებად.

მე აგერ სისხლში მაქვს კანგები
ამობანილი
და ასხმული მაქვს რკინა მტერთან
შესარკინებლად.

თუ ნებას დამრთავს ფალავანი,
მაშინ ახლავე
გაუვარდები ჰუმანს, როგორც
მძვინვარე ლომი.

ვინძლო უბრძანოს გივს ირანოს
ლაშქრის სარდალმა,
რომ ის აბჯარი გმირთა გმირის
სიავახშისა

(ბერძნული თორი და ჩაჩქანი)
მე მომცეს აქეთ,
კეთილინებოს და მოაბას
საქმეს თავიო!“

როცა გულარზმა მოუსმინა
ბიუანხ, ლომგული
რომ იყო ის და გონიერი,
კიდევ ირწმუნა.

სიხარულისგან გაიბადრა
და უძღვნა ქება:
„დაე გფარავდეს მარად შენი
თანმხლები ბედი!

მას აქეთ, რაც კი ვეფხვის უზანგს
შეადგი ფეხი,
კანგი დაუცვდა ლომს და ურჩხულს
ხახა დაეხშო.

არ იცი, რაა შესვენება
და ჩამუხლება,
ომი იქნება თუ სხვა საქმე,
პირველი შენ ხარ.

ყოველ ბრძოლაში გულუშიშრად
შედიხარ მუდამ
და გამოდიხარ, როგორც ლომი,
გამარჯვებული.

მაგრამ არ იცნობ მას, უნასს და
სიავის მოქმედს,
აპრიმანის აქვს ჰუმანს ქცევა,
კაცის კი არა.

ჯერ ქაბუჯი ხარ, განგებისგან
გამოუცდელი
და ჩალის ფასად შეგიძლია
სიცოცხლე დათმო.

შენ აქ იყავი, მასთან კი მე
ომებში ნაცადს .
ისეთს მიეუშეებ, ლომს შეხივით
თავს რომ დაატყდეს.

ვითარცა სეტყვა, დააყაროს
ისრები ჰუმანს
და დააყროს მუხარადი
თავზე ისრიით“.

ბიენმა პაპას უპასუხა:
„ჰე ფალავანო,
გულუშიშარი და მამაცი
ხამს ახალგაზრდა.

შენ თუ ფორუდთან ბრძოლას ჩემსას
არ შესწრებიხარ,
ახლა გეძლევა დრო, ხელახლა
რომ გამომცადო.

ფეშანთან, გახსოვს, ბრძოლის ველზე
შევძარი მიწა,
მტერს ჩემი ზურგი არ უნახავს
არასდროს ომში.

მაშინ რად მინდა მე სიცოცხლე
ამ ქვეყანაზე,
ვაუკაცობაში თუკი ვინმეს
ტოლი დავუდე!

შენც თუ დამიშლი ორთაბრძოლას
და შენც თუ მეტყვი
ახლა, ჰუმანთან შესაბამელად
არ გაგიშვებო,

მაშინ ხელმწიფეს ჩაუვარდე
ფეხებში უნდა,
ალარც აბჯარი მინდა, ალარც
ქოლაპი მსურსო!“

გულარზმა მეტად გაიხარა
და გაიცინა,
აღვის ხის მსგავსად გაიმართა
მოხუცი წელში.

ასე მიუგო: „ბედნიერი
კაცია გოვი,
რომ შენისთანა გულოვანი
ვაუიშვილი ჰყავს.

დე კურთხეული იყოს იგი
დღე სვესვიანი,
როცა გაუჩნდი დედას ჩემი
გულის იმედად!

შენ, ომის მდომი ლომი, როცა
დაიწყებ ბრძოლას,
მეტოქე ძრწოლას მიეცემა
მაშინვე შიშით.

გაქლევ ჰუმანთან ბრძოლის ნებას
და ამ ბრძოლაში
დაე გფარავდეს ანგელოზი
კეთილი შენი!

ქვეყნის მფლობელი იაზდანის
ჩვენის სახელით
და გულოვანთა გმირთა ჩვენთა
ხელმწიფის ბელით

ის აპრიმანი ხელით შენით
განიგმირება.
შენ შენი სცადე, დანარჩენი
უფალმა იცის!

მე კი გივს ვეტყვი ჩემდა თავად,
რომ სიაუშის
თორი, რომელიც მას აცეია,
შენ დაგილოცოს.

თუ გაიმარჯვებ შენ ჰუმანთან
ორთაბრძოლაში,
მოგემატება პატივი და
დიდება ჩემგან.

და აღგაზევებ თვით გივზე და
ფარქადზე უფრო
განძით იქნება, ლაშქრით, ტახტით
თუ ქოლაპითო!“

ასეთი სიტყვა უთხრა თავის
შვილიშვილს პაპამ
და შვილიშვილიც ცას ეწია
სიხარულისგან.

ჩამოხდა ცხენით მაშინათვე,
გუდარზის ფერხთით
ემთხვია მიწას და აქო და
ადიდა იგი.

ხოლო გუდარზმა მაშინათვე
მოიხმო გივი
და მას დაუწყუო საუბარი
ბიჟანის გამო.

შემდეგ კი სიტყვა ჩამოუგდო
სამეფო თარხე,
რომელსაც მისი ძე ითხოვდა
თურქთან საომრად.

ასე მიუგო მამას გივმა
დაფეთებულმა:
„ჰე ფალავანო, ქვეყანაზე
გამორჩეულო,

ეს ბიჭი არის ჩემი სული,
ჩემი სიცოცხლე
და განა ასე ადვილია
მისი დათმობა?!

მითხარი, როგორ მოვიწყვიტო
მკერდიდან პირმშო
და ვით ჩავეუგდო ის პირამკებულ
ურჩხულს ყბაშიო?!“

გუდარზმა ასე მიუგო შვილს:
„ჩემო ძვირფასო,
შენ, როგორც გატყობ, საკეთარ შვილს
არ იცნობ კარგად! „

მართალი არის, ჭაბუკია
ბიჭვანი კიდევ,
მაგრამ გონება აქვს ფხიზელო
და საზრიანი.

ესეც არ იყოს, აქ საომრად
ჭარტ ჩვენ მოსული,
რათა გავწმინდოთ დედამიწა
აპრიმანთაგან.

შაჰის ნება და სილუშის
ვნება არ გვაძლევს
ნებას, ნათუყავთ შელაფათი
რომ მივცეთ ომში.

ღრუბელი წვიმის წილ ბასრ მახვილს
რომ აწვიმებდეს,
თავს ვერ დავზოგავთ,
ბრძოლის ველზე უნდა გავიღეთ!

ომით ნუ აფრთხოვ ბიქს და ბრძოლით
ნუ შეაშინებ, —
სირცხვილი რაა და სახელი,
უნდა იცოდეს!

თუ უქნარობას მიეჩვია
ყმაწვილი კაცი,
ზნედაცემული იქნება და
სულმდაბალიო!“

სხვა რა გზა ჰქონდა გივს
ამ სიტყვის მოსმენის შემდეგ,
მაგრამ იმ ურჩ შვილს ერთხელ კიდევ
ურჩია მამამ,

ჰუმანთან ბრძოლის განზრახვაზე
აეღო ხელი,
მაგრამ ბიყანმა ითაკილა:
„სახელს მიტეხო!“

მაშინ კი გივმა გუდარზს უთხრა:
„ჰე ფალავანო,
როდესაც ხედავ, რომ სიცოცხლეს
სიკვდილი ჯაბნის,

მაშინ კაცისთვის არც შვილია,
არც განძი, არც სპა,
არც სირცხვილია, არც სახელი
და არც ბრძანება.

წინ განსაცდელი მელოდება,
რატომ გავსწირო
თავი და ხელი სიცოცხლეზე
რატომ ავიღო?!

თუ ბრძოლა უნდა, საქურველი
რატომ არა აქვს
და თუ აქვს, მაშინ საქურველს მე
რატომ მართმევსო!”

ეს რომ ისმინა, ასე უთხრა
ბიუანმა მამას:
„მშვიდად იყავი, არ გვკვირდება
ჩვენ შენი თორი!

შენ რა გგონია, ის ჯავშანი
თუ არ ექნება,
ისე ვერავინ ვერ იბრძოლებს
ამ ქვეყანაზე?”

განა სიაუშ მეფის თორი
მაინც და მაინც
უნდა ეცვას გმირს,
რომ სახელი მოიხვეჭოსო?!”

ეს მიაძახა თავის მამას
თუ არა, იქვე
ჰკრა ქუსლი ტაიქს ბრძოლის ველზე
გამოსასვლელად.

გივი გიშანს სიაუშის თორს აძლევს

როცა ბიუანი მოლაშქრეთა
თვალს მიეფარა,
გული მოეწვა გივს და ქცევა
ინანა თვისი.

ეს რა ვქენიო! — თქვა და ცრემლი
მოადგა თვალზე.
შეხეთ, რა მწარე რამე არის
მამაშვილობა!

ჯიგარდამწვარმა და ნადველით
გულგატენილმა
ალაპყინა თვალნი მალლა ცისკენ
და ქვეყნის შემქმნელს

შესთხოვა გივმა ასე: „ჰოი
უფალო ჩემო,
ეს დაკოდლი გელი, გვედრი,
შენ გამიმოთელო!“

არ დაჰიმდულრო გულ-მეცელი
ბიჟანის გამო!
დამიტალახდა ფეხქვეშ მიწა,
იმდენს ვლვრი ცრემლებს.

მაჩუქე შვილი ჩემი, დმერთო,
მე ხელმეორედ,
არ მიმიკარო ფათურაკი,
ბიჟანს ახლოსო!“

დაბრუნდა გივი უკან ფიქრით
დამძიმებული,
განსაცდელის წინ ედგა შვილი
და ეს ზარავდა.

გულში ამბობდა: „ასე რატომ
გაუანაწყენე,
რად არ დავუთმე მაშინათვე,
თორი რომ მთხოვა!“

თუკი ჰუმანმა მომიკლა ის,
რა ოხრად მინდა
მეშინ ან თორი იგი, ანდა
სჭვა საქურველი!

დავრჩები ასე ვაებით და
ტანჯვით ვკემული,
გული ნადველით ამეგსება,
თვალი კი --- წყლითო!“

მაშინვე ქუსლი ჰკრა ქურანს და
შვილს გაეკიდა,
წამოეწია ბრძოლის ველზე
გამოსულ ბიჭანს.

უსაყვედურა: „ასეთ დღეში
რად გყავარ, შვილო?
სადაც სიღინჯე ეგების, იქ
სიფიცხეს იჩენ.

შავ გველს მანამდის შეუძლია
ველზე პარპაში,
სანამდის წყლიდან გველეშაპი
არ ამოსულა.

ცის კაბადონზე მხოლოდ მანამ
ანათებს მთვარე,
არ აღმომხდარა სანამ ქვეყნის
მანათობელი.

ახლა ჰუმანთან საბრძოლველად
მიეშურები,
მე არ მიჭერებ, ეურჩები
მამის ბრძანებას.

ისე ბრმად მისდევ გონმიხდილი
გულისთქმას შენსას,
არც კი გაფიქრებს საქმის ბოლო
ვით იქნებაო!“

შვილმა მიუგო გივს: „სიაუშ
ხელმწიფის სისხლი
მინდა ვიძიო და ძალიან
გთხოვ, ნუ დამიშლი!

არც რკინისა მყავს და არც რვალის
თქვენი ჰუმანი,
არც აპრიმანი არის და არც
მთვრალი სპილოა;

ერთი შებრძოლი კაცი არის,
მეტი ხომ არა?
მეც მეომარი ვარ და ერთ კაცს
არ გავეჭევე!

განგებას ჩემთვის შუბლზე
რაც ზედ დაუწერია,
ის აღსრულდება, ეს საწუთრო
უფლის ხელშია.

თუ გარდახდება თავს განგებით
გარდასახდელი,
გულს მწუხარებით ნუ აღივსებ,
შეუბრძვილი!”

აბჯარასხმული და ლომივით
გამოკვართული
ბიჯანის მისის ნაუბარი
რომ მოისმინა,

ქარივით მალი ტაიჭიდან
ჩამოხდა გივი
და შვილს გადასცა სიაუშის
თორი და ცხენი.

თან უთხრა: „რადგან ბრძოლა ასე
გწადია, შვილო,
და გრძნობა შენი გონებაზე
ასე ბატონობს,

ამ გრიგალივით მალ ტაიჭზე
შეჭეჭე მაინც.
ვისი ფთლის ქვეშ დედამიწა,
ძრწის და ზანზარებს!

ჰა ჩემი თორიც! ნახავ, როგორ
გამოგადგება,
როდესაც გახვალ აკრამანთან
ბრძოლის ველზეო!”

მამის ბედაურს რომ შეხედა
ბიუანმა, მყისვე,
როგორც გრივალი, ჩამოიჭრა
თავისი ცხენით.

სიაუშ მეფის თორი იგი
ჩაიცვა ტანზე,
ქამარზე კარგად მიიმაგრა
და ზედ მოირგო.

შემდეგ სამეფო ბედაურზე
ამხედრდა გმირი,
შეიკრა წელი და აიღო
ხელთ მძიმე გურზი.

ირანის სპაში თარჯიმანი
მონახა ერთი,
კაცი, რომელმაც თურქთა ენა
კარგად იცოდა,

გახელებული ლომის მსგავსად
გავიდა ველად
გმირი სიაუშ მეფის სისხლის
მაძიებელი.

როდესაც ჰუმანს მიეახლა,
გაპკვირდა: მის წინ
კაცი კი არა, ცეცხლის მფრქვევი
რკინის მთა იდგა.

აბჯარი ისე უელავდა,
ველს ანათებდა,
ჯავშანში იყო ჩაჭედული
ვეება სპილო.

ბიუანმა ასე გადასძახა
თავის თარჯიმანს:
„მიდი და კაცთა მავნე იმ თურქს
ჩემგან უკეთაოთ:

თუ ვაყვაცი ხარ, გამობრუნდი
ახლავე უკან,
გულით მწადია შენთან აქვე
ორთაბრძოლა-თქო!“

ჰუმანს უყვირა: „გმირო
მრავალ ომში ნაცადო,
რას დაჰქენებ ცხენს ამ ველზე
ალმა და დაღმა?!

სიაყვაცეში შოიტოვებ
აფრასიაბსაც.
მთელი თურანი შენს წყევლაში
და კრულვაშია.

ქიშპობისა და მტრობის ხანძარს
სულ შენ აჩალებ
სხვას, შენებრ ცოდვილს თურანშიაც
ვერ ნახავს კაცი.

მადლობას ვსწირავ დიდ იაზდანს,
სიკეთის მოქმედს,
რომ შენი თავი შემახვედრა
მან ბრძოლის ველზე!

თუ გული გერჯის და ძარღვებში
გიღელავს სისხლი.
შემოაბრუნე ცხენი ჩემკენ
და წინ დამიხვდი!

ადგილი თვითონ აირჩიე
ორთაბრძოლისთვის:
გსურდეს, ვიბრძოლოთ ველზე, ვსურდეს—
სერზე ვიომოთ.

და თუ არადა, აგერ არ დგას
ერთიმეორის
პირისპირ ორი სპა და თვალში
არ შემოგვეყურებს? —

შეგება შენი მტრებისა და
მოყვრების თვალწინ
და ქვეყანაზე მით სახელი
მოიხვეჭეო!“

ეს რომ ჰუბანმა მოისმინა,
ხარხარი იწყო
და როს სიცილით გაძლა,
ბიენს ასე მიუგო:

„შე საცოდავო, განა ცუდად
ცხოვრობდი დღემდე,
რომ შენს მხრებს თავის შენის ზოდვი
ასე მობეზრდა?!

ბანაკში ისე დაგაბრუნო
უკან, რომ ურვით
ემღულრებოდეს გულ-მეცელი
მამაშენს შენზე.

ცოტაც მაცალე და წაგაცილი თავს
მშრალად ისე,
ვით წამოცლია თავი ბეკრი
შენიანისთვის!

ქანგებში ისე მოგიმწყვდიო,
როგორც რომ ქორი:
ელანჭებით ხოხობს საროს ტოტზე
იტაცებს ხოლმე.

ხოხობი იგი კი კრახებს
და კუთავს საწყლად
და იღებება სისხლით მისით
იქაურობა.

ოღონდ ეს არის, სადაცაა
მზე იწყობა.
უმაღლე ღამეს, დღეს ცოცხალი
რომ გადაშიოჩი!

მე ისევ უკან დავბრუნდები
მთავარ ბანაკში
და ლამით სარდალს ვეახლები
ჩვენი ლაშქრისას.

ხოლო იქიდან კი დილაზე
ქედგამართული
გამოვალ ბრძოლის ველზე შენთან
შესაბამელადო!“

ბიჟანმა ასე უპასუხა:
„სადაც გინდოდეს,
წადი, წინ ეშმა გელოდება,
უკან კი — ხრამი!“

მაგრამ იცოდე, ხვალ რომ ბრძოლის
ველზე გამოხვალ,
ვერც სპა გიხილავს მობრუნებულს
და ვერც ხელმწიფე.

ისე წაგაცლი თავს ტანიდან,
რომ ვერასოდეს
თმი რა არის, ვერ იგრძნო და
ვერ იაზროლ“

ეს რომ თქვეს, ზურგი შეაქციეს
ერთიმეორეს
და ბრძოლის ველზე ლამის ბინდი
ჩამოწვა კიდევც.

თავ-თავის ბანაკს მიაშურა
ორივე ვიწრო
და მთავარსარდალს თავ-თავისას
წარუდგა ორივე.

სულ ძილ-ღვიძილში გაატარეს
ღამე, ორივე
გმირს ერთი სული ჰქონდა, როდის
გათენდებოდა!

როცა ცისკარმა მთის წვერიდან
ამოჰყო ყური
და ბნელი ღამის მოსასხამი
თვალს მიეფარა,

აისხა რკინა საომარი
ტანზე ჰუმანმა
და მოახსენა ფირანს,
რასაც ეპირებოდა:

„ორთაბრძოლაში გამოვიხმე
გივის ბიჟანი
და მთელი ღამე ამის ფიქრში
გაუათიეო!“

ლაშქრიდან ერთი ირანულის
მცოდნე მხედარი
გამოიბარა და ალისფერ
ტაიქზე შესვა.

და გამოვიდა ბრძოლის ველზე
დევეგმირი თურქი,
ბიჟანს ეძებდა მისი თვალი
გათაცაცებით.

ბიჟანმაც ბრძოლის ველზე გასვლა
არ დააყოვნა.
თურქულის მცოდნე თარჯიმანიც
მოსდევედა უკან.

ღამისფერ ცხენზე მოსხლეტილი
იჭდა ჰაბუკი,
ვით ვეფხვი, მტერთან შესაბმელად
გამზადებული.

ტანთ თორი ეცვა დიდებულთა
შესამოსელი
და უელავდა მუზარადი
თავზე სამეფო.

რომ გაუსწორდა ჰუმანს, ასე
შესძახა: „ხელო,
გუშინ როგორღაც გადამირჩი
ცოცხალი, მაგრამ

არაფერია, იმედი მაქვს,
რომ აი, ამ ხმლით
ახლავე ისე აგაცალო
თავი მხრებიდან.

რომ სისხლმა შინმა ფეხქვეშ მიწა
აგიტალახოს
და მოგაგონდეს ძველთაძველი
ერთი იგავი,

შვილს რომ შესძახა ნიამორმა
გულვახეთქილმა:
„ეს ველი აწი ხავერდადაც
რომ გადაიქცეს,

მას აქეთ, რაც იქ ძლივს მახისგან
დავიხსენ თავი,
მიხედვაც არ მსურს მისკენ, შენი
იყოს იგიო“

ჰუმანმა ასე უპასუხა
ამაზე პიუანს:
„დაეგლიჯება დღეს ჯიგარი
გივს გულად შვილზე.

ქენაბედის მოის კალთებზე გსურს
შეცვებათ ერთურთს,
თუ რაიბედის მხარეს არჩევ
ამ საქმისათვის?

იქ შორს ვიქნებით და ვერავინ
მოგა მაშველად.
არც ირანელი შეგვიშლის ხელს
და არც თურქიო“.

ბიჟანმა უთხრა: „სანამ უნდა
ვიყბედოთ ასე.
ბრძოლა ბრძოლაა, სადაც გინდა,
იქ დაგხვდებიო!“

მაშინ კი ცხენებს ჰკრეს ქუსლი და
ბული აშალეს
(მშვილდებზე ჰქონდათ გაწყობილი
ისრები უკვე).

მოსისხლე მტრები იყვნენ, ბრძოლას
არეინ უშლიდათ
და დაეძგერნენ ერთუროს სამკედროდ
და სასიცოცხლოდ.

ძირს ჩამოიჭრნენ ქენაბედის
მთის კალთებიდან
და წინ გადაშლილ ფართო ვაკეს
დაადეს თავი.

ერთი ტიალი ველი დახვდათ,
ზედ კაცის შვილი
ჰაჰანებიტაც აღარსად რომ
არ ჰაჰანებდა.

იმ ბარის თავზე ბარს და ძერას
არ გადღვრინა
და ეტყობოდა, ბაბრსაც ფეხი
რომ არ დაედგა.

არც ირანელი ჩანდა ირგვლივ,
არც თურანელი,
შემწედ ვერც ბიჟანს ეწეოდა ვინმე,
ვერც ჰუმანს.

სანამდის ბრძოლას დაიწყებდნენ,
პირობა დადევს:
თარჯიმანისთვის არცერთ მათგანს
ხელი არ ეხლო.

..ის, ვინც ცოცხალი გადარჩება
ორთაბრძოლაში,
მან თარჯიმანზე არ ანთხიოს
რისხვა და ბოღმა.

ვინაშა დაბრუნდეს თარჯიმანი
უქან და მეფეს
უამბოს თვისას ორთაბრძოლა
ვით წარიმართა.

მოუყვეს წვრილად, ბრძოლის ველზე
როგორ ვიბრძოდით
და როგორ სძლია ჩვენგან ერთმა
გმირმა მეორეს“.

როგორც ეს დათქვეს, მაშინათვე
ჩამოქვეითდნენ
და საომარი რკინა ტანზე
მოირგეს კარგად.

შემდეგ კი ცხენებს მოუჭირეს
მოსართავეები,
ერთიმეორის მტრობით ჰქონდათ
აღსავესე გული.

მოახტნენ ჰუნეს, მშვილდ-ისარი
აიღეს ხელში
და გამოვიდნენ ბრძოლის ველზე
მოსისხლე მტრები.

ისე ძლიერად მოზიდული
ჰქონდათ ლარები,
რომ ერთმა წვერმა მეორე წვერს
უწია მშვილდის.

რაც კი ისარი ჰქონდათ, ერთურთს
რომ დააყარეს,
შუბებს ჩაავლეს ხელი და მით
ეძგერნენ ერთურთს.

ეს რომ აქედან უმოზნებდა,
ის იქით ხტოდა
და ტრიალებდა ბრძოლის ველზე
შუბი და კაცი.

ტანზე ჯავშანი შემოაცვდათ
და შემომსხვრათ.
ვინ ვის განგმირავს? ვის უმუხთოლებს
წუთისოფელი?

ხახვამშრალნი ლომებივით
აფჩენდნენ პირებს,
წყურვილის მოკვლა მოენატრათ
და სულის მოთქმა.

გაუდგნენ ერთურთს ცოტა ხანი
და შეისვენეს,
გადაისხურეს ნამი გულის
გიზგიზა ცეცხლზე.

კვლავ ცალი ზელით ხმალს სწედნენ,
ცალით იფარეს ფარი
(მეორედ მოსელა იყო ის დღე,
ბრძოლა კი არა!)

როგორც ღრუბელი აედრიან დღეს —
ქექას და ელვას.
ნაპერწყლებს ჰყრიდნენ ბასრი ხმლები
მუზარადებზე.

ფოლადი რკინას შეერკინა
რკინა კი — ფოლადს
და ამ რკინაში რკინა დარჩა
დამარცხებული.

ალარ მოსდევდათ უკვე ძალი
და არაქათი,
მაგრამ ვერა და ვერა, ბრძოლით
ვერ გაძლნენ მაინც.

როცა მახვილიც შემოემსხვრა
ორივეს ხელში,
გუფალს დაავლეს ხელი და მიი
ეკვეთნენ ერთურთს.

მაგრამ რადგანაც ვერც გუფალით
გახდნენ ვერაფერს,
რალა რჩებოდა ხელჩართული
ბრძოლის თვინიერ.

სახელის შოვნის ან შერცხევის
დრო დადგა, მასზე
მივარდა საქმე, ცხენიდან ვინ
ვის დაითრევდა;

ვის ჰქონდა ღონე, რომ მეტოქეს
სწვდომოდა წელში,
ზე აეტაცა და მიწაზე
რომ გაეწვინა.

იმდენი ქაჩეს ერთმანეთი
აქეთ და იქით,
ორივე ტაიჭს უზანგები
სულ შემოაწყდა.

მაგრამ ცხენიდან ერთმანეთი,
ვერ ჩამოიღეს.
ვერა და ვერა, ვერ აჯობა
ერთმა მეორეს.

მაშინ ჩამოხდნენ ცხენებიდან
მხედრები თავად
და ბრძოლისაგან ცოტა ხანი
მოითქვეს სული.

იქით თარჯიმნებს ეპყრათ მათი
ბედაურები,
აქეთ ესენი ლომებევით
ულრენდნენ ერთურთს.

მანც წამოდგენენ ზოდ
არაქათგაწყვეტილები
და კელავ ლასლასით
გაემართენ ერთმანეთისკენ.

ალიონიდან დაწყებული
შელამებამდე.
არ ეშვებოდა ორი მტერი
ერთიმეორეს.

ასე გაგრძელდა ორთაბრძოლა
და ძგარა-ძგური,
რისხვა და ზოლმა კი ვერა და
ვერ მოიჭამეს.

წყალში ცურავდნენ ტანით,
პირი კი უხმებოდათ
ცალკე-ბრძოლისგან, ცალკე კიდევ
თაქარა მზისგან.

ერთიმეორის შეთანხმებით
შეწყვეტეს ბრძოლა
და წყაროსაკენ გაეშურნენ
წყლის დასალევად.

დაღია წყალი და წამოდგა
ბიყახი ზეზე.
უფალს მიმართა მწყალობელს და
სიკეთის მომცემს.

ჯავრისგან ისე ცახცახებდა,
როგორც ტირიფი,
არვინ იცოდა, ვის რომელი
გადურჩებოდა.

ქვეყნის შემოქმედს შეევედრა:
„პოი უფალო,
შენ უწყი ჩემი განსაცდელი
და ჯასაქირი.

თუ მე ამ კაცთან ამ ბრძოლაში
მართალი ვიყო
და მოდგმა მისი ჭავრის ჩემის
იყოს მიზეზი;

შემეწიე დღეს, მკლავში ღონე
არ დამილიო
და არ დამიხშო აზრი ჩემი
და გონებაო!“

კუჩაინის სიკვდილი ბიძაინის ხალხით

ჯიგარდამწვარი და, ვით ყვავი,
გაშავებული
ჰუმანი წყლიდან გამობრუნდა
გულჭავრიანი.

დაქანცულებმა ისევ ბრძოლის
საქმეს მიხედეს
და ვეფხვებივით შეეტოტნენ
ერთიმეორეს.

ხან თურქი ძლევდა ბიჯანს, ხან თურქს
ძლევდა ბიჯანი,
ხან ერთი იყო ძირს რკენის დროს
და ხან მეორე.

რაც ძალი ჰქონდა კაცის მოდგმას,
სულ დაიხარჯა
და დადგა ჟამი -- საქმე ზეცას
გადაეწყვიტა.

ძალით ჰუმანი სჯობდა ბიჯანს,
მაგრამ რას იზამ
ძალით, ილბალმა შენმა თუკი
ზურგი გაქცაო?!

ეცა ბიჯანი როგორც ვეფხვი
ვეება ჰუმანს,
ქედზე წაავლო ცალი ხელი,
ცალიც — ბარკალზე,

მარცხენა ხელით მოუდრიკა
კისერი დევეაცს,
ხოლო მარჯვენით ფეხი თავთან
მიატანინა.

ზე აიტაცა ჯერ, შემდეგ კი
ძირს დაანარცხა
და მაშინათვე ბასრი ხმალი
ამოიწვავდა.

დაპკრა მახვილი, მოასხიბა
მხრებიდან თავი
და გააგორა ძირს დევივით
ვეება კაცი.

ვაგლახად ეგდო მტვერში მის წინ
ჰუმანის ტანი.
მოთქრიალებდა სისხლი და ველს
რწყავდა წყალივით.

დახედა გმირმა ძირს დამხობილ
თურქს სპილოსტანას,
ტანაყრილ საროს რომ მოჰგავდა
ბალში წაქცეულს.

გაოცებულმა შეაქცია
ძლეულ მტერს ზურგი
და მიაბრუნა პირი ქვეყნის
შემოქმედისკენ:

„ეჰე შენ, უამზე და სივრცეზე
უფრო დიადო,
ზეცის თაღზედაც უსაზღვროვ და
უზენაესო.

შენ ხარ უფალი, სხვა უფალი
არ ჰკიეს ქვეყნად,
ვისაც გონი აქვს, მას ასე სწამს
და ასე სჯერა.

სად მქონდა ღონე მე ასეთი
ურჩხელის ძღვევის,
როგორ შემეძლო, ეს გმირობა
რომ ჩამედინა?!

მაგრამ ბიძების ჩემის სისხლმა
და სიაუშის
შეუძლებელი საქმე, ვხედავ,
შემაძლებინა.

დაე, სულს ჩემსას მონად ჰყავდეს
ჰუმანის სული,
ხოლო სხეული მისი ველზე
ლომშა ათრიოსს!

ჰუმანის თავი უნაგირზე
მიიბა თასმით,
ტანი კი მტვერში ამოთხვრილი,
იქვე დატოვა.

შემოხეული ტანზე ჯაჭვი,
წელზე ქამარი —
შემოწყვეტილი, ტანი ცალკე
და თავი ცალკე!

არ დაიჯერო წუთისოფლის
სიკეთე, არა!
ტყუილად ხელს არ გამოვიწვდის,
რომ იღრჩობოდე.

თავს თვინიერად რომ გაჩვენებს,
მაშინ გიმუხთლებს.
როგორ იქნება, კაცი გულით
მიენდოს ვერაგს!

როცა წავიდა ასე ვისეს
ჰუმანის საქმე,
ორივე ლაშქრის თარჯიმნებმა
ქუსლი ჰკრეს. ჰურანს,

ეახლნენ ბიუანს მოწიწებით
და სცეს თაყვანი
ისე, ვით ჩინში ბრაჰმანი კერპს
ეთაყვანება.

ბიუანმა უკან გაბრუნება
რომ დააპირა,
მაშინ დაცეცხლა: თურქთა სპის წინ
უნდა გაეცლო!

ამდენი მისი მოსისხლე მტრის
შიში მართებდა:
„მიმიხედებიან ბრძოლის ველზე
რაც ჩავიდინე,

შემომეხვევა ეს ამხელა
ლაშქარი თურქის
და ერთი კაცი ამდენ მტერთან
რას გაეხდებო!“

ტანთ გაიხადა სიაუშის
თორი მაშინვე
და გადაიკვა ზედ ჰუმანის
ჯაჭვის პერანგი.

ჰუმანისავე ვეება ცხენს
მოეელო ზურგზე,
ხოლო ხელში კი საკუთარი
დროშა აიღო.

მერე წავიდა და იმ ადგილს
მიაგო მადლი,
სადაც მას ბედმა გაუღიმა
ორთაბრძოლაში.

როცა ჰუმანის კაცმა ნახა,
მთარველი მისი
უკვე ცოცხალი აღარ იყო,
ტანთ გააცია.

მაგრამ ბიუანმა დააშვიდა:
„ნუ გეშინია,
ალთქმა მაქვს შენზე დადებული
და ხელს ვერ გახლუბი!

წადი, დაბრუნდი თურანელთა
ბანაკში უკან
და თქვენიანებს მოუყევი,
რაც აქ ნახეო!“

როცა წავიდა თარჯიმანი,
ქუსლი ჰკრა ტაიჭს
და გაემართა ქენაბედის
ქედისკენ თავად.

როდესაც თურქმა დარაჯებმა
შენიშნეს შორით,
მათკენ მომავალ გმირს თურქული
ჯაჭვი ემოსა,

ხოლო ხელთ ეპყრა ძირს დახრილი
ირანელთ დროშა,
ჰუმანად ცნეს და სიხარულის
ყიყინა დასცეს.

ერთმა დარაჯმა მაშინათვე
ჰკრა ჰუნეს ქუსლი
და ფირანისკენ გაექანა
ნიავექარივით.

ახარა სარდალს: „მეფის ბედზე
ბრძოლის ველიდან
გამარჯვებული დაგვიბრუნდა
გმირი ჰუმანის!

დახრილი არის ირანელი
დევე-გმირის დროშა,
თავად ბიუანი კი მოკლული
მტვერში გლიაო!“

ყოფდა ზარით და ზეიმი
თურანის ჯარი,
მთავარსარდალს კი თავად თქალა
გზაზე ეჭირა.

რა მაქნისა სიხარული,
სასოწარკვეთა
თუ შეცვლის მას და თავს სიკვდილის
სეტყვას დაგაყრის?!

ამასობაში თარჯიმანიც
დაბრუნდა ჯარში .
და საზარელი მოუტანა
თურქებს ამბავი.

ფირანს აცნობეს ჰუმანის, ძმის
მისის, სიკვდილი,
სამეფო ფარრი მოელვარე
დაგვიბნელდაო!

მთელი თურანის სპა მოიცვა
მოთქმამ და გლოვამ,
თავზე ქოლაპი გადიგლიჯეს
თურქის გმირებმა.

დაბნელდა მათთვის ეს ქვეყანა,
ჩაქრა ნათელი,
რამდენიც გინდა, იგმინე და
იტირე აწი!

როგორც კი ორ სპას ჩაუარა
ბიყანმა თვალწინ
და მეფის ტახტის შეაფარა
ჩრდილს ისევ თავი,

მაშინვე გმირმა გულოვანმა
თურქი ლომგულის
ხელთ შავი დროშა რომ ეჭირა,
დაბლა დახარა.

ირახის ლაშქრის დარაჯებმა
ნახეს შორიდან
ბიუანის ხელში ძირს დახრილი
თურქული დროშა;

ფალავნის მხარეს მიიბრუნეს
მაშინვე პირი
და რაც შეეძლოთ, გაჰყვიროდნენ:
გავიმარჯვეთო!

ჰკრა ქუსლი ქურანს მაშინ ერთმა
დარაჯთაგანმა
და ფალავანთან გაეჭანა.
მახარობელად:

„გამარჯვებული დაგვიბრუნდა
გმირი ბიუანი,
მოდის და მოაქვს ძირს დახრილი
თურქის დროშაო!“

შვილის ლოდინში გივი გიყად
იყო ქცეული,
შიშისგან ძრწოდა და დაძრწოდნა
აქეთ და იქით.

„ჩემი ბიუანის ხომ არ იცით
ვინმემ რამეო?“ —
ეკითხებოდა შიშითა და
ვიშვიშით ყველას.

როცა ახარეს: დაგვიბრუნდა
შენი შვილიო!
ბიუანისაკენ გრივალევით
გაიჭრა გივი.

შვილს საღ-საღამათს რომ შეაველო
შორიდან თვალი,
ცხენით ჩამოხდა მაშინათვე,
ვით ეგებოდა.

დავარდა ძირს და შებლათ მიწის
პირი ვახვეტა,
სამართლის გამჩენ ღმერთს თაუკანი
სცა მოწიწებით.

შემდეგ კი გულში ჩაიხუტა
თავისი ვაჟი,
ლომგული ვმირი და ჭაბუკი
ჭკუა დამჯდარი.

მაშინვე აღგნენ და პატივით
და მოწიწებით
მეფის სპასალარს მიაშურეს
მამამ და შვილმა.

როგორც კი შორით თვალი მოჰკრა
სპასალარ პაპას,
მყისვე ჩამოხტა შვილიშვილი
ქურანა ცხენით.

ამოგანგლული ჰქონდა მტვერში
თორიცი და თავიცი,
ჰუმანის თავი უნაგირზე
ება საწყვეტით.

ჰუმანის ცხენი, ჯავშანი და
მოჭრილი თავი
წინ დაულაგა მთაქარსარდალს
ლომგულმა კრძალვით.

ბიჟანის ნახვამ სიხარულით
ისე აავსო
გუდარზი, მოხუცს მიწაზე არ
ელგა ფეხები.

მადლობა უძღვნა ნეტარმა და
სვიანმა პაპამ
ჯერ უფალს, მერე კი — ვარსკვლავს და
ბედნიერ იღბალს.

შემდეგ უბრძანა საგანძურის
მცველს: „ოქროს თაჯი
და სახელმწიფო სამოსელი
აქ მომიტანეთ

(მიწად რომ ოქრო აქვს, ნაყშებად
კი — მარგალიტი);
მზისებრ ელვარე ქამარი და
თაჯი — აქეთო!“

ათი ქურანი,
ოქროს ლაგამამოდებული
და ათიც წელზე
ოქროს ქამარმორტყმული მონა

კალმით ნახატი — ბიქანისთვის
მოაყვანინა.
„ჰე ხეადო ლომო, უძლეველი
ურჩხული ძლიე.

გმირობით შენით გაუმაგრე
ჩვენს ლაშქარს წელი,
ხოლო მტერს გული დაუკოდე
და მოუკალი.

პირგამეხებულ ლომებს გვანან
გმირები ჩვენს
გრიგალის მაგვარ ტაიკებზე
ამხედრებულნი“.

ნესთიქანის მიერ ირანელთაგან მოპარვით
თავდასხვა და მისი მოკვლა

ხოლო ფირანმა შურისგებით
და რისხვით სავსემ,
გული — ლაღარით, თვალი კი — წყლით
ამოკვებულმა

ნესთიქანს კაცი გაუგზავნა
და შეუთვალა:
„ეჰე, ყოველთვის კირში მოძმის
მშველელი გმირო,

გმართებს, საომრად გაიღესო
საჩქაროდ ჰანგი
და ბრძოლის ველზე მოკლული ძმას
შური მიძიო!

ლამით მიპარვით დაესხი თავს
ირანელთ ბანაკს
და მათი სისხლით ჯეიქუნი
ადინე ველზე!

ათიათასი გამოცდილი
და მკლავმაგარი
რკინაასხმული წაიყვანე
ომში მხედარი!

ვინძლო ჰუმანის სისხლი ჩვენს შტრებს
არ შეარჩინო
და მოიმწყვდიო მათი თავი
მარწუხში ღღესო!“

ფირანს მიუგო ნესთიჰანმა:
„ასედაც ვიზამ,
ირანელების სისხლით ველზე
ჯეონს ვადენო!“

როცა დაღამდა და წყვილიაღმა
მოიცვა არე,
თურქთა მხედრობის ძგარა-ძგურმა
ქვეყანა შესძრა.

გეზი აიღეს ირანის სპის
მხრისკენ თურქებმა,
მიაგელვებდნენ ბედაურებს
გულუშიშარნი.

ლაშქარი თვისი ნესთიჰანმა
შურისმგებელი
ირანელების ლაშქრის ახლოს
რომ მოაპარა,

ბიჭრავი იყო უკვე და კარს
მომდგარი. ჯარი
ირანელების სპის დარაჯმა
შენიშნა ბნელში.

დარაჯმა მყისვე გადასძახა
სარდლის მაცნეებს:
„თურანელების ჯარი ჩუმაღ
მოგვეპარაო!“

მაცნეთაც, როცა ეს მოესმათ,
არ დააყოვნეს
და გუდარზისკენ გაექანნენ,
როგორც მართებდათ.

„სპა მოგვეპარა, ვით მდინარე
ადიდებულს,
ისე უჩუმრად. იტყვი, ყველა
მუნჯი არისო!“

მოპარვით თავზე დასხმა რა ღვთის
რისხვას და რა
უნდა ქნა ამ დროს, სპასალარმა
კარგად იცოდა.

მაშინვე ბრძანა ფალავანმა
გუდარზმა: „ფეხზე
დადგეს ახლავე ჯარი და სპა
ფხიზელი იყოს!“

თვალი გექიროთ შტრისკენ. ყური
მიუგდეთ კარგად.
გაიგეთ. თურქი რა მანძილზე
მოგვეახლოა?“

ბიჯანს მოუხმო ამის შემდეგ
მთავარსარდალმა.
ვივის გულად ვაყს, ბრძოლაში რომ
ხმალი უჭრიდა:

ბედის ვარსკვლავი გინათებს შენ
გულის ნებაზე,
სახელის შენის ხსენებაც კი
მტერს გულს უხეთქავს.

რამდენიც გსურდეს და საჭირო
იყოს მხედარი,
ამოარჩიე ჩემს ლაშქარში
ძალგულოვანი

და ჩუმად მოსულ თურანელებს
ლომივით დახვდი,
ისე აღზევდი, ცის სფეროსაც
ზედ მოექცეო!

ბიჟანმაც ჯარში მაშინათვე
ამოარჩია
ათიათასი მეომარი
რკინისმკვნეტელი

და გაეგება ლამით ჩუმად
მოპარულ ლაშქარს,
რათა შებმოდა მომხვდურს
სამკვდროდ და სასიცოცხლოდ.

აღერებული ეჭირათ ხელთ
მეომრებს გურზი,
ზედ მიწის თავზე ბნელი ბულის
ღრუბელი დადგა.

თურქების თავზე ჰაერიდან
ჩამოწვა ჯანღი
და თურანელთა ჯარმა თვალში
ვერ გაიხედა.

გუდარზმა როგორც კი შეატყო,
რომ შავმა ჯანღმა
თურქების ლაშქარს საძრაობა
დააკარგვინა,

ბრძანება გასცა, მოეზიდათ
მშვილდისთვის ლარი!
და საომარი ყიყინის ხმაც
გაისმა ველზე.

ბიჯანი თურქთა თავს, ნესთიპანს,
შემოეყარა
და ვისეს ვაჟის დროშას
როგორც კი მოჰკრა თვალი,

მოზიდა მშვილდი მაშინათვე
და ნესთიპანის
ცხენს განუწონა მომახული
ისარი გულში.

წაიქცა ცხენი და მხედარიც
თან გადიტანა,
თავზე დააცხრა დამხობილ თურქს
ბიჯანი მყისვე.

აღმართა მაღლა მძიმე გურზი
და ისე დაჰკრა,
რომ ნესთიპანმა ტვინი თავით
გამოანთხია.

ასე შესძახა ირანელთა
ლაშქარს ბიჯანმა:
„ყოველი კაცი, ვინც საომრად
აისხამს რკინას

და ხელში გურზს და ხმალს არ იპყრობს
მტერთან საომრად,
მე ვიცი, იმ კაცს მშვილდით ჩემით
რა დღეს დავაყრი!

ეს სახითაა ფერიებს რომ
ჰგვანან თურქები,
თორემ ომის და ბრძოლის თავი
ვინ მისცა მათო!“

მოიცეს გული ირანელმა
მოლაშქრეებმა,
ამოიწვადეს ჭავჭავნი
და მტერს ეტაკნენ.

ჰაერი ზანგის ფერად იქცა,
ისე გაშავდა,
ხოლო სისხლის ზღვას დაემგვანა
ხრიოკი ველი.

ირანელებმა შეუტიეს
სპილოებივით
და ველი თურქთა მოკვეთილი
თავით აიფსო.

ამოწყდა ორი წილი თურქთა
მომხვედური ლაშქრის,
თქერავდნენ ფლოქვით დაკრილ მხედრებს
ბედაურები.

ველარ დაუდგნენ ირანელებს
თურქები, ზურგი
აჩვენეს მტერს და მიაშურეს
თავისიანებს.

ფირანმა ძმა რომ ვერ იხილა
დახეულთ შორის,
თვალთ დაუბნელდა, იმისთანა
ელდა ეტაკა.

ბრძანა მაშინვე, ვინმე ისევე
შექცეულიყო
იქ, სადაც ბრძოლა გადიხადეს
წელან თურქებმა.

„რა დაემართა ჩემს ძმას,
ჩქარა მითხარით, თორემ,
თვალეებს დავითხრი საკუთარი
ხელით აქვეო!“

ერთმა მხედარმა მაშინათვე
გასწია იქით,
ნახა, 'ნესთიპანს რაც მოსვლოდა.
მობრუნდა უკან

და ფირანს აშცნო: „ნესთიპანი
ნაომარ ველზე
სხვა სახელოვან და დიდებულ
თურანელთ შორის

თავმოკვეთილი გდია, როგორც
ვეება სპილო,
გურზის ცემისგან დაქუეილი
აქვს სულ ტანო!“

ეს რომ ფირანმა მოისმინა,
ცეცხლი მოედო..
ხელთ აღარ ჰქონდა თავი, ისე
წახდა სარდალი.

იგლეჯდა თმას და თვალებიდან
აფრქვევდა ცრემლებს,
არც ისვენებდა, არც ნაწილი
მიჰქონდა პირთან.

გაიკრა ხელი, ტანზე კაბა
შემოიხია,
გმინავდა მწარედ და ბლოდა
გულდამდურული.

ასე მოთქვამდა საცოდავი:
„უფალო ჩემო,
შენ შემოგყურებთ სასოებით
შექმნილნი შენნი!

მკლავები მომტყდა, ტანში ჯანი
გამომეცალა,
მზე დამიბნელდა და ჩამიკრა
ბედის ვარსკვლავი.

ძირს დაშხობილან ჩემი ლომის
წამქცევი გმიონი,
ტანად დეგვაცხი და მამაცნი
სახელოვანნი.

სულზე უტკბესი, ძვირფასი და
საყვარელი ძმა,
ვისეანთ გეარის თვალისჩინი,
გმირი ჰქუძანი;

ჩემი მძვინვარე ნესთიჰანი,
ყმაწვილი კაცი,
რომელსაც ვეფხვი, როგორც მელი,
ისე უფროთხოდა.

ვინ უნდა იყოს ბრძოლის ველზე
მათი შემცველელი,
ვინ გაუძღვება თურანელთა
ჯარებს აწიო?!"

ჰკრა ყვიროსტვირი და სპილოზი:
ქოსი დააბა,
ცა ლილისფერად იქცა, მიწა
კი — აბანოზის.

ძირს ჩამოვიდა ქენაბედის
ქედით ლაშქარი
და დააბნელა მზე და მთვარე
მტვერმა და ბულმა.

ჩაბერა საყვირს ირანელთა
ლაშქრის სარდალმა,
აჰყარა ჯარი და საომრად
გააწყო ველზე.

ქავიანთ დროშა ელვარებდა
ლაშქრის შუაში,
წინ კი იისფრად ლაპლააებდნენ
შიშველი ხმლები.

ყველას, ვინც იყო სპაში მქონე
სახელის, ხელში
შუბი ეპყრა და ხარისთავა
გურზი ეკიდა.

გამთენიისას რომ ჩაებნენ
ცხარე ბრძოლაში,
არ ჩაუგიათ ხმალი დღის და
ღამის გაყრამდე.

მხოლოდ საღამოს დაუბრუნდნენ
თავ-თავის კარვებს
ერთი მეორის მტრობის ბოღმით
მთვრალი მხედრები.

თავად გუდარზი გაემართა
რაიბედისკენ.
ფიქრებში იყო გახვეული
მთავარსარდალი.

გულში ამბობდა: „ცხარე ომი
გადავიხადეთ,
თურანის ლაშქრის მრავალ სპის თავს
მოვკვეთეთ თავი.“

ასე მგონია მე, ფირანი
დაუყოვნებლივ
თურანის მეფე აფრასიაბს
კაცს გაუგზავნის

და მაშველ ლაშქარს თხოვს მას
ჩემთან კვლავ შესაბამელად.
მეც ჩემს ხელმწიფეს მაშველი სპა
უნდა ვთხოვო!“

ფირანის წერილი გუდარზისადმი

ირანის მეფის ლაშქრად წასვლის
ამბავი მალე
მიურბენინეს ფირანს ბრძოლად
გასულს გუდარზთან.

შეშინდა თურქი და დაიწყო
იმაზე ფიქრი,
ამ ხიფათიდან
თუ რა ფანდით დაეხსნა თავი.

დასტური ჰყავდა გონიერი
და მისი რჩევით
ფირანმა ასეთ თვალთმაქცობას
მიმართა ახლა:

მდივანი იხმო და უბრძანა
მას, შეედგინა
გულდარზის თვალის ასახვევი
ერთი წერილი.

წერილის თავში იაზღანო
იყო შესხმული,
ის, ვინც იფარავს კაცის მოდგმას
აგი სულისგან.

წერდა: „შემოქმედს სხვას არაფერს
ვთხოვ ქვეყანაზე
და საწადელი არაფერი
არ გამაჩნია

გარდა იმისა, რომ თქვენსა და
ჩვენ შორის ერთხელ
და სამუდამოდ აღმოიფხვრას
მტრობა და შური.

შენ რომ გულდარზი ხარ, ამ ქვეყნად
თუ ის გეწადა,
რომ დაგეთესა კაცთა შორის
ქიშპობის თესლი,

აღსრულდა გულის შენის ნება,
რა გინდა მეტი:
შევბმიფართ ომში ერთურთს სამკვდროდ
და სასიცოცხლოდ.

1
აბა შეხედე. თუ რამდენი
ლომგული გმირი,
უახლოესი ხათესავი
მათ შორის ჩემი,

განგძირე შენ და კვამი მათი
აგორე მტვერში!
ქვეყნის შემქმნელის არც შიში გაქვს,
არც შორიდება.

არ იცი, რაა სიყვარული,
ხოლო ვონებას
ზურგი აქციე, ხომ იზოვე,
რასაც ეძებდი?!

დადგა დრო, აწი მაინც მტრობის
დაიცხო უინი,
მოეშვა ომებს და ამდენი
სისხლის სმით გაძლე!

აბა დათვალე, თურანელი
თუ ირანელი
რამდენი კაცი დაიღუპა
ამ ჩვენს ბრძოლაში!

მოვიდა ქაში, გულქვავ. შენც რომ
მოიღბო გული,
ხელი აიღო რისხვისა და
ბოლმის ნთხევაზე!

დიდის ხნის მკვდრების შენის
სისხლის ალების მიზნით
სანამდის გინდა, უცოდველი
ცოცხლები ხოცო?!

რაც გარდასულა, ის ხელახლა
არ მობრუნდება,
მაშ შურისგების და ომის თესლს
რად თესავ ქვეყნად?!

სულს ნუ წარიწყმედ და ხორცს ენებას
ნუ მიაყენებ,
აილე ხელი კაცის კვლაზე
და სისხლის ღვრაზე!

სიკვდილის შემდეგ ზიზღით ელის
ხსენება იმ კაცს,
ვისაც დაურჩა ამ სოფელში
ცუდი სახელი.

როდესაც თავზე კაცს შავი თმა
თეთრად ექცევა,
დიდი იმედი აღარ რჩება.
ქვეყნად დარჩენის.

მე იმას ვშიშობ, ირანის და
თურანის ჯარი
თუ ერთხელ კიდევ დაეტაკა
ერთიმეორეს,

ცოცხალი არვინ გადარჩება
არც ერთი სპიდან,
სული დაგვტოვებს, ხოლო მტრობა
კვლავ იბოგინებს.

მაშინ ვინ იტყვის, თუ ვინ არის
გამარჯვებული
ან დამარცხებულს იმათ შორის
ვინ გამოიცინობს?

მაგრამ შენ თუკი ისევ სისხლის
გწადია დაღვრა
და გინდა, ბრძოლა გამიმართო
მაინცდამაინც:

თუ გინდა ომში გადაეშვა,
ვით ხვადი ლომი:
ირანისათვის გასურს, ეს საქმე
მოიმოქმედო,

ახლავე უნდა მითხრა, რადგან
დაუყოვნებლივ
მე კაცი უნდა გავავზავნო
აფრასიაბთან,

რომ დაგიბრუნოთ მიწა-წყალი
თქვენ თქვენი ისევ
და ჩვენს ქიშპობას სამედამოდ
ბოლო მოედოს.

სად მანუჩეჰრის ხელმწიფობის
დროს გქონდათ მიჯნა,
სამეფოს თქვენსას იქ დაუღლებთ
ჩვენც ზღვარს და სამანს.

დაადე ხელი ნებისმიერ
ირანულ ქალაქს
და თურქებისგან დაგიცლი მას,
როცა ინებებ.

ნაშენი არის თუ უშენი,
რასაც ისურვებს
ქაიხოსროვი, იგი ირანს
დაუბრუნდება.

უპირველესად ირანიდან
მთებზე ამოვალთ
მოყოლებული ღერჩით, ვიდრე
ბოსთის თემამდე.

კვლავ: თალეყანის მხარეს ზღვრამდე
ფარიაბისა
და მასთან ერთად მთელს ანდარაბს
თქვენ დაგილოცავთ.

ხუთი ქალაქი რჩება კიდევ
ბაიანამდე;
კვლავ: ქაიანთა მკვიდრი მიწა,
ირანის ზღვარი;

აყვავებული მხარე, რომელ
მხარესაც შევემ
თქვენი ქვეყნისამ გუბქერანი
არქვა სახელად;

მხარეს ბალხიდან მოკიდებულს
ბადახშანამდე
(ისიე ირანის სამეფოში
რომ შედიოდა);

კვლავ: ამის ქვემო მხარეს ამუს
ველით ზემამდე
(მთელი ხათლანი მიგვითვისა
მისთვის აგრეთვე);

შუნგანის მიწას, ვისეგარდს და
მთელს თერმეზის თემს:
ბუხარას მისი აბლომანლო
ქალაქებითურთ;

ყველა ამ მხარეს სოღღის მიჯნის
დასაწყისამდე
თქვენ დაგიბრუნებთ და მეტს აღარ
შეგეცილებით.

ხოლო ნიმრუზი კი, როსთამის
სამშობლო კუთხე,
ისევ და ისევ თავის მფლობელს
დაუბრუნდება.

ჯარს გამოვიყვან იქიდან მე,
დავცლი იმ მხარეს
და ლაშქარს ჩემსას
დავხევ წიალ აღმოსავლეთის.

ინდოეთამდე თქვენ. დაგრჩებათ,
რაც კი ოდესმე
გქონიათ. აღარ მსურს კვლავ გულღრძობ
კაცს შეძახოდნენ.

ქაშმირის მხარეს, ყანღარის
თემს და ქაბულის
სანახებს სინდის ქვეყანასთან
ერთად თქვენ მოგცემთ.

აქედან ვიდრე ყაფის მთამდე
რაც ქვეყნებია,
ბრძოლის გარეშე ჩაბარდება
ირანის მეფეს.

ის მხარე, სადაც ლაშქრად არის
ახლა აშქაში,
ირანისათვის დამითმია,
გქონდეთ და მართეთ!

როცა ყველაფერს ვიზამ იმას,
რაც ჩამოვთვალე,
სადაც კი ჭარი მყავს ირანში,
უკან გავიხმობ.

ფიცით დაგიდებ პირობას, რომ
ამიერიდან
ავისმლომელი არ ვიქნები
არასდროს შენი.

თავადაც იცი, მე სიმართლეს
მივსტევედი მუდამ,
სიყვარულის და ერთგულების
კაცი ვიყავი.

შევუთვლი მეფე აფრასიაბს,
ამიერიდან
რომ აღარ მიდევს გულში მტრობა
და სიძულვილი.

შენც ასე ჰქენი: გაუგზავნე
ირანის მეფეს
წერილი და რაც მე მოგწერე,
შეატყობინე.

თუკი შენ ამ ჩემს კარგი გულით
ნათქვამს ირწმუნებ
(ომი და სოსხლის ღვრა რომ აღარ
გწაღია მეტი).

მას შემდეგ, რაც ჩვენ დაზავების
პირობას შევკრავთ:
რასაც ირახის მეფე ხარკად
მოითხოვს ჩემგან,

მივართმევ, ერთი ღრამიც რომ არ
აკლდება ისე,
თურახელეზის მტრობის ოღონდ
კარი ჩაქეტოს.

ხარკს ხომ მივართმევ და შგართმევ,
როგორც ეგების,
სართად მძევლებსაც კავეცხავნი
ხელმწიფეს თქვენსას.

სულით და გულით შეკეცკრებით
და მტრობას ჩვენსას
ერთგულების და ძმობის ხელთ
ავებამ თვალებს.

ვერავი სელმის და ავგული
თურის ბაალია,
რომ დიდი მეფის ღროს ერთმანეთს
ჩამოვცილდით ჩვენ.

ფარიღუნ მეფეს სწორედ იმათ
მოუკლეს გული,
როცა ირაჯი წუთისოფელს
გამოასალმეს.

კიდევ რაც გახადეს, მოითხოვე
კეთილი გულით.
შემდეგ კი მეფეს ეს ამბავი
შეატყობინე.

ამას რომ ვშერბობი, ან კტობოს
ვინმე ლიტონ კაცს,
მაიძულებდეს ამას ჩემი
სოსუსტე თითქოს.

მე სიყვარული მიკარნახებს
ასეთ საქციელს,
სიკეთე მინდა, ამისთანა
ვარ და რას იზამ!

შენზე მეტი მაქვს მე სიმდიდრე,
ხალხიც მეტი მყავს,
ვაუქაცობითაც შენზე უფრო
მე ვარ ქებული,

მაგრამ ეს მტრობა და ქიშპობა
ურთიერთშორის,
ეს ერთმანეთის დაუნდობლად
სისხლისღვრა მუდამ,

გულს მითანაღრებს მე, მალონებს
და მაიძულებს,
ვეცადო საცდელს და ჩვენ შორის
აღმოვფხვრა მტრობა.

ესეც არ იყოს, შემოქმედის
ჩვენის წინაშე
რომ ვცოდავთ, ვიცი და ამისი
შიშიც მაქვს გულში.

არ მოგვიწონებს ასეთ ქცევას
განმსჯელი ჩვენი
და ეს ქვეყანა სულ უბრალოდ
გატალღდება.

კეთილი გულით ამ ჩემს ნათქვამს
თუ არ მიიღებ
და მაიძულებ, განვაახლო
სისხლისღვრა ისევ,

მე უცოდველ კაცს ცოდვილიანს
თუ გამომიყვან,
რასაც მე გირჩევ, იმას თუ ყურს
არ ათხოვებ შენ;

თუ არ გაარჩევ მრუდს და მართალს
ერთმანეთისგან
და გულში მხოლოდ ქიშპობას და
მტრობას ჩაიდებ,

გამოარჩიე ირანელთა
ლაშქარში მაშინ
ლომგულნი, მძიმე გუბზის ქნევა
რომელთაც ძალუძთ.

მეც ასე ვიზამ, ჩემი სპიდან
მეც ამოვარჩევ
გმირებს, რომელთაც გული ერჯის
ორთაბრძოლისთვის.

გამოვიყვანოთ და შეევაბათ
ისინი ერთურთს,
ერთიმეორეს შევეარკინოთ
ლაშქრისთავეები.

ბოლოს მეც და შენც
დავეტაკოთ ერთიმეორეს,
ორთაბრძოლაში ერთმანეთზე
ვანთხიოთ რისხვა.

იმათ კი, ვისაც ჩვენს მტრობაში
არ უძღვის ბრალი,
ასეთ ბრძოლას და თავგანწირვას
ნუ დავაძალეობთ.

შენ ვისი ბოღმაც ჩაგარჩენია
გულში თურქთაგან
ან შენ წინაშე დამნაშავედ
ვისაც მიიჩნევა,

მითხარი და მას გამოგიყვან

ორთაბრძოლაში.

მაგრამ ახლავე უნდა მივცეთ

ერთმანეთს სიტყვა:

თუ ამ ბრძოლაში შენ გვაჯობე,

ჩვენ თუ დავმარცხდით

და ზურქთა გმირთა თუ დაემხო

ილბალი პირქვე,

სპას ხელს ნუ მიხლებ, ერთიანად

ნუ ამომბეუგავ

და ნუ ამომთხრი ძირიანად

და ფესვიანად.

მიეცი ნება მას, დაბრუნდეს

თურანში ისევ,

ნუ ჩაუსაფრებ გზაში კაცს და

ნუ გამიფუქებ.

ხოლო ასევე: თუკი შენზე

მე გამიმარჯვა

ვარსკვლავმა და თუ შენ დარჩები

დამარცხებული,

შენს მოლაშქრეებს ხმას არ გავცემ

მე უბატონოდ.

თითსაც არ ვახლებ და ჩემს რისხვას

არ ვანთხევ მათზე.

ირანში მივცემ წასასვლელ გზას

და მეფეს თქვენსას

ლაშქარი თვისი უვნებელი

დაუბრუნდება.

არ წასტკივდება ჩვენგან თქვენში

ერთ კაცსაც ფრჩხილი,

სულიც შერჩებათ და ქონებაც,

სალ-სალამათებს.

ხოლო თუ ასეთ ორთაბრძოლას
არ ისურვებ შენ
და სხვანაირად გინდა, ბრძოლის
ქინი მოიკლა;

ასე ექნათ, ჭარი ჭარს შევაბათ
და ომი იყოს,
არც აქ დაეიხვე უკან, მზად ვარ
და გელოდები!

მაგრამ რაც სისხლი დაიღვრება
ამ სასტიკ ომში,
ამაზე პასუხს იმ სოფელში
შენ მოგვითხავენ!“

შეკრა წერილი და დაბეჭდა
იგი თუ არა,
თავისი ვაჟი საყვარელი
ინჰო ფირანმა.

ჰყვა ვაჟიშვილი ლაშქრის ერთი
სარდალთაგანი.
ამ რეალისტანა ვაჟს სახელად
რუინი ერქვა.

როცა ეახლა შვილი, უთხრა:
„ბუღარზთან წადი,
წიგნი მიაართვი და პასუხი
მომიტანეო!“

რუინმა ათი ცხენოსანი
კაცი იახლა
და გაემართა მკშინათვე
გუღარზისაკენ.

ჰენებ-ჰენებით იარა სულ
და ირანელთა
ფალავნის სარაფარდის ახლოს
ჩამოხდა ცხენით.

როცა გუდარზი დაინახა,
ხელები გულზე
დაიწყო გმირმა და დახარა
ძირს მის წინ თავი.

წამოხტა ზეზე ფალავანი
და მაშინათვე
გულში ჩაიკრა მოციქულად
მასთან მოსული.

ჯერე ფირანი მოიკითხა,
მერე სპა მისი,
შემდეგ ხელმწიფე მათი, ბოლოს
ქვეყანა თურქთა.

რუინმა გუდარზს ჩააბარა
ფირანის წიგნი
და რაც ზეპირად დააბარეს,
ისიც აუწყა.

გუდარზმა მდივანს უხმო წიგნის
წასაკითხავად,
მდივანმაც მყისვე შეასრულა
სარდლის ბრძანება,

თურქთა სპის თავის ტკბილი სიტყვა,
კეთილი ოჩევა,
ღამოყვრებისთვის გამოწვდენა
თავისი ხელის,

რასაც თვალთმაქცად თავაზობდა
ირანელთ სარდალს
თურქი სარდალი, გუდარზს გულზე
არ მიეკარა.

ასე მიმართა ფალავანმა
თურქთა მოციქულს:
„ჰე მთავარსარდლის ვაჟიშვილო,
კარგო ქაბუკო,

უპირველესად გიმასპინძლოთ
უნდა, წესია,
ხოლო პასუხის წიგნი შემდეგ
უნდა მოგცეთო“.

დაუდგეს სტუმარს სარაფარდა
ახალთ-ახალი
და დიდებული სახალვათო
გაუმართეს შიგ.

ფიქრებით იყო დატენილი
ფალავნის გული.
იჭდა გუდარზი და ორივე
წინ ეჭდა მრჩეველად.

შემდეგ წერილის დაუწერეს
პასუხი ფირანს,
შიგ სულ აწონილ-დაწონილი
სიტყვები ჩასვეს.

თან ქეიფობდა ერთი კვირა
ღვინით და ჩანგით,
თან იმ წერილის შედგენაზე
ფიქრობდა გმირი.

ხოლო როდესაც მზე, ამ ქვეყნის
მანათობელი
მრევლებოდა ზეცის ტატნობს,
გუდარზი ისევ

ღვინით და ჩანგით და მეჩანგით
იწყებდა ქეიფს
და პატიუობდა ამ ქეიფზე
თურქთა მოციქულს.

გუდარჯის პასუხი ფირანის წერილზე

ასე გავიდა ერთი კვირა
და როცა მერვე
დილა გათენდა, მწიგნობარი
იხმო გუდარჯმა.

უბრძანა მდივანს, დაეწერა
წიგნის პასუხი
და ქიშობის და მტრობის ნერგი
დარგო ხელახლა.

წერილის თავში ჯერ აფრქვევდა
ქება-დიდებას,
ხოლო შემდეგ კი ფირანის წიგნს
უპასუხებდა:

„წერილი შენი წავიკითხე
თავით ბოლომდე
და რასაც იქ მწერ, გულისყურით
ავწონ-დავწონე.

რუინმა შენი მოგვიტანა
შემოთვლილობა,
ისე გადმოგვცა ყველაფერი,
ვით დააბარე.

მაგრამ მათცებს, სწორი გითხრა,
მოქცევა შენი,
ასე ტკბილად და ასე რბილად
რომ მსჯელობ, მიკვირს.

ენა და გული შენი ერთურთს
არ მეზობლობენ
და სული შენი აზრს და ჭკუას
არ ეთანხმება.

ასე გჩვევია, — ყოველ დროს და
ყოველ საქმეში,
სულ ლამაზ-ლამაზ სიტყვებს აფრქვევ
ხოლმე პირიდან.

შენი ამბავი ვინც არ იცის,
აბრეყვებ ამით
და თავს აყვარებ ზოცვით კიდევ
ვულუბრყვილო ხალხს.

შენ ხაშურ მიწას ვავეხარ, ხვალში
შორიდან თეთრად
ტბორს რომ გვაჩვენებს, როდესაც მზე
აქერს ხაიოკზე.

მაგრამ ხრიკის და ოინის დრო
არ ვვაქვს ჩვენ ახლა,
ქამანდის სროლის დროა, ვურზის
და შუბის ქნევის.

შენთან მე ომის ვარდა არ მაქვს
სხვა საქმე რაჟე,
ლაპარაკის და პასუხის დრომ
მოგკამა ქირი.

შენგდე, როგორ დაგვიბრუნდა
ცარგვალი თავზე,
ვერას გავხდებით დამოყვრებით
და მოტყუებით!

ახლა იმაზე მიდგა საქმე,
ქვეყნის შემქმნელი
ვის მისცემს ძალას და ბრძოლაში
ვის გაუმარჯვებს.

მაგრამ წერილზე პასუხს გიწერ
და მოისმინე,
კეთას მოუხმე და ბედს თხოვე,
რომ დაგიფაროს.

პირველი რომ გეწერ, მეო კაცთა
მოყვარულ გულში
მეორედ მოსვლის და იზადის
შიში მიღვასო;

რომ იფიცები, მომაბეზრა
თავი ომებმა,
სულ კაცის კვლამ და გურზის ქნევამ
დამაღონაო,

როცა ამ სიტყვებს წარმოსთქვამდნენ
შენი ბაგენი,
გული და ენა შენი ერთურთს
არც კი იცნობდნენ.

შენ რომ სამართალს მართლა ასე
გულით თესავდე,
არ გაგისწრებდა, ხელო, ხელი
სისხლის საღვრელად.

პირველად გივი გეახლა შენ,
დიდებულებში
საჩინო კაცი და მხედრებში
რჩეული გმირი.

კეთილი გულით, კარგი რჩევით
და სათნო ზრახვით
მშვიდობისაკენ მოგიხმობდნენ
დიდებულები.

შაგრამ შენ ყურად არ იღე ეს,
ომს დაეშურე
და თურანიდან ირანამდე
მოასხი ჯარი.

იარალისკენ შენ წაიღე
პირველმა ხელი,
შენ წამოჰყარე სპა ირანის
დასალაშქრავად.

დღეს კი მოეგე ჰკუას დღემდე
ჰკუაზე მწყრალი,
ახლა დაგიცხრა გული დღემდე
გაფიცებული?

მაგრამ ბუნება ისეთი გაქვს,
ავი და შავი,
წესიერ გზაზე არასოდეს
არ გაგატარებს.

შენს გვარს და ჯილავს ეს სიავე
თავიდან მოსდგამს
და საკვირველი არც კი არის,
ასეთი რომ ხარ.

გსმენია, ირაჯს ტანტისა და
გვირგვინის გამო
როგორ უმუხთლეს ღვიძლმა ძმებმა:
სელმმა და თურმა.

სელმმა და თურმა დასაბამი
მისცეს სიავეს,
უსამართლობა და სიავე
განავრცეს ქვეყნად.

გულდათუთქული ფარიდუნის
დღისით თუ ღამით
მისი მკვლელების წყევლასა და
კრულვაში იყო.

ირაჯის სისხლი მანუჩეჰრმა
იძია ბოლოს
და სამართალი განაჩინა
ფარრით მიწაზე.

ავი ქნა თურმა და სიავე
თვისი ზღო თავად.
ამ ამბის შემდეგ კარგა ხანი
გავიდა კიდეც.

თქვენს ჭკუამოკლე დიდკაცთ შორის
ავის მოქმედი
ვინმე თუ იყო, თურანელთა
ხელმწიფე იყო.

აფრასიაბი ჯერ მანუჩეძის
გადაეკიდა,
შემდეგ ნავზარს და ქაიყობადს
დაუწყო მტრობა.

მაგრამ ყველაზე საშინელი
დღე ქაიქაოსს
დაათენა მან, ირანს თავზე
ბული აღინა.

მან დაანთხია სიაუშის
უმანკო სისხლი
და განაახლა მტრობა ჩვენი
გახელებულმა.

ახლა რომ ყვირი: სამართალი,
სამართალიო! —
მაშინ სად ეგდე, უსამართლოდ
რომ მოკლეს იგი?

რამდენი გმირი, ირანელი
გვირგვინოსანი
ამის შედეგად ვაჩალებულ
ომში დაეცა!

ეს ერთი. ახლა რომ მწერ კიდევ:
ამ ქალარა ვაცს
სანამდე გინდა, გესხას რკინა
და სისხლს ღვრიდო? —

მაშ ეს იყოდე, ქვებუდანავ
მრავალნაცადო,
გამოჩევილო ქვეყნის ათას
ჭირსა და ლხინში:

მე იზდანმა ასე დიდხანს
მიტომ მაცოცხლა
და იმისათვის აღმაზევა
ამ ქვეყანაზე,

რათა ომის დროს იმისთანა
დღე გავუთენო
თურანს, რომ ბული იმის თავზე
ცად ადიოდეს.

მე იმას ვშიშობ: ვაი თუ მან
არ დამაცალოს
და ამომხადოს მანამდე მე
პირიდან სული;

არ დამაცალოს გულით თქვენი
ჯავრის ამოყრა
და მიწა-წყალი თქვენი ფეხით
არ მათელინოს!

მესამე: რომ მწერ: იაზდანის,
წმინდათა წმინდის
შიში და კრძალვა რომ არ მიღევს
ვითომდა' გულში,

არ ვიცი ბრძოლად ატეხილმა,
სისხლის დაქცევა
ბოლოს და ბოლოს თავად ავად
ვით გარდამხდება,

ვთქვათ და ვერწმუნე შენს ყბედობას,
დაგყევი ბრიყვად,
თავი ვანებე ომს და უკან
დაებრუნდი სახლში,

განკითხვის ეპი რომ დადგება
და გამკითხველი
რომ გამომკითხავს, რა მოხდა და
ვით მოვიქეცი,

არ მეტყვის განა: ვაუკაცობა,
ძალა, სარდლობა
მოგეცი, ჭკუა და სიმდიდრე
არ დაგამადლე,

შენ კი რა ჰქენი? სიაუშის
უმანკო სისხლის
მაძიებელმა არ აისხი
ტანზე რკინაო?!

რომ მკითხავს ქვეყნის შემოქმედი
სამართლიანი:
სამოცდაათი შვილის შური
ვით იძიეო? —

რა ვუპასუხო ჩვენს შემოქმედს,
შურისგებაზე
რატომ ავიღე ხელი ასე
უეცრად მეტქი?

მეოთხე: თავად სიაუშის
სისხლის აღების
შესახებ რომ მწერ, თურანელთა
ბერო სარდალო,

გამო გვამის, უკვე მიწად
და მტვრად ქცეულის
ცოცხალ კაცს სული ამოხადო,
არ ეგებისო! —

მაშ, გაიხსენე, თუკი შეძლებ,
ყველა სიავე,
ყველა წვალეზა, ყველა ვნება
და ყველა სნება,

ირანის მიწას რაც უნახავს
თურქებისაგან
და მეფეთ ჩვენთაც მათგან თავს რა
გარდახდენიათ!

სიტყვის გატეხა იყო, მტრობა,
შურისგება თუ
სხვა რამ სიავე, არაფერი
გითაკილრათ.

ამას ყველაფერს რომ ვიგონებ,
ვით დაგეზავო,
როგორ გემოყვრო კარგის მუდამ
ბოროტად მქცეველს?

მეხუთე: მძევლებს რომ მთავაზობ
და იწერები:
თურქ თავკაცთ მოგცემ მეგობრობის
საწინდრად ჩვენის;

ირანის მეფეს გადაეუხდი,
რამდენიც გნებავს,
იმდენ ხარაჯას, ოლონდ ხიფათს
ავერილოთო, —

აი, რას გეტყვი ამის გამო,
თურქთა სარდალო:
ჩემი მეფისგან მე ასეთი
არ მაქვს ბრძანება!

ომი მიბრძანა მან მე თქვენთან
და არა ზავი,
უნდა ვანთხოო სისხლი მეფის
სისხლისმნთხველთა!

ხელმწიფის ჩემის ბრძანებას რომ
გადავიდე მე,
ქვეყნის მეუფის წინ სირცხვილით
სულს რა მოუვა?!

თუ შენ იმედი გაქვს იმისა,
რომ მეფე ჩვენი
ამ შენს ნათქვამზე მოწყალებით
მაინც მოგხედავს,

ლეჰაქს და რუინს ჩააბარე,
ხოსროვის მონას.
მძევლები თქვენი და ის ხარკიც
მათ გაატანე.

ისინი ჩვენს შაკს გაუგზავნე
დაუყოვნებლივ.
მე არ დაგიშლი, გზა ხსნილი გაქვს
ირანისაკენ.

მეექვსე: ჩვენი ქალაქები
გაქვს ჩამოთვლილი,
თქვენს აყვავებულ და კეთილად
ნაშენ მიწა-წყალს

დაგიბრუნებთო ყველას უკან,
რომ იწერები
და რაც ჯარი მყავს იქ; მას აქეთ
გამოვიხშობო, —

ეს იაზდანის შემწეობით
ალარ გვჭირდება,
ჯერ თუ არ იცი, შეგიძლია,
ახლა გაიგო,

რომ დასაგლეთვის მხარეს ხაზართ
ქვეყნის მიჯნამდე
ლოპრასბი მართავს უკვე,
გმირი ძლევა მოსილი.

ხოლო ნიმრუზი თვითონ სინდის
სანახებიტურთ
ბერძნულ აბრეშუმს რომ მიაგავს,
სისხლით მორწყული,

დაიმორჩილა გმირთა გმირმა
როსთამმა ჩვენმა,
მეორედ მოსვლა გაუთენა,
ვინც წინ აღუდგა.

ინდოთ თავები მათი შავი
ღროშის თანხლებით
ირანის ჰეფეს გაუგზავნა
ზაალის ვაჟმა.

რაც შეეხება დაჰესთანს და
ხორეზმის მხარეს,
რომელიც თურქებს ჩაუფარდა
ოდესლაც ხელში

და ისე უღვთოდ გადათქერეს
და გადაჭეგეს,
პირქუშ უღაბნოს დაემგვანა
იქაურობა, —

აშქაშმა შიღეს რისხვის სეტყვა
აყარა თავზე
და მიიყვანა ის სიკვდილის
პირამდე თითქმის.

ტყვე უამრავი და ნადავლი
აუარება
გამოუგზავნა მან იქიდან
ირანის მეფეს.

აქ კი მე და შენ ვეომებით
ერთიმეორეს,
უნდა შევიბნეთ მალე სამკვდროდ
და სასიცოცხლოდ!

შენ ომი ჩემი არაერთხელ
გინახავს, მგონი,
ჩემს დევგმირებსაც არ იცნობდე,
არა მგონია.

ხოლო თუ ახლა ბრძოლის ველზე
გამოხვალ, ბარემ
გიხსნი ამდენი უმაქნისი
ლაყბობისაგან,

უფლის შეწევნით და ხელმწიფის
ჩემის ბრძანებით
სისხლის მორევად გადავაქცევ
ბრძოლის ველს მალე.

ჰე ლაშქრის დიდო ფალავანო
სახელოვანო,
შეხედე, მზე და მთვარე როგორ
ბრუნავს ჩვენს თავზე?

უნდა გარდაგვხდეს ერთხელ თავზე
გარდასახდელი.
თურქების ბედი მარწუნშია
გამომწყვდეული.

შეხედავ აგერ, შენი ბილწი
ბუნების გამო
ქვეყნის შემქმნელმა ახლა თავზე
რა ღლე გაწიოს!

უკვე დამდგარა ეამი, ბოროტს
ძლიოს კეთილმა.
და აეს მიეზლოს სიავისთვის
სამაგიერო.

გირჩევ, დაფიქრდე, უგუნურო,
მოეგო ჭკუას
და გონიერთა სიტყვას კარგად
დაუგდო ყური!

როგორ გგონია, ეს ასეთი
ვეება ჭარი,
ასიათასი მეომარი
ხმალამოწვდილი,

ყველა გულადი და მტრის თავზე
რისხვის მნთხეველი,
რა უნდა მოხდეს, რომ უომრად
დაბრუნდეს უკან!

მეშვიდე: ისე მოგაჭვეს თავი.
თითქოს პირობის
შენის მინდობა ხამს და გვაძლევ
პირობას კიდევ.

შენთან რაიმე პირობაზე
მე არ წამოვალ,
რადგანაც სული შენი სიბრძნეს
არ ეტანება.

ყოფილა განა, რომ მიგეცეს
ვინმესთვის სიტყვა
და სიტყვა იგი მაშინათვე
არ გაგეტეხოს?!

პირუმტკიცობით სიაუში
მოგვიკლეს შენით.
ის ღმერთმა ნუ ქნას, შენს ფიცს კიდევ
ვინმე მიენდოს!

ქამს განსაცდლისას მარტო დარჩა
ის უსაშველოდ,
თუმცა გიხმობდა განწირული
ხმით: მიშველეო!

მერვე: რომ ბრძანებ, ვაეკაცობით,
ტახტით და თაჯით,
აგრეთვე ბედით, შენზე ვარო
აღმატებული;

სიმდიდრეც შენზე მეტი მაქვს და
ჯარიც მეტი მყავს.
მაგრამ საწყალი გულის ვარ და
ეს მაკავებსო.

მე კი, ფირანო, ასე მახსოვს,
შენ არაერთხელ
გამოგიცდივარ ომში და ვინც
ვარ, კარგად უწყი.

თუკი ბრძოლაში არ ვახსოვარ
გამარჯვებული,
მაშინ რას ვიზამთ, ხელახლა ხამს,
რომ გამომცადო.

ბოლოს რომ მიწერ: ვაჟკაცებში
რამოდენიმე
ამოარჩიე კაცი ომში
შეუპოვარი,

მეც ჩემს ლაშქარში ამოვარჩიე
გულოვან თურქებს
და რკინისმკვნეტელ მხედრებს ჩემსას
გამოვიყვანო, —

მე სიყვარული მამოძრავებს
და არ მწაღია,
მთელი ლაშქარი ომისათვის
გაეიშეტო.

მოწყალე გულის და კეთილი
ზნის კაცი ვარო,
გვარწმუნებ, მაგრამ ვინცა ხარ შენ,
ჩვენ კარგად ვუწყით.

ქვეყნის მფლობელი განრისხდება
ხელმწიფე ჩემი,
თუკი უომრად დაგშორდები
და ისე წაეალ.

მეცხრე: რომ მითვლი, მეომარი
გამოიყვანე,
რომელიც ჩემთან ორთაბრძოლას
გაბედავდესო;

რომ მთხოვ, შენს სპაში შევარჩიო
ფსეთი კაცი,
რომლისაც ჯავრი მე მჭირს გულში
და მას შევება, —

არ მომცემს ნებას მე ირანის
მეფეთა მეფე,
რომ ვინმე თურქზე ამნაირად
ვიყარო ჯავრი.

უპირველესად ასე უნდა
მოხდეს: ჩემი და
შენი ლაშქარი დაეტაკოს
უნდა ერთმანეთს!

ორი ლაშქრიდან ორი მწყრივი
უნდა გამოდგეს
და მათში ერთ-ერთს გამარჯვება
ერგუნოს უნდა.

და თუ არა და, მაშინ გემართებს
გამოჩენილი
გამოვარჩიოთ შეომრები
ჩვენ-ჩვენი სპიდან

და შევებრძოლოთ ერთ-ერთს სამკვდროდ
და სასიცოცხლოდ,
თუ გსურს, ხომ კარგი, თუ არა და
მე ჩემსას ვიზამ.

თუკი შენ ჩემთან ბრძოლის ველზე
გამოსასვლელად
სპა საკმარისი არ მოგყავდეს,
ვინიცობაა,

თხოვე შენს მეფეს და ის მაშველს
გამოგიგზავნის,
შეავესე რაზმი და იომე
გულის ნებაზე.

ის, ვინც დაიჭრა, ჯარს ჩამორჩა
ან დაიფანტა,
ნათესაეები ღვიძლი შენი
და ახლობლები,

მიხედე, რათა უმკურნალონ
მათ ექიმებმა.
დრო ხელსაყრელი გიდგას და შენს
საცდელს ეცადე!

თუ გასურს, გადროვო, გადროვებ მე
ხოლო თუ ომი
გინდა ახლავე, მეც ახლავე
მზად ვარ საომრად.

ამას იმიტომ გეუბნები,
რომ მერე, როცა
ბრძოლას დავიწყებთ, არ დაიწყო
მიზეზის ძებნა!

ნუ მეტყვი მერე: უცაბედად
დამიწყე ომი,
ისე დამესხი, სულის მოთქმა
არ მაცალეო!

ხოლო ჩემთვის კი სულერთია,
გინდ ასი წელიც
გამოხდეს, ჯავრი შენი გულით
უნდა ვიყარო!

იმედი ნუ გაქვს, გადაურჩე
ჩემს შურისგებას
ბრმისთვის რა ფასი აქვს, დღე არის
თუ ღამეაო!"

გულარჯისა და ფირანის ომი

როცა გავიდა ცხრა საათი
იმ დღის დილიდან,
თურქთაგან უკვე აღარავინ
იყო ცოცხალი.

ხმლით ამოართვეს ტკბილი სული
პირიდან ყველას
და წუთისოფელს ეს ამბავი
არც უნალღვლია.

მან ასე იცის: ჯერ სათუთად
გაზრდია კაცის შვილს,
შვებით ამყოფებს ერთი ხანი
ამ ქვეყანაზე,

ბოლოს კი უცბად დააცხრება
საცოდავს თავზე,
საშინელებას დაარისხებს
და გულისწყრომას.

ამოვარდება გრიგალი და
ჩაგვხვეტავს ხრამში.
ჩვენ მამუელს ვუხმობთ, მის ნაცვლად კი
მსახვრელი მოვა.

თურანელებმა უსამართლო
სისხლის ღვრის ნაცვლად
დაიმსახურეს განაჩენი
განგების, მკაცრი.

ისე წავიდა მათი საქმე,
რომ თურქ გმირთაგან
ფირანმა კაცი ვერ იხილა
გადარჩენილი.

მაშინ ირანის და თურანის
მთავარსარდლები
ექგერნენ ერთურთს ველზე
სამკვდროდ და სასიცოცხლოდ.

ჰიდილმა მათმა დედამიწა
შეაზანზარა.
გული ბალღამით ჰქონდათ სავესე,
თავი კი — ბოღმით.

ისეთი ბუქი დააყენეს
მათ ბრძოლის ველზე,
რომ მზეც დაფარა მტერის და ბულის
კორიანტელმა.

იბრძოლეს გურჯით. იბრძოლეს ზმლით,
იბრძოლეს ხანჭლით.
ქამანდით სცადეს ერთმანეთის
მოგდება ხელში.

ბოლოს კი მაინც ის აღსრულდა,
რაც უფალს ჰსურდა, —
თავს უსაშველო ფათერაკი
დაატყდა ფირანს.

მისი მფარველი აღარ იყო
მოწყალე ღმერთი —
ტიპი ისე დაუფარდა
ორთაბრძოლაში.

მიხვდა ფირანი: იაზდანის
იყო ეს ნება
და თავად აწი ველარაფერს
ვერ გახდებოდა!

მაგრამ ვაჟკაცი იყო ის და
ერჯოდა გული,
ბედითი ბედის წინ ფარ-ხმალი
როდი დაჰყარა.

ბოლოს და ბოლოს მშვილდს და ისარს
დაავლო ხელი
ორმა სარდალმა, გამჭირიანმა
ორმა მოხუცმა.

გუდარხმა ლარზე იმისთანა
გადო ისარი,
რომ წვერი მისი ტინის ქვაშიც
კი გაატანდა.

ტყორცნა ფირანის ცხენს, გაუპო
ბარგასთუანი.
წაიქცა ცხენი და ფეხები
გაასავსავეა.

ფირანიც თავის ცხენს გადაჰყვა
და წაქცეულმა
მოიყოლია ქვეშ ქურანმა
მხედარი თვისი.

და გადაემსხვრა ფირანს ცხენქვეშ
მარჯვენა ხელი.
მაინც წამოხტა, როგორც იყო,
დეკემბირი ფეხზე.

მაგრამ მიუხედა, რომ სიკვდილის
დაუდგა ყაში
და ღვთის ვანაჩენს ველარაფრით
გაღუორჩებოდა.

დაუძვრა გუდარზს და გაიქცა
ლასლასით მთისკენ,
ცალკე ტკივილი აწუხებდა,
ცალკე — სირბილი.

ფორთხვით და ფორთხვით აღიოდა
მალლა და მალლა, —
იქნებ მღვეარმა ვერ მოჰსდიოს
და გაბრუნდესო!

ეს რომ იხილა, აუვარდა
ტირილი გუდარზს.
საწუთროს ასე ბრუნვამ მისი
გული შეზარა.

მიუხედა, რომ ის არ ინდობდა
არავის ქვეყნად
და სასიავოდ იყო მუდამ
გამზადებული.

უყვირა ფირანს: „ფალავანო
სახელოვანო,
რა მოგივიდა ამისთანა
ამ ქვეყანაზე,

ნადირის მსგავსად ეს ლომკაცი
რომ გამოიბიხარ?
რა იქნა შენი სპა, იმხელა
სპის სპასალარო?

რა იქნა შენი ვაჟკაცობა,
და შემართება,
გული და ჰკუა შენი,
განძი და იარაღი?

გმირთ ღედამოდო, ზურგო
მეფის აფრასიაბის,
ჩასვენებია ჩახჩახა მზე
ხელმწიფეს შესას.

წუთისოფელმა, — ვერა ხედავ? —
გაქცია ზურგი.
ფუჰად ნუ შერები, არ გაგივა
ოინი ჩემთან!

რადგან ამგვარად წაგივიდა
საქმე, მთხოვე მე,
რომ შეგარჩინო პირში სული
და გაპატიო.

ვინძლო მეტესთან მიგიყვანო
და მან შეგინდოს,
ფალაენი ხარ რადგან ბერი
შენც ჩემსავითო“.

ფირანმა ასე უპასუხა:
„ნუ მიქნას ღმერთმა,
წუთისოფელი ჩემი ასე
რომ დავალამო;

სიცოცხლე მქონდეს ნაჩუქარი
თქვენი მეფისგან
და მისგან ვიყო სულით ჩემით
დავალებული!

ამ ქვეყანაზე სიკვდილისთვის
ვარ გაჩენილი,
მიტომ გებრძოდი მე შენ ასე
გულარხეინად.

გამიგონია, დიდებულებს
რომ უთქვამთ თურმე:
„რაც გინდა შევებით და განცხრობით
ეცხოვრობდეთ ქვეყნად,

ბოლოს სიკვდილი გველის მაინც“,
მისგან საშველი
არვის ჰქონია და მე როგორ
უნდა მქონდესო!“

მაშინ გუდარზი მტრის კვალდაკვალ
შეუდგა გორაკს,
ციცაბო იყო მთა და ასვლა
ტაიჭს უჭირდა.

ჩამოხდა ცხენით, დაიჭირა
ღარაჯა ხელში
და მიჰყვა მტრის კვალს, თითქოს მთაში
ნადირს მისდევსო.

მარცხენა ხელით ფარი ეპყრა,
მარჯვენით—შუბი
და ციცაბო კლდეს აღმა-აღმა
მიუყვებოდა.

მაგრამ ფირანმა თვალი მოჰკრა
გუდარზს თუ არა,
პიტალო კლდიდან მყისვე ზეზე
წამოიშართა,

ხანჯალი სტყორცნა მოსისხლე მტერს,
როგორც ისარი
და მოხუც სარდალს ბასრი რკინა
მკლავში მოარტყა.

დაიჭრა გმირი ფალავანი,
ტკივილისაგან
სულმთლად გაცოფდა და განრისხდა
ფირანზე უფრო.

ესროლა შები და მოარტყა
ზურგში მოსისხლეს,
რკინის პერანგში გაატანა,
ბასრმა ფოლადმა.

და შიგ ჯიგარში გაეყარა
თურანელ სარდალს.
წაიქცა იგი და ლოდებზე
ფართხალი იწყო.

სისხლი ღვიძლიდან წამოსული
წამოსკდა პირით
და სული მისი მოკლულ თურქთა
სულთ შეუერთდა.

ასე დაეცა ბრძოლის ველზე
მძვინვარე ლომი
ფოლადის ბასრი შუბის წვერით
გულგაპობილი.

ცოტა ხანს კიდევ დაფაჯდა სულს
როყო ქვაზე,
შემდეგ კი დაცხრა და დამშვიდდა
სამარადქამოდ.

ასეთი არის ეს მუხთალი
წუთისოფელი,
არავის რჩევას გულთან ახლოს
რომ არ იყარებს.

აქვს საწამლავეში ბასრი ქანგი
ამოვლებული,
გულს გაუხეთქავს ლომს, ვეფხვს ტანზე
ტყავს შემოახევს.

როცა გუდარზი ამოვიდა
მალლა მთის თხემზე,
ძირს დამხობილი დაინახა
მოსისხლე ძველი,

გულგაპობილი, ხელით მიწას
ჩახუტებული.

თორდალეწილი, წელზე
ქამარშემომსხვრეული,

წარმოთქვა მაშინ ფალავანმა:
„ჰე, ხვადო ლომო,
ფალავანთ თავო და დევგმირო
უშამაცესო,

ისეთი, როგორც მე ვარ ახლა
და შენ იყავი,
ქვეყანამ ბევრი ნახა, მაგრამ
ვერ იგუაო!“

პეშვით აიღო (გესმით?) სისხლი
მისი, ნაწილი
შესვა, ნაწილით მოითხუქნა
წვერი და სახე.

მოიხსენია სიაუშის
სისხლი ქვითინით
და თაყვანი სცა ამის შემდეგ
ქვეყნის შემოქმედს.

სამოცდაათი ვაჟი თვისი
ახსენა ბოლოს
და შეავედრა სული მათი
მოწყალე უფალს.

უნდოდა, ხანჯლით ფირანისთვის
მოეტრა თავი,
მაგრამ ვერ შეძლო ამისთანა
საქმის ჩადენა.

იქვე დაურქო მიცვალბულს
მისივე დროშა
და თავზე დროშის ჩერო
ძეგლად გადააფარა.

შემდეგ კი თავის ლაშქრისაკენ
აიღო გეზი.
ნაკადულივით მოსდიოდა
სისხლი მკლავიდან.

ოსური ღიჯიკაჟუკა

ნართების ეპოსი

კავკასიელ ხალხთა (ოსების, აფხაზების, ბალყარელების, ჩერქეზების და სხვ.) ეპოსი. ნართები დევმირთა ერთგვარი საგვარეულოს შთაბეჭდილებას ქმნიან და, როგორც ჩანს, ძველი ალანური ხალხური თქმულებების გმირთა სახეებს უკავშირდებიან, რაც იქიდან ჩანს, რომ ბევრ კავკასიურ ხალხთა ეპოსში ისინი უარყოფით პერსონაჟებად, ამდენად, მათთვის უცხო, არამშობლიურ, გმირებად ჰყავთ გამოყვანილი. (1658—1675).

სათანა და ურუშმაგი

როგორ ვახდა სათანა ურუშმაგის ცოლი

ურუშმაგი დაეაყვაცდა და ალაგაანთ ლამაზი ელდა შეირთო ცოლად. სათანა იზრდებოდა: ერთ თვეში წლისა ხდებოდა, წელიწადში კი — სამი წლისა. თმაოქრო და თვალბეღვარა, მოხდენილ სათანას ტოლი არა ჰყავდა ნართის ასულებში.

გათხოვების დრო რომ დაუდგა სათანას, იფიქრა: „ბარემ კი გავთხოვდებოდი, მაგრამ რომ არ ვიცი, სად არის ჩემი საქმრო?!“ იფიქრა, იფიქრა, მაგრამ ურუშმაგზე უკეთესი ანგელოზებშიც ვერ დაიგულა და გადაწყვიტა: ურუშმაგის იქით მე სხვა ქმარს არ შევირთავო.

რა ქნას სათანამ: თვითონ უთხრას ურუშმაგს და ვერ ბედავს, სხვას დაავალოს და არც ესა სურს. ბოლოს თქვა: მოდი, სირცხვილნამუსზე ავიღებ ხელს და მე თვითონ შევბედავო და უთხრა ურუშმაგს:

— ურუშმაგ, კარგ თავისიანს სხვისთვის არავინ იმეტებს. სხვა გვარში წასასვლელად დასანანი ვარ, სხვა გზა არა მაქვს, შენ უნდა ვახდ ჩემი ქმარი!

ყურები აეწვა სირცხვილისაგან ურუშმაგს.

— აღარ გაიმეორო, — უთხრა სათანას, — ხალხი რას იტყვის, სირცხვილია, რა პირობა გავეროო ნართებში!

გავიდა დრო. ურუხმაგმა სალაშქროდ გადაწყვიტა წასვლა და თავის ცოლს ელდას უთხრა: „მე ერთი წლით მივემგზავრები სალაშქროდ, ჩემს დაბრუნებამდე საკმეღ-სასმელი მოაზხადე. რომ დავბრუნდები, ხალხი მოვა ჩემთან „მშვიდობით დაგვიბრუნდის“ სათქმელად და მომსკლელთ რიგიანად უნდა გავუმასპინძლდეთ“.

წავიდა ურუხმაგი სალაშქროდ.

ერთი წელიც მიიწურა; ურუხმაგის ცოლმა რონგის მზადება დაიწყო: რონგი კარგად მოხარშა, მაგრამ საფუარი რომ ჩაურთო, რონგმა დუღილი არ დაიწყო, რადგან სათანამ, ცისა და ხმელეთის ჯადოქარმა, ჯადო გაუქეთა მას. დაიწყო წუხილი ელდამ — ხან რონგთან მიიბრინა, ხან სათანასთან:

— ჩემო მულო, დადგა ჩემი შერცხვენის ქამი: რონგი არ ამიდულდა და შენმა ძმამ რომ ასე მოუმზადებელს მომისწროს, მომკლავს.

— მერე მე რა ვქნა, — უთხრა სათანამ, — რა ჩემი საქმეა!

მაინც არ უსვენებდა გული რძალს. ხან რონგთან მიიბრინდა, ხან სათანასთან:

„რა ვქნა, სული გადამელია, დადგა ჩემი დაღუპვის დღე!“

როცა დარწმუნდა სათანა, რომ რძალს ქმრის შიშით სასო წარეკეთა, უთხრა:

— ლამაზო ელდა, მინდა ურუხმაგს ერთ ღამეს გავეხუმრო. შენი საქორწინო კაბა და მანდილი მათხოვე და შენ რონგს დუღილს დავაწყებინებ.

— კარგი, გათხოვებ! — უთხრა რძალმა.

სათანამ რონგს სხვა საფუარი ჩაურთო და რონგმაც დუღილი დაიწყო.

დაბრუნდა ურუხმაგი. გაუმართეს ნადიმი ნართებს, სვეს ბევრი რონგი. საღამოს ნადიმის ხალხი დაიშალა, ყველა შინისაკენ გაემართა. სათანამ ჩაიცვა ელდას ტანსაცმელი და ღამე ურუხმაგის სანთიობოში შევიდა. ურუხმაგმა ვერ იცნო სათანა: თავისი ცოლი ელდა ეგონა.

— ალაგაანთ ასულო, დღეს პირველ ღამეზე უკეთესი ხარ! — ეუბნება ურუხმაგი.

— ასეთია ჩვენი გვარის ყველა ასული — პასუხი გასცა სათანამ. სათანამ ღამე ოთახის ქერი მთვარით და ვარსკვლავებით მოჰკედა.

გათენდა და ურუხმაგი ეუბნება:

— ალბათ ახლა უკვე დღეა და ადგომის დროა.

— გათენებამდე ჯერ ადრეა, აიხედე, ცაზე ჯერ მთვარე და ვარსკვლავები მოჩანს, — უთხრა სათანამ.

ელდა კარებს უბრაახუნებდა, აქეთ-იქით დარბოდა და კარები რომ არავინ გაუღო, ჭავრით გული გაუსკდა და იქვე სული განუტევა.

ეს რომ გაიგო სათანამ, მთვარე და ვარსკვლავები გააქრო ქვერილან და ურუხმაგს ეუბნება:

— ადექი, გათენდა.

ღაინახა ურუხმაგმა სათანა, სახტად დარჩა და ჰკითხა:

— ნუთუ სათანა ხარ?!

სათანამ უპასუხა:

— მაშ ვინა ვარ, არ იცი, წუხელ ვისთან გაათენე?

რალა გაეწყობოდა?

მიცვალბებული დამარხეს.

ურუხმაგი წუხდა:

— შემარცხენე, სათანა, როგორღა ვიცხოვრო ნართებში, რა პირითღა ვეჩვენო მათ?!

— ხალხი ორ დღეს ილაპარაკებს და გაჩუმდება, — უთხრა სათანამ. — მე გეტყვი როგორ უშველო. მაგ საქმეს: მოდი, ვირზე უკუღმა შეჯექი და სანახშოს შუაგულში სამჯერ აიარ-ჩაიარე, თან სანახშოს ხალხს დააკვირდი და ვინ როგორ მოიქცევა, მე მითხარი.

ურუხმაგი ვირზე უკუღმა შეჯდა და სანახშოს შუაგულისაკენ გაემართა.

ნართის ხალხს — დიდსა და პატარას, მოხუცსა და ახალგაზრდას — ისეთი სიცილი აუვარდათ, რომ მიწაზე გორვა დაიწყეს.

უქან რომ ამოიარა ურუხმაგმა, ზოგმა გაიცინა, ზოგმა არა, ზოგმა ზედაც არ შეხედა, ზოგმა კი წუხილი დაიწყო, გაგიჟდაო ჩვენი ჰკუთს დამრიგებელი ურუხმაგი! ჩაიარა მესამედ ურუხმაგმა და აღარავის გაუცინია. „ტყუილუბრალოდ არ შეჯდებოდა ვირზე უკუღმა ურუხმაგი, რალაც ოინი მოიგონაო ალბათ“, — თქვა ხალხმა.

მოვიდა შინ ურუხმაგი და სათანა ეკითხება:

— აბა, რასა შევბრდა ხალხი?

— პირველად რომ ჩავიარე, — თქვა ურუხმაგმა, — ხალხი სიცილსაგან პირქვე დაგმხო: უქან რომ ამოვიარე, ზოგმა გაიცინა, ზოგმა არა, ბევრმა კი წუხილი დაიწყო, გაგიჟდაო ჩვენი ჰკუთს დამრიგებელი ურუხმაგი. მესამედ რომ ჩავიარე, აღარვის გაუცინია, კი არა, თქვეს: ურუხმაგი არც გაგიჟდა, არც ტყუილუბრალოდ შეჯდებოდა ვირზე უკუღმა, რალაც ოინს მოიგონებდა ალბათ.

სათანამ უთხრა:

— ჰოლღა, ჩვენი საქმეც ასეღა: ცოტას დაგვცინებენ და მერე დავა ვიწყებდით.

ხალხმა რომ გაიგო, ურუხმაგმა თავისი და სათანა ცოლად შეირთო, პირველად დასცინეს, შემდეგ კი, მართლაც, აღარავის გახსენებია ისინი. ასე გახდა სათანა ურუხმაგის ცოლი.

სათანა და ბორაანთ ასული

სათანამ ბებრის სახე მიიღო. შევიდა ურუხმაგთან და ეუბნება:

— ჩემი ცოლობის იმედი ნულარ გაქვს და სანამ ცოცხალი ვარ, ცოლის შერთვაზე იზრუნე!

— სათანა, სანამ თვალით ვიხედები, მე ცოლის შემართველი არა ვარ. მაშინ მეორედ ეუბნება სათანა ხეყწით:

— ურუხმაგ, ჩემგან ნულარაფერს გამოვლი, დაიღუპები სამ ნართს შუა, სანამ თვალით ვიხედები, ცოლის შერთვაზე იზრუნე!

ურუხმაგი მიხვდა, რომ ცოლს ვასაჭირო ადგა, თავისი ცხენი, არფანი შეკაზმა და ქვედაუბნის ბორაანთსა ჩავიდა. ბორაანთ ბერაფარნიგს შვილი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა. ურუხმაგი რომ დაინახა ბერაფარნიგმა, დიდად გაიხარა.

— ურუხმაგ, გამიხარდა შენი სტუმრობა. დიდი ხანია ვნატრობდი შენს ნახვას, რა მზემ და რა წვიმამ მოგიყვანა?

ურუხმაგმა უთხრა:

— გაჭირვება სად არ მიიყვანა, კაცს! სათანა დამიბერდა, აღარაფერი შეუძლია; გავიგე, ქალბ გყავთ გასათხოვარი და აქეთ გამოვწიე.

ურუხმაგს ურის ეინ ეტყოდა!

მოუტირდა ურუხმაგი ბორაანთ. შინ დაბრუნდა, ნართის რჩეულნი შეაგროვა და მაყრად წაიყვანა: ხამიცი — უფროს სტუმრად (სახლის პატრონად), სოსლანი — ნაბდის შემხვევად (ტანსაცმლის შემხვევად); ბათრამი — ხელისმომკიდედ.

ნართების მაყრონი ბორაანთს ჩავიდა. ბორაანთმა კვირიდან კვირამდე უმასპინძლეს და შინ გაისტუმრეს.

ურუხმაგმა სამ ნართს მოპატარე დაუგზავნა. დაგროვდნენ ნართები და კვირიდან კვირამდე პურობდნენ ურუხმაგის ქორწილში.

მექორწილენი რომ წავიდნენ და ურუხმაგმა და ბორაანთ ასულმა სანთიობოში წასვლა დააპირეს, სათანამ თავისი ქალიშვილობის სახე მიიღო და ურუხმაგს დაენახვა. ურუხმაგი ბორაანთ ასულს ახლოს აღარ გაეკარა. ეს ამბავი მთელ ნართს მოედო. კვლავ გაისმა ნართის სანახმოზე ურუხმაგის ხსენება.

მაშინ ერთმა გაბედულმა ბიჭმა სანახმოს ხალხს უთხრა:

— მე ღამის სათევად მივალ ურუხმაგთან და დილას მოგიტანთ მის ამბავს.

გასწია ბიჭმა, ჩავიდა ურუზმაგთან და ლამის სათევად იქ დარჩა. ურუზმაგმა ბიჭს ნასუქი ყოჩი დაუკლა და კარგად გაუმასპინძლდა. კარგად ხანს ისეღნენ ერთად და მუსაიფობდნენ; შემდეგ ბიჭს სახლის ერთ კუთხეში გაუშალეს ლოგინი, ბორაანთ ასულს კი — მეორეში. სათანა და ურუზმაგი კი თავის სადაფის სანთიობოში შევიდნენ.

ბიჭს რომ ჩაეძინა, ბორაანთ ასული ადგა, ბიჭის საწოლთან მივიდა და მისი საბანი თავისკენ დაითრია.

ბიჭი ვითომდა ვერ მიხვდა ვინ იყო და შეუძახა:

— აცხა, შე უპატრონო, აღარ მაძინებ!

ქალი უკან გაბრუნდა ბუზღუნით. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მივიდა ბიჭთან და კვლავ მის საბანს წააუღო ხელი. ბიჭმა უთხრა:

— აგრემც არ გაუხარია შენს პატრონს, რომ აღარ მაძინებ!

კვლავ გამობრუნდა ქალი უკან. ბუზღუნით. მესამედ რომ მივიდა ქალი, ბიჭს აღარც „აცხა“ უთქვამს და აღარც არაფერი — ბიჭმა და ბორაანთ ასულმა ლოგინი გაიზიარეს.

ბრძენ სათანას რა გამოეპარებოდა!

დილას სტუმარი და მასპინძლები ადგნენ, პირი დაიბანეს და საუზმედ დასეღნენ. სათანამ თქვა:

— სტუმარმა თუ მასპინძელმა ვინ რა სიზმარი ნახა, აბა, მოეუყევთ ერთმანეთს!

ურუზმაგი შეეკითხა:

— უფროსიდან იწყება სიზმრის მოყოლა თუ უმცროსიდან?

სათანამ უპასუხა:

— ჩვენო მოხუცო, შენზე ადრე არავისა აქვს სიტყვის უფლება.

მაშინ ურუზმაგმა თქვა:

— წუხელ დილაძღის ისე მეძინა, რომ სიზმარი არ მინახავს და, ჩვენო დიასახლისო, მოდი ისევ შენ მოგვიყევი, რა ნახე სიზმრად.

სათანამ თქვა:

— წუხელის, ვითომ, ჩვენმა ქაკმა თოკი აიწყვიტა და ქვევით, ჩვენიანების ულაცთან ჩავიდა.

— ბიჭო, შენ რალა სიზმარი ნახე?

მან უთხრა:

— წუხელის სანადიროდ წავედი და ერთი ფურირემი საიდანღაც გაჩნდა ჩემ წინ. ის იყო, სასროლად მოვემზადე, რომ ამ დროს მეორე მხრიდან ვილაყამ შემომძახა: „არ ესროლო, ურუზმაგის წილხვედრია!“. ცოტა კიდევ წავიძინე და მეორე მხარეს წავედი, ის ფურირემი ისევ ჩემ წინ გაჩნდა. კვლავ მოვიწოდებ მომეკლა და ახლა მესამე მხრიდან მომესამა ყვირილი: „არ მოკლა, ურუზმაგის წილხვედრია!“. მეც ისევ დავეხსენი. ცოტაც წავიძინე და წავედი მესამე მხარეს. ჩემ წინ კვლავ ის ფურირემი გაჩნდა. მე ყური აღარ ვათხოვე ყვირილს და ვესროლე.

— აბა, ბორანთ ასულო, შენ რაღა სიზმარი ნახე?

— მე წუხელ რონგს საფუარი ჩავურთე, მაგრამ არ ამიდუღდა. მეც ჩავედი ქვევით ჩვენთან და იქიდან ამოვიტანე საფუარი; როგორც კი ეს საფუარი ჩავურთე, რონგმა დუღილი დაიწყო.

იმ დილასვე წავიდა ბიჭი. ნართის სანახშოზე ახალგაზრდობა შემოგვიხვია:

— როგორ არის ურუზმაგის საქმე?

— როგორც ამბობენ, ისეა: სათანამ თავისი ქალიშვილობის სახე მიიღო და ურუზმაგი ბორანთ ასულს არ ეკარება, — თქვა ბიჭმა.

როგორ გაბზავნა ურუზმაგმა სათანამ თავის საშობალოში

ერსთელ გაჩავერდა ურუზმაგი და უთხრა თავის ცოლს სათანას:

— ღვთის გულისათვის, წადი შენს სამშობლოში!.. ოღონდ დაბტოვე და რა განძიც მოესურვება შენს გულს, ის თან წაიღე. მე აღარ შემიძლია შენთან ცხოვრება.

— ძალიან კარგი, — უთხრა სათანამ. — სხვა გზა არა მაქვს, ჩემო კაცის წილო, დავიჭერებ, მაგრამ ერთ რამესღა გთხოვ: მე ნართების პურ-მარილს ვეზიარე. ისინი კიდეც — ჩემსას. ნადიმი მომიწყვე — წასვლისას ნართებს ჩემი სასმისი უნდა მივიართვა.

დაეთანხმა ურუზმაგი და ნადიმი მოაწყო. სათანამ დიდებული სუფრა გააწყო — საკუქნაოებში აღარაფერი დატოვა. სულ გამოალაგა საუყეთესო საქმელ-სასმელი. ნართის ხალხი ნადიმზე შეიდი დღე და შეიდი ღამე ისხდა, შემდეგ შინ დაბრუნდნენ, მხოლოდ უმცროსი მერიქიფეებიღა დარჩნენ გვიანობამდე. სათანამ მერიქიფეებს ურუზმაგზე ანიშნა — ერთი ამ კაცს მიმიხედეთო.

მერიქიფეებმა ურუზმაგს სახვე სასმისები მიაწოდეს, — ისედაც ნასვამი ურუზმაგი დათვრა და ღრმა ძილს მიეცა. მერიქიფეებიც თავიანთ სახლებში წავიდნენ.

სათანამ შეაბა ორი კარგად მოვლილი ხარი ურემში, ურემი რბილი თევით გაავსო, ლეიბი დაავო და ზევიდან ხალიჩაც გადააფარა. შემდეგ მძინარე კაცი ზედ დააწვინა და გაემგზავრა სამშობლოსაკენ ისე, რომ სახლიდან მას სხვა არაფერი წაუღია.

როცა გაივალს, ურუზმაგს გაეღვიძა, — სასმელი უკვე გამონელებოდა. ხედავს, სათანა გვერდზე უზის, ცაცხვის წყვალთ ხარებს მიერეკება და ოროვანდის ტოტით მას ბუზებს უგვრიებს. „ეს რა საოცრებაა, რომ არაფერი მესმის!“ — თქვა თავისთვის ურუზმაგმა და სათანას ჰკითხა:

— ეს სად მივდივართ?

— ჩაო, დაგაიწყდა, რომ სახლიდან გამაგდე? აი, მეც მივდივარ ჩემს სამშობლოში. — უპასუხა სათანამ.

— კარგი, — უთხრა ურუშმაგმა, — მაგრამ გამაგებინე, მე სადღა მივყევარ?

— სამშობლოში რომ მგზავნიდი, მაშინ მითხარი: „ის განძი, რაც შენს გულს მოესურვება, თან წაიღეო“. შენზე ძვირფასი და საყვარელი განძი არ გამაჩნია და წამოგიყვანე, სხვა განძეულობა კი დავტოვე.

— ეს რა ეშმაკს გადავეყარე! — თქვა ურუშმაგმა და ტუჩებში ჩაეკანა: იგი ცოლს შეურჩიდა. ცოლ-ქმარი შინ დაბრუნდა და ამის მერე ტკბილად ცხოვრობდნენ.

ურუშმაგის უსასილო ბიძი

ცუდი წელი დაუდგათ ნართებს. დიდად გაუჭირდათ, შიმშილით სიკვდილი ელოდათ. გადარჩენის იმედი მოესპოთ ნართებს, ნართის განთქმული ახალგაზრდები იმდენად დაუძლურდნენ, რომ დილიდან სადამოდე სანახშოზე იწვნენ და წარსულსდა იგონებდნენ. „მე იქ გავიმარჯვე, მე იქ საქონელი მოვიტაცე“, — ყვებოდნენი ისინი. აღარავინ ასხენებდა ფხიან ხმალს და კარგ მშვილდ-ისარს.

გამოვიდოდა ხოლმე სირდონის ძეკნა სანახშოზე და მწოლარე ხალხზე გადად-გადმოდიოდა, ზოგს ტუჩებს ულოკავდა, ზოგს ქალამანს უქამდა. ზოგს ქამარს გადაუჭრიდა ხოლმე წელზე.

ამაზე მეტ საცოდობას რაღას ნახავდა კაცი!

ერთხელ ურუშმაგი მივიდა სანახშოზე, ხედავს, ნართის განთქმული და მოსდენილი ახალგაზრდები დასოცილებივით წვანან და სირდონის ძალი აბუჩად იგდებს. ბრახით აენთო ურუშმაგის გული, ესროლა თავისი სპილოს ძელის ჯოხი ძეკნას და ჯოხი ორად გადაიშხვრა.

აიღო ჯოხის ხამტვრევები და გაჯავრებული გამოტრიალდა შინისკენ. ჯოხის ხამტვრევები გადაყარა და სპილოს ძელის სავარძელზე დაეშვა. სავარძელმა კრიალი დაიწყო.

— შენი მოკვალთული წარბები რას მოკმუხნე, ასე გაჯავრებული რად დაეშვი სავარძელზე, უფალო ჩემო? რა მოხდა, ვინ გაწყენინა? — ეკითხება სათანა.

— ბარემ არავის ვუწყენინებოვარ, მაგრამ ამაზე უარესად რაზედ უნდა მტკუნოდა გული?! — თქვა ურუშმაგმა. — ჩვენი ახალგაზრდები მალად გაუბედურდნენ შიმშილით. ნართის სანახშოზე პირქვე დაეყარნენ და წვანან უხეიროდ. სირდონის უღირსი ძალი მათ თავებზე დასერიანობს, ზოგს ტუჩებს ულოკავს, ზოგს ქალამანს უქამს, ზოგს წელზე

ქმარს უკრის, იმათ კი იმის თავიც არა აქვთ, რომ დაუტაცანონ. სიცოცხლეს არ დავზოგავდი, ჩვენო დიასახლისო, ოღონდაც ისინი ერთხელ მაინც გამეძლო.

— მაგაზე რად დარდობ? — უთხრა სათანამ. — წადი, მოიპატოე ისინი, ჩემთვის მაგათი გამასპინძლება ისეა, თითქოს ერთი კაცი მომსვლადეს სტუმრად. ჩვენი საკუქნაოები სავსეა ყოველგვარი საკმელ-სასმელით.

შეიყვანა სათანამ ურუზმაგი ერთ საკუქნაოში: საკუქნაო სავსე იყო ღვეზულით; შეიყვანა მეორე საკუქნაოში: სავსე იყო სასმელით: შეიყვანა მესამე საკუქნაოში: კერიდან იატაკამდე იყო ამოვსებული ერთმანეთზე დაწყობილი ბეჭის ხორცითა და ჩალაღაჭებით.

— ყველაფერი ეს ნართის დიდი ნაღიმიდან გამოგზავნილი მოსაკითხებით დავაგროვე. — თქვა სათანამ.

გაუბრწყინდა სახე ურუზმაგს და ეუბნება სათანას:

— აბა მაშ, შეუღდექი სამზადისს! აქ ნართს კვირიდან კვირამდე რომ ეყოფა, იმაზე მეტია სანოვავე.

დაუძახა ურუზმაგმა მაცნეს, კარგად გამოაძლო და უთხრა: აბა, სწრაფად წარე და მთელ ნართს დამიძახე: „სიარული ვისაც შეუძლია, ფეხით წამოვიდეს, ვისაც სიარული არ შეუძლია, ხელით მოიტანეთ, ვისაც აკვანში ჰყავს ბავშვი, აკვნიანად წამოიყვანონ—ახსართაგების ურუზმაგი ნაღიმს იხდის და გეპატიეებათ-თქო!“

წავილა მაცნე და ამცნო ხალხს:

— ო, ნართო! სიარული ვისაც შეუძლია, ფეხით წამოვიდეს, ვისაც სიარული არ შეუძლია, ხელით მოიტანეთ, ვისაც აკვანში ჰყავს ბავშვი, აკვნიანად წამოიყვანოს: ახსართაგების ურუზმაგი ნაღიმს იხდის და გეპატიეებათ!

ეს რომ გაიგონეს ნართებმა, იგრიალეს და დიდ-პატარიანად მოგროვდნენ ურუზმაგის სახლთან. გაშალეს მაგიდები და ნართები მთელი კვირა არ ამდგარან სუფრიდან.

ცეცხლმა ქრობა დაიწყო. ურუზმაგი წამოდგა სავარძლიდან და შეშის დასაჩეხად გამოვიდა. დაჩეხა შეშა და შეგროვება რომ დაიწყო, შავი მთიდან დიდი შავი არწივი გამოფრინდა, ბრჭყალებით აიტაცა ურუზმაგი და შორს, ერთი ზღვის შუთაგულში დასვა. ერთი ქვის თავზე.

შავი ცრემლით ატირდა ურუზმაგი, რატომ გავუბედურდი, რა მომეღლის აქ, ლურჯი წყლის მეტი რომ არც მთა ჩანს და არც ბალახიო! — მოთქვამდა იგი.

ზის ქვის თავზე, იყურება ირგვლივ. ამასობაში მოსაღამოვდა. რომ დაბნელდა, ხედავს, რომ წყალში ერთი ქვის ქვეშიდან სინათლე გამოდის. „რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა ვნახო, ეს რა არის!“ — თქვა ურუზმაგმა, ქვანს შემოუარა, წყალში ჩაეშვა და ერთ კარს მიაღწა. კარი გააღო და

მას სამი ერთიმეორეზე ულამაზესი და მოხდენილი ქალიშვილი შემოეგება.

„კეთილი იყოს შენი მობრძანება, ურუხმაგ, კეთილი იყოს შენი მოსვლა, ჩვენო მამობილო! შემობრძანდი, შემობრძანდი, იყავ ჩვენი სტუმარი!“ — ეუბნებოდნენ გახარებული ქალიშვილები.

შეიყვანეს შინ და ხედავს, ოთახში მოხუცი ქალი ზის.

— ფარნი თქვენს სახლს! — უთხრა ურუხმაგმა.

— ფარნით იყავ სავსე და კეთილ იყოს შენი მობრძანება! — უპასუხა ქალმა და სავარძელზე მიუთითა.

მიმოიხედა გარშემო ურუხმაგმა, დაათვალიერა ოთახის ყველა კუთხე: სახლს იატაკი ლურჯი მინისა ჰქონდა, კედლები — სადაფისა, კერძი დილის ვარსკვლავისა. უკვირს, ამ შუა ზღვაში რა საოცრად კარგი სახლიაო!

იაზრა, რომ დონბეთირებთან მოხვდა.

ოთახში ერთი პატარა ბიჭი თამაშობდა: ხან იქით გაიქცეოდა, ხან აქეთ — ისე მკვირცხლად დარბოდა, რომ თვალს ვერ მოჰკრავდით. ურუხმაგი ტკებებოდა მისი ყურებით. „ნეტავ მას, ვისი ბიჭიც შენა ხარ!“ — ფიქრობდა გულში.

— რა მზემ და რა წვიმამ მოგიყვანა ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ ხომ დიდი ხანია, ვნატრობდით შენს ნახვას! — უთხრა მოხუცმა ქალმა ურუხმაგს.

ურუხმაგს გული მოეცა, მთლად არ დავღუბულვარ, თუ აქაც შვილობილები მყავს და ვინმეს ვენატრებიო და მოუყვა, როგორ მოხვდა დონბეთირების ქვეყანაში.

დატრიალდნენ ქალიშვილები. საკლავად ნასუქი ყოჩი მოიყვანეს. ურუხმაგს დააკვლევინეს, ცეცხლი დაანთეს და ფვალის დახამხამებაზე უხვი სუფრა გაუშალეს.

ურუხმაგმა, ნართების წესისამებრ, ბეკი მახვილის წვერს წამოაგო და დაილოცა. შემდეგ ბიჭს დაუძახა:

— ბიჭუნა, მოდი, ხორცი იგემე!

ბიჭმა მკვირცხლად მიიარბინა ურუხმაგთან, მაგრამ ურუხმაგს რომ მიუახლოვდა, წაიფორხილა და მახვილს წამოეგო. დავარდა ბავშვი მოცულილი ლამაზი შროშანივით, ერთი კი გაიქნია ხელ-ფეხი და მაშინვე დალია სული.

დაღონდნენ ურუხმაგი და ოჯახის წევრები. მკვდარი ბავშვი ქალიშვილებმა მეორე ოთახში გაასვენეს.

„ეს რა მომივიდა, საიდან მელოდა ეს უბედურება?!“ — ფიქრობს დანადგლიანებული ურუხმაგი და არაფერს აკარებს პირს.

მოხუცი ქალი ხედავს, რომ ურუხმაგი აღარაფერს ეკარება და ეუბნება: „რამე მიირთვი. ურუხმაგ! რაც მოხდა, აღარაფერი ეშველება. ალბათ. ასეთი იყო ღვთის ნება“.

მაგრამ ურუხმაგი აღარაფერს გაეკარა. ადგა დამწუხრებული და წავიდა. მოხუცი ქალი და ქალიშვილები კი უდროოდ დაღუპულ ბავშვს დასტიროდნენ.

ისევ იმ ქვაზე აღმოჩნდა ურუხმაგი, არწივმა რომ დასვა. შავი არწივიც გამოჩნდა, აიტაცა ურუხმაგი თავისი ძლიერი კლანჭებით, ბევრი ატარა და კვლავ შეშის საჩიხში დასვა. ურუხმაგმა მოაგროვა შეშა და დაღონებულმა შეიტანა ოთახში. ნართები ისევ ნადიმად ისხდნენ და ილხენდნენ. ურუხმაგის წასვლა არც კი შეუნიშნავთ.

დაჯდა თავის ადგილას ურუხმაგი და ეკითხება ნადიმის ხალხს:

— ძველი ამბავი გინდათ მოგიყვებ, თუ ახალი?

— ძველი გავიხსენებ, — უთხრეს მოქეიფეებმა, — მოგიყვები ახალი ამბავი!

ურუხმაგი მოუყვა მათ, რაც თავს გადახდა.

სათანამ, როგორც კი მეორე ოთახში მოისმინა ურუხმაგის მონაყოლი, თმებზე და ლოყებზე იტაცა ხელი და აქვითინდა:

— ნუ დამცინებთ, ჩემო დიდებულო მამამთილნო და მოხუცნო: მაპატიეთ, რომ თქვენ წინაშე ხმამალა მოვთქვამ: ჩემს სამშობლო დონბეთირებში ერთი საიდუმლო საგანძურია მქონდა: ურუხმაგი მაშინ სალაშქროდ იყო, ის ბიჭი რომ შემეძინა; მაგრამ იქაც იპოვა და მოუსწრაფა ბავშვს სიცოცხლე. როგორღა ვიქნებით, ვიღა მოგვხედავს სიბერეში? ხალხი დაღონდა, ნელ-ნელა აიშალა და შინისაკენ წავიდა.

დამწუხრდა ურუხმაგი. აღარც იცინოდა, აღარც ლაპარაკობდა, მხრებჩამოყრილი და თავჩაქინდრული მიდი-მოდიოდა: გამოვიდოდა ხოლმე ნართის სანახშოზე, პირქვე დაემსობოდა დარდის განმაქარვებელ რუხ ქვაზე და ასე ცხოვრობდა კარგა ხანს.

ნართის მოხუცნი ეუბნებოდნენ: რას იკლავ თავს, ნართის კარგო ურუხმაგო, ასეთი უბედურება მარტო შენ ხომ არ მოგსვლია?!

დასძლია ურუხმაგმა თავის თავს და აღრინდელივით მხიარული ეჩვენებოდა ხალხს.

გავიდა ხანი და ურუხმაგმა კვლავ დაიწყო ნადივების გამართვა.

ბავშვის გვამი დონბეთირებმა მიწას მიაბარეს, მისი სული კი მკვდართა სამფლობელოში გაფრინდა და ბარასთირის მუხლზე დაიდო ბინა. ბავშვს გამხსენებელი არავინ ჰყავდა და დაღონდა იგი.

ერთხელ შეეკითხა ბარასთირი:

— რატომ ხარ დაღონებული, ბიჭო?

და უთხრა ბიჭმა:

— ამდენი წელი გავიდა მას აქეთ, რაც მკვდრეთში მოვედი. მამაჩემი ურუხმაგი სხვის მკვდრებს იხსენიებს, მე კი არა, არც ქელუხი გამიქეთა. უპატრონო ვარ სხვა მკვდრებს შორის. ბარასთირ, გემუღარებდი, გამიმვი მკვდრეთიდან, რაკი მამაჩემს მთლად მივაიწყდი, მე უნდა ვიზრუნო

ჩემს თავზე. სიტყვას გაძლევ, როგორც კი ვიშოვი, რაც წლისთავს ქე-
ლხს სჭირდება, უკანვე დავბრუნდები!

— არ მინდა გაწყენინო, მაგრამ ეს შეუძლებელია, — უთხრა ბარას-
თირმა. — როგორც კი მკვდრები გაიგონებენ ამ ამბავს, აქ აღარავინ
დარჩება. ახლაც ძლივს ჩერდებიან აქ.

— მაგას მე მოვუვლი: ჩემს ალაშას ნალებს უკუღმა გავუკეთებ,
მკვდრები გამომედევნებიან კიშკრამდე. შენ უთხარი მათ: „დახედეთ,
თუ კვალი გადის კიშკრის იქით, მაშინ ვერ დაგაკავებთ, თუ კვალი
კიშკრიდან შიგნით შემოდის, ტყუილუბრალოდ აყალმაყალი არ ატე-
ხთ-თქო!“.

ბარასთირი დათანხმდა.

ბიჭმა თავის ალაშას ნალები უკუღმა მიაქედა და წამოვიდა მკვდრე-
თიდან. უკან სხვა მკვდრები გამოეკიდნენ და კიშკრამდე მიჰყვნენ.

— საით? — ეკითხება მათ მეკარე.

— არც ჩვენ გავჩირდებით აქ, თუკი ვინმეს აქედან უკან წასასვლე-
ლი გზა აქვს! — უთხრეს მკვდრებმა.

— საქმე გაიგეთ და მერე გადაწყვიტეთ, რას იქმთ. ჯერ კვალს და-
ხედეთ.

მკვდრებმა დახედეს და რომ დარწმუნდნენ, კვალი შიგნით შემოდო-
ოდა, ყველა თავის ადგილს დაუბრუნდა.

ურუშმაგის უსახელო ვაჟი, დონბეთირების შვილობილი, ნართის
სოფელში შევიდა და ახსართაგაანთ ძველ სახლში შესძახა. შეძახილზე
დიასახლისი, სათანა გამოვიდა.

— ურუშმაგს ვეძებ, ეგების ერთად წავსულიყავით საალაფოდ, სა-
ერთო საქმეების გორაკზე დაველოდები.

შებრუნდა შინ სათანა და ქმარს უთხრა:

— კაცო, შენი ბებერი თავი სათამაშოდ იქცა — გარეთ ერთი თავ-
ხელი ბიჭი გეძებს. უნაგირის კეხს არ ასცილებია, ისე პატარაა და სა-
ალაფოდ კი გეპატყება.

— აბა, ჩვენო დიასახლისო, ჩქარა შემამზადე. იქნებ დამცინონ კი-
დეც, ვინც დამინაზავს, რომ მე იმასთან ერთად მივდივარ საალაფოდ, მაგ-
რამ მე ჩემს ჩვევას ვერ ვულალატებ, ამ სიბერეში ვერ გამოვიცვლები.
სანამ თვალი მიბრწყინავს, ჩემი მოვალეობა უნდა შევასრულო, უარით
არავინ გამისტუმრებია, არც ახლა გავისტუმრებ.

სათანას არ უნდოდა, რომ ურუშმაგი იმ ბიჭთან ერთად წასულიყო.
სალაფოდ; რომ მოსაღამოვდა, გამოაცხო სამი თაფლიანი კვერი და
ღმერთს შეჰლაღადა:

— ღმერთების ღმერთო, ჩემო ღმერთო, შენ შემქმენი და შენვე შე-
მისრულე თხოვნა — შეიდი წლის მანძილზე რაც თოვლი და წვიმა უნდა
მოგვევლინა, ის ამაღამ ჩამოუშვი მიწაზე და თან გრივალი და ქარიშხა-

ლიც მოაყოლე! ეს სიკეთე მიყავ, იქნებ ის სასიკვდილე ბიჭი დაილუპოს და ჩვენი მოხუციც შინ დარჩეს!

ცა მაშინვე მოიღრუბლა. დაიწყო წვიმა და თოვა; დილამდე ბარდნიდა, შემდეგ ამოვარდა ქარიშხალი და გრიგალი: სახლიდან სახლი არ ჩანდა. ურუხმაგმა დილაადრიან მაინც შეკახმა თავისი კრელი არფანი და გასწია. თოვლში მიიწევედა წინ და ძლივძლივობით დათქმულ გორაკს მი-აღწია, გორაკზე თოვლის ნასახიც არ იყო; იქ ერთი ვაჟი იწვა. ვაჟს უნა-გირი თავქვეშ ამოედო, ასალი ქვეშ დაეგო და ნაბადი გადაეხურა. მის გარშემო შეიდი კალოს ოდენა ფართობზე მწევანე ბალახი ბიბინებდა და მისი ალაშა წელამდე ბალახში სძოვდა.

„ანგელოზია თუ ღმერთია, ეს რა სასწაულია“, — გაიფიქრა ურუხმაგმა.

მივიდა გორაკამდე, შეჩერდა, თავისი კრელი არფანით თავს დაად-გა ბიჭს და ეუბნება:

— აბა, ცმაწვილო, ადექი! გზა გრძელი გვაქვს, დღე კი — მოკლე, წასვლაა საჭირო!

ბიჭი წამოხტა, სწრაფად მოიწესრიგა თავი, ცხენზე შეჯდა და წაიღ-ნენ — წინ ურუხმაგია ქოელ ცხენზე ამხედრებული, უკან — ბიჭი თავის ალაშზე.

მიდიან და მიდიან: ქარიშხალი და გრიგალი ისეუ მძვინვარებს. ურუხ-მაგის კრელი არფანი ცხვირით კვალავს გზას და თოვლს პირიდან ამოსუ-ლი ოშშივრით აღნობს. ბიჭის ცხენი მისდევს შავ მიწაზე კვალდაკვალ არფანს, თან სძოვს. არფანი მოიქანცა. მაშინ ბიჭი ეუბნება ურუხმაგს:

— უმცროსი ვარ, მაგრამ დღეს მე უნდა წავიძღვე წინ. დაე, დღეის შემდეგ არავინ დაძრახოს უმცროსი ამისათვის!

როგორც კი ბიჭი წინ მოექცა, თოვლმა შეიდი კალოს მანძილზე დნო-ბა დაიწყო ცხენის პირიდან ამონადენი ორთქლით და ურუხმაგის ცხენიც შავ მიწაზე ძიდიოდა.

ქორცა ხანს იარეს.

ურუხმაგა ამბობს:

— ბიჭო, საალაფოდ წამოვედით და მოვითათბიროთ, სად წავიდეთ, სად ვიბრძოლოთ?

— სადაც შეუქმელი ქვეყანა დავრჩა, იქ წამიყვანე! — უთხრა ბიჭმა.

— ბარემ დამრჩა ასეთი ქვეყანა — თერქ-თურქის ქვეყანა, ეგეთი მდიდარი ქვეყანა არსად მეგულებს: იმდენი საყოლია — ცხვარი ვინდა. საქონელი თუ ცხენის ჯოგი, რომ მობრუნებასაც ვერ აუდიან. მაგრამ იქ მისვლის იმედი არა მაქვს: ზღვა უნდა გადავიაროთ, ჯოგებსა და ცხერის ფარებს კი რკინის ულაცო, რკინისპირიანი მგელი და რკინისპირიანი ქორი დარაჯობენ

— მაშ, იქით დავიჭიროთ ვზა, ვცადოთ ბედი: ვინ იცის, იქნებ რაიმე მოვიგლო ხელში! — თქვა ბიჭმა.

მიუახლოვდნენ ზღვის ნაპირს. შევიდნენ ზღვაში. თევზებით მიცურავდნენ ცხენები ზღვაში და სწრაფად აღმოჩნდნენ ზღვის გადაღმა. ზღვის ნაპირას შეისვენეს. ბიჭმა აბანავა თავისი ცხენი, შემდეგ ამოიღო უწყლო წებო და ცხენს მთელ ტანზე წაუსვა და ღორღში ამოავლო. კიდევ წაუსვა წებო და ახლა კვიშაში ამოავლო, ალაშა მთის ოდენა გახდა. აი, მივიდნენ თურქ-თურქის ჯოგებთან და ჩამოქვეითდნენ ცხენებიდან. ბიჭმა ორი ორმო ამოთხარა: ერთი თავისთვის, მეორე — ურუზმაგისა და მისი ცხენისათვის და უთხრა:

— ურუზმაგ, ამ წუთას ჩემი ცხენი რკინის ულაყს შეეჭიდება. ჭერ წიხლებით იბრძოლებენ და ფოლადის ნალებს ისეთ ნაპერწკლებს გააყრევინებენ, რომ დედამიწა ცეცხლის ალში გაეხვევა. თავს გაუფრთხილდი, ზევით არ ამოიხედო, თორემ უბედურება დაგატყდება. შემდეგ კბილებითა და წინა ტორებით დაიწყებენ ბრძოლას. მათი ამონასუნთქით ისეთი ქარი ამოვარდება, რომ დედამიწის ქერქს ერთი მტკაველის სისქეზე გაიტაცებს. გაფრთხილებ: არ დაიძრე ადგილიდან, თორემ ქარი ნაცარტუტად გაქცევს. როცა დრო იქნება, მე თვითონ გიხმობ.

რკინის ულაყი და ალაშა გააფთრებით შეებრძოლნენ ერთმანეთს. ფოლადის ნალებს ნაპერწკლებით ცეცხლი გაჩნდა და ხმელეთის ზედაპირი იწვის. ველარ მოითმინა ურუზმაგმა, ამოიხედა ორმოდან და წვერზე ცეცხლი წაეკიდა. ბიჭმა იმარჯვა, წვერზე ცეცხლი ჩაუქრო და თქვა:

— ამის შემდეგ წესად იქცეს იმ სიგრძის წვერის ტარება, რა სიგრძისაც შენი წვერი დარჩა!

რკინის ულაყმა და ალაშამ წიხლებით ბრძოლა შეწყვიტეს და ახლა კბილებითა და წინა ტორებით ეცნენ ერთმანეთს. ისეთი ქარი ატყდა, რომ ხმელეთის ზედაპირი ერთი მტკაველის სისქეზე მიჰქონდა.

კვლავ ველარ მოითმინა ურუზმაგმა — თავი ამოჰყო ორმოდან და ქარმა თავის ქალა მოაგლიჯა და გააქროლა.

— ვაი ჩემს დღეს. ჩემი უფროსი უთავისქალოდ დარჩება! — თქვა ბიჭმა და ამოხტა ორმოდან. თავის ქალას ქარი მიაგორებდა. ბიჭი სწვდა, დაიჭრა, ჩამოაცვა ურუზმაგს თავზე და ეუბნება:

— ამისი შემდეგ ნართებს თავის ქალა აღარ ეხდებოდეთ!

აქამდე კი ყოველი ნართი იხდიდა თავის ქალის ზედა ნაწილს, გაპარსავდა და ისევ იხურავდა ხოლმე.

ცხენებს ჭერ ბრძოლა არ გაეთავებინათ, რომ რკინისპირიანი მგელი გამოემართა: ბიჭმა ისარი სტყორცნა და — შენი მწყევლელიც ისე, — მოკვდა იქვე მგელი. ბიჭმა ყური მოაჭრა მგელს და შეინახა. ახლა რკინისნისკარტიანი ქორი მოფრინავს: ბიჭმა იმარჯვა, იმასაც ისარი ესროლა და ქარმა მიწაზე დაიწყო ფართხალი. მას ბიჭმა თავი წააცალა და ისიც შეინახა.

რკინის ულავი და ალაშა კი ისევ იბრძვიან. ულავი სწვდება პირით ალაშას და პირი ქვიშა-ლორღით ევსება. ბოლოს ალაშამ რკინის ულავს ძლევა დაუწყო. დაეცა ულავი მუხლებამდე. ბიჭმა აიტაცა უნაგირი, დაადო ულავს და ზედ შემოახტა.

— სად ხარ, ურუხმაგ? აბა, სწრაფად გარეკე თერქ-თურქის ჯოგი, მე წავალ და პატრონებს შევატყობინებ!

— ჯობია, ჩვენი გზით წავიდეთ, სანამ მღევარი არ დაგუდევნა. — უთხრა ურუხმაგმა.

— მაგას ვერ ვიკადრებ. ქურდულად საქონლის გატაცება ჩვენ არ შეგვეფერის.

შეთათამაშა რკინის ულავი ბიჭმა და მიექრა თერქ-თურქებს. რომლებიც ამ დროს ნადიმზე ისხდნენ და შესძახა:

— არიქა, თერქ-თურქნო, თქვენი ჯოგი გაირეკეს!

უმცროსებმა ამბავი შეატყობინეს უფროსებს, უფროსებმა თქვეს:

— ეგ ვილაცა, საქმულ-სასმელს ეძებს; წადით და მოიყვანეთ ჩვენთან, კარგად გაეუმასპინძლდებით!

უმცროსები გავიდნენ ბიჭთან და შინ შეიპატიყეს.

ბიჭი ჩამოქვეითდა რკინის ულავიდან, ულავი პალოზე მიიბა და უფროსების წინაშე წარდგა. შემდეგ მაგიდას გადაავლო თვალი. ამოიღო რკინისხისკარტა ქორის თავი და რკინისპირა მგლის ყური. თავი უფროსების მაგიდისაკენ ისროლა, ყური — უმცროსებისაკენ და თქვა:

— უფროსებო, თავი გაკლდათ და აბა, თქვენ თავი, თქვენ კი უმცროსებო, აი ყური, წესით ხომ ყური უმცროსებისაა, აგე, პალოზე კი თქვენი რკინის ულავია მიბმული.

აჩოჩქოლდა ხალხი: დარწმუნდნენ, რომ საიმედო დარაჯნი ხელიდან გამოეცალათ.

ბიჭი გამოვიდა სწრაფად, მოახტა რკინის ულავს და გაემართა ურუხმაგისაკენ. სოფლის ბოლოს რომ გავიდა, ზედავს, თეთრთმინაი მოხუცი ქალი ექვს საფლავს შუა ზის და რიგრიგობით დასტორის საფლავებს.

„ეს რა საკვირველებაა?“ — ჩაილაპარაკა ბიჭმა თავისთვის.

ამ დროს შემოესმა მოხუცი ქალის ხმა:

— მომიახლოვდი, ჩემს ძუძუს დაადგი კბილი; მღევრების შაში ჯგანუ გაქვს: რასაც გეტყვი, ნუ გაიკვირებ! შეიდი კაცი მყავდა და ექვსისაგან ხელმოცარული შევიქმენ. აი მათი საფლავები. მტრებმა დამიხოცეს, როცა თერქ-თურქის ჯოგებს იცავდნენ. შენ, გეტყობა, მოძალადე ხარ. მღევრები დაგედევნებიან და იცოდე, მათი წინამძღოლი ჩემი ვაჟია. ის შენ არ შეგიდრკება; მაგრამ ქვრივი დედის გულისთვის აპატიე, ჩემი ერთა იყვეს შენი სტუმარი!

ბიჭი რკინის ულავთან ჩამოხტა, ქვრივთან მივიდა, მის ძუძუს კბილი დაადგა და სიტყვა მისცა, ნართი კაცის სიტყვა, რომ მის ერთადერთ

ვაჟს არაფერს ავნებდა. მოხუცმა ქალმა უთხრა ბიჭს, როგორ უნდა ეცნო მისი ვაჟი.

ბიჭი ისევ მოახტა რკინის ულაცს, გააქენა და მიეწია ურუზმაგს. შერეკეს საქონელი ზღვაში და სწრაფად გავიდნენ მეორე ნაპირას. მილიან და აი, ერთი მხედარი წამოეწია მათ.

— ისწრაფე, ურუზმაგ, შენ გარეკე საქონელი, მე კი მდეგრებს მოვუვლი როგორმე!

მხედარი თავზე წამოადგა ბიჭს.

— ჰაიტ, შე ძაღლის შობილო, — ყვირის მხედარი, — ვის საქონელს მიერეკები? თუ კაცი ხარ, ნუ გამირბიხარ! — და ბიჭის ირგვლივ ისრების ზუზუნი გაისმა.

— სიტყვა მივეცი დედაშენს, მის ძუძუს კბილი დავადგი და დედად მივიღე, ნუ მაწუხებ, გამიშვი ჩემს ვზაზე! — ეუბნება ბიჭი.

მდევარი არ ეშვება.

ძალიან რომ შეაწუხა, ბიჭმა მოზიდა ისარი და მდევარს ესროლა. ისარმა ვაჟი ცხენიდან გადმოაგდო და მიწას მიაკდო. ბევრს ეცადა მდევარი, მაგრამ ისარს ძვრაც ვერ უყვ. ამასობაში სხვა მდევრებიც მოვიდნენ: ისინიც ბევრს ეწვალნენ, მაგრამ ისარი მაინც ვერ ამოაძრეს. ბოლოს ხმლით დაუჭრეს ტანსაცმელი და გაათავისუფლეს. დაიწყეს ბრძოლა მდევრებმა ბიჭთან. ბიჭი ჟლეტს და ჟლეტს მდევრებს, დახოცილები სისხლის ნიაღვარმა წალეკა. ასე გაანახევრა ბიჭმა მდევრები. დარჩენილები მიხვდნენ, რომ ბიჭს ვერ მოერეოდნენ და უკან გაბრუნდნენ.

ურუზმაგმა და ბიჭმა ნადავლი საქონელი ნართში მორეკეს და გასანაწილებელ ვაკეზე დააბინავეს. ბიჭმა უთხრა ურუზმაგს:

— შენ უფროსი ხარ, ნადავლი გაანაწილე!

— შენი ნაშოვნია და შენვე გაანაწილე! — მიუგო ურუზმაგმა.

მაშინ ბიჭმა ერთი თეთრი ხარი გამოაცალკევა საქონლიდან და ცალკე დააბა აბრეშუმის ბაწრით, დანარჩენი საქონელი სამ წილად გაყო და თქვა:

— ეს ერთი წილი შენი საუფროსო იყოს, მეორე წილი — შენი თანამოსაგრობისა იყოს, მესამე კი — ჩემი წილია და ისიც შენთვის მიჩუქნია. ამ ხარით კი წლის ქელეხი გადამიხადე. ქვეყნის მკვდრებს სცემდი პატივს, მხოლოდ ჩემი სახელი — შენი ვაჟიშვილის სახელი, ვაჟიშვილისა, რომელიც შენი ხელით გაემგზავრა საიქიოს დონბეთიერების სახლში, არასოდეს ვიხსენებია.

შემოაქდა ბიჭი თავის ალაშას, დაემშვიდობა ურუზმაგს და გაემგზავრა მკვდრეთში.

ურუზმაგს ცრემლი ჩამოსცვივდა და მიაძახა:

— ერთი მაინც მომხედე!

ბიჭმა არ მოიხედა, ჩემი დრო გავიდაო, უთხრა.

ურუშმაგმა ჭოგები გამოორეკა და სათანას რომ მიუახლოვდა, უთხრა:

— ო, ჩვენო დიასახლისო, შენ ვისი სიხარულითაც ცხოვრობდი და ვისი ნახვით ვერ გაძებნი, იმ ბიჭთან ერთად ვიყავი საალაფოდ.

სათანამ მსწრაფლ მიატრია ურუშმაგი, გამოევიდა ბიჭს, ბევრი სდიოდა, რომ მიუახლოვდა, დაუძახა:

— ო, ვისი სიხარულითაც გცხოვრობდი და ვისი ნახვით ვერ გაძებნი, ნუ დაიშურებ ჩემთვის შენი სხის ჩვენებას, მოტრიალდი და დამენახვე! ბიჭმა არ მოხედა, მხოლოდ ესა შესძახა:

— დრო აღარა მაქვს, მზე ჩადის უკვე.

მიხვდა სათანა, რომ აღარ მოხედავდა და საბრალომ ღმერთს შექალაქადა:

— ღმერთების ღმერთო, ჩემო ღმერთო, თუ შენ იცი დედის გულში ჩახედვა, მაშინ მთებზე მკვდრების მზე გამოახედე!

და მაშინვე მთებზე მკვდრებს მზემ გამოანათა.

ამასობაში ბიჭმა მიადწია საიქნოს კარებს და მეკარეს შესძახა:

— კარი გააღე!

— დრო აღარ არის. მზე ჩაესეენა, -- გამოსძახა მეკარემ.

— ჭერ აღრეა, აგერ მთებზე ჭერ კიდევ ანათებს მზე, — უთხრა ბიჭმა.

მეკარემ კარი გააღო. ბიჭი კარებთან მივიდა. მსწრაფლ შემობრუნდა სათანასაკენ. სათანამ ჭერ მისი ტანსაცმლის კალთებს მოჰკრა თვალი, შემდეგ მის სახეს და ბიჭს ბეჭედი ესროლა. ბეჭედი თითზე წამოეცო ბიჭს, სათანას ვაჟი ბეჭედიანად შევიდა მკვდრეთში და კვლავ ბართასთირს დაუჭდა მუხლზე.

სათანა უკან მობრუნდა და იმ თეთრი ხარით ბიჭს დიდი ქვლები გადაუხადა; დანარჩენი საქონელი ნართის ღარიბებს დაუბრუნდა.

ურუშმაგი და სალთვალა ღვი

ერთხელ ურუშმაგი საალაფოდ იყო წასული. ამ დროს სამი ნართის ახალგაზრდობას თავი მოეყარა ნართის სანახშოზე და ბჭობდნენ. ვინ არის ჩვენში ყველაზე უკეთესიო. „ნეტავი, კაცებში ვინ სჯობია ყველას, ვინ არის ყველაზე უკეთესი ქალთა შორის?“ — კითხულობდნენ ნართები და ვერა და ვერ დამდგარიყვნენ ერთ აზრზე: ყველაზე უკარგისი კი ამბობდა: „მე ვარ თქვენში ყველაზე უკეთესი“.

რომ აღარ იქნა და ვერ მორავდნენ, სათანამ უთხრა:

— მიდით კარმაგონთან და შეეკითხეთ! მოხეტკი ქალია, ეცოდინება და ვეტყვით, ვინ არის თქვენში კარგი და ვინ — ცუდი.

— კარმაგონ, ერთ რამეს გკითხავთ და მართალი გვითხარი! — უთხრეს ნართის ახალგაზრდებმა.

— ღვთის გულისათვის, დამეხსენით, ნართის ყოყლოჩინებო, მე რა გამეგება? — უთხრა კარმაგონმა.

— არ მოგეშვებით, სანამ არ გვეტყვი, ნართის კაცებსა თუ ქალებში ვინ არის ყველაზე უკეთესი?

კარმაგონმა თვალი გადაავლო ნართებს და უთხრა:

— კარგები ხართ, ძლიერები ხართ, სიკეთე იყოს თქვენი წილი. მაგრამ გიყურებთ და ვხედავ, რომ თქვენი უკეთესები აქ არ არიან.

— შენ ის გვითხარი, ვინ არის ჩვენში ყველაზე უკეთესი? — ჩააცვიდნენ ნართის ახალგაზრდები.

— კაცებში ურუხმაგი, ქალებში კი სათანა! — უთხრა კარმაგონმა. რაკი ახალგაზრდები აღარ მოეშენენ.

წამოაქციეს მოხუცი ქალი ნართის ბაქიებმა, მაგრად სცემეს და თანაც ლანძღეს.

მეორე დღეს ურუხმაგი დაბრუნდა და სათანამ შესჩივლა:

— გუშინ სამი ნართის ახალგაზრდებმა, სანახშოზე მოიწვიეს კარმაგონი და მაგრად სცემეს.

გაჭაერებული ურუხმაგი კარმაგონთან მივიდა და ჰკითხა:

— რა მოვივიდა, კარმაგონ?

— აგრემც ავი დღე იყოს ნართების ბაქიების წილი! — უთხრა კარმაგონმა. — გუშინ მოვიდნენ ჩემთან, მიმიწვიეს სანახშოზე და მეკითხებოდნენ: „ნართის სოფელში ვინა სჯობია ყველასო?“ მე ვუთხარი „კაცებში ურუხმაგი, ქალებში კი — სათანა-მეთქი“. იმათ წამომაქციეს და მაგრად მცემეს.

მობრუნდა ურუხმაგი თავის სახლში. მეორე დღეს დილაადრიანად წამოდგა, დაუძახა მაცნეს და უთხრა:

— წადი და ამცნე სამ ნართს: ურუხმაგმა შავ მთაზე საქონელი დაიგულა და შემოგითვალათ, ვინც კაცია, წამომყვეს საქონლის მოსაყვანად, მერე არავინა თქვას, მე რატომ არ დამიძახა-თქო!

მაცნემ გასძახა სამ ნართს:

— ურუხმაგს შავ მთაზე საქონელი ეგულება და ვინც კაცია, ის წაყვეს საქონლის მოსაყვანად. ვინც არ წამოვა, იმათგან არავინ თქვას, მე რატომ არ ვიყავიო იქ!

გასწიეს სამი ნართის ახალგაზრდებმა შავი მთისაკენ, წინ ურუხმაგი მიუძლოდათ. კარმაგონმა ღამე სამი თაფლიანი კვერი გამოაცხო და ღმერთს შესთხოვა: „ღმერთების ღმერთო, ჩემო გამჩენო ღმერთო. მოიყვანე თოვლი და ზვავი ისეთი, რომ გაირკვეს, ნართის კაცებში ვინ არის ყველაზე უკეთესი!“

იმ ღამეს ვათენებამდე თოვდა. ისეთი თოვლი დადო, რომ ახლომხ-

ლო აღარაფერი ჩანდა. ნართის ხალხი მაინც წინ მიიწევდა. ურუხმაგმა ისინი ჯერ თეთრი ზღვის ნაპირებზე ატარა, შემდეგ შავი ზღვის ნაპირებზე. შავ მთამდის ვერაინ მიაღწია, გზაზე ჩამორჩნენ ურუხზავს და შინ კლივძლივობით დაბრუნდნენ.

მარტო ნივიდა ურუხმაგი შავი მთის ძირას. აიხედა და მთაზე დაინახა ცხვრის ფარა. ავიდა საქონელთან: ხედავს, საქონელს მხოლოდ ერთი ბოტი ახლავს, არც მწყემსი ჩანს სადმე, არც მწყემსის ბინა; უცნაური იყო ეს ფარა: ცხვრები — მოზერის ოდენა, ბოტი — აქლემისა.

„ამათგან ერთ თოხლს ვახშამდ დავეკლავ ჩემთვის“, — გაიფიქრა ურუხმაგმა. სწვდა ფეხში ერთ თოხლს. თოხლმა ურუხმაგი აქეთ-იქით ათრია. ტუჩები ქვებზე დაუყეფა და ბოლოს ხელიდან დაუსხლტა.

„სხვა გზა არ არის, — თქვა ურუხმაგმა, — უნდა მივყე მათ კვალს, სადმე ხომ ექნებათ სადგომი“.

მოსაღამოვდა. ფარა დაიძრა, წინ ბოტი მიუძლოდა: ურუხმაგი უკან მისდევდა. ცხვრები ერთ გამოქვაბულში შევიდნენ. ურუხმაგიც შეჰყვა მათ. როგორც კი მიწვნენ ცხვრები, გამოქვაბულში შემოვიდა ცალთვალა დევი სტვენით, მხარზე ფეხვებიანად მოგლეჯილი ხე შემოკვდო. დევმა ხე მიწას დაახეთქა და ნაფოტებად აქცია. ურუხმაგმა დევი რომ დაინახა, ბარემ შეშინდა, მაგრამ რა გზა ჰქონდა! მამაცობა მოიკრიბა და ეუბნება:

— საღამო მშვიდობისა!

— მშვიდობით იარე, მთის ჩიტო! — უკასუხა დევმა: — რა ღმერთმა მოგიყვანა აქ?

— მოხეტიალე კაცი ვარ და აქ მოვხვდი, — უთხრა ურუხმაგმა.

დევმა ერთი დიდი ლოდი გამოქვაბულის კარს მიაფარა, ცეცხლი დაანთო, შემდეგ კაუჭიანი ჯოხი აიღო და ერთი ცხვარი დაეჭირა. ცხვარი დაკლა, ააფეშხოა, ქვაბში ჩადო და ქვაბი ცეცხლზე შემოდგა. სანამ ხორცი იხარშებოდა, დევი პირაღმა ცეცხლთან დაწვა და მალე მისი ხვრინვეაც გაისმა. ზის ურუხმაგი. ვახშამი რომ დამზადდა. დევმა გაიღვიძა, ადგა, ქვაბი გადმოიღო და ცხვრის ერთი ნახევარი თვითონ დაიღო, მეორე — ურუხმაგს და ეუბნება:

— მიირთვი, სტუმარო!

ვახშამობა რომ მოათავეს, ურუხმაგმა მადლობა გადაუხადა დევს.

დილას დევმა გამოქვაბულის კარზე აფარებული ლოდი ვადმოაბრუნა, თვითონ კარებში ჩადგა გალაჭული და ეუბნება ბოტს:

— ბოტო, გარეკე ცხვარი, კარგად აძოვე და საღამოს უკლებლივ ჩამორეკე!

ვეებერთელა ბოტი პირველი გაუძვრა ლაქებში დევს, მას ცხვრებიც მიჰყვნენ; დევმა ყველა დათვალა და შემდეგ თვითონაც გავიდა და ლოდი კვლავ გამოქვაბულის კარს ააფარა. დარჩა ურუხმაგი შიგნით, დილიდან საღამომდის ეწვალა იგი, მაგრამ ლოდს ძვრაც ვერ უყო.

რომ მოსალამოვდა, დევი მოვიდა ცხერის ფარასთან ერთად, გადმო-
აბრუნა ლოდი, შეუშვა ცხვარი შიგნით და ლოდი კვლავ კარებს მი-
აფარა.

— სტუმარი ერთ ლამესაა მხოლოდ სტუმარი, — ეუბნება დევი ურუხ-
მაგს. — ამ ლამეს ვახშმის გაკეთება შენთვის მომინდვია. აბა, მოაშხაღე
ვახშამი!

— რითი გაგიკეთო ვახშამი, რომ არაფერი გამაჩნია? — უთხრა ურუხ-
მაგმა.

— მაშ, მე თვითონ გავაკეთებ ვახშამს, — უთხრა დევმა და გადმოიღო
თვითმბრუნავი ორკაპა შამფური, გაუყარა ორივე მუხლში ურუხმაგს
და შამფური ცეცხლთან ჩაარქო. თვითონ კი, სანამ ურუხმაგი შეიწვებო-
და. პირალმა დაგორდა დასასვენებლად და მალე ხვრინვაც ამოუშვა. გატ-
რუსულმა ურუხმაგმა დაინახა, რომ დევს დაეძინა, ფეხით კერიას ქვას
მიებჯინა, ხელებით ქვაბის საკიდელს სწვდა და რის ვაი-ვაგლახით თავი
გამოიხსნა შამფურიდან. შემდეგ შამფური წითლად გაავარვარა და მძი-
ნარე დევს საღ თვალში ატაკა.

დაიღრიალა დევმა, წამოხტა და ძებნა დაუწყო ურუხმაგს. ურუხმაგი
იმწამსვე ცხვარში გაერია. დევი ხან გაჯავრებით, ხან დაყვავებით თა-
ვისთან იხმობდა, მაგრამ ურუხმაგი ახლოს არ გაეკარა. ბევრი სდია
დევმა ურუხმაგს, მაგრამ ამაოდ. რომ დაიღალა, შეჩერდა, და ტბილი
ხმით უთხრა ურუხმაგს:

— სულ ერთია, მე აღარ ვარგვიარ სასიცოცხლოდ. ჩემი ძალა და
ბედი აი ამ ბეჭედშია, გაიკეთე და ამ ქონების პატრონი გახდები. — ეს
უთხრა და ბეჭედი გადაუდგო.

ურუხმაგი სიხარულით სწვდა ბეჭედს, მაგრამ როგორც კი თითზე გა-
იყვთა. ბეჭედმა ყვირილი დაიწყო „აქ არის“, „აქ არის“. დევი დაედევ-
ნა ურუხმაგს. ურუხმაგი ხან ერთ კუთხეს მიაწყდებოდა, ხან მეორეს,
მაგრამ ბეჭედი კვლავ „აქ არის“, „აქ არის“ იძახდა. ღმერთი მოწყალეა
და ურუხმაგმა უცებ ცული დაინახა. სტაცა ხელი ცულს, ბეჭედიანი თი-
თი კუნძზე შეწოდო და თითი ძირში წაიჭრა, თვითონ კი მეორე კუ-
თხეში გაიქცა.

თითზე შემორჩენილი ბეჭედი კი კვლავ არ ჩერდებოდა და გაიძახოდა
„აქ არის“, „აქ არის!“ დევმა მიიღრინა, კუნძს დაავლო ხელი და მტვრად
აქცია, შემდეგ თითი აიტაცა და გაშმაგებულმა ბეჭედიანად გადაყლაპა.

მეტი რა გზა ჰქონდა, დაწყნარდა დევი და ეუბნება ურუხმაგს:

— ვაი შენს თავს, საღ გამეკცევი, კარში გასვლისას ხომ ჩემს ლა-
ვებში მოგახდება გავლა?

ფიქრობს, ურუხმაგი, როგორ დაიძვრინოს თავი ამ უბედურებისაგან
და კვლავ იპოვა გამოსავალი: დევს რომ დაეძინა, ურუხმაგმა ბოტი დაკ-
ლა და ოთხში ამოიღო, რქები ტყავზევე დატოვა. დილაადრიან ბოტის

ტყავი ტანზე ჩამოიცვა. დევმა დღლას, ცხვრის საძოვარზე გარეკის დროს, გამოქვაბულის კარი გააღო, კვლავ გაილაჭა კარებში და ალერსით ეუბნება ბოტს:

— მოდი, ბოტო, შენ გენაცვალე, გარეკე ცხვარი საძოვარზე და სადამოს კვლავ უკლებლივ მორეკე!

ურუზმაგი ბოტის ტყავში წინ წამოუძღვა ცხვრის ფარას. დევს რომ მიუახლოვდა, რქები შემართა: დევმა ხელებით ბაჩემ მოსინჯა ბოტი, მაგრამ ვერას მიხვდა. ურუზმაგი ლაჭებში გაუძვრა და გარეთ გავარდა. სხვა ცხვრებიც ურუზმაგს მიჰყვნენ, დევმა კვლავ დათვალა ისინი. მთელი ცხვარი რომ გამოვიდა გამოქვაბულიდან, ურუზმაგმა გადაივლო ბოტის ტყავი და დევს შესძახა:

— აი ახლა იძახე „ბოტო!“, „ბოტო!“ ბრუციანო ვირო! ამ ცხვრიდან რასაც ნახავ, ის გენახოს შენი დანარჩენი ქონებიდანაც!

ბრმა დევი გამოხტა გარეთ, მაგრამ მეტი ბრახისაგან ევლარ იაზრა, რომ გამოქვაბულის პირას უფსკრული იყო და გადაიჩეხა.

ურუზმაგმა დევის ცხვრის ფარა წინ წაიმძღვარა და ნართის დიდ სოფელში ჩამორეკა; მოაღწია თავის სახლს ნადავლით. დაუძახა მაცნეს და დაავალა, იმ დღეს ვინც ჩემთან ერთად წამოვიდა, დილას აქ მიმიგროვე, რომ ნადავლი ცხვარი გაუუყო. იმათთან ერთად კარმაგონიც მოაპატიებინა.

დილაადრიანად მოგროვდა ნართის ხალხი და იწყეს ცხვრის გაყოფა. ურუზმაგმა ერთი ზედმეტი წილი გამოყო. ერთმანეთს შეხედეს ნართებმა, ნეტავ ეს ზედმეტი წილი ვისიაო?

აიღო ყველამ თავისი წილი. ერთი წილი ხომ მეტი იყო და ეუბნება ურუზმაგი კარმაგონს:

— აი შენი წილიც, კარმაგონ, ეს იმისათვის, რომ შენ ასე უსამართლოდ შეურაცხეყვეს.

კარმაგონმა აიღო თავისი წილი და თქვა: მე მაინც ჩემსას ვიტყვი: თქვენში ყველაზე უკეთესი ურუზმაგიაო.

გატყდნენ ნართის ბაქია ახალგაზრდები და აღიარეს, რომ მათში ყველაზე უკეთესი მართლაც ურუზმაგი იყო.

ურუზმაგის უკანასკნელი ალაფი

მოხუცდა ძლიერი ურუზმაგი, ჯანი გაუტყდა. აღარ მიდიოდა საალაფოდ, აღარც რჩევას სთხოვდნენ ნართის ახალგაზრდები. მათ შორის ისეთებიც გამოერჩვნენ, რომლებიც დასცინოდნენ ურუზმაგს და ისეთებიც, რომლებიც ამბობდნენ, ურუზმაგი უკვე აღარაფერში გვარგაო. გამოვიდოდა ხოლმე ურუზმაგი დილაობით სანახაშოზე და იქ ატარებდა მთელ

თავის დღეს: ხალხის საუბარს უსმენდა, თვალს ადევნებდა, როგორ ერთობოდა შშვილდ-ისრით ნართის ახალგაზრდობა და თვალწინ უდგებოდა თავისი სიყმაწვილე; საღამოს შინ დაღონებული ბრუნდებოდა.

— ჰაი-გიდი, ნეტამც ერთხელ კიდევ მამყოფა საქონლის საშოვარში! — თქვა ერთხელ ურუშმაგმა და გამოვიდა ნართის დიდ სანახშოზე. აქ მას დახვდა ნართის ახალგაზრდობა და ურუშმაგმა უთხრა მათ:

— ბავშვობიდან მოყოლებული სიბერემდე თქვენ გახმარდით ჩემს ჰკუთას და გონებას. ახლა ჩემი ბებერი თავი აღარ გამოგადგებათ. ხვალისათვის გამიკეთეთ დიდი, მკიდროდ შეკრული კიღობანი, შიგ ჩამსვით და კიღობანი ზღვაში შეაგდეთ: ნართის სასაფლაოზე არ ეგების ჩემი დამარბეა.

ახალგაზრდებიდან ზოგმა თქვა: ჩვენი ჰკუთის დამრიგებელი ურუშმაგი თავზე რომ არ გვადგეს, ცხოვრებას ჩვენ ვერ შევძლებთო. სხვებმა თქვეს: უაბერდა და აღარაფრად გვინდაო. მაგრამ არ დაუჭერეს, სურვილი მაინც არ შეუხსრულეს ურუშმაგს.

მეორე საღამოს კვლავ მოვიდა მათთან ურუშმაგი და კვლავ უთხრა:

— რას მანწვალებთ? გაიკეთეთ კიღობანი, შიგ ჩამსვით და ზღვაში შემაგდეთ!

სხვა გზა არ იყო და დათანხმდა ახალგაზრდობა. მესამე დღეს გააკეთეს მონირილი კიღობანი და ჩაიტანეს ზღვის ნაპირას. შიგ ურუშმაგი ჩაავეს, თან ერთი კვირის საგზალი ჩაუდეს. კიღობანს კარგად დააქედეს თავი და ზღვაში შეაგდეს.

ზღვის ტალღებმა თავზე მოიგდო კიღობანი და შუა ზღვისაკენ გააქანა. არავინ იცის, დიდხანს ატარა თუ ცოტა ხანს კიღობანი ტალღებმა; ბოლოს, ერთ დამეს გამოჩინა ნაპირზე, ზედ იმ ადგილას, სადაც შავი ზღვის აღდარის ცხენების სარწყულებელი იყო.

დილას აღდარის მოჯამაგირეებმა ცხენები მორეკეს დასარწყულებლად. ცხენები წყალს არ გაეკარნენ: ჰინჯინებდნენ და უკან გამოქცევას ლამობდნენ. ნეტავი რა აფრთხობს ამ ცხენებსო, თქვეს მოჯამაგირეებმა და ღებო ახლოს მივიდნენ. ხედავენ, სარწყულებელში კიღობანი ჩახერვილი, გადმოაგდეს კიღობანი ნაპირზე, ახადეს თავი და ხედავენ — კიღობანში ტყაპუჭიანი მოხუცი კაცი წევს.

განცვიფრდნენ მოჯამაგირეები:

— ვინა ხარ და რომელმა ღმერთმა მოგიყვანა აქ? — ჰკითხეს მოჯამაგირეებმა.

— მე ნართის ურუშმაგი ვარ. მოვხუციდი, მომბეზრდა სიცოცხლე და ჩემიანებს ზღვაში შევაგდებინე თავი.

ერთ-ერთი მოჯამაგირე გაიქცა აღდართან და უთხრა:

— შენი რისხვით დაეღუპო, აღდარო, ოდითგან ვის დაჭერასაც ოც-

ნებობდი, ახლა ხელში ჩაგვივარდა — ნართი ურუხმაგი შენის ნაპარზე!
აღდარმა უთხრა მსახურთ:

— ამ წუთას აქ მომიყვანეთ!

მიიყვანეს ურუხმაგი აღდართან, კახიზა აღდარს, ოცი ურუხმაგი ხელში ჩაუვარდა.

ხელ-ფეხზე დიდი ხუნდები დაადევს ურუხმაგს, კომში აიყვანეს და ჩაკეტეს. პურის მისაწოდებელი ხვრელიდა დაუტოვეს.

ცოტა დრო გავიდა თუ ბევრი, ღმერთის მეტმა არავინ იცის. ზის ურუხმაგი კოშკში და ფიქრობს, როგორ მოიქცეს. ბოლოს მოიფიქრა. ერთ დღეს, პური რომ მიაწოდეს, პურის მომტანს უთხრა:

— რა სულელია თქვენი აღდარი!.. აქ, კოშკში რომ მოვკვდე, ამით რა მოემატება? განა არა სჯობს, ჩემი გამოსასყიდი აიღოს?

პურის მიმტანი მივიდა აღდართან და ეუბნება:

— შენი რისხვით დავიღუპო, ჩვენო კარგო აღდარო, ჩენი ტყვე საოცარ რამეებს ამბობს: რა სულელიაო თქვენი აღდარი! მე რომ აქ მოვკვდე, ამით მას რა მოემატებაო, ის არა სჯობს, ჩემი გამოსასყიდი აიღოსო?

— წადით, მოხსენით ხუნდები და აქ მომიყვანეთ! — ბრძანა აღდარმა.

წავიდნენ მსახურნი, ურუხმაგს ხუნდები მოხსნეს ხელ-ფეხიდან და აღდართან მიიყვანეს.

— ჰეი, ნართის ურუხმაგო, გაათავისუფლებდი, მაგრამ არაფერი გაბადია და გამოსასყიდს როგორ გადამიხდი? — ეკითხება აღდარი.

— ჩემმა ოჯახობამ და ჩემმა სოფელმა რომ გაიგოს, მათი უფროსი ცოცხალია და ციხეში ზის, მთელ თავიანთ ქონებას არ დაიშურებენ. ჩემი ქონება თუ არ იქნება სამყოფი, სამ ამდენს ჩემი სოფელი გაიღებს!

— მაინც რას გადამიხდი? — ეკითხება კვლავ აღდარი.

— თუ დამჭერდები, ასჯერ ას ცალქოსანს, ასჯერ ას ორქოსანს, ასჯერ ას სამქოსანს, ასჯერ ას ოთხქოსანსა და ასჯერ ას ხუთქოსანს ხარებს მოგცემო, — უთხრა ურუხმაგმა.

გახარდა აღდარს და უთხრა, გაგზავნე შენს სოფელში კაციო.

— მაშ, მომიყვანე ერთი შავგვრემანი და ერთიც მწითლური კაცი, რომლებიც აშბავს წაიღებენ ნართის სოფელში და აქეთ გამოუტყვებიან ჩემიანებს, — უთხრა ურუხმაგმა.

ურუხმაგს ორი კაცი მიუყვანეს: ერთი შავგვრემანი, მეორე მწითლური.

იმათ ურუხმაგმა ნართის ქვეყნის გზა მიასწავლა და უთხრა:

— წადით და უთხარით ნართებს: „ურუხმაგი შავი ზღვის აღდარს ჩაუვარდა ხელთ და გამოსასყიდად ასჯერ ასი ცალქოსანი, ასჯერ ასი ორქოსანი, ასჯერ ასი სამქოსანი, ასჯერ ასი ოთხქოსანი, ასჯერ ასი ხუთქოსანი ხარი უნდა გამოუგზავნოთ. მეგზურად შავი ხარი და ყვი-

თელი ხარი წამოუმძღვარეთ და თუ გზას გადაუხვიეს, შავ ხარს თავი მოსქერით, ყვითელ ხარს დაჰკიდეთ კისერზე და მამინ სწორი გზით წამოგიძღვებათ-თქო.

შავგურემანმა და მწითურმა ნართის ქვეყნისაკენ გასწიეს. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ღმერთის მეტმა არავინ იცის. ბოლოს, ერთ საღამოს ნართს მიაღწიეს. ნართები სანახშოზე ისხდნენ.

— საღამო მშვიდობისა! — უთხრეს მგზავრებმა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, კარგო სტუმრებო! — მიუგეს ნართებმა. — გეტყობათ, აქაურები არა ხართ, რა მზემ, რა წვიმამ მოგიყვანათ ჩვენთან?

— ეჰ, თქვენი ჰირი მოგვეცეს, კარგო ხალხო! — თქვეს სტუმრებმა, — ჩვენ შავი ზღვის აღდარის ქვეყნიდან ვართ. ნართი ურუშმაგი ჩვენ აღდარს ჩაუვარდა ხელთ. აღდარმა გამოსასყიდი მოსთხოვა, ურუშმაგი დათანხმდა და გამოსასყიდის წასაღებად გამოგვგზავნა.

ნართებმა რომ ვაიკეს, ურუშმაგი ცოცხალიაო, დიდად გაინარეს და სტუმრებს ჰკითხეს:

— თქვენი ჰირი მოგვეცეს, კარგო სტუმრებო, რას თხოულობს ურუშმაგის გამოსასყიდად თქვენი აღდარი?

სტუმრებმა უპასუხეს:

— ურუშმაგმა გვითხრა: „გამომიგზავნეთ ასჯერ ასი ცალრქოსანი ხარი, ასჯერ ასი — ორრქოსანი, ასჯერ ასი — სამრქოსანი, ასჯერ ასი ოთხრქოსანი, ასჯერ ასი — ხუთრქოსანი“. კიდევ გვითხრა: „წინ მეგზურად წამოუმძღვარეთ შავი ხარი და ყვითელი ხარი და თუ გზა შეეშალოთ, შავ ხარს თავი მოსქერით და ყვითელ ხარს დაჰკიდეთ კისერზე. მამინ ყვითელი სწორად მიგასწავლით გზას“.

ნართებმა სტუმრები მოსასვენებლად წაიყვანეს და თვითონ ბქობა დაიწყეს: „ხარებს თითო რქას მოჰკაპრით და ამრცად ასჯერ ას ცალრქოსანს ვიშოვით, ორრქოსანს რაღა შოვნა უნდა, მაგრამ სამრქოსანი, ოთხრქოსანი და ხუთრქოსანი ხარები სად ვიშოვოთ, ასეთი ხარების ხსენებაც რომ არ გავვიგია?“

ნართები დანაღვლიანდნენ და საგონებელს მისცეს თავი:

რომ კერაფერი გააწყეს, ვადაწყვიტეს სათანასათვის ეკითხათ რჩევა. მივიდნენ და უთხრეს:

— ურუშმაგმა შავი ზღვის აღდარის ქვეყნიდან გამოგვიგზავნა კაცები და შეჰოგვითვალა: ცალრქოსანი, ორრქოსანი, სამრქოსანი, ოთხრქოსანი და ხუთრქოსანი ხარები გამომიგზავნეთ. რომ ტყვეობიდან თავი დავიხსნაო. კარგი, ცალრქა ხარებს გავახებხებთ — ორრქოსნებს თითო რქას მოკაპტრევთ, ორრქოსნები გვეყავს, მაგრამ სამრქოსანი, ოთხრქოსანი და ხუთრქოსანი ხარები საიდან მოვიყვანოთ, თუკი არც გავვიგია ასეთი ხარების ხსენება?!

მიხვდა სათანა რაშიც იყო ხაჭუე, გილინა და უთხრა მათ:

— ეგ მოხუცი კაცი რომ არ გყავდეთ, დაიღუპებით! სადღაც კიდევ გიშოვათ შეუტყმელი ქვეყანა და მის შესაკმელად გიწვევთ: ცალოქოსან ხარებს უწოდებს ქვეით ჯარს, ორრქოსანს — ცხენოსანს, სამრქოსანს — შუბოსანს, ოთხრქოსანს — ჯავშნოსან ჯარს, ხუთრქოსანს კი — ყოველნარი იარაღით აღჭურვილ ჯარს.

— შავ ხარს მოაჭერით თავი და ყვითელს კისერზე დაჰკიდეთო, ეს რაღას ნიშნავს? — ეკითხება ხალხი.

— ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ჯარით წახვალთ, მეგზურებად შეგვგრემანი და მწითური კაცი უნდა წაიყვანოთ. ესენი ამდენ ჯარს რომ დაინახავენ, სწორი გზიდან გადაუხვევენ და აქეთ-აქით გატარებენ. მაშინ შეგვგრემან კაცს თავი უნდა მოსჭრათ, მწითურს დაჰკიდოთ კისერზე და მწითური ამის შემდეგ სწორ გზაზე გატარებთ.

იგრიალა ნართის ახალგაზრდობამ და სამ დღეში ჯარი მოამზადა. შეგვგრემანი და მწითური წინ წაიმძღვარეს და შავი ზღვის აღდარის სამფლობელოსაკენ გასწიეს. კარგა ხანს რომ იარეს, შეგვგრემანმა და მწითურმა ერთმანეთს უთხრეს: ესენი რაღაც ეშმაკობას გვიპირებენო და დაიწყეს გზა-კვალის აბნევა, ხან საით მიდიოდნენ და ხან საით.

ნართებმა, შეგვგრემან კაცს თავი მოსჭრეს და მწითურს დაჰკიდეს კისერზე. მწითურს შეეშინდა, მეც მომკლავნო და სწორ გზას დაადგა.

ურუხმაგმა წინასწარ იცოდა ნართის ჯარის ჩასვლის დრო და იმ დღეს აღდარს უთხრა:

— წავიდეთ, კოშკიდან გადავიხედოთ, იქნებ უკვე გამოჩნდა შენი საქონელი!

ორივენი კოშკის თავზე ავიდნენ, მიდამო მოათვალიერეს: შორს მინდვრის განაპირას, რაღაც შავი ჩრდილი შენიშნეს. მიხვდა ურუხმაგი, ნართები მოვიდნენო და აღდარს უთხრა:

— აჰა, აგერ მორეყავენ გამოსასყიდს, მთელი შენი ხალხი ვაგზავენ და შეაგებე მათ, მხოლოდ იარაღი არავინ წაიღოს თან, თორემ ამ საქონელს ავი ზნე სჭირს, როგორც კი დაინახავენ საომარ იარაღს, დაიფანტებიან და ხელში ველარ მოიგდებ, მერე მე ნურაფერს დამბარალებ!

აღდარმა მთელი თავისი ხალხი ვაგზაუნა ნართების შესახვედრად და თან გააფრთხილა: სახრისა და წყეპლის მეტი არაფერი წაიღოთ, სორემ დაგხოცავთო!

აღდარის ხალხს ნართის ჯარის დანახვაზე ელდა ეცა.

ნართებმა იწყეს აღდარის ჯარის ხოცვა. საბრძოლრ ველზე ავარდნილმა მტვერმა მზე დააბნელა.

აღდარი და ურუხმაგი კვლავ კოშკიდან მზირებოდნენ. მტვრის ღრუბლები რომ დაინახა აღდარმა, ჰკითხა ურუხმაგს:

— ნეტავი ის რა არის, ბოლოვით რომ მოჩანს?

— ზორბა საქონელი მოდის და იმათი ამონააქნთქი და ფეხის მტვერია.

— თითქოს ბრძოლის ხმაც ისმის, ნეტავი ეს რაღაა? — ეკითხება ალდარი.

— ზორბა საქონელია და მათი ფეხის ხმა არის, — უთხრა კვლავ ურუხმაგმა.

ნართის ჯარმა ალდარის ხალხი პირწმინდად გაჟლიტა.

როგორც კი დაინახა ურუხმაგმა, ალდარის ხალხი გაწყდაო, ალდარს ყბაში მაგრად 'სმოჭრა და უთხრა:

— შენ ურუხმაგის მოკვლას ლამობდი?! გახედე აბა, შენს ჯარს, ჩავახოცინე თუ არა ძალღებვიით? — მერე მოჰკიდა მკლავში ხელი ალდარს და კოშკიდან გადაუძახა.

ნართები კოშკთან მივიდნენ და ურუხმაგი რომ დაინახეს, დიდად გაიხარეს:

ურუხმაგმა უთხრა:

— ჩემი ბებერი თავი რომ არა გყავდეთ, ყვაევი თავის ბუდეში წაგიღებდათ.

ნართებმა შავი ზღვის ალდარის საქონელი წინ გაირეკეს, სხვა ქონებაც წამოიღეს მთლიანად და ნართში დაბრუნდნენ. ნადავლი ქონება სამივე ნართს გაუყვეს, ერთი ადამიანიც არ დაუტოვებიათ უწილოდ. საქონელს მთელი წლის მანძილზე კლავდნენ ხან დღეობებსა და ხან ქელებებში.

როგორ გაჩნდა ლუდი

ჩიტი ხეზე შემოქდა და სვია მოგლიჯა. გადაყლაპა სვიის სამი მარცვალი, გადმოფრინდა იქიდან და მზეზე გაფენილ ალაოს დაასკუპდა. გადაყლაპა გალივებული მარცვალი და იმავე წამს მიწაზე დავარდა და გორვა დაიწყო, ურუხმაგმა აიღო ჩიტი და სათანასთან მიიტანა. სათანამ ხორბლის კილობანში ჩასვა ჩიტი და, ჰოი საკვირველებავ, კილობანში ხორბალს ზევით აკლდებდა და ქვევიდან ემატება. ჩიტი მოსულიერდა და გაფრინდა. ჩაფიქრდა სათანა და ურუხმაგს დაწვრილებით გამოჰკითხა ამბავი. ურუხმაგიც მოუყვა ჩიტის ამბავს. დანარჩენს თვითონ მიხედა სათანა. რითი კეთდება ლუდი? შავი ლუდი — ქერისაგან. საფუარი? საფუარი კი — სვიისაგან. რომელიც თხილს ბუჩქზეა ახვეული. შენ, სათანა, გამოგეიტანე შავი ლუდი. შენ კი, ურუხმაგ, დაგვლოცე! ლუდი კარგ ღროს გაგვატარებინებს, თუ მას კარგ სიძღვრებს ვუმღერით.

უზბეკური ლიგიაგუკა

ორი ლეგენდა

ჩინურ ღინასტიურ ქრონიკაში ჩოუ-შუ (VI ს.) რეგისტრირებულია ორი თურქულ-გენეალოგიური ლეგენდა, როგორც ჩანს, სხვადასხვა დროს ჩაწერილი ორი სხვადასხვა თურქი ინფორმატორისაგან. ლეგენდები თარგმნილია გერმანულად, საიდანაც შესრულებულია წინამდებარე ტექსტი.

ამბავი თუ-ქიუესი ჩოუ-შუში. თუ-ქიუები ჰიუნგ-ნუს განსაკუთრებული მოდგმაა (ტომია). მათი ოჯახის სახელწოდებაა ა-ში-ნა. მათ შექმნეს დამოუკიდებელი ურდო, მაგრამ შემდეგ დამარცხდნენ ერთ-ერთი მეზობელი სახელმწიფოს მიერ და ოჯახის ყველა წევრი განადგურდა, გარდა ერთი ათი წლის ყმაწვილისა. როდესაც [მტრის] შემოღობმა დაინახეს, რომ იგი ჯერ სულ ნორჩი იყო, მოსაკლავად ვერ გაიმეტეს. ბოლოს ფეხები დააქრეს და ბალახით დაფარულ ქაობში გადაადგეს. იქ ერთი ძუ მგელი ბინადრობდა, რომელმაც ყმაწვილი ხორცით გამოკვება. ყმაწვილი თანდათან წამოიზარდა და ძუ მგელთან დაიწყო ცხოვრება. ბოლოს მგელი მისგან მაკედ შეიქნა. [მეზობელი სახელმწიფოს] მბრძანებელმა რომ შეიტყო, ბიჭი ისევე ცოცხალიაო, კვლავ გაგზავნა ხალხი მის მოსაკლავად. გაგზავნილებმა ჰაბუის გვერდით მგელი რომ ნახეს, მისი მოკვლაც განიზრახეს. ძუ მგელი ერთ მთაზე გაიქცა, სახელმწიფო კაო-ჩანგის ჩრდილოეთით რომ მდებარეობდა. იმ მთაზე ერთი გამოქვაბული დაუხვდა, რომლის შიგნით ამწვანებული ვაკე ადგილი იყო. ეს ვაკე რამდენიმე ასეულ ლიე ფართობს მოიცავდა და გარშემო მთები ეჭრა. ძუ მგელი მთებში დაიმალა, შემდეგ კი ათი ძე შვა. როდესაც ვაკეები დაიზარდნენ, გარედან მოიყვანეს ქალები ცოლად. ქალებმა ვაჩინეს შვილები. მათი შთამომავლობის ყოველმა შტომ გუარს მისცა დასაბამი, ერთ-ერთმა დაირქვა ა-ში-ნა. იმრავლეს მათმა შვილებმა და შვილიშვილებმა, ვიდრე ბოლოს რამდენიმე ასეული ოჯახი არ წარმოიქმნა. რამოდენიმე თაობის შემდეგ ყველანი ერთად გამოვიდნენ გამოქვაბულიდან, რათა იღ-იუსათ-

ვის ქვეშევრდომობა ეთხოვათ. ისინი ცხოვრობდნენ ქინ-შანის სამხრეთ ფერდობზე და იუ-იუს მკვდლები იყვნენ (რკინას ამუშავებდნენ იუ-იუსათვის). რადგან ქინ-შანი ჩაჩქანს წააგავდა და ისინი ჩაჩქანს თუ-ქიუეს უწოდებდნენ, საბოლოოდ თვითონაც თუ-ქიუე დაირქვეს.

სხვა გადმოცემის თანახმად თუ-ქიუეს წინაპრები სო სახელმწიფოდან წარმოადგებიან. ეს სახელმწიფო ჰიუნგ-ნუს ჩრდილოეთით მდებარეობდა. მათი ურდოს წინამძღოლი ა-პანგ-პუ იყო. მას 17 ძმა ჰყავდა. ერთ მათგანს ი-ხი-ნი-ში-თუ ერქვა და მგლის ნაშობი იყო. ა-პანგ-პუ და მისი ძმები გოხუბაჩლუნგები იყვნენ, ამიტომ საბოლოოდ განადგურდნენ კიდევ. მაგრამ [ი-ჩი] ნი-ში-თუს ჰქონდა სულებისგან მომადლებული ძალა ქარისა და წვიმის გამოწვევისა. მას ორი ცოლი ჰყავდა. ამბობენ, ერთი ზაფხულის ღმერთის ასული იყო, მეორე კი ზამთრისა. ერთმა მათგანმა ოთხი ვაჟი შვა. ერთი ვაჟი თეთრ გედად იქცა, მეორემ სახელმწიფო დააარსა ა-ფუსა და ქიენ-მდინარეს შორის. სახელმწიფოს კი-კუ ერქვა. მე-სამე ვაჟი ჩუ-ჩე მდინარეზე გაბატონდა. მეოთხე [ნო-თუ-ლუ] ცინ-სე-ჩუ-ჩე-ში მთის ძირას ცხოვრობდა. იგი ძმებში უფროსი იყო. ამ მთაზე ა-პანგ-პუს ტომის სხვა ურდოებიც ბინადრობდნენ. იქ ხშირად დიდა სიცივეები იცოდა. უფროსი ვაჟი მათ ცეცხლით ამარაგებდა, ათბობდა და სიცოცხლეს უნარჩუნებდა. ასე გადარჩნენ ისინი, უფროსი ვაჟი წინამძღოლად აირჩიეს და უბოძეს ტიტული თუ-ქიუე. ნო-თუ-ლუ შადი იყო. მას ათი ცოლი ჰყავდა, რომელთა ვაჟები დედის ოჯახის გვარზე იყვნენ. ა-ში-ნა მისი ხარკის ნაშობი იყო. ნო-თუ-ლუს სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობა ათი დედის ერთ-ერთ ვაჟს უნდა დარჩენოდა. ისინი შეიკრიბნენ ერთი დიდი ხის ქვეშ და მოითათბირეს, წინამძღოლად ის აერჩიათ, ვინც ახტებოდა და ყველაზე მალე ასწვდებოდა ხეს. ა-ში-ნასაგან ნაშობი ვაჟი თუმცა ჭერ სულ ნორჩი იყო, მაგრამ ყველაზე მალე ახტა. სხვა ვაჟებმა წინამძღოლად ის აირჩიეს. მან თავის თავს ა-პიენ შადი უწოდა.

თუმცა ეს თქმულებები განსხვავდებიან, მაგრამ ერთი აქვთ საერთო --- თუ-ქიუე მგლის ნაშვირები არიან. ა-პიენ შადის შთამომავალს (შვილი-შვილს) ერქვა თუ-მენი, რომლის ურდოც თანდათან გაძლიერდა. მაშინ გამოჩნდნენ პირველად ჩინეთის საზღვრებთან, რათა აბრეშუმში და ხამი აბრეშუმში ეყიდათ. მათ სურდათ კავშირი დაემყარებინათ ჩინეთთან.

დედე ქორქუთი

ოღუზური თურქული ენის პირველი ლიტერატურული ძეგლი „წიგნი პაპაჩემის ქორქუთისა“, დაწერილი ოღუზთა ენაზე, შედგება 12 კარისაგან. მისი მნიშვნელობა ბევრით სცილდება მის მხატვრულ ღირებულებას და მთელ რიგ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინისათვის იძლევა შეუღებულად უხვ წყაროს შუა აზიისა თუ აზერბაიჯან-თურქეთის პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის ისლამიზებული თუ მისი შემდგომი პერიოდის კვლევისათვის. ეპოსი აღიარებულია ერთ-ერთ შესანიშნავ მხატვრულ თხზულებად და დღუისთვის თარგმნილია მსოფლიო ხალხების არაერთ ენაზე. თხზულების სიუჟეტური, მითოლოგიური თუ ლიტერატურული პარალელები როგორც აღმოსავლურ, ასე დასავლეთის ფოლკლორთან თუ დამწერლობით ლიტერატურასთან, აგრეთვე მისი ორიგინალური ხაწილთ, ერთიორად ზრღის ეპოსის მეცნიერულ მნიშვნელობას.

ძეგლის ქართულად თარგმნის პირველი ცდის შედეგი — პირველი თავი — დიბეჯა და „არშალანის“ წინა კრებულში (თბილისი, 1977 წელი). ამჟერად ვაქვეყნებთ თხზულების მეორე და მესამე თავებს.

ამაგვი სალურ ყაზანის სახლ-კარის ააღუგისა

ერთ დღეს ულაშის ძე. ლომი მამაცთა, მართვე ქორისა, იმედი გლახაკთა და უპოვართა, ლომი ამითის მოდგმისა, ვეფხი ყაზანუხისა, პატრონი ქურანა ცხენისა, მამა ურუზ ხანისა, სიძე ბაინდურ ხანისა, ბედნიერება ძალოვან ოღუზთა, მხარი და ზურგი დანარჩენ მამაცთა, სალურ ყაზანი ზე წამომდგარა თურმე; შავ მიწაზე ოთხმოცდაათი თავიანი და თავიანიანი კარავი აღამართინა, ოთხმოცდაათ ადგილზე აბრეშუმის ნაირფერი ხალი გააშლევინა, ოთხმოც ადგილზე ბადიები ჩაამწკრივებინა და ოქროსფეხიანი სურები ჩაარიგებინა. უსჯულოთა შავთყალა და პირმშვენიერი ცხრა ასული, ნაწნავები მსრუბზე რომ ეყარათ, მკეცლზე წითელთავიანი ძუძუები ესხდათ, ხელები მაჯებამდე ინით რომ ჰქონდათ შეღებილი, ძალოვან ოღუზთა ბეგებს სასმისებს აწვდიდნენ. სევს და სევს. ბოლოს, როცა ულაშის ძეს, სალურ ყაზანს, ღვინო თავში აუვარდა, ძლიერ მუხლებზე წამოიჩოქა და ბრძანა: „ჩემი ხმა ისმინეთ, ბეგებო, ჩემი სიტყვა ყურად იღეთ, ბეგებო! ამდენი წოლით წელი ვაგვიშემდა. მოდი, გავწიოთ, ბეგებო, ნადირი ვინადიროთ, ფრინველი დავიპიროთ, ქურციკი და ირემი დავბოცოთ. მერმე მოგბუნდეთ, ჩვენ-ჩვენ კარვებს მივაშუროთ, ეკამოთ, ვსვათ და დრო გავატაროთ!“

კიან სელჩუკის ძე დელი დუნდარი იტყვის: კემმარიტი სიტყვა ბრძანა ხანმა ყაზანმაო.

ყარა გუნეს ძე ყარა ბუდალი იტყვის: მაშა ყაზანმა მართალი ბრძანაო. მაშინ ცხენისლაგება ურუხ კოჯამ ორივე მუხლზე წამოიჩოქა და თქვა:

— მამეე ყაზანო, სწორი ბრძანებაა, მაგრამ რჯულებილწ ქართველთა საზღვარზე სახლობ, ორდღში ვის სტოვებ?

ყაზანი ბრძანებს, სამას მამაცთან ერთად ჩემი ძე ურუხი სახლში დარჩესო.

უმალ ქურანა გამოუყვანეს. ყაზანი ამხედრდა. მძლე ოღუზთა ბეგებიც ამხედრდნენ.

ნიშა ულაყზე დუნდარი ამხედრდა.

არაბული ლურჯა ბედაური ყაზან ბეგის ქმას, ყარა გუნეს მოჰკვარეს და ისიც ამხედრდა.

არაბული თეთრონი ბაინდურ ხანის მტერთა შემმუსკრელ შირ შემსედინს მოჰკვარეს და ისიც ამხედრდა.

ბეირეჟი, ის ბეირეჟი, ერთხელ ბაიბურთის ციხიდან რომ გადმოეშვა, ნაცრისფერ ულაყზე ამხედრდა.

ყველას ვინ ჩამოთვლეს, ძალოვან ოღუზთა ბეგები ამხედრდნენ.

ალაჯა ლაშქრით ყაზანი ალა დაღისკენ გაემართა სანადიროდ.

უსჯულოთა მსტოვარმა იმსტოვრა, მივიდა და უსჯულოთა კოფიან შოქლი მეფეს ამზავი აცნობა. შეიდი ათასი ზურგზე საბეჭურჩამოხეული, სანახევროდ შავთმიანი, რჯულებილწი, ჭეშმარიტი სარწმუნოების მოძულე შავი უსჯულო ამლაყ ცხენზე ამხედრდა, გაქუსლა და შუალამისას ყაზან ბეგის ორდუს დაეცა. მათ ოქროსთავიანი კარვები მიანგრ-მონგრძიეს; ბატების მსგავსი ქალი და პატარძალი ააწიოკეს; თავლებიდან ჩიშინი ბედაურები გამოიყვანეს და ზედ შესხდნენ; ყაზანის წითელი აქლემები გამოიჩეკეს და ქარავენებად გზას გაუყენეს; მდიდარი ხაზინა გაძარცვეს და დააცარიელეს; ორმოცი ტანწერწეტა ასული და ტანმაღალი ბურღა ხათუნი ტყვედ წაიყვანეს; ყაზან ბეგის დროული დედა შავ აქლემს კისერზე ჩამოჰკიდეს და ისე წაიყვანეს; ეილექ კოჯას ძე კულმაში ყაზანის სახლ-კარისთვის ბრძოლაში დაეცა.

ყაზანმა ამ ამბისა არა უწყოდა.

უსჯულოთა მბრძანებელი იტყვის:

— ბეგებო, ყაზანს საოცარი საქმე დავმართეთ: სახლ-კარი დავუქციეთ, ქონება და სიმდიდრე ვილაგეთ, ვაჟი და ნაწნავებიანი მოხუცი დედა მოვტაცეთ, იმისი თავლიდან ჩიშინი ბედაურები გამოვიყვანეთ და ავმხედრდით, ოქრო და ვერცხლი წავვლიჯეთ, ვაჟი თავის ორმოც მამაცთან ერთად დავატყვევეთ. ყაზანის ცოლი თავის ორმოც ტანწერწეტა ასულთან ერთად ხელთ ვიგდეთ. აქლემები გამოვილაღეთ და ქარავენებად გზას გაუყენეთ. ეს უბედურება ყაზანს თავს ჩვენ დავატეხეთ

მაშინ ერთი უსჯულო იტყვის, ყაზან ბეგისთვის კიდევ დაგვრჩა მისაზღვეველი. შოქლი მეფე იკითხავს:

— ეი, აზნაურო, რაღა დაგვრჩა მისაზღვეველი?

უსჯულო მიუგებს:

— რაღა და, ყაზანს დარუბანდის ხეობაში ათი ათასი სული ცხვარი ჰყავს. ყაზანს კი მაშინ დავატყებთ თავს დიდ უბედურებას, თუ იმ ცხვარსაც წამოვასხამთ.

შოქლი მეფე ბრძანებს, ექვსასი კაცი ახლავე გაეშუროს, ცხვარი წამოასხას და აქ მორეკოსო.

ექვსასი უსჯულო უმალ ცხენებს მოახტა და ცხვარს დაეცა.

როცა ღამე ჩამოწვა, ყარაჯუქ მწყემსს შავი და ავი სიზმარი ესიზმრა. ერთი შეინძრა ძილში, ზეზე წამოიჭრა. უმალ ძმები კიან გუჯუ დადემირ გუჯუ იხმო. მერმე ფარების კარი ჩაარაზინა; სამ ადგილზე ქვის დიდი გორა დააყენა და თავისი კრულსახელურიანი შურდული მოიმარჯვა.

უეცრად ექვსასი უსჯულო დაესხა მწყემსს თავს.

ერთი უსჯულო ეტყვის:

სალამოს ბინდი დაწვება თუ არა,
მოსვენება გეკარგება, მწყემსო,
თოვლი თოვს, თუ წვიმა წვიმს,
ველად დადიხარ, მწყემსო,
რძის, ყველისა და ნაღების
უსხად შემომტანო, მწყემსო.

ყაზან ბეგის სანათურიანი, ოქროსთავიანი კარვები ჩვენ დავაქციეთ: თავლაში ჯიშინი ბელაურები რომ ება, ჩვენ გამოვიყვანეთ და სულ შევსხედით. წითელი აქლემების ქარავანი რომ დადიოდა, ჩვენ გავირეკეთ: იმისი ბებრუცუნა დედა ჩვენ წავიყვანეთ. ბატის მსგავსი ქალ-პატარალა ჩვენ ჩავიგდეთ ხელში; ყაზანის ვაჟი თავის ორმოც მამაცთან ერთად ჩვენ დავატყვევეთ: ორმოც ტანწერწეცა ასულთან ერთად ყაზანის ტანმალალი ცოლი ბურლა ხათუნი ჩვენ წავიყვანეთ: პაი, მწყემსო, თუ გინდა, მოშორებით დადექ, თუ გინდა, მოგვიახლოვდი, თავი დასაზე, მკერდს მიიბჭინე და ჩვენ, უსჯულოთ სალამი გვიძღვენ. შენ არ მოგვლავთ, შოქლი მეფესთან წავიყვანთ, იგი ბეგობას გიწყალობებს.

მაშინ მწყემსი უპასუხებს:

ნუ მიედ-მოედები. პეი, მეფეარო უსჯულოვ.

ჩემს ძალღთან ერთად გონიდან რომ წარეტე წყალს

სვლემ, ცოფიანო უსჯულოვ;

რას იქადნი შენი აზლავი ცხენით, ლაქებქემ რომ ამოვიღეცა,

ამ ჩემს კრულსუღლა თხას ვერ შეედრება იგი;

რას იქადნი მაგ შენი მუზარადით, თავს რომ ჩამოგობხვია,

ამ ჩემს მესხვარის ქელს ვერ შეედრება იგი;

რას იქადნი მაგ შენი სამოცი მუშტის საოფიე-შუბით,

ძილლო უსჯულოვ.

ამ ჩემს შინდის კომბალს ვერ შეედრება იგი;
რას იქადნი მაგ. შენი ხმლით, აჟი, უსჯულოვ.
ამ ჩემს თაყაქუა ჩომბასს ვერ შეედრება იგი;
რას იქადნი წელს შემორტყმული ოთხმოცდაათისრიანი კაპარკით,
ძაღლო უსჯულოვ.
ამ ჩემს კრელტარა შურდულს ვერ შეედრება იგი;
თუ გინდა, მოშორებით დადექ. თუ გინდა, ახლოს მოდი,
იგეზე ვაქაყის დარტყმა და შერე გაღვე განზე!

ეს რომ უსჯულოებმა მოისმინეს, მყის ცხენებს მათრახები გადაუჭირეს, ისრები ტყორცნეს.

გმირთა გველშაპმა ყარაჯუქ ჩიზანმა შურდულის. ენაში ქვა ჩადო და ტყორცნა. პირველ სროლაზე ორი უსჯულო დაეცა, მეორე სროლაზე — სამი-ოთხი. უსჯულოთ თვალში შიში ჩაუდგათ. ყარაჯუქ ჩიზანმა ქვის სროლით სამასი უსჯულო დასცა. მისი ორი ამხანაგი კი ისრით განგმირეს. ისინი სჯულისათვის დაეცნენ ბრძოლის ველზე.

ყარაჯუქ ჩიზანს ქვა შეძოელია. ის აღარ არჩევდა, ცხვარი იყო თუ თხა, შურდულის ენაში დებდა, უსჯულოებს ტყორცნიდა და მიწაზე აქცევდა. უსჯულოებს თვალში შიში ჩაუდგათ, ქვეყნიერება წყვდიადად ექცათ. თქვეს, ღმერთმა ნუ ქმნას, რომ ამ ოსერ-ტიალმა ყველა დაკვხოვოსო. მეტი აღარ დაახანეს და უკუიქცნენ.

ყარაჯუქ მწყემსმა სჯულისთვის თავგანწირული ამხანაგებისთვის ურწმუნოებს სამაგიერო მიუზღო. უსჯულოების გვამების მთელი მთა აღმართა. თვითონ კი ერთი-ორი ქრილობა მიიღო. კვეს-აბედს ჩამოაჭრა, ცეცხლი გააჩაღა, საბადს კიდე ჩამოაჭრა და ქრილობა გადაიხვია. მერე გზის პირას ჩამოჯდა და ატირდა. იტყვის: სალურ ყაზანო, ბეგო ყაზანო, მკვდარი ხარ თუ ცოცხალი ხარ, ამ ამბებისა თუ იცი რამე?

ამასობაში, ხანო ჩემო, იმ ღამეს ძაღლოვან ოღუზთა ბედნიერებამ, ბაინდურ ხანის სიძემ, ულაშის ძე სალურ ყაზანმა შავი სიზმარი ნახა. წამოიხტა დ თქვა:

— ბეგებო, შავი და ავი სიზმარი ენახე. განა არ იცო, ძმაო ყარა ვუნე, რა სიზმარი ენახე? შავი სიზმარი ენახე. ვნახე, ვითომ, ჩემს მაჯაზე აფართხალებული შავარდენი მომტაცეს; ვნახე, ვითომ, ციდან მეხი წამოვიდა და ჩემს თეთრთავიან კარავს გრგვინვით დაეცა; ვნახე, ვითომ, შავმა ღრუბელმა წვიმა ჩემს ურდოზე ჩამოცალა; ვნახე, ვითომ, ჩემს სახლს ცოფიანი ძგლები შესეოდნენ; ვნახე, ვითომ, ყორნისფერი თმა ჩამომზადოდა და თვალებზე მეფხატებოდა; ვნახე, ვითომ, ათივე თითი მაჯებამდე სისხლში მქონდა ამოსვრილი. ხანო ჩემო, ერთი ეს სიზმარი ამიხსენი!

ყარა გუნე ეტყვის:

— ძმაო, შავი ღრუბელი რომ ახსენე, შენი ბედნიერებაა; სისხლი და

წვიმა რომ ახსენე, შენი ლაშქარია: თმა დარდია, სისხლი — უბედურება.
დანარჩენს მე ვერ აგიხსნი, ღმერთმა აგიხსნას.

ეს რომ უთხრა, ყაზანი იტყვის:

— ძმაო, ნადირობას ნუ ჩამაშხამებ, ნუ დაიშლებით! მე დღეს ჩემს
ქურანას გავქუსლავ, სამი დღის სავალს ერთ დღეში გავლევ, შუადღემ-
დე ჩემს ორდუს მივალწვევ. თუ მშვილობაა, საღამომდე შენთან გავჩნდე-
ბი, თუ არა, მაშინ თავს მიხედეთ!

ყაზან ბეგმა ცხენს დეზი ჰკრა და გზას გაუდგა. იარა, იარა და თავის
ორდუს მიადგა. ხედაეს, ორდუში ერთი ყვავი და ერთი მაწანწალა მწევა-
რილა დარჩენილა.

აქ ყაზან ბეგმა თავისი ორდუს ამბავი იკითხა. ვნახოთ, ხანო ჩემო,
რა იკითხა. ყაზანი იტყვის:

ჩემო ხალხო, ჩემო დოვლათიანო მხარევ,

კანჯრის, ქურციკისა და ირმის მეზობელო სახლო,

ამლაცხენიან უსჯულოთაგან მოშორებელო სახლო,

რომელი მხრიდან დაგესხა მტერი, ჩემო ლამაზო სახლო?

სადაც ჩემი თეთრთავიანი კარავი იდგა, ნაკარვლილა დარჩენილა,

სადაც ჩემი მოხუცი დედა იჯდა, მიწალა დარჩენილა,

სადაც ჩემი ძე ურუხი ისარს ტყორცნიდა, სამიზნელა დარჩენილა,

სადაც ოლუზთა ბეგები ცხენებს აჭირთებდნენ, მოედანოლა დარჩენილა,

სადაც შერი სამხაურელო იდგა, ევრილა დარჩენილა.

ამის მნახველ ყაზანს შავი, მიღეული თვალები ცრემლით აეცხა.
ძარღვებში სისხლი აუჩქვფდა. შავი მკერდი აუტოკდა. კული შეეკუმწა,
ქურანა ბედაურს დეზი ჰკრა და იმ გზას გაუყვა, რომელი გზითაც უსჯე-
ლოები წასულიყვნენ.

ყაზანს მდინარე შემოხვდა. ყაზანი იტყვის, მდინარეს ღმერთის სახე
უხილავს, მე ამ მდინარისაგან ამბავს შევიტყობო.

ვნახოთ, ხანო ჩემო, რა ამბავს შეიტყობს, ყაზანი იტყვის:

კლდიდან ჩხრილით გადმომავლო წყალო,

ხის დიდ გემებს რომ მიათამაშებ, წყალო,

ჰასანისა და ჰესეიის მწუხარებავ, წყალო.

ბაღისა და ბოსტნის მშენებავ, წყალო,

აიშესა და ფატრმას ქორწინებავ, წყალო,

ფეხმარდი ბედაურები რომ მოგადგებიან და შეგსუავენ, წყალო,

წითელი აქლემები რომ მოგადგებიან და გადაგლახავენ, წყალო,

თეთრი ცხკრები რომ მოგადგებიან და ნაპირთან დაეყრებიან, წყალო,

ჩემი ორდუს ამბავი არ იცი ვანა? მიიხარ, წყალო,

ჩემი შერი ანუ შენი სამსაქელო იქოს, წყალო,

თუ არა და დაგწყევლი, წყალო!

მდინარეს რა პასუხი უნდა გაეცა? ყაზანი მდინარეს გასცდა და წა-
ვიდა. გზაზე ახლა მგელი შემოხვდა. მგლის სახე კურთხეულია, მე ამ
მგლისგან ამბავს შევიტყობო, თქვა ყაზანმა. ვნახოთ, ხანო ჩემო, რა
ამბავს შეიტყობს. ყაზანი ეტყვის:

სალამოს ბინდი როცა დაწვება, შენი შზე ამოდის,
თოვლი თოვს თუ წვიმა წვიმს, ვაჟაკოვით დგახარ,
ბედღურებს როცა დაინახავ, აპიხვინებ,
წითელ აქლემებს როცა დაინახავ, ააბლავლებ,
თეთრ ცხვრებს როცა დაინახავ, კუღს მათრახივით ურტყამ,
ბოტს ღუმას რომ მოაგლეჯ და გაძენძულდები,
მათ ზურგზე ურტყამ და მკვიდრ ფარებებს ანგრევ,
ბოტს ეცემო, სწვდები და გააძენძულებ,
სისხლიან ღუმას მოაგლეჯ და თქველფე,
მყუფარე ღიღ-ღიღ ქოფაკებს დაეტაკები,
ღამღამობით მწყემსებს რომ დაიფრენ ხოლმე,
პეი, ზურგაქუცულო ნაცრისფერო მგელო,
განა ჩემი სახლ-კარის ამბავი არ იცი, შოთხარი მე,
ჩემი შავი თავი შენი სანაცულო იყოს, მგელო,
თუ არა და დაგწყველი, მგელო!

მგელს რა პასუხი უნდა გაეცა? ყაზანი მგელსაც გაეცალა. ახლა ყა-
ზანს წინ ყარაჯუქ ჩობანის შავი ქოფაკი შემოხვდა. ყაზან ბეგმა ამბავი
მასაც ჰკითხა. ეტყვის:

სალამოს ბინდი როცა დაწვება, აყუფდები,
მწარე აირანი როცა დაიღვრება, სლაპუნით სვამ,
ღამით ქერდი როცა შემოიპარება, თავს უბედღურებას დაატებ.
შემოპარულ ქერდს ისე აშინებ,
ისე აფუთებ, რომ თავის ფაჩუნისაგანაც ფრთხება.
განა ჩემი სახლ-კარის ამბავი არ იცი, შოთხარი მე,
ჩემი შავი თავი შენი სანაცულო იყოს, ძაღლო,
თუ არა და, დაგწყველი, ძაღლო!

ძაღლს რა პასუხი უნდა გაეცა.

ძაღლი ყაზან ბეგის ცხენს ყმელით ფეხებში ჩაუყარდა. ყაზანმა
ძაღლს კეტი ჩასცხო. ძაღლი გაბრუნდა და გზას გაჰყვა.

ყაზანი ძაღლს აედევნა. იარა, იარა და ყარაჯუქ მწყემსთან მივიდა.
ყაზანმა ყარაჯუქ ჩობანი რომ დაინახა, ამბავი იკითხა. ვნახოთ, ხანო
ჩემო, რა იკითხა. ყაზანი ეტყვის:

სალამოს ბინდი დაწვება თუ არა
შენი ურვატ იწყება, მწყემსო:
თოვლი თოვს თუ წვიმა წვიმს,
ველად დაღიხარ, მწყემსო;
ჩემი ხმა ისწინე, ჩემი სიტყვა ყურად იღე,

ამლაცხენიან შავ უსჯულოება ჩემი სახლ-კარი გაუძარცვათ,
როცა აქედან წაუღონ, არ დაგიხახავს გაია?
ჩემი თეთრთავიანი კარავი როცა წაიღეს, არ
გინახავს განა, მითხარ მწყემსო?
ჩემი შავი თავი შენი სასაეცლო იყოს, მწყემსო!

მაშინ მწყემსი ეტყვის:

— ჰეი, გონდაკარგულო, ბედდაკარგულო, თავს რომ შევი ყოზნები დაგტრიალებენ, ყაზანო! ცოცხალი ხარ თუ მკვდარი ხარ, სად დაიკარგე, სად იარებოდი, სად იყავ. ყაზანო? ამლაცხენიანმა შევეგრემანმა უსჯულოებმა შენი თეთრთავიანი კარვები დააქციეს, ტანმაღალი ბურღა ხათუნი დაატყვევეს. შენი შიგანის ნაწილი, სიცოცხლის ნაყოფი ვაჟი ურუხი დაატყვევეს. შენი კარავი გუშინ კი არა, გუშინწინ ჩაატარეს. შენი მოხუცი დედა აქლემის კისერზე ჩამოკიდებული ჩაატარეს. ორმოც ტანწერწეტა ასულთან ერთად შენი ცოლი ბურღა ხათუნი ტირილითა და ვიშით ჩაატარეს. ორმოც მამაცთა შორის თვალტანადობით გამორჩეული შენი ვაჟი კისერზე საბელმობმელი, თავშიშველი და ფეხშიშველი ჩაატარეს. შენს ჭიშიან პედაურებზე უსჯულოები გადაამჯდარიყვნენ. შენს წითელ აქლემებზე უსჯულოები გადაამჯდარიყვნენ, ოქრო-ვერცხლით საესე შენი ხაზინა უსჯულოებმა ჩაატარეს.

მწყემსმა ეს რომ უთხრა, ყაზანმა ერცო ამოიოხრა, გონი დაკარგა, ქვეყნიერება წყვილიად ექცა.

ეტყვის:

— პირი გაგიხმეს, მწყემსო. ენა დაგოლპეს. მწყემსო. ყოვლისშემძლემ შუბლზე სიკვდილი დაგაწეროს, მწყემსო!

ყაზანმა ეს რომ უთხრა, მაშინ მწყემსი ეტყვის:

რად მირისხდები მამავ-ყაზანო.

გშვენის ღეთის რწმენა ქარს გაატანო?

ექვსასი უსჯულო მეც მომიხტა. ევამე მათ. შენი ფარეხიდან უსჯულოებისთვის არც მსუქანი და არც მკვლე თოხლი არ გამიიტანებია. სამ აღვიოს დამპკრეს. იმედი გადამიწყდა. ეულად დავჩინი. აი, ეს არის ჩემი დანაშაული.

მწყემსი კვლავ ეტყვის:

შენი ქურანა მერანი, მამავ-ყაზანო, მომეცი მე,
სამოცი მუსტის სოგრძე შენი შუბი მომეცი მე.

ფერად-ფერადი შენი ფარი მომეცი მე.

შენი შავი ფოლადის მახვილი მომეცი მე.

ოთხმოცობიანი შენი კაპარკი მომეცი მე.

ტარზე არყის ლაფანდახეველი შენი მაგალი მწყემსი მომეცი მე.

უსჯულოებს დავედვენები მე.

ღედაბულიანად ამოველტ.

ხელებს სახელოებიანად სისხლში შევიღებო.
თუ სასიკვდილო ვარ, შენთვის მოკვდე,
ღმერთო მაღალი თუ დამითარავს,
შენს საცხოვრისს დაიხსნი მე.

მწყემსმა ეს რომ უთხრა, ყაზანი განაწყენდა და განერიდა.

მწყემსი ყაზანს უკან დაედევნა.

ყაზანი მობრუნდა, შეხედა და უთხრა:

— შეილო, მწყემსო სად მიდიხარ?

მწყემსი უპასუხებს:

— მამავ-ბატონო, ყაზანო, შენ შენი სახლ-კარის დასახსნელად მიდიხარ, მეც შენი ძმათაგანი ვარ და სისხლის ასაღებად მოვდივარ.

ეს რომ უთხრა, ყაზანმა ჰკითხა:

— შეილო, მწყემსო, მშიერი ვარ, საკმელი ხომ არაფერი გაქვს?

მწყემსმა უპასუხა:

— მამავ-ყაზანო, როგორ არა ჩაქვს! გუშინღამ ბატკანი მოვხარაშე. მოდი, ამ ხის ძირას ჩამოვხდეთ, ვკამოთ!

ჩამოხდნენ. მწყემსმა გულა მოიხსნა. ყაზანმა და მწყემსმა ბატკანი შექამეს.

ყაზანმა იფიქრა, ახლა, მე რომ უსჯულოებზე ამ მწყემსთან ერთად წავიდე, მიღუ ოღუხთა ბეგები მუნათით ამაყებენ. იტყვიან. ყაზანს რომ მწყემსი არა ჰყოლოდა, ურწმუნოებს ვერ დაამარცხებდაო. ყაზანმა ეს ითავილა. ადგა, მწყემსი ერთ დიდ ხეზე მიაკრა, თვითონ ბედაურს მოახტა და საჩქაროდ გასწია.

მწყემსმა მიაძახა, მამავ-ყაზანო, ეს რა მიყავით?

ყაზანმა მწყემსს დაუყვირა:

— ჰეი, მწყემსო, ვერაუ შეშინილით ძალ-ღონე არ გამოგლევი, ეგ ხე მოგლიჯე, თორემ მგელი და ფრინველი შეგქამს.

ყარაქუქ ჩობანმა ერთი მძლავრად გაიწ-გამოიწია, ეეება ხე ფესვიან-მიწიანად მოგლიჯა და ეგრე, ზურგზე ხეწამოკიდებული, ყაზანს აედევნა.

ყაზანმა მოიხედა, ხელავს, მწყემსს ხე ზურგზე წამოუტიდია და მოდის. ყაზანი ეტყვის:

— ჰეი, მწყემსო, ეს ხე რა ხე არის?

მწყემსი უპასუხებს:

— მამავ-ყაზანო, ეს ხე რა ხეა და როცა უსჯულოებს ამოხოცავ და მოკვივდებ, ამ ხით მე შენ საკმელს მოგიხარაშავ.

ყაზანს ეს სიტყვა მოეწონა. ცხენიდან ჩამოხტა, მწყემსს ხელები შეუხანა და შუბლზე აკოცა. მერე უთხრა:

— თუ ღმერთმა ინება და ჩემი სახლელი დაიხსენი, შენ ამირახორობას ვიბოძებ!

ორივე ერთად გაუდგა გზას.

ამასობაში შოქლი მეფე უსჯულო ბეგებთან ერთად მხიარულად იქდა, სვამდა, კვამდა და ღროს ატარებდა.

იტყვის:

— ბეგებო, იცი თუ ყაზანი უფრო მეტად როგორ უნდა გავამწაროთ? ყაზანის ცოლი, ტანმალალი ბურლა ხათუნი, აქ მოვიყვანოთ. დაე, სასმისები მოგვანდოს!

ამ ღროს ბურლა ხათუნი ორმოც ასულთან და ურუხთან ერთად ერთ ოთახში იყო გამოკეტილი. ტანმალალმა ბურლა ხათუნმა ეს ნათქვამი გაიგონა. გულსა და სულში ცეცხლის ალი დაუტრიალდა. ორმოც ტანწერწერტა ასულში გაერია და დაარბია, ვისაც კი გყობონ, ყაზანის ხათუნი რომელიაო, ორმოცივემ ადგილიდან იყვირეთ, მე ვარ-თქო.

მოვიდა შოქლი მეფის კაცი და იკითხა, ყაზან ბეგის ხათუნი რომელი ხართ? ორმოცდაერთი ადგილიდან მოისმა, მე ვარო! იმან ვერ გაიგო, რომელი იყო ბურლა ხათუნი, წავიდა და შოქლი მეფეს მოახსენა, ერთს რომ ვკითხე, ორმოცდაერთი ადგილიდან ხმა მოისმა, მე ვარო. ვერ გავიგე ბურლა ხათუნი რომელი არისო.

უსჯულო იტყვის:

— ჰეი, წადით, ყაზანის ვაჟი ურუხი მოათრიეთ. ჩანგალზე ჩამოაკიდეთ, თეთრი ხორცი ასო-ასო ჩამოთალეთ, შავი ყაურმა მოხარშეთ, ბეგის ორმოც ასულს მიართვით და წინ დაუდგით. ვინც შექვამს, ბურლა ხათუნი ის არ იქნება, ვინც არ შექვამს, ის იქნება. აქ მოვიყვანეთ, სასმისები მოგვანდოს!

ტანმალალმა ბურლა ხათუნმა ესეც მოისმინა. შვილთან მივიდა და უთხრა. ენახოთ, ერთი, ხანო ჩემო, რა უთხრა:

შვილო, შვილო, ვაი, შვილო,

ბეგო ჩემო. თვალნო ჩემო,

მამ, არ იყო, რაც აქ მოხდა?

ინურჩელეს, ინურჩელეს,

გულმა მ-გაქნო მათი საქმე

ჩემი სანათურიანი ოქროს კარვის დედაბობო, შვილო.

ბატის მსგავსი ვოვო-პატარძლის ყვავილო, შვილო!

შვილო, შვილო, ვაი, შვილო,

ცხრა თვე რომ მეცლათ გატანე, შვილო,

მეათე თვეს არმე სანუთრო გაჩვენე, შვილო,

ოქროს აყვანი არტახებს რომ გადაგიტარდა, შვილო,

ავჯანში რომ გაჩვენდა და თუთარ რძეს განოკებდა, შვილო,

მამ, არ იყო, რაც მოხდა, შვილო?

უსჯულონი ახლა ავად თათბირობენ, შვილო...

ყაზანის ძე ურუხი საპყრობილედან გამოიყვანეთ, მსხველ თოქზე კისრით ჩამოაკიდეთ, მხრებში ჩანკლები გაუყარეთ, თეთრი ხორცი ასო-ასო ჩამოათალეთ, შავი ყაურმა მოხარშეთ, მიუტანეთ და ბეგის ორმოც-

დაერთ ასულს წინ დაუდგით. ვინც შეჰკამს, ბურლა ხათუნი არ იქნება, ვინც არ შეჰკამს, ის ყაზანის ხათუნია. აქ მოიყვანეთ, ჩემს საწოლთან მოათრიეთ, სასმისები მოგვაწოდოსო, ასე ითაბიბრეს. რას იტყვი, შვილო, შენი ხორცი ვკამო თუ იმ სჯულბილწის საწოლი გავიზიარო, მამაშენი ყაზანის ნამუსი წაებლწო? როგორ მოვიქცე, შვილო?

ურუზი ეტყვის:

— პირი გაგიხმეს, დედა, ენა დაგილპეს, დედა. ნება დედისა განა ნება ღეთისა არ არის? ნეტავ ახლა ამ ადგილიდან წამომაყენა, საყელოსა და კისერში ხელს ჩაგავლებდი, ჩემს ძლიერ ფეხქვეშ ჩაგიდებდი, შენს თეთრ სახეს შავ მიწას ვახლიდი, ცხვირ-პირიდან სისხლს წამოგადენდი და გაჩვენებდი, თუ როგორია სულის სიტკბო! ეს რა მითხარი? გაფრთხილდი, დედავ-ქალბატონო, არ მომეკარო, ჩემი გულისთვის ცრემლი არ ჩამოაგდო! დაე, მე, ქალბატონო დედავ, ჩანგალზე ჩამომკიდონ, დაე, მე, ხორცი ასო-ასო ჩამომათალონ, შავი ყაურმა მოხარშონ, ბეგის ორმოცდაერთ ასულს წინ დაუდგან. თუ იმათ ერთი ნაჭერი შეჰკამონ, შენ ორი შეჰკამე. შენ უწმინდურსჯულიანებმა ვერ უნდა გიცნონ, შენ უწმინდურსჯულიანის საწოლი არ უნდა გავიზიარო, იმათ სასმისები არ უნდა მიაწოდო. მამაჩემი ყაზანის ნამუსი არ უნდა შებღალო, უნდა გაუფრთხილდე, დედა!

ეს თქვა და ატირდა, თვალთაგან ცხარე ცრემლი სცვიოდა.

ტანმალაღმა და ტანწერწეტა ბურლა ხათუნმა თავსაბურავი მოიხსნა, შემოდგომის ვაშლივით წითელი ლოყები ჩამოიხოკა, ყორნისფერი თმა დაიგლიჯა, ზარით ატირდა:

ურუზი ეტყვის:

ქალბატონო დედავ,
ჩემ წინაშე რად ზღუქუნებ,
რატომ მოთქვამ, რატომ ტირი?
შიგანს და გულს რად მიდაღავ,
წარსულ ღღეებს რად მახსენებ?
ჰეი, დედავ,
იქ, სადაც არაბული ცხენები არიან,
კვიციის მოგება ვასაყვირო?
იქ, სადაც წითელი აქლემებია,
კოზაკის მოგება ვასაყვირო?
იქ, სადაც თეთრი ცხვრები არიან,
ბატენის მოგება ვასაყვირო?
შენ ჯანმრთელად იყავ დედავ-ქალბატონო,
მამაჩემი ჯანმრთელად იყოს,
ჩემი მსგავსი ვაჟის გაჩენა ვასაყვირო?

ასე რომ უთხრა, დედამ თავი ველარ შეიკაევა და მწარედ ატირდა. შვილს გაეცალა, წავიდა და ორმოც ტანწერწეტა ასულში გაეირა. უსჯულოებმა ურუზი წაიყვანეს, სასაკლაოზე მიიყვანეს.

ურუზ ხანი იტყვის:

შემიცოდეთ, უსჯულონო, შემცოდეთ,
ღმერთი ქვეყნად რომ ვართია. ეს ოცოდეთ!

გამიშვით, ამ მძლე ხეს გავესაუბრო!

ურუზ ხანმა ხეს შესძახა, გავსაუბრა. ენახოთ, ხანო ჩემო, რა ელა-
პარაკა. ეტყვის:

ხეო, თუ მე ხეს გიწოდებ, ნუ შეგარტყება. ხეო,
მეკისა და მელინის კარობჭევ, ხეო,
ღმერთთან მოსაუბრე მუსას კვერთხო, ხეო,
დიდ-დიდ მდინარეთა ხილო, ხეო,
შავ-შავი ზღვების გემო, ხეო,
შაპ მერდან ალის დედულულს ეხო, ხეო.
ზულფუგარის მახვილის ტარო და ქარქაშო, ხეო,
შაპ ჰასანისა და ჰუსეინის აქანო, ხეო!
კაცოა თუ ქალი. შენი ზარი აქეს, ხეო,
შენს ეწეროს თუ ავხედავ, თვალი არ ასწვდება. ხეო,
შენს ფესვებს თუ ჩავხედავ, თვალი არ ჩანსვდება. ხეო,
შენს ტოტზე უნდა ჩამომკიდონ, ნუ მოითჰენ, ხეო.
მოითმენ და ჩემი ყმაწვილკაცობის ცოდვა გედოს, ხეო!
ჩემს ქვეყანაში, უნდა ყოფილიყავ, ხეო,
შავ ინდიელ მონებს ვებრძანებდი და...
ნაფოტ-ნაფოტად გაქცევდნენ, ხეო.

შემდეგ კიდევ ეტყვის:

თავლაში დაბმული ჩემი ბედაურები ცოდონი არიან,
ჩემი მგლოვიარე ძმაკაცები ცოდონი არიან.
მაჯაზე აფართხალებული ჩემი შავარდენი ცოდოა,
საძებრად გასული ჩემი მეძებრები ცოდონი არიან.
ბეგობით ჭყრეთ გაუმძღარი მეც ხომ ცოდო ვარ,
საწუთრომოუწყენელი ჩემი ყმაწვილი სული ცოდოა!

თქვა და აქეთიინდა, ხმამაღლა ატირდა, გულ-ღვიძლი დაეწევა.

ამ დროს, სულთანო ჩემო, სალურ ყაზანმა და ყარაჯუქ ჩოზანმა კი-
დეც მოუსწრეს ურუზს. მწყემსს სამი წლის მოზერის ტყაყისენიანი
შურდული ჰქონდა, შურდულს სამი თხის ბეწვისაგან დაწნული კილო
ჰქონდა. თითო სროლაზე თერთმეტ ბათმან ქვას ისროდა. გასროლილი
ქვა ძირს როდი ეცემოდა. მიწაზე რომ დაცემულიყო, მტვერივით გა-
იფანტებოდა და ცეცხლივით ააღლებოდა. ფარას ასხლეტილ მსუქან
ცხვარსა თუ მკლე თოხლს შურდულის შიშით მგელი არ გაეკარებოდა
ხოლმე.

ასე იყო, თუ ისე, სულთანო ჩემო. როცა ყარაჯუქ ჩოზანმა ურუზ-
ნოთა ორდუ დიანახა, თავი ველარ შეიკავა და შურდული დაატრიალა.
უსჯულოებს ქვეყანა დაუბნელდათ. ყაზანი ეტყვის:

— ჰეი, ყარაჯუქ ჩობანო, მოითმინე, უსჯულოებს დედაჩემს გამოვ-
თხოვ, ცხენებს ფეხქვეშ არ ჩაუვარდეს!

ცხენის ფეხი მარდია, ოზანის ენა — მოქნილი, ყაზანმა ურწმუნოთ
შესძახა. ეტყვის, ენახრთ, ხანო ჩემო, რას ეტყვის:

ჰეი, შოქლი მეფეე.

სანათურიანი, ოქროსთავიანი ჩემი კარვები წამოვიღია,

შენი საჩრდილობელი ყოფილიყოს;

ჩემი მძიმე, სავსე ხაზინა წამოვიღია,

შენი სახარაჯო ყოფილიყოს;

ბურღა ხათუნი და ორმოცი ასული წამოვიყვანია,

შენი ტყვეები ყოფილიყვნენ;

ჩემი ძე და ორმოცი ვაჟი წამოვიყვანია,

შენი ყმები ყოფილიყვნენ!

ჩემი შევარდენა ბედაურები წამოვისხამს,

შენს სატალახოდ ყოფილიყოს!

ჩემი აქლემების ქარავანი წამოვისხამს,

შენი მებარგული ყოფილიყოს!

ჩემი მოხუცი დედა წამოვიყვანია,

ჰეი, უსჯულოვ, დედაჩემი დამიბრუნე,

შეუბმელად, შეუბრძოლებლად გავბრუნდები,

წავალ, ეწყოდე!

მაშინ უსჯულო ეტყვის:

ჰეი, ყაზანო,

შენი სანათურიანი, ოქროსთავიანი კარვები ჩვენ წამოვიღეთ,

ჩვენი იქნება;

ბურღა ხათუნი და ორმოცი ასული წამოვიყვანეთ,

ჩვენი იქნება;

შენი ძე და ორმოცი ვაჟი წამოვიყვანეთ,

ჩვენი იქნება;

შენი შევარდენა ბედაურები წამოვისხით,

ჩვენი იქნება;

შენი აქლემების ქარავანი წამოვისხით,

ჩვენი იქნება;

შენი, ბებერი დედა წამოვიყვანეთ,

ჩვენი იქნება!

ვერ დაგიბრუნებთ, იაიპათ ქეშიშის ვაჟს მივათხოვეთ. იაიპათ ქეში-
შის ძისგან დედაშენს ვაჟი ეყოლება. ჩვენ იმ ვაჟს შენ გადაგამტერებთ.
ეს რომ უთხრა, ყარაჯუქ ჩობანი გამწარდა, პირზე ღუფი მოადგა.
მწყემსი ეტყვის:

ჰეი, ძაღლო უსჯულოვ,

ჰეი, ურწმუნო და უკეთო უსჯულოვ,

გონი არ გაგაჩნია, აზრი არ გაგაჩნია, უსჯულოვ.

ჩვენ წინ გაწოლილი თოვლიანი შავი მთები

დაბერებულან, ბალსაც ველარ ზრდიან;
სისხლიანი მდინარეები დაბერებულან,
მათ ნადენზე წყალი აღარ მოედინება;
შავარდენა-შავარდენა ბედაურები
დაბეხრეკებულან, კვიციებს აღარ იგებენ;
წითელ-წითელი აქლემები
დაბეხრეკებულან, კოხაეებს აღარ იგებენ;
ჰეი, უსჯულოვ, ყაზან ბეგის დედა
დაბერებელია, შვილს ველარ გაჩენს!

ოღუზთა ჩამომავალი თუ გაგახარებს, შოქლი მეფევე. შენი შეთვალა ასული მოგვევარე, ყაზანს მიუყვანე. ჰეი, უსჯულოვ, იმ შენ ასულს ვაჟი გაუჩნდება, ის გადაუმტერეთ ყაზან ბეგს!

ამასობაში ყაზანის უბედურება ოღუზთა ბეგებს გაეგოთ, ყაზანის საშველად წამოსულიყვნენ. ამ დროს ოღუზთა ბეგებიც მრვიდნენ. ხანო ჩემო, ვნახოთ ერთი, ვინ და ვინ მოვიდა:

მამაცთა უმამაცესი ყარა გუნე მოვარდა: ეს ის ყარა გუნეა, ვინც ყარა დერეს ყელში დაიბადა, აკვანზე შავი ბულის ტყავი ეფარა, ვინც განრისხების ჟამს გაყოფდებოდა. შეე ქვას ნაცარტუტად აქცევდა ხოლმე და ვისაც უღვაშები კეთაზე შვიდ ადგილზე ჰქონდა გადაწული. დაჰკარ შენი მახვილი, ძმავ ყაზანო, მე მოვედიო, შესძახა მან.

მის შემდეგ, ვნახოთ ერთი, კიდევ ვინ მოვიდა:

კიან სელჩუკის ძე დელი დუნდარი მოვარდა, ის დელი დუნდარი, ვინც დარუბენდის ხეობაში რკინის კარი მოგლიჯა, სამოცი მუშტის სიგრძე ჰრელი შუბის წვერზე აცმული კაცი აბლავლა, ყაზანის მსგავსი მამაცი ფალავანი სამჯერ ცხენიდან ჩამოიღო. დაჰკარ შენი მახვილი, მამავ-ყაზანო, მე მოვედიო, ყაზანს შესძახა.

მის შემდეგ, ხანო ჩემო, ვნახოთ ერთი, კიდევ ვინ მოვიდა:

ყარა გუნეს ძე ყარა ბუდალი მოვარდა. ეს ის ყარა ბუდალია, ვინც ჰემიდისა და მერდანის ციხეები დააქცია, რკინის შუბით ყვიჩალთა მბრძანებელს სისხლი აღინა, ყაზანის ქალი თავისი მამაკობით მოხიბლა და ცოლად შეირთო. ოღუზთა თეთრწვერა მოხუცები იმას ქება-დიდებათ იხსენებდნენ. წითელდუზებიანი შარვალი ეცვა და ცხენის ფაფარი იხვის ფრთებით ჰქონდა მორთული: დაჰკარ შენი მახვილი, მამავ-ყაზანო, მე მოვედიო, ყაზანს შესძახა.

მის შემდეგ, ხანო ჩემო, ვნახოთ ერთი, კიდევ ვინ მოვიდა:

გაფლეთ კოჯას ვაჟი შირ შემსედინი მოვარდა. ეს ის შირ შემსედინია, ვინც დასტურს არ დაელოდა და ბაინდურ ხანის მეშურნენი გაანადგურა, სამოცი ათასი უსჯულოს სისხლი დაღვარა, ვინც თეთრ-ნაცარისფერ ცხენს ქარბივით დააქროლებდა.

დაჰკარ შენი მახვილი, მამავ-ყაზანო, მე მოვედიო, ყაზანს შესძახა.

მის შემდეგ, ხანო ჩემო, ვნახოთ ერთი, კიდევ ვინ მოვიდა:

ნაცრისფერ ულავზე ამხედრებული ყაზან ბეგის ერთგული ბეირეჩი მოვარდა. ეს ის ბეირეჩია, ვინც ერთხელ ბაიბურდის ციხიდან გადმოეშვა და პირდაპირ ფერად-ფერად საქორწინო კარავს მიადგა; ვინც შვიდი ასულის იმედად და ძალოვან ოლუხთა საშურველ კაცად ითვლებოდა. დაპყარ შენი მახვილი, მამავ-ყაზანო, მე მოვედიო, ყაზანს შესძახა.

მის შემდეგ, ხანო ჩემო, ვნახოთ ერთი. კიდევ ვინ მოვიდა:

კაზილიქ კოჯას ძე ბეი იეგენჩი მოვარდა. ეს ის იეგენჩია, ვინც არწივს ჰგავდა, ოქროს სარტყელი ერტყა, ოქროს საყურეები ეკეთა. მძლე ოლუხთა ბეგებს ერთიმეორის მიყოლებით ცხენიდან ძირს ყრიდა. დაპყარ შენი მახვილი, მამავ-ყაზანო, მე მოვედიო, ყაზანს შესძახა.

მის შემდეგ, ხანო ჩემო, ვნახოთ ერთი, კიდევ ვინ მოვიდა:

ყაზანის ბიძა, მოკლებარძაყა და გრძელკანჭა, ცხენისლაშება ურუხ კოჯა მოვარდა. ეს ის ურუხ კოჯაა. ვისაც სამოცი თოხლის ტყავისაგან შეკერილი ტყაპუჭი ეცვა და კოჭებს მაინც ვერ უფარავდა, ვისაც ექვსი თოხლის ტყავისაგან შეკერილი ქუდი ეხურა და ყურებს მაინც ვერ უფარავდა. დაპყარ შენი მახვილი, ბეგო ჩემო, ყაზანო, მე მოვედიო, ყაზანს შესძახა.

მის შემდეგ, ხანო ჩემო, ვნახოთ ერთი, კიდევ ვინ მოვიდა:

ბეგდუზ ემენი მოვარდა. ეს ის ბეგდუზ ემენია, ვინც წავიდა და წინასწარმეტყველის სახე იხილა, ვინც დაბრუნდა ოლუხებში და წინასწარმეტყველის მოციქულის სახელი დაიგდო. როცა განრისხდებოდა, უღვაშებზე სისხლი ჩამოსდიოდა. დაპყარ შენი მახვილი, მამავ-ყაზანო, მე მოვედიო, ყაზანს შესძახა.

მის შემდეგ, ვნახოთ ერთი. კიდევ ვინ მოვიდა:

უსჯულოთა მოძულე ეილექ კოჯახის ძე ალფ ერენი მოვარდა. ეს ის ერენია, ვინც უსჯულოები ძალებს უკან გააყოლა, სამშობლო მიატოვა და მდინარე აიგირ-გოზლერი ცხენით გადასცურა, ორმოცდაჩვიდმეტ ციხეს კლიტენი ახსნა, თეთრი მბრძანებლის — ჩეშმეს ქალიშვილზე იქორწინა, მეფე სოფუ სანდალს სისხლი ადინა, ორმოც ჭუბაში გაეხვია, ოცდაჩვიდმეტი ციხესიმაგრის მფლობელ ბეგს ასული მოსტაცა, ბროლის ყელს მოეხვია და ბაგე დაუკოცნა. დაპყარ შენი მახვილი, მამავ-ყაზანო, მე მოვედიო, ყაზანს შესძახა.

ოლუხთა ზღვებს ვინ ჩამოთვლის. ყველა უკლებლივ მოვიდა. წმინდა წყლით აფდესთი მიიღეს, თეთრი შუბლები მიწას ახალეს, ორჯერ მოიყარეს მუხლი და ნამაზი შეასრულეს. ადიდეს სახელსხივოსანი მუჰამედი. მერე ელვის სისწრაფით უსჯულოებზე მიაგდეს ბედაურები. დაატრიალეს ხმლები, ააბრაგუნეს დოლები, ოქროსსატუჩიან სპილენძის საყვირებს ჩაბერეს. იმ დღეს გამოჩნდა, ვინ იყო ჭეშმარიტი მამაცი. ლაჩრები აქეთ-იქით გაიპარნენ. იმ დღეს თვალით უნაზავი ომი გაჩაღდა: ბრძოლის ველი აივსო მოკვეთილი თავებით. მტრებს თავებს ჭრიდნენ და ბურთი-

ბივით აგორებდნენ. ოლუზთა შვარდენა ბედაურები ისე ჭირითობდნენ, რომ ნალები სცივოდათ. მებრძოლნი ჭრელ-ჭრელ შუბებს დუშმანთ უოკობდნენ, შავი ფოლადის მახვილებს დარტყმისას პირი უჩლუნგდებოდა. სამფრთიანი არყის ხის ისრები დაზუზუნებდა ბრძოლის ველზე. ის დღე ვანიტოხვის დღეს ჰგავდა. ბევი თავის ყმას, ყმა თავის ბეგს ველარ პოულობდა.

იმ დღეს გარე ოლუზთა ბეგებთან ერთად დელი დუნდარმა მარჯვენა ფრთიდან შეუტია უსჯულოთ. ყარა გუნეს ძე დელი ბუდაქი ზორბა ვაეკაც ბეგებთან ერთად მარცხენა ფრთიდან ეკვეთა, ყაზანი კი, შიდა ოლუზთა ბეგებთან ერთად, შუაგულიდან ეკვეთა მტერს. მან შოქლუ მეფე აადრიალა, ცხენიდან ჩამოაგდო და მყის შავი თავი წააცალა. იმისი ალისფერი სისხლი მიწაზე წკრიალით დაიღვარა.

მარჯვენა ფრთაზე კიან სელჩუქის ძე დელი დუნდარი ყარა თევქურე მეფეს შეება. დელი დუნდარმა მარჯვენა მხარი ხმლით ჩამოკაფა და მიწაზე დასცა. მარცხენა ფრთაზე ყარა გუნეს ძე დელი ბუდალი მეფე ბუდაჯუქს შეერკინა და თავისი ექვსფრთიანი გურზი კეთაში მძღავრად ჩასცხო. მეფე ბუდაჯუქს ქვეყნიერება ბნელეთად ექცა, ცხენს კისერზე შემოეხვია და მერე მიწას დაენარცხა.

ყაზან ბეგის ძმამ ურჯულოთა დროშას ხმალი გადაუქნია, ტარი წააცალა და მიწაზე დააგდო. უსჯულოთ ხეობებსა და გორაკებზე თავს დიდი უბედურება დაატყდა. იმათ ლეშებს ყვაე-ყორნები დაესივნენ. თორნეტი ათასი უსჯულო ხმლით აჩეხეს, ხუთი ათასი ოლუზი სარწმუნოებისთვის დაეცა.

ძალოვან ოლუზთა ბეგებს დიდი ალაფი დარჩათ.

ყაზან ბეგი გაქეულთ არ დაედევნა. ვინც შეწყნარება ითხოვა, სიციცხლე აჩუქა.

ყაზან ბეგმა თავისი ოჯახი, შვილი, დედა, ცოლი დაიხსნა. თავისი ხაზინა დაიბრუნა. კვლავ ოქროს ტახტზე დაბრძანდა. ყარავე დაადგმევინა, ყარაჯუქ ჩობანს ამირანბორობა უბოძა. შვიდ დღესა და შვიდ ღამეს ინადიმა. ორმოცი მონა ქალი და ორმოცი მონა ვაჟი თავისი ძის სახელზე გააზატა, ბრვე ვაჟეკებს სხვადასხვა სამფლობელოები დაურიგა და ჭებები, შარვლები და ჩოხები უწყალობა.

მოვიდა ჩვენი დედე ქორქუთი, ამბავი შეთხზა, აღიდა წინაპარნი. ოლუზთა შესახებ ეს წიგნი გააწყო და ასე თქვა:

მე რომ შევაქე, ის ბეგები სად ბრძანდებან?
ქვეყნიერება ჩვენ გვეუთენისო, რომ ჩემულობდნენ,
სიკვილიმა წაიყვანა. მიწამ გადამალა.
ვის შერჩენია ეს წარბაველი ქვეყანა,
მოსხელეთ-წამსხელეთა ქვეყანა,
წარბაველი, წუთიერი ქვეყანა?!

ლოცვას გეტყვი. ხანო ჩემო: შენი დათოვლილი, შავი მთები ნუმც ჩამოქცეულა: შენი ტოტებძლიერი მასწავლებელი ხე ნუმც მოქრილა; შენი შოჩუხჩუხე ლამაზი მღინარენი ნუმც დამშალან; ნუმც დაქცეულან შენი კარვები; ღმერთმა მაღალმა ნუმც მოგასწროს, რომ ორგულობა ჩაგედინოს; როცა მიაგვლებდეს, შენი თეთრონი ნუმც წაიფორხილებს; როცა მოიქნევე, შენი ფოლადის ხმალს კბილი ნუმც მოსტეხია; როცა ჩაასობ, შენი ჭრელი შუბი ნუმც გადამტყდარა! შენი თეთრწვერა მამის სამყოფელი სამოთხე ყოფილიყოს; შენი თეთრონიანი დედის სამყოფელი სამოთხე ყოფილიყოს; სულის ამოსვლამდე მათ რწმენა ნუ დაუტევენდეს! ლოცვის მთქმელმა, დაე, იხილოს სახე ღვთაებისა. შენი თეთრი შუბლისთვის გეტყვი ხუთსიტყვიან ლოცვას: ღვთისგან ბოძებულ იმედი ნუ გაგიტრუვდება: პირუკუ — გემატოს და განმტკიცდეს; შენი ცოდვანი სახესხივოსანი მუჭამედისთვის შეგინდოს მაღალმა ღმერთმა, ხანო ჩემო!

აგაპი ვამ გურა ვავის ძის ბაჰსი ბიჩაჰისა

ნაცრისფერცხენიანი ქამჰანის ძე ხანი ბაინდური ადგა, შავ მიწაზე თეთრონიანი კარავი დაადგმევინა. ფერადი საჩრდილობელი ცათამდე; აღამართინა, ათას ადგილზე აბრეშუმის ხალი განაფენინა. შიდა ოღუზთა და გარე ოღუზთა ბეგები ბაინდურ ხანის თავყრილობაზე მოსულიყვნენ. ბაი ბურე ბეგეც აქ იყო. ბაინდურ ხანის წინ იდგა მშვილდზე დაყრდნობილი ყარა გუნეს ძე ყარა ბუღალი. მარჯვნივ ყაზანის ძე ურუზი, მარცხნივ კი კაზილიყ კოჯას ძე იეგენქე ბეგი მოსდგომოდა.

ბაი ბურე ბეგმა ეს რომ იხილა, ერთი ამოიოხრა, გონი დაკარგა: ხელსახოცი ამოიღო, სახეზე აიფარა, მწარედ ატირდა.

ასე რომ მოიქცა, ძალოვან ოღუზთა ზურგმა. ბაინდურ ხანის სიძემ სალურ ყაზანმა თავის ძლიერ მუხლებზე ჩაიბოქა, ბაი ბურე ბეგს სახეში შეხედა. ეტყვის:

— ბაი ბურე ბეგო. რატომ ტირი და მოთქვამ?

ბაი ბურე ბეგი უპასუხებს:

— ხანო ყაზანო. როგორ არ ვიტყო. როგორ არ ვიქვითინო? მემკვიდრე ვაჟი არ მყავს, ძმობაში ბედი არ მწყალობს; ღმერთმა მაღალმა დამწყველა. ჩემი გვირგვინისა და ტახტისთვის ვტირი. ერთ დღესაც რომ გადავბრუნდეს და მოვკვდე, ჩემს ორღუში ვინ დაჩრება?!

ყაზანი ეტყვის:

— შენი წადილი სულ ეს არის?

ბაი ბურე ბეგი მიუგებს:

— ჩემი წადილი ეს არის. მე რომ ძე მყოლოდა, ხან ბაინდურის წი-

ნაშე იდგებოდა, მას ემსახურებოდა. მე კი შევხედავდი და გავიხარებდი, ვიამაყებდი, იმედინი და გულდაჯერებული ვიქნებოდი.

ასე რომ თქვა, ძალოვან ოლუზთა ბეგებმა თვალნი ცად აღაპყრეს, ხელნი აღაპყრეს და ლოცვა აღავლინეს: მაღალმა ღმერთმა შენ ვაჟი გიწყალობოსო, თქვეს.

იმ დროში ბეგების ლოცვა ლოცვად ახდებოდა ხოლმე. წყევლა — წყევლად. მათი ღაღადისი ღმერთმა მაღალმა შეიწყნარა.

მაშინ ბაი ბიჯან ბეგიც წამოდგა. იტყვის:

— ბეგებო, მოდი, ჩემთვისაც ილოცეთ. ღმერთმა მაღალმა ასული მიწყალობოს!

ძალოვან ოლუზთა ბეგებმა ხელნი აღაპყრეს და ლოცვა წარმოთქვეს: მაღალმა ღმერთმა შენ ქალი გიწყალობოსო.

ბაი ბიჯან ბეგი იტყვის:

— ბეგებო, თუ მაღალი ღმერთი მე ქალს მიწყალობებს, თქვენ იყავით მოწყმენი, ჩემი ასული ბაი ბურეს ვაჟზე აკვანშივე იყოს დაწინდული!

გავიდა ხანი. ბაი ბურეს ხათუნი ფეხმძიმედ შეიქმნა. მცირე ხნის შემდეგ ღმერთმა ბაი ბურე ბეგს ვაჟი უწყალობა, ბაი ბიჯან ბეგს კი — ქალი. ძალოვან ოლუზთა ბეგებმა ეს რომ შეიტყვეს, გაოხიარულდნენ, გაბედნიერდნენ.

ბაი ბურე ბეგმა თავისი ვაჟრები ისმო და უბრძანა:

— ჯეი, ვაჭარნო, მაღალმა ღმერთმა ვაჟი მიბოძა. ახლა გასწიეთ რუმის ქვეყნად და ვიდრე ჩემი ვაჟი გაიზრდებოდეს, მისთვის ძვირფასი საჩუქრები ჩამოიტანეთ!

ვაჟრები გზას გაუდგნენ. დღედაღამ იარეს და სტამბოლს ჩავიდნენ. დიდებული საჩუქრები შეიძინეს. ბაი ბეგის ვაჟისთვის ნაცრისფერი ზღვის კვიცი იყიდეს, ერთი თეთრტანიანი მკვიდრი მშვილდი იყიდეს, ერთიც ექვსფრთიანი გურზი იყიდეს. გზის თადარიგს შეუდგნენ. ბაი ბურე ბეგის ვაჟი ხუთი წლისა გახდა, ხუთი წლის შემდეგ ათი წლისა შესრულდა, ათი წლის შემდეგ მეთხუთმეტეში გადადგა. ბეგებში არწივს ჰგავდა, ლამაზი და კარგი ვაჟკაცი დადგა.

იმ დროში ასეთი წესი ჰქონდათ: ვაჟს სახელს მანამდე არ შუარქმევდნენ, სანამ ვინმეს თავს არ მოჰკვეთდა და სისხლს არ დაღვრიდა. ბაი ბურე ბეგის ვაჟი ამხედრდა და სანადიროდ გავიდა. ნადირობაში მამის საჭინიბოს მიუახლოვდა. ამირანორი გამოეგება, ცხენიდან ჩამოიყვანა, ქამა-სმად დასხდნენ.

ამასობაში ვაჟრები დაბრუნდნენ. ისინი ყარა დერბენდის ხეობაში დაბანაკდნენ. თურმე ევენუქის ციხის უსჯულონი უთვალთვალეზდნენ. როცა ვაჟრები დაწვნიენ, ანაზად ხუთასი უსჯულო თავს დაესხა და გაძარცვა. ვაჭართა თავი დაატყვევეს, დანარჩენნი გაიქცნენ და ოლუზებს შეათარეს

თავი. კიდევ კარგი. ოღუზები ახლოს იმყოფებოდნენ. გაიხედეს და დანახეს, რომ ოღუზთა განაპირას ერთი ქრელი საჩოდილობელია აღმართული. საჩრდობელში უფლისწული, ლამაზი ვაჟი ზის. მარჯვნივ ორმოცი ვაჟაკი უხის, მარცხნივაც ორმოცი ვაჟაკი. ეს კარგად ვაჟაკი ჩანს. წავიდეთ, დახმარება შევთხოვოთ, ასე გადაწყვიტეს. მაშინვე გაეშურნენ, მივიდნენ. მიესალმნენ. ვაჟარი ეტყვის:

— ვაჟაკო. ბევო ვაჟაკო. ჩემი ხმა ისმინე, ჩემი სიტყვა ყურად იღე! თქვენმეტი წელია ოღუზებისგან წასულნი ვართ. ოღუზთა ბეგისთვის უსჯულოების ქვეყანაში დიდებული საჩუქრები შევიძინეთ. მოგეჟონდა. ყარა დერბენდის ხეობაში დავბანაკდით. ევლქის ციხიდან ხუთასი უსჯულო დაგვეცა. ჩვენი მოთავე დაატყვევეს, ჩვენი ქონება და სურსათი წაგვართვეს და უკან გაბრუნდნენ. ჩემი შავი თავი მოგიტანე, შენთან მოვედი, ღვთის გულისათვის. ვაჟო, შეგვეწიე!

ის ვაჟი ღვინოს სვამდა. სმა. შეწყვიტა. ოქროს თასი ძირს დაუვარდა. იტყვის:

— ისმინეთ ჩემი თქმული. აბჯარი მოიტანეთ და ჩემი შავარდენა ბედაური მომგვარეთ. ის ვაჟაკი კი, ვისაც ვუყვარვარ, ამხედრდეს!

ვაჟარი წინ მეგზურად წაუძღვა.

ურწმუნონი ერთ ადგილას შეგროვილიყვნენ, ფულის თვლაში იყვნენ გართულნი.

ამ დროს ღომი ვაჟაკთა მოედნისა, ეეფხვი ფალავანთა, ბოზ ოღლანი მოვარდა. სიტყვაც არ უთქვამს. უმაღ ურწმუნოებზე მიაგდო ბედაური. ხმალი დაატრიალა. უსჯულო. ვინც კი თავი წამოსწია, მოკლა. რწმენისთვის თავი გასწირა, ვაჟართა ქონება იხსნა და ისევ უკან გაბრუნდა.

ვაჟრებმა უთხრეს:

— ბევო. ვაჟაკო. შენ ჩვენ მამაცურად დაგვეხმარე. სიკეთე გაგვიწიე. მოდი, რაც კი ჩვენ საქონელში მოგვეწონოს. აიღე!

ვაჟს თვალი ზღვის ნაცრისფერ კვიცზე დარჩა, ექვსფრთიანი გურზი, თეთრჭარიანი მშვილდი და მახვილი მოეწონა. ეტყვის, ჰეი ვაჟრებო, ეს ულაყო, ეს მშვილდი, ეს გურზი და ეს მახვილი მომეცითო!

ვაჟრებს თავზარი დაეცათ.

ვაჟი ეტყვის:

— ჰეი, ვაჟრებო. განა მე ბევრი რამ მოვისურვე?

ვაჟრები უპასუხებენ:

— არა, ჩვენო სულთანო, ბევრი არ არის, მაგრამ იმ ოთხ რაიმეს, რაც შენ ისურვე, მოგცემდით, მაგრამ ჩვენი ბეგის ვაჟისთვის მოგვაქვს. ვაჟი ჰკითხავს, თქვენი ბეგი ვინ არისო?

უპასუხებენ: ბაი ბურე ბეგის ძე. სახელად ბამსი შეარქვესო.

იმათ რა იცოდნენ, რომ ეს ვაჟი იყო ბაი ბურე ბეგის ძე.

ვაჟმა თითზე იკბინა და გაიფიქრა, ამათგან მუნათით მიღებულს. მა-
მაჩემისგან უსაყვედუროდ აღებული მირჩევნაო. ბედაურს მათრახი
გადაუქირა და გზას გაუდგა. ვაჭრებმა უყურეს, უყურეს და თქვეს, ვა-
ლაპ, ქვეშარიტად კარგი და სულგრძელი ვაჟაკიაო.

ბოზ ოღლანი მამის სახლში მივიდა. რაც მოხდა, არაფერი არ უამბო.
მამას ამბავი აცნობეს, ამდენი ხნის წასული ვაჭრები დაბრუნდნენო. მა-
მას გაეხარდა, ბრძანა, აღემართათ კარავი, გაემართათ ჭრელი საჩრდი-
ლობელი, გაეშალათ აბრეშუმის ხალები. შევიდა და დაბრძანდა. ვაჟი
მარჯვნივ მოისვა. ვაჟს არც ვაჭრებზე უთქვამს რამე და არც უსჯულო-
ებზე. ბოლოს მოვიდნენ ვაჭრებიც, თავები დახარეს, სალაში უძღვენეს.
ხედავენ, რომ ის ვაჟი, ვინც უსჯულოებს თავები ჰკვეთა და სისხლი
დაღვარა, ბაი ბურე ბეგის მარჯვნივ დამჯდარა. მყის მიწაზე განერთხნენ,
ფორთხვით მივიდნენ და ვაჟს ხელები დაუკოცნეს.

ისინი რომ ასე მოიქცნენ, ბაი ბურე ბეგე რისხვამ აიტანა. ვაჭრებს
ეტყვის:

— ჰეი, თახსირებო და თახსირის შვილებო, როცა თქვენ წინაშე
მამაა, განა შვილს ხელზე კოცნიან?

უთხრეს:

— ხანო, განა ეს ვაჟაკი შენი ვაჟია?

— ჩემი ვაჟია — უპასუხა ხანმა.

ვაჭრები ეტყვიან:

— ახლა ნუ გაგვირისხდები, ხანო ჩვენო, რომ პირველად შენს ვაჟს
ვაკოცეთ ხელზე! შენი ვაჟი რომ არ ყოფილიყო, მთელ ჩვენს ქონებას
წაიღებდნენ საქართველოში, ჩვენც ყველას ტყვედ წაგვიყვანდნენ.

ბაი ბურე ბეგმა იკითხა, მაშ, ჩემმა ვაჟმა მოჰკვეთა თავი და დაღვარა
სისხლიო?

ასეა, სულთანო ჩვენო, თავებიც დააჭრა, სისხლიც დაღვარა და უსჯუ-
ლოები სულ ყირამალა ატარაო.

მაშ, ამ ვაჟს რომ სახელი შევარქვათ, განა დრო - არ დადგაო? —
იკითხა ხანმა.

ხანო ჩვენო, დროც გავიდაო, — უთხრეს.

ბაი ბურე ბეგმა უმალ ძაღვთან ოღუშთა ბეგები მოიწვია, გაუმასპინ-
ძლდა. ბეგმა ვაჟის თავგადასავალი ამცნო სტუმართ. ბეგებმა შეაქვს.
მოვიდა ჩვენი დედე ქორკუთი და ვაჟს სახელი უბოძა. ვნახოთ ერთი,
რა თქვა. დედე ქორკუთი იტყვის:

ჩემი ხმა ისმინე, ჩემი სიტყვა ყურად იღე, ბაი ბურე ბეგო,

მაღალ დებრთს ვაჟი უბოძებია, დღეგრძელი იყოს;

ოდეს მუსულმანნი ღირსეულ დროშას წაიღებენ,

მათი მხარი იყოს,

ოდეს წინ გაშლილ შავ, თოვლან მთებს გადაივიდს,

მაღალი ღმერთი შენს ვაჟს შეეწიოს,
ოდეს სისხლიან მდინარეებს გადალახავს. ფონი ქქონოდეს,
ოდეს რიცხვმრავალ უსჯულოში მოხვდეს,
ღმერთმა მაღალმა გზა გაუადვილოს!
შენ ვაჟს ფერებით ბამსამ ვუწოდებ,
მისი სახელი ნაცრისფერცხენიანი ბამსი ბეირეჟი იყოს!
სახელი მე ვუბოძე. სიცოცხლე ღმერთმა უწყალობოს!

ძალოვან ოღუზთა ბეგებმა ხელები ალაპყრეს. ილიცეს და თქვეს:
ეს სახელი ვაჟისთვის ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს!

ოღუზთა ბეგები სანადიროდ გაემართნენ. ნაცრისფერი ულაცი გამო-
უყვანეს, ბეირეჟი ამხედრდა.

ალაჯად გამოწყობილი ლაშქარი სანადიროდ ალადაღზე გაემართა.
უეცრად ოღუზთა წინ ირმის ჯოგი გამოჩნდა. ბამსი ბეირეჟი ერთს გა-
მოეკიდა. იარა, იარა და ერთ ადგილზე მივიდა. მივიდა და, სულთანო
ჩემო, ერთ მწვანე მინდორზე წითელი კარავი დგას! ღმერთო, ვისია ეს
კარავიო, თქვა მან. რა იცოდა, რომ ეს კარავი კრელთეალა ასულის
სადგომი იყო. სადგომთან მისვლას მოერიდა. თქვა, რაც იქნება, იქნება,
მე ჩემს ნახადირევს წამოვიღებო. სადგომს მიუახლოვდა, ირემს ძარღვე-
ბი გადაუჭრა.

შეხედა და რას ხედავს, ეს კარავი ბაი ბიჯანის ასულის ბანი ჩიჩქეს
კარავი ყოფილა! ბამსი ბეირეჟი ბანი ჩიჩქეზე აყენიდანვე იყო დაწინ-
დული.

ბანი ჩიჩქეი კარვიდან იყურებოდა. იტყვის:

— ჰეი, გადიებო, ერთი შეხედეთ, ეს თახსირი და თახსირის შვილი
თავის ვაჟკაცობას აქ გვიჩვენებს. გადით, წილი მოსთხოვეთ, ვნახოთ
ერთი, რას იტყვის!

ერთი ხათუნი, კასირჯა იენგე რომ ერქვა, ადგა და ვავიდა. წილი მო-
ითხოვა:

— ჰეი, ვაჟკაცო, შენი ნანადირევიდან წილი გვერგება და უნდა
მოგვეცე!..

ბეირეჟი მიუგებს:

— ჰეი, გამდელო. მე მონადირე არა ვარ. მე ბეგის ვაჟი და ბეგი გახ-
ლავარ, მთლიანად თქვენი იყოს, მაგრამ, თუ კითხვა სირცხვილი არ იქნე-
ბა, ერთი მითხარი, ეს კარავი ვისია?

კასირჯა იენგე უპასუხებს:

— ჰეი, ვაჟკაცო, ეს კარავი ბეი ბიჯან ბეგის ასულის ბანი ჩიჩქის
კარავია.

ეს რომ უთხრა, ხანო ჩემო, ბეირეჟს სისხლი აუჩქროლდა, და-
იმორცხვა და უკან დაიწია.

ქალებმა ნანადირევი კარავში შეათრიეს; ლამაზთა დედოფლის ბანი

ჩიჩქის წინაშე მიიტანეს. ნახა, რომ სულთნის საკადრისი მსუქანი ხარ-
ირემი იყო.

ბანი ჩიჩქი იტყვის:

— ჰეი, გოგოებო, ეს ვაჟკაცი ვინ არის?

გოგოები უპასუხებენ:

— ვალაჰ, სულთანო ჩვენო, სახე აქვს რიღეთი დაფარული, ისე კი,
კარგი ვაჟკაცია, ბეგის ვაჟი და ბეგი უნდა იყოს.

ბანი ჩიჩქი იტყვის:

— ჰეი, გადიებო, მამაჩემმა მითხრა, შენ რიღემოხვეულ ვაჟს მიგა-
თხოვეო. ეს ის ვაჟი არ იყოს! უხმეთ, მოვიდეს. ამბავი გამოვკითხოთ.

უხმეს. ბეირეკი შემოვიდა. ბანი ჩიჩქმა სახეზედ რიღე ჩამოუშვა.
ამბავი გამოჰკითხა: ვაჟკაცი, საიდან მოსულხარო?

ბეირეკი ეტყვის, შიდა ოღუზთაგანო.

ჩიჩქი კითხავს: შიდა ოღუზთაგან ვისი ხარო?

ბეირეკი უპასუხებს: ბაი ბურე ბეგის ძეს ბაშის ბეირეკს რომ იტყვიან,
ის მე ვარო.

ასული ეტყვის: მერედა, ვაჟკაცი, რა საქმეზე მოსულხარო?

ბეირეკი უპასუხებს: ბაი ბიჯან ბეგს ერთი ასული ჰყოლია, იმის სა-
ნახავად მოვსულვარო.

ასული ეტყვის:

— ის გოგო ისეთი არ არის, შენ გეჩვენოს. მე ბანი ჩიჩქის გამდე-
ლი ვარ. მოდი, გავიღეთ სანადიროდ. თუ შენი ცხენი ჩემსას გაასწრებს,
მაშინ, იმის ცხენსაც გაასწრებს; მოდი, ისარი ვტყორცნოთ, თუ შენ მე
მაჯობებ, იმასაც აჯობებ; მოდი, დავეკიდოთ, თუ მე წამაქცევ, იმასაც
წააქცევ.

ბეირეკი უპასუხებს: კარგი, ახლა კი ამხედრდიო.

ორივენი ამხედრდნენ, მოედანზე გავიდნენ, ბედაურები გააქენეს. ბე-
ირეკის ბედაურმა ასულის ბედაურს გაუსწრო. ისარი ტყორცნეს. ბე-
ირეკმა ასულის ისარი შუაზე გააპო.

ასული ეტყვის:

— ჰეი, ვაჟო, არავინ მეგულეობდა, ჩემი ბედაურისთვის გავსწრო;
არვინ მეგულეობდა, ჩემი ისარი შუაზე გაეპო, ახლა, ბეგო, ვაჟკაცი,
დავეკიდები!

ბეირეკი მაშინვე ჩამოხტა ცხენიდან. ორი ფალავანი ერთმანეთს შე-
ეხა. ხან ბეირეკი ასწევს და ის-ის არის ასული ძირს უნდა დაანარცხოს,
ხან ასული ასწევს და ის-ის არის, ბეირეკი ძირს უნდა დაანარ-
ცხოს...

ბეირეკმა თავგზა დაკარგა. იტყვის, თუ ეს ასული წამაქცევს, ძალო-
ვან ოღუზებში თავზე ლაფს დამახამენ, სახეზე ტალახს წამისვამენო.
ძალა მოიკრიბა, მძლავრიად შემოეჭლო და სარმა გამოსდო; შტაქუბში

ჩაეჭვიდა და ძალზე მოუჭირა. ქალმა ჩაიჩოქა, მაშინ ბეირეკი წელში შე-
უდარდა, სარმა გამოსდო და ქალი მიწას გააკრა.

ასული ეტყვის:

— ვაჟო, იცოდე, ბაი ბიჯანის ასული ბანი ჩიჩეკი მე ვარ!

ბეირეკმა სამჯერ აყოცა, ერთხელ უკბინა.

— ჩვენი ქორწილი ბედნიერი იყოს, ხანის ასულო! — ასე უთხრა.

მერე თითიდან ბეჭედი წაიძრო, ასულს გაუკეთა და უთხრა:

— ხანის ასულო, ჩვენ შორის ეს იყოს ნიშანი!

ასული ეტყვის:

— რადგან ასე მოხდა, ბეგის ძეო, წინ ცქერა არის საჭირო.

ბეირეკი უპასუხებს:

— ვინ იცის, რა გეწერია!

იგი ასულს გაშორდა და შინ მივიდა. თეთრწვერა მამა წინ შემოეგება.

ეტყვის:

— შვილო, დღეს ოღუზებში რა ნახე ახალი, რა გაიგე?

ბეირეკი უპასუხებს:

— რა ვნახე, რა გავიგე, მამავ-ბატონო და, ვისაც ვაჟი ჰყავს, და-
ქორწინდება, ვისაც ქალი ჰყავს — გათხოვდებაო.

მამა ეტყვის:

— შვილო, შენი ქორწილის დღე უკვე დადგა.

ბეირეკი უპასუხებს:

— მართალია, თეთრწვერავ, ძვირფასო მამავ, უნდა დავქორწინდე.

მამა კვლავ ეტყვის:

— შვილო, ოღუზებში ვის ასულზე დაგნიშნო?

ბეირეკი უპასუხებს:

— მამა, ისეთ ასულზე დამნიშნე, რომ, ვიდრე მე აედგებოდე, ის უკვე
ზუზუ იყოს; ვიდრე მე შავრაზე ავმხედრდებოდე, ის უკვე შავარდენას
ზურგზე იჯდეს; ვიდრე მე მტერზე მივალ, მან უკვე მტრის თავი მომი-
ტანოს. ასეთ ასულზე დამნიშნე!

მამამისი, ბაი ბურე ხანი, ეტყვის:

— შვილო, შენ ასული არ გდომებია. შენ მეგობრისა და თანამოაზ-
რის პოვნა გსურს თურმე, შენ რომ გწაღია, ვაჟო, ის ასული ბაი ბიჯან
ბეგის ქალია — ბანი ჩიჩეკი.

ბეირეკი პასუხობს:

— სწორედ ეგ არის, თეთრწვერავ, ძვირფასო, მამავ. მე რომ გული
შეპივარდა, სწორედ ის ასულია.

ახლა მამა ეტყვის:

— ეი, შვილო, ბანი ჩიჩეკს ერთი გოჯი ძმა ჰყავს, სახელად დელი
კარჩარს ეტყვიან, ვინც კი ქალის სათხოვნელად მივა, კლავს.

— მაშ, რაღა ვქნათ? — იკითხავს ბეირეკი.

ბაი ბურე ბეგი მიუგებს:

— შვილო, ძალოვანი ოლუზ ბეგები მოვიწვიოთ, რასაც გვიჩვენებს, ისე მოვიქცეთ.

ძალოვან ოლუზ ბეგთაგან ყველა ისტუმრეს, კარავში შეიპატიეს. დიდად უმასპინძლეს. ბეგებიც მოვიდნენ, დაპურდნენ, ქამეს, სვეს, მოითათბირეს, საქმე ასწონ-დასწონეს. გამოიკითხეს. თუ ვის შეეძლო წასვლა იმ ასულის სათხოვნელად. ბოლოს დაასკვნეს, დედე ქორქუთი წავიდესო.

ახლა დედე ქორქუთი იტყვის:

— მეგობრებო, რაღაი მე მომიწოდეთ, წადიო, და მაგზავნით, ისიც უნდა იცოდეთ, რომ დელი კარჩარი კლავს ყველას, ვინც მისი დის ხელის სათხოვნელად მივა. ასე რომ, ბაინდურ ხანის თავლიდან სწრაფმავალი, მარდად მრბოლი ცხენები გამომიყვანეთ. ერთი იყოს თხისთავა გეჩერ აიგირი, მეორე — თონისთავა დორუ აიგირი. თუკი ვასაქცევად დამიღგა საქმე, ერთზე შევჯდები და გავქუსლავ, მეორე კი აღვირით ხელში მექირება.

დედე ქორქუთის სიტყვა ყურად იღეს. წავიდნენ, ბაინდურ ხანის თავლიდან ის ორი ცხენი გამოიყვანეს. დედე ქორქუთი ერთზე ამხედრდა, მეორე აღვირით გაიყოლია. ღმერთი გწყალობდეთ. მეგობრებო, თქვა და გზას გაუდგა.

ახლა, ხანო ჩემო, იმ დელი კარჩარს თეთრთავიანი კარავი შავ მიწაზე აღუმართვინებია. მეგობრებთან ერთად დამჯდარიყო და სამიზნეს ისრებს სტყორცნიდა. დედე ქორქუთი მივიდა, თავი დახარა. ხელი მეერდზე დაიდო და პატივით მიესალმა.

დელი კარჩარს პირზე დორბლი მოადგა. დედე ქორქუთს თვალებში შეხედა და უთხრა:

— ალეიქუმ სალამ! წერას ატანილო, გზას აცდენილო, ყოვლის შემძლე ალაჰმა ვის დააწერა თეთრ შუბლზე თავის განაჩენი? კაცის ძე თვის ფეხით აქ არ მოსულა, ძესულიერს ამ ჩემი წყლებიდან წყალი არ უსვამს, შენ რა შეგემთხვა, თავგზადაბნეულო, წერას ატანილო, შენი აჯალი მოვიდა თუ?! აქ რას აკეთებ?

დედე ქორქუთი ეტყვის:

შენი შავი მთა რომ გადაჯღახო, მოვსულვარ შენთან.

შენი მღინარე მოჩხრიალე და მოკამკამე, რომ გდავტურო, მოვსულვარ შენთან,

შენი კალთათა სიფართოვე და სივიწროვე მკლავთა შენთა რათა შევიგრძნო.

მოვსულვარ შენთან.

ღმერთის ბრძანებით, წინასწარმეტყველის სურვილით მოვსულვარ, რათა გაუწყო, რომ ბამსი ბეირეკი თხოულობს, მთვარეზე წმინდა, მზეზე ნათელ. შენს დას — ბანი ჩიჩექს.

დედე ქორქუთმა ასე რომ უთხრა, დელი კარჩარმა ბრძანა:

— ისმინეთ ჩემი ნათქვამი: მომგვარეთ შავი ტაიკი იარაღითურთ!

მოუყვანეს შავი ტაიკი. დელი კარჩარი ამხედრდა. დედე ქორქუთი კი თოხლთავიან ღორუ ტაიკს მოახტა და გაქუსლა. დაედევნა დელი კარჩარი. კენებ-კენებაში თოხლთავა ღორუ ტაიკი დაიღალა, ახლა დედე ქორქუთი თხისთავა გეჩერ ტაიკზე ისკუებებს, მოაჯდება, თანაც კენებას აგრძელებს. დედე ქორქუთს გონება დაებნა, ღმერთს მიენდო. ახსენა ალაპი, ლოცვა აღავლინა.

დელი კარჩარმა ხმალი იშიშვლა: ზემოდან თავს დაესხა განრისხებული და შეუტია. მას სურდა, რომ დედესთვის თავი გაეპო. აქ დედე ქორქუთი ეტყვის:

— თუკი დამკრავ, ხელი გაგიხმება!

მალალი ღმერთის ნებსით, ხმალი რომ ეჭირა, ის ხელი დელის პაერში გაუშეშდა. დედე ქორქუთი წმინდანი იყო, მისი თხოვნა ღმერთმა ისმინა

ახლა დელი კარჩარი ეტყვის:

— ეი, შემობრალე, მომიტევე, ეჭვი არ არის, ღმერთთან გაქვს ერთობა. დედევ, შენ ხელი გამიჭანსალე და ღმერთის ნებსით და წინასწარმეტყველის სურვილით, ჩემს დას ბემსი ბეირექს მიცემ!

მანაც სამგზის აღთქმა დაადებინა, ცოდვა მოანანიებინა. დედე ქორქუთმა ლოცვა აღავლინა. უფლის ბრძანებით დელი კარჩარს ხელა გაუჭანსალდა. მობრუნდა და უთხრა:

— დედევ, ჩემი დის სანაცვლოდ, რასაც ვისურვებ, მომცემთ?

დედემ უპასუხა:

— მოგცემ; აბა, ერთი ვნახო, -რა გასურს?

დელი კარჩარი ეტყვის:

— ათასი ლონინი მომიყვანეთ, ჯამა რომ არ უნახავს, ათასი ახტა ცხენი მომგვარეთ, რომელსაც ჭაკი არ უნახავს, ათასი კიდევ — ვერძი, ნერბი რომ არ უნახავს. ათასიც უკუდო და უყურო ძალლი მომიყვანეთ და კიდევ — ათასი მოზრდილი რწყილი: თუკი ყოველივე ამას, რაც გითხარით, მომიყვანთ, სიამოვნებით მოგცემ, მაგრამ თუკი არ მომიყვან, მეორედ არ დამენახო თვალთ, ამჯერად არ მოგკალი, მაშინ კი მოგკლავ!

დედე ქორქუთი გამობრუნდა, ბაი ბურეს საცხოვრებელს მიაშურა. ბაი ბურე ბეგი ეკითხება:

— დედე ქორქუთო, სიხარულით მოხვალ თუ სიმძიმით? ნახეს, რომ სიცილ-ხარხარით მოდის.

ბაი ბურე ბეგი კვლავ კითხავს:

— დედევ, ვაჟია თუ ქალი, მგელი ხარ თუ ცხვარი?!

დედე ეტყვის:

— ვაჟი ვარ, მგელი ვარ!..

კიდევ კითხავენ:

— თავს რა გარდაგხდა? როგორ იხსენი თავი დელი კარჩარისგან?!

— მაღალმა ღმერთმა მიხსნა! — ეტყვის და თავის ამბავს მოუთხრობს. თანაც დასძენს: — ბევრი რომ არ გაფაგრძელო, ალაპის წყალობით და წმინდანთა შემწეობით გოგო ჩვენია.

ბეირექს, დედამისს და დებს მახარობელი მიუვიდათ, განიხარეს, ძალზე გამხიარულდნენ.

ბაი ბურე ბეგი იტყვის:

— რა სურს იმ დელის გამოსასყიდად?

ქორქუთი მიუგებს:

— არ გაიხაროს იმ არ გასაცინებელმა დელი კარჩარმა! ისეთი რამ ისურვა გამოსახსნელად, რომ არსად არ იპოვება.

— მაინც რა ქონებას თხოულობს ასეთს?! — იკითხა ბაი ბურე ბეგმა.

დედე ქორქუთი ჩამოუთვლის:

— სწადია ათასი ისეთი ახტა, ჭკვი რომ არ უნახავს; ათასი ლოინი, ჯამა რომ არ უნახავს; ათასი ვერძი, ნერბი რომ არ უნახავს; ათასი — უკუდო და უყურო ძაღლი, ათასი ციდე — დიდი შავი რწყილო თუ მათ მომიყვან, ჩემს დას მოგცემ, თუ კი არ მომიყვან, თვალთ არ დამეუნანო, თორემ მოგკლავთ!

ბაი ბურე ბეგი ეტყვის:

— დედე, ამათგან სამი რომ მე მოვიძიო, დანარჩენ ორს შენ იშოვი?

— ცხადია, ხანო ჩემო, ვიშოვი, — უბასუხებს ქორქუთი.

— მაშ, დედე, ქოფაკები და რწყილები შენზე იყოს! — ეტყვის ბაი ბურე ბეგი, თვითონ კი წავა, თავლაში ცხენებს მიაშურებს. ამოაჩჩევს ათას ახტას, ჯოგად აქლემი რომ დაუღის, იქიდანაც ათას ლოინს გამოარჩევს, ფარეხიდანაც — ათას ვერძს.

დედე ქორქუთიც ათას უკუდო და უყურო ძაღლს და ათას რწყილს შეაგროვებს და დელი კარჩართან გასწევს.

დელი კარჩარმა ეს რომ შეიტყო, წინ შემოეგება და უთხრა:

— აბა, ერთი ვნახო, ჩემი თხოვნა თუ ასრულე!

ცხენებს გადახედა — მოეწონა, აქლემებს შეხედა — მოეწონა, ვერძები ნახა — მოეწონა, ქოფაკებს შეხედა და გადაიხარხარა. თანაც უთხრა:

— აბა, დედე, სად არის ჩემი რწყილები?

დედე ქორქუთს კიდეც ეს რწყილები ერთ სახლში შეუგროვებია.

— ეი, შვილო კარჩარ, — ეტყვის. — ესენი აღამიანს ბუზანკალაავეთ ამწარებენ, გარეულ მხეცებივით არიან. მე ისინი ერთ ადგილზე შევაგროვე, წამო, წავიდეთ, მსუქნები ამოაჩჩიე, მკლავები წყალს წაუღია!

ადგება და დელი კარჩარს იქ მიიყვანს, სადაც რწყილები ჰყავს მოგროვილი. დელი კარჩარს გაატიტვლებს, ფარეხში შეაგდებს და ეტყვის, რომელიც მოგწონება აიყვანე, რომელიც არა, შეეშვიო. თანაც კარს

ჩაუკეტავს. შშიერი რწყილები დელის დაესივნენ. დელიმ ღრიალი და ქვითინი მორთო: დედე, მიშველეო. ნახა, გამოსავალი არ არის, ყვირილს უმატა:

— შემიწყნარე, დედე, ალაპის სიყვარულით კარი გამიღე, გამოვიდე! დედე ქორქუთი ეტყვის:

— ეი, შვილო, დელი კარხარ, რას ქოთქოთობ. შენ რომ დამიკვეთე, სწორედ ის არის, რა დაგემართა, რამ შეგაშფოთა? შეეშვი ვიშვიშს, ერთი ჯარი რწყილი შემეგროვებია. აიღე, შემდგომ ესა და ისაო, არ, დაიწყო, კარგად დახედე, მსუქანი შეარჩიე, მკლეს შეეშვი!

დელი კარხარი დაუძახებს:

— ეი, დედე სულთანო, ღმერთმა დასწყევლოს მსუქანიც და მკლევც! მე არც ცუდის ამომრჩევი ვარ და არც კარგის. დედე, ღვთის გულისათვის, კარი გამიღე, გამოვალ!

დედე კვლავ ეტყვის:

— შემდეგ კიდევ მე არ დამიწყო დავა, ერთი კარგად ჩაუკვირდი! დელი კარხარი შალაყებს გადადიოდა, აბრახუნებდა, მიშველე, დედეო, გაპყვიროდა, დედემ კარი გაუღო. დელი კარხარი გარეთ გამოვარდა, მთლად შიშველი, დედიშობილა, რწყილებდასეული, მშეგაციებული. დედემ ნახა, რომ დელი სულს ლაფავდა. თავგზააბნეული, სხეული აღარ უჩანდა რწყილებსაგან, აღარც სახე უჩანდა.

დედეს ფეხებში ჩაუვარდა, ალაპის გულისათვის, მიხსენიო, შეავედრა. დედე ეტყვის:

— წადი, შვილო, წყალში გადახტი!

დელი კარხარი: ხტუნვა-ხტუნვით გავარდა, წყალში გადაეშვა. სულის სიყვარულით ყინულივით წყალში ყელამდე ჩაიძირა, რწყილებისაგან თავი ძლივს ახსნა. ღმერთმა დასწყევლოს, მსუქანიც და მკლევც! ტანთ ჩაიცვა, სახლში წავიდა. დიდი ქორწილის სამზადისს შეუღდა.

ოღუზთა დროს ასეთი წესი იყო: თუკი ვაჟაკს ცოლი მოჰყავდა, ისარს ისროდა, სადაც ისარი დაეცემოდა, იქ აღამართვინებდა საქორწილო კარავს ბეირეჟ ხანმაც ისარი სტყორცნა, სადაც დაეცა, საქორწილო კარავი აღამართვინა. საწინდრად და ნიშნად საპატარძლომაც წითელი ხალათი გამოუგზავნა. ბეირეჟმა ხალათი ჩაიცვა, მეგობრებს ეს არ მოეწონათ, გაბრაზდნენ. ბეირეჟმა უთხრა:

— რატომ მოგდით გული?

როგორ არ მოგვივიდეს, შენ წითელ ხალათს იცვამ, ჩვენ კი თეთრსო, უპასუხეს. ბეირეჟმა მეგობრებს მიუგო:

— დღეს მე ჩავიცვი, ხვალ ჩემმა ნაიბმა ჩაიცვას! ორმოცი დღის განმავლობაში რიგრიგობით ჩავიცვათ ყველამ. მერე ვინმე დერვიშს მივცეთ, იმათაც გაიხარონ!

ორმოცი ვაჟაკი ღრეობდა, სვამდა და ჰამდა. ის წყეული და არ-

გასახარებელი უსჯულოთა ჯამუში მათ უთვალთვალებდა. წავიდა და ბაიბურთის ციხის ბეგს აუწყა, უთხრა:

— აქ რას უზიხარ, ჩემო სულთანო? ბაი ბიჯან ბეგმა, შენთვის რომ უნდა მოეთხოვებინა, ის ქალიშვილი ბეირექს, ნაცრისფერი ტაიქის მფლობელს მისცა. დღეს საქორწინო კარავში გაითენებს.

იმ წყევულმა და არგასახარებულმა არ დააყოვნა, შევიდასი უსჯულო იმხედრა, კენებით გამოეშურნენ. ბეირექი ქრელ კარავში იჯდა, ღრეობდა, არა უწყოდა. ღამე, როცა ძილს მიეცნენ, უსჯულოები კარავს თავს დაესხნენ.

ნაიბმა ხმალი იშიშვლა, — ჩემი თავი ბეირექს ენაცვალოს, მისი სამსხვერპლო იყოსო. ნაიბი აკუწყეს, შეჰიდად დაეცა. თუ ღრმაა (წყალი) ჩაიძირები, სიმრავლე (მტერთა) გაშინებს, ცხენი ირჯება, მამაცი ამაცობს, ხოლო ფეხოსანს არ აქვს იმედი. ოცდაცხრამეტ ჯიგითან ერთად ბეირექიც დაატყვევეს.

ინათლა, მზე დაიბადა. ბეირექის დედ-მამამ ნახა, რომ აღარ ჩანს საქორწინო კარავი. დაიწყეს ოხვრა და მოთქმა, ტანთ შემოიგლიჯეს, გონება წაერთვათ. კვლავაც დაინახეს, ყვავი იმ ადგილს უტრიალებს, არ შორდება. საქორწილო ჩარდახი დაფლეთილია, განგმირული ნაიბი მოწაზეა გართხმული.

ბეირექის მამამ თავისი სქელი ჩაღმა მოიძრო, ძირს დაახეთქა; სწვდა და ტანთ შემოიგლიჯა ყველაფერი. შვილო, შვილო! — ლულულუღით მოსთქვამდა და გოდებდა. ბეირექის თეთრკულულებიანი, დედაც აქვითინდა, ცრემლებს აფრქვევდა, მწარე ფრჩხილებით თეთრ სახეს იხოჯდა, წითელ ლოყებს იკაწრავდა, იგლეჯდა შავი ყორანივით თმებს. ტირილ-ქვითინით და გოდებით სახლს მოაშურა; ბაი ბურე ბეგის საკვამურაიან ოქროსთავიან კარავში შევიდა. შეწყდა მისი ქალიშვილებისა და რძლების ხმამაღალი კისკისი. აღარ იღებავდნენ თეთრ ხელებს წითელ ინაში. შვილმა დამ თეთრი გაიხადა და შავი ძაძით შეიმოსა. მოსთქვამდნენ მწარედ: ვაი, ჩვენო ბეგო, ძმაო, ძმაო შიზანს რომ ვერ ეწიეო, ერთადერთო ძმაო!

ბეირექის დანიშნულმაც შეიტყო ეს. ბანი ჩიჩქმა თეთრი ხალათი გაიხადა, შავით შეიმოსა. დაიხოკა და დაიკაწრა ლაქლაქა ლოყა, შემოდგომის ვაშლს რომ აგონებს კაცს.

ვაი შენ, პატრონო ჩემი წითელი დუვაქისავ,
ვაი შენ, ნუგეშო ჩემი ეული ცხოვრებისავ,
ვაი შენ, ჭიგითო ჩემო, ვაი ყმაო შენ, ვაი!
ჩემო ხანო, ჩემო ჭიგითო, შენი მზერით რომ ვერ ვძლებოდი.
სით წახვედი, სით?! სულო ჩემო, რად მიმართვე, ჩემო ჭიგითო?!
თვალს რომ ვახელდი და შენ ვიმზერდი,
მათელი ჩემი არსებით რომ შენ მიყვარდი,

როს სასთუმალზე ერთად თავს მივდებდით,
მტლად რომ გედებოდი, მსხვერპლად რომ გეწირებოდი,
ვთქვამ, ყაზან ბეგის იმედო,
ვაბ-შენ, ძმლე ოლუხთა საშურო ხანო, ვთქვამ, ხანო ბეირეკო!

ასე იტყოდა ზარით და ქვეითინით.

ეს რომ შეიტყო კიან სელჩუქ-ოღლუ დელი ღუნდარმა, თეთრი გახდა და შავი ჩაიცვა. ბეირეკის ტოლ-მეგობრები შავით შეიმოსნენ. ძალოვან ოლუხთა ბეგები ბეირეკის გამო დიდ მწუხარებას მიეცნენ, ყოველგვარი იმედი გადაუწყდათ.

მას აქეთ თექვსმეტმა წელმა განვლო. არავინ უწყოდა, ბეირეკი ცოცხლებში ეწერა თუ მკვდრებში. ბოლოს, გოგოს ძმა დელი კარჩარი ბინდურ ხანის საკრებულოში მოვიდა, მუხლი მოიყარა და წარსიტკვა:

— სვებედნიერო ხანო, დე, იყოს შენი სიცოცხლე ხანგრძლივი! ბეირეკი რომ ცოცხალი იყოს, ამ თექვსმეტი წლის მანძილზე ან რაიმე ამბავს გვაუწყებდა, ან თავად მოვიდოდა. ვინმე ჯიგითი რომ გამოჩნდეს და მისი სიცოცხლის ამბავი მაუწყოს, ხალათს ვუბოძებდი, ოქროვერცხლს ვუწყალობებდი. თუ კვლავაც ვინმე მისი სიკვდილის ამბავს მოიტანდა, მას ჩემს დას მივათხოვებდი!

ასე რომ თქვა, იმ წყეულმა არგასახარებელმა იალანჯი ოღლუ იალთაქუქმა ხმა ამოიღო:

— ჩემო სულთანო, მე წავალ. მკვდარია თუ ცოცხალი შევიტყობ და გაუწყებთ!

ადგა და წავიდა. რამდენიმე ხნით ადრე თურმე ბეირეკს მისთვის ერთი პერანგი უჩუქებია; მას არ ჩაუტყვამს, შეუნახავს. ახლა ის პერანგი სისხლში ამოსვარა, მოიტანა და ბინდურ ხანს წინ დაუდო.

— მერედა, ეს რა პერანგია? — იკითხა ბინდურ ხანმა.

— ჩემო სულთანო, ეს ბეირეკის პერანგია, — ეტყვის და აგრძელებს, — ყარა დერბენდში მოუკლავთ ბეირეკი. აი, ნიშანიც, ჩემო სულთანო.

ოლუხ ბეგთა შორის ცრუბენტელა აროდეს ჯოფილა; ირწმუნეს, პერანგს შეხედეს და ზარი დაიწყეს, აქვეითინდნენ.

— ჩემო ერთგულო ყამო ბეირეკო, — მოთქვამდა ყაზან ბეგი, გოდებდა ყარა გუნე, ყარა ბუდაქი დასძენდა: ჩემო ერთგულო მეგობარო ბეირეკო.

ბინდურ ხანი იტყვის:

— ნეტა, რას მოთქვამთ? ჩვენ ამ პერანგს ვერ შევიცნობთ, წაუღეთ მის დანიშნულს, ნახოს! მან უკეთ იცის, რადგან თვითონ შეკერა.

წავიდნენ, პერანგი ხანი ჩიჩქეს მიუტანეს, დახედა თუ არა, შეიცნო, ის არისო. ტანთ შემოიგლიჯა, თეთრი. სახე მკრელი ფრჩხილებით და-

იხოკა, დაიკაწრა ლოყები, შემოდგომის ეაშლივით წითელი; ბარი წარმოთქვა:

ვაი, თვალის გახელისას ჩემო საშხერალო,
* გულის წარბტაცველო ჩემო საყვარელო;
ვაი, ჩემი წითელი პერანგის პატარონო,
ვაი, ჩემს ცხოვრების ნუგეშო,
ხანო ბეირეჟოს..

ამ ამბავმა მშობლებთანაც მიიღწია. აფერადებულ ორღუში მწუხარება დასადგურდა, თეთრი გაიხადეს, შავი ჩაიცვეს. ძალოვან ოღუზ ბეგებს ბეირეჟის დაბრუნების იმედი გადაეწურათ. იალანჯის ძე იალთაჯუქმა ქალიშვილი წაიყვანა, პატარა ქორწილი გადაიხადა, დიდი ქორწილის დროც დანიშნეს.

ბეირეჟის მამა ბაი ბურე ბეგი კი ვაჭრებს იხმობს და ეტყვის:

— ეი, ვაჭრებო, წადით, ქვეყნიერება მოიარეთ, ჩემი სულის ნაწილი, ჩემი თვალის სინათლე ბეირეჟი ცოცხალია თუ მკვდარი, გაიგეთ!

ვაჭრებმა საგზალი მოიმარაგეს. დღედაღამ დაუსვენებლივ ვიდოდნენ. ერთიცი ვნახოთ და ფარასარის ბაიბურთის ციხეს მიადგნენ. თურმე ის დღე უსჯულოთათვის საზეიმო დღე იყო, ყველა ღრეობდა, სმა-ჭამას ეძლეოდა. ბეირეჟი მიეყვანათ და ქოფუზს აკვრევიებდნენ. ის მძალად ხარდახში დაესვათ. როცა მან ვაჭრები დაინახა, იცნო და შეესიტყვა. ვნახოთ, ხანო ჩემო, რა ჰკითხა:

ვაჭარნო, მთი-ველ-მინდორ მოარულნო,
ვაჭარნო, უფალ მშობელთაგან მოვლენილნო,
ვაჭარნო, შავარდენს ცხენებზე ამზიდრებულნო,
სიტყუა ჩემი ძმინეთ, ყურად ოღეთ, შეიგნეთ:
მძლე ოღუზთა შირის ულაშ-ოდლე სალურ ყახანს
თუ ვიკითხავ, როგორ არის?
იაპია სელჩუქ-ოდლე დელი დუნდარს
თუ ვიკითხავ, როგორ არის?
ყარა გუნე-ოდლე ბუდაღს
თუ ვიკითხავ, როგორ არის?
მამაჩემს თეთრწვერასა, დედაჩემსა ქალარასა,
თუ ვიკითხავ, ან ერთი და ან მეორე, როგორ არის?
თვალს რომ ვახელდი და ვუმზერდი,
ჩემი გულის წარბტაცველი ბიჯანის ასული ბანი ჩიხეჟა
სახლშია თუ გააყუა სხვასა?
მითხარით მე —
ჩემი აჯუ თქვენი სანაცელო იყოს, ვაჭარნო!

ვაჭრებმა უპასუხეს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უპასუხეს:

სადი ხარ და ჩანმრთელი ხარ, ჩვენო ბაშო!
თექვსმეტ წლის მწუხარება, ხანო ბაშო!
ოდუზთაგან ყახან ბეგსა თუ იკითხავ,

კარგად არის, ჩვენო ბაბო;
 კიან სელჩუქ-ოღლუ დელი დუნდარსაც
 თუ მოიკითხავ, კარგად არის, ჩვენო ბაბო;
 ყარა გუნე-ოღლუ ბუდაღს
 თუ იკითხავ, კარგად არის, ჩვენო ბაბო;
 ამ ბეგებზე შენ გულისთვის ძაძი იტყვს, ჩვენო ბაბო;
 თეთრწვერიან მამაშენსა
 თუ იკითხავ, კარგად არის, ჩვენო ბაბო;
 ქალაროსან დედაშენსა თუ იკითხავ,
 კარგად არის, ჩვენო ბაბო;
 შავი ძაძით შეიშოსა, შენ გულისთვის, ჩვენო ბაბო;
 შენი დები, შეიდი თვე,
 შეიდი გზისა გასაყარზე რომ მოთქვამდნენ, ვნახე ბაბო;
 ლოყებს, წითელ ვაშლის დარებს, რომ იხოკდნენ, ვნახე ბაბო;
 წავიდა და აღარ მოდის, ჩვენი ძმაო, რომ მოთქვამდნენ, ვნახე, ბაბო;
 თვალი რომ ახილე და შეიყუარე,
 შენი გულის წარმტაცველსა, ბანი ბიჯანის ასულმა, ბანი ჩიჩეკმა
 მცირე ქორწილი გადაიხადა;
 დილის აღთქმა დაუდგია.
 იალანჯი—ძე იალთაჯუქმა წაიყვანა, ვნახე, ბაბო;
 ხან ბეირექო,
 ფარასარის ბაიბურთის ციხიდან სწრაფლ გაფრინდი,
 საქორწილო კრულ კარავში უშალ მიდი,
 თუ არ მიხვალ, ბანი ბიჯანის ასულს —
 ბანი ჩიჩექს წაგართმევენ, ეს იცოდე, ქეშმარიტად!

ბეირექი ამ მწარე სიტყვების მოსმენისას ადგება, ტირილ-ტირილით
 ორმოც ვაჟკაცთან მივა; თავის დიდ ჩალმას მოიხდის, ძირს დასცემს და
 იტყვის:

— ეი, ჩემო ორმოცო მეგობარო, გაიგეთ, რა მომხდარა? იალანჯი-
 ოღლუს იალთაჯუქს ჩემი სიკვდილის ამბავი გაუვრცელებია, მამაჩემის
 ოქროსსანათურიან კარავში მწუხარება დასადგურებულა. მის ასულებს,
 გედის დარებს, თეთრი გაუხდიათ, შავით შემოსილან. თვალი რომ ვახი-
 ლე, დავინახე, გული რომ მივეცი და შევიყვარე, ბანი ჩიჩექი იალანჯის
 ძეს იალთაჯუქს მიყვება.

ამას რომ იტყვის, ორმოცი ჯიგითი თავიანთ დიდ ჩალმებს მიწას და-
 ანარცხებს, მწარედ აქვითინდება და ზარს იტყვის.

მაგრამ გაიურთ ბეგს ყავდა გაუთხოვარი ასული. ყოველ დღე, ბე-
 ირექი რომ ენახა, მოდიოდა. იმ დღესაც მის სანახავად მოვიდა, ნახა,
 რომ ბეირექი დამწუხარებულია. ქალი ეტყვის:

— რატომ მოგიწყენია, ჩემო ხანო ვაჟკაცო? როცა კი მოვსულვარ,
 მხიარულად დამხვედრიხარ, იცინოდი, ლაღობდი, ახლა რა დაგემართა?

ბეირექი ეტყვის:

— როგორ არ დავმწუხრდები? თექვსმეტი წელია, რაც მამაშენის
 ტყვე ვარ, მომენტრა მამა, დედა და ახლობლები. თანაც ერთი, შავ-

თვალემა დანიშნული მყავდა, იალანჯის ძე იალთაჯუქს რომ ეტყვიან, ის კაცი მისულა, მოუტყუებია, ჩემზე უთქვამს მოკვდაო და ის გოგო მას მიჰყავს.

ეს სიტყვები რომ გაიგო, ქალიშვილმა ბეირეჟი შეიყვარა. ეტყვის:

— თუკი მე თოკით ციხიდან ქვევით ჩაგიშვებ, თუკი მშობლებთან უვნებლად მიხვალ, აქ დაბრუნდები და ცოლად წამიყვან?

ბეირეჟმა აღთქმა დადო:

— ჩემი ხმლით ავიკუწო, ჩემივე ისრით განვიგმარო, დედამიწასავით დავიბზარო, მტვერსავით გავიფანტო, თუკი უვნებლად მივედი ოლუხებთან, რომ არ დავბრუნდე და ცოლად არ მოგიყვანო!

ქალმა თოკი მოიტანა. ბეირეჟი ციხიდან ჩაუშვა. ბეირეჟმა დაბლა დაიხედა, დედამიწაზე იდგა. ალაჰს მადლობა შესწირა და გზას გაუდგა. ცოტა იარა თუ ბევრი იარა, უსჯულოთა ჯოგს მიადგა. ერთი ცხენი დავიჭირო, შევეჭდეო, — გაიფიქრა. გაიხედა, ნახა, მისი ზღვის კვიცი ბოზ აიგირი აქ ბალახობს. ბოზ აიგირმაც ბეირეჟი დაინახა, იცნო. ყალყზე შედგა, დაიკიხვინა. ბეირეჟმა შეაქო თავისი ბოზ აიგირი. ვნახოთ, ხანო ჩემო, როგორ შეაქო:

გაშლილ ეელს ჰგავს შუბლი შენი,
ორ შებჩერაღს მოგეჯონებს თვალნი შენნი,
აბრეშუმს ჰგავს დაფარი შენი,
ორ ტყუბ ძმას ჰგეჯანს ყურნი შენნი,
კაცს საწადელთან მიოყვანს ზურგი შენი,
ცხენს ორ გიტყვი, ძმას გიწოდებ, ძმაზე კარგო!
თავს დამატყდა მძიმე საქმე, რა გიწოდო. მეგობარო?
მეგობარზე უკეთესო!

ცხენმა თავი ასწია, ყური ცქვითა. მივიდა ბეირეჟთან. ბეირეჟი კისერზე მოეხვია ცხენს. ორთავ თვალი დაუკოცნა და ზედ მოეწლო პისარის ციხის კართან მოვიდა. ოცდაცხრამეტ მეგობარს შესძახა, მათი თავი უსჯულოებს ჩააბარა, დაემუქრა. ვნახოთ, როგორ დაემუქრა:

ეი, სჯულდაღლო, უსჯულოვ
პირში მლანძღავდი, მაგინებდი, ვერ ავიტანე;
შავი ღორის იაპნის მავშედი, ვერ ავიტანე.
ღმერთმა სახსნელი გზა მომცა, წავედი, ეი უსჯულოვ;
ოცდაცხრამეტ ჯიგითს მძველად გიტოვებ, ეი, უსჯულოვ.
ერთიც ნაყლები რომ დამზედეს, ათს დაგკლავთ იმის სანაცვლოდ.
ათით ნაყლები რომ დამზედეს, ასს დაგკლავთ იმათ სანაცვლოდ, ეი, უსჯულოვ.
ოცდაცხრამეტი ჩემი ჯიგითი მძველად დავტოვე, ეი უსჯულოვ!

თქვა დი გაქუსლა.

ორმოცი უსჯულო ამხედრდა, დაედევნა, მაგრამ ვერ დაეწია. უკან დაბრუნდნენ.

ბერიეჟმა, ცოტა იარა თუ'ბევრი იარა, ოღუზებს მოადგა: ნახა, ერთი ოზანი მიიჩქარის. ბერიეჟი ეტყვის:

— ჭი, ოზანო, საით გაგიწევია?

— ქორწილში მივალ, ბეგო. ჯიგითო! — უპასუხებს ოზანი.

— ვის ქორწილში? — ჩაეკითხება ბერიეჟი.

— ერთია, იალანჯი ოღლუ იალთაჯიქს ეტყვიან. — მიუგებს ოზანი.

— ნეტავი, ვისი ქალი მოჰყავს? — კიდევ ჩაეძიება ბერიეჟი.

— ხანი ბერიეჟის დანიშნული, ხანი ჩიჩეჟი მოჰყავს, — ეტყვის ოზანი.

— ეი, ოზანო, შენი ქოფუზი მე მომეც, სანაცვლოდ ცხენს დაგიტოვებ, კარგად მოუარე, მოვალ, საფასურს მოგცემ, წავიყვან. — აღარ, ეშვება ბერიეჟი.

— ხმა არ წამერთვა, არ გადამელაღა, ქოფუზი არ გამტყდომია, ცხენი კი ჩავივდე ხელთ, წავიყვან, მოვუვლი! — თქვა ოზანმა და ქოფუზი ბერიეჟს მისცა. მანაც ქოფუზი აიღო და მამამისის ორღუში მივიდა. ნახა, რამდენიმე მწყემსი გზის პირას ჩამომქდარა, თან მოთქვამენ, თანაც ქვებს აგროვებენ.

— ეი, მწყემსებო, — ეტყვის ბერიეჟი, — ეკაცი რომ ქვას პოულობს, გზიდან იქით ადგებს, თქვენ ამ გზაზე ქვებს რატომ აგროვებთ, თან ქვას აგროვებთ, თანაც ტირიხართ, რა არის ამის მიზეზი?

— შენ შენს თავს მიხედე, — პასუხობენ მწყემსები, — ჩვენი ამბის შენ რა გაგეგება!..

— განა ისეთი რა ამბავი შეგემთხვათ? — ჩაეკითხება ბერიეჟი.

— ჩვენს ბეგს ერთი ვაჟი ყავდა, — დაიწყეს მწყემსებმა, — აი, უკვე თქვესმეტი წელია, არვინ უწყის, მკვდარია თუ ცოცხალი. წყეულმა, არგასახარებელმა, იალანჯი ოღლუ იალთაჯიქს რომ ეტყვიან, იმან ამბავი მოიტანა, მოკვდაო. მის დანიშნულს ახლა მას აყოლებენ. აქ უნდა ჩამოიაროს, ქვას დავუშენთ. იქნება მას არ გააყოლონ და თავის შესაფერს მისცენ.

— თქვენი ღირსება აამაღლოს უფალმა, ალალი იყოს თქვენი პატრონის პური თქვენზე! — ეუბნება ბერიეჟი. ადგება და მამამისის ორღუში მივა. მათი სახლის წინ ერთი ღიდი ხე იდგა, იმ ხის ძირას კარგი წყარო მოჩუხჩუხებდა: ბერიეჟმა შეხედა და დაინახა, რომ მისი უმცროსი და წყაროზე მოსულა წყლის ასაღებად. ბუტბუტებს და ლულულებს თავისთვის: ჩემო ძმა ბერიეჟო, შენი ქორწილი გაშავდაო, ქვითინებს.

ბერიეჟს ღიდი დარდი შემოაწვა, ვეღარ მოითმინა, ცრემლები გადმოუარა. ბერიეჟი დაუძახებს და ეტყვის. ვნახოთ, ხანო ჩემო, რას ეტყვის:

ეო, გოგოვ!
 რას ქვითანებ ან რას ტოი?
 რას ლულულეებ; „ჩემო ძმაო“?
 გულ-ჭიგარი დამეწეა და დამეფუფქა,
 იქნებ ქვეყნად აღარც არის ის შენი ძმა,
 და მღუღარე გარდაგესხა, დიდდაგე!
 შენი გული ჩაქაშული ისე ბორკავს, აღარ არის საკეთილესა
 რას ლულულეებ და რას მოთქვამ: „ჩემო ძმაო“!
 გულ-ჭიგარი დამეწეა და დამეღალა, ეო, გოგოვ!
 შენ წინ შევი ქვედი არის,
 თუ ვიკითხავ ამ იალას — ვისა არის?
 ეს კამკამა, მოჩუხჩუხე წყაროები,
 თუ ვიკითხავ — ვის აოკებს?
 ამ შაპბაზა, ცხენთა ჯოგსი,
 თუ ვიკითხავ — ვინ ჭირითობს?
 ეს აქლემთა დიდი ჯოგო,
 თუ ვიკითხავ — ვის ტვირთს ხიდავს?
 ეს თეთრი ცხვარის დიდი ფარა,
 თუ ვიკითხავ — ვის აპურებს?
 ეს კარავნი შავ-შავნი და ცისფერა,
 თუ ვიკითხავ — ვის უჩრდილებს?
 დაწვრილებით მოძიყევი ვოველიფე, გოგოვ, ბარემ,
 ჩემი თავი შენი სანაცვლო იყოს, დაე!

ახლა გოგო უპასუხებს:

ნუ დაუკრავ, ნურას იტყვი, ოზანო,
 მე ბელშავსა რაღა მინდა, ოზანო!
 თუ იკითხავ, წინ აღმართულ შვე ქედხელა,
 ჩემი ძმისა სამოვარი იყო ერთ ღროს.
 რაც ჩემი ძმა ბეირეჟი გარდიხვეწა,
 არ დამიდგამს ფეხი იქა;
 თუ იკითხავ მოჩუხჩუხე ციფ წყაროებს,
 ჩემი ძმისა დასალევი იყო ერთ ღროს,
 რაც ჩემი ძმა ბეირეჟი გარდიხვეწა,
 არა მისევამს წყალი ისა;
 თუ იკითხავ შაპბაზა ბელაურთა ჯოგსა,
 ჩემი ძმისა საჭირითო იყო ერთ ღროს,
 რაც ჩემი ძმა ბეირეჟი გარდიხვეწა,
 არ ვჭირითობ მაფხე შეტსა;
 თუ იკითხავ აქლემების დიდსა ჯოგსა,
 ჩემი ძმისა საპალნედა იყო ერთ ღროს,
 რაც ჩემი ძმა ბეირეჟი გარდიხვეწა,
 აღარ ვტვირთავ მე მათ შეტსა;
 თუ იკითხავ თეთრი ცხვარის დიდსა ფარას,
 ჩემი ძმისა საყურბანე იყო ერთ ღროს,
 რაც ჩემი ძმა ბეირეჟი გარდიხვეწა,
 აღარა ვჭამ მე მათს შეტსა;

თუ იკითხავ ამ კარახს, შიშს და ცისდერს,
ჩემი ძმისა სანარდილობლად იყო ერთ დროს,
რაც ჩემი ძმა ბეირეჟი გარდახვეწა,
აღარ ვმართავ მე მათ მეტსა!

ეტყვის და კვლავაც აგრძელებს:

ეი, ოზანო, როცა შავი მთა, წინ აღმართული შენ გადალაბე,
ხომ არ გინახავს ბეირეჟად წოდებული ვინმე ჯიგითი?
როცა ღელენი და მდინარენი, ბობოქარნი, ალღებულნი შენ გადაცურე,
ხომ არ გინახავს ბეირეჟად წოდებული ვინმე ჯიგითი?
როცა ქალაქნი, დიდებულნი, აღზევებულნი შენ მოიარე,
ხომ არ გინახავს ბეირეჟად წოდებული ვინმე ჯიგითი?
ჰეი, ოზანო, თუკი გინახავს, მითხარი მე,
ჩემი თავი შენი სანაცვლო იყოს, ჰეი, ოზანო!

ეტყვის და კვლავაც დაუმატებს:

წინ აღმართული შავი მთა დაქცეულა,
ოზანო, შენ არა უწყვი რა!
ნრდილის მომდენი ჩემი ვეება ხე წაქციულა,
ოზანო, შენ არა უწყვი რა!
ჩემი გული, შინაგანობა ნაცრად ქცეულა,
ოზანო, შენ არა უწყვი რა!
ამ საწუთროში ჩემი ერთი ძმა დაცემულა,
ოზანო, შენ არა უწყვი რა!
ნულა დაუკრავ, ნულარას იტყვი, ოზანო!
მე ოხერსა და ბედშავს რაღი მინდა, ოზანო!

ეტყვის და დაუმატებს:

— ცოტას წინ წაიწევე, ქორწილია, იქ ისტუმრე თავი, ჩაიარე!

ბეირეჟმა ჩაიარა, ანლა უფროს დას შიადგა. შეხედა და ნახა, რომ
მისი დები, შავად და ცისფრად შემოსილნი, ერთ ადგილას ჩამოკსხდა-
რან. შეეხმინან, მოიკითხნა. ამბავს ჰკითხავს. ვნახოთ, ხანო ჩემო, რას
ჰკითხავს:

ცისკრის ეამს რომ წამომდგარსართ, ასულებო!
თეთრი კარავიდან რომ გამოსულხართ და შავს შესულხართ, ასულებო!
თეთრი სამოსი რომ გაიხდიათ და შავად მორთულხართ, ასულებო!
ჯიგარავით შედედებელი მანწინსაგან რა მოგჩენიათ?
შავ საჭის ქვეშა გამოწყებარი გომეჩისაგან რა მოგჩენიათ?
ვარკლში მოხელილ პურისაგან რა მოგჩენიათ?
სამი დღეა, გზაზე ვდგავარ, ძალზე მშოი, დამაპურეთ,
სამი დღეც არ გავიდეს, ღმერთმა მოგიზღვათ თქვენ!

გოგოები წავიდნენ, საკმეელი მოიტანეს, ბეირეჟი დააპურეს. ბეირეჟ-
მა უცხრა:

— თქვენი უფროსი ძმის თავის და თვალების შრემა, ძველი ხალათი გექნებათ, მათხოვეთ, ქორწილში წავალ. ქორწილში ხალათს მომცემენ, მე თქვენსას დაგიბრუნებთ.

წავიდნენ, ბეირეჟის ხალათი მოუტანეს, მისცეს. ადგა, ჩაიცვა, წელზე კარგად მოუვიდა, სახელოებიც ზედ მოერგო.

უფროსმა დამ ის ბეირეჟს მიამსგავსა. შავი, შეღებილი თვლები ცრემლით აევსო. ეტყვის. ვნახოთ, ხანო ჩემო, რას ეტყვის:

შენი შავი თვალები რომ არ იყოს მიმჭრალა,
ჩემს უფროს ძმას, ბეირეჟს გიწოდებდი, ოზანო
შენი სახე შავი თმით რომ არ იყოს ფარული,
ჩემს უფროს ძმას, ბეირეჟს გიწოდებდი, ოზანო
შენი ძალოვანი მკლავი რომ არ იყოს მიმჭრარი,
ჩემს უფროს ძმას, ბეირეჟს გიწოდებდი, ოზანო
რხევა-რხევით რომ დადიხარ
და ლომივით რომ შედგები,
ასე დგომით, გამოხედვით
ჩემს უფროს ძმას მომაგონებ, ოზანო
გამახარე, დარდს ნუ მმატებ, ოზანო

იტყვის და კიდევ დაუმატებს:

ნუ დაუქრავ, ნურას იტყვი, ოზანო,
რაც ჩემი ძმა ბეირეჟი გარდისხვეწა,
ჩვენსავე პირი არ უქნია არც ერთ ოზანს.
ჩვენ თავთავან მწუხარება არ გასულა.
ჩვენს გულებში მწუხარება არ დამცხრალა,
არვის მიჰყავს ჩვენი ყოფი რქავრებილი.

ბეირეჟი გაიფიქრებს: ნახე ერთი, ამ ხალათით ამ ქალებმა შემეცნეს, მაშ, ძალოვანი ოლუხთა ბეგებიც შემეცნობენი ვნახო ერთი, ოლუხებში ვინ არის ჩემი მეგობარი და ვინ მტერიო, — თქვა, მხართაგან ხალათი მოიძრო, მიიტანა და ქალიშვილებს წინ დაუდო.

— გაქრით თქვენც და თქვენი ბეირეჟიც! ძველი ხალათი მომეცით და თავგზა ამიბნეით! — უთხრა და წავიდა. ერთი ძველი ტომარა ნახა, ყელი ამოუღო, კისერზე წამოიცვა, მოიბდლა თავი და ქორწილში ასე მივიდა.

ნახა, რომ ქორწილში სიძეკაცები მშვილდოსნობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ყარა გუნე-ოღლუ დელი ბუდაქი, კახან ბეგი ოღლუ ურუზი, ბეგთა ბეგი იეგენქი, გაფლეთ-ოღლუშირ შემსედინი, პატარძლის ძმა დელი კარჩარიც ისრებს ისვრიან. ბეირეჟიც დგას და მათ შეჯიბრს უცქერის. როცა ყარა ბუდაღმა ისროლა, მარჯვენა დაგელოცოსო, — თქვა. შირ შემსედინმა რომ ისროლა, მარჯვენა დაგელოცოსო, თქვა. ვინც კი ისროლა, ყველას მარჯვენა დაგელოცოსო, უთხრა. მაგრამ, როცა სიძემ ისროლა,

ჩელი გავიხმეს. თითები დაგიღებეს ეი, ღორის შვილო, ღორიო, — უახარა. სიძეთა სამსხვერპლო იუოს შენი თავიო, დაუმატა.

იალანჯი-ოღლუ იალთაჯუქი. ვასაოსხლა და უთხრა:

— ეი. არამსადას ნაშიერო, სულელო, ნაძირალავ, შენ უნდა მაკადრო მე ასეთი სიტყვებით! ერთი მოდი, არამხალავ, ჩემი მშვილდი მოზიდე, თორემ თავს წაგაცლი!

ასე რომ უთხრა, ბეირექმა მშვილდი აიღო, მოქიმა და ორად გაღატეხა. აიღო და სახეში შეაყარა, ყამირ მიწასე ბელურას რომ ესროლო, გამოვადგებო, — დაუმატა. იალანჯი-ოღლუ იალთაჯუქმა რომ ნახა მშვილდი გადატყდა, ძალზე განრისხდა და თქვა:

— აბა, წადით, ბეირექის მშვილდი რომაა, ის მომიტანეთ!

წავიდნენ და მოუტანეს.

ბეირექმა მშვილდი რომ დაინახა, მეგობრები გაახსენდა და ატირდა. მშვილდი ხელში აიღო და შეაქო. ვნახოთ ერთი, როგორ შეაქო:

მტარულა მკეყანაში ხელთ რომ შეპყარი, ტარზე აყის ხის ლაფანდახვეულო
შვილო ჩემო, კვიცი თასო,
კვიცი რომ გავიც და გვიღე, ბეირეკო მშვილდო ჩემო თეთრტარიახო;
ბელა რომ გავიც და გვიღე, მშვილდის ტარო ჩემო, ლარდაქიმულო;
უვაჭის მხარეს. დავტოვე ისიც და ოცდაცხრამეტი
ნეგობარი და ორი ქარავანი ჩემი, დავტოვე და აქ მოვედი.

შემდეგ ბეირექი იტყვის:

— თქვენი ნებართვით; თქვენი სიყვარულით მოვქიმავე მეც მშვილდს, ზეც ვტყუორცნი ისარს! ოღონდ სანიშნედ სიძის ბეჭედი დასდეთ.

მას ესროდნენ ბეირექმა ისარი ბეჭედს გაარტყა და შუაზე გატეხა. ოღუს-ბეჭებმა ის რომ ნახეს, ხელი ხელს შემოჰკრეს და სიცილი ატეხეს.

ამას ყაზან ბევეც უყურებდა და ერთობოდა. კაცი გაგზავნა, ბეირექი ესმო. დელი ოზანი მოვიდა, თავი დახარა, მკერდზე ხელი მიიღო, მიესალმა. ბეირექი იტყვის. ვნახოთ, ხანო ჩემო, რას იტყვის:

სისამ დელით თვიროვიან კარებს შემა აღმართავენ დამრეც ფერღზე,
სამბლიღობულს, ლურჯ ატლასით მოქარგულს აღმართავენ იქვე, გვერღზე,
ოღმარეღზე და გვიან ბელურანი, თხარაქნა,

ეხელ წავალნი ჩვეულები შენს სამართალს აუწყებენ ყოველ მხარეს
წყვილი ხელი ძალევიან ჩვითებისავ, გულყეთილო,

საბრუნო და ხურგო მყარო;

ობდელ ელას, და ხუგეშო და მფარველო,

დღეო ღიმილი ტიგრისისა, კარაქულის მარდო ვეფხვო.

წადეო ცხანო მხედობლო,

ღრუბო ხანო მამეო,

ჩემო ხანო ყაზანი!

ჩემი საყვე შენი შინა, ურდო იღე;

წინაში უფროსი და მწიფარხარ,

აღვის ბევეც რომ მსჯელდარ!

თეთრი ალვის ტოტები რომ გაგიკაფაუს და გასულბარ,
კარავი რომ ალგიმართავს,
მშვილდოცნობა გაგიმართავს
და კარავი საქორწილო წამოგიდგამს.
მარცხნივ მარცხენა ბეკები,
მარჯვნივ მარჯვენა ბეკები,
კარიბქესთან კი მრჩეველები რომ დაგესვამს,
ფერხთ გისხედან ბეგთბეგნი დიდებულნი.
დაე, იყოს ეს ქორწილი ბედნიერი!

ამას რომ ეტყვის, ყაზან ბეგი მუხლმოყრილი, ასე მიმართავს:

— ეი, ხელო ოზანო, რას ისურვებ, ჩარდახი გსურს თუ მხეველნი ჩემნი, თუ ოქროს ახჩა?! ბეირეკი უპასუხებს: ჩემო სულთანო, თუკი გამიშვებ იქ, სადაც საქმელია, მშვიერი ვარ, გავძლები.

ყაზანი სიტყვას დააგდებს:

— სულელო ოზანო, კარს მომდგარი ბედი უკუაგდე! ბეგებო, ჩემი მბრძანებლობა ამისი იყოს. გაუშვით, სადაც უნდა, წავიდეს, რაც უნდა, ქნას!

ბეირეკი იქ მივიდა, სადაც საქმელი იყო, მაგრა გამოძღა, ფეხი გაკრა და ქვაბები გადააყირაგა, საქმელი დაღვარა, ნაქრები ზოგი მარჯვნივ მოისროლა, ზოგი მარცხნივ. მარჯვნივ ნატყორცნს მარჯვნივ იჭერდნენ, მარცხნივ ნატყორცნს — მარცხნივ. მართალს სამართალი ეწიოს, უსამართლოს სახე გაუშავდესო.

ყაზან ბეგს აუწყეს: ჩვენო სულთანო, ხელმა ოზანმა მთელი საქმელი დაღვარაო! ყაზანმა გაიმეორა:

— გაუშვით! რაც უნდა, ქნას! სადაც უნდა, წავიდეს!

კიდევ უთხრეს:

— ახლა დიაცებთან მისვლა სურს.

— დიაცებთანაც მივიდეს! — დასტური თქვა ყაზანმა.

ბეირეკი ადგა და ქალებთან მივიდა. მუზურნეები გაყარა, მედლოლები ზედ მიაყოლა. ზოგს ჩასცხო, ზოგს თავი გაუტეხა, ზოგს შეუკურთხა, ზოგსაც შემოჰკრა, ასე და ამრიგად, ქალების კარავთან მივიდა, კარიბქეს გადააბიჯა და დაჯდა.

ეს რომ ყაზან ბეგის ახრვანმა ბურლა ხათუნმა დაინახა, განრისხდა, უთხრა:

— ეი, უწმინდურის შვილო, შენ შეგფერის აგანა, ჩემთან ასე თავხედურად მოსვლა?

ბეირეკმა უპასუხა:

— ჩემო ქალბატონო, ყაზან ბეგმა ნება დამართო და ვერკინ და მიშლის!

ბურლა ხათუნი ეტყვის:

— ეი, დელი ოზანო, რა განგიზრახავს?

— ჩემო ხანუმო, მე მსურს, რომ, ვინც თხოვდება, ის გოგო ადგეს და ითამაშოს, მე კი ქოფუხს დავუკრავ.

ერთი ხათუნნი იყო, კისირჯა იენგეს ეტყოდნენ, მას უთხრეს:

— ეი, კისირჯა იენგე, ადე, შენ იცეკვე, შენ რას გიცნობს დელი ოზანი!

კისირჯა იენგე ადგება:

— ეი, ოზანო, რომ თხოვდება, ის გოგო მე ვარ, დაუკარ ქოფუხი, უნდა ვიცეკვო! — ეტყვის და ცეკვას იწყებს. ბეირექმა იცოდა, ის რომ კისირჯა იენგე იყო. ბეირექმა ქოფუხი დაუკრა. თქვა, ვნახოთ; ხანო ჩემო, რა თქვა:

აღთქმა მიმიცია, ბერწ ფაშატზე არ დავმჯდარიყავი,
თუკი ანბედრდებოდი, ხარკასთან არ წავსულიყავი.
მენახირენი შენ მოგჩერებიან,
შენ გითვალთვალევენ, —
— რომელ ხეცს გაუყვავო!
შენ კვალს ჩასდგომიან,
— რომელ მხრით მივაო!
თვალთვან ცრემლი გდის ღეარად,
შენ მათთან მიდი წყნარად!
შენს წადილს ისინი შეგისრულებენ, უწყოდე კარგად.

— მე შენთან საქმე არა მაქვს. ვინც თხოვდება, ის ადგეს, ხელი გაშალოს, იცეკვოს. მე ქოფუხს დავუკრავ.

კისირჯა იენგე იტყვის:

— ვივამ, უბედურება გვეწვია, ეს ხელი ისე ყბედობს, თითქოს მიცნობს. გაგჩმეს თავი! — უთხრა, მივიდა და თავის ადგილას დაჯდა. დიდი ხანების ხათუნები კისკისებდნენ, სიცილით ცრემლი სდიოდათ. ახლა ერთ ხათუნს, ბოლახაჯა ფატმას რომ ეძახდნენ, უთხრეს:

— ადე, გოგო, შენ იცეკვე!

— ვაი, თუ ხელმა მეც ამისთანა სიტყვები მითხრას! — იუარა.

— მაგდაგვარს ვერაფერს გეტყვის. — დაამედეს. პატარძლის ხალათი ჩააცვეს. ადგა და ეტყვის:

— ეი, ხელო ოზანო, რომ თხოვდება, ის გოგო მე ვარ, დაუკარი, ვითამაშებ!

დელი ოზანი იტყვის:

ახლა აღთქმა მიმიცია, მაკე ფაშატზე არ დავჯდე,
თუნდაც რომ დავჯდე, ხარკასთან არა წავიდე.
შენ კარგად გიცნობ, ეი, დიაცო!
შენს სახლს უკან დედე ხომ ჩადის?
შენს ცხენს ბარაჯუქს ხომ უძახიან?
შენ ბოლახაჯა ფატმას ხომ გეტყვიან?

შენ ხომ ორმოცი საყვარელი გყავს?

აჰ, დაქვე უკან, ჭაყავე შენი ადგილი და წელა დავბი.

თორემ უფრო მატს გეტავი, შეგარცხენ,

უწყოდე ეს შენ!

— მე შენთან საქმე არა მაქვს. ადგეს ის ქალიშვილი, ვინც ოხოვ-
დება. მე ქოფუხს დაეუკრავ. მან ხელი გაშალოს, იცეკოს. მე შენთან
სიტყვა არა მაქვს!

ბოლახა ფატმა ეტყვის:

ვაი შენ, ვაი, დაწყვედილო, ოხანო ხელო,

მომხდურო და ჩვენი ტყბილი მასლაათის დამამრღვეველო,

ჩვენ სასირცხოო საქმეთა მოქმელო და მამნილებელო,

საქვეყნოდ ჩვენი თავის მომპრელო და შემარცხვენელო!

ასე უთხრა და თავის ადგილას დაქდა. უთხრეს ასულს:

ადე, გოგო, შენ გულისთვის, ნახე, რა დაგვატყდა თავსა,

მოყვარე თუ მტერი ძველი, ყველა გვაყრის სიცილს ავსა!

გადი ერთი, ითამაშე, თუ არა და ქოჩოხეთში დაბუფულხარ,

ჩანდაბაძლე გზა გქონია!

ბანი ჩიჩეკი უნებლიედ ფიქრობდა, ნეტავ, მე რას მეტყვისო. რას
ჩაფიქრებულხარ, ბეირეკის შემდგომ, ეს რომ გეწეოდა თავს, უნდა
გცოდნოდო, — უთხრეს.

ახოვანმა ბურლა ხათუნმა უთხრა:

— გოგო, ადე, იცეკვე, სხვა რა ჩარა გაქვს!

ადგა ბანი ჩიჩეკი და წითელი ხალათი ჩაიცვა, სახელოები ჩამო-
უშვა — ხელები არ დამინახოსო. როკვა დაიწყო:

— აბა, ხელო ოხანო, დაუკარი, რომ თხოვდება ის გოგო მე ვარ,
ვიცეკვებ!

ბეირეკი ეტყვის:

ხანის ასულო, ნამდვილად შენ ხარ,

მე რაუ წავსულვარ, გახელებულხარ?

თეთრ თოვლს უთოვია, მუხლებმაძლე მოსულა,

ხანის ასულის სასახლეში ყმა და მსახური ამოყუევლა.

ხანის ასულს მაშრება აუღია, ყინვაში წყალზე წასულა,

ხელის მტევნების ათივე თითი მთლად მოყინვია!

წითელი ოქრო მომიტანეთ,

ხანის ასულს ფრჩხილებს დაეპკრი!

თეთრი ვერცხლი მომიტანეთ,

ხანის ასულს ბრკყალებს დაეპკრი!

შერცხვენილი ხანის ასულის

გათხოვება — თავის მოკრამ!

ბანი ჩიჩქემა ეს რომ გაიგო, გაბრაზდა. ეტყვის:

— ეი, ხელო ოზანო, მე ვარ შერცხვენილი, ვინ შემარცხვინა?
ვერცხლივით თეთრი ხელის მტევანი გაშალა, ოქროს ბეჭედი უკია-
ფებდა თითზე. ბეირეჟმა ბეჭედი დაინახა და შეიცნო. აქ ეტყვის, ვნა-
ხოთ, ხანო ჩემო, რას ეტყვის:

ხანის ასულო,

რაც ბეირეჟი წავიდა, აწოწილი მთების თავზე ასულბარ განა,
ეი, ასულო?
აქეთ-იქით მიმდგარ-მომდგარხარ და გიმზერია ოთხივე მხარეს.
ეი, ასულო?
შავ-შავი თმები, ვითარც ყორანი, დაგივლექია და გაგიწეწავს,
ეი, ასულო?
შევ თვალთვან მღუღარე ცრემლი წარმოგდენია, ეი, ასულო?
შენი ფრჩხილებით ჩამოგიხოკავს ლოყა წითელი, შემოდგომის
ვაშლის დარი, ეი, ასულო,
მოგზაურთაგან ბეირეჟის ამბავი თუ შეგიტყვია, ეი, ასულო.
„ჩემო საყვარელო ბეირეჟო“ — თუ გიტყვია, ეი, ასულო,
რადგან თხოვდები, ეი, ასულო,
ოქროს ბეჭედი ჩემია, მომეც, ეი, ასულო!

ახლა გოგო ეტყვის:

რაც ბეირეჟი წავიდა, აწოწილი მთების თავზე ავსულვარ ხშირად,
შავ-შავი თმები, ვითარც ყორანი, ხშირად მიწეწავს, ხშირად,
მოგზაურთაგან მისი ამბავი მოკითხავს ხშირად,
შევ თვალთვან მღუღარე ცრემლი მდენია ხშირად.
წავიდა და აღარ მოსულა ჩემი ჯიგითი,
საყვარელო ბაშო ბეირეჟო, — მოვქვეამდი ხშირად,
ჩემი სატრფო ბაშო ბეირეჟი შენა ხარ, განა?
ოქროს ბეჭედი თუკი შენია,
ბეჭედი ნიშანი მას ახლავს თანა,
თუკი გსურს იგი, მითხარი სწრაფად!

ახლა ბეირეჟი ეტყვის:

სისხამ დილით, ხანის ასულო, არ ავდექი, განა?
ჭურანს, ნაცრისფერს, ხანის ასულო, არ ვაქექი, განა?
შენი კარვის წინ ჭეირანი არ მოვკალ, განა?
შენ შენთან მერე არ მიხმე, განა?
გაშლილ მინდორზე არ ვაჭირითეთ ცხენები, განა?
და ამ ჭირითში გამარჯვება არ ვპოვე, განა?
ოსრებნი ვტყორცნეთ, შენი ისარი არ ვაპე, განა?
როს დავექიდეთ, არ დაგდე, განა?
სამგზის გოცნე და ერთხელ გიკბინე, ივიწყებ, განა?
თითზე ბეჭედი არ წამოგაკეცი, მითხარი, განა?
შენი ტრფიალი ბაშო ბეირეჟი მე არ ვარ, განა?

ეს რომ უთხრა, ასულმა მაშინვე შეიცნო, რომ ის ბეირეჟი იყო. როგორც იყო ჩაცმული, ისევე ხან ბეირეჟის ფერხთ დაეცა. ხათუნებმა შეიცნეს ბეირეჟი, ყველა წავიდა, რათა ბეგებისათვის ეხარებინათ. ძიძებმა ბეირეჟს ზურგზე ხალათი მოასხეს. მაშინვე ბანი ჩიჩქეი წამოვარდა, ცხენს მოახტა, ბეირეჟის მშობლებთან მახარობლად გავარდა. მივიდა და იტყვის:

შენი შავი გრებილი მთები დაქუცულყოფი და აღდა კვლავი;
სისხლით ღებილი მდინარე შენი დაწერილიყო და მოსჩქეს კვლავი,
შენი ვეება ხე გამხმარ-დამხრალი აწვანდა კვლავი,
შაბაზმა, ცხენმა გაბერწებულმა, კვიცი შვა კვლავი,
წითელ ბეხრეკა აქლემმა შენმა კოხაკი შვა კვლავი,
დაბერებულმა თეთრმა ცხვარმა ბატკანი შვა კვლავი;
თევზსმეტი წელი რომ დასტიროდით, ბეირეჟი მოსულა კვლავი;
ღედამთილო და მამამთილო, სამახარობლო! რას მოძებნე ბლა?

ხან ბეირეჟის მამა და ღედა ეტყვის:

შენს პირს შაქარა,
შენს ენას შევეწირებით, რძალო ჩვენო;
შენს ვხას მტლად დავედებით, რძალო ჩვენო;
სიცრუეც იყოს, სიტყვა შენი, მართლად აღსრულდეს, რძალო ჩვენო;
თუ მართალია და ბეირეჟი დაბრუნდა საღი,
წინ აღმართული შავი მთები, შენი სათალო იყოს, რძალო ჩვენო;
ცივი-ცივი, აწყარა წყლები შენი სასმელი იყოს, რძალო ჩვენო;
ჩვენი ყმა და მხედარი, შენი მსახური იყოს, რძალო ჩვენო;
შაბაზი ცხენები შენი საჭირითა იყოს, რძალო ჩვენო;
ჩვენი აქლემთა ქარავანი, შენი საძალღე იყოს, რძალო ჩვენო;
ფარეხში თეთრი ცხვარი შენი საკმელი იყოს, რძალო ჩვენო!
ჩვენი ოქროს ახჩათ გროვა შენი საზარჱო იყოს, რძალო ჩვენო;
ჩემი ოქროსთავიანი კარავი შენი საჩრდილობელი იყოს, რძალო ჩვენო;
ჩემი შავი უბედური თავი შენი სანაცვლო იყოს, რძალო ჩვენო!

აქეთ კიდევ ბეგები ბეირეჟს შემოეჩვივნენ. ბეგებმა და ხანებმა ბეირეჟი მამასთან მიიყვანეს. ყაზან ბეგი ამბობს:

— სამახარობლო, ბაი ბურე ბეგ, შენი ვაჟი დაბრუნდა!

ბაი ბურე ბეგმა იმდენი იტირა და იგლოვა შვილი, რომ თვალთ სინათლე დაეკარგა. ბაი ბურე ბეგი იტყვის:

— თუკი ჩემი ვაჟი ბეირეჟია ნამდვილად, ნეკა თითი გაიქრას, სისხლში მანდილი ამოავლოს, თვალზე წამისვას და თუ თვალი ამეხილება მართლაც ჩემი ვაჟი ბეირეჟი იქნება!

ბეირეჟი ასე მოიქცა, მანდილი თვალეზე მოუსვა. მაღალი ღმერთის ბრძანებით თვალეები აეხილა. მშობლები აბღავდნენ, ბეირეჟს ფეხებში ხაუვარდნენ.

დედა იტყვის:

ვაჟო ჩემი ოქროსსაკვამურიანი კარვის საყრდენო. ვაჟო;
წახვედი და ჩემს კარავნი მწუხარება დასადგურდა, ვაჟო;
ვაჟო ყვავილო გედის ღარი ქალიშვილისა, ჩვენი რძალის ვაჟო;
თეთრი გაძირო და ძაძი იცვა გედის ღარმა ქალიშვილმა, ვაჟო;
ჩვენო მხედველო, თვალთა სინათლევ, ვაჟო;
სიმაგრე ჩვენო წელისაჲ, ვაჟო;
სურვილო ძალოვან ოლუზთა. იმედო ჩვენო. ვაჟო!

ასე მოსთქვამდა, ქვითინებდა, ღმერთს ყოვლის შემძლეს, მადლობას სწირავდა. მრავალი ცხენი, აქლემი, ცხვარი, ხარი შესწირეს, მრავალი მონა გაააზატეს.

ეს რომ იალანჯი-ოღლუ იალთაჯუქმა გაიგო, ბეირეჟის შიშით გაიქცა, ლერწმიანში მიიმალა. ბეირეჟი უკან დაედევნა, ლერწმიანს მოაღწია. ბეირეჟი იტყვის:

— აბა, ერთი, ცეცხლი მომიტანეთ!

მოუტანეს, ლერწმს ცეცხლი წაუკიდა, იალანჯი-ოღლუ იალთაჯუქმა ნახა, რომ იწვის, ლერწმიანიდან გამოვიდა, ბეირეჟს ფეხებში ჩაუვარდა. ბეირეჟმა ხმლის ქვეშ გააძვრინა და დანაშაული აპატია.

ყაზან ბეგი ბეირეჟს ეტყვის:

— ბეირეჟ, მოდი, ახლა შენს წადილს ეწიე!

ბეირეჟი კი უპასუხებს:

— ჩემო ხანო ყაზანო, ვიღრე ჩემს ამხანაგებს არ დავიხსნი, ვიღრე ციხეს არ ავიღებ, ჩემს სურვილს არ ვეწევი!

ყაზან ბეგიც მაშინვე შესძახებს ოლუზებს:

— ვისაც მე ვუყვარვარ, ბეგებო, ჭიგითებო, ბეირეჟისათვის ამხედრდით!

ძალოვანი ოლუზ ბეგები ამხედრდნენ, სად არის ბაიბურდის ციხეო, — გაიძახოდნენ.

ურჯულოებს ჩამუშები ჰყავდათ, ყოველივე აუწყეს მათ. მბრძანებელმაც ჯარი შეკრიბა, წინ შეეგება მტერს... ძალოვანმა ოლუზ ბეგებმა წმინდა წყლით აფრთესი მიიღეს. შუბლით მიწას შეეხნენ, ორი რუქათი ნამაზი შეასრულეს, ცხენებზე ამხედრდნენ, ღირსეული მუჰამედის სახელზე ლოცვა აღაველინეს, ხმლები იშიშვლეს, ადიდეს ალაჰი და ურჯულოებს შეუტიეს. დაკრეს ნაღარა, ააგუზუნეს დოღები, შთაბერეს საყვირებს, ოქროსსატუჩიანებს, ვისაც ჭიგარი ჰქონდა, მოედანზე გამოვიდა. მუხანათები განზე გადგნენ. ბეგი მსახურს, მსახური ბეგს გამოეყრ. საშინელი ომი გაჩაღდა, მეორედ მოსვლა გეგონებოდათ, მოედანი თავებით გაივსო.

შოკლუ მელიქი ღრიალით ცხენიდან ჩამოავდო ყაზან ბეგმა და თავი მოკვეთა. კარა თექურ მელიქი დელი დუნდაჩმა ხმაღს წამოავო, ძირს

დასცა და მოკვეთა. ყარა ასლან მელიქი ყარა ბუღაქმა დასცა ძირს და თავი მოკვეთა. ხეობაში უსჯულოები განადგურდნენ. შვიდი ურჯულო ბეგი ხმლების ქვეშ გაატარეს. ურჯულოთა ალამი და ნიშანი ბერიქმა და იეგენქმა ხმლით აკუნეს.

ბერიქი, იეგენქი, ყაზან ბეგი, ყარა ბუღაქი, დელი დუნდარი, ყაზან ოღლუ ურუზ ბეგი და ყველა სხვა დანარჩენი შეიკრიბნენ და ხან ყაზანის წინამძღოლობით ციხისკენ დაიძრნენ.

ბერიქი თავის ოცდაცხრამეტ ჯიგითან მივიარდა. ისინი სალსალამათად დახედნენ, ალას მადლობა უთხრა. ურჯულოთა ეკლესიები დაანგრის, მის ნაცვლად მეჩეთები ააგეს, მღვდლები დახოცეს, ეზანი წართქვეს, საყვარელი ღმერთის სახელზე ხობტა წაიკითხეს, ილოცეს.

ფრინველთაგან რჩეული, ნაკვრთაგან უშშინდესი, ასულთაგან ულამაზესი, ცხრა ხელი მოსირმული ჩოხა ხანთან ხან ბაინდურის საწილხედროდ გამოუყვეს.

მელიქის ქალიშვილმა და ბერიქმა აღთქმა დადეს. ბერიქი უკან დაბრუნდა, თეთრთავიან კარაქში შევიდა, თეთრ ოთახში შევიდა. ბაი ბურე ბეგის ვაჟის და ბაი ბიჯან ბეგის ასულის ქორწილი დაიწყო.

იმ ორმოც ჯიგითაგან ზოგიერთს ყაზან ბეგის, ზოგიერთს კი ბაინდურ ხანის ასულები მიათხოვეს. ბერიქმა კიდევ, თავის მხრივ, თავისი შვიდი და შვიდ ჯიგითს მიათხოვა. ორმოც ადგილას კარავი დადგეს. ოცდაცხრამეტმა ასულმა სათითაოდ თავისი ბედის მოსაძებნად ისარი სტყორცნა. ოცდაცხრამეტი ჯიგითი იმ ისრების საძებნელად წავიდა.

ორმოცი დღე და ღამე იქორწილეს. ბერიქი თავისი ჯიგითებით მიზანს ეწია.

მოვიდა ჩემი დედე ქორქუთი, ქოფუზი დაუკრა, იქაურობა გააშხიარულა. ამბავი შეთხზა, აღიდა წინაპარნი. თქვა, რაც თავს გადახდათ ყაზიებს. ეს ოღლუ-ნამე ბერიქისა იყოსო, — ასე თქვა. რა თქვა?

მე რომ ვაღიდე, ის ბეგეზი საღ ბრძანდებიან?
ქვეყნიერება ჩვენ გვეკუთვნისო, რომ ჩემულობდნენ!
სიკვდილმა წაიყვანა, მიწამ გადაშალა.
ვის შერჩენია ეს წარმავალი ქვეყანა,
წარმავალი, წუთიერი ქვეყანა?!

ლოცვას გეტყვი, ხანო ჩემო: შენი დიდი მთები ნუმც ჩამოქცეულა: შენი ტოტებძლიერი მაჩრდილობელი ხე ნუმც მოჭრილა; შენი თეთრწვერა მამის სამყოფელი სამოთხე ყოფილიყოს; შენი თეთრთმიანი დედის სამყოფელი სამოთხე ყოფილიყოს; ნუ დაგაშოროს ღმერთმა ვაჟებს და ძმებს! აღსასრულის ეკამს წმინდა რწმენასა და ყურანს არ მოგაშოროს! უფალმა. „ამინის“ მოქმელმა, დაე, იხილოს სახე ღვთისა, იყოს მარადის. შენი ცოდვანი სახესხივოსანი მუჰამედისათვის შეგინდოს მაღალმა ღმერთმა, ხანო ჩემო.

აღიშნერ ნაშრომი

(1441—1501)

დიდი უზბეგი პოეტი და მოაზროვნე. მან დავიკოტვა დიდი და მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მისტიკური და ლირიკული ხასიათის ლექსებს.



როს წარმართ ქაბუეს მოაქეს ღვინით ავსილი ჯამი,
მისი მშვენიებით ღეღამიწა დაიქცეს ლამის.
მოდის ამჟამად, მის ფეხთა ქვეშ მიწა ცახცახებს,
ჩამოხვევია საყელო და აელვებს თვალებს,
ოჰ, ეს თვალეები არასოდეს შემკრთალან შიშით,
ხელთ ღვინის ჯამიც უპყრია და მახვილიც რისხვით.
წელს შემოურტყამს ზოროასტრას რწმენის სარტყელი,
ტანჯვას უქადის მუსლიმანებს მისი სახელი,
და კულულების ხვეულები, ვით ყულფნი თოკის,
გამზადებულან სახრჩობელად მაჰმადის მოღმეს,
ასი ათასი ანარეკლი წარმართთა ცეცხლის,
კრთის მის მშვენიერ სახესა და ლაწვებზე ვნებით...
ენლაც ჩამოჯდა დანგრეული მონასტრის ახლოს,
ოჰ, მის კულულებს ელვარება აღმასის ამკობს,
ხელთ რომ უპყრია იმ თასიდან დასხმული ღვინო
სასწაულია, სულს ჩაგიდგამს მკვდარიც რომ იყო.
ბრბომ ვერ გაუძლო ზარისდამცემ მშვენიებას მისას,
წამს გაითანტა, გაექცა ვით სიკვდილდს ისარს,
ქაბუემა უცებ გაიღიმა, ასწია თავი,
გადაეფინა სახეს მისას სხივი და მადლი.
უხმო გაქცეულთ — ვინც სიყვარულს ევნეთო, მოდიო!
შესვითო ღვინო! მწუხარებას დახსენით გონი!
მეც მივირბინე, მის ტერფებთან ვემთხვიე მიწას,
მან ღვინო მასვა, უკვდავების წყაროზე წმინდა.
თვალთ დამიბნელდა, შევბარბაცდი, წამერთვა აღქმა,
გონდაკარგულმა ჩავიკეცე ლოთების სახლთან.
თუ კურთხეულ გზას დაგაყენებს ეს წმინდა ღვინო,
ნავოი, ღმერთთან შეერთების დიდებას იგრძნობ.

• • •

ტიტა მეგონა, გულში ჩავიკარ,
გახურებულმა, დამდალა შანთმა,
ვარდს დავეკონე სურვილით მთვრალი,
გული გამკაწრა ეკალმა მწარმა.
ვისთვისაც სული არ დამიზოგავს,
შხამით ავსილი სასმისი მასვა,
ვის ფეხებთანაც ვემთხვიე მიწას,
მოწყალების წილ—იქვე ქვას დასწვდა.
ერთი თავი მაქვს, მესვრიან ას ქვას,
კაცი ღმერთს უნდა შეთხოვდე ას თავს.

• • •

მშფოთვარე სულის დასაამებლად
ლექსებს მოვუხმე ანთებულ გულით,
ოღონდ ლექსებმა სიმშვიდის ნაცვლად
ცეცხლი წამკიდეს ყოვლის მბუგველი.
ისეთი ცეცხლი, მთელი ბუნება
რომ ყოფილიყო წყლით დაფარული,
უმაღლაშრეტდა, ხრიოკად ქმნიდა
ლექსები ცეცხლის ალად ასული.
კვლავ ჩემთან ვუხმობ ჩემსავე ლექსებს,
სუყველა უნდა შევკონო ერთად,
და მოვისროლო ანთებულ ცეცხლში,
იქ, საიდანაც მოსულან ჩემთან.

ოჰ, მერიქიფევე! გული კენესის გლოვის წუხილით,
 საესე ფიალა მომაწოდე ტიტასფერ ღვინით!
 "ევესვამ და ვიცი გადმომსკდება მდულარე ცრემლი,
 და ვიდრე სულ არ დაეშრეტილვარ ცრემლებით, გვედრი —
 ჰოი, მუტრიბო! ნალვლიანად მიმღერე ერთი —
 დარბეულ გულს რომ მთლად დამირბევს ისეთი ლექსი.
 ძაძით შეგემოსა განშორების ქვეყანამ შავმა,
 ყველა წუხილის, ყველა გლოვის თავმა და თავმა.
 ხედავ, ნავოი, ამაოა სიმდიდრის ძებნა,
 იყავ მდაბალი და დიდებას ნუ ეძებ ქვეყნად!
 მიწიერ ტანჯვით არასოდეს ის არ ეცემის,
 ვინაც სიმდაბლე ირჩია და შეცნობა ღმერთის.

სიყვარულის წილ მერგო მხოლოდ ტანჯვა-ვარამი,
 ნუთუ აროდეს დამიდგება ნანატრი ჟამი,
 მეგობარს შეეხვდე უტყუარი სიკეთით სავსეს.
 რომ ერთხელ მაინც მისი ნახვა აუხდეთ თვალებს?
 სად არ ვეძებე: მდიდართა თუ უპოვართ ბრბოში,
 განდეგილთა თუ ამალლებულ მეფეთა შორის,
 ამაოდ დაეშვერ და ქეშმარიტ სიმართლედ ვცანი,
 ერთგულ მეგობარს ვერ შეხვდება მიწაზე კაცი.
 სასოწარმთეულს ბრძენთა კაცთა მირჩიეს ბრძნულად:
 დაითმინეო ესოდენი დარდი და ურვა,
 და: ვიდრე სხვათა შეიცნობდე. უწინარესად
 შეიცანიო შენი თავი იმ სხვაზე მეტად!
 და დამაყენეს მეგობრებმა სარკის წინაშე,
 რომ უფრო უკეთ დამენახა ჩემივე სახე.
 მაგრამ ამაოდ, ორგულობამ მიმუხთლა აქაც.
 სასოდაკარგულს არც აქ ამცდა ღალატის განცდა.
 როცა არ ვცადე დამენახა სარკეში სახე,
 ობინდებოდა ჩემი ოხვრით სარკე იმწამსვე.

თუ საკრავები არ დაუკრავს მეჯლისზე მაშან,
რა დაშავდება. იმათ ნაცვლად შემოვკრათ ტაში,
ვარდისლაწვება მერქიქიფევე. ამივსე თასი!
ზეალტაცებას ჩემსას ახლა არა აქვს ზღვარი.

ჩვენი სიცოცხლე დავამშვენოთ საოცარ ლხინით,
ღვინოს გზა მივცეთ. მონასტრები ავაესოთ ღვინით,
სულს საფასურად როცა წმინდა ღვინოში ვიხდით,
როდი ვკოტრდებით, უფრო მეტად ვმდიდრდებით იმით.

მოდი ჩემთან და დავივიწყოთ წუხილი წამის,
მოდი და ერთად ვეზიაროთ დიდებას ნამდვილს.
პირფერ შეიხს კი, რაც არ უნდა ეცადოს თავისს,
ვერ ეღირსება, სიყვარულის ეწიოს წადილს.

თეატრი დიზეკაგუკა

მიკრი ხათუნი

(1462—1514)

ცნობილი თურქი პოეტი ქალი. იგი დაიბადა ანატოლიის უძველეს ქალაქ ამასიაში. შუა საუკუნეების მაკმადიანურ აღმოსავლეთში, როდესაც მუსლიმანი ქალის უფლებები ესოდენ შეზღუდული იყო, მიკრის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა და პოეტად აღიარება მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. იგი სუფიურად მოაზროვნე პოეტა რიგს განეკუთვნება. მისი სატრფილო ლირიკის არსს მისტიურ-სიზნობლური აზროვნება განაპირობებს.

სატრფოს მშვენივრით მთელ ქვეყანას მოედო ცეცხლი,
სამეფოც ჩემი სხეულისა ამ ზანძარს ელის,
გული კი იწვის გამუდმებით ტრფობის დადარში,
ფარული ცეცხლი სულ ანთია ჩემს გულის სახლში.
მარტო ვშთენილვარ, მკლავს სიშორით ჭდეული დადი.
ცეცხლს დაუვსია მარტოობით ვარდების ბაღი,
მშვენიერ ვარდნარს, ღმერთო, ჩემი ცრემლები ფარავს,
და ჩემი კვნესა ამ მიწიდან ზეცამდე ატანს.
მიკრი, სხეულის ქალაქს ტოვებს სული ობოლი,
მსხვერპლი გაიღე, გადაეშვი ტრფობის კოცონში.

ბულბულის მსგავსად ულამაზეს ვარდნაში ეგოდებ,
რომ ვერ შევებე ვერასოდეს — იმ ვარდებს ემთანებ,
გულიდან სისხლი დამდენია ეკლით ნაწამებს,
შენგან დევნილი გასშორების სატანჯვლს ეკოდებ.

სიყვარულისთვის გამიწირავს სული და გული.
შენი კარიბჭის მსახური ვარ — მონა ერთგული,
სხვა ვინ იქნება ჩემს უმეტეს შენი მსურველი,
და ამ სურვილით, მწვალებულო, მიტოვებული!

ჰეი, ორგულო, მოწყალემა ვერ ენახე შენი,
განშორებაში მწუხარებით გადიან ღღენი,
შენგან შორს მყოფმა შეეიძულე ქვეყანა მთელი,
ჰე, მშვენიერო, რად განმდევნე მიჯნური შენი?!

ღმერთმა ინებოს, ჩავწვდე ცოდნას შაჰის სასახლის,
მეუფე გავხდე ნეტავ ბოლოს მსახური კარის,
დაე, გავშორდე ამ ქვეყანას წამებულ დარდით,
თუ სატრფოს ჩემსას ვერ შევერთვი განგების ძალით.
რაკი ყვავილად ვერ ვიქეცი შენს ბაღში; სატრფოვ,
ბალახად დავრჩე სულ უჩინოდ, იმასლა ვნატრობ,
და შენს მხარეში მომლოცველებს ქაბას ტაძრის,
ფეხის მტვრად ვექეცი, ჩემი ნატვრა მხოლოდ ეს არის.
საქმეველის მსგავსად იწვის გული მეტოქის რისხვით.
სანთლად გაღვიქეცი, დავდნე ნეტავ სატრფოზე ფიქრით.
წამებით გადის ერთი სუნთქვა, ცხოვრება ჩვენი.
ინებოს სატრფომ — მას მიეუძღვნათ სიცოცხლის ღღენი!
გულს რად მიღონებ ავი სიტყვით ჰეი, ზაჰიდო!
განკიცხვის ღღემდე, მსურს განკიცხულს, სატრფო ვადიდო.
ვით ძალღმა, იმ ერთს უერთგულე, მიჰრი, მარადის,
მცველად იქეცი მშვენიერის სასახლის კარის!



გული მომთხოვა სატრფომ და მეც წამსვე დავეთანხმდი.
 მსხვერპლი მომთხოვა — დე, გამედოს მსხვერპლი მარადის!
 მითხრა: — როს მშვილდი ჩემთა წარბთა ისარს მოზიდავს,
 დამიხვედრეო მკერდი — ვუთხარ, ეხლავ სწვდი ისარს!
 თქვა: — ზმანებაში თუ იხილავ ჩემს ტანს კიპარისს,
 იქცესო წამსვე შენი ცრემლი ცრემლად მდინარის.
 ან თუ მეჭლისზე ჩემი ბაგე იხილო წამით,
 შესვიო შენივ გულის სისხლით აესილი თასი!
 და თუ უვარგის ჩემს ძალთაგან შეგიცნობს ერთიც,
 გახდესო ჩემი კარის ზღურბლი სამკვიდრო შენთვის.
 აღვუთქვი: ოღონდ, ერთი კოცნა აღირსე მიპრის.
 სიცოცხლის წილო — დე, ეს ნებაც აღსრულდეს მისი!



როს მოირთვება ქვეყნის ბალი ვარდის მშვენებით,
 სატრფოსთან ერთად მოვიღბინოთ ჩვენც ამ ედემით.

ავხადოთ რიდე სატრფოს სახეს, იღუმალს ჩავწვდეთ,
 რომ აღემატოს ჩვენი კენესა ბუღბულთა საკვენესს.

ჩემი ცრემლებით მდინარენი გადმოვლენ ნაპირს,
 რა იხილავენ თვალნი ჩემნი კიპარისს აწვდილს.

შევსვათ შარბათი ვარდის სახას უტკბესი ბავით,
 მეტრქის გული კი აივსოს სისხლიან შხამით.

სული და გული სანთლის მსგავსად ავანთოთ ჩვენი
 და მთელი ღამე, ვით სანთელი დავიწვათ ღხენით!

გადაქცეულა ვარდის ბალი უცხო ედემად,
 ღხინი გავმართოთ უწმინდესი ანგელოზებთან.

წუთია ჩვენი ცხოვრება და ვარდების ფეთქება.
 შენც წუთითა ხარ, დასტკბი მიპრი, სატრფოსთან ერთად!

შენით ვსულდგმულობ, შენთვის მონად ქცეული, სატრფოვ,
რაა სიკვდილი, მასზე ფიქრი აღარც კი მაკრთობს.
შენ რომ მაშინებ ჯოჯობეთის ცეცხლით, ქადაგო,
ის ჩემი კენესის ნაპერწკალთა ძალამ აანთო.

თუ მომკლავს. მხოლოდ შენი ბაგის ზმანება, სატრფოვ,
გული დაქრილი შენი მზერით, კვლავაც შენ გნატრობს!
შენთან შეყრაა დაკოდილი გულის მალამო.
წყალობა გაეც, მშვენიერო, რად გსურს მაწამო!
ოჰ, ნუ დასცინებ მიჰრის თავის ცოდვათა გამო,
შეუცოდავად ეს ქვეყანა რომელმა განელო.

სუათ ღერვი

(თანამედროვე თურქი მწერალი)

აღლახი, რომელშიც მე დავიბადე

აციმციმდა ჩემი ქალაქის ნათურები. მდიდრული სასახლეების შუქ-ფაქები კაშკაშა სინათლეს აფრქვევენ. ღარიბთა ქოხიანებში საცოდაოდ ბეუტავს ნავთის ლამპები.

ცენტრალური ქუჩების ელექტრონათურები... პარალელური ქუჩების შემუშავებული თვალბივით მიმქრალი განათება ფარნები... ათასი აშის მომსწრეა ამ ქალაქის სინათლის ყოველი ნაკადი... მწარე წარსულის კვალი აჩნევია ყოველ სხივს...

ამ უბადრუკ ქუჩაზეც განის ფარანი ანთია... ფარანის ქვეშ ტრავედიის ბოლო მოქმედება მიმდინარეობს... გაყვითლებული ქალი, გაყვითლებული და გამხდარი ქალი დგას... ხელში ქუქყიანი ფუთა უჭირავს... არა, ჩერებში გახვეული ბავშვი... ბავშვი უჭირავს და ყავახანის შეორთქლილ მინებს თვალს არ აშორებს... ელოდება... მართალია, ისე არ ყინავს, რომ ძვალსა და რბილში ატანდეს, მაგრამ მაინც საკმაოდ ცივა. ძლიერი ქარი თავსაფარს უფრიალებს... კაბის შემოგლეჯას ღამობს... ის კი დგას გარინდებული, თითქოს ქანდაკება იყოს... დგას და ელოდება ქმარს...

გამვლელ-გამომვლელნი... მისთვის უცნონი... ზუსტად მასავით მცხოვრები და მის ენაზე მოლაპარაკე ადამიანები... გვერდს უვლიან, ყურადღებას არ აქცევენ... თვალს არიდებენ...

რა ზალხმარავალია ჩემი მშობლიური ქალაქი... მარტო დარჩენილა ახალგაზრდა დედა... მარტოდმარტო... აი, უკვე რამდენიმე თვეა, ყურადღებას არავინ აქცევს... წუხილის მიზეზს არავინ ეკითხება... უკვე აღარ შეუძლია, ძალა გამოელა... ამიტომ დგას და ელოდება... თუმცა არაფერი დაუშავებია, თუმცა საშინლად ეზიზღება, პატიებას სთხოვა, შეეხვეწება... სხვა გზა არა აქვს...

ფიქრებში წასულს თავისი ცხოვრება წარმოუდგა თვალწინ... ათასგვარ დამცირებასა და ტანჯვას იტანდა, სანამ იაულებული ატყდა, სახლდან გაქცეულიყო... ამ დღეში ჩავარდნის ემინოდა, იმიტომ ია-

მენდა. გრძნობდა, რომ ცხოვრებასთან ქიდილში ვერაფერს ვახდებოდა და ქედს იხრიდა უსამართლობის წინაშე.

ერთი უმწეო. გამოუცდელი გოგო იყო, რომ გათხოვდა... რაღას არ უძლებდა წლების მანძილზე... ლანძღვა-გინებას, ლალატს, ჯოხსაც კი... ერთ დღეს მოთმინების ფიალა აევსო, თავმოყვარეობამ იფეთქა. გადაწყვიტა. თავი დაეხსნა მისგან. მეზობელს შეეკედლა და სასამართლოს მიმართა... რა ძნელი ყოფილა კანონის წინაშე სიმართლის დამტკიცება! ამაზე არც კი უფიქრია საწყალს; ეგონა, რომ ყოველი მართალი კაცი მავა, გასაკირს აუხსნის, ანუგეშებენ, დაეხმარებიან, უშველიან... მაგრამ თუ მოგისმინეს, მაღლობელი უნდა იყო თურმე... |

ყველაფერი გაახსენდა ქუჩაში გაშეშებულივით მდგარ ქალს: განცხადებები... სასამართლოს ძველი, მტკრიანი კიბეები... ბათქაშდამსკდარი კედლები... დილიდან საღამომდე ერთ ადგილზე ჯდომისაგან მოხრილი და გაყვითლებული მოხელები... ნახევრადბნელი სასამართლო დარბაზი... დაუნდობელი კითხვები... ადამიანებზე, რომლებსაც ყოველგვარ სიპართლეში ეჭვი შეაქვთ... ქურდებთან, ჯიბეგირებთან, მკვლელებთან, მაწანწალებსა და ქუჩის ქალებთან ერთად დერეფანში ყოფნა და მღელვარება სასამართლოს დაწყების მოლოდინში...

შემდეგ უსამართლობისაგან შეურაცხყოფილი, მობუზული... დაღლილობისაგან ღონემიხდილი...

მეორეს კი, ფული რომ ჰქონდა, ენამოქარგული ადვოკატი ეხმარებოდა... შავ მოსასხამში გამოწყობილი, ყბედი, გავლენიანი, და განათლებული ადამიანების პირისპირ თავისი სახელის გამეორებაც კი უჭირდა ახალგაზრდა ქალს... დამრიგებელიც არავინ ჰყავდა. არავის აჯავრებდა... მთლად მარტო იყო, უმწეო... როგორ. გაუჭირდა სასამართლოს წინაშე სიმართლის დამტკიცება!

მეზობლის ოჯახშიც უკვე ცივად ხედებოდნენ. თანაც ახალი სიცოცხლის არსებობა იგრძნო სხეულში... საკირო იყო მუშაობის დაწყება. სამუშაოს შოვნა... ქალისათვის სამუშაოს შოვნა... მერე ისიც ფეხმძიმე ქალისათვის...

როგორც იქნა, მოსამსახურედ მოეწყო. რამდენიმე თვე იმუშავა. სულ უფრო უჭირდა საქმის კეთება. გააგდეს. სხვა აიყვანეს. ქუჩაში რომ დარჩა, საავადმყოფოს მიმართა... არ მიიღეს. ბავშვის დაბადებამდე ჯერ კიდევ ერთ თვეზე მეტი იყო დარჩენილი. სამ დღეს მშობრივ დაეხეტებოდა... სამი ღამე ღია ცის ქვეშ ეძინა ჩემს მშობლიურ ქალაქში. მეოთხე დღეს შიმშილისაგან დასუსტებულმა გრძნობა დაკარგა ხალხით სავსე ქუჩაში. საავადმყოფოში წაიყვანეს... ბავშვი რომ შეეძინა, დიდხანს აღარ გააჩერეს...

აი, ეს გაყვითლებული. ქალი დგას გაზის ფარის ქვეშ და ელოდება ქმარს; რა ქნას... წასასვლელი არსად ეგულება, თანაც შეილი ძალიან

უყვარს... ხომ უნდა გაზარდოს... შეეხვეწება! ისე შეეხვეწება, თითქოს ძალიან დამნაშავე იყოს!

ყავახანის კარები გაიღო... სქელი შუახნის კაცი გამოვიდა. ახალგაზრდა ქალი აცახცახდა... ო, როგორ ეზიზღება იგი!

— მომისმინე...

— რა? შენა ხარ?..

როგორი გაფითრებულია ქალი... რა დიდი თვალები აქვს! ამ თვალებით მას კი არ უყურებს, ქვაფენილს დასცქერის.

რას ჩურჩულებს?.. სქელი კაცი ბავშვს ზედაც არ უყურებს... არც ქალს... შუბლი შეუკრავს და ხმას არ იღებს.

რამდენი დრო დაჭირდა, რომ მისი გული მოეღბო. ფერმკრთალ ლოყებს ცრემლები უსველებს...

— კარგი, წამოდი! — ჩაილაპარაკა კაცმა და ხელის მოძრაობით ანიშნა, რომ გაპყლოდა... უკანმოუხედავად მიდის... ახალგაზრდა ქალი ბავშვით ხელში, თავჩაღუნული, მობუზული უკან ერთგული ძალღვივით მისდევს.

რამდენმა შეამჩნია... არავინ დაინტერესებულა... ერთი ძარღვი არავის შესტოკებია შუბლზე.. არავინ გაწითლებულა... არც გაწითლდება?! ღმერთო ჩემო, რა საოცარი ქალაქია ეს ქალაქი!

მტრელებზე ნადირობა

— ოო, ჩემს მტრელებს ხელი არ ახლოთ! -- აფრთხილებდა ყველას.

მოხუც ფერმერს სიცოცხლის მანძილზე ყველაფერზე ძალიან მტრედები უყვარდა. ეს იყო მისთვის უმთავრესი და უპირველესი. ყანაზე, ბაკზე და თავლაზე არ უზრუნია იმდენი, რამდენიც მტრელებზე. ამიტომ იყო, რომ ყველა „მეფრინველე ჰუსეინს“ ეძახდა.

ფრინველები ისე გაიტაცებენ ხოლმე კაცს, როგორც სასმელი. ქალი და აზარტული დამაშები. ამ სამი რამის მიმართ, რომელიც ოჯახის განიავების მიზეზი ხდება და ხშირად დანაშაულით ან სიკვდილით მთავრდება ხოლმე, ჰუსეინ ბეის არასოდეს გამოუჩენია ინტერესი. სანამაგიეროდ, ფრინველების სიყვარულმა ყოველ მათგანს ვადააქრბა. ბევრჯერ მიუტოვებია უყურადღებოდ მნიშვნელოვანი საქმე ამ გატაცების გამო; ბევრჯერ ცოლისა თუ ქალიშვილისთვის უწყენებია. მტრელების გარდა არაფერი ახსოვდა. ყველაფერი დაივიწყა. ახლა ის ამ მხარეში, თუმცა მარტო ამ მხარეში კი არა. — ქეყნად ყველაზე ლამაზი, იშვიათი და საუკეთესო ჯიშის მტრელების პატრონია. ვინ იცის, ამ მშვენიერი ქმნილებების რამდენი თაობა გამოუზრდა ოცდაათი წლის მანძილზე. რამდენი ოფლი დაუღვრია ათასი ზრუნვისა და ჯაფის ფასად.

და აი, დღეს ბუნებრივი შერჩევის გზით მიღებული წმინდა ჯიშის ფრინველების გარემოცვაში უბედნიერეს კაცად თვლიდა თავს.

ყოველ მტრედს თავისი სახელი დაარქვა. მართალია, უცხო თვალს ყველა ერთი ფერის, ფორმისა და ზომის ეჩვენებოდა. მაგრამ ჰუსეინი ამჩნევდა იმ ფარულ ნიშნებს, რომლებითაც ეს ფრინველები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ. მხოლოდ ის ხედავდა. რომ ზოგს ოქროსფერი ღეხები ჰქონდა, ზოგს ფრთების ქვეშ მწვანე ლაქები. ზოგს კიდევ წითელი ვარსკვლავი უციმციმებდა თვალბში.

ჰუსეინ ბეი ვერ მოისვენებდა, თუ ყოველ საღამოს ამ ადამიანური სულის მქონე ლამაზ ჩიტებს თავ-თავის ოთახში არ დაეგულბდა: „ნეტავ დიდიფირაზი იაშართან რატომ არ შევიდა? ნეტავ რად დაშორდნენ ერთმანეთს სულეიმან უსტა და აქქადინი? პატარა სულფირაზმა ნამ-

დვილად მესუდს დაუჯავშირა გული! მე კი როგორ არ მინდა მათი დაწყვილება! რა ვიღონოთ, როგორ მოვიქცეთ?“... ამბობდა და მთელ ლაშქრებს ჯავრისაგან თეთრად ათენებდა. ვერ ისვენებდა, საწოლში წრივად იწვინებდა.

— ცოტა მეც მომხედე, რა იქნება! — უწყობდა ცოლი.

მაგრამ მეფრინველუ ჰუსეინს მიაჩნდა, რომ ყველაფერი ინტიმური მხოლოდ მტრედებისთვის იყო განკუთვნილი.

მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ერთად აფრენილებს რომ დაინახავდა. გრძელი ჯოხით ხელში, საათობით დადიოდა ეზოში და თვალს არ აშორებდა მათ.

მაშინაც, 1919 წლის აპრილის თვეში, ნაშუადღევს, მის ფერმაში მტრის ჯარისკაცების ჯგუფი რომ შევიდა, ჰუსეინი ეზოში იყო. უცებ ფეხის ხმა მოესმა. სიცოცხლეში პირველად მოწყვიტა თვალი მალა აფრენილ მტრედებს და მოიხედა. მთლიანად გაღებულ დიდ ჭიშკარში, მტრის დაღლილი ჯარისკაცები შემოდდიოდნენ. ზოგი ცხენზე იყო ამხედრებული. ზოგიც ფეხით მოდიოდა.

გაფითრებული გაემართა მომხდურებისაკენ.

— რა ამბავია, რა გინდათ? — ჰკითხა ჩვეული სიამაყით.

ერთი მათგანი ცინიკური სიცილით მიუახლოვდა:

— გამარჯობა, ბატონო, უცხოები არა ვართ.

მოხუცს თითქოს ეცნო მტრის ახალგაზრდა ზემდეგი, მაგრამ კარგად ვერ გაიხსენა.

— ვერ მიცანით? ისპირო ვერ იცანით? ისპირო.. ისპირო?

— აა, ჰო... — ჩაილაპარაკა ჰუსეინ ბეიმ.

ეს კაცი ხუთი წლის წინ მოსამსახურედ მუშაობდა მასთან. ექვს თვეს ემსახურა. გრძელხელება, მარჯვე ახალგაზრდა იყო. მოხუცს მხარზე ხელი დაადო:

— რამდენიმე დღე შენთან დავრჩებით. ოფიცრები სოფლის სახლებში ვერ დაისვენებენ. ცოტა პატივისცემა საჭირო.

— კარგი. მობრძანდნენ. — დაბნეულად უპასუხა ჰუსეინ ბეიმ.

ამ დროს ჯარისკაცებიც მიუახლოვდნენ. სიცილითა და ხმაურით გარს შემოეხვივნენ. აფრენილი მტრედები ნიშანში ამოიღეს. ჰუსეინს სისხლი ტეინში აუვარდა. ხელში სწვდა თოფმომარჯვებულ მტრის ჯარისკაცს:

— შეჩერდი. რას შვრები! — დაუყვირა.

ახლა მეორემ შემართა თოფი და ტყვიამ თითქოს შუგ ყურის ძირში გაიწვილა. ერთი მტრედი ბზრიალ-ბზრიალით დაეშვა ძირს. აფრენილ გუნდს მღელვარება დაეტყო.

ჰუსეინ ბეის ჯოხი ხელიდან გაუვარდა. ცახცახმა აიტანა. მისი სახისა და წვერის ფერი ერთმანეთისგან აღარ განიჩეოდა.

— კარგი ერთი, შეეშვი! — მიუახლოვდა ისპირო.

— როგორ თუ შეეშვი? სომ არ შეიშლება! უთხარა რამე, თორემ, დმერთმანო, ცუდად წაუვიათ საქმე!

— ცუდად? როგორ?... გონს მოდი, უფროსო, ის დრო წავიდა!

მოსხუცს არ გაუგონია ეს შეურაცხყოფელი სიტყვები. მის ვინაობაში ზედისედ შემართული თოფები, მოზუსუნე ტყვიები და თოქლის დიდი ფანტელებივით წამოსული მტრედები ირეოდნენ.

— გეყოფათ, გემუდარებით! რაც ვინდათ, მოგცემთ! — ევედრებოდა მოსხუცი, მაგრამ ამაოდ. — ესენი არც იქმევა, არც ისმევა... ცოდვია, ცოდვია.

— ცოდვია? ეს თქვენს საარწმუნოებაშია ცოდვია... — იყო პასუხი. ისპირომ ჩაიჭიჩკილა.

ერთი ოფიცერი მობრუნდა, თავის ენაზე რაღაც დაეყვირა. რამდენიმე ჯარისკაცი დახოცილი ფრინველების შეგროვებას შეფდვა.

თეთრი მტრედების წვიმის ქვეშ ბავშვივით განხარებული მტრის ჯარისკაცები ხელებს იქნევდნენ, ყვიროდნენ, ხტოდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ.

საბრალო ჰუსეინი ადგილზე ჩაიყვია. ხმას ვერ იღებდა. უჭურებდა ამ შემზარავ ნადირობას და ცრემლები დაბლაკობით ჩამოსდიოდა.

— რა განერვიულებს? — მიუახლოვდა ისპირო, — აცალე, ცოტა გაერთონ, რამდენი დღეა, ვიბრძვით. საღამოსთვის ამ ჩიტებისგან გემრიელ კერძს მოგვიმზადებენ. ყველანი ერთად ვიქნებით.

ჰუსეინ ბეიმ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო. ხმა ჩაუწყდა. ცრემლები აღარ სდიოდა, მაგრამ მის თვალებში შემამჩრუნებელ უაზრობას დაესადგურებინა.

თეთრი მტრედები გროვა-გროვა ეყარა ცხობში. მონადირეებს უკვე ძალა გამოლუხლათ. ერთი მათგანი სიცილით მიუახლოვდა ჰუსეინს:

— კარგი სნაიპერები ვართ, არა? — უთხრა დამტრეული. თურქულით. მოსხუცი ხმას არ იღებდა, თავი აფწია და ერთი წერტილისათვის გაეშტერებინა თვალი. მერე ძირს დახვდა. თეთრ ვროვასთან მივბდა, დაიხარა. მის წინ სამოც-სამოცდაათამდე მტრედი ეგდო უსულოდ. სათითაოდ აიღო, ზოგს ნისკარტი დაუყოცნა. ზოგს ბუმბულზე ვადაუსვა ხელი. დიდხანს ეფერა სიყვარულით.

— გაატანე, ახლაც შეწვან! — ავდებულნი ტონით დაუძახა ისპირომ, რომელიც აქამდე ოფიცრებთან საუბარში იყო გართული.

მეფრინველე ჰუსეინ ბეიმ არ განძრეულა. სისხლში ამოსვრილი მკვდარი ფრინველების მოფერებას განაგრძობდა. ერთმა ოფიცერმა საფეთქელზე თითი მიიღო და ისპიროს მოსხუცზე ანიშნა. ვიფი ხომ არ არისო.

— ეი, შენ გუბნები, ყრუ ხომ არა ხარ? შეაწვევინე მტრედები! — კვლავ გაისმა ისპიროს ხმა.

ჭუსენი არც ახლა განძრეულა. თავი არ მოუბრუნებია. ოფიცრები და ყოფილი მოსამსახურე მიუახლოვდნენ მტრედებთან დაჩოქილს. ერთმა ბეჭებში უბიძგა, მეორემ წვერში წაავლო ხელი. რამდენიმემ მის წინ ჩაიმუხლა. მაგრამ მაშინვე წამოხტნენ და შეშინებულემა უკან დაიწიეს: მოხუცის არსება უცნაური შთაგონებით ავსებულიყო. ლითონივით მოელვარე თვალებში ხიშტის წვერივით მახვილი, მკაცრი და აგრესიული გამოხედვა იგრძნობოდა. მისი ქათქათა წვერი მტრედების სისხლს ალისფრად შეელება, თითქოს სახეზე თურქული დროშის ნაკერი შემოუხვევიაო.

ქალიშვილი, რომელსაც ხმა ჩაესმის

ქვიან ბილიკს რომ დაეუყვიეთ, ცხენებს მუხლები მოეკვეთა. ტირიფის ხეები და ცივი წყარო დაეინახეთ. გადავწყვიტეთ, დაგვესვენა. მთის ფერდობზე, რომლითაც ჩვენ დავეშვიეთ, შეფენილი იყო პატარა ძველი სოფელი. ხელისგულივით მოჩანდა შავი სახურავები.

— ეს არის სოფელი გარიფლერი? — ვკითხე ამხანაგს.

ხრიოკ, მოშიშვლებულ ადგილზე გაშენებული სოფელი უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა. გეგონებოდათ, მძიმე ნალველი შემოსწოლიაო გულს.

ჩემმა თანამგზავრმა დალილ ცხენს თავი მიანება და ხელ-პირის დაბანას შეუდგა. მე ტირიფის ხეებთან მივიყვანე ცხენი. შინდოდა დამება.

— მანდ არ დააბათ, ბეი ეფენდი, საფლაფია. — გამაფრთხილა ამხანაგმა.

ირაკლივ მიმოვიხედე. საფლაფის მსგავსი ვერაფერი დაეინახე. მხოლოდ ზუსტად იმ ტირიფის ქვეშ, რომელთანაც მე ვიდექი, რამდენიმე მწვანედ შეღებილი სიპი ქვა შეენიშნე. ქვების ზემოთ გადაშლილ ტოტ-ზე დამატრეული, ჩამოღვენილი კანდელი ეკიდა. ამავე ტოტს შებმული ჰქონდა ფერად-ფერადი ნაკრები.

— აი, ეგ არის საფლაფი. — მანიშნა ამხანაგმა.

ჩემი თანამგზავრი ამ მხარის მკვიდრია. ყოველ კუთხე-კუჩქულს იცნობს.

ეს როგორი საფლაფია ან ვისია-მეთქი? — ვკითხე. თუთუნი გამომიწოდა. სახეზე შეეამჩნე. მნიშვნელოვანი ამბის მოყოლას აპირებდა.

— იმ ქალიშვილის საფლაფია. ხმა რომ ჩაესმოდა. უცხოები არ უყვარს და იმიტომ გაგაფრთხილე. ახლოს არ მიხვიდე-მეთქი! სამი, სამნახევარი წელი თუ იქნება, რაც მოკვდა. ამ სოფლის გოგოებიდან

ყველაზე ლამაზი და ჭკვიანი იყო. რამდენიმე ლოცვა ისწავლა. კვირაში ერთხელ „მეველდს“ უკითხავდა სოფლის ქალებს. მისი მიზნადველი ხმა ყველას ხიზლავდა. თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის იქნებოდა. საოცრად უხდებოდა კოჭებამდე. ჩამოყრილი თმები და ციმციმა თვალები. ემინე ერქვა სახელად. ოთხი-ხუთი წლის წინ სოფელ გარიფლერის ერთ მდიდარ და სათნო ყმაწვილზე დაინიშნა. ლმერთო, შეგცოდე და, ამბობენ, თითქოს პატარაობიდანვე ჰყვარებიათ ერთმანეთი. ნიშნობის კვირაში ოპი დაიწყო. წყეული საბერძნეთის ომი... ბიჭი ჯარში წავიდა. მდიდარი იყო და შეეძლო. თავი დაეხსნა, მაგრამ არ მოინდომა. მამაპაც წასვლა ურჩია. წავიდა და აღარ დაბრუნებულა. ჯერ გავიგეთ. ტყვედ ჩავარდაო, მერე ამბავი მოვიდა. სერბებთან შეტაკების დროს შეჰიდად დაეცაო. ამ სამწუხარო ცნობამ მთელი სოფელი აატირა. ქალი, კაცი, ბავშვი თუ მოხუცი — ყველა ცრემლს ღვრიდა. ყველას უყვარდა, მისი მოძულე კაცი არ მოიძებნებოდა. საოცარი ის იყო, რომ ემინეს არ უტირია. ერთი ცრემლიც არ ჩამოვარდნიდა... მხოლოდ რამდენიმე დღე გულ-ჩათხრობილი დადიოდა, არც სვამდა, არც ჭამდა, არც ხმას იღებდა.

ჩემი ამხანაგი გაჩუმდა. მერე ბოლომდე მოწეულ პაპიროსს შეუბერა და კიდევ უფრო ნალვლიანი ხმით განაგრძო:

— ერთ დღეს ემინეს უცნაური რამ დაემართა. ლიმონივით გაცივითლდა, თვალები ცეცხლივით აუელვარდა, დროდადრო - კისერს წაიგრძელებდა და ყველას აჩუმებდა: „ჩუმად, ჩუმად!“ ყურს უგდებდა ხმას, რომელიც არავის ესმოდა. გადიოდა დღეები. ემინე ისევე გასუსული უსმენდა რაღაცას. მერე უკვე ხმაპალა წარმოთქვამდა გაგონილ სიტყვებს:

— ადექი, ემინე, შენს სამშობლოს მტერი ფეხქვეშ თელავს, შენს ქვეყანას მტერი ანადგურებს!

პირველად ეს ხმა ძილში ჩამესმო, თქვა. გამეღვიძა. ყური მივეჯდე და კვლავ გავიგონეო იგივე ხმა. ახლა უფრო ხშირად მესმის, თითქოს შორიდან მეძახიანო. „რას უდგახარ, ემინე, ადექი. შენს სამშობლოს მტერი ანადგურებს!“ — ჩასძახოდა იღუმალი ხმა. დიდ დროს არ გავუვლია და ამ სიტყვების აზრი ნათელი გახდა. პოელ სოფლებს მოედო ბერძენთა თავგასულობის ამბავი. მაგრამ ემინეს არაფერი გაუგია. იღუმალი ხმის გარდა არაფერი ესმოდა.

ერთ ღამეს მთელი სოფელი შემოირბინა და: „გზა გამოჩნდა. გზა გამოჩნდა, მოემზადეთ!“ — გაიძახოდა.

— საითკენ, ვინ მიდის? — ჰკითხეს.

— ქალები, გოგოები, მთელი ახალგაზრდობა... მტერთან საბრძოლველად მიდის... — იყო პასუხი.

სოფელი მღელვარებამ მოიცვა. ემინე ჭკუიდან შეიშალაო, იფიქრეს და სახლში ჩაეკეტეს. „მომეშვით, მარტო წავალ, ყარა ფატმა მარტო

არ წავიდა? მეც წავალ!" — ამბობდა ქალიშვილი. შემდეგ გაისუსებოდა, კისერს წაიგრძელებდა და ხმას, შორიდან მომავალ იღუმალ ხმას უგდებდა ყურს. „თავი დაანებეთ, ემინე ყველა ჩვენგანზე ჭკვიანია, იგი გრძნობს იმას, რაც ჩვენ არ გვემის!" — თქვა სოჯამ. მართლაც, მოემუნენ. ამის შემდეგ ხუთი-ექვსი დღე იქნებოდა გასული, ქალიშვილი დაიკარგა. როგორც დედამისმა თქვა, შუალამისას, ყველას რომ ეძინა, ამდგარა, მამის ხმალი აუღია და წასულა. მის კვალს ვერაფერს მიაგნო. რამდენიმე დღის შემდეგ განთიადისას ერთ თანასოფლელ ჩობან მეკმედს ეპოვა ამ წყაროსთან პირქვე დამხობილი. ჩობან მეკმედმა მაშინვე სოფელს შეატყობინა. ვერ გაიგეს, რამ მოკლა. რაიონიდან პოლიციის მოხელეები და ექიმები ჩამოვიდნენ. მარცხენა ძუძუს ქვეშ დიდი დანით მიყენებული ჭრილობა აქვსო, დაადგინეს. მაგრამ იმასაც ამბობდნენ, რომ ჭრილობა არავის უნახავს, არც მშობლებს და არც ცხედრის გამზანებსო. ამ ადგილზე დამარხეს. ნათელი ადგა სამი ღამის განმავლობაში მის საფლავს. ახლა სოფელში ყველა „სეს დუიან კიზად“⁵⁶ მოიხსენიებს. მისი ნამდვილი ხახელი ყველამ დაივიწყა. ქალიშვილის საფლავის სანახავად მარტო გარიფლერიდან კი არა; მთელი ამ მხარის სოფლებიდან მოდიან. ახალგაზრდა ქალები და ქალიშვილები ხომ მისი მუღმივი სტუმრები არიან! ჯარში მიმავალი ახალგაზრდებიც აუცილებლად შემოივლიან ხოლმე აქ და შესაწირავს სწირავენ, რათა ცოცხლები დაბრუნდნენ. ორი წელია, წესად იქცა: ახალგაზრდა ქალები და გოგოები, რომლებსაც ქმრები ან საქმროები ომში ეგულებათ, საღამო ხანს მოპირდაპირე ფერდობზე გავლენ, სეს დუიან კიზის საფლავს გამოხედავენ და დაიძახებენ: „შეპიღია თუ ლაზი?“ „შეპიღი“ ან კიდევ „ლაზი“, პასუხობს სეს დუიანი.

— შორიდან რატომ ყვირიან, არ სჯობს, ახლოს მივიდნენ და ისე ჰკითხონ? — ეუთხარი ამხანაგს.

— იმიტომ, რომ ახლოდან ხმას არავის სცემს.

— ზრ შეიძლება, ჩვენც დავუძახოთ? — ვკითხე კიდევ.

— ომში თუ გყავს ვინმე ახლობელი. თუ არა, ტყუილად ეცდები!

ცხენებზე შევსხედით. სოფელი გარიფლერი გავიარეთ და ფერდობზე გავვდით. ცნობისმოყვარეობამ მძლია. ცნობისმოყვარეობამ, რომელიც სოფლელ ქალებს იმედს უტრუებს ხოლმე. თავი ვერ შევიკავე და „სეს დუიან კიზ!“; „სეს დუიან კიზ!“ — ორჯერ დავიყვირე ზედიზედ

„სეს დუიან კიზ!“ — გაიმეორეს მთებმა.

რ ე შ ო ა ლ ა

ურფელი ღიდებული რეშო ალა ეზოში შეეიდა, ხელში პატარა მათრახი ეჭირა და ჩექმებზე იტყლაშუნებდა. დიდგვაროვანი კაცი იყო. მის გვარში ზოგნი ათი და ზოგნი ოცი თაობის კეთილშობილებს ითვლიდნენ. სამი ცოლი ჰყავდა რეშო ალას. ეზო გაიარა და თავის ოთახს მიადგა. სამივე ცოლი მზად იყო მისთვის ჩექმა გაეხადა, მაგრამ ალამ ფეხები გულლუს გაუწოდა. მწვანეთვალემა, შავთმიანი, წელწვრილი და თეძოგანიერი იყო გულლუ. ქალი სიხარულით სწვდა ქმრის ჩექმებს: ვისაც ჩექმას გაახდევინებდა, გვერდშიც იმას მიიწვენდა რეშო ალა...

იმ ღამით რეშო ალამ მკერდში გულლუ ჩაიკრა...

ეზოს ბოლოში თავლა ჰქონდათ; ათიოდე სახედარი, ექვსი ცხენი და ერთი აქლემი ჰყავდათ თავლაში. პირუტყვების მომვლელები იქვე იყო, მეაქლემეს თავლაში ეძინა ცხოველების გვერდით. გვიან ღამით რაღაც ხმაურზე გამოეღვიძა. ატეხილი სახედარი ატორღიალებოდა თავის მეგობარს. მეაქლემემ ბრაზით ჩაილაპარაკა:

— ამ შუალამისას რა დროს ეგ არის, შე უსინდისო! — და ფეხზე ადგა.

ძილი დაუფრთხა. ეზოში გავიდა. რეშო ალას ქალიშვილს ჯერ არ ეძინა: მისი ოთახიდან გამომკრთალი შუქი ღამის წყვდიადში ავისმომასწავებლად კაშკაშებდა. მეაქლემეს არ უნდოდა ამ ოთახისკენ გახედვა: „ჩემი ბატონის ქალია“, — ფიქრობდა. მაგრამ მკრთალი სინათლე იღუმალი ძალით იზიდავდა, თვალსა სტაცებდა... მეაქლემემ უეცრად დაინახა, რომ რეშო ალას ასული ტანზე იხილდა. მწარედ ამოიოხრა და თავლაში დაბრუნდა. ის ორი სახედარი თავის საქმეს განაგრძობდა. მეაქლემე ვნების ცახცახმა აიტანა. ერთ წამში განათებულ ოთახთან გაჩნდა. მძიმედ სუნთქავდა. მღელვარებისგან სადაცაა სული გასძვრებოდა.

რეშო ალას ქალიშვილი ცალი ხელით თავის ძეძქეს ეფერებოდა... მერე თვალები დახუჭა და მეორე ხელის საჩვენებელი და შუა თითი

შეაერთა, გაფიცებულ ტუჩებზე მიიღო. იმაზე ფიქრობდა, სადღაც მთებს მიღმა, ღრუბლებში რომ ეგულებოდა, დევივით ძლიერი, ეშმაკით მაცდური... იმას რეშო აღას დიდგვაროვნება არ აშინებდა, მათი სახლის მაღალ გალავანს ზედ გაღმოვევებოდა და...

უცებ ფანჯარა გაიღო და ოთახში მეაქლემე შემოვარდა. მკერდ-მოშიშვლებულმა და ტუჩებზე თითებმიდებულმა რეშო აღას ასულმა მთების მიღმა ღრუბლებში გახვეული იდუმალი საყვარლის ნაცვლად მეაქლემე რომ დაინახა; ენა ჩაუფარდა. შიშისაგან თვალები ხბოს თვალებივით გაუფართოვდა. მეაქლემემ ქალს გონს მოსვლა არ აცალა, პირი ქამრით აუკრა, ქარივით გაიტაკა თავლისაქენ. იქ ცხენზე შეაგდო, თავდაც ცხენს მოახტა და ღამის სიბნელეში შორს გააჰენა...

მზე შუბისტარზე აწეულიყო. რეშო აღას გულღუს მკერდზე ნებიერად ეძინა. უეცრად კარზე უფროსმა ცოლმა ზეინომ დაუბრაახუნა:

— აღა, იჩქარე, ქალი გაქცეულა, თვალში ნაცარი შემოგვაყარა, თავი მოგვკრა!..

რეშო აღამ საბანი მოისროლა და ზეზე წამოიჭრა:

— რას რომავ, ურჯულოვ, რა გულს მიხეთქავ!

— შენი ქალი გაუტაცნიათ, მიდი ნახე!..

რეშო აღა ერთ წამში ქალიშვილის ოთახში გაჩნდა. ლოგინი ცარიელი იყო. ტანისამოსიც იქვე ეწყო.

— ტყუილია ეს, სად არის ქალი?

— მეაქლემეც არ ჩანს, ერთი ცხენიც აკლია...

რეშო აღას ნაცრისფერი დაედო...

— მტრის საქმეა ეს. თითისტოლა გოგოა... ჩემი მეაქლემე ჩემს შვილს ხელს ვერ დააკარებდა. ვერ გაბედავდა... ქალო. მომწყდი თავიდან. იმ გოგოს კახობაში შენცა გაქვს ბრალი, უწმინდურია შენი რძე!

ზეინო კუთხეში აიტუზა და, მე რა დავაშავე. ბატონო. მე რა ვიცი... მოახტა ცხენს, წაიყვანა და წავიდაო. — წაილულლულა.

რეშო აღა გახელებით მივარდა ზეინოს, და წიხლები დაუშინა. მერე მალეური შემოირტყა წელზე, ცხენს მოახტა და ეზოდან გავიდა. წასეღისას ეს კი დაიბარა:

— ჩემს დაბრუნებამდე კიშკარი მაგრად იყოს ჩაქეტილი... გაფრენილ ჩიტსაც კი არაფერი უთხრათ!..

ეზოდან გავარდა და ცხენი ტრამალებისკენ გააქანა. მის ზურგს უკან ყველა კარი ჩაქეტეს...

ათასი ექვით შეპყრობილი და შურისძიებით ანთებული რეშო აღა თავის სოფელში შევიდა. ჯერ სოფლის მოედნამდე არ იყო მისული. რომ ცხენი შეაჩერა. ცხენს პირიდან ჭაფი სდიოდა. რეშო აღამ მარჯვენა მხარეს ერთი სახლის ეზოში გამოფენილ ქალის საცვალს მოჰკრა

თვალი. ცხენიდან სწრაფად ჩამოხტა, ეზოს კარს ჩექმის წვერიით მიაწვია. შიგნიდან ქალის ხმა მოესმა:

— ვინ არის მანდ?

რეშო ალა სიბრაზისაგან ერთ ადგილზე ველარ დგებოდა.

— გააღე, ქალო, მე ვარ, თქვენი ბატონი რეშო!

— მობრძანდით, ბატონო!

— კანკობა ბაირალად გამომიფინეთ, არა?

— ვიშ, ბატონო, ეგ რა სიტყვაა!

— რომელი კანკისაა ეს ნიფხავი? ჩემს სოფელში ნიფხავს ვინ ფენს გარეთ?

ქალი შიშით აცახცახდა. გაიქცა და საცვალი თოკიდან ჩამოხსნა. სწორედ ამ დროს, რეშო აღამ ქალს მაუზერი დაუმიზნა და დაცალა. პირველი ტყვია რომ მოხვდა, ქალი ისევ ფეხზე იდგა, მეორე გასროლამ მიწაზე გააგორა. საცვალი მუჭებში ჩარჩა...

რეშო ალას ქალისკენ არც გაუხედავს, ცხენზე შეკდა და ახლა სხვა სახლს მიაშურა.

სროლის ხმაზე სოფელი ფეხზე დადგა. ყველას „რა მოხდა“ ეკერა პირზე. მალე სოფლის მოედანი ხალხით იყო სავსე. რეშო ალა ერთი სახლის წინ შედგა და დაიყვირა:

— ჰეჰეი, ჰანჩერლი შილო!.. ჰანჩერლი შილო!

ცოტა ხნის შემდეგ ნაბადწამოსხმული, დიდულუაშა ფართოსახიანი კაცი გამოეგება:

— მობრძანდი, ბატონო!

— ახლავე ხალხი შეკრიბე. კანლიმალარაში მივდივარ, მომყევით!

— შენი ნებაა, ბატონო!

— კანლიმალარაში, სწრაფად!..

— კანლიმალარაში...

რეშო აღამ ცხენი კანლიმალარასკენ შეატრიალა და გააჰენა. ჰანჩერლი შილო ხალხის მოგროვებას შეუდგა...

კანლიმალარა მწვერვალზე იყო, ვიწრო გასასვლელის ბოლოში. რეშო ალა ვერ ისვენებდა. გამოქვაბულში ბოლთასა სცემდა. ჰანჩერლი შილომ რეა კაცი მოიყვანა.

— სალამ ალეიქუმ!

რეშო აღამ სალამზე არ უპასუხა.

— ჰანჩერლი შილო! — მიმართა. — კარგად მომისმინე. იცოდე. დღეს ჩემთვის ყველაზე ძნელი დღეა. ოთხივე მხარეს ხალხი აფრინე. ჩემი ქალი და მეაქლემე მოძებნეთ. მიწის ქვეშაც რომ იყვნენ, უნდა იპოვოთ. მეაქლემე იქვე დახვრიტეთ. ქალი ცოცხლად მომგვარეთ. მე ქალაქში დავბრუნდები. დაიმასხოვრეთ. წუთისოფელი ახლა ჩემთვის აპყრობილეთ, სანამ ჩემს ქალს ხელში არ ჩაეიგდებ... წადით, ოღონდ

ისიც გახსოვდეთ, დღეს თქვენ კანლიმალარაში საიდუმლოს განდობით ყურები ტყვიით დაგიცვეს და ენები ძირიანად ამოგთხარეს, მხოლოდ თვალები დაგიტოვეს, რომ ელვასავით დააკვესოთ!

დარდისა და მღელვარებისგან შექვირვებულ რეშო აღას ჰანჩერლი შილო ამოუღდა გვერდში:

— შენი ბრძანების შესრულება ჩემზე იყოს, ალა! გული არხეინად შეინახე. შენი ნამუსი ჩვენი ნამუსია. ჰიანჰველის ბუდეში რომ ჩაჰვრენ, ოკეანის ფსკერზე რომ ჩაყვინთონ, მაინც შივაგნებთ... ღმერთია ჩვენი შემწე!..

— წადით, სისხლიანი იყოს თქვენი გზა!

შანთივით მწველი იყო რეშო აღას სტყვები...

გავიდა ერთი დღე, ერთი კვირა, თვეზე მეტი... ვერც შეაქლენე იპოვეს. ვერც ქალიშვილი... არც მკვდარი ჩანდა სადმე. არც ცოცხალი. რეშო ალა და მისი ჯალაბი გლოვას მიეცა. მამაკაცები შინიდან გარეთ აღარ გადიოდნენ. არც ყავახანაში, არც არსად... წვერი თითო მტკაველზე მოეზარდათ... თავჩაღუნული დადიოდნენ. ქალებმა შეწყვიტეს სიარული მეზობლებთანაც, აბანოშიც კი... ახლა მთელი ქალაქი მხოლოდ მათზე ლაპარაკობდა:

— რეშო აღას ქალიშვილი სახლიდან გაპარულა...

— რეშო აღას ქალიშვილი უზნეო ყოფილა...

— რეშო აღას ქალიშვილმა ოჯახის ნამუსს ჩირქი მოსცხო...

— რეშო აღას ქალიშვილი კახა ყოფილა... გაეხსებულა და ნიფხავი ჩაუხდია...

— რეშო ალა თავის სიმდიდრეს რა თავში იხლის, როცა ერთ ქალს ვერ უპატრონა...

რეშო ალა ხალხში აღარ ჩნდებოდა. არავის ელაპარაკებოდა. მაგრამ ყველაფერი იცოდა, რასაც მის შესახებ ამბობდნენ. გინდ ამ ქალაქში, გინდ ურფაში, გინდ სივერეკში და გინდ სხვაგანაც, ქალიშვილის სახლიდან გაპარვაზე დიდი უბედურება არ არსებობდა. გაქცეული ქალის პატრონს სხვა გზა არ ჰქონდა. შინ იჯდა და მღევარს ელოდა. ქუჩაში რომ გასულიყო კიდევაც, ზედ არავინ შეხედავდა, არავინ მიესალმებოდა. ყავახანაში თუ გამოჩნდებოდა, ყველა გარეთ გამოვიდოდა და მარტო დატოვებდა. გინდ კეთროვანი ყოფილხარ და გინდ გაპარული ქალის პატრონი!

და დიდებული რეშო ალაც ამ დღეში ჩავარდა. ლეგენდად ქცეული ზვიადი რეშო დატუქსულ კატის კნუტს დაემსგავსა...

რამდენიმე დღეში ორი თვე შესრულდებოდა. შუადღე კარგახნის გადასული იყო. მზეს ძალა დაკარგვოდა: თვალსაც კი გაუსწორებდა კაცი. რეშო ალა ეზოში ფეხმორთხმით იჯდა ხალიჩაზე. ზეინო ზღურბლზე ჩამომჯდარიყო. თვალები ერთი წერტილისთვის მიეშტერებია. ამ

ღრის მთავარ ქრესტზე დააბრახუნეს. მსახურმა კარი გააღო. ეზოში პანჩებლი შიღო შესთვინდა, რეში აღასთან მივიდა და ყურში ჩასრუ-
ჩელა:

— ვიგო გარეთ არის...

რეში ალა მარდად წამოხტა:

— ვაჰმე! შეაქლემე სადღაა?

— დაეხურიტეთ!

რეში ალა კელისკენ შებრუნდა და ისე თქვა:

— სასლში შეიყვანეთ, უკან ოთახში!

ქალი ლეჩაში იყო გახვიული. ეზოში შემოვიდა, ცოტა ხანს შე-
ჩერდა. მიმოიხედა: მამა მისკენ ზურგშექცეული იდგა, დედა ზღუბლ-
ზე იჯდა, მაგრამ „შვილოს“ ძახილით არ გამოქცეულა მისკენ და ყელზე
არ მოხვევია. კი, მაგრამ რა დააშავა? ის ხომ შეაქლემემ ძალით გაიტა-
ცა, ეშმაკის ცდუნებას აყოლილმა შეაქლემემ... მერე გზაშივე შეაქ-
ლემეს რეში აღას შიშვა ტვინიდან. ფეხებამდე დაუარა და ბატონის
ასულისთვის თითიც არ დაუკარებია...

ზეინო ეზოში უძრავად გაჩერებულ ქალიშვილთან მივიდა, ხელი
მოკრდა და სახლში შეიყვანა, უკან ოთახში...

საწყალი გოგო იმ დამეს დიდი ხნის შემდეგ პირველად იწვა მამის
ოჯახში, მაგრამ იყო უსიყვარულოდ და უპატრონოდ...

გათენებისას სახლში რალაც ფაციფუცი ატყდა. რალაცას ბკობ-
დნენ. სისხლი კვლავ ამოძრავებულყო ძარღვებში...

ზეინო შვილთან მივიდა. თვალები ცრემლისღვრისაგან გაწითლებო-
და. ხმაძალა ტირილის უფლება რომ ჰქონოდა, ასე არ დაიტანჯებოდა.
საბრალო დედა სიყვარულსა და კანონს შორის იკვლიტებოდა. ალივით
აბრიალებულ დედის სიყვარულს ცივი კანონი სეტყვასავით ზედ ეხლე-
ბოდა... შვილს თვალეში ჩახედა. გოგონა თხუთმეტი წლისაც კი არ იყო
ჯერ. მასში შიშისა და ბავშვობის კიდილი დაინახა დედამ. მის სახეზე ში-
შის გამარჯვება ამოიკითხა.

— მე არაფერს ვკითხავ, შენი ბედი უკულმა დატრიალდა. გადაწყდა,
მამაშენი ენახში წაგყვანს! — უთხრა ზეინომ შვილს.

გოგო ყელზე მოეხეია:

— ნუ იხამთ, დედა, ნუ იხამთ მკვას: მე უცოდველი ვარ. ნებით
არ გავპარულვარ, ძალით წამიყვანა. მერე დაძმასავით ვიყავით. ისე-
დაც ბებერი ვიტანჯე. ნუ გამწირავთ...

ზეინოს ყელზე შემოქდობილი ხელების მოშორება უნდოდა, მაგ-
რამ შვილის ხელები სასიკვდილოდ განწირულის შიშით ჩაბღეჭებო-
დნენ. შვილის სიყვარულმა შესძრა ზეინოს გული. სააღვრსოდ გაწვდილ-
მა ხელებმა შიში სძლიეს და შვილს შემოეხვივნენ. ახლა ხმაძალა ტირო-
და დედა. ოთახიდან გარეთ გამოჭრილი მისი ხმა მთელ ეზონს ესმოდა...

რეშო აღა თვეების შემდეგ პირველად გამოვიდა გარეთ. მარტო არ იყო. გვერდით ქალიშვილი ჰყავდა. ბრძოლის ველიდან გამარჯვებით გაპარული სარდალივით გამართული იჯდა ცხენზე. უკან თავისი ასული შემოესვა. მამის წელზე მკლავებზემობხვეულ გოგოს სირცხვილისაგან თავი ძირს დაეხარა...

ქალაქგარეთ გავიდნენ. უკაცრიელ გზას დაადგნენ. რამდენიმე ბალი გაიარეს და თავიანთ ვენახს მიადგნენ. ეს ის ვენახი იყო, პატარაობისას რომ თამაშობდა ხოლმე გოგო, სიხარულით დარბოდა და მწიფე მტევნებს პირით წვდებოდა...

ვენახის შესასვლელში შეიდი-რვა კაცი იდგა. რაღაც საფლავს ჭრიდნენ. მათი გვარის თავკაცები იყვნენ. რეშო აღამ ცხენი შეაყენა. ვილაცამ გოგო ჩამოსვა ცხენიდან, მერე რეშო აღა ჩამოვიდა ძირს. ყველა თავდახრილი იდგა. ეტყობოდათ, პატიოსნების დასაცავად კანონისათვის მსხვერპლი უნდა შეეწირათ.

რეშო აღამ გოგოს ხელი მოკიდა და ახლადგაჭრილ საფლავთან ქალით მიიყვანა. ვოგო მიხვდა, ამდენ ხალხს ვერსად გაექცეოდა, ვერას გაწყობდა... მასა და სამარეს შორის სიკვდილის შიში ჩამდგარიყო... გოგომ მაინც გაიბრძოლა, მაგრამ ამაოდ: ზედ ყურის ძირში გასკდა დამბაჩა და გოგონა იქვე ჩაიყვია. მის მოსასხამში ჩალვრილი სისხლი არავის დაუნახავს. როდესაც ზედ ნელდ მიწას აყრიდნენ, ყველაზე მარდი მხედარი უკვე ცხენზე იჯდა და შიკვინებდა.

ცხენოსანი რეშო აღას სახლის წინ შეჩერდა. მოკლული ქალიშვილის ბიძაშვილი იყო მხედარი. კარი გაუღეს. ეზოში შესვლისთანავე მიხარა თავის ბიცოლას:

— გათავდა. ბიცოლაჩემო, გათავდა, ღმერთმა აცხონოს!..

თვალის დახამხამებაში რეშო აღას ოჯახში შეცხადებამ სმენა გააყრუა. ცრემლმა იწვიმა... მაგრამ უმალვე ქალიშვილის დედას ზეინოს ახალი საზრუნავი გამოუჩინდა: აბანოში წასასვლელად მოემზადა: თმაზე ინა უნდა დაედო იმის ნიშნად, რომ ოჯახის სიწმინდე აღდგენილი იყო..

პალდუნ თანერი თანამედროვე თურქული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი ავტორია ფართოდ ცნობილი ფსიქოლოგიური ნოველებს, რომანებისა და პიესებისა. თანერის თხზულებები გამოცემულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 1972 წ. გამოქვეყნდა პალდუნ თანერის ნოველების კრებული ქართულად („თორმეტს აკლია ერთი წუთი“).

სანროს გასეირნება

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ცუქ, ცუქ, ცაქ!

იგი მზიან ტროტუარზე მიცუქცუქებდა და თან საკუთარი ნაბიჯების რიტმით ტკებებოდა: დროდადრო აქეთ-იქით იხედებოდა. უფრო სრული რომ ყოფილიყო მისი ნეტარება. უნდოდა, იგივე სიამოვნება გამვლელთა თვალებშიც ამოეკითხა.

სიცილ-კისკისით ჩაურბინა სამმა გოგონამ. სუნით ცნობდა მათ. კონსერვატორიის საბალეტო კლასის სტუდენტებმ იყვნენ. ეიდრე ჰულია სტიპენდიას მიიღებდა და ლონდონში წავიდოდა, ხშირად მოსულან მასთან. ერთად მეცადინეობდნენ ხოლმე. მზერა გააყოლა გოგონების კანკებს: „ნეტავ, ამ ფეხებსაც ჰულიას ფეხებივით ძილშიც ბალეტის პოზა აქვთ?“

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ცუქ, ცუქ, ცაქ!

გერმანიის საელჩოს კართან გრაფს შიესალვა. გრაფს თავისი ხშირი ბალანი უკანასკნელ მოდაზე — წელს ქვეშით გაუკრეჭინებია, წელს ზემოთ ლომის ფაფარივით აუწეწეინებია. თეთრი უღვაშებიც ფელდ-მარშალ ფონ მაკენზენივით დაუყენებია და თითქოს უხდება კიდევ.

ტროტუარის გასწვრივ საელჩოს მერსედესი იდგა. მძღოლი და მებაღე მის წინა მარცხენა საბურავს ბერავდნენ. საბურავი გაიბერა, გაიბერა და თავისი პირვანდელი სახე დაიბრუნა. გრაფი და კონსული უკანა სავარძელზე მოკალათდნენ. ოთხმა საბურავმა სპეციალური მანქანებისათვის დამახასიათებელი მედიდურობით გაისრიალა ასფალტზე.

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ცუქ, ცუქ, ცაქ!

რა სჯობს კარგ აქინდში სეირნობას?... მოდით ერთი და ნახეთ! ტროტუარი ტროტუარს არ ჰგავს! არა და, ადამიანების, არ იყოს, ძალ-
ლების კულტურა, აზროვნება, გამოცდილება, ცხოვრების სტილი მჭიდ-
როდ არის დაკავშირებული ტროტუართან.

ჯერ ერთი მოიჯარადრე მოიპარავს მასალას...

ცუქ. ცუქ. ცაქ!

მერე ვხა გაფუჭდება,

ცუქ. ცუქ. ცაქ!

მერე კოჭი გადაბრუნდება,

ცუქ. ცუქ. ცაქ!

მერე ტვინი გადაბრუნდება,

წესრიგი აირ-დაირევა...

სხვა მოიჯარადრეებიც დაიწყებენ მასალის პარკას,

ცუქ. ცუქ. ცაქ!

მოედანზე, სადაც პარლამენტის შენობისაკენ მიჰყავალი ქუჩა იწყე-
ბა, ჰედის შეეფეთა. ამ თეთრ ფინიას ნაღვლიანი თვალები აქვს და,
როგორც ყოველთვის, ახლაც ლურჯი ლენტი წაუკრავს თავზე. ჰედის
ქალბატონი ზამთარს სან-მორინში ატარებს, ზაფხულს — ბიარიცში,
მაგრამ მაინც ასანთის ღერებივით წვრილი ფეხები აქვს და ისტერია
სჭირს. ერთმა ციურხელმა ფსიქიატრმა ურჩია, ნერვები რომ აგეშ-
ლებათ, იყვარეთ, იჩხუბეთ, ბოლმა ძალზე დაიცალეთო. ამ მეთოდით
ქალი თითქოს გამოკეთდა, მაგრამ ახლა საბრალო ჰედი დაეადლა ნერ-
ვულად. რა იციან ქუჩის ძაღლებმა ჰედის გასაჭირი? წაძნაუწუმ თვა-
ლების ხამხამს, უკანალის ქნევას და სხვა ამდაგვარ ტიკებს ცუდად
უსაღებავს და აკვირებებიან ხოლმე.

ცუქ. ცუქ. ცაქ!

ცუქ. ცუქ. ცაქ!

ცუქ. ცუქ!

ცუქ. ცუქ!

ფიქრებში გართულმა სანჩომ ერთბაშად ვერც კი გაიგო, რომ მისი
“ცუქ. ცუქ. ცაქ“-ის გარეშე დარჩა. ორჯერ შემოტრიალდა ადგილზე
და შეშლევ თაედალუნული სწრაფად უკან გავარდა. ჰულისას მამა გაჩე-
რებულყო და ვიღაცას ესაუბრებოდა. ნეტა ეს ვიღაა? პირველად
ნედავდა ამ შარვალს. რომელსაც იტყობოდა, კარგი მკერავის ნახელავი
იყო, მაგრამ ტოტები ჩამოსძენძოდა. ეს ფეხსაცმელებიც. მართალია,
ევროპული ჩანდა, მაგრამ ისე იყო მოჭყეული, მესტებს დამსგავსებო-
და. სანჩომ თავი ასწია და აქლემის ბეწვის პალტო და მაღალი ქუდი
დაინახა. მაშინვე მიხვდა. რომ ეს კაცი კასაბას ადვოკატი უნდა ყოფი-
ლიყო. დეპუტატად ახლად არჩეული. თუ დაუკვირდებოდით მის გა-
ცხადებულ ლაყბობას, მიხვდებოდით, ან პოლიტიკაზე მსჯელობდა ან

ვიდაცას ლანაღადა. ჰულიას მამას კრინტი ვერ დაუძრავს. ეტყობა, ჩასაფრებულია, უნდა ადვოკატის ლაპარაკში შუალედი აღმოაჩინოს და სიტყვა ჩაუტოოს ჰულიასათვის ვალუტის საქმის მოგვარებაზე. სანჩომ ტროტუარის კიდეცა და ორი მამაკაცის ოთხ ფეხს შორის წრიალი დაიწყო. აქაოდა, მოშარდვა მომინდა და მეტის მოთმენა აღარ შემიძლიაო. ბოლოს მივიდა და ადვოკატს შეპღრინა. მაგრამ ადვოკატი ისე იყო გართული, არც უფიქრია შეშინებოდა. ლმერთო, რა ყბეღია, რა ყბეღი!

ალბათ მართლა არსებობს ტელეპათია. გაახსენდა ალთესი და შეხვდა კიდეც, მაგრამ ეს ტელეპათიის ბრალია, თუ ჰიქმეთ ბეის ჩიბუხის სუნისა, რომელიც ერთ კილომეტრზე იგრძნობა? ალთესმა, ჰიქმეთ ბეის წმინდა სისხლის პაქისტანურმა მწვეარმა, შტეპსელი ალოკა. დენმა დაჰკრა და მას შემდეგ კულის რიკიდან ბარძაყის სახსრამდე მწარე ტკივილები სტანჯავს. როგორ გამხდარა საწყალი! სხვიამქრალი თვალებით, ჩამოჩეჩილი ბალნით. მამისეულ დიდ ყაყეტში გამოხვეულ წყალმანკიან ბიჭსა ჰგავს. ნამდვილად ახლაც საავადმყოფოდან მოდიო, როგორია? ლონდონში, კერძო კლინიკაში საყეისრო გაკვეთით მოეკლინო ქვეყანას და ახლა ჰაჭეთთეფეს საბეითლო სკოლის პოლიკლინიკაში ქუჩის მაწანწალა. ძაღლების უკან საათობით იდგე რიგში? მგონი, ალთესს ეს ამბავი ავადმყოფობაზე მეტად აწუხებს.

ჰკუა უნდა გქონდეს, ჰკუა! მთავარაა, ჯანმრთელად იყო, კარგად იყო და სადაც გინდა, იქ იყავი, შეილოს!

„უჰ, უჰ, ცაჰ!“

„უჰ, უჰ, ცაჰ!“

ტუჰ!

ჩანს, ვალუტის საქმე მოგვარდა. ჰულიას მამა კარგ ხასიათზე დადგა. უსტვენს და ჭოლგა, რომელიც, რაც შინიდან გამოვიდა, ცომის საბრტყელბელი ჯონივით მოჰქონდა, ახლა ტარით უჭირავს, ყოველ რრ ნაბიჯზე პაერში აიქნევს და ტროტუარზე აბჯენს. როცა სანჩოს „უჰ, უჰ“-ებს ყოველ ოთხ ტაქტში ერთხელ ჭოლგის „ტუჰ“ უერთდება, ნაბიჯების თანაფარდობა სინკოპურ რიტმს იძენს.

„უჰ, უჰ, ცაჰ!“

„უჰ, უჰ, ცაჰ!“

ტუჰ!

„უჰ, უჰ, ცაჰ!“

„უჰ, უჰ, ცაჰ!“

ტუჰ!

გუვენპარკის წინ ბელგიის საელჩოს მწვერებს შეხვდა. მათ, როგორც ყოველთვის, ახლაც ფორმიანი შიკრიკი ახლდათ. ეს ორი და — იზაბელა და მირედა — მარტო დიპლომატიური კორპუსისა კი არა, მთელი ანკარის საძალეთის მაღალ საზოგადოებაში ცნობილი თავქარიანი ლა-

მაზმანები არიან. ანკარის ციხესიმაგრის, ახალგაზრდობის პარკის ხიდის, ულუსის მოედანზე მდგარი ძეგლისა თუ ოპერის თეატრის ფონზე გადაღებული მათი ფერადი ფოტოები ხშირად ამკობს ძაღლების საერთაშორისო ჟურნალების ყდებს.

სანჩოს რომ ჩაუარეს, ოღნავ შესამჩნევად მიესალმნენ. თვალებ-მოწყურულები, მუცელშეხნეჭილები, გრძელ ფეხებზე შემდგარნი, გეგონებათ, კი არ მოდიან, მთელი სხეულით მოცეკვავენო. სანჩომ შორადანვე მოჰკრა თვალი მათ და მღელვარება დაეუფლა. მაგრამ, ვითომ სხვა მხარეს ვიხედებოდი და მხოლოდ მაშინ შეგნიშნეთ, როცა გამისწოლდითო. გულგრილად მიესალმა დებს. მათ ძაღლის ლოსიონს შერეული ბაკიანთი სპეციფიკური სუნის დატოვეს. სანჩოს ხის ძირას მისვლა მოუნდა, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან ეს საქციელი ვერ შეაფერა თავის წელანდელ მედიდურებას. ესეც იფიქრა. ნაცნობები დამინახვენ და იტყვიან, საცა ზეს იპოვის, ყველგან ფეხსა სწევსო.

ცუქ! ცუქ! ცაქ!

ტუქ!

სხვა რამეზე უნდა ვიფიქრო, სხვა რამეზე უნდა ვიფიქრო!..

ცუქ! ცუქ! ცაქ!

ტუქ!

სანჩომ მკვეთრი მოძრაობით თავისი სველი დრუნჩი ზევით ასწია როგორც კი ქოლგა მიწას შეეხო. ისევ დასწია. ცოტაც და, დრუნჩის მოძრაობას აპყვა მისი მოკაუჭებული კული. პირველ ტაქტში კული მარცხნივ. მეორე ტაქტში — კული მარჯვნივ. მალე სხვა ვარიანტებიც შემუშავა: ორჯერ ზედიზედ მარცხნივ, ორჯერ ზედიზედ მარჯვნივ. გამვლულები გაკვირვებით უყურებდნენ. სანჩოს უნდოდა უფრო გაეოცებინა ისინი და ამ უცნაურ მოძრაობას მთელი სერიოზულობით აგრძელებდა. თან სიცილს ძლივს იკაებდა, როცა ხედავდა, რომ გამვლულებს გიჟი ეგონათ. ერთბაშად თვალი მოჰკრა სემირამიდას. ბატონი სახელმწიფო მარჩვეელის ყაენისფერმა ბულდოგმა ენა გამოყო და ცხვირის წვერი აილოკა. თავისი ქვეით, სანჩოს დასცინა. თვითონ კი ამ დროს ისეთი კუბოკრული ეილეტი აცვია. მის ბეწვს სულაც რომ არ ეხამება. ფეხებზე რუხი ბოტები წამოუცვამს. მიუხედავად იმისა, რომ წვიმას არც აპირებს. მაზხარად შენი თავი აიგდე. ზიზილ-პიპილაჟ!

ცუქ! ცუქ! ცაქ!

ტუქ!

უცნაური ქარი ამოვარდა, ისეთი, გათენებისას რომ იცის ხოლმე. მზე ხან მოეფარებოდა, ხან ისევ გამოჩნდებოდა.

წითელი ჯვრის შენობის წინ კასტორი დაინახა. მან ჯერ გაკვირვებით შეხედა სანჩოს, შემდეგ — წყრომით. თვალები დახუჭა, ისევ გაახილა, თითქო ერჩია, სიზმარში ყოფილიყო. კასტორი ძალზე დახვე-

წილი „ჩაო-ჩაოა“, მაგრამ „პროტოკოლის“ წესებს პატარაობიდან რო-
დია ნაზიარები, არამედ კარგა დიდობაში აქვს ისინი წიგნებით გაზეპი-
რებული, ისე, როგორც ახლანდელ მინისტრებს, სენატორებსა და პრო-
ვინციელ დიპლომატებს. მაგრამ, როცა ავიწყდება ან გაბრაზებულია,
მაშინ გამოჩნდება ხოლმე, რომ ველარ მალავს თავისი დედას -- მე-
ცხვარის ნაგაზის უვლგარულ დიალექტს. სანჩომ, კატორს რომ ჩა-
უარა. მის ჯიბრზე. თავის ოინებს ღრენაც დაუთო.

სწორედ ამ დროს მოპირდაპირე მხარეს გამოჩნდნენ დილის მეცადი-
ნეობიდან დაპრუნებული პოლიციის ნაგაზები. ძალზე ღონიერები
იყვნენ და კარგად მოვლილნი. სანჩომ შენიშნა ისინი, მაგრამ ითაკილა,
რომ ერთბაშად დაემთავრებინა თავისი ოინბაზობა. კოლონის თავში
მიმავალი ორი. ნაგაზი უყებ შეჩერდა. აქ რალაც ამბავიო, იფიქრეს
და ექვთ აათვლიერეს სანჩო. ამ ბოლო დროს მათ ყველაფერზე ექვი
უჩნდებოდათ. ისინი რომ შეჩერდნენ, მთელი კოლონა შედგა და წინ
ჭიმავალ ზობა, შეველვაშებიან პოლიციელს მიჩერდა. მისგან ბრძანე-
ბას ელოდებოდნენ.

სანჩოს ყველა ძალღი უყვარდა: ყარაული ძაღლების მითოლოგიური
წინაპრის -- ცერბერიდან მოკიდებული. მისიონერ სენბერნარებით დამ-
თავრებული: ერთგულების კლასიკურ მაგალითად ქცეული იორქშირე-
ლი ლესით დაწყებული -- ანაფართალის სამიკიტნოების უპატრონო ქო-
ფაკებით გათავებული. სანჩო ყველას უძებნიდა რაიმე ღირსებას.
მაგრამ ვერ იტანდა ორი ჯიშის ძაღლს -- მონადირესა და პოლიციის
ნაგაზს, მათ, რომლებიც დააგდებენ თავიანთ მსხვერპლს პატრონის
წინაშე და უკანა თათებზე ჩაცუტქდებიან. ეს მუდამ მოწყალეების მომ-
ლოდინე მათხოვრები. ეს მამბეზლარები. სხვისი თეფშის მლოკველნი.
სანჩოს აზრით. ჩირქსა სცხებენ ძაღლთა მოდგმას. სანჩო ვერ მალავდა.
უფრო სწორად. არ მალავდა ამ სიძულვილს და ამიტომ მისი შეხვედრა
მონადირე ან პოლიციის ძაღლებთან. ყოველთვის ღრენით მთავრდე-
ბოდა.

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ღღღრრრ, ტუქ!

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ღღღრრრ, ტუქ!

პოლიციის ნაგაზები ადგილზე ვაქვავდნენ. რვავემ ერთად დაიღრინა.
სანჩო თანდათან უახლოვდებოდა მათ. ინტელიცია პკარნახობდა, შე-
წყვიტე ახლა ეს ხუმრობაო. მაგრამ მამაკაცური თავმოყვარობა აქე-
ზებდა: „გააგრძელე, ყურადღებას ნუ მიაქცევ“. თვალები დახუჭა. რაც
მონდებდა, მოხდესო; იფიქრა. რაკი დაიწყო, თავს მოიკლავდა და აღარ
შეწყვიტდა. მართლაც არ შეუწყვიტია.

ძალღების მწვრთნელმა, შვეულვაშა ზორბა პოლიციელმა ბრძანა: „მარშ!“ მწკრივში ჩამდგარმა ძაღლებმა გზა გააგრძელეს, თან იღრინებოდნენ. მხოლოდ ერთი, ჭგუფის ბოლოს მიმავალი თვალღბდასისხლიანებული, სახეელალი ნაგაზი მობრუნდა და სანჩოს თვალს არ ამორებდა, თითქოს უნდა დაიმახსოვროს და მარტო რომ მოიგდებს ხელში, ჯავრი იყაროსო.

ნაგაზები თვალს მიეფარნენ. სანჩომ შვებით ამოისუნთქა. ამ საათებში ათათურქის ბულვარის ყველაზე ხალხმრავალ ადგილზე პოლიციის ძაღლებთან ღრენასა და ბოლოს, ჩხუბს. შეეძლო საგრძნობლად შეერყია სანჩოს რეპუტაცია. ახლახან გადატანილი მღელვარების გამო გული ისევ გამალებით უცემდა. ამიტომ ველარ უწყობდა ფეხს ჰულის მამას. კიდევ კარგი. ჰულის მამა გაზეთების გამყიდველთან შეჩერდა.

ღილის გასეირნების პირველი ეტაპი იწყებოდა გორემის ქუჩაზე და თავდებოდა სწორედ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქუჩის კუთხეში, გაზეთის გამყიდველთან.

ჰულის მამამ ერთი ყურნალი და ორი გაზეთი იყიდა. შემდეგ თავისი ფეხსაცმელები ბოშა მწმენდავს მიანდო. ამოძრავდნენ ჯავრისები. ჰულის მამამ გაზეთი გაშალა და კითხვა დაიწყო. ამ დროს მრპირდაპირე ქუჩიდან, სამწვადეების მხრიდან დაუბერა ხახვის სუნით გაჟღენთილმა ქარმა და გაზეთი მოიტაცა. სანჩო გაიქცა და გაზეთს თათი დააბიჯა. სწორედ იმ ადგილას, სადაც სანჩომ დააბიჯა, ფინანსთა მინისტრის ფოტო იყო დაბეჭდილი. კაცს სახე მოეღრიცა, თანაც თითქოს იმიტომ კი არ იღრიჯებოდა, რომ ამერიკული დახმარება ეცოტავენბოდა, არამედ იმიტომ, რომ სანჩოს თათმა ატკინა.

ბოშა ბიჭმა ჰულის მამის ფეხსაცმელები ხვერდით გააპრიალა. ამ საქმეს რომ მორჩნენ, მოპირდაპირე ტროტუარზე გადავიდნენ და ქავაქლიდერესაკენ გასწიეს.

ბარიქანის სასტუმროს წინ შემთხვევით -- სანჩოს ინტუიციას ამ შემთხვევითობისა შინცადამაინც არაფერი სჯერა — სელმინ ხანუმსა და მის ყავისფერ დანიურ ღოგს — დიოგენს შეხვდნენ. სელმინ ხანუმს შარვალი ეცვა. ზემოდან — ალპინისტური სქელი სვიტერი, ფეხზე — სპორტული, უქუსლო ფეხსაცმელი. ერთად გააგრძელეს გზა. დიოგენი, როგორც ყველა ღოგი, უაღრესად თავშეკავებული ძაღლი იყო. სანჩომ იგი სელმინ ხანუმის მიერ გამართულ წვეულებაზე მაგიდის ქვეშ გაიცი-ნო. სელმინ ხანუმმა მაგიდის ქვეშ მარცხენა ფეხსაცმელი წაიძრო, თავის შშვენიერ ფეხს ასვენებდა. ჰულის მამამაც ფეხი მის ფეხთან მიაჩოჩა. ქალმა უკან განწია წინდისამარა ფეხი. კაცმა მეორე ფეხიც მიუახლოვა და ქალის ფეხი თავის ფეხებს შორის მოიმწყვდია. დიოგენმა და სანჩომ ერთმანეთს გადახედეს. ქალს მუხლი უცახცახებდა. ჰულის მამამ ორივე მუხლი მაგრად მოუჭირა ქალის მუხლს. მაგიდაზე საუბარო

გრძელდებოდა. სანჩომ დივირა სელმინ ხანუმის ფეხსაცმელი და მის ბალთას ათამაშებდა. თან ზვალს არ ამოირებდა დატყვევებულ ქუხლს. დიოგენმა ფეხებს ზურგი შეაქცია, დაწვა. თავი თათებზე დაიღო და თვალები დახუჭა. როცა სატაცური მოართვეს, ქულიას მამას ხელსახოცი დაუვარდა. ასაღებად დაიღუნა. თან სელმინ ხანუმის პატარა ტერფს ხელი მოუთათუნა. ამ დროს სანჩომ ჩაიღინა ის. რაც თავის სიცოცხლეში არ ჩაუდენია — ქულიას მამას ხელზე უკბინა. მან წაშოყვირა, მაგრამ არა იმდენად ტკივილისაგან. რამდენადაც მოვლოდნელობისაგან. ეს ისეთივე წარმოუდგენელი იყო მისთვის. როგორც წვიმის მიწიდან ცაში ასვლა იქნებოდა. მაგიდის ქვეშ შეიხედა, მაგრამ სანჩოს მოესწრო, წაეღო ფეხსაცმელი და მიმაღლიყო. ამოდ ეძებდა ფეხით მაგიდის ქვეშ თავის ფეხსაცმელს. სელმინ ხანუმი. დაუწევა და ქვეშ შეხედვა ეუხეხრხლებოდა. სანჩო ტახტის ქვეშოდან უთვალთვალებდა. ერთბაშად კეფაზე ცხელი სუნთქვა იგრძნო. დიოგენი ზურგზე თათს უსვამდა, თან კბილებით ფეხსაცმელს თავისკენ ეწვოდა. სანჩომ წინა-აღმდეგობის გაწევა დააპირა, მაგრამ ვეღარ გაუძლო ვედრებით სავსე თვალებს, დაუთმო ფეხსაცმელი და უზარმაზარმა დოვმა — მოთმინების დიდმა, ოთხფეხა განსახიერებამ — ფეხსაცმელი სწორედ იმ დროს დაუღო ფეხთან თავის პატრონს. როცა მაწყვის კაპა მოათავეს და სტუმრებმა მაგიდიდან ადგომა დააპირეს. სანჩომ დაინახა, როგორ გაოფლიანდა ქალი ნერვიულობისაგან.

აი, ახლა მიაბიჯებდა დიოგენის გვერდით და იხსენებდა ამ ამბავს. დიოგენის მაშინდელი საქციელი აიხსნებოდა მოვლენებისადმი დოვის ფილოსოფიური მიდგომით, ან გამომუშავებული ჩვევით. ვინ იცის, რამდენჯერ ჩავარდნილა მსგავს სიტუაციაში და ერთხელ და სამუდამოდ გამოიმუშავა რეფლექსი. მაგრამ უფრო რითი აიხსნებოდა? ეს კითხვა მოსვენებას არ აძლევდა სანჩოს და ახლა, როცა მათ უკან ის ოთხი ფეხი ისევ ერთად იყო, უნდოდა ეკითხა დიოგენისათვის. დარწმუნებული არ კი იყო, რომ გულანდილ პასუხს მიიღებდა. მაინც აპირებდა კითხვას, მაგრამ სწორედ ამ დროს ქულიას მამამ და დიოგენის პატრონმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და გამოემშვიდობნენ.

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ტუკი?

რა იქნა ტუკი?

რა იქნა ტუკი?

სელმინ ხანუმთან ერთად სულთსი მეტრის ვაგლა წაკლებ სასახარულა. ვიდრე ქულიას ვალუტის ორი წლიე განაღდება?

რა იქნა ტუკი?

რა იქნა ტუკი?

სანჩო არ იცნობდა დიოგენისნაირ თავმდაბალ, მასავით გულახდილ ძაღლს.

სანჩომ დაკარგა „ტუკის“ იმედი და გადაწყვიტა, „ცუქ, ცუქ, ცაქს“ დასჭერებოდა.

„თუ საჭიროა, მე „ცუქ; ცუქ“-ებს გარეშეც იოლას გავალ, მაგრამ პულიას მამას შეუძლია გასძლოს უიმათოდ? ამქვეყნად ყველაზე უმაღური აჩსების — ადამიანისა. და ყველაზე ერთგული და კეთილშობილი ქნნილების — ძაღლის ოდინდელი მეგობრობა დამყარებულია არა იმაზე, რომ ძაღლებს ვერ გაუძლიათ უადამიანებოდ, არამედ იმაზე, რომ ადამიანებს ეჭირდებით ძაღლები“.

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ეს არის თავი და თავი!

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ეს არის თავი და თავი!

„ღირსი კია ადამიანი ზვენი ერთგულებისა? ეს უკვე სხვა საქმეა. თქვენ გგონიათ, დიოგენს ასე იმიტომ უყვარს სელმინ ხანუმი, რომ ერთგულებას გვიქადაგებენ და სკოლაში გვასწავლიან? ჰა-ჰა-ჰა! ნუ გამაცინეთ.“

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ნუ გამაცინეთ!

ერთგულება გვჭირდება ჩვენ, ძაღლებს, რათა შევიწინააღმდეგოთ მორალური სრულყოფა, თავიდან ავიცილოთ შინაგანი გახრწნილება, მოვიპოვოთ სულის სიმშვიდე, ზომიერება.

ადამიანი მხოლოდ საშუალებაა!

ცუქ, ცუქ, ცაქ!

ადამიანი მხოლოდ საშუალებაა!

მეტი არაფერი.

ადამიანები კი, როგორც ეს საერთოდ სჩვევიათ, ყველაფერს უკუღმა წარმოაჩენენ ხოლმე. იქამდე მიდიან, რომ ხშირად ძაღლებს თავიანთ, ადამიანურ თვისებებს მიაწერენ მაშინ, როცა სულაც არ არის აუცილებელი დიპლომატის ძაღლი ხნობი იყოს. სამხედრო პირის ძაღლი შეიძლება მოაზროვნე აღმოჩნდეს. ერთი პროფესორის ძაღლი ვამომიტყდა, ბიბლოთეკის გზა არ ვიცი და ლამის არის სირცხვილით დავიწვიაო. იმის მტკიცება, რომ ძაღლებს არ შეიძლება ჰქონდეთ თავიანთი პატრონისაგან განსხვავებული ღირსებები, ნიშნავს — დააქნინო ისინი და დაიყვანო ადამიანების დონეზე...“

ცას სქელი ღრუბელი გადაეკრა. ჩანქაის მხარეს ჩამობნეღდა. ძლიერი ქარი ამოვარდა. გაიღუვა, დაიქუხა. პულიას მამამ ნაბიჯს უმატა.

ცუქ, ცუქ, ცუქ, ცაქ!

ცუქ, ცუქ, ცუქ, ცაქ!

სანჩოს სიამოვნებდა ჩქარი სიარული. კიდევ გაიღწა. „რა სჯობს ახლა ტყეში ყოფნას? მიღიბარ და შენს ფეხქვეშ შრიალებენ ყვითელი, ყავისფერი, წითელი. სპილენძისფერი. მწვანე, იისფერი გამხმარი ფოთლები. თანაც თუ მარტო ხარ!“

„უჰ! უჰ! უჰ! უჰ!“

„ჰულის მამა წვიმას გაუბრძის. რა მოუვიდა ამ კაცს? წუთის წინათ როგორი თვითდაჭერებული და მოღიბარი იყო, როგორ შედიდურად მოაბიჯებდა?“

„წვიმა არ მოვა. სანჩოს ცხვირს ეს არ გამოეპარება. ცოტაც და, ქარი ამ ღრუბლებს გაფანტავს. ესეც აშკარაა. მაგრამ რას იზამ? მას შემდეგ, რაც კაცი ორ ფეხზე დადგა და ამის გამო ინტუიცია დაკარგა. მარტო ჰკუთის იმედიღა დარჩა. იმასაც ხედავთ, რომ სულ უბრალო მოვლენებშიც კი ვერ გარკვეულა. საკმაო ჰკუთაც ვერ იშოვა და ინტუიციისაკენ დასაბრუნებელი ხიდებიც დაწვა. დარჩა ასე შუაში გამოკიდული. საფრთხე არ ელის. ის კი მოკუნტულა და გარბის. საკმარისია, ორჯერ დაიქუხოს. ორჯერ გაიღვოს, რომ ის უკვე გარბის.“

როგორც კი ცოტათი გაუჭირდება, კაცი მაშინვე გარბის.

„გაიქეცი, შვილოსა, გაიქეცი!“

„გაიქეცი, შვილოსა, გაიქეცი!“

მკიდროდ კეტავს დარაბებს, თავს აფარებს ილუზიებსა და მოგონებებს, ან ფლანგავს ცხოვრებას თავაწყვეტილ ორგიებში.

„გაიქეცი, შვილოსა, გაიქეცი!“

„გაიქეცი, შვილოსა, გაიქეცი!“

ჰულის მამამ პირველმა მიიბრძინა ბალის კარებთან, ბალი გადაიბრძინა. კიბეებზე ავარდა. გასაღებით კარი გააღო. შინ რადიო უკრავდა. სქელ ხალიჩაზე გაიარეს. ჰულის დედას არ გაუგია მათი მოსვლა. ეილაცას ერთობ კეკლუცად ეტიკტიკებოდა ტელეფონით. ერთბაშად შენიშნა ისინი და შეტუნდა. ყურმილი დააგდო, მივიდა და ჰულის მამას აკოცა. ეს კარგი მოუგონიათ — ყოველთვის, როცა ჰულის მამა შინ ბრუნდება, ჰულის დედა კოცნით ეგებება, თითქო მამს შეუძლია სიყვარულის განმტკიცება.

სანჩო იატაკზე ჩაცუქდა. უკან თათით ყური მოიფხანა. ჩიქურ შეხედა ჰულის მშობლებს, რაღაცის თქმს დააპირა, მაგრამ აღარ დაუყუფია, წამოხტა, ტახტზე ახტა და ფანჯარაში გაიხედა. შუაღელე იყო, მაგრამ ირგვლივ ჩამოხედა მშობლებს. ჩანქის მხარეს ზეღოვად გაიღწა, თითქო ამ გორაკებს უკან დიდი დევი კვესსა ჰკრავს, მაგრამ ვერა და ვერ მოუკიდებია სიგარეტისთვისო.

ცხოველს ადამიანზე მასწავლო სმენა აქვს. ადამიანს მხოლოდ იმ ბგერების აღქმა შეუძლია, რომელთა სიხშირე სექუნდში 3000 არ აღემატება. თანაც, თუ ხელს არ აძლევს, ყურის ძირში ზარბაზნაღი რომ დაუტეალო, არ გაიგონებს. მეძებრას ცხვირი მწყერს ორ კილომეტრზე გრძნობს. ადამიანს კი ყნოსვა გაჩენის დღიდან ხომ ჩლუნგი ჰქონდა და ჰქონდა, ახლა მხოლოდ ფულის სუნიღა სცემს. კატისათვის ადამიანი ის არსებაა, ატმოსფეროს ელექტრობას რომ ვერ აღიქვამს, თავისათვის კი — ელტრათისფერ სხივებზე რომ ვერ რეაგირებს. შვარდენიც მართალია, რომ ვებრალეობთ, ახლომხედველები, ხართო: ჩვენი მხედველობის არე, რომელშიც ზუსტად და ნათლად ვხედავთ საგნებს, 50 მეტრის რადიუსიან წრეს ხომ არ აღემატება. კი დღე დაგვადგებოდა, ჩვენი ვრძნობათა ორგანოების სიძალაკეს ჩვენზე თავი რომ არ ანაწლავებდეს. მაღლობა ღმერთს, აღმოვაჩინეთ ტელეფონი, მიკროფონი, რადიო, მოვიძიეთ შორეული ბგერები და გავაგონეთ ისინი ჩვენს ყრუ ყურებს. სხვადასხვა სურნელება, რომელსაც ოდნავ ვგრძნობდით ან რომელთა არსებობაც კი არ ვიცოდით, გავაძლიერეთ ლაბორატორიებში და შევკედეთ ჩვენს სურდოიან ცხვირებში. ამით გავიმრავალფეროვნეთ შეგრძნებების უზადრუკი შველა, თანდათანობით გავუტოლდით ჩვენს ოთხფეხა მეგობრებს და მათ შორის ამაყად სიარულის უფლება მოვიპოვეთ.

მავრამ. მე შგონა, ადამიანის გონების უღიდესი მონაპოვარი მოკლე ტალღები კი არა, ოპტიკური მინაა. შევიდა იგი ტელესკოპის შემადგენლობაში და დაგვანახა, რაოდენ მცირენი ვართ, შევიდა მიკროსკოპის შემადგენლობაში და გვიჩვენა ჩვენი სიდიდე. თუმცა თავი ვანებოთ ამ ორ უკიდურესობას და, ავიღოთ მათ შორის საშუალო — დურბინი. დურბინი რომ არ ყოფილიყო, შეძლებდა კია ქრისტეფორე კოლუმბი ამერიკის აღმოჩენას, ან ადმირალი ბერდი ჩრდილო პოლუსისას? დურბინი რომ არ ჰქონოდა, დასცემდა ნაპოლეონი შიმშს ზარს ევროპას? იტყვიან. ნაპოლეონის დაპყრობებმა ბევრი ვერაფერი შესძინაო კაცობრიობას. მართალი ბრძანებაა. თუ ეგრეა, იმასაც ამბობენ, არც ამერიკის აღმოჩენას მოუტანიაო დიდი სარგებლობა, მავრამ. ეს სხვა საქმეა. გეტყვით მხოლოდ: ტირადა, დაწყებული სიტყვებით: „რომ არ ყოფილიყო დურბინი“, დაუსრულებლად შეგვიძლია გავაგრძელოთ. რომ არ ყოფილიყო დურბინი. არ იქნებოდა ეს, არ იქნებოდა ის, და, რაც მთავარია, პიჯაბი ბეის პენსიონერობის წლები არ გაივლიდა ესოდენ მზიარულად, ესოდენ ფერადოვნად და შინაარსიანად.

რა გასაკვირია, თუ დიდად პატივცემული პიჯაბი ბეი სულაც არ უყურებს დურბინს, კაცობრიობის განვითარების ისტორიის თვალსაზ-

რისით. გინახავთ ვინმე, რადიოს რომ უსმენდეს და მოკლე ტალღების საოცრებაზე ფილოსოფოსობდეს?

ბევრი ვიმტვრიე თავი, რათა დამედგინა საიდან, როგორ, რატომ, როდის გამოაჩნდა ჰიჯაბი ბეის ოპტიკური მინით გატაცება. ბოლოს დავასკვენი, რომ მემკვიდრეობითი მოვლენაა. ერთხელ ისე, სხვათაშორის თქვა: ჩემი ერთ-ერთი პეპერა ასტრონომიით ყოფილა დანტერესებული, პაპა კი გემის შტურმანი იყო... მამამისს კი არ უნდა ჰქონოდა არაერთარი კავშირი ოპტიკასთან. ოპტიკური მინები, რომლებშიც ცხონებული მთელი სიცოცხლე იხედებოდა, იყო — 2,5 სათვალე და ტაქსომეტრის ჭუჭრუტანა.

დიდად პატივცემული ბეი არც თავისი პეპერასავით გაჰყურებს ცას, არც პაპასავით ათვალეირებს ზღვას და არც მამასავით ეძებს გზის ტრიანგულაციის პუნქტებს. მისი ყურადღების სფერო მხოლოდ ახლომანლო წყლები და ხმელეთი იყო.

სამ დურბინდს, როგორც თვითონ ამბობდა, დაკვირვების არის მიხედვით სამად ჰყოფდა:

ერთი, ცხონებული შტურმანი პაპისაგან მემკვიდრეობით მიღებული მეკობრის კოგრიტი. შორი მანძილებისათვის ჰქონდა განკუთვნილი. ამ კოგრიტით აკვირდებოდა იგი ჩრდილო-აღმოსავლეთით დიდ ჩამლიჯას, მცირე ჩამლიჯასა და აჯიბებს¹ მიდამოებს: სამხრეთ-აღმოსავლეთით — ქინალის, ბურგაზის, სივრისა და იასის კუნძულებს, აგრეთვე ყველა ჯურის დიდსა თუ მცირე საზღვაო ტრანსპორტს: გემებს, იახტებს, კატერებს, იალქნიან, მოტორიან და ნიჩბიან ნაევებს, ამ კუნძულებს შორის რომ მიმოდიან.

მეორე, 8/30 ობიექტივიანი კარლ-ციეისის მარკის სამხედრო დურბინდი, საშუალო სიშორისათვის. მისი დაკვირვების არე იყო სამხრეთ-აღმოსავლეთით კალამიშის ყურე, იოლურთჩუს ხევი ტრანკვიის ხიდიდან მოკიდებული: ჩრდილო-აღმოსავლეთით — ფენერბაჰე, მენდირეჯი, საილქნო კლუბი, ბელუუ და მისი მიმდებარე ადგილები: ჩრდილოეთით — მოდას ნავმისადგომი, საზღვაო კლუბი, ტრეტეები და აღმანკაფის ბაღი.

მესამე — 1890 წლის მოდელის თეატრალური დურბინდი — ვილაც სომეხი ქალის მემკვიდრეობა იყიდებოდა აუქციონით და იქ იფად ჩაიგდო ხელში. რომლითაც აკვირდებოდა კახინოს. მეზობელი სახლების ბაღებს, აივნებსა და ფანჯრებს, აგრეთვე მეზობელ ჩიხს.

ჰიჯაბი ბეის ოთახი ზემო სართულზეა, ოთხივე მხრით ფანჯარა აქვს და ციხე-კოშკსა ჰვავს. როცა ჰიჯაბი ბეი იქიდან გრძელი კოგრიტით

¹ აქ და შემდგომშიც დასახელებულია სტამბოლის გარეუბნები ბოსფორის სრუტისა და მარმარილოს ზღვის სანაპიროზე.

იქცირება, მოგაგონებთ ანდრეა დორიას დროინდელ ცალხელა. კოკლ მეკობრეს. პრევეზეს ბრძოლაში რომ დაუქარგავს ხელ-ფეხი და ამ დამსახურების გამო აუყვანიათ გემზე. ანდა — ჭიუტ ზღვის მგელს. რომელსაც გამოუცხადეს: „კაპიტანო, უკვე დაბერდი. დარჩი ხმელეთზე!“ მაგრამ მაინც შეპარულა გემზე და უწინდებურად დგას სათვალთვალო პუნქტთან.

საშუალო მანძილებზე საყურებელი კარლ-ციხის დურბინდით ხელში იგი სამხედრო მანევრებზე მოწვეული მამაცი და ნამსახური გენერალია, „საბრძოლო მოქმედებას“ რომ ხელმძღვანელობს, თანაც სამხედრო ატაშეების წინაშე გულლიად ესაუბრება ახალბედა მეთაურებს.

ხოლო როგორც კი თეატრალურ დურბინდს მოიმარჯვებს, წუნია ბარონია, მეტროპოლიტენ ოპერაში „ტოსკას“ რომ უსმენს, ცხვირს უბზეკავს სკარპიას არიას მეორე მოქმედებაში და თან ფიქრობს: „ჯანდაბას, ბოლო მოქმედებაზეც დავრჩები, კავარადოსისა და ტოსკას დუეტს მოვუსმენ!“

ყოველი ხელობა თავის დაღს ასვამს კაცს: დურგლებს ძალზე დაკუნთული მკლავები აქვთ. გინახავთ სუსტფეხება ფოსტალიონი? არც ის არის შემთხვევითი, რომ პოლიტიკოსები ბაჭიები არიან, მესაათეები — თვალმდასიებულნი და მებძლეები — კუზიანები. ამიტომაც არის, რომ მიჯაბი ბეის შეხედვაზე პირველად მის ძალიან ლურჯ თვლებს დაინახავთ, თითქო სხვა ნაკვთებს პირი შეუქრავთ ამ ორი გადმოკარკლული თვალის სასარგებლოდ და ჩრდილში დარჩენას შეკატუბიანო.

დიდად პატივცემული ბეი განა მხოლოდ უთვალთვალებს? — რა ბრძანებაა! სურათები გაივლის დურბინდის ლინზაში, ბეის თვალბში — დიდ ლურჯ ობიექტივებში, შემდეგ ფოტოფირფიტაზე აღიბეჭდება მის თავში, ძველებური, საბერველიანი ფოტოაპარატისხელა რომ არის და ნესვის ფორმა აქვს. აქვე გადატრიალ-გადმოტრიალდება, გაირეცხება და სიტყვებად ქცეული პირის უჭრით გარეთ გამოვა.

აი, მიაპყრო შორ მანძილებზე სამხერალი დურბინდი ფენერბაჰჩესთან იახტას და ბუტბუტებს:

„ღმერთო ძლიერო! ამ ვარცლს პირველად ვხედავ. ალბათ. უფლისწულის კუნძულებიდან არის. მოიცა, კიჩოსთან რომ მიკუნტულა, სითარე არ არის? ღმერთმანი, ნედიმ ბეის იახტაა. შეულებიათ და ველარ ვიცანი. ეს ზორბა დედაკაცი. დოინჯი რომ შემოუყრია და ყურიან ქოთანსა ჰგავს, გერმანელი ძიძა იქნება. საბანაო კოსტუმი ვიწრო აქვს და სხეულს ვერ უფარავს.“

მიჯაბი ბეი თავს ანებებს იახტას. იღებს საშუალო რადიუსის დურბინდს, ყურადღებით ათვალთვალებს ყურეს და მხერაა აჩერებს საზღვაო კლუბის პლაჟზე:

„ვერა და ვერ გაათხოვეს ეს მამულსას გოგო. გადახტი, შვილო, გადახტი! გინდა მერცხალივით გადახტი, გინდა — ქოთანით. მაინც ვერ გიშოვია ქმარი და ეგ არი! პროფესორის ცოლს ყვითელი საბანაო კოსტუმი ჩაუცვამს. დღესაც ის მწვევარით ბიჭი ახლავს. გუშინ ზურგზე კრემს უსვამდა, ახლა ხელისგულზე დასაჩერებია. მკითხაობს. აი, ხელზე აკოცა. ყურები გამოიბერტყე. ვაჟას ბეი! როგორც ჩანს, ჩვენშიაც ბლომად გაჩნდა სამფა ოჯახები.“

ამ დროს ობიექტივში ხედება სკუტერი. ჯომელიც ტალღებზე მოხტის. დურბინდი კინოკამერასავით მისდევს მას: „ეს ის დამთხვეული ბიჭი არ არის, ამასწინათ კაბოტაჟის ზეიმზე საზღვაო ფლოტის ფელუ-კას რომ დაეჩახა და გადააბრუნა? შეხედეთ ერთი, არც კი დაუსკიათ. თუმცა რა, მამა თუ ადვოკატი გყავს, სამართალი რას დაგაქლებს?“

შორს ყურებით დაღლილი თვალები ცოტათი უნდა დაასვენოს. კარლ-ცივის გვერდზე გადასდებს, იღებს თეატრალურ დურბინს და თვალს ავლებს მეზობლების ბალებს:

„რეზანი ისევ პოკერს ჩასჯდომია. ჰილაიფთს კი ეფიციებოდა... ექ, ნათქვამია. ქათმის კურტუმომ ფიცი რა იცისო... როგორც ჩანს. ასე ბეის არაფერს არაფერს უჯერებს. ეს ბიჭიც დიდი ავარაა. მაგათ ოჯახში ერთადერთი ნორმალური კაცო სიძეა. სხვა ყველა გინდა თალღამი ყოფილა და ბოსტანში დაგირგავს“.

დურბინდს იქვე. კარის მეზობლის ნიაზი ბეის ბაღს უმიზნებს:

„უყურეთ, ნიაზიანთა სუფრა გაუშლიათ! ხორციანი ბადრიჯანი, წიწყაკის ტოლმა. პამიდვრის სალათი, კიტრის სალათი მანწვით. დურდანე დიეტაზეა და გუშინდელი გოგრის ყალიაც დაუდვამთ სუფრაზე. დახეთ, ეფროსი ქალბატონი ტოლმას ხელით იღებს. ღმერთმა შეგარგოს! ერდემი კბილებს იჩიჩქნის. ცივი ლუღიც მოართვის. ექ, როგორ ქამს ხალხი?!“

ნიაზიანთა-მეთქი. ვთქვი და გამახსენდა: ერთი თვის წინათ ამ ბაღში ნიშნობა ჰქონდათ. ნიაზი ბეის ვაჟი ერდემი — ჰკვიანი, წესიერი ყმაწვილი — დაინიშნა. მას ძველებური აღზრდა-განათლება აქვს მიღებული და ახლა ადვოკატთან გადის სტაჟირებას. მისი საცოლო გოგონა სანდო-პიანი გოგონაა. წაბლისფერთმიანი. ესქედარის კოლეჯში უსწავლია, მაგრამ მეთავე კლასიდან გამოსულა მამის სიყვდილის გამო. ისა და დედამისი ქიზილოთფრაქში ცხოვრობენ. ნათესავმა გაურიგა. უქებდა: ახლანდელ ურცხვ გოგოებს როდი ჰგავს. სწორედ ისეთი უმწიყვლოა, თქვენ რომ ეძებთო.

ნიშნობაზე ჰიჯაბი ბეიც დაპატიყეს. იგი უდურბინდოდ მოვიდა. მაგრამ მაინც კარგად გაერთო. ერდემი მის ხელში იყო გაზარდილი და შვილივით უყვარდა.

გაიარა ნიშნობის ეარდისფერმა დღეებმა. ერთ საღამოს ერდემმა ჰკითხა გულიზს:

— გუშინ საიდან გადახტი ზღვაში?

— ნავიდან.

— ვინ იყო შენთან ერთად?

— ჩემი ბიძაშვილი იონჯე.

— სხვა?

— სხვა არავინ.

— გეკითხები, ვინ იყო-მეთქი ის კბილებდაკრეკილი ტრპი, თქვენს ნავში რომ ამოძვრა?

— რას ამბობ? ჩვენს ნავში არავინაც არ ამომძვრალა.

— კიდევაც ბლლარძუნობდით.

— ტყუილია, ცილისწამებაა, ღმერთმანი! ვინ მიგონებს ამას; გენაცვალე?

— მაშ, რამ გაგაწითლა?

— გაწითლდი განა? თუმცა, კაცს რომ ეტყვი, გაწითლდი, მართლა გაწითლდება.

— მაშ, ვერ იხსენებ? მალალი, შავგვრემანი, გამხდარი...

— მოიცა, მოიცა, შაქირზე ზომ არ ლაპარაკობ?

— შაქირი ვიღა?

— იონჯეს უფროსი ძმის ამხანაგია. ბანკში ერთად მსახურობენ. მაგრამ არაფერიც არ მებლარძუნებოდა. ზღვაში ხელის კუნთი გაენასკვა და გვთხოვა, ჩვენს ნავზე ამოგვეშვა. ჩვენც ამოვუშვით. ეს იყო და ეს. დაშავდა რამე?

— აკი ნავზე არავინ ამოსულაო?

— ოპ, რა ვიცი, დამავიწყდა კიდევ. მეტი არაფერი მაქვს საფიქრალი? რა დაკითხვას მიწყობ, გენაცვალე? პრაქტიკას გადიხარ?

ერთი თვე ისე გავიდა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ერთ პარასკევ საღამოს, ბოშონდის ბაღში რომ იხსდნენ, ერდემმა მოულოდნელად ჰკითხა:

— გულიზ შენ მოდას კლუბის წევრი ხარ?

— არა, რატომ მეკითხები?

— ისე. გუშინ საღამოს ვიღაც თეთრკოსტუმიან მამაკაცთან ერთად იქ ჩაის მიირთმევდი.

— ღმერთმანი. ტყუილია! მოეშვი მაგ უაზრო ეჭვიანობას, გენაცვალე! ნახე. რამდენი დღეა, არ გვიჩხუბია. ვიღაცას ჩვენი წაქედება მოუწოდებოდა. მე მოგიკვდე. თუ არ მოთხრა, ვის?

— სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ.

— გეუბნები. ტყუილია-მეთქი. ცილისწამებაა, გაიგე!

— აბა, დაიფიცე.

-- გეფიცები.

-- მე დამიფიცე.

-- შენ თავს ვფიცავ!

-- დედა დაიფიცე.

-- რატომ დავიფიცო? ხომ არ გაგიყვებულხარ? მეც სულელივით აგყვედი და რასაც მთხოვ, გისრულებ.

-- გასაგებია.

-- რა არის გასაგები?

-- გარსონ, ანგარიში მომიტანე!

-- მიდიხარ? ნუ სულელობ. უკ, ლმერთმა სიკეთე მოსცეს. გამახსენდა, სულელი ორპანი იქნებოდა.

-- მოდაზე გემიდან ერთად ჩამოხვედიო.

-- სწორია. გემზე შემხვდა. მთხოვა, კლუბში ჩაი დაელოთო და უარი ვერ ვუთხარი. რა დანაშაულია? რაო, არ მენდობი?

-- როგორ არ ვენდობი, მაგრამ ისე იოლად ცრუობ, მეტი რომ არ შეიძლება.

-- ლმერთმანი, სისულელეა, ჩემო ერდემ, ყველანი დაუცინოდით. სულელი ორპანი შევარჩევით.

-- სად დასცინოდით?

-- მუნიციპალიტეტის ტურიზმის ბიუროში, გიღების კურსებზე.

-- შენ გიღების კურსებზეც დადიოდი?

-- დავდიოდი. მერე რა მოხდა?

-- რატომ აქამდე არ მითხარი?

-- რა ვიცი. დამეფიცა. ალბათ, საჭიროდ არ მივიჩნიე. შავატყე, მაგრამ ძალიან უხასიათო კი 'ხარ. აბა, რაზე იბუტებ? ყასიდად მაინც გაიცინე! ნახე, ყველანი ჩვენ შემოგყურებენ. ზრდილობიანი კაცო ასე არ ექცევა თავის დანიშნულს.

-- 'ერდემს მართლაც უყვარდა გულოზი და რას არ მოიპინეს შეყვარებული კაცი? ათი-თხუთმეტი დღის მანძილზე სულ ცდილობდა ზრდილობიანი ყოფილიყო და ქალს პატივისცემით მოქცეოდა. მეთხუთმეტე დღეს ერთი საკასაციო საქმის გამო ანკარაში უნდა წასულიყო. გულოზმა შინ გამომცხვარი შაქარლამა მიართვა. გადაკოცნეს ერთმანეთი და გამოემშვიდობნენ.

ზუსტად თორმეტი დღის შემდეგ ატყდა სკანდალი. შემთხვევით შევესწარნე, როგორ ელვასავით შემოვარდა ნიაზიანთ ბაღში ჰიჯაბი ბეი ხელში დურბინდით.

-- ლმერთს გეფიცებით. ეს ნიშნობა ჩაიშლება! — დაიქვსა მან. — ჩვენ წმინდანს გვგონია და ამ კახის საქციელმა ყველა საზღვარი გადალახა. რა ხანია, ვუთვალთვალე. დღეს იმ გარეწართან ერთად იყო

მოიჯარადრის იახტაზე. ზღვაში გავიდნენ. ღმერთმანი, განმარტოვდნენ. ცოტა ხნის შემდეგ იმ ტიპმა წყალში ჩაყვინთა. ცხადია. აფთესი აიღო.

რაც გულიზს იახტის კაიუტაში შეემთხვა, იქნებ, უცხო ამბავი არც იყო მისთვის. იქნებ, ერდემისადმი დიდი სიყვარულისდა მიუხედავად. სხვაგვარად არ შეეძლო? რასაც ჩვენ სინდის-ნამუსსა და უბიწოებას ვუწოდებთ, ზოგისათვის სხეულის აღნაგობის საკითხი უფროა, ვიდრე ზნეობისა.

გაიგო თუ არა, ერდემი ჩამოსულაო, გულიზი მაშინვე მასთან გაჩნდა. ყველაფერი იუარა, იტირა, იწუწუნა, იზღუქუნა და რომ ვერაფერს გახდა, სულ გადაიჩია — ერდემი დაკბინა კიდევ. ერდემიც, ეს წყნარი, თვინიერი ყმაწვილი მოთმინებიდან გამოვიდა და საქვეყნოდ სილა გააწნა ქალს.

ჰიჯაბი ბეის კი ხელები დაუკოცნა და უთხრა:

— კიდევ კარგი. დროზე გამაფრთხილეთ, თორემ ცოლად რომ შემერთო, ღმერთმანი, სისხლს დავეღვრიდი!

„უბიწოზე“ რომ ხელები დაიწვა, ერდემი „ოდნავ შელახული რეპუტაციისას“ დასჯერდა. ცოლად შეირთო ერთი გოგონა, რომელიც ბანკში მსახურობდა; ფლორიას სანაპიროსთან ბანაობდა ზღვაში და ამდენად, ჰიჯაბი ბეის დაკვირვების არეში ვერ ხვდებოდა.

ამ შემთხვევის შემდეგ საგრძნობლად იკლო კალამიშის ყურეში „ლუფარზე გამსვლელთა“ რიცხვმა. იმ უბნის გასათხოვარი გოგონები ისეთ წყლებს ეტანებიან, ჰიჯაბი ბეის თვალი რომ ვერ სწვდება. მაგალითად, მუჰრდარს ან დალიანს, ფენერბაჰჩეს ყურის შიდა მხარეს რომ არის. თუ იძულებულები გახდებიან. ყურეში იბანაონ, ძალიან ფრთხილობენ.

გუშინ დილას სათევზაოდ წავედი. ჩვენი უბნის ლამაზმანები: დუიგე, ესერი, აილა, არმადანი და სხვები ესერიანთ პლაჟთან ბანაობდნენ. თავიანთი ყმაწვილი მეგობრები მიუახლოვდნენ. მათ დანახვაზე არმადანი და დუიგე წყალში შეცვიდნენ. ესერი და აილა აწრიალდნენ, ხალათები წამოისხეს. პირსახოცები აიფარეს. თითქო ისლამის წესის მიხედვით უცხო კაცის თვალს ემალებიანო. გასაგებია, ემალებიან ღურბინდს, რომელიც მათ უთვალთვალებს, მაგრამ ეს შიშით ლაპარაკი რაღაა, თითქო დიდად პატივცემულ ბეის საიდუმლო ხმის ჩამწერიც ჰქონდეს:

— დღეს ძალიან ცხელა, არა, აილა ხანუმ?

— დიახ, ალბათ სამხრეთის ქარი ქრის, მაგრამ ფოთოლიც რომ არ იძვრის?

— თეომან ბეი, როდის ბრუნდებით ანკარაში?

— თუ არაფერმა დამაბრკოლა. ერთ კვირაში. ესერ ხანუმ, მამათქვე-
ნი როდის ბრუნდება კონგრესიდან?

— მგონი, იმ თვის დასაწყისში.

— სამწუხაროა. თუ ვერ ვნახე, გადაეცით ჩემი დიდი მოკითხვა.
მეტს აღარ შეგაწუხებთ.

სადაა. უწინდებური ლაზღანდარობა. ღლაბუცი?

სალამოს თეომანს ვკითხე: ის რა კომედია იყო დილას-მეთქი.

— ჰიჯაბი ბეი მარტო ზღვაში შესულ „მოთევზავეებს“, კაიუტაში
გახალვათებულ წყვილებს ან შინიდან გაპარულ ქმრიან ქალებს კი არ
ხედავს, არამედ — ყველას და ყველაფერს.

ნიზამეთინ ბეიმ ჰიჯაბი ბეის ღურბინდის წყალობით გაიგო, რომ მის
ადვოკატს მოლაპარაკება გაემართა მოწინააღმდეგე მხარესთან, ფა!რუ-
ნისა ხანუმმა — მისი ქმარი ზოგჯერ რივეირაზე თავის პირველ ცოლს
რომ ხვდება.

მოდას, ქალამიშის, ქადიქოსის მცხოვრებნო!

ფრთხილად იყავით, თქვენ არაფერი იცით, მაგრამ თქვენ შესახებ
ყველაფერი იციან! თქვენ ვერა ხედავთ, მაგრამ თქვენ გხედავენ. რაკილა
იცით, რომ გითვალთვალებენ, გხედავენ, თავს იღებთ, იპრანკებით,
თვალთმაქცობთ, ამით იქნებ სხვებს ატყუებთ, მაგრამ ვერ მოატყუებთ
ერთ კაცს. როცა მარტო ხართ საკუთარ თავთან და გგონიათ, რომ არ
ჩანხართ, მაშინაც კი ვერ დაუმაღავთ მას თქვენს ჰეშმარიტ სახეს.

ჩემს ბედნიერებას შენ ბიბადლი

- ძვირფასო, ერთი ქალი გავიცანი, ნულარ მკითხავ...
- ძალიან ლამაზია?
- რას ამბობ, ძმაო... აი, შეხედე, სურათიცა მაქვს მისი.
- მართლაც რომ ლამაზი ყოფილა! ემანდ, არ მოიტაცო!
- როგორ მოვიტაცებ, კაცო! რომ იცოდე, რა ცეცხლი მეკიდება!
- თვითონ თუ იჩენს შენ მიმართ ინტერესს?
- საკმაოდ.
- ეცადე მოინადირო მისი გული.
- ძალ-ღონეს არ დაეზოგავ.

- რა ამბავია? რა არის ახალი?
- ლეთის წყალობით, მშვიდობაა... გასულ დღეს რომ ვითხარი, აი, ერთი ქალია-მეთქი...
- ჰოოო!...
- ცეცხლი უკვე საკვამურს მოედო. გაგიყვებით მიყვარს.
- მას თუ უყვარხარ?
- არ ვიცი.
- ეცადე, თავი შეაყვარო!
- კი, მაგრამ როგორ?
- ხომ იცი, დიდრ გამოცდილება მაქვს. საჩუქარი უყიდე. ქალებს ყვავილები უყვართ, განსაკუთრებით მისაკი... შემდეგ, ჩემო ბატონო, ძვირფასი საჩუქრებიც მიართვი. ზოგჯერ უთხარი, რომ ძალიან კვიანია.
- მასე ვიზამ. როგორც მითხარი, ისე მოვიქცევი!

- რა. აღარ ვიცი, როგორ გადაგიხადო მადლობა.

- რა იყო?

-- ძვირფასო, შენ გცნობია ქალი, სული. შენი რეცეპტით ვმოქმედებდი. ქალმა პირი მიჩვენა. ღვთის გულისათვის მითხარი, კიდევ რა გავაკეთო?

— კინოში წაიყვანე, მაგრამ ფრთხილად, სერიოზული ფილმი არ იყოს... სურათი უნდა იყოს ან ძალიან ნაღვლიანი, ან წყალწყალა კომედია; ანდა მუსიკალური. კინოდან რომ გამოხვალთ, აუცილებლად შეიყვანე რომელიმე საშაქარლამოში. შეუკვეთე ვანილიანი ნაყინი. იცოდე, უსათუოდ ვანილიანი. შემდეგ ჯიბეში მასთვის ყოველთვის იქონიე შოკოლადის დრაჟე, არ დაივიწყო!

— ისე ვიზამ, როგორც მეტყვი. კვიდეები ამ ქალისათვის.

— გუშინ კინოში წაიყვანე. კინოში შოკოლადის დრაჟე მივატვი, გადაარია კინოს შემდეგ ერთ საშაქარლამოში შევედი. ვანილიანი ნაყინი შევუკვეთე. დიდი გემოვნების შამაყატი ხართო, მითხრა. ამ კვირაში სასეირნოდ წავალთ სადმე. მითხარი, თუ ღმერთი გწამს, სად გავასეირნო?

— მე თუ მკითხავ, ბუიუქადაზე წაიყვანე. სახედრით გაისეირნეთ, პლაჟზე წადით, მერე იცეკვეთ. ოღონდ მხოლოდ ვალსები აცეკვე.

— ოხ, ღმერთო, ეს ქალი რომ როგორმე ხელში ჩამავლებინა!

— ისე ქენი, როგორც გუბნები და ჩაიგდებ.

— ღმერთმანი, არ ვიცი, რით გადაგიხადო მადლობა!

— როგორ გეკადრება! მე მხოლოდ ჩემს გამოცდილებას ვიზიარებ, ესაა და ეს.

— როგორ არის საქმე? წახვედით გასულ კვირას. სასეირნოდ?

— წავედი... ღმერთო ჩემო, რა დრო ვატარეთ, მაგრამ იმ ქალთან მაინც ვერაფერს გავხდი.

— რატომ?

— ქმრიანი ყოფილა. ტყუილუბრალოდ ეტკეპნით ქუჩებს.

— უყვარს კი თავისი ქმარი?

— არა, გეთაყვა, ვირივით ქმარი ჰყოლია. ერთი ყეყერი ვინმეაო, ქალისა არაფერი გაეგება, ტლანქი და გაუთლელის ერთიაო.

- უპ, საბრალო ქალი! მერედა, რატომ არ სცილდება?
- შენი იმედი რომ მქონდეს, დღესვე ვაკეცრებოდიო, მეუბნება. თხ, რომ არ ვიცი რა ვქნა!
- არ მოეშვა, არა!

- რა მოხდა, წასწიეთ წინ საქმე?
- ნუ მკითხავ, ერთხელაც ვერ ვაკოცე. მეტად უქარებაა, მაგრამ ვგრძნობ, რომ ვუყვარვარ.
- განაგრძე საჩუქრების ყიდვა. უყიდე, მაგალითად. ლოსიონი, კერძოდ კი „სკანდალი“... მერე, მაგალითად... მე რა ვიცი, უყიდე რაიმე ქსოვილი. ქალების უმრავლესობას ცისფერი უყვარს, ღია ცისფერი ქსოვილი.
- ქმარმა რომ იაზროს?
- საიდან იაზრებს?! ქალმა ხომ თქვა, ყუყუჩის ერთიაო!.. თუ გინდა, ქსოვილს მე შეგიჩჩევ.
- ძალიან კარგი, მაშინვე ვიყიდი.

- როგორ მიდის საქმეები?
- ლოსიონი რომ ნახა. თქვა. ეს ჩემი სენამოაო. ქსოვილის ფერზე ხომ ჰკუთა დაკარგა. მაგრამ, ძმაო, ჭერ სკოლის მოწაფეებივით ვართ. ერთი მითხარი. ეს ქალი როგორ ჩავაგდოთ ხელში?
- იაპია ქემალის ლექსები წაუყიჯხე. უთხარი, ქმარს გაეყარე და შეგიერთაე-აქო!

- კარგა ხანია არ გამოჩენილხარ, სად იყავ?
- ველარ მოვედი. საქმეებში ჩავიძირე. ქალი ქმარს გასცილდა.
- უნდა შეუღლდეთ?
- ცხადია...
- ფრთხილად, დროს ნულარ კარგავ, ყველაფერია მოსალოდნელი!

- არ ვიცი, როგორ გადაგიხადო მადლობა, გუშინ დავკორწინდიო. ჩემს ბედნიერებას შენ გიმადლი. შენი წყალობით შევირთე ცოლი.
- უფრო სწორად, მე ვარ შენი მადლობელი, ძმაო! მეც ჩემს ბედნიერებას შენ გიმადლი, იმიტომ, რომ შენი წყალობით გავშორდი ცოლს.

თანამედროვე თურქი მწერალი. დაიბადა 1929 წელს. 50-იან წლებში ფ. ბაიუშროი მუშაობდა სოფლის მასწავლებლად თურქეთის ერთ-ერთ შორეულ კუთხეში, შავშეუში. მისი მასწავლებლობის პერიოდს ასახავს წიგნი „ფიჭის გორა“. რომელიც 1974 წელს გამოიცა თურქეთში. წიგნი რეპორტაჟის ხასიათს ატარებს. ავტორი წამოჭრის შთელ რიგ საკვირბოროტო საკითხებს თურქეთის ცხოვრებიდან. „ჭვეიზლს ეკლესია“ ერთ-ერთი მათგანია.

ჯევიზლის ეკლესია

არავინ იცის. თუ რამდენი წლისაა ეს უზარმაზარი ნაგებობა. იქნებ ათასის და იქნებ უფრო მეტისაც. ზოგი რას ამბობს და ზოგი რას. ჭვეიზლი კი, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, კაკლიანი სოფელია. კაკლები მაისის თვეში ყალუხე დგებიან. ვაშლი, ქლიავი, ქერაში, ნაზი ტირიფები... ამდენ სიმწვანეში შორიდან ძნელად თუ შენიშნავ ამ შენობას. მის სიდიადეს კი მხოლოდ მაშინ აღიქვამ, როდესაც მიუახლოვდები. შიგნით შეხვალ და მაღლა აიხედავ. ძველი ეპოქისა. აქ მცხოვრები ხალხის. მათი დაკარგული სარწმუნოების, მათი ცივილიზაციის ნაშთია იგი. შეუდარებელი სილამაზისაა ეს ეკლესია.

მაგრამ რად გინდა, არ კი გაახარეს! სიხარბე და უჭკუობა მართო სოფლელების თვისება კი არ არის, არამედ განათლებული. ნაწუავლი. დიპლომიანი ადამიანებისაც... ახლა ეს ადგილები ქვიანა და ღორღის გროვებითაა სავსე. იმდენი ქნეს, რომ მხოლოდ ერთი გუმბაჯი, ერთი კედელი და ორი სვეტილა შემორჩა, ხვალ ესეც აღარ იქნება. ამ სახითაც კი ძალიან მომხიბლავია ჭვეიზლის ეკლესია.

„ძალიან ნაგებობა კი ყოფილა, ჩემო ბატონო! კიდევ კარგად გაუძლია! სახელს არ დაგვასახელებ და ერთმა ყაიმაქამმა სამოცი დინამიტი ააფეთქებინა მისი საძირკვლის კედელთან! მაგრამ დანგრევა რაა, არც კი შეინძრა ეკლესია!“

სამოცი დინამიტი, სამოცი! თანაც წარმოიდგინეთ, რომ მათ ყაიმაქამი აფეთქებს. აბა, რომელი შენობა გაუძლებს, რომელი არ დაინგრევა?!

ჩვენი ხალხი ცხვარივითაა: ეტყვი, დანგრეო, დაგიჭერებს და და-

ანგრევს. ილჩეში, ქანდარმერიის უფროსისათვის სახლი უნდა დაიდგათ. რაღა თქმა უნდა, მის სახლს ჩვეულებრივ ქვას ხომ არ აკადრებდნენ? ამისათვის გამოთლილი, სწორი ქვებია საჭირო. ასეთი ქვები კი ბაზარზე არ იყიდება, აბა რისთვის დგას ჯევისლის ეკლესია? ის რომ ასე დაინგრეს და განიავდეს, განა უფრო ჭკვიანური არ იქნება?

თანაც რა საჭიროა ამ ადგილებში ეკლესია? ისტორიულ ძეგლთა დაცვის კანონი?... ეჰ, მოგცლია ერთი და! აქვს კი რაიმე კავშირი ჩვენს ისტორიასთან? აბა რა, დავდგეთ და გულზელდაკრფილებმა ვუყუროთ გაიურთა აქ დიდების ნიშანს?

დღეს, დაუნგრეველ კედლებზე, ადამიანის სიმალეზე უფრო მაღლა, წმინდა მამების საუცხოო ფრესკებია შემორჩენილი. შეკრებილან, შუაში შედარებით უფრო დიდი მამაკაცის გამოსახულებაა, ცნობილ „მოსეს ქანდაკებას“ გვაგონებს. ფიქრებში ჩაძირული კაცივით გადახრილა წინ, ხელში წიგნი უჭირავს! როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი პიროვნებაა. სხვები, მის გარშემო დიდის კრძალებითა და მოწიწებით დგანან. მათაც წიგნები უჭირავთ. მათ მოწიწებაში რაღაც დაუფარავი სიამაყე გამოკრთის. ეს დიდი ერუდიციით გამოწვეული სიამაყეა. ნეტავ, რა საღებავებით დახატეს, რომ არც ხაზები გაფუჭებულა და არც ფერებია გახუნებული?! ცოცხლად, უდრეკად დგანან ამ გადარჩენილ კედლებზე.

წმინდა მამების თავებს ზემოთ, ფრინელებს მსგავსი ფრთიანი პეკლები ხატია. განცალკევებით მოჩანს ნახევრად ადამიანის; ნახევრად ცხოველის მსგავსი ლამაზი ასული. ეს ცნობილი „თამარი“ ყოფილა. სხვა კიდევ რა იყო. ვინ იცის! სულ მალე ესეც გაქრება.

„სამოცი დინამიტი ააფეთქეს, ჩემო ბატონო, და არ დაინგრა, მერე ცოტაც მიუმატეს და ძლივს დაანგრის. მხოლოდ მერეღა მოიტანეს დანგრევის ბრძანება“.

დღეს შემორჩენილი კედლის ნაწილები შემურულია. „ფრესკების დასაფარავად შიგ ცეცხლი დაუნთიათ, მაღალი კიბე რომ ეშოვნათ, ავიდოდნენ და გადაფხედნენ კიდევ, ცეცხლის დანთებით კი მხოლოდ ესღა მოუხერხებიათ. ეჰ, შენ ეს დანგრევამდე უნდა გენახა! ამ შენობის სიმაღლე! სილამაზე!... პირი ღია დაგრჩებოდა. შიგნით, შესვლისას სასიამოვნო სიგრილეს გრძნობს ადამიანი“.

ეს სარდაფიაო, ამბობენ. სარდაფებისკენ მიმავალი გზები და კარები ქვასა და ღორღს გადაუკეტავს.

„შიგნით უამრავი ქვევრი ყოფილა. თითოეული თხუთმეტფუთიანი. მე ჩემდათავად, შვიდი ქვევრი ამოვიღე. სახლში მაქვს. იმხელებია, რომ თუ გინდა ჩადი, დადექი და ხელებიც გაშალე. ნეტავ როგორ ვაკეთეს?! როგორ ამოზიდეს?! იმდენად გამძლეა, რომ პაპიდან შვილიშვილს და მის შვილიშვილსაც გაპყვება. კარგი, ვაკეთეს, მაგრამ საღდა

შოულობდნენ ამ ქვევრების ასავსებ ღვინოს?! ახლა, არც ჭევიზლში და არც მის ახლო-მანლო, ერთი მტვევანი ყურძენიცი კი არ მოდის. მართლაც, საკითხავია, საიდან მოჰქონდათ ამდენი ღვინო? გზა? ძველადაც ჰქირდა აქ სიარული“.

ქვები... მთლიანნი, ადამიანის სიმაღლეზე უფრო მაღალნი. განიერნი, სწორნი. შენობა მთლიანად ასეთი ქვებითაა აშენებული. ერთი ბეწო ხეც არ გამოუყენებიათ. ერთი დიდი გუმბათია... მის გვერდით კი მთელი რიგი პატარა გუმბათები. ყველაფერი გამძლე, სწორი და გამობზომილია. (დაუნგრეველზე მოგახსენებთ).

„ეს მღვდლების სენაკია, ეს კი ცოდვების მოსანანიებელი ოთახი“, თითქოს თავისი თვალთ უნახავთო. ისე დაწერილებით მოგიყვებიან ყველაფერს. შემდეგ ხელს ხელზე შემოჰკრავენ და წამოიძახებენ: „ეს უზარმაზარი ქვები ამ სიმაღლეზე როგორ აიტანეთ!...“

თქვენ განუმარტავთ, რომ ადამიანს ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა წარმოდგენა ამწეზე და მის მავჯორ საშუალებებზე, მაგრამ რადგან მათ დღესაც კი არ ესმით ამწის მნიშვნელობა, ვერაფერს იცებენ. გუმბათებზე ქვებით გადაუხურავთ, სოფლები მას „ქვის ყავარს“ უწოდებენ, ბრტყელი, სწორი, ძალიან განიერი ქვებია. ქვები ერთმანეთისთვის მიუღვიათ და შეერთების ადგილები კი ზემოდან ღარის ფორმის ქვებით დაუფარავთ. ქვის ეს საფარი, რომელიც ვერტიკალურ ზოლებად დაუყვება გუმბათს, გრძელი და სწორია. აშკარაა, რომ ქვის თლის დიდი ოსტატები ყოფილან. რა ხელმა გამოთალა ნეტავი ეს ქვები ასე ნატიფად და დახვეწილად?

წინაპრებისაგან გაგონილს ყველას უამბობენ. „აქედან ოთხი საათის სავალზე, ყარაქოიში, ქვის ცნობილი ოსტატები ყოფილან. ქვის საბადოც ძირითადად იქ ყოფილა. ეკლესიის ხუროთმოძღვარს უანგარიშია, დაუთვლია, აულია თავისი დაეთარი და წასულა ყარაქოიში: ამ სიგრძის და ამ სიგანის, ამდენი და ამდენი ცალი ქვა ამდენ და ამდენ დღეში მინდაო, უთქვამს. ქვის მჭრელებს ერთი კი აუკაპიწებიათ ხელები და... როცა დაუმთავრებიათ, ხუროთმოძღვრისათვის ხალხი უთხოვიათ და გადაუზიდინებიათ. ქვის მზიდავები თითო ნაბიჯის ინტერვალთ ჩამწკრივებულან და ქვები სულ ხელიდან ხელში გადაცემით გადაუტანიათ. ბოლოს ხუროთმოძღვარს უთქვამს, ერთი ქვა აკლია და ვერ მივიღებო. უძებნიათ და ბუჩქებში უნახავთ. თურმე ერთ-ერთი მუშა დაღლილა და ქვა იქ დაუტოვებია. ხედავ შენ ხუროთმოძღვარს! ერთი იფიქრე. ბატონო, ჯერ საძირკველიც არ ჩაუყრია და უკვე იცის, როგორი იქნება, რამდენი ცალი ქვა დასჭირდება. წვრილად იცის ყველაფერი!“ კიდევ ერთხელ ხელი ხელს შემოჰკრავენ და უკვირთ.

საქმე მართო ამ დანგრეული ეკლესიის ქვების დატაცებით არ მთავრდება. უანდარმერის უფროსის სახლის მშენებლობის შემდეგ,

ეს ქვეები სკოლის მშენებლობაშიც გამოუყენებიათ. იმასაც ამბობენ, რომ ჭვეიზლის მეჩეთიც კი, ნაწილობრივ ამ ქვეებით არის აშენებულიო.

გამოვიდვართ და გარედან ვუყურებთ. გუმბათის წვერზე პატარა-პატარა ბუჩქები გაჩენილა, ხეები თავისი ფესვებით ქვის შენობის დახეთქვას ცდილობენ. უკანა მხარეს, ყველაზე მაღალ წერტილში, მოჩანს ცხვრის ბარელიეფი — წინა ორ ფეხზე ჩაჩოქილა და თავი წინ წაუწევია, სამხრეთისაკენ, სადღაც შორს იყურება. საოცარი სტილია, დღევანდელ ხის ძეგლებს მოგვაგონებს. ცოტა შელახულია, მაგრამ თავის სათქმელს მაინც ამბობს.

სარდაფები, მიწის ქვეშ. ბაღის ნახევრამდეა გაწოლილი. სოფლის დაწყებითი სკოლა ეკლესიასთან ძალიან ახლოსაა. კაცი შეხედავს ხან ერთს, ხან მეორეს და ქვეცნობიერად ადარებს მათ. სკოლის საპირფარეშო ეკლესიის ძირშია მოთავსებული. იმდენი უთხრიათ, საპირფარეშოებისათვის საჭირო ორმოები, რომ სარდაფებამდე ჩაულწევიათ. სარდაფებზე კი უბრალოდ დაუფხაჭნიათ „WC“ სიმბოლო.

საინტერესოა კამათი იმის შესახებ, თუ რამდენად წინ წავიდა ადამიანის შეგნება-ცევილიზაცია. იქნებ ამ ეკლესიის ქვებმაც, ეგვიპტის პირამიდების მსგავსად, მონების ზურგზე გადაიარა. მისი მშენებლობისას, ვინ იცის, რამდენი უნო, უუფლებო ადამიანი. დასახიჩრდა და დღილუბა. ზოგჯერ მაინც გაიხსენეთ გზისაგან, ზღვისაგან, დიდი ცენტრებისაგან მოშორებული, დედამიწის ამ პატარა ნაწილში მდებარე დანგრეულ ეკლესია. მის გარშემო, მის გვერდით არსებული სოფლის სახლები, სოფლის გზები, წყაროები, სოფლის ხიდები. გაიხსენეთ სოფლის ეს ძველი თუ ახალი ნაგებობანი. სკოლებზე იფიქრეთ. შეხედეთ, ჭვეიზლის სკოლა, 1930 წელს რომ აშენდა, დღეს ინგრევა.

მამასახლისი მწარედ განიცდის ამ ამბავს: „სანამ ბავშვებს თავზე ჩამოემხოვბათ, იქნებ ვუშველოთ რამე, მივიდეთ, ვთხოვოთ მთავრობას, ან იქნებ ვინმემ გამოგვიწოდოს დახმარების ხელი, ნეტავ არ დაგვეხმარებიან?!“.

ს ა მ უ რ ვ ე ლ ი

ბავშვები საჩინბოს ეზოში ეთამაშობდით. ქვემოთ, ვერცხლოსფერ ტირიფებში მიკარგული ნაკადულის სევდანარევი ბუტბუტი ისმოდა. ჩვენი სახლის ღობე, თითქოს წაბლის ხეების მიღმა გაუჩინარებულიყო.

დედა სტამბოლში გაემგზავრა. ჩვენც მეტი რა გვინდოდა, მე და ჩემზე ერთი წლით უმცროსი ძმა ჰასანი დადარუქს აღარ ვცილდებოდით. დადარუქი მამაჩემის მეგობრებზე, ერთი მოხუცი კაცი იყო. დილაადრიან საჩინბოში გავრბოდით. აუწყრელ სიხარულსა და ბედნიერებას გვანიჭებდა ჩვენი უსაყვარლესი საქმიანობა—ცხენების მოვლა. დადარუქთან ერთად ცხენები წყალზე ჩაგვყავდა, შიშველ ზურგზე ვაჯდებოდით. ჰასანს ეშინოდა, მარტო ვერ ჯდებოდა. დადარუქი მას წინ ისვამდა. ტომრების ქერით ამოვსება, გობების ბალახით ავსება, საჩინბოს დაკვა. ნაკელის გატანა ამ ქვეყნად ყველაზე დიდ სიამოვნებად მიგვაჩნდა. განსაკუთრებით ცხენების დაურევაბა გვიზიდავდა. დადარუქი ხელში სამურველს იღებდა და, როგორც კი საქმეს შეუდგებოდა, ტიკი...ტიკი...ტიკი...ტიკი... საათივით ტიკტიკი ავსებდა იქაურობას. მე ვცქმუტავდი, ადგილზე ვეღარ ვჩერდებოდი. ერთხელაც...—მეც გავაკეთებ, ვუთხარი დადარუქს და დაგვფაცურდი.

დადარუქმა თოსუნის ზურგზე შემსვა, ხელში სამურველი დაძვერინა და მითხრა:

— მიდი, გააკეთე!

რკინის სამურველი ცხოველს ზურგზე წაუვსვი, მაგრამ იმ კეთილხმოვან ტიკტიკს ვერ მივალწვიე.

— კულს იქნევს?

— იქნევს.

— აბა. ერთი ენახო?!

ხან ვიხრებოდი, ხან ვსწორდებოდი, მაგრამ ცხენის გავის მეტს ვერაფერს ვხედავდი.

ყოველ დილით, როგორც კი საჩინბოში შევირბენდი:

— დადარუქ, ცხენს შე დაეაურეებ, — ვემუდარებოდა.

- ვერ შეძლებ.
- რატომ?
- პატარა ხარ და იმიტომ.
- შევძლებ.
- გაიზრდები და მერე.
- როდის გაიზრდები?

საჩინბოს საქმეებიდან მხოლოდ ცხენების დაურეგება მივირდა, არ გამოძლიოდა. ცხენს მუცლამდეც კი ვერ ვწვდებოდი. ყველაზე მხიარული, ყველაზე სასიამოვნო საქმე კი ეს იყო. თითქოს მოსწონსო თოსუნს სამურველის ტიკტიკი, ყურებს ცქვიტავდა და კუდს უზარმაზარი ფუნჯივით აქანავებდა.

ერთ დღეს სახლში მარტო დავრჩი. პასანი და დადარუჭი წყლის პირას ჩასულიყვნენ. ჩემში ცხენის დაურეგების დაუოკებელმა სურვილმა გაიღვიძა. სამურველს დაუწყე ძებნა, ვერ ვიპოვნე. თაროებზეც ვეძებე, უნაგირებს შორის რაღაც შევნიშნე. არ არის! საწოლის ქვეშ მწვანე ფიცარის სკივრი იდგა. მივედი, გავაღე. სიხარულისაგან შევეყვარე. იმ საჩუქრებს შორის, დედამ რომ ერთი კვირის წინ სტამბოლიდან გამოგვიგზავნა, ვერცხლისფერი სამურველი თვალისმომკრელად ბზინავდა. მაშინვე ხელი ვტაცე და თოსუნთან გავიქეცი. სამურველი მუცელზე წავეუსვი, მაგრამ ცხენი არ გამიჩერდა.

ვერცხლივით მზზინავი, ლამაზი სამურველის კბილებს დავხედე. მეტად ბასრი და მახვილი მეჩვენა: გადავწყვიტე ცოტაოდენ წამექლიბა. კედელთან მივედი და ქვას გავუსვი. კბილები ისე ბასრი აღარ მეჩვენა. კვლავ ვეცადე დაურეგებას. არც ერთი ცხენი არ გამიჩერდა. გავბრაზდი. თითქოს ჭავრი უნდა იყაროსო, სამურველი იქვე, ათ ნაბიჯზე მდებარე წყაროს ქვის ორეზე დავდე. კაცი რომ ადგილიდან ძლივს დაძრავდა, ერთი ისეთი ქვა ავიღე და მთელი მონდომებით სამურველს ზემოდან დავუშინე.

სტამბოლიდან გამოგზავნილი მშვენიერი სამურველი, დადარუჭის ხელში რომ არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა, ნამსხვრევებად იქცა. ავიღე და მაშინვე ქვის ორეში გადავუძახე.

მამაჩემს ჩვევად ჰქონდა, ყოველ დილით, ვიდრე საქმეებზე წავიდოდა, საჩინბოში უნდა შეველო. იქაურობისათვის თვალი მიმოველო. იმ დღეს საჩინბოში კვლავ მარტო ვიყავი. მამამ დაინახა ქვის ორეში გადაგდებული, გატეხილი სამურველი და დადარუჭს დაუძახა:

— მოდი აქ!

სუნთქვა შემეკრა. ძალიან შემეშინდა. დადარუჭი დაიბნა.

— ეს ვინ ჩაიდინა? — ჰკითხა მამამ დადარუჭს.

— არ ვიცი.

მამამ თვალები დამიბრიალა და კითხვის გაჟეორება ვერ მოასწრო რომ...

— პასანმა... ეუთხარი.

— პასანმა?

— ჰო, გუშინ სკოვირიდან ამოილო და ქვის ორეზე დაამსხვრია.

— რატომ დადარუქს არ უთხარი?

— ეძინა.

— დაუძახე. მე მას ვაჩვენებ!

ალაყაფის კარში შევედი, ჩრდილიან გზას გავუყევი და სახლისკენ მოვკურცხლე. პასანს დავუძახე. საწყალმა არაფერი იცოდა. სირბილით მომდევდა.

მამაჩემი მკაცრი კაცი იყო. მისი შემოხედვის ძალიან გვეშინოდა. პასანს უთხრა:

— თუ ტყუილს შეტყვი, გცემ.

— ტყუილს არ გეტყვი.

— ეს რატომ გატეხე?

დაბნეულმა და გაკვირვებულმა პასანმა დადარუქს შეხედა. მას გატეხილი სამურველი ეჭირა ხელში.

— მე არ გამიტეხავს, — თქვა:

— ნუ მატყუებ, მე შენ გეუბნები.

— მე არ გამიტეხავს.

მამამ კვლავ გაუმეორა:

— სიმართლე მითხარი, არ დავსჯი. ტყუილის თქმა არ ვარგა!

პასანმა კვლავ ითარა. გაჩიუტდა.

მამამ მოთმინება დაკარგა; ძალიან გაბრაზდა:

„უსირცხვილო კრუპენტელა!“ უთხრა და სილა გააწნა.

— წაყვანე სახლში: გაფრთხილებ. კარგა ხანს აქ აღარ შემოუშვია.

სახლში იჯდეს! — დაიყვირა.

დადარუქმა ჩემს ატირებულ ძმას ხელი მოხვია და ალაყაფის კარი-საკენ გასწია.

იმ დღიდან საჯინბოში მართო ეთამაშობდი: პასანი სახლში იყო დამწყვედელი. დედას ჩამოსვლამაც ვერ უშველა. არ აპატიო. როგორც კი ხელსაყრელ მომენტს იშოვიდა „ო, შე მატყუარა“, ეუბნებოდა.

პასანს მამის მიერ გარტყმული სილა როგორც კი ვაახსენდებოდა, ტირილს იწყებდა. ძალიან იტანჯებოდა. „სულელმა დადარუქმა ცხენებს არაფერი მოსწიოს“, ამბობდა.

მეორე ზაფხულს დედაჩემი კვლავ სტამბოლში გაემგზავრა. ჩვენ ისევ მართო დავიჩიოთ. პასანს აკრძალულა ჰქონდ საჯინბოში შეხველა. სალა-

მოობით, ლოკინში რომ დავწვებოდით, გამომკითხავდა ახალ ამბებს: ცხენებს როგორ ვუვლიდით, კეცი იზრდებოდა თუ არა.

ერთ დღეს უცაბედად ავად გახდა. ქალაქიდან ექიმი მოაყვანივნეს. „ხუნავი“, — თქვა მან. ჩვენი მოახლე სოფლის ქალები სახლთან შეგროვილიყვნენ. ერთიც ვნახოთ და ვილაცამ ქრელ-ქრული ჩიტები მოიყვანა. დაკლეს და ჩემს ძმას სხეულზე დააფინეს. მამა საწოლს არ მოსცილებია. დადარუპი ძალიან დადარდიანებული ჩანდა. ჩვენი მოახლე ფერვინი გულამოსკვნილი ტიროდა:

— რა გატირებს? — ვკითხე. — კარგად გახდება.

— კარგად არ გახდება.

— მაშ, რა მოუფა?

— მოკვდება, — მითხრა.

— მოკვდება?

მეც ავტირდი. მას შემდეგ, რაც ჩემი ძმა ავად გახდა. ფერვინი ჩემს გვერდით იწვა. იმ ღამეს ვერ დავიძინე. როგორც კი თვალს დაკხუქავდი, ჰასანი წარბოშიდგებოდა. „ცილისმწამებელო, ცილისმწამებელო!“ იძახდა და ტიროდა.

ფერვინი გავადვიძე.

— მე ჰასანთან მივდივარ, — ვუთხარი.

— რატომ?

— მამას რაღა უნდა ვუთხრა.

— რა უნდა უთხრა?

— მინდა ვუთხრა, რომ სამურველი მე გავტეხე.

— რა სამურველი?

— გახსოვს, გასულ წელს, მამაჩემი ჰასანს რომ გაუწყრა.

სიტყვებს გერ ვპოულობდი. გული ამომიჭდა და ტირილით ვუამბე ფერვინს ყველაფერი. ახლა მამაჩემს მოვეყვები, იქნებ ჰასანმაც გამოიგოს და მაპატიოს.

— ხვალ უთხარი, — მითხრა.

— არა, ახლავე წავალ.

— ახლა მამაშენს ძინავს. ხვალ დილით უთხარი. ჰასანიც გაგოგებს. აკოცებ, იტირებ და გაპატიებს.

— მაშ კარგი.

დილანდღე თვალი მაინც არ მომიხუქავს. როგორც კი დნათა, ფერვინი გავადვიძე. ვედექით. მე ვჩქარობდი იმ დარდისა და მწუხარებისაგან განთავისუფლებას; რომელსაც ჩემს სხეულში დაესადგურებინა.

საუბედუროდ, ჩემი საწყალი ძმა იმ ღამით გარდაცვლილიყო.

შესასვლელში სოფლის იმამი და თვალცრემლიანი დადარუპი დავინახე. მამაჩემის გამოსვლას ელოდებოდნენ.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

1 ხურიტული სამყარო განეკუთვნება ერთ-ერთ უძველეს ცივილიზაციას კაცობრიობის ისტორიაში. ხურის ენაზე მოლაპარაკე ტომები ბინადრობდნენ ჩრდილო შუამდინარეთის ვრცელ ტერიტორიაზე. ხურიტებმა შექმნეს მეტად თვითმყოფადი და მდიდარი არქეოლოგიური კულტურა, რომელიც ახლო დგას ცნობილ „მტკვარ-არაქსის“ კულტურასთან. ხურიტულმა კულტურამ დიდი გავლენა იქონია ძველი წინა აზიის ხალხების კულტურასა, რელიგიასა, მითოლოგიასა და ლიტერატურაზე და, მასხალაძე, უდიდესი როლი ითამაშა მსოფლიო კულტურის ფორმირების პროცესში. ხურიტები ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულში მონსენენებიან შემერულ სამეურნეო ხასიათის ტექსტებში. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ხურიტებმა შექმნეს მითანის სამეფო, რომელიც ერთ-ერთ უძველეს და გავლენიან სახელმწიფოდ ითვლებოდა ეგვიპტის, ასურეთის და ხეთების სამეფოების გვერდით. მითანის მეფეებს მკიდრო დიპლომატიკო-პოლიტიკური ურთიერთობა აკავშირებდა ეგვიპტესთან. მითანის მეფე ეგვიპტის ფარაონს ძმას უწოდებს და მის ხანტოლად უკრავს თავი. ძვ. წ. I ათასწლეულიდან მითანის სეპარატული წყვეტის თავის არსებობას.

ხურეტული ენა ენათესავება ურარტულს. ხურიტული ენის სტრუქტურა ტოპოლოგიურად ბევრ საერთოს ამქლავნებს ქართულურ (ყერძოდ, ქართულ) და კავკასიურ ენებთან.

ხურიტულენოვანი ძეგლები, აღმოჩენილ ელ-ამარნას, რას-შამრას, ნუზის, აღლაქის, ბოლახ-ქოის არქივებში. შინაარსობრივად მეტად მრავალჯეროვანია. შემონახულია სააღმშენებლო წარწერა ურქემიდან, მითანის მეფის თურათას წერილი, თარგმნითი, რამდენიმეენოვანი ლექსიკონებო, საკვლავო, მითოლოგიური და ლიტერატურული შინაარსის ფრაგმენტები. ბოლახ-ქოის არქივდან, მარის რელიგიური ხასიათის ტექსტები: ლოცვები და სხვა. მეტად საინტერესოა რას-შამრა-უგარითში აღმოჩენილი ხურიტული რეტუალური საგალობლის ტექსტი, რომელსაც მუსიკალური ნიშნები ახლავს. რენამდე მოაღწია ხურიტული ლიტერატურის ცალკეულმა ფრაგმენტებმა: ჰიმნებმა, გლგამეშის ეპოსის ნაწყვეტებმა, მითებმა. ბოლახ-ქოის არქივში ხეთურ ეერსიებში შემონახულია ხურიტული ლიტერატურის მრავალი ნიმუში: „სიმღერა ულლიქემიზე“, „სიმღერა ქუმარბზე“, „სიმღერა მონადირე ქესიზა“, „ამბავი გუფარანცაისა“, „ზღაპარი ა დუსი და მისი ორი ვაჟისა“, „პოემა ზეცაში მეფობისა“ და სხვა. ორიგინალურ ხურიტულ ლიტერატურაში აშკარად ჩანს ხურიტული მითოლოგიის მსგავსება კავკასიურ მითოლოგიასთან.

1887 წელს ელ-ამარნაში, ეგვიპტის ფარაონს — ამენჰატევი მეფის ამენჰატე IV-ის (ეხნატონის) რეზიდენციაში წარმოებული გათხრების დროს აღმოჩნდა თიხის ფორფიტები ლურსმული დამწერლობით. ეს იყო ამენჰატე III-ის და ამენჰატე IV-ის სახელმწიფო არქივის ნაწილი. მრავალ სხვა კორესპონდენციას შორის ეგვიპტის ფარაონები მიმოწერას წარმოებდნენ სირია-

პალესტინის ქალაქი-სახელმწიფოების შმართელებთან) არქივში იყო მითანის მეფის თუშრათას წერილები ამენჰოტეპ III-თან, ამენჰოტეპ IV-თან და ამენჰოტეპ II-ის ქერიფთან დედოფალ ტეისთან. აქვე ნახეს მითანის მეფის ასულის თადუ-ხეფას მზოთვის სია და ამენჰოტეპ IV-ისათვის გაგზავნილი სარქურებს სია. წერილები შედგენილი იყო მამინდელი აღმოსავლეთის საერთაშორისო დიპლომატიურ ენაზე -- აქადურზე. მხოლოდ ერთი წერილი იყო დაწერილი მეცნიერთაფის მანამდე უცნობ ენაზე. ბუნებრივია, ივარაუდეს, რომ ეს იყო მითანის მეფის მშობლიური ენა. ამიტომ ენას მითანური, ხოლო წერილს მითანური წერილი უწოდეს. აქადური და მითანური წერილების შინაარსი დაახლოებით ერთნაირია. ამდენად, აქადური წერილები გვეხმარება მითანური წერილის შინაარსის გაგებასა და ტექსტის დადგენაში. წერილებიდან ირკვევა, რომ ეგვიპტის ფარაონები ნათესაურ კავშირში იყვნენ მითანის სამეფო კართან. ეგვიპტური წყაროები ჭერ კიდევ ამენჰოტეპ I-ის დროიდან მოიხსენიებენ მითანის სამეფოს. ცნობილია თუთმოს I-ის, თუთმოს III-ის და ამენჰოტეპ II-ის ბრძოლები მითანის სამეფოს წინააღმდეგ. მხოლოდ მათი მომდევნო ფარაონების მეფობის პერიოდში მოხდა დაზავება, რაც განამტკიცა ამ ორი სამეფო საგვარეულოს დამოუკრებამ. მითანის მეფემ არათამამ თაისი ქალიშვილი თუთმოს IV-ს მიათხოვა. არათამას ძისა და მემკვიდრის შუთარხა II-ის დროსაც გრძელდება კეთილშეზობლური ურთიერთობა ეგვიპტესა და მითანის სამეფოს შორის. შუთარხა II-ის ასული გილუ-ხეფა ეგვიპტის დედოფალი ხდება. ხოლო თვით თუშრათას ქალიშვილს თადუ-ხეფას ამენჰოტეპ III-ზე ათხოვებენ. თუშრათა, ამენჰოტეპ III-ის სიმამრი და „ძმა“, თავის სიძეს უგზავნის განმკურნებელი ძალის მქონე ნინევიის იშთარის ქანდაკებას, რასაც შედეგად მოსდევს სნეული ფარაონის გამოჯანმრთელება. წერილებში თუშრათა მოითხოვს იშთარის ქანდაკების დაბრუნებას: „იშთარი ჩემი ღმერთია. იგი ჩემი ძმის ღმერთი არ არის. იქმნა ძმამ მას პატივი უნდა მიაგოს და უკან უნდა დააბრუნოს იგი. დიახ, იგი უკან უნდა დაბრუნდეს!“ ეგვიპტის ფარაონი ამენჰოტეპ III (წერილებში მას თუშრათა ნიშნულიად მოიხსენიებს) შეჰპირება მითანის მეფეს ორი ოქროს ქანდაკების გამოგზავნას, მაგრამ აღარ გამოუგზავნია. აი. ამ დანაპირების შესრულებას სთხოვს იგი ამენჰოტეპ IV-ს (წერილებში -- ნაფურია) და ღედამისს ტეიეს. წერილებიდან ჩანს, რომ მითანის მეფე ეხმარება ეგვიპტის ფარაონს გარეშე მტრების მოგერიებაში. სამაგიეროდ, თუშრათა სთხოვს „თავის ძმას“ გამოუგზავნოს ოქრო, რომელიც, მისი აზრით, ეგვიპტეში ქვიშასავით უხვადაა. თუშრათა ეგვიპტის ფარაონს სიყვარულსა და ერთგულებას სთავაზობს და მისგანაც სამაგიეროს მოითხოვს. აქ მოგვყავს ცალკეული ფრაგმენტები მითანური წერილიდან.

2 ბედუინთა სადგომის ნაშთების აღწერა და მოთქმა არაბული პოეზიის კანონიზირებული თემა იყო.

3 იგულისხმება მირიან მეფის მეუღლე ნინა დედოფალი.

4 „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მირიანის ნაღირობის დროს მზის დაბნელება მოხდა.

5 რომის იმპერატორი კონსტანტინე დიდი (306--337).

6 ფატიმიანთა ღინასტიის ხალიფა (996--1021).

7 ხალიფა ალ-ჰაქიმ ბიამრ ალ-ლამის დროს ანტიოქიის მელქიტე პატრიარქი იყო იოანე III.

8 ე. ო. სირიის.

9 სტეფანე III (742--744).

10 თოფილაქტე ბარ კანბარა (744--750).

11 ამ დროისთვის საქართველოში დავითის სახელით არავინ მეფობს, ჩანს ამ

- დროს წერს არაფერს გრძელდება ყველა ქართველი მეფის დავით ზღწრობით მოსწენიების ტრადიცია (მის შესახებ იხ. მ. თოფჩი, ქართულ-სპანელი ურთიკულები, III, თბილისი, 1979, გვ. 32).
- 12 ე. ი. ქართველ-აფხაზებისათვის.
 - 13 არქონტი—საერო სელისუფლების მაღალი თანამდებობის პირი. ეს სიტყვა იხმარება ეპისკოპოსთა ტიტულად.
 - 14 თეოდორე II (970—976).
 - 15 IV მსოფლიო სეკულესიო კრება ქ. ქალაქობში მიწვეული იყო 451 წ. იმპერატორ მარკიანეს ინიციატივით.
 - 16 დაიბადა სიონში 536 წ.
 - 17 ბიზანტიის იმპერატორი (527—565).
 - 18 „თბილისის ქვეყანაში“ იტორი ქართლს გულისხმობს.
 - 19 „იალბუხად“ იწოდებოდა მდინად კავკასიონის მთავარი ქედი.
 - 20 საფარ ფაშა (იგივე ბექა III) ყაყვალთა საგვარეულოდან (ხალციხის მმართველი, ათაბაგ ქაზისრო II-ისა და დედისმედის უმცროსი ვაჟი (დარბ. 1564 წ.).
 - 21 მაკარი ანტიოქიელი შეცდომით ქართველებს მიიწერს იმ წიგნებს, რომელიც სინამდვილეში სეფიანთა სპარსეთში იყო გავრცელებული (იხ. გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 210).
 - 22 მაკარი ანტიოქიელის მიერ მოცემული თარიღი ემთხვევა გიორგი VIII-ის ზეობის წლებს (1446—1466), თუმცა ერთიანი საქართველოს უკანასკნელ მეფედ კონსტანტინე II (1479—1505) ითვლება.
 - 23 სელმ II, თურქეთის სულთანი (1566—1574).
 - 24 თურქების სერასკერი (გარდ. 1580), რომლის მეთაურობითაც თურქების უზარმაზარი ლაშქარი 1578 წ. შემოესია საქართველოს და დროებით შორტაყა სამხ. საქართველოს ტერიტორიის ნაწილი.
 - 25 თეიმურაზ I (გარდ. 1663 წ.).
 - 26 შაჰ აბას II (1642—1666).
 - 27 უთუოდ ივარაუდება კახეთის მეფე არჩილი, შაჰ-ნაზარ-ხანად წოდებული.
 - 28 დედანში „მეგრელ“ ფორმა.
 - 29 დედანშია თურქული მრავლობითის ფორმა „მირლარ“. შემდგომ „მეგრელ“ და „მირლარ“ („მირელ“) ფორმები ქართულ თარგმანში ხშირად „სამეგრელოდ“ და „იმერეთად“ გადმოგვაქვს.
 - 30 „ანიკ-ბაშებს“ ან „ბაში-ანიკებს“ უწოდებდნენ თურქები იმერლებს, რომლებსაც ეხურათ პატარა ფაფანაკი, რაც ისეთ შობამკვლევებს სტოვებდა, თითქმის უქედო ყოფილიყვნენ.
 - 31 იტორი უთუოდ გულისხმობს ქუთაისის ცნობილ კათედრალურ ტაძარს, რომლის მშენებლობა დაკავშირებულია ბაგრატ III-ის სახელთან და ამიტომ ბაგრატის ტაძარს უწოდებენ.
 - 32 იმერეთის მეფე ბაგრატ IV, ალექსანდრე III-ის ძე. მისი ზეობის წლები (შეაღწევა — 1660—1681) აღინიშნება უმაგალითო ფეოდალური ანარქიით.
 - 33 ალექსანდრე III 1660 წ. ბარტში გაიღიოცება.
 - 34 ქართული წყაროების მიხედვით ეს მოხდა 6 თვის შემდეგ ალექსანდრეს ვიღალაქელებიდან.
 - 35 დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი ზაქარია ქვარაჩი (1657—1660).
 - 36 ეს იყო ვახტანგ ბაგრატიონი (ვექუენაშვილი), იმერეთის ბაგრატიონების შორეული ნათესავი.
 - 37 ბერი ეგნატაშვილის ცნობით (იხ. „ქალაქის ცხოვრება“) ეს იყო სამცხის მთ-

ვარი ასლან ფაშა, როსტომ ფაშას შვილი.

35 იგივეა, რაც კასპიის ზღვა.

39 შეესაბამება ჩვ. წ. აღრ. 1664 წ.

40 ბიბლია, წიგნი გამოსვლათა 21, 23.

41 ეუზეს მიერ გამოცემულ ტექსტშია „შავი მთა“ (გვ. 28).

42 ტექსტში შეედომით ვნებითი გვარის მიმღეობის („მოკლული“) ფორმაა.

43 არასრული ციტატა, მათე 28, 19.

44 არაზუსტი ციტატა, მარკოზი 16, 16.

45 ე. ი. სეფისკვერი.

46 ავტორი ამბობს ხუთიო, მაგრამ ექვსს ჩამოთვლის.

47 არაბულად წერია (ვიძლევიტ ტრანსკრიპციას) *كاسكف*.

48 ანუ წითელ პარასკევს.

49 არაბულში ამ აღგილას სამსიტყვიანი ჩართული წინადადებაა. ანდაზის მსგავსი, რომლის აზრი კარგად არ გვესმის.

50 დიონისე არეოპაგელი, I საუკუნის ათინელი ეპისკოპოსი.

51 იგივეა, რაც ველოგია ანუ ნაყურთხი სეფისკვერი, წყალი და სხვ.

52 ცოტას გვაეკვებს, რამდენად სწორად ვკითხულობთ ამ სახელს. არაბულად წერია (ვიძლევიტ ქართულ ტრანსკრიპციას) სქურაღნ.

53 ზატიკი, გარდა დღესასწაულისა, ნიშნავს აღდგომიდან მარტივლიამდე ორმოცდაათი დღის განმავლობაში წასაკითხი საგალობელი ტექსტების კრებულს; იგივეა, რაც ბერძნული პენტეკოსტარიონი (ეს ბერძნული სახელწოდებაა არაბულ ტექსტში).

54 798 წლიდან სტუდიელის მონასტრის (ეს მონასტერი, დიდი ხნის წინათ მეჩეთად ქცეული, მდებარეობს დღევანდელ სტამბოლში მარმარილოს ზღვის ნაპირას, დაარსებულია რომაელი სენატორის სტუდიუსის მიერ) წინამძღვარი. მის კალამს ეკუთვნის ამ მონასტრის ტიბიკონი.

55 მიუხედავად იმისა, რომ არაბულ ტექსტში აშკარად წერია (მოგვეყვას ტრანსკრიპციით) „საქარაღნ“, მისი წაკითხვა საქარულად საეკვოა, რადგან საქარაში არასოდეს ყოფილა საეპისკოპოსო ტახტი.

56 სეიმონ I ჩხეტიძე (1660—1666).

57 დომენტი II ქაიხოსროს ძე, მუხრან ბატონი (1660—1676).

58 ივულისხმება სვეტიცხოველი, რომელსაც ცოტა ქვემოთ „კათალიკოსის ეკლესიად“ იხსენიებს ავტორი.

59 ივულისხმება სამთავრო.

60 ქართლის ეპარქიაში შემავალი ამ ერთეულის დადგენას ვერ ვახერხებთ (დედანშია: ანთელი).

61 ავტორი მეთორმეტე ეპისკოპოსს (ალბათ რუსთავეისას) აღარ ასახელებს. ასეა ეუზეს გამოცემულ ტექსტსა (ოლონდ იქ სიტყვა „მეთორმეტე“ არ არის) და ჩვენს ხელთ არსებულ თხზულებების ავტორგრაფის ფოტოპირშიც. ეპისკოპოსთა რამდენიმე ხსენის დადგენაში დაგვეხმარა ისტორიის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი ბაბ. ლომინაძე. რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

62 ეს მოხდა 1578 წ.

63 ახალციხის ბეგლარბეგი (1644—1659).

64 ქოფრულუ — საუკუნეთა მანძილზე ოსმალთ სულთნების კარზე დიდვაზირთა საგარეულო დინასტია.

66 შდრ. რუს. „სამშობი“. მაკარის ცნობა, რომ ანდრია მოციქულის სეინაქსარში ახალციხის მხარეს სამოსატო (თარგმანში ამ ტოპონიმს ტრანსკრიპციით ვიძლე- ვით) ჰქვია, სწორი არ არის. ამ სეინაქსარის ორ ადგილას ნახსენები ეს ტოპო- ნიმი, როგორც ჩანს, სწორედ შდ. ვეფრატზე მდებარე სამოსატას, არაბული წყაროების სუმაასატს გულისხმობს. (იხ. ე. სიხარულიძე, იაქუთის ცნობება საქართველოსა და კავკასიის შესახებ“, გვ. 63). მოგვეყავს ეს ორივე ადგილი საბინისეული გამოცემიდან (იხ. „საქართველოს სამოთხე“, გვ. 35 და 36): „...[ანდრია] მიიწვია სამუსატელთა დიდსა მას ქალაქსა, რომელი იგი არს საზღუარსა პართიასა, სადა იგი მკვიდრ იყო ერი მრავალი პართთა და ბერძენთა“.

„სამუსატით წარემართა და აღვიდა იერუსალიმად“.

67 შამადავლე იოსების ძე, რომელმაც ბიძის პატრიქაეკმად ლევანი დაირქვა (ლე- ვან III 1661—1680).

68 ლევან II დადიანი (1611—1657).

69 სილამაზით განთქმული თამარი.

70 ეს არის თინათინი (გოშაძის ქერივი), რომელიც მაკარიმ ზემოთ ახსენა.

71 თბილისის გამგებელი — ვახტანგ V (შაჰ-ნავაზ-ხანი).

72 მარიამ დედოფალი — როსტომ მეფის (1632—1658) მეუღლე, ლევან II დადიანის და. როსტომ მეფის ჯარდაცვალების შემდეგ მარიამი ცოლად შეირთო ვახტანგ V.

73 ეს იყო თამარის და თათბა (თითბა).

74 აკად. ს. ჭიქიას ეტიმოლოგიით „ჩილირი“ (როგორც ოსმალეები ახალციხის საფაშოს ეძახდნენ) მომდინარეობს ქართულ სიტყვიდან „ჩრდილი“.

75 მეტეღ IV (1648—1687).

76 ე. ო. ვახტანგ V.

77 იგულისხმება შაჰ-აბაზ II.

78 ცოტა ზემოთ ავტორმა „კარი“ მრავლობით რიცხვში იხმარა.

79 შეესაბამება 1665 წ.

80 არასრული დიაკრიტიკული ნიშნებით დაწერილ ამ ტოპონიმს ჩვენ „ჰანის- წყალად“ ვკითხულობთ. ამ მდინარეზეა წალენჯიხის ცნობილი მონასტერი, სადაც, უთუოდ, მაკარი ანტიოქიელი წერდა თავის თხზულებას.

შდრ. ვახუშტი: „(ხეთის ციხეს) ჩრდილოთ დის ჰანის წყალი, წოდებული ჰელენჯიხის გამო... მთის ძირზე არის ჰელენჯიხი, ეკლესია გუმბათიანი, დიდ შენობა, შუენიერი, კეთილს ადგილს, ზის ეპისკოპოზი, ნწყემსი ჰანის ჰლინარისა“ (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 778).

81 იულიუს კეისარი.

82 ლუდოვიკო მეთექვსმეტე.

83 იგულისხმება ოლივერ კრომველი.

84 კარლოს (ჩარლზ) პირველი, სტიუარტი.

85 „სახარბიელაზე“ — ისეა ორიგინალში, თუმცა ცნობილია, რომ მეფეს თავი მო- ჰკვეთეს (1649 წ.).

86 ტექსტშია: „ყაისის (იგივე მაქნუნი) მსგავსად ტანზე შეცვა ცხვარის, გარეული თხის (ქალ) ტყაეი“. როგორც ჩანს, არსებობდა „ლეილამჟუნნიანის“ ისეთი აღ- მოსავლური ვერსია, საიდანაც ეს დეტალი გავრცელდა. საინტერესოა, რომ იგი გვხვდება „ოხსებზილიხანიანის“ ზაალისეულ ვერსიაში:

„მაქნუნის მსგავსად დაიწყებთ კარდაკარ დაყუდებასა...“

- 87 ტექსტში: თოუბა (მითოლოგიური სამოთხის ხე).
- 88 იგულისხმება შირინის სიყვარულით გახელბული ფარქალის მიერ ბისუთუნის მთაში გვირაბის გაყვანა.
- 89 სიტყვასიტყვით: „ჩემი დარღის კვამლი ამაღლდა დამავანდის ნისლივით“.
- 90 სიტყვასიტყვით: „ფეხმოტეხილი ვარსკვლავი“.
- 91 პირველადქმნილი ადამიანი ირანული ეპიკური თქმულებებისა და „შაჰნამეს“ მიხედვით. ამის შემდგომ მოხსენიებული გმირებიც „შაჰნამედანაა“ აღებული, ან, შესაძლოა, ფარღოუსის მიმბაძველთა თხზულებებიდან.
- 92 სპ. სპარს. შარზი ნიშნავს — „საზღვარი, კიდე; ქვეყანა“. შარზბანი — „შესაზღვრე, შემამეღლე; ქვეყნის, ოლქის განმეგებელი“ (მ. ანდრ. რიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1, 1966, გვ. 340).
- 93 ეს ორი ბეითი უადგილოდ ჩანს ჩამატებული, თანაც შეორდება რუსთამის ხსენებას. აზრის მიხედვით № 67-ს უნდა მოსდევდეს № 70.
- 94 ორიგინალში ყმაწვილი (მამაკაცი) იგულისხმება.
- 95 პოეტის მეგობარი და მოძღვარი, რომელსაც უძღვნა ან რომლის სახელით შეთხზა მან ლირიკული ლექსების უზარმაზარი წიგნი „შამს თაბრიზის დივანი“.
- 96 „სეს დუიან კიხი“ — (თურქ.) „ქალიშვილი, რომელსაც ხმა ჩაესმოა“.

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

აბა — მამაკაცის ზედა განიერი სამოსი მესულმანურ სამყაროში.

აბახიანები — სახალიფოს სამეფო დინასტია (750—945).

აბდესტი — აბდასთი, რიტუალური განბანვა ნამაზის (იხ.) წინ.

აბგუშთი — ლობიოთი და გუბუდოთი შეზავებული ხორცის წვნიანი.

აბხაზი — ასე იწოდებოდა XII—XIII საუკუნეების სპარსულ წყაროებში საქარ-
თველო.

აღუჯანა — ძველი ირანული მზის კალენდრის პირველი თვე (მარტ-აპრილი).

აზრაილი — სიკვდილის ანგელოზი ისლამის მიხედვით.

ათარი — აფთიაქარი.

ათრიიალია — ძველი ირანული მზის კალენდრის მეცხრე თვე (ნოემბერ-დეკემბერი)

აიშე — მუჰამედის მეორე ცოლი.

ალალუ — ხთონური ღვთაება, ღვთაებათა ოთხი თაობიდან პირველი.

ალი — არაბთა მეოთხე ხალიფა (656—661), მუჰამედის ბიძაშვილი და სიძე (ქალი-
შვილის, ფატიმას ქმარი). ითვლება შიიტების (იხ.) პირველმწყურველად.

ალი აქბარი — „უღაღდესი ალი“ (იხ. ალი).

ალი-ყაფუ — სეფიან შაჰთა (იხ.) სასახლე ისპაანში, მდებარეობს შაჰის მოედანზე.

ამაშა — ბედუინთა ერთგვარი თავსაბურავი.

ამმეცალუ — მესოპოტამურ-ხერიტული ღმერთი.

ამუნქი — ხერიტული ღმერთი.

ანაშაჰა — ძველი ირანული მზის კალენდრის მეთექვსმეტე თვე (დეკემბერ-იანვარი).

ანლიმაშქის ხილი — 42 მალიანი, 520 ნაბიჯი სიგრძისა და 50 ნაბიჯი სიგანის ხილი
მდ. დიზზე ქ. დიზფულში.

ანი — უფროსი თაობის ღმერთი ხერიტულ პანთეონში; ცის ღმერთი (შუმერული
ანი — „უა“, ბაბილონური ანუ, ბერძნული ურანო). ხერიტული მითოლოგიის
მიხედვით, ერთმანეთს შეენაცვლნენ ოთხი თაობის ღმერთები. ამ ოთხეულის
პირველი ძირითადი ღმერთი იყო ალალე. იგი დაამხო ანმა და ჩააგდო ქვეს-
კნელში. ანი შეცვალა ქუმარბიმ. ქუმარბისაგან განდევნილი ანი ზეცაში აიჭრა
მეოთხე თაობის ღმერთთა თეშუფი, ქუმარბის შვილი.

ანუ — ცის ღვთაება; მეორე თაობის ღმერთი ღმერთთა ოთხ თაობაში (იხ. ანი).

ანუშირვანი — იხ. ნუშინ რეჟანი.

არანცაბა — მდ. ტიგრისის ხერიტული სახელწოდება.

არბაირა — ქალაქი ასირიაში, იგივე არბელა.

არიული ენა (არიული ენები) — ინდო-ირანული ენების. საერთო სახელწოდება.

აფრიდუნი — იხ. ფერიდუნი.

ა-ფუ — მდ. აბაკანი.

აჰურამაზდა — ძველი ირანული რელიგიის უზენაესი ღვთაება, რომელიც განასახი-
ერებს ნათელისა და კეთილის საწყისს.

ბავაიალა — ძველი ირანული შხის კალენდრის მეშვედე თვე (სექტემბერ-ოქტომბერი).
ბარადა — ნდინარე, რომელსაც ჩამოუღის დამასკოს.

ბარჯისი — ისინდის მსგავსი სპორტული თამაშობის — ბარჯისის მოთამაშეს ჰქვია; გაკენებულ ცხენებზე ამხედრებული მოასპარეზებები ერთმანეთს ესვრიან პალმის ქოხებს.

ბაჰმანი — ირანის მითური გმირი, „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟი, ისფანდიარის (იხ.) ვაჟი.

ბაჰრამი — ასეთი სახელი ჰქონდა სასანიანთა დინასტიის (226—651) ხუთ წარმომადგენელს. მაგრამ ლეგენდების გმირია ბაჰრამ V გური (420—438), რომელსაც ისენიებენ როგორც ნადირობის მოყვარულს, კანკარაზე ანუ გურზე (მღრ. ქართ.: ჭორი) მონადირეს.

ბაჰრამ-შაჰი — ხორასნის ლაზნელთა დინასტიის (977—1186) წარმომადგენელი (1118—1152).

ბისთამი — ცნობილი მისტრიკოსი აბუ იაზიდ (ბაიზიდ) ბისთამი (გ. 878 წ.).

ბიჯალი — ვრელი წამოსასხამი.

ბოზორჯმიარი — ანუ შირვანის (იხ.) მთავარი ვეზირი.

ბოჰლული — ცნობილი არაბი ენამოსწრებელი კაცი, ეპოპეი გადმოცემისა და ანეკდოტის გმირი.

ბუნენე — შხის ღმერთის მეეტლე და მრჩეველი (აქად.).

„ბუსთანი“ — საადრე შირაზელის დიდაქტიკური ხასიათის პოემა.

ვანდარა — ერთ-ერთი პრდენცია ძველ ირანში.

გარამაადა — ძველი ირანული შხის კალენდრის მეოთხე თვე (ივნის-ივლისი).

ღარაიავაჰუ — „ღარიოსის“ ძველსპარსული ფორმა.

ღელი — ხელი, გვი.

ღელამზე — ქალაქ არინას შხის ქალღმერთი, ხათური და ხეთური სამყაროს ღვთაება.

ღინარი — ოქროს ფული, რომელსაც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სამეფოში სხვადასხვა კურსი ჰქონდა.

ღირკემი — ღრახმა, ვერცხლის ფული.

ღულღული — მუჰამედის თეთრი ჭორის სახელი.

ღული — ერთგვარი გამაგრილებელი სასმელი, რომელსაც აზნაულებს წყალგარეული რძისაგან; კარაგის შეღვებებს შემდეგ დარჩენილი მარტი.

ვა — ღვთაებათა მამა, ხოთური ღვთაება (შუმერული).

ვაშარი — ბაბილონური ღმერთი ვა სერიტული ქპითეით შარარი — მეფე (შუმერული ენა — წყლის ღმერთი).

ვლობრში — მთა ჩრდილო ირანში (მღრ. იალბუჯი).

ვლი — ერთ-ერთი მთავარი ღმერთი უგარიტიდან (ხურიტული ქმეარბი, ბაბილონური ელილი, შუმერული ენლილი. ბერძნული კრონოსი).

ვლილი — შუმერული ენლილი, ჰაერის ღმერთი. „ღმერთთა მამა“, „ცისა და მიწის მეფე“, „ყველა ქვეყნის მეფე“.

ენლილი — იხ. ელილი.

ვარკაზანა — ძველი ირანული შხის კალენდრის მერვე თვე (ოქტომბერ-ნოემბერი).

ვარკანა — პირკანია, რაიონი კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით.

ვიიანა — ძველი ირანული შხის კალენდრის მეოთხე თვე (ოქტომბერ-მარტი).
ვილაიეთი — ოლქი, პროვინცია.

ვალი — ირანის მითური გმირი, როსტომის (იხ.) მამა.
ვაზულისტანი — ირანის ერთ-ერთი აღმოსავლეთი პროვინცია. როსტომის (იხ.) სამშობლო.

ზარღუშთი — იგივე ზარატუსტრა (VII—VI სს.), რომელსაც მიაწერენ ირანელები მათი ეროვნული სარწმუნოების, მაზდეანობის ქადაგებას. ამ რელიგიის სუბსტანციალურად გამოხატული დუალიზმი, ერთმანეთთან მიწვევებისძილი ორი საწყისის: კეთილისა და ბოროტის აღიარება, — ბნელს ებრძვის (და უნდა ებრძოდეს) ნათელი, ბოროტს — კეთილი, ტუეილს — სიმართლეს. სამყარო მთლიანად წყვილი-ადითაა მოცული და სინათლედ მხოლოდ იქ დგას, სადაც რაიმე იწყის; ბოროტი ყოველი ფეხის ნაბიჯზე და იგი მხოლოდ იქ იხევს უკან, სადაც მას თავგანწირვით ებრძვიან; ტუეილი უთვლელი ითქმის, სიმართლეს კი ერთი (ვთქვათ, ორჯერ ორი) ან არის: ერთი, ორი, სამი, ხუთი, ექვსი და ა. შ. უსასრულოდ, მაგრამ არის ის მხოლოდ ერთი).

ზაილი — განდევნილი.

ზემზეში — ჰა მექის ტაძრის სიახლოვეს.

„ზენი“ — პრაქტიკაში ასე უწოდებდნენ ირანელები მაზდეანების ხელოს წიგნს, რომლის ავტორობას ზარღუშთს (იხ.) მიაწერენ. ეტყობა, XI სუღუნის ხორასანში მახლანებში ჯერ კიდევ ყოფილან აღზევებულნი, რადგან ნსეტრ ხოსროვი საკირანდ ცნობს ხალხის თვალისამბმელი მაზდეანელი წარჩინებულის მხილებას.

ზრანკა — დრანგინას პროვინციის სახელის ძველსპარსული ფორმა.

ზუ ლ-კურუში — („წყულელებიანი“) ისლამმდელი არაბი პოეტის — იბრუქანის ერთ-ერთი ეპითეტი, დაკავშირებული გადმოცემასთან, თითქოს კვსარს მისთვის მოწამლული წამოსასხამი გამოუგზავნია, რისგანაც მთელი სხეული წალულებით დაფარვია და მომკვლარა.

ზულფუგარი — აღის (იხ.) მახვილის ეპითეტი.

თაიგარჩია — ძველი ირანული მზის კალენდრის მესამე თვე (მანს-იენისი).

თაიმუნი — სარიტუალო განბანვა მიწით ან ქვიშით (უწყულობის დროს).

თარუ — ქვექა-ქუხილის ხეთური ლეთაბა.

თარშიში — სპეციალისტთა ვარაუდით, ესპანეთის ერთ-ერთი ბიბლიკონი სახელწოდება.

თასმისუ — ტაროსის ღმერთის (იხ.) ძმა.

თატაგუ — თატაგიდის პროვინციის ძველსპარსული სახელწოდება.

თაქმთანა — („მძლავრი, მძლეთა მძლე“) როსტომის (იხ.) ეპითეტი.

თაქერი — თაქერი იბნ ქუსეინი, ხალიფა მამუნის (813—833) მხუჯართმთავარი შებ-დგომში-თაქერიანთა დინასტიის (821—873) დამაარსებელი ხორასანში (775—822).

თაქი — დიდბუღთა და მეფეთა გვირგვინი.

თელეფინუ — ნაყოფიერებისა და მცენარეულობის ღმერთი, ტაროსის ლეთაბის თარუსა და დედაღმერთის ვაჟი.

თეშუფი — ქვექა-ქუხილის ღმერთი სურიტულ პანთეონში. ქეშარბის (იხ.) შვილი.

შუმერული იშქერი, ბაბილონური ადადი, პროტოხეთური თარუ, უგარი-ტული ბაალი, ბერძნული ზევსი).

თურავაპარა — ძველი ირანული მზის კალენდრის მეორე თვე (აპრილ-მაისი).

თუხი — ქალაქი ხორასანში.

თუ-ქიუ — თურქები.

თულრა — სტილიზირებული არაბული ასოებით გამოყვანილი ერთგვარი წყვილი ძნელად ამოსაკითხი სიტყვებისა, რომლითაც იწყებოდა შაჰის ან სულთნის ფირმანი და შეიცავდა მისი გამოცემის ძლიერების ამსახველი ტიტულის ტექსტს სხვადასხვა მეფეს ან სამეფო გუარს სხვიდასხვა თულრა-ქონდა.

იაზდიგერდი — სასანიანთა ირანის უკანასკნელი მეფე იაზდიგერდი III (628—651). მისი მეფობის დამხობით იწყება არაბთა მიერ ირანის ატეხისა.

იაზიდი --- ომაილთა დინასტიის (661--749) წარმომადგენელი არაბთა ზალიფა (680--683).

იაფო --- დღევანდელი ქალაქი იაფა.

იამნი --- ჩახოხბილი.

ილჩე --- თურქული ადმინისტრაციული ერთეული, მაზრა.

ილუიანქა - გველეშაპის საზოგადო სახელი.

ინარა --- ხათთა და ხეთთა ქალღმერთი, სიძლიერისა და სიმამაცს განსახიერება.

ისფანდარი - ირანის მითიური გმირი, უფლისწული, რომელიც შეებრძოლა როსტომს და დაიღუპა, ზემდებ სახელად რვალისტანა. გოშთასბის ძე, ბაჰმანის (იხ.) მამა.

ისქანდერი --- ალექსანდრე მაკედონელი.

ინპარა - მესოპოტამურ-ხეროტული ღვთაება.

იუ-იუ --- ეუან-ეუანები.

კაიმაკაში --- მასრის უფროსი.

კამბუჯია --- კამბიზის სახელის ძველსპარსული ფორმა.

კაო-ჩანგი --- თურფანი.

კატპატუკა --- კაპადოკია.

კი-კუ --- ერთ-ერთი ვარიანტია ეთნონიმისა: კირკიზ.

კოფუზუი ერთგვარი სიმებანი საქარავი.

კურუ --- ირანის მეფის კიროსის (558--529) სახელის ძველსპარსული ფორმა.

კურტაბალი --- ადგილი ბაღდადის სანახებში.

ლაიციონა --- ხათების საეკლტო ცენტრი მცირე აზიის ჩრდილოეთში; მზის ღვთაებისა და ტაროსის ღმერთის საეკლტო ადგილი.

ლუბადაგა --- ღვთაება.

მადანი --- ოდესღაც ქ. ბაღდადის სანახებში მდებარე ირანული ქალაქის, კტეზიფონის, არაბული სახელწოდება.

მაკა --- აფრიკის ერთი პროვინცია.

მარგუ --- მარგანა. ერთ-ერთი პროვინცია ძველი ირანის იმპერიაში.

მარტილია --- სულიწმიდის მოფენის დღე.

მავრაბა --- წყლის სასმელი ქურქული.

მაჰმუდი და აიაზი --- ხორასნის ღაზნელთა დინასტიის (977--1186) თვალსაჩინო წარმომადგენლის მაჰმუდის (998--1030) და მისი მონის აიაზის ახლო ურთიერთობა და ამ უკანასკნელის იდეალური ერთგულება თავისი სულთნისადმი აღმოსავლეთში ლეგენდად არის ქცეული.

მეიდანე შაჰ --- "შაჰის მოედანი", მთავარი მოედანი ქ. ისპაანში.

მემბარი. (მინბარი) --- ერთგვარი საფეხურებიანი კათედრა მეჩეთში, საიდანაც წარმო-თქვამენ ხობებებსა და ქადაგებებს.

მერდინი --- ქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში.

მინქი --- მესოპოტამურ-ხეროტული ღვთაება.

მიშარუ --- აქადურად ნიშნავს სამართლიანს. მზის ღმერთის მრჩეველი ბუნეესთან ერთად.

მოზედთა მოზედი --- მოზედი (მოაბადი) მავღეანური ხანის ირანში სასულიერო პირი (ქურუმი) იყო, მოზედებს და, განსაკუთრებით. მოზედთა მოზედებს, გარკვეულ ხანებში ჰქონდით აგრეთვე დიდი პოლიტიკური ძალაც.

მოციქული --- იგულისხმება მუსულმანთა წინასწარმეტყველი და ისლამის რელიგიის შემქმნელი მუჰამადი.

მოპთახები --- მოხელე მუსულმანურ სამეაროში, რომელიც ბაზრებს ეწევა ზედა-

შედევლობას, — დაეცვა ზომა-წონა, არ დაერღვია ჩაქმა-დახურვისა და ქ. იქის
ოღათ-წესები.

მობრა — ნარდის ქვის მსგავსი ქებალას ღაბრესილი მიწა, რომელსაც შიიტები (იხ.)
ნამაზის (იხ.) დროს შებლით ეხებოან.

მურსილი — მურსილი II, ხეთთა მეფე (დაახლოებით (1342 — 1313 წ.წ.). მის სახელთა-
ნაა დაკავშირებული ხეთურ ზიბლითუეებში ნაპოვნი დაფების გარკვეული ნაწილი.

მუხა — მოსე წინასწარმეტყველი, ბიბლიური მოსე.

მუხამედ ამინი — აბასიანთა (იხ.) ხალიფა (609—813), ცნობილი არაბთა მბძანებლის
ქარუნ არ-რამადის ძე. მოკლულ იქნა საეკლესიო ძმის, მამენის ნებით.

ნახუდრაჩარა — ბაბილონის ცნობილი მეფის ნახუქოდრონოსის სახელის ძველსაპარ-
სული ფორმა.

ნახუნაიტა — ბაბილონის მეფის ნახონიდეს სახელის ძველსაპარსული ფორმა.

ნადირ-შაჰ აფშარი — ირანის შაჰი (1736—1747), ცნობილი თავისი გულადობით, სი-
სასტიკითა და დამპყრობითი იმბიით.

ნამაზი — მუსულმანთა ღოცვა, რომელიც ღლე-ღამის განმავლობაში ხუთჯერ სრულ-
დება.

ნარა — ღვთაება ხეთურ მითოლოგიაში, ნავსარას (იხ.) ძმა.

ნასერედინ შაჰი — ყაჯართა დინასტიის (1794—1925) ერთ-ერთი წარმომადგენელი
(1848—1896), სისხლში ჩაახშო ბაბილეზის აჯანყება.

ნაფსარა — ნარას (იხ.) ძმა, ხეთთა ღმერთი.

ნეროქა — ხეთების წმინდა ქალაქი მცირე აზიის ჩრდილოეთით.

ნესა — ხეთური სამეფოს უძველესი დედაქალაქი. ამ ქალაქის სახელი უწოდეს ინდო-
ევროპელმა ხეთებმა თავის ენას, — ნესიტური.

ნინგალი — მთვარის ღვთაების ცოლი პესოპოტამურ მითოლოგიაში.

ნინვე — იგივე ნინეია.

ნინ-ნაგარი — ღვთაება.

ნო-თუ-ღუ-შალი — მაღალი რანგის ტიტული.

ნუშინ რევაანი — (იგივე ანუშირვანი) ირანის სასანიდი მეფე (531—579) ხოსრო I,
ცნობილი თავისი სამართლიანობით.

ოზანი — პოეტო-მუსიკოსი.

ოკენან — წყალთა ღვთაება ხურიტულ და ხეთურ მითოლოგიაში; ზოგჯერ ემთხვევა
ალალუს.

ორდიმეტში — ირანული მზის კალენდრის მეორე თვე (აპრილ-მაისი).

რაგა — ადგილი მიდიასში.

რახში — (რახსა) რუსთამის (ქართ. როსტომი) ცხენი (მღრ. რაშა).

რეზა — მუსულმანთა მეორე იმამი ალი ბინ მუსა შიიტთა მეორე წმინდანად მიჩნეული
ალის (იხ.) ეს ჩამომავალი დასაფლავებულა ქ. მემპედში.

რეი — ქალაქი ირანში; თეირანის სამხრეთით, დღეს თითქმის ქცეული ამ უკანასკნელ-
ლის გარეუბნად.

რექათი — წელში მოხრა და თავის დაკვრა ღოცვის დროს; ნამაზი (იხ.) იყოფა რა-
მოდენიზე რექათად (გაანნა, რთელი ნამაზი).

როხტომ შალი — იხ. როსტომი.

როხტომი — ირანის მითოური გმირი „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი,
შალის (იხ.) ძე და ზურაბის მამა.

როუზე — შიიტების (იხ.) იმამების, — განსაკუთრებით იმამი პუსეირის (იხ.), — წამება-
თა ამბების მოთხრობა.

საია — სვეითთა ქვეყნის სახელწოდება.

სალიპია — ადგილი ქ. ქუთაის სანახებში, განთქმული თავისი ღვინით.

სარატანი — კირჩხიბი; მაისის ზოდიაქო.

ხაქუ — ქვის რაფა ან საფეხური, რომელსაც ხშირად ჩამოსაჯდომად იყენებენ.

საუფე ქოუხარი — კაცი, რომელიც მუსულმანთა წარმოდგენით მწყურვალს წყაროს წყალს აწვდის სამოთხეში.

ხაჯი — პურის საცხობი ტავა.

ხაში და ჰაფურია — ძვირფასი ქიმის ხეები.

ხედე — ისპანის ერთ-ერთი უბანი.

ხედის ნაშიერი — ასეთუბად იწოდებიან მუჰამედის შთამომავლები, ისინი გარკვეული პატივით სარგებლობენ მუსულმანურ ქვეყნებში.

ხიშურლი — ირანული მითოლოგიის მიხედვით, ზღაპრული ფრინველი, რომელიც ელბორზის (იხ.) მთებში ბუდობს. მან აღზარდა ზაალი (იხ.).

ხიდე — გარკვეული ხნით (წინასწარდათქმული ვადით) შერთული ცოლი.

ხო — ამ ტერმინს ერთ-ერთი სიანბიური ტომის იდენტური ელვრადობის სახელთან აიგივებენ. სო სახელმწიფო მტერმა გაანადგურა, ხოლო ნაწილი გადაჩენილი ტომებისა გააფანტა.

ხორუში — მაცნე ანგელოზი მზღვანური რელიგიის მიხედვით.

ხპარდა — დარბის დიდის (522—486) იმპერიის ერთ-ერთი პროვინცია.

სუბაირი — მთა მექის მახლობლად. იგი მოხსენიებული აქვს იმრულკაის თავის მუყალაკაში.

ხულეიშანი — ბიბლიური სოლომონ მეფე.

ხულთანი შაჰმული — ლაზნელთა დინასტიის (977—1186) ერთ-ერთი უმთავრესი წარმომადგენელი (998—1030).

ხუნიტი — ისლამის ორ ძირითად მიმდინარეობათაგან ერთ-ერთის მესაეი, რომელიც, გარდა „ყურანისა“, აღიარებს სუნას, მუჰამედის შესახებ არსებულ გადმოცემებს (პაღიხებს). ხუნიტები კრიჟაში უღვანან და ებრძვიან შიიტებს.

ტაროსის ღმერთი — ქვექა-ქუხილის ღმერთი. უზუნაეის ღვთაება ხეთურ მითოლოგიაში, ღმერთი ქუმარბის (იხ.) ვაჟი.

უთუ — შვის ღვთაება.

„ფაზანდი“ — ზენდის (იხ.) კომენტარები.

ფანა ზოხროვ — ბუიდი სულთანი (936—983).

ფარვარდინი — ძველი ირანული მზის კალენდრის პირველი თვე, რომელიც დგება 22 მარტს, მათი ახალი წლის (ნოვრუზის) პირველ დღეს.

ფარვეზი — ირანის სასანიანთა დინასტიის (226—651) წარმომადგენელი, ზოსროვ II ფარვეზი (591—628), აღმოსავლური ლეგენდების გმირი. თქმულება ზოსროვისა და შირინის სიყვარულის შესახებ საფუძვლად დაედო მრავალ პოემას აღმოსავლეთში.

ფარჩი — შარავანდელი, რომელიც ძველ ირანელთა წარმოდგენით ადგათ მეფეებს და, არაიშვითად, კულტის მსახურთ.

ფერიღუნი — ირანელთა მითიური გმირი, „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟი. დაამხო შტარვალი მეფე ზაჰი და გაემფდა ირანში.

ფირი — მისტეიურ-რელიგიური ორდენის მეთაური.

ფირუზ — „გამარჯვება“ (სპ.).

ფირქია — ბაღდადის ერთ-ერთი უბანი.

ფრანგი — ასე უწოდებდნენ ისლამურ სამყაროში საკუთრივ ფრანგს და უმეტესად საერთოდ ევროპელს.

ფურულდი — ახალი წლის დღესასწაული, დაკავშირებული ტაროსის ღმერთთან, ბუ-

ნების განახლებასთან. იმართება გაზაფხულზე.
ქაბა — ტაძარი მექაში, სადაც ინახება მამადიანთა სათაყვანებელი „შავი ქვა“. ქავა — ირანის მითიური გმირი. მექედელი, „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟი, რომელმაც აუწყა-ყდა მტარვალ მეფეს ზაქს.

ქაიხოსრო—კიროსი (353—529)—აქამანიანთა სახელმწიფოს დამაარსებელი.

ქამრუსეფა — ხეობის უზენაესი ქალღმერთი.

ქანცურა — წმინდა მთა, სადაც იკრიბებოდნენ ხურიტული ღვთაებანი.

ქეთხოლა — „მამასახლისი“, სოფლის ან თემის მეთაური.

ქეიქაუსი — ირანის მითიური მეფე. „შაჰ-ნამეს“ გმირი იყო, მჩატე კეუსი, და როსტომის (იხ.) მეოხებით ინარჩუნებდა ტახტს.

ქერბალა — ქალაქი ერაყში. სადაც მოკლეს ხალიფა ალი (იხ.).

ქესრა — ხოსროვ I ანუ შირვან (იხ.).

ქეჩაო — კალათის მსგავსი ერთგვარი ტახტრეკანი, აქლემზე ან სხვა სახედარზე აქეთ-იქით გადაკიდებული, რომელშიაც სვამენ ქაღებს ან ბაეშეებს.

ქიენ-მდინარე — მდ. ენისეი.

ქინ-შანი — ალთაი.

ქის ქილუ — ხეთების ქალაქი მცირე აზიის ჩრდილოეთით.

ქორსი — ერთგვარი დაბალი მაგიდა, რომლის ქვეშ დგამენ ღუმელს. მაგიდას ფარდა-გი აქვს გადაფარებული. მიუსხდებიან და ფეხებს შიგ შეყოფენ.

ქუმარბი — ტაროსის ღმერთის (იხ.) მამა, ღვთაებათა მშობელი; ღმერთთა ოთხი თაობიდან მთავარი ღმერთი ბოლო თაობისა; ხეთურ-ხურიტული პოემის გმირი.

ქუნქუნუცცი — ქვა; ხურიტული ულიქუმმის ხეთური სახელწოდება.

ქუმუხი — მთვარის ღმერთი, მთვარე (ბაბილონური სინი).

ლახელი — ლირიკული (მეტწილად სატრაფილო) ლექსის სახე მუსულმანური სამყაროს ლიტერატურებში (ფორმა: ა ა ბ ა გ ა დ ა ე ა და ა. შ.), იგივე უახალი.

ლაზი — რჭულისთვის გამოძარი; გმირი.

ლუტა — პარკი დამასკოში, შუბრა კი — კაიროში, განთქმულნი თავიანთი მშვენიერებით.

უავითი — ხორბლის ან ხმელი მუხუდოს ფქვილისა და დანაყილი შაქრისაგან შეზადებული საკმელი, ქუმელა.

უაზი — იგივე ღაზი (იხ.).

უაიმაქაში (ყავემყავი) თურქეთის ადმინისტრაციული ერთეულის ილჩეს უფროსი.

უალა — ცხენსიმაგრე.

უარა დერე — გოქჩის ტბიდან გადმომავალი ქარბი წყალი ქმნის მდინარეს და არაქსს უერთდება. ამ შესართავთანაა აღნიშნული ხეობა.

უასიდა — სახობო ლექსი, შუა საუკუნეების მუსულმანურ ადმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული ენარი, უმეტესად გადაჭარბებული და დაუშვასურებელი ქების შემცველი (მდრ. ქართ. უასიდად — არაგულწრფელად, არაობიექტურად).

უიბლა — მექის მიმართულება, საითყენაც პირს იქცევენ მუსულმანები მათი ლოცვის, ნაშაის (იხ.) დროს.

უაბლიზი — ირანული ლეგენდებისა და პოემების გმირის შირინის ცხენის სახელი.

უაზხ — ელ-დინ თავრიზი — გენიალური სპარსელი მისტიკოსი პოეტის ჩველად ელ-დინ რუმის (1207—1274) მოძღვარი და ახლობელი პირი, მისი საკვეყნოდ ცნობილი ლირიკული ლექსების გმირი.

უაუშქა — თმისა და სიყვარულის ქალღმერთი ხურიტულ პანთეონში. ხურიტულ მითოლოგიაში იგი არის და თეშუფისა და მისი ძმის თაშმიშუსი (მუშეგოლი ინანნა, შუაღმინარული იშთარაი).

უაფერ ზულ — აქთაფი — სასანიანთა ირანის მეფე შაფერ II (309—379).

შპარიარი — მეფე; ხელმწიფე (სპ.).

შებნერალი — „ღამის ჩიხალი“. აღმასი; ძვირფასი ქვა.

შევალი — მუსულმანთა შთავარის ეკლენდრის მეათე თვე.

შუიხი — თემის, ტომის ან ორდენის მეთაური, უსუყესი.

შეიხი სეფი ედ-დინ ისმაილი — (1252—1334) ირანის სეფიანთა დინასტიის (1502—1736) წარმომადგენელთა წინაპარი.

შეპიდი — (შაპიდი) რჯულისთვის მოწამე.

შიიტი — ისლამის ორ ძირითად მიმდინარეობაშიაგან ერთ-ერთის მიმდევარი. სუნიტი-ბისგან (იხ.) განსხვავებით აღიარებენ მხოლოდ „ყურანს“ და უარყოფენ სუნის (იხ. სუნიტი), არ ცნობენ სუნიტ ხალიფებს და მათ მიმდევრებს, სამაგიეროდ აღიარებენ ალის შაჰამოყვლებს, როგორც კანონიერ იმამებს.

შიმიგე — შიის ლმერთი, მზე, სურბიტულ მითოლოგიაში იგი განეკუთვნება ღმერთთა უკანასკნელ, მეოთხე თაობას (ბაზაილონური შამაჰი, უგარბიტული შაფაშუ).

შირა — ბადაგი.

ჩელო-ქაბაბი — ქაბაბი შირალად მოხარშული ბრინჯით.

ჩუ-ჩე — იდენტიფიცირებულია მდ. ენისესთან.

ცივარათა — ქალაქი მცირე აზიის ჩრდილოეთით.

ცინ-რე-ჩუ-ჩე-ში — პირობითად აიგივებენ დასავლეთ სიანის მთებთან.

ხათთუსა — ხეთების დედაქალაქი XVII—XIII სს. დღევანდელი ბოღაჯკოს სანახებში.

ხარაბათი — („ნანგრევები“) — სამიყიტო, სირაჯხანა. საქეიფო დუქანი.

ხარაქა — გადასახალი მიწაზე, რომელსაც იხდიდნენ არამუსლიმები.

ხარვარი — წონის ერთეული, ერთი ვირის ტვირთი.

ხევათი — უპირველესი ხურბიტული ქალღმერთი, თეშუფის (იხ.) მეუღლე.

ხაზრი — მუსულმანური ლეგენდებით, წინასწარმეტყველი, რომელმაც მიაგნო უკვდავების წყალს და შესვა იგი.

ხოსროვი — იხ. ფარეხი.

ხუნაგი — თურქულად „ქუშდალაზი“. სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ჩიტის ბარტყს. ხალხურ ტრადიცია — მკედარი ჩიტების კისერზე დაკიდება დღეთერიის დროს, ამ სახელწოდებას უკავშირდება.

ხუთარიატა — მილიის მეფის სახელი.

ქალაქი ან ჭილაქი — ქალაქი დამასკოს სახელწოდება თავისი შემოგარენით. სადაც 1860 წ. ადგილი ჰქონდა ქრისტიანთა მასობრივ ელეთას და სამშობლოდან განდევნილი, აქ თავშეფარებული აბდ ელ-კადირი რაინდულად გამოსულა უდანაშაულო მსხვერპლთა დასაცავად.

ჭამა — ხრდალი, ჰავი აქლემი.

ჭამათის ნამაზი — ნამაზი (იხ.), რომელიც სრულდება საყრებულო შეჩეთში.

ჭევილი — ცნობილი ქართული ისტორიული ადგილის ტბეთის თანამედროვე თურქული სახელწოდება.

ჭემშიდი — ირანის მითური მორკმული მეფე. „შამ-ნამეს“ გმირი, იმეფა შვილას წელიწადს.

ჭემშიდის ჭამი — მეფე ჭემშიდის (იხ.) მითური ჭამი, რომელშიაც ჩანდა მთელი მსოფლიო; სპარსულ პოეზიაში დღინით საცხე ფილის (ჭამის) მეტაფორა.

ჭათემ თაი — ლეგენდარული არაბი, რომელიც ცნობილი იყო თავისი გულუხეობით.

ქალიში — ხორციისა და ძვეტრისაგან შეზადებული ერთგვარი კერძი.

ქანგმატანა — ირანის ძველი დედაქალაქის ექმატანას სახელწოდების ძველი სპარსული ფორმა, ახლანდელი ჰამადანი.

ქარაივა — არია, პროვინცია ძველ ირანში.

ქარაქუვატი — არაბოზია, პროვინცია ინდოეთში.

პარუთი — ანველოზი, რომელიც ციდან გამოაქევა ილაჰმა ზორციელთა მიმართ გამოჩენილი ვნებების გამო.

პასანი — ალის (იხ.) უფროსი ვაჟი, ქუსეინის (იხ.) ძმა, შიიტთა (იხ.) მეორე იმამი (636—670).

პაფანთალი — ხატების ქალ-ღვთაება.

პახამანი — ისტორიული პირი, რომელმაც დასაბამი მისცა აჰამანიანთა დინასტიას (თვით დინასტიის სახელი დამკვიდრებელია ბერძნულის მეშვეობით).

პაჭი — საპატიო მეტსახელი მუსულმანისა, რომელმაც მოილოცა მკვა.

პაჭი მირზა-აყასი — მუჰამედ შაჰის (1834—1848) ვეზირი.

პემიდი — ქ. დიარბექირის ძველი სახელწოდება.

პიუნგ-ნუ — ქუნები.

პორმუზი — ირანის სასანიანი ხელმწიფე ქორმუზ IV, ხოსროუ II ფარეხის (590—628) მამა (579—590).

პუსეინი — შიიტების წმინდა მოწამე, არაბთა მეოთხე ხალიფას ალის (656—661) შვილი. მოკლულ იქნა ქერბალაში 690 წელს. აქედან იწყება ისლამის ორ მიმდინარეობად: სუნიტობად (იხ.) და შიიტობად განხეთქება. შიიტები წელიწადში ერთხელ გლოვითა და თვითგვემით აღნიშნავენ ქუსეინის დაღუპვას.

ს ა რ ჩ ე ვ ი

I. ძველი აღმოსავლეთის ლიტერატურა

ურქემის ტაძრის წარწერა — ხურიტულიდან თარგმნა ნანა ნოზაძემ	3
ორი სენტენცია — თარგმანი მისივე	3
ელისადში — თარგმანი მისივე	4
მითანური წერილი — თარგმანი მისივე	5
„ნესას სამოსით...“ — ხეთურიდან თარგმნა ნუნუ ბენდუქიძემ	7
ამბავი ციდან ჩამოვარდნილი მთვარისა — თარგმანი მისივე	7
ილუიანქას მითი — თარგმანი მისივე	8
თელუფინუს მითი — თარგმანი მისივე	9
რიტუალი — თარგმანი მისივე	11
თელუფინუ და ოყენას ასული — თარგმანი მისივე	13
ქუმარბი და ოყენის ასული — თარგმანი მისივე	14
მზის საგალობელი — თარგმანი მისივე	15
დედამზის საგალობელი — თარგმანი მისივე	17
ამბავი ცათა მუუფებისა — თარგმანი მისივე	19
„გამობდა ექვისი დღე-ღამე...“ — თარგმანი მისივე	22
მონადირე ქესის ამბავი — თარგმანი მისივე	23
მ-ტე მურსილის ლოცვა — თარგმანი მისივე	23
„ამბავი მურსილის დამუნჯებისა — თარგმანი მისივე	24
დემეტრის ვნებანი — მუმერულიდან თარგმნა სურამ ჯიქნაძემ	26
განწირული მწყემსი — თარგმანი მისივე	34
იონა — ძველებრადიდან თარგმნა ნიხან ბაბალიაშვილმა	35

II. არაბული ლიტერატურა

არაბული ზღაპრები

სირიული ზღაპრები

სულთანი — ნობების ოსტატი — არაბულიდან თარგმნა ეთერ სიხარულიძემ	39
კახიანი — თარგმანი მისივე	42
ერთგული მეგობარი — თარგმანი მისივე	42
ღარაჯი ქეთი — თარგმანი მისივე	47

ეგვიპტური ზღაპრები

სიღისილა და უემ ზაბიბა — თარგმანი მისივე	49
გულწრფელი მეგობარი — თარგმანი მისივე	55
სამი ძმა — თარგმანი მისივე	56
ქასანი და აბი ალ-მუინი — თარგმანი მისივე	64
მეწიფე ქინი — თარგმანი მისივე	69

სუდანური ზღაპრები

თევზის შვილები — თარგმანი მისივე	73
ქასლა და მატორ ქასანი — თარგმანი მისივე	77
თარბი — ას-სამრა — თარგმანი მისივე	80

აბუ ნუვასი

„მხოლოდ ოთხი რამე...“ — არაბულიდან თარგმნა აპოლონ სილაგაძემ	84
„იღვეა თქვი...“ — თარგმანი მისივე	84
„ნუ დასტრიალებ...“ — თარგმანი მისივე	85
„ქარს არ მიქადს...“ — თარგმანი მისივე	85
„მე რომ შეიცხად...“ — თარგმანი მისივე	85

„შემსამედეგ...“ — თარგმანი მისივე	86
„სახლთან ჩერდება მათხოვარი...“ — თარგმანი მისივე	86
„მეტუვიან ხოლმე...“ — თარგმანი მისივე	87
„ღღინი დავახრჩე...“ — თარგმანი მისივე	87
ზაკარა ანტიოქიელი	
ცნობები საქართველოს შესახებ — არაბულიდან თარგმნა თინა მარგველაშვილი	88
რეზაკალა მასუნე	
მოგზაურობა საქართველოში — არაბულიდან თარგმნა ლია რუხაძე	123
ამინ რეჰმანი	
რეველუცია — არაბულიდან თარგმნა აპოლონ სილაგაძე	126

III. სპარსული ლიტერატურა

სპარსული ხალხური პოეზიიდან	131
ღებუთები — სპარსულიდან თარგმნა ალექსანდრე გვახარაძე	131
ბერძნული ბრძოლების მნახველი — თარგმანი მისივე	133
დარიოს პირველის ვრცელი წარწერა ბეჰისტუნის ქედზე — ძველი სპარსულიდან თარგმნა მათა სახოკიაძე	139
ბაბა თაჰერ ურჩიანი	
ღებუთები — სპარსულიდან თარგმნა ლია ასათიანი	151
ნასერ ხოსროვი	
„უნდა შეიძლოს...“ — სპარსულიდან თარგმნა ნომადი ბართთაძე	161
სიხარბე — თარგმანი მისივე	162
მეზობტეთა ვასაიციხად — თარგმანი მისივე	163
„გონიერ კაცთან მუსაიფობდეს...“ — თარგმანი მისივე	164
„მეფე მეფენი, რომელნიც...“ — თარგმანი მისივე	165
ომარ ხაიამი	
რომაეები — სპარსულიდან თარგმნა ნომადი ბართთაძე	167
ნოვრუზ-ნამე	
სენენბა ბექლისა და მცირე რამ ყურადსაღები მის შესახებ — სპარსულიდან თარგმნა მარიამ გაბაშვილი	172
სენენბა ქაჯილისა და მცირე რამ ყურადსაღები მასთან დაკავშირებით — თარგმანი მისივე	174
მცირე რამ მშვენიერი სახის შესახებ — თარგმანი მისივე	176
საუნი შირვანელი	
„ტოტი ქვეყნისა...“ — სპარსულიდან თარგმნა ნომადი ბართთაძე	181
გოგონას სიყვდილზე — თარგმანი მისივე	181
ცოლის სიყვდილზე — თარგმანი მისივე	182
საადი შირაზელი	
ჩიქვა-დარიგებანი — სპარსულიდან თარგმნა ნომადი ბართთაძე	184
ჩელაღ ედ-დინ რუმი	
„ვის ვნახე წუხელ...“ — სპარსულიდან თარგმნა ნომადი ბართთაძე	189
„ხეხს გემოზე...“ — თარგმანი მისივე	190
„იმ ღვინისაგან...“ — თარგმანი მისივე	191
„ისევ და ისევ...“ — თარგმანი მისივე	191
„გაუყიდე ფლასი...“ — თარგმანი მისივე	192
ირაქ მირზა	
დღის სიუვარული — თარგმანი ალექსანდრე ელერაშვილისა	194
ბაჰარი	
სამშობლო საფრთხეშია — თარგმანი მისივე	195
სამშობლო ჩემო — თარგმანი მისივე	195
შაჰის რისხვა — თარგმანი მისივე	
სადღე ჰედიათი	
ალაიგი ხანუმი — სპარსულიდან თარგმნა თენგიზ ეშელაძე	200
ამირ ყოლი ამინი	
ასღაზები და არაკები — სპარსულიდან თარგმნეს ნინელი თარგმამე და რეზა მისქელაძე	228

შობსენ შოვეჩიანი	
არაზობა — სპარსულიდან თარგმნა ნანა ჩხეიძემ	249
„ხის ხმელი ტოტი ვარ...“ — თარგმანი მისივე	249
სოპრანო ხოშინი —	
შემოდგომა — სპარსულიდან თარგმნა ნანა ჩხეიძემ	250
სიყვარულის სამყარო — თარგმანი მისივე	250
სასივრცე — თარგმანი მისივე	251
აბას ჰაქეში	
უღიმღაო კვირა დღეები — სპარსულიდან თარგმნა ზურაბ შარაშენიძემ	252
შემის მკრელები — თარგმანი მისივე	255
ბეჭანგი მიყვებოდა — თარგმანი მისივე	261
ბეჯათო მალექ ქეიანი	
ჰეი, ბაბა! ჰეი, ბაბა — სპარსულიდან თარგმნა ზურაბ შარაშენიძემ	264

IV. ტაჯიკური ლიტერატურა

ფირანისა და გულარზის ომი — ფარსი ენიდან თარგმნა მაგალი თოდემ	268
--	-----

V. ოსური ლიტერატურა

ნართების ეპოსი	
სათანა და ურუზმაგი — ოსურიდან თარგმნა ოღლა თედეთი	404

VI. უზბეკური ლიტერატურა

ორი ლეგენდა — თარგმნა ივანე შერვაშიძემ	429
დედე ქორქუთი — ოლუზური ენიდან თარგმნეს გიორგი შაყულაშვილმა და ელიზბარ ჯაველიძემ	431
ალიშერ ნავოი	
„როს წარმართ ჰაბუეს...“ — ძველი უზბეკურიდან თარგმნა ცისანა ახალაძემ	474
„ტიტა მეგოსა...“ — თარგმანი მისივე	475
„შემოთვარე სულის დასაამებლად...“ — თარგმანი მისივე	475
„ოპ, მერიქიფე...“ — თარგმანი მისივე	476
„სიყვარულის წილ...“ — თარგმანი მისივე	476
„თუ საკრავები...“ — თარგმანი მისივე	477

VII. თურქული ლიტერატურა

მიპრი ბათუნი	
„სატრფოს შშენებით...“ — ძველი თურქულიდან თარგმნა ცისანა ახალაძემ	478
„ბულბულის მსგავსად...“ — თარგმანი მისივე	479
„ღმერთმა ინებოს...“ — თარგმანი მისივე	479
„გული მომთხოვა სატრფომ...“ — თარგმანი მისივე	480
„როს მოირთვება ქვეყნის ბაღი...“ — თარგმანი მისივე	480
„შენით ესულდგმულობ...“ — თარგმანი მისივე	481
სულთ. დერვიში	
ქალაქი, რომელშიც მე დავიბადე — თურქულიდან თარგმნა მერი წიკლაურმა	482
ეაქებ კადრი კარაოსმან-ოდლუ	
მტრადებზე ნადირობა — თურქულიდან თარგმნა მერი წიკლაურმა	485
ქალიშვილი, რომელსაც ხმა ჩაეხმის — თარგმანი მისივე	488
ბექირ ილღიზი	
რემო აღა — თურქულიდან თარგმნა ირინე გოცირიძემ	497
ჰალდუნ თანერა	
სანროს გასივრება — თურქულიდან თარგმნა ლია ჩლაიძემ	497
ღურბინდი — თარგმანი მისივე	506
აზიზ ნესინი	
ჩემს ბედნიერებას შენ გიმადლი — თურქულიდან თარგმნა ვენერა ჯანგიძემ	514
ფაქირ ბაიურთი	
ჯევისლის ეკლესია — თურქულიდან თარგმნა მზია გურგენიძემ	517
ემერ სეიფედინი	
სამურველი — თურქულიდან თარგმნა ქეთევან ტომარაძემ	521
კომენტარები	
ლექსიკონი	525

რედაქტორი მ. რუხაძე
მხატვარი მ. თავაძე
მხატვრული რედაქტორი აკ. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორები: ნ. თავაძე, ლ. გულიაშვილი
გამომწვევი ნ. მანაგაძე

ს. ბ. № 1961

გადაეცა წარმოებას 1.VI.82. ხელმოწერილია დასიბეჭდად 27.XII.82.

საბეჭდი ქაღალდი № 3. 60 X 90¹/₁₆.

პირობ. ნაბ. თაბახი 33,75. პირობ: საღებავ-გატარება 34,25.

საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 28,86.

ტირაჟი 20.000. შეკვ. № 670. ფასი 2 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5, 1982

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР
по делам издательства, полиграфии и книжной торговли, Тби-
ლისи, ул. Марджанишвили, 5.